ნ. ნანიტაშვილი

საზღვარგარეთის ქვეყნების უახლესი ისტორია

ნაწილი I

1917 — 1945 წწ.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ
დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
პედაგოგიური ინსტიტუტების არასპეციალური
ფაკულტეტების სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1974

9 (11) ?
9 (4/9) 6
ნ 243

ნაშრომი — „საზღვარგარეთის ქვეყნების უახლესი ისტორია, ნაწილი პირველი (1917 — 1945 წწ)“ განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. ნაშრომი დაწერილია პროგრამის მიხედვით და საბჭოთა ისტორიოგრაფიის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

წიგნში განხილულია უახლესი ისტორიის საგანი, მნიშვნელობა, ამოცანები და პერიოდიზაცია, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხები, მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების — გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის და იტალიის, აგრეთვე ესპანეთის ძირითადი ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემების ისტორია, ამ ქვეყნების კომუნისტური პარტიების მოღვაწეობისა და მუშათა მოძრაობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისა და მეორე მსოფლიო ომის ისტორია.

Н $\frac{С—1—6—3—084}{М—602\ (08)\ 74}$ 198—74

© გამომცემლობა „განათლება“, 1974

შესავალი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა

ერთ საუკუნეზე მეტია მას შემდეგ, რაც კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შექმნეს „კომუნისტთა კავშირი“ და შეიმუშავეს მისი უკვდავი პროგრამა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. ამ დროის განმავლობაში მსოფლიო მრავალმა რევოლუციამ შეაზანზარა. ბევრი ცრუ მოძღვრება ამოტივტივდა, მაგრამ ვერ გაუძლო ისტორიულ გამოცდას და უკვალოდ გაქრა. მარქსისტული მოძღვრება კი თანდათანობით იკვლევდა გზას მუშათა კლასის რიგებში, მტკიცდებოდა და ვითარდებოდა მრავალრიცხოვანი მიმდინარეობების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეცნიერულმა კომუნიზმმა თავისი ბრწყინვალე დადასტურება დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში ჰპოვა. ოქტომბრის რევოლუცია შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოების განვითარებისა და კლასთა ბრძოლის მსვლელობის გარეშე. მისი გამარჯვება რუსეთისა და მთელი კაცობრიობის განვითარების ძირეული შემობრუნება იყო. რუსეთის პროლეტარიატმა მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ლენინის წინამძღოლობით დაამხო ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობა, დაამყარა რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურა, მოახდინა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ლიკვიდაცია, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაცია და ეროვნული ჩაგვრა.

ოქტომბრის რევოლუცია ახალი, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ერის დასაწყისია კაცობრიობის ისტორიაში. „კაპიტალიზმისა და მისი კვალის მოსპობა, კომუნისტური წყობილების საფუძველთა შემოღება—წერდა ვ. ი. ლენინი,— შეადგენს მსოფლიო ისტორიის ახლახან დაწყებული ეპოქის შინაარსს“[1]. კაპიტალიზმის განუსაზღვრელი ბატონობა დამთავრდა. მსოფლიო გაიყო ორ სისტემად — კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემად. კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა მომწიფებულ ისტორიულ კანონზომიერებად იქცა. ოქტომბრის რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხების რევოლუციური, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე. ვ. ი. ლენინი ამის შესახებ წერდა, რომ „დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა“[2]. მან საუკუნოვანი ძილისაგან გამოაღვიძა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხები, დასაბამი მისცა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ღრმა კრიზისს.

ვ. ი. ლენინი ეხებოდა რა ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო მნიშ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 478.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 382.

ვნელობას თავის ნაშრომში „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ ხაზს უსვამდა იმას, რომ „ჩვენი რევოლუციის ზოგიერთ ძირითად ნიშნებს აქვთ არა ადგილობრივი, არა ეროვნულ-თავისებური, არა მარტო რუსული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა“[1].

ოქტომბრის რევოლუციის უშუალო გავლენით ევროპაში, აზიასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ფართოდ გაიშალა კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატისა და დემოკრატიული ძალების საგაფიცვო და რევოლუციური ბრძოლა, კოლონიების და ნახევრადკოლონიების დამონებულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა: 1918 წლის შემოდგომაზე დაიშალა ავსტრო-უნგრეთის მრავალეროვანი იმპერია და მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია გერმანიაში, 1919 წელს დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება ბავარიასა და უნგრეთში, 1918 წელს ადგილი ჰქონდა „ბრინჯის ჯანყებას“ იაპონიაში.

მასობრივი რევოლუციური და მუშათა საგაფიცვო მოძრაობა მოედო ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას, აშშ და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს. ანტანტის სახელმწიფოთა მიერ ორგანიზებულ ანტისაბჭოთა ინტერვენციას ამ ქვეყნების მშრომელებმა უპასუხეს მასობრივი გამოსვლებით საბჭოთა რუსეთის დასაცავად. ეს გამოსვლები გაიშალა ლოზუნგით „ხელები შორს საბჭოთა რუსეთიდან!“ საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობა საბჭოთა რუსეთის დასაცავად უკვე მაშინ წარმოადგენდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საუკეთესო ნიმუშს. მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ანტისაბჭოთა ინტერვენციის განადგურებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტიიმპერიალისტური მოძრაობა მოედო აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანას: ჩინეთს, თურქეთს, კორეას, ავღანეთს, მონღოლეთს, ინდოეთს, ირანს, ეგვიპტეს და სხვა არაბულ ქვეყნებს.

ოქტომბრის რევოლუციამ დააჩქარა გათიშვა სოციალისტური პარტიების შიგნით არსებულ მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის, რიგ ქვეყნებში ბიძგი მისცა კომუნისტური პარტიების შექმნას. 1918 — 1921 წწ. კომუნისტური პარტიები შეიქმნა: გერმანიაში, ავსტრიაში, პოლონეთში, უნგრეთში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, აშშ და სხვაგან.

საბჭოთა ხალხის გრანდიოზულმა მიღწევებმა მომდევნო პერიოდში ისტორიულად დაადასტურა სოციალისტური წყობილების უპირატესობა. დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ ფაშისტური ბლოკის იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე ერთხელ კიდევ ცხადყო სოციალისტური წყობილების სიმტკიცე და სიცოცხლისუნარიანობა, მისი უდიდესი უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით. ომის წლებში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში გადაიზარდა სახალხო-დემოკრატიულ რევოლუციაში, რომლის ხელმძღვანელი მუშათა კლასი იყო. მუშათა კლასის მოკავშირედ ამ რევოლუციაში საშუალო და ღარიბი გლეხობა გამოდიოდა, რომელიც დაინტერესებული იყო, როგორც ეროვნული განთავისუფლებით, ასევე ფეოდალური გადმონაშთების ლიკვიდაციითა და მემამულეთა ჩაგვრის მოსპობით. მუშათა კლასმა კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით თავის ხელში აიღო ძალაუფლება, განახორციელა ღრმა გარდაქმნითი ღონისძიებანი

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 41, გვ. 5—6.

ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ სფეროში. შემდეგ კი სახალხო-დემოკრატიული რევოლუციები მშვიდობიანი გზით სოციალისტურში გადაიზარდა. სოციალისტური სისტემა მსოფლიო სისტემად იქცა. 50-იანი წლების ბოლოს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ქვეყნები განვითარების ახალ პერიოდში შეავიდნენ — ეს არის პერიოდი კომუნიზმის გაშლილი მშენებლობისა საბჭოთა კავშირში და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისა მთელ რიგ ქვეყნებში.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი და მისი ეტაპები

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, რომელმაც მოიცვა კაპიტალისტური ქვეყნების როგორც ეკონომიკა, ასევე პოლიტიკა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ეს კრიზისი კიდევ უფრო გაფართოვდა და გაღრმავდა. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მსოფლიოს ორ სისტემად გაყოფა— სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემად, ამრიგად, ოქტომბრის რევოლუციის შედეგად კაპიტალიზმმა შეწყვიტა არსებობა როგორც ერთადერთმა და ყოვლისმომცველმა მსოფლიო სისტემამ და მის საპირისპიროდ წარმოიშვა მზარდი და აღმავალი სოციალისტური სისტემა. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმის კრიზისი არა მორიგი და გარდამავალია, როგორც არა ერთხელ ყოფილა მის ისტორიაში, არამედ ეს არის მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დაცემისა და გახრწნის კრიზისი; ეს არის მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ყოველმხრივი კრიზისი. რომელიც მოიცავს ეკონომიკას, პოლიტიკას და იდეოლოგიას.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ერთ-ერთ არსებით ნიშანს მისი განვითარების მეორე და მესამე ეტაპზე წარმოადგენს იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა და მის ნანგრევებზე დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნის შემდეგ.

სოციალურ-ეკონომიურ სფეროში კაპიტალიზმის საერთო კრიზისისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობათა გამწვავება შრომასა და კაპიტალს შორის, საწარმოთა არასრული დატვირთვა და ქრონიკული უმუშევრობა, მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერება, ეკონომიკის მილიტარიზაცია, ჭარბი წარმოების ეკონომიური კრიზისები და აქედან გამომდინარე მუშათა რევოლუციური მოძრაობის განუწყვეტელი ზრდა.

პოლიტიკურ სფეროში კაპიტალიზმის საერთო კრიზისი გამოიხატება იმაში, რომ მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებული კლასები უარს ამბობენ ქვეყნის მართვაზე ბურჟუაზიული დემოკრატიზმის და პარლამენტარიზმის მეთოდებით და თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნებას აშკარა ტერორისტული, ფაშისტური დიქტატურის დამყარებით ცდილობენ.

იდეოლოგიურ სფეროში კაპიტალიზმის საერთო კრიზისი გამოიხატება ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაცემაში და კომუნისტური იდეოლოგიის გავლენისა და ავტორიტეტის განუხრელ ამაღლებასა და ზრდაში. „კომუნისტების იდეებმა, როგორც აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე, შესანიშნავი აღმონაცენი მოგვცა რეალური სოციალიზმის პრაქ-

ტიკაში, მილიონობით და მილიონობით ადამიანის შეგნებასა და საქმეებში"[1].

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი სამ ძირითად ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი დაიწყო პირველი მსოფლიო ომით და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით და გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, მეორე ეტაპი მეორე მსოფლიო ომით იწყება, ხოლო მესამე ეტაპი კი ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან.

პირველ ეტაპზე კაპიტალისტური სამყაროს განვითარებაში გამოიყოფა სამი პერიოდი: ოქტომბრის რევოლუციის გავლენით, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპის, აზიის და აფრიკის ქვეყნებს გადაუარა რევოლუციების, შრომელთა მასობრივი გამოსვლების, კოლონიებისა და დამონებულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღამ. ამ პერიოდმა საფუძვლიანად შეარყია კაპიტალისტური სამყარო და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. მაგრამ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატთა აშკარა ღალატმა და ახალგაზრდა კომუნისტური პარტიების სისუსტემ საშუალება მისცა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას სისხლში ჩაეხშო ეს გამოსვლები და შეენარჩუნებინა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა.

მეორე პერიოდი მოიცავს 1924 — 1929 წწ. გამოვიდა რა გამარჯვებული ლრმა რევოლუციური შერყევის პირველი პერიოდიდან, 1924 წლიდან კაპიტალიზმი შედის ე. წ. ნაწილობრივი სტაბილიზაციის, ანუ განმტკიცების პერიოდში. კაპიტალიზმის სტაბილიზაცია იყო დროებითი, მერყევი და ნაწილობრივი ხასიათის. ამ დროს რევოლუციური მოძრაობა დროებით შენელდა, მაგრამ იგი არ შეწყვეტილა. კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში შეინიშნება საგრძნობი ეკონომიური აღმავლობა.

მესამე პერიოდი მოიცავს 1929 — 1939 წწ. 1929 წელს აშშ-ში დაწყებულმა მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა ბოლო მოუღო კაპიტალიზმის სტაბილიზაციას და დაიწყო ახალი მძლავრი რევოლუციური გამოსვლები. ეკონომიურმა კრიზისმა გაამწვავა კლასთა ბრძოლა, გამოიწვია მასობრივი უმუშევრობა და მშრომელთა მასების ისედაც მძიმე მდგომარეობის შემდგომი გაუარესება. ახალი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებული კლასები გამოსავალს ომის გაჩაღებასა და ფაშისტური რეჟიმის დამყარებაში ეძებენ. რიგ ქვეყნებში მყარდება ფაშისტური დიქტატურა, მსოფლიო ითიშება ორ ურთიერთ საწინააღმდეგო სამხედრო დაჯგუფებად. მწვავდება წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. იმპერიალიზმის ამ საშინაო და საგარეო წინააღმდეგობების გამწვავებას მალე ახალი, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება მოჰყვა.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპი იწყება მეორე მსოფლიო ომიდან და გრძელდება XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებამდე. ამ ეტაპის ყველაზე უმნიშვნელოვანესი შედეგი ის არის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გადაიქცა მსოფლიო სისტემად. მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა განადგურების შედეგად კაპიტალიზმის ბორკილები დაამსხვრიეს და სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ ევროპის და აზიის რიგი ქვეყნები, გაძლიერდნენ მუშათა და დემოკრატიული ორგა-

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი ს საანგარიშო მოხსენება სკკპ XXIV ყრილობაზე. გაზ. „კომუნისტი", 31/III-71 წ. გვ. 5.

ნიზაციები, კომუნისტური მოძრაობა ყველაზე მძლავრ პოლიტიკურ მოძრაობად იქცა.

მეორე ეტაპზე კაპიტალიზმის საერთო კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რღვევამ და მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოშობამ. აზიის თითქმის ყველა ქვეყანამ და აფრიკის დიდმა ნაწილმა მოიშორა კოლონიური უღელი და დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა ლათინური ამერიკის ქვეყნებშიც. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპი დაიწყო 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან და დღემდე გრძელდება.

ამ ეტაპის ყველაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სოციალისტური სისტემის გადაქცევა მსოფლიოს საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად. ამ ეტაპის თავისებურება, როგორც აღნიშნულია სკკპ პროგრამაში, ის არის, რომ მისთვის დასაბამი არ მიუცია მსოფლიო ომს. წინათ კაპიტალიზმი ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი იყო, რომ მშვიდობიან დროს ახერხებდა ჩაეხშო მშრომელთა სოციალისტური მოძრაობა და დამონებულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა; ომის დროს კი, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები დასუსტებული იყვნენ მათ მიერვე გაჩაღებული მსოფლიო ომებით, ვერ უმკლავდებოდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობას. მესამე ეტაპის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ახლა იმპერიალიზმი ვეღარც მშვიდობიან დროს ახერხებს განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას, რასაც მკაფიოდ მოწმობს კოლონიური სისტემის დაშლა. განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უშუალოდ ყველაზე დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს მეზობლად პატარა კუბის მამაცმა ხალხმა არათუ დამოუკიდებლობა მოიპოვა, არამედ სოციალიზმის მშენებლობის გზასაც კი დაადგა.

ამ ეტაპზე სოციალიზმის მსოფლიო სისტემა განვითარების ახალ პერიოდში შევიდა. საბჭოთა კავშირში გაიშალა კომუნიზმის მშენებლობა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში საბოლოოდ დაფუძნდა სოციალისტური წყობილება, კიდევ, უფრო განმტკიცდა სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში შემავალ ხალხთა ერთიანობა, აღმოცენდა შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება, რომლის საფუძველს წარმოადგენს თანასწორობა და ძმური ურთიერთდახმარება. შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების დამახასიათებელი ნიშანია მისი გეგმაზომიერი ხასიათი, ხოლო მისი მიზანი — საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება, სახალხო მეურნეობის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელი დარგების კომპლექსი. ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე, ეხებოდა რა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, აღნიშნა: „ჩვენ იმის მომხრე ვართ რომ მოძმე ქვეყნების თანამშრომლობა სულ უფრო მრავალმხრივი და ღრმა ხდებოდეს, მოიცავდეს მშრომელთა სულ უფრო ფართო მასებს, რომ უფრო საფუძვლიანად ვსწავლობდეთ ერთმანეთის კონკრეტულ გამოცდილებას სახელმწიფო საზოგადოებრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დონეზე.

„ჩვენ გვსურს, რომ თითოეული მოძმე ქვეყანა იყოს აყვავებული სახელმწიფო, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შეხამებული სწრაფი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება და სოციალისტური კულტურის აყვავება, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობა. ჩვენ გვსურს, რომ

სოციალიზმის მსოფლიო სისტემა იყოს ერთსულოვანი ოჯახი ხალხებისა, რომლებიც ერთად აშენებენ და იცავენ ახალ საზოგადოებას, ერთმანეთს ამდიდრებენ გამოცდილებითა და ცოდნით, — იყოს შეკავშირებული და მტკიცე ოჯახი, რომელშიც დედამიწის ადამიანები დაინახავენ თავისუფალ ხალხთა მომავალი მსოფლიო თანამეგობრობის პირველ სახეს".[1]

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპის დროს იმპერიალიზმმა სამუდამოდ დაკარგა თავისი გავლენა და ძალაუფლება მსოფლიოს უმეტეს ნაწილზე. მისი პოზიციები სოციალიზმის მსოფლიო სისტემასთან შეჯიბრებაში განუხრელად სუსტდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს კაპიტალისტური ქვეყნების წარმოებისა და ტექნიკური პროგრესისა და საწარმოო ძალების განვითარების მთლიან შეჩერებას. ეხებოდა რა ამ საკითხს, ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, — „თანამედროვე კაპიტალიზმის თავისებურებანი მნიშვნელოვნად იმით აიხსნება, რომ იგი ეგუება მსოფლიოში შექმნილ ვითარებას. სოციალიზმთან ბრძოლის პირობებში კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებულ წრეებს ახლა განსაკუთრებით აშიხებთ, რომ კლასობრივი ბრძოლა მასობრივ რევოლუციურ მოძრაობაში გადაიზრდება. აქედან გამომდინარეობს ბურჟუაზიის მისწრაფება მიმართოს მშრომელთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის უფრო შენიღბულ ფორმებს, მისი მზადყოფნა მთელ რიგ შემთხვევებში დათანხმდეს ნაწილობრივ რეფორმებს, რათა რამდენადაც შესაძლებელი იქნება შეინარჩუნოს იდეური და პოლიტიკური კონტროლი მასებისადმი. მონოპოლიები ფართოდ იყენებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად, წარმოების ეფექტიანობისა და ტემპის გასაზრდელად, მშრომელთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის გასაძლიერებლად.

მაგრამ ახალ პირობებთან შეგუება არ ნიშნავს კაპიტალიზმის როგორც სისტემის სტაბილიზაციას. „კაპიტალიზმის საერთო კრიზისი სულ უფრო ღრმავდება"[2].

უახლესი ისტორიის პერიოდიზაცია

ახალი ისტორიის მესამე პერიოდი, ანუ უახლესი ისტორია, მსოფლიო ისტორიის დამამთავრებელი პერიოდია, ეს ის ეპოქაა, რომელსაც დასაბამი მისცა დიდი ოქტომბრის-სოციალისტურმა რევოლუციამ. ეს არის ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — ერა კაპიტალიზმის დაღუპვისა და ახალი, სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა. ახასიათებდა რა ამ ეპოქას, კომუნისტური და მუშათა პარტიების 1960 წლის მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე აღინიშნა: „ჩვენი ეპოქა, რომლის მთავარ შინაარსსაც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა შეადგენს და რომელსაც დასაბამი მიეცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით, არის ორ ურთიერთდაპირისპირებულ საზოგადოებრივ სისტემათა ბრძოლის ეპოქა; სოციალისტურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის ეპოქა, იმპერიალიზმის ნგრევის ეპოქა, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სულ ახალ-ახალი ხალხების სოციალიზმის გზაზე

[1] გაზ. კომუნისტი, 31/III-1971 წ., გვ. 3—4.
[2] იქვე, გვ. 5.

გადასვლის ეპოქა, მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და კომუნიზმის დღესასწაული"[1].

ამრიგად, უახლესი ისტორია შეისწავლის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარე მოვლენებს მსოფლიოში. უახლესი ისტორია თავის მხრივ სამ ძირითად პერიოდად იყოფა. მისი პერიოდიზაცია მთლიანად შეესაბამება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თანამედროვე საზოგადოების განვითარების სამ ეტაპს.

უახლესი ისტორიის პირველი პერიოდი დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით და გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე (1917 — 1939 წწ.). ეს არის პერიოდი სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებისა საბჭოთა კავშირში. მაგრამ სოციალიზმმა მხოლოდ ერთ ქვეყანაში გაიმარჯვა. საბჭოთა კავშირი ამ დროს კაპიტალისტური სამყაროს მიერ ალყაში მოქცეულ ციხე-სიმაგრეს ჰგავდა. კაპიტალიზმი ჯერ კიდევ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სოციალიზმი, მაგრამ მას ღრღნიდა საშინაო და საგარეო წინააღმდეგობანი. ამ პერიოდის კაპიტალისტურ ქვეყნებში ძლიერდება წინააღმდეგობანი, ერთი მხრივ, შრომასა და კაპიტალს შორის და, მეორე მხრივ, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. ეს წინააღმდეგობანი მას ომისაკენ უბიძგებდა.

უახლესი ისტორიის მეორე პერიოდი დაიწყო მეორე მსოფლიო ომიდან და გაგრძელდა XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებამდე. ამ პერიოდში სოციალიზმი მსოფლიო სისტემად იქცა, დაირღვა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა და მის ნანგრევებზე მრავალი ახალი სახელმწიფო წარმოიშვა, გაძლიერდნენ მუშათა და დემოკრატიული ორგანიზაციები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა უძლიერეს პოლიტიკურ ძალად იქცა, ძალთა თანაფარდობა ძირფესვიანად სოციალიზმის სასარგებლოდ შეიცვალა.

უახლესი ისტორიის მესამე პერიოდი დაიწყო 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ პერიოდში კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში ძირეული ცვლილებები მოხდა. სკკპ XXII ყრილობამ მიიღო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა, რომელიც მთელ კაცობრიობას ახალი განვითარების გზას უსახავს, როგორც აღნიშნულია პროგრამაში, საბჭოთა კავშირში დამთავრდა სოციალიზმის მშენებლობა და დაიწყო კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა; სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში საბოლოოდ დაფუძნდა სოციალისტური წყობილება. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXIV ყრილობაზე განაცხადა: „ცხოვრება ადასტურებს კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირის დასკვნას, რომ „სოციალიზმის მსოფლიო სისტემა გადამწყვეტი ძალაა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში".[2]

---

[1] კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დოკუმენტები, მოსკოვი, 1960 წ., გვ. 3.

[2] გაზ. კომუნისტი, 31/III-71 წ., გვ. 2.

ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის შექმნა. საერთაშორისო ურთიერთობა 1918 — 1939 წწ.

1. გამარჯვებული სახელმწიფოები პარიზის საშვიდობო კონფერენციის წინ

1918 წლის 11 ნოემბერს პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა გერმანიამ ანტანტის სახელმწიფოებთან კომპიენის ტყეში, გენ. ფოშის სალონ-ვაგონში ხელი მოაწერა გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ წინასწარ შემუშავებულ დაზავების პირობებზე. კომპიენის დაზავება 36 დღის ვადით იქნა ხელმოწერილი. შემდეგ მისი ვადა რამდენიმეჯერ გაგრძელდა. იგი ითვალისწინებდა საომარი მოქმედების შეწყვეტას, გერმანიის მიერ ომის დროს დაკავებული საფრანგეთის, ბელგიისა და ლუქსემბურგის მიწაწყლიდან, აგრეთვე რაინის მარცხენა სანაპიროდან, ავსტრია-უნგრეთიდან, რუმინეთიდან და თურქეთიდან ჯარების გაყვანას, საბჭოდრო ტყეების დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებას. ანტანტის ჯარები დაიკავებდნენ რაინის მარცხენა სანაპიროს და მარჯვენა სანაპიროზე სამ ხიდწინა სიმაგრეს. დაზავებით გერმანიას ანტანტისათვის უნდა გადაეცა 150 ათასი ვაგონი, 5 ათასი ორთქლმავალი, 5 ათასი სატვირთო მანქანა, 5 ათასი ქვემეხი, 3 ათასი ნაღმსატყორცნი, 25 ათასი ტყვეიამფრქვევი, 1700 თვითმფრინავი, 100 წყალქვეშა ნავი, სამხედრო საზღვაო ფლოტი უნდა განიარაღებულიყო და ანტანტის ან ნეიტრალური ქვეყნების ნავსადგურებში გაეყვანათ.

კომპიენის დაზავების პირობები არ მოითხოვდა გერმანიის ჯარების უკრაინიდან, ბელორუსიიდან და ბალტიისპირეთიდან დაუყოვნებლივ გაყვანას. დაზავების შეთანხმებაში ნათქვამი იყო, რომ გერმანია აღნიშნული ტერიტორიებიდან თავის ჯარებს მაშინ გაიყვანდა, როცა ამას ანტანტა მოითხოვდა. ამრიგად, ანტანტა ფიქრობდა გერმანელთა ჯარების გამოყენებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. დასავლეთის სახელმწიფოები ძალზედ დაშინებული იყვნენ აგრეთვე გერმანიის რევოლუციით. იმ მიზნით, რომ არ დაეშვათ რევოლუციის შემდგომი გაღრმავება, მათ გერმანიის ჯარების განკარგულებაში საკმაო რაოდენობის იარაღი დატოვეს.

კომპიენის დაზავება, როგორც აღვნიშნეთ, 36 დღის ვადით იქნა დადებული, რის შემდეგ უნდა მოწვეულიყო სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც შეიმუშავებდა საზავო პირობებს გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოებს შორის. მაგრამ კონფერენციის მოწვევა გაჭიანურდა იმის გამო, რომ გამარჯვებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ძალზედ დიდი წინააღმდეგობები არსებობდა. ყველა მათგანი თავისი პოზიციების გაძლიერებას ერთმანეთის ხარჯზე ფიქრობდა. აშშ-ის იმპერიალიზმი, პირველი მსოფლიო ომიდან ძალზედ გამდიდრებული გამოვიდა და უკვე მაშინ მსოფლიოში თავისი ჰეგემონიის

დამყარებას ფიქრობდა. აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის ვუდრო უილსონის 1918 წლის იანვრის მიმართვაში კონგრესისადმი, რომელიც „14 პუნქტადაა“ ცნობილი, ამერიკის იმპერიალიზმის მსოფლიოში ბატონობის პრეტენზიები შენიღბულად იყო გამოხატული. ამერიკის იმპერიალიზმის ეს ომისშემდგომი მოქმედების პროგრამა თავისი აგრესიულობის მიჩქმალვას და მსოფლიოს საზოგადოებრიობის მოტყუებას „დემოკრატიზმზე და ჰუმანიზმზე“ ლაყბობით ცდილობდა. პირველ პუნქტში პრეზიდენტი იმ საიდუმლო იმპერიალისტური ხელშეკრულებების წინააღმდეგ გამოვიდა, რომელიც აშშ-ის გარეშე იყო დადებული და მისი ექსპანსიის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა. მეორე პუნქტში ვ. უილსონი „ზღვების თავისუფლების“ მოტივით ინგლისის საზღვაო ჰეგემონიის წინააღმდეგ გამოვიდა. მესამე პუნქტი იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ მსოფლიოს გაყვლენის სფეროებად დაყოფის მოწინააღმდეგედ გამოდიოდა და მოითხოვდა საერთაშორისო ვაჭრობაში ყოველგვარი ეკონომიური ზღუდის მოსპობას ე. ი. ყველას თანასწორუფლებიანობას აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობაში.

ამერიკის იმპერიალიზმი „ღია კარების“ პრინციპის მიღწევის შემთხვევაში იმედოვნებდა, რომ თავის ძლიერ ეკონომიკაზე დაყრდნობით მსოფლიო ბაზრიდან წარმატებით გამოდევნიდა კონკურენტებს და მსოფლიოში თავის ჰეგემონიას დაამყარებდა. დანარჩენ პუნქტებში აშშ-ი მოითხოვდა კოლონიური პრობლემის რეგულირების მოტივით მის დანაწილებაში დიდ ულუფას, პატარა ერების დაცვის მოტივით—მათზე გბატონებას, ეროვნული შეიარაღებული ძალების მინიმუმამდე შემცირების მოტივით — თავისი იმპერიალისტური მეტოქეების განიარაღებას და ა. შ. უმნიშვნელოვანესი იყო უილსონის მეთოთხმეტე პუნქტი, რომლითაც იგი საერთაშორისო ორგანიზაციის — ერთა ლიგის შექმნას მოითხოვდა. მას ვითომდა საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობიანობის მიზნები უნდა განეხორციელებინა. აშშ-ი ფიქრობდა ერთა ლიგაში ხელმძღვანელი როლის დაკავებას და ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით მსოფლიოში თავისი ჰეგემონიის დამყარებას. ამერიკის მმართველი წრეების ამოცანა იყო აგრეთვე ერთა ლიგაში საერთაშორისო რეაქციული ძალების გაერთიანება საბჭოთა რუსეთისა და მსოფლიოს რევოლუციური და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. აშშ-ი, მართალია, ომის უკანასკნელ ეტაპზე გერმანიის, როგორც ყველაზე უფრო საშიში იმპერიალისტური მეტოქის წინააღმდეგ გამოვიდა, მაგრამ გერმანიის დამარცხების შემდეგ ამერიკის იმპერიალიზმი ევროპაში წონასწორობის დამყარების მოტივით მოითხოვდა მისი სიძლიერის შენარჩუნებას. ამერიკის მმართველი წრეები ფიქრობდნენ გერმანიის გამოყენებას, ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მეორე მხრივ კი, ინგლის-საფრანგეთის საწინააღმდეგო ძალად. აქედან გამომდინარე, მაი ი მიზანი იყო გერმანიის სიძლიერის შენარჩუნება, ევროპაში თავისი შეტევის ბაზად მისი გადაქცევა და მის ეკონომიკაში ამერიკის მონოპოლიების გბატონება. ამიტომ იყო, რომ ვერსალის კონფერენციაზე აშშ გერმანიის სამხედრო ძლიერების მოსპობის წინააღმდეგ გამოდიოდა. ამრიგად, კონფერენციაზე აშშ-ის მმართველი წრეების სტრატეგიული გეგმა იყო საერთაშორისო რეაქციული ძალების გაერთიანება საბჭოთა რუსეთის განადგურების მიზნით. ევროპაში ინგლის-საფრანგეთის, ხოლო შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის პოზიცი-

ების ხარჯზე თავისი გავლენის ზრდა და მსოფლიოს ხელმძღვანელობის ხელში აღება.

ინგლისის მთავარი მიზანი ის კი არ იყო, რომ გერმანია, როგორც დიდი სახელმწიფო გაენადგურებინა. ასეთ შემთხვევაში ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონია დამყარდებოდა და მაშინ ინგლისს ახალი საზრუნავი გაუჩნდებოდა. ინგლისის მმართველი წრეების მთავარი ამოცანა იყო გერმანიის საზღვაო და კოლონიური სიძლიერის განადგურება და საერთაშორისო ასპარეზიდან საშიში კონკურენტისა და მეტოქის ჩამოშორება. ეს ამოცანა პირველ მსოფლიო ომში ვერმანიის დამარცხების შედეგად განხორციელდა. გერმანიის ფლოტის დიდი ნაწილი ან განადგურდა, ან ხელთ ჩაიგდეს ინგლისელებმა. გერმანიამ დაკარგა ყველა თავისი კოლონია აფრიკასა და აზიაში, რომელთა დიდი ნაწილი ინგლისის ხელში გადავიდა. ამის შემდეგ ინგლისის მთავარი ამოცანა იყო გერმანიის, როგორც ევროპის დიდი და ძლიერი სახელმწიფოს შენარჩუნება, ერთი მხრივ საბჭოთა რუსეთთან ბრძოლისათვის, მეორე მხრივ, საფრანგეთის საწინააღმდეგო ძალად, ევროპაში ე. წ. „წონასწორობის" შესანარჩუნებლად. „ძალთა წონასწორობის" პრინციპი ოდითგანვე ინგლისის საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს წარმოადგენდა. ამ პრინციპის მთავარი ამოცანა ის იყო, რომ ინგლისი გარკვეულ დრომდე არ მიმხრობოდა რომელიმე დაჯგუფებას და ამით არ გაეძლიერებინა იგი, ხოლო ხელსაყრელ მომენტში შეექმნა კოალიცია მთავარი მეტოქის წინააღმდეგ. ინგლისის პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ ლოიდ ჯორჯი, უ. ჩერჩილი, ჯ. კერზონი და სხვები.

ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის მმართველი წრეების მთავარი საზრუნავი გახდა ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონიის უზრუნველყოფა. ამ იმპერიალისტური პოლიტიკის გამტარებლად გამოდიოდნენ ჟ. კლემანსო, რ. პუანკარე, გენ. ფოში და სხვები. ისინი თვლიდნენ, რომ გერმანია უნდა დაბრუნებოდა საფრანგეთ-პრუსიის ომამდე არსებულ მდგომარეობას, ე. ი. დაქუცმაცებულიყო ცალკეულ პატარა სახელმწიფოებად, რომელნიც საფრანგეთის ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცეოდნენ. ოქტომბრის რევოლუციამდე საფრანგეთს ამ იპერიალისტური ზრახვების განხორციელების საქმეში მოკავშირედ რუსეთი ეგულებოდა. რუსეთის დაკარგვის შემდეგ საფრანგეთის მმართველმა წრეებმა განიზრახეს ძლიერი პოლონეთის შექმნა გერმანიისა და რუსეთის ხარჯზე. მისი გადაქცევა გერმანიის საწინააღმდეგო ძალად და თავის დასაყრდენად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ საფრანგეთის მმართველი წრეების გერმანიის ხარჯზე პოლონეთის გაძლიერების გეგმას წინ აღუდგნენ ინგლისი და აშშ.-ი. დიდი ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა იტალიასაც, მაგრამ ვინაიდან იგი ომიდან დასუსტებული გამოვიდა, მას დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოები ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ.

იაპონიის მთავარი ამოცანა იყო წყნარ ოკეანეში გერმანიისათვის წართმეული კოლონიების შენარჩუნება, ჩინეთში ომის დროს მიღწეული პოზიციების განმტკიცება და საბჭოთა რუსეთის დანაწილებაში მონაწილეობის მიღება. ასეთი გეგმებით მიდიოდნენ ხუთი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელები ვერსალის საზავო კონფერენციაზე.

როგორც დავინახეთ, ხუთივეს ერთმანეთის საწინააღმდეგო იმპერიალისტური გეგმები ჰქონდათ, მაგრამ ყველა ფიქრობდა ერთადერთი სოციალის-

ტური სახელმწიფოს — საბჭოთა რუსეთის განადგურებას. მათ ეშინოდათ, რომ რუსეთის მშრომელთა მაგალითისათვის სხვა ქვეყნების მუშებსაც არ მიებაძათ, იმიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ პარიზის საზავო კონფერენციის გახსნამდე აღნიშნულმა იმპერიალისტურმა ქვეყნებმა დაიწყეს ფართო ანტისაბჭოთა ინტერვენცია.

§ 2. პარიზის საშვიდოვანო კონფერენცია

საზავო კონფერენცია მოწვეული იქნა პარიზში და მიმდინარეობდა 1919 წლის 18 იანვრიდან—1920 წლის 21 იანვრამდე.[1] მის მუშაობაში მონაწილეობდა 1 მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე მეომარი 27 სახელმწიფო. დამარცხებული სახელმწიფოები კონფერენციის მუშაობაში არ იქნენ დაშვებულნი. მათი წარმომადგენლები კონფერენციის მუშაობის მხოლოდ უკანასკნელ ეტაპზე მიიწვიეს უკვე გამზადებულ საზავო პირობებზე ხელის მოსაწერად. კონფერენციაზე არც საბჭოთა რუსეთი იქნა მიწვეული. მიუხედავად ამისა, „რუსეთის საკითხი“ მთავარი პრობლემა იყო პარიზის კონფერენციაზე. აქ ხუთი სახელმწიფოს მეთაურები საიდუმლოდ იხილავდნენ და გეგმავდნენ საბჭოთა რუსეთის განადგურების გზებს. კონფერენციამ უარი თქვა საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე. მან უარყო აგრეთვე გენერალ ფოშის გეგმა რუსეთში 1 მილიონიანი არმიით შეჭრისა იმის შიშით, რომ ანტანტის ჯარისკაცები არასაიმედონი იქნებოდნენ. საბოლოოდ გადაწყდა საბჭოთა რუსეთის ბლოკადა და თეთრგვარდიელი გენერლებისა და კონტრრევოლუციური ძალებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა და სამოქალაქო ომის გაჩაღებით საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

კონფერენციის მუშაობაში მთავარ როლს ასრულებდა ხუთი სახელმწიფო. აშშ-ი, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია. მის მუშაობაში მონაწილე პატარა სახელმწიფოები ფაქტიურად არავითარ როლს არ ასრულებდნენ.

პარიზის კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საფრანგეთის მთავრობის მეთაური ჟ. კლემანსო. სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტს იმუშავებდა „ათთა საბჭო“, რომელშიც შედიოდნენ ხუთი დიდი სახელმწიფოს— აშშ, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის ორ-ორი წარმომადგენელი. 1919 წლის მარტში ათთა საბჭო გაუქმებული იქნა და იგი „ოთხთა საბჭოთი“ შეიცვალა. მასში შედიოდნენ ოთხი დიდი სახელმწიფოს მეთაურები: აშშ პრეზიდენტი ვ. უილსონი, ინგლისის პრემიერ მინისტრი ლოიდ ჯორჯი, საფრანგეთის მთავრობის მეთაური ჟ. კლემანსო, იტალიის პრემიერ მინისტრი ვ. ორლანდო. სწორედ ოთხთა საბჭო განსაზღვრავდა კონფერენციის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრას. იაპონია „ოთხთა საბჭოში“ არ შედიოდა, ვინაიდან იგი არ იყო წარმოდგენილი მთავრობის მეთაურით. ეს იმით აიხსნება, რომ იაპონია გულგრილობას იჩენდა კონფერენციის მიერ განსახილველ ყველა იმ საკითხებისადმი, რომლებიც წყნარი ოკეანის აუზს არ ეხებოდა. ამ უკანასკნელი საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში კი იგი ყველაზე აქტიური იყო.

[1] დროებითშვებით მისი სხდომები ვერსალშიც იმართებოდა.

ერთა ლიგის შექმნა. მანდატების სისტემა

დიდი დებატების შემდეგ, 1919 წლის 28 აპრილს პარიზის კონფერენციამ დამტკიცა ერთა ლიგის წესდება. ერთა ლიგა ვითომდა მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ორგანოდ უნდა გადაქცეულიყო, სინამდვილეში დასავლეთის სახელმწიფოების მესვეურებმა იგი თავიანთი იმპერიალისტური და მტაცებლური კოლონიური პოლიტიკის შენიღბვის ორგანოდ გამოიყენეს. ერთა ლიგა იყო საერთაშორისო რეაქციული ძალების ორგანო და მას მშვიდობის დაცვის საქმეში არავითარი როლი არ შეუსრულებია. აშშ მმართველი წრეები ფიქრობდნენ ამ საერთაშორისო ორგანოს თავის გავლენის ქვეშ მოქცევას, გერმანიისა და თურქეთის კოლონიების ერთა ლიგის მმართველობაში გადაცემას. თუ აშშ ერთა ლიგაში გაბატონებულ მდგომარეობას დაიკავებდა, მაშინ, უილსონის აზრით, გერმანიის და თურქეთის კოლონიებიც მის ხელში აღმოჩნდებოდა. მაგრამ აშშ-მა ვერ შესძლო ამ კონფერენციაზე თავისი მიზნების განხორციელება, უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ აქ ინგლისი და საფრანგეთი თავიანთი ევროპელი მოკავშირეების ფართო მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეები თავის მხრივ ერთა ლიგის გამოყენებას ფიქრობდნენ მსოფლიოს ახალი გადანაწილების შემნიღბავ საერთაშორისო ორგანოდ. აშშ-ის მმართველმა წრეებმა ვერ მიაღწიეს ერთა ლიგის თავისი ინტერესებისათვის გამოყენებას. ამის გამო ამერიკის სენატმა უარი თქვა პარიზის საზავო პირობების რატიფიცირებაზე და ერთა ლიგაში შესვლაზე, რის შემდეგ მასში გაბატონებული მდგომარეობა ინგლის-საფრენგეთმა დაიკავა. მათ ერთა ლიგა თავისი კოლონიური ბატონობის საფარად გამოიყენეს. გერმანიის და თურქეთის კოლონიები ინგლის-საფრანგეთმა მიითვისეს ერთა ლიგის სამანდატო სისტემის შექმნის გზით. მათ აღნიშნულ სახელმწიფოთა კოლონიები დაყვეს სამ ჯგუფად: „A“ „B“ და „C“. თურქეთის ყოფილი კოლონიები შეყვანილი იქნა „A“ ჯგუფში. ფორმალურად ცნობილ იქნა ამ ჯგუფში შეყვანილ ხალხთა „დამოუკიდებლობა“. მაგრამ იმ მოტივით, რომ თითქოს ეს ხალხი მზად არ იყო დამოუკიდებელი მმართველობისათვის, მათზე ჯერ „ცივილიზებული“ ქვეყნების მეურვეობა უნდა დამყარებულიყო, რათა ისინი სუვერენული მმართველობისათვის მოემზადებინათ და მათთვის დამოუკიდებლობა მხოლოდ ამის შემდეგ მიეცათ.[1]

„B“ ჯგუფში შეყვანილ იქნა გერმანიის კოლონიები ცენტრალურ აფრიკაში, რომლებიც. იმპერიალისტების აზრით, სრულიად მოუმზადებელნი იყვნენ მეურვეობისათვისაც. ამ ტერიტორიებზე წესდებოდა მანდატის მიმღებ სახელმწიფოთა მმართველობა. აქ ერთა ლიგის წევრთათვის მყარდებოდა თანასწორუფლებიანობა ვაჭრობაში, მაგრამ მონათვაჭრობა და იარაღით ვაჭრობა იკრძალებოდა. „C“ ჯგუფში შევიდნენ გერმანიის სამფლობელოები სამხრეთ-დასავლეთ აფრიკასა და წყნარ ოკეანეში, რომელთა ტერიტორიები კოლონიზატორებმა თვითონ მიიტაცეს. მათი მართვა ხოცრიელდებოდა მანდატის მიმღებ სახელმწიფოთა კანონებით.

გერმანიისა და თურქეთის კოლონიები ძირითადად საფრანგეთმა და ინგლისმა გაინაწილეს. საფრანგეთმა მიიღო ერთა ლიგის მანდატები — სირიაზე, ლაბანზე, ტოგოსა და კამერუნის ნაწილზე; ინგლისმა — პალესტინაზე, ერაყზე, ტრანსიორდანიაზე, ტანგანიკაზე, ტოგოსა და კამერუნის ნაწილზე; ინგლისის

[1] მანდატები ერთა ლიგამ გაანაწილა სენ-რემოს (იტალია) კონფერენციაზე 1920 წლის აპრილში.

დომინიონებმა — სამხრეთ-აფრიკის კავშირმა მიიღო გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა; ავსტრალიამ —-ყოფილი გერმანული ახალი გვინეა და კუნძული ნაურუ, ახალმა ზელანდიამ—დასავლეთ სამოას კუნძულები. ბელგიას მიაკუთვნეს აფრიკაში — რუანდა-ურუნდი, ხოლო პორტუგალიას—კიონგა.

იაპონიამ მიიღო მანდატები მარინის, კაროლინისა და მარშლის კუნძულებზე წყნარი ოკეანის აუზში. გერმანიის მიერ XIX ს. დამლევს ჩინეთისათვის წარომეული საზღვაო ბაზა კიაო-ჩაო და კონცესია შანდუნის ნახევარ კუნძულზე, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს იაპონიამ მიიტაცა, პარიზის კონფერენციამ მასვე მიაკუთვნა.

პარიზის კონფერენციაზე პრეზიდენტი ვ. უილსონი ამერიკისათვის ტერიტორიების გადაცემის დიდი პრეტენზიებით გამოდიოდა. იგი მოითხოვდა ერთა ლიგის მანდატს მთელ თურქეთზე, ხოლო არაბეთში „ღია კარების" პრინციპის ცნობას. 1919 წლის მაისში ოთხთა საბჭომ გადაწყვიტა აშშ-ის მიეცა ერთა ლიგის მანდატები კონსტანტინოპოლზე, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე, მარმარილოს ზღვასა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიებზე და აგრეთვე სომხეთზე. მაგრამ ოთხთა საბჭოს ეს გულუხვობა თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა რევოლუციამ ჩაშალა.

ამრიგად იმპერიალისტებმა ერთა ლიგის სამანდატო სისტემა ახალი კოლონიების შეძენის შენიღბულ ფორმად გამოიყენეს.

ერთა ლიგის ადგილსამყოფელად მიჩნეული იქნა ქ. ჟენევა. ლიგა აცხადებდა შემდეგ პრინციპებს: ომის გაჩაღებისა და ან ომის საშიშროების შემთხვევაში აგრესორის წინააღმდეგ მიიღებდა ეკონომიურ, სამხედრო და ფინანსიურ სანქციებს, დაიცავდა ერთა ლიგის წევრთა ტერიტორიულ მთლიანობას და ა. შ.

ერთა ლიგას ექვემდებარებოდა საერთაშორისო სასამართლოს მუდმივი პალატა, რომლის ადგილსამყოფელი იყო ქ. ჰაგა. ლიგის გამგებლობაში იყო: მუდმივი სამანდატო კომისია, სოციალური საკითხების საკონსულტაციო კომისია და ა. შ. მის უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენდა საერთო კრება (ასამბლეა), საბჭო და სამდივნო.

ლიგის საბჭო ოთხი მუდმივი წევრისაგან შედგებოდა: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია. მასში შედიოდა აგრეთვე ხუთი არამუდმივი წევრი, რომელთაც ასამბლეა რიგრიგობით ირჩევდა. ერთა ლიგაში მიღებისათვის საჭირო იყო მისი წევრთა ხმების 2/3.

ერთა ლიგამ 26 წლის განმავლობაში იარსება (დაითხოვეს 1946 წლის აპრილში). ამ ხნის განმავლობაში მას არაფერი არ გაუკეთებია მშვიდობის დაცვისა და განიარაღებისათვის, აგრესიის აღკვეთისა და აგრესორთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ღონისძიებების მიღებისათვის. იმ ქვეყნების დაცვის ნაცვლად, რომელნიც აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ, ერთა ლიგა, თავისი საქმიანობით, პირიქით, ხელს უშლიდა მას. ერთა ლიგამ ფაქტიურად არაფერი არ გააკეთა იაპონიის აგრესიის აღსაკვეთად ჩინეთში, იტალიისა — აბისინიაში, იტალია-გერმანიის მიერ მოწყობილი ინტერვენციის წინააღმდეგ—ესპანეთში, ავსტრიის „ანშლუსისა" და ჩეხოსლოვაკიის მიტაცების წინააღმდეგ და ა. შ. სამაგიეროდ „მშვიდობის დაცვის" ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ თავი გამოიჩინა მშვიდობიანი სახელმწიფოების წინააღმდეგ მოქმედებაში. ერთა ლიგის შექმნის პირველსავე დღიდან დასავლეთის სახელმწიფოების მმართველი წრეები მას

უყურებდნენ, როგორც საერთაშორისო რეაქციული ძალების გამაერთიანებელ ცენტრს საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამ მიმართულებით ერთა ლიგამ არა ერთხელ გამოავლინა თავისი ანტისაბჭოთა განწყობილება, ხოლო 30-იან წლებში დაადგა ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა აგრესიის წაქეზების გზას იმ იმედით, რომ იგი საბოლოოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარიმართებოდა. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს ერთა ლიგის ანტისაბჭოთა განწყობილებამ აშკარად იჩინა თავი. საბჭოთა კავშირი, რომელიც 1934 წლიდან იყო ერთა ლიგის წევრი, 1939 წლის 14 დეკემბერს გარიცხულ იქნა მისი შემადგენლობიდან. ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირი ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელიც თანამიმდევრულად იბრძოდა ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა აგრესიის წინააღმდეგ, მოითხოვდა გადამწყვეტი ზომების მიღებას მტაცეც მშვიდობის დაცვისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით და კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას ყოველგვარი აგრესიის აღსაკვეთად. საბჭოთა კავშირის ერთა ლიგიდან გარიცხვის შემდეგ ეს ორგანიზაცია საბოლოოდ გაკოტრდა და უმოქმედო ორგანოდ გადაიქცა. ერთა ლიგის ისტორიის უსახელოდ დამთავრების საქმეში მთავარი დანაშაული ინგლის-საფრანგეთის მმართველ წრეებს მიუძღვით. ეს საერთაშორისო ორგანიზაცია ამ სახელმწიფოთა ფაქტიურ გამგებლობაში იყო. ერთა ლიგას, რომ მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქვეყნები სდგომოდნენ სათავეში, იგი უდავოდ შესძლებდა მსოფლიოს ხალხების დარაზმვას აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის და კაცობრიობა ალბათ თავიდან აცილებდა იმ უბედურებას, რაც მას მსოფლიო ომმა მოუტანა.

პარიზის კონფერენციის მიერ შემუშავებულ საზავო პირობებს გერმანიასა და მის ყოფილ მოკავშირეებთან თან ერთვოდა პირველ ნაწილად ერთა ლიგის წესდება და გადაწყვეტილებანი მანდატების განაწილების შესახებ.

პარიზის კონფერენციამ შეიმუშავა შემდეგი საზავო პირობები: ვერსალის ზავი გერმანიასთან, სენ-ჟერმენის საზავო ხელშეკრულება ავსტრიასთან, ნეის ხელშეკრულება ბულგარეთთან, ტრიანონის ხელშეკრულება უნგრეთთან და სევრის ხელშეკრულება თურქეთთან.

ვერსალის საზავო პირობები

პარიზის კონფერენციაზე ყველაზე მწვავე საკითხი, რომლის ირგვლივ ბრძოლა მიმდინარეობდა იყო გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პირობების შემუშავებისა და, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის დასავლეთის საზღვრების საკითხი. ამ საკითხების ირგვლივ, როგორც უკვე ვიცით, დიდ სახელმწიფოებს სხვადასხვა გეგმები ჰქონდათ.

საფრანგეთი ითხოვდა არა მარტო საფრანგეთ პრუსიის ომის შედეგად დაკარგულ ელზას-ლორენის უკან დაბრუნებას, არამედ აგრეთვე საარის და რაინის ოლქების მისთვის გადაცემას. იგი მოთხოვდა გერმანიის დასავლეთ საზღვრის მდ. რაინზე გატარებას, აგრეთვე გერმანიისათვის რაინის მარჯვენა სანაპიროს ჩამორთმევას და მისგან ბუფერული სახელმწიფოს შექმნას, რომელიც ფრანგების ვასალურ დამოკიდებულებაში იქნებოდა. საფრანგეთს ჰქონდა პროექტი გერმანიისათვის ყველა კათოლიკური პროვინციების ჩამორთმევისა და გამოყოფილი კათოლიკური გერმანული სახელმწფოს შექმნისა, რომლის საფუძველი უნდა ყოფილიყო ავსტრია და ბავარია. კონფერენცი-

აზე, საფრანგეთის ამ გეგმების წინააღმდეგ ყველაზე გადამჭრელად ინგლისი გამოდიოდა. ინგლისის დიპლომატები უგულებელყოფდნენ საფრანგეთის მტკიცებას მომავალშიც გერმანიის აგრესიის საშიშროების შესახებ და თვლიდნენ, რომ მისთვის რაინის ოლქის წართმევა და ამა თუ იმ ფორმით საფრანგეთისათვის გადაცემა გააძლიერებდა ამ უკანასკნელის ეკონომიურ და სტრატეგიულ პოზიციებს, და ხელს შეუწყობდა ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონიის დამყარებას. ინგლისის მმართველ წრეებს ისიც აშინებდათ, რომ ევროპაში საფრანგეთის გაძლიერებას მოჰყვებოდა ძალთა წონასწორობის დარღვევა და ევროპის საქმეებში ინგლისის მთავარი არბიტრის როლის დაკარგვა. გარდა ამისა, ინგლისის დიპლომატები ამტკიცებდნენ, რომ მეტისმეტი მკაცრი საზავო პირობები გერმანიაში ბოლშევიზმის გაელენის ზრდას გამოიწვეევდა და საბჭოთა რუსეთთან კავშირის საშიშროებას შექმნიდა.

ინგლისი გამოვიდა აგრეთვე საფრანგეთის გეგმების წინააღმდეგ პოლონეთის საკითხში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის, როგორც მოკავშირის და მხარდამჭერის დაკარგვის შემდეგ საფრანგეთი ფიქრობდა დიდი პოლონეთის სახელმწიფოს შექმნას გერმანიისა და რუსეთის ტერიტორიების ხარჯზე და ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ. ლოიდ ჯორჯი პოლონეთის პრობლემას, როგორც დამოუკიდებელს კი არ იხილავდა. იგი წინააღმდეგი იყო გერმანიის დასუსტების ხარჯზე პოლონეთის გაძლიერებისა. გარდა ამისა, მას არ სჯეროდა პოლონეთის სახელმწიფოს სიმტკიცისა და მისი გადაქცევისა საბჭოთა რუსეთისა და ევროპაში კომუნიზმის გავრცელების შემაკავებელ ზღუდედ, როგორც ამის დამტკიცებას საფრანგეთი ცდილობდა. ლოიდ ჯორჯს მიაჩნდა, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ ძლიერი გერმანიის დაპირისპირება შეიძლებოდა. გარდა ამისა მას აშინებდა, რომ ძლიერი პოლონეთის შექმნა ხელს შეუწყობდა საფრანგეთის პოზიციების განმტკიცებას ევროპაში. საფრანგეთის ამ გეგმების წინააღმდეგ გამოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატებიც. ვ. უილსონი იმითაც კი იმუქრებოდა, რომ დატოვებდა კონფერენციას და ბრძანებაც კი გასცა ამერიკაში გასამგზავრებლად გემის „ჯორჯ ვაშინგტონის“ მზადყოფნის შესახებ, ხოლო ლ. ჯორჯმა განაცხადა, რომ პარიზის ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდა.

ასეთ ვითარებაში საფრანგეთი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და უარი ეთქვა გერმანიის დანაწილების გეგმაზე და მდ. რაინზე გერმანია-საფრანგეთის საზღვრის გატარებაზე.

1919 წლის 28 ივნისს ვერსალის სარკეებიან დარბაზში ხელმოწერილ იქნა ზავი გერმანიასთან. ეს ის დარბაზია, სადაც 1871 წელს ბისმარკმა საფრანგეთის დამარცხების შემდეგ გერმანიის იმპერია შექმნილად გამოაცხადა. საზავო ხელშეკრულებას გერმანიის მხრივ ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰერმან მიულერმა. ვინაიდან ზავი გერმანიასთან ვერსალის სასახლეში იქნა ხელმოწერილი, მას ვერსალის ზავი ეწოდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ გერმანიის ყველა კოლონია ერთა ლიგის მანდატების სახით ძირითადად ინგლის-საფრანგეთმა დაინაწილა. გარდა ამისა, გერმანია ევროპაში კარგავდა თავისი ტერიტორიის ერთ მერვედს და მოსახლეობის ერთ მეთორმეტედს. საფრანგეთმა დაიბრუნა საფრანგეთ—პრუსიის 1871 წლის ომის შედეგად დაკარგული ელზასლორენი. საფრანგეთის საკუთრებაში გადადიოდა საარის ოლქის ქვანახშირის საბადოები, ხოლო თვითონ ამ ოლქში 15 წლის ვადით მყარდებოდა ერთა ლი-

გის მმართველობა, რომლის მანდატი საფრანგეთს გადაეცა. ამ ვადის გასვლის შემდეგ საარის ოლქის საბოლოო ბედი პლებისციტს უნდა გადაწყვეტა.

ბელგიას გადაეცა ეიპენისა და მალმედის ოლქები და მორენეს ტერიტორია. პლებისციტის საფუძველზე დანიამ მიიღო ჩრდილოეთ შლეზვიგი.

საფრანგეთის დაჟინებითი მოთხოვნით ვერსალის ზავი გერმანიას ავსტრიის ანშლუსს უკრძალავდა. გერმანია სცნობდა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის და ავსტრიის დამოუკიდებლობას. პოლონეთს უბრუნდებოდა გერმანიის მიერ მიტაცებული კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი: ზემო სილეზიის, დასავლეთ და აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილი, პოზნანის აღმოსავლეთ ნაწილი. გერმანიას ჩამოერთვა დანციგი (გდანსკი). მაგრამ იგი ერთა ლიგის მფარველობით თავისუფალ ქალაქად ცხადდებოდა. გერმანიას ჩამოერთვა მემელი (კლაიპედი), რომელიც 1923 წელს ლიტვას გადაეცა. გერმანიამ ჩეხოსლოვაკიას გადასცა გულჩინის ოლქი.

პოლონეთმა ინგლის-ამერიკის უარყოფითი პოზიციის შედეგად, რომელზეც ჩვენ ზემოდ ვმსჯელობდით, ვერ დაიბრუნა თავისი ტერიტორიის დაახლოებით 100 ათასი კვ. კმ-ს ფართობი. იგი კვლავ გერმანიის ხელში რჩებოდა მრავალმილიონიანი პოლონური მოსახლეობით. პოლონეთმა მიიღო ზღვაში გასასვლელი, ე. წ. „დანციგის კორიდორის“ მეშვეობით, მაგრამ მას უარი უთხრეს დანციგზე, რომლის გარეშე მისი პოზიცია ზღვაზე არამყარი იყო.

კონფერენციაზე მწვავე ბრძოლის შემდეგ მიღწეულ იქნა შეთანხმება გერმანიის განიარაღების საკითხზეც. ინგლისმა, კომპიენის დაზავების შემდეგ, მიაღწია გერმანიის საზღვაო სიძლიერისა და კოლონიური სამფლობელოების ლიკვიდაციას, ამიტომ ინგლისის პროექტი გერმანიის სახმელეთო ძალების მოსპობას კი არა, მხოლოდ შეზღუდვას მოითხოვდა. იგი არ მოითხოვდა გერმანიის გენერალური შტაბის, ჯარების ტანკებით, ავიაციითა და არტილერიით შეიარაღების აკრძალვას. ინგლისის პროექტით გერმანიას უნდა ყოლოდა 400 ათასიანი არმია. ინგლისის მმართველი წრეები ფიქრობდნენ გერმანიის სახმელეთო ჯარების სიძლიერის გამოყენებას საბჭოთა სახელმწიფოსა და საფრანგეთის საპირისპირო ძალად. გერმანიის მიერ სამხედრო სიძლიერის შენარჩუნების მომხრედ აშშ-იც გამოდიოდა, მაგრამ ვერსალის ზავით საფრანგეთმა მიაღწია იმას, რომ ინგლისი და აშშ ერთგვარ დათმობაზე წავიდნენ. მათ შორის მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებდა გერმანიისათვის 100 ათასიანი არმიის ყოლის უფლებას, გენერალური შტაბის გაუქმებას, ჯარების ტანკებით, ავიაციით და მძიმე არტილერიით შეიარაღების აკრძალვას. რაინის ოლქი დემილიტარიზებულ ზონად ცხადდებოდა. გერმანიას ეკრძალებოდა რაინის მარცხენა სანაპიროზე და 50 კმ-ს სიგანით რაინის მარჯვენა სანაპიროზე სამხედრო ობიექტებისა და არმიის ყოლის უფლება.

დიდ წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი აგრეთვე გერმანიის საზღვაო ფლოტის განაწილების საკითხშიც. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ვ. უილსონი თავისი „14 პუნქტის“ მეორე პუნქტში „ზღვების თავისუფლების“ მოტივით ინგლისის საზღვაო ჰეგემონიის წინააღმდეგ გამოვიდა. პარიზის კონფერენციაზე გერმანიის ფლოტის ბედის საკითხის განხილვისას, განხილულ იქნა აგრეთვე „ზღვების თავისუფლების“ საკითხიც, მაგრამ ინგლისმა საფრანგეთის მხარდაჭერით ძიაღწია იმას, რომ ეს საკითხი საერთოდ მოხსნილი იქნა ამ კონფერენციის დღის წესრიგიდან. რაც შეეხება გერმანიის ფლოტის განაწილების საკითხს, მან

კონფერენციაზე ძალზე დიდი შეტაკებები გამოიწვია. კომპიენის დაზავების შემდეგ გერმანიის ფლოტის დიდი ნაწილი ინტერნირებულ იქნა ინგლისის სამხედრო საზღვაო ბაზა სკაპა-ფლოუში. აქ იყო 27 დრედნოუტი და დიდი კრეისერები, 101 ნაღმოსანი და 135 წყალქვეშა ნავი. საფრანგეთი დაჟინებით მოითხოვდა, რათა გერმანია-ავსტრიის ფლოტი მოკავშირეებს შორის თანასწორად განაწილებულიყო. საფრანგეთს იმედი ქონდა, რომ ომში დანაკარგის ანაზღაურების მოტივით იგი ხელთ ჩაიგდებდა ამ ფლოტის ყველაზე დიდ ნაწილს, რაც გაზრდიდა ქვეყნის სამხედრო ფლოტის, არა მარტო აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით სიძლიერესაც ინგლისის ფლოტთან შედარებით. ინგლისელებს კი მიაჩნდათ რომ გერმანია — ავსტრიის ფლოტის გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის განაწილება შეასუსტებდა ბრიტანეთის ფლოტის შეფარდებით სიძლიერეს და დაუკარგავდა მას იმ უპირატესობას ზღვებზე, რომლის წყალობითაც ინგლისი საერთაშორისო არენაზე საუკუნეების განმავლობაში წარმატებებს აღწევდა. ლოიდ ჯორჯი მზად იყო მხარი დაეჭირა საფრანგეთისათვის გერმანიის ფლოტის ნაწილის მიღების საკითხში, მაგრამ იმ პირობით, რომ იგი ჩაძირავდა თავის იმდენივე რაოდენობის მოძველებულ გემებს, რამდენსაც გერმანიისაგან მიიღებდა.

აშშ მოითხოვდა გერმანიის ფლოტის მთლიან ჩაძირვას. ვ. უილსონი ფიქრობდა, რომ ამ ფლოტის დიდი ნაწილი ინგლის-საფრანგეთის ხელში გადავიდოდა, ვინაიდან ისინი ომის დროს დაკარგული ფლოტის ანაზღაურების მოთხოვნას წამოაყენებდნენ. ეს გამოიწვევედა ინგლისის ისედაც ძლიერი ფლოტის შემდგომ გაძლიერებასა და აშშ ფლოტის შეფარდებით შესუსტებას. კონფერენციაზე დავა ამ საკითხის ირგვლივ 1919 წლის ივნისამდე გრძელდებოდა. 21 ივნისს, გერმანიის მეზღვაურებმა სკაპა-ფლოუში, ინგლისის საზღვაო სამინისტროს აშკარა წაყრუების შედეგად, ჩაძირეს თავისი ფლოტის დიდი ნაწილი. ამის შემდეგ პარიზის კონფერენციის დღის წესრიგიდან გერმანია-ავსტრიის ფლოტის განაწილების საკითხიც მოიხსნა.

გერმანიის სამხედრო-საზღვაო სიძლიერის მოსპობის შემდეგ ლოიდ ჯორჯსა და საზღვაო სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ გერმანიისათვის იმდენი ფლოტის ყოლის უფლება მიეცათ, რამდენიც ინგლისისათვის არ იქნებოდა საშიში, მაგრამ გამოდგებოდა საფრანგეთისა და საბჭოთა რუსეთის ფლოტის საპირისპირო ძალად. ინგლისმა მიაღწია ვერსალის ხელშეკრულებაში გერმანიის მიმართ თავისი საზღვაო მოთხოვნის გაყვანას. გერმანიას შეეძლო ფლოტის ყოლა არა უმეტეს 6 ჯავშნოსანის (თვითეული არაუმეტეს 10 ათასი ტ. წყალწვისა), 6 მსუბუქი კრეისერის და 12 ნაღმოსანისა. მაგრამ მას ეკრძალებოდა წყალქვეშა ფლოტის ყოლა და საზღვაო სიმაგრეების აგება იმ ზონაში, რომელიც ხელს შეუშლიდა ბალტიის ზღვაში მიმოსვლას. კილის არხში თავისუფალი ნაოსნობა ცხადდებოდა ყველა სახელმწიფოს სამხედრო და სავაჭრო გემებისათვის. გერმანია, თავის კოლონიებთან ერთად კარგავდა ევროპის გარეთ არსებულ საზღვაო ბაზას.

ამრიგად, ვერსალის ზავმა გერმანიის შეიარაღებული ძალები კი არ მოსპო, მხოლოდ შეზღუდა. მაგალითად, 100 ათასიანი არმიის ყოლის უფლება გერმანიას საშუალებას აძლევდა აღეზარდა მეთაურთა შემადგენლობა მრავალმილიონიანი არმიისათვის. საფრანგეთის მთავრობას, რა თქმა უნდა, ესმოდა ეს საში-

შროება, მაგრამ ინგლის-ამერიკის იმდენად დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ იძულებული გახდა უარი ეთქვა გერმანიის სამხედრო ძლიერების სრული მოსპობის გეგმაზე. გენერალმა ფოშმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა „ცხვრის ფარა ლომის მეთაურობით უფრო ძლიერია, ვიდრე ლომის ფარა ცხვრის მეთაურობით".

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე აღინიშნოს ისიც, რომ ვერსალის ზავით გათვალისწინებული სამხედრო დადგენილებანი არ ეხებოდა გერმანიის სამხედრო ძლიერების მთავარ საფუძველს — მძიმე მრეწველობას. სამხედრო საწარმოებიც კი, რომელნიც იარაღს აწარმოებდნენ, ხელუხლებლად დატოვეს. მოკავშირეები მხოლოდ სამხედრო წარმოების შეზღუდვას ითვალისწინებდნენ. მაგრამ კონტროლის სისტემა იმდენად უხეიროდ იყო ორგანიზებული, რომ შეზღუდვა მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა. გარდა ამისა, ვერსალის ზავი არ ითვალისწინებდა გერმანიის სკოლებში სამხედრო სწავლების აკრძალვას.

კონფერენციაზე მწვავედ მიმდინარეობდა ბრძოლა აგრეთვე სარეპარაციო საკითხის ირგვლივაც, (ე. ი. გერმანიისაგან მოკავშირეებისათვის ომის დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ). ამ საკითხზეც სხვადასხვა პროექტები იყო წამოყენებული. ინგლისი მოითხოვდა გერმანიისათვის 120 მილიარდი დოლარის გადახდევინებას, საფრანგეთი კი უფრო მეტს — 200 მილიარდ დოლარს. ინგლისი თანახმა იყო, რომ საფრანგეთს მიეღო რეპარაციების 50%, ინგლისს — 30%, ხოლო დანარჩენებს — 20%.

საფრანგეთს უნდოდა სარეპარაციო კომისიის ხელმძღვანელობა თვითონ აეღო ხელში და იგი გერმანიაზე ზემოქმედების იარაღად გამოეყენებინა 50—60 წლის განმავლობაში. საფრანგეთის იმპერიალისტებს იმედი ჰქონდათ, რომ გერმანიისაგან დიდი სარეპერაციო თანხის მიღების გზით გამდიდრდებოდნენ. სამ სახელმწიფოს შორის დიდი დავა იყო რეპარაციის, როგორც ცნების განსაზღვრის საკითხშიც. მას შემდეგ, რაც აშშ ინგლის-საფრანგეთის სარეპარაციო პროექტების წინააღმდეგ გამოვიდა და მოითხოვა ზემოდასახელებული თანხების მკვეთრი შემცირება, ლოიდ ჯორჯი შეეცადა რეპარაციის ცნების უფრო გაფართოებას და მასში არა მარტო სამოქალაქო მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის, არამედ აგრეთვე სამხედრო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის შეტანას. ამასთანავე ინგლისმა ერთმანეთს დაუკავშირა რეპარაციების და ვალის საკითხიც. საყურადღებოა, რომ აშშ სთვლიდა, რომ რეპარაციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს განადგურებული ოლქების აღდგენის ხარჯებს. ამერიკის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, გერმანიამ რომ ინგლის-საფრანგეთის მიერ წაყენებული სარეპარაციო თანხები გადაიხადოს, მაშინ იგი „მსოფლიოს ფაბრიკად" უნდა გადაიქცეს, ამას კი საერთაშორისო ბაზარზე გერმანიის ეკონომიური გაბატონება მოყვება.

აშშ ეკონომიური ექსპერტების ამ მტკიცებამ ზეგავლენა მოახდინა ინგლისზეც, მაგრამ ინგლისი თავის მხრივ გამოვიდა აშშ მოთხოვნის წინააღმდეგ, მოკავშირეებისადმი ომის დროს მიცემული სესხების მაღალი პროცენტებით ანაზღაურების შესახებ. ინგლისი ამტკიცებდა, რომ თუ გერმანიისაგან მისაღები სარეპარაციო თანხა შემცირდებოდა, მაშინ აშშ-საც უნდა შეემცირებინა თავისი მოთხოვნა ინგლის-საფრანგეთის მიერ ამერიკაში აღებული ვალების მაღალი პროცენტით გადახდაზე. პარიზის კონფერენციაზე სარეპარაციო საკითხი ყველაზე მწვავე საკითხი აღმოჩნდა. ეს საკითხი ვერ გადაწყდა აქ. იგი თითქმის მეორე

მსოფლიო ომამდე დიდ სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთ მწვავე წინააღმდეგობის ობიექტს წარმოადგენდა. აშშ იმ მიზნით, რომ დაეჩქარებინა გერმანიის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენა, მხარს უჭერდა მის ყოველ ცდას თავი აერიდებინა სარეპარაციო გადასახადებისაგან. ასეთივე პოზიციას დაადგა აგრეთვე ინგლისიც.

პარიზის კონფერენციაზე შეიქმნა სპეციალური სარეპარაციო კომისია, რომელსაც დაევალა სარეპარაციო თანხის დადგენა. ამ კომისიის ხელმძღვანელობა საფრანგეთის ხელში აღმოჩნდა. 1920 წელს ბულონში მოწვეულმა თათბირმა ეს თანხა 289 მილიარდი მარკის რაოდენობით განსაზღვრა (ოქროთი). ერთი თვის შემდეგ, სპაში მოწვეულმა თათბირმა 240 მილიარდი ოქროს მარკა დაადგინა, პარიზის კონფერენციამ 1921 წლის იანვარში ეს თანხა 226 მილიარდ ოქროს მარკამდე დაიყვანა, ხოლო იმავე წლის მაისში პარიზის მეორე კონფერენციაზე სარეპარაციო თანხა საბოლოოდ 132 მილიარდ ოქროს მარკით განისაზღვრა. მაგრამ დავა სარეპარაციო საკითხის ირგვლივ ამითაც არ დამთავრებულა.

სენ-ჟერმენის, ნეის, ტრიანონის და სევრის საზავო ხელშეკრულებები

გერმანიის მოკავშირეებად I მსოფლიო ომის დროს გამოდიოდნენ ავსტრია-უნგრეთის იმპერია, თურქეთი და ბულგარეთი. ამიტომ, გერმანიასთან ვერსალის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე შემუშავებულ იქნა საზავო პირობები მისი ყოფილი მოკავშირეებისათვისაც. ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვან იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე დიდი გავლენა მოახდინა ოქტომბრის რევოლუციამ. ომის უკანასკნელ წელს ეს იმპერია დაიშალა და მის ნანგრევებზე შეიქმნა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები: უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის და სერბია-ხორვატია-სლოვენიისა. ამ უკანასკნელმა მალე იუგოსლავიის სახელწოდება მიიღო. სერბია-ხორვატია-სლოვენიის სახელმწიფო ომის დამთავრებისას შეიქმნა. ავსტრია-უნგრეთის დუალისტური, ერების საპყრობილისა და ჩაგვრის იმპერიის დაშლა უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ ახლადშექმნილ სახელმწიფოთა სათავეში, ინგლის-საფრანგეთის მხარდაჭერით, ამ ქვეყნების ყველაზე უფრო რეაქციული ძალები მოექცნენ.

ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვანი იმპერიის დაშლის შედეგად მომხდარი ცვლილებები ასახულ იქნა სენ-ჟერმენის, ტრიანონის და ნაწილობრივ ვერსალისა და ნეის საზავო ხელშეკრულებებში.

1919 წლის 10 სექტემბერს, პარიზში, სენ-ჟერმენის სასახლეში ავსტრიამ ხელი მოაწერა ანტანტასთან საზავო ხელშეკრულებას. ავსტრიამ სცნო ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის და უნგრეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა.

ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოში შეეიდა ავსტრიის ყოფილი პროვინციები, ჩეხეთი, მორავია და აგრეთვე სილეზიის ნაწილი. ავსტრია უარს ამბობდა თავის სამხრეთ სლავეთის ტერიტორიაზე, რომელიც იტალიამ და იუგოსლავიამ დამატებით დადებული ტაპალის ხელშეკრულებით ურთიერთშორის გაინაწილეს. იუგოსლავიას ერგო: სლოვენია, დალმაცია, ბოსნია და ჰერცეგოვინა,

ხოლო იტალიას — კრაინას პროვინციის ნაწილი, ისტრია ტრიესტით, სამხრეთ ტიროლი და ა. შ. სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით ავსტრიაში სამხედრო სავალდებულო სამსახური უქმდებოდა. მას არ უნდა ჰყოლოდა 30 ათასზე მეტი მოხალისისაგან შემდგარი არმია. საზღვაო ფლოტი ანტანტის ხელში გადადიოდა. ავსტრია ცნობილი იქნა ომის გაჩაღებაში დამნაშავედ და მას დაეკისრა რეპარაციების გადახდა. ავსტრიას ეკრძალებოდა გერმანიასთან შეერთება (ანშლუსი).

1920 წლის 4 ივნისს ვერსალის დიდ სასახლეში, ტრიანონში ხელმოწერილი იქნა საზავო ხელშეკრულება უნგრეთთან, რომლითაც სლოვაკია და იმიერ კარპატის უკრაინა ჩეხოსლოვაკიას გადაეცა. უნგრეთმა ცნო ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის დამოუკიდებლობა. ამ უკანასკნელს იგი უთმობდა შემდეგ ტერიტორიებს: ხორვატიას, სლოვენიას, დასავლეთ ბანატს და ბაჩკას. უნგრეთის ხარჯზე რუმინეთმა მიიღო ტრანსილვანია, ბუკოვინა და ბანატის აღმოსავლეთი ნაწილი.

უნგრეთში სამხედრო სავალდებულო სამსახური უქმდებოდა. მას არ უნდა ყოლოდა 30 ათასიანზე მეტი არმია. უნგრეთს წაერთვა ზღვაზე გასასვლელი. მას დაეკისრა რეპარაციების დიდი გადასახადი—46 მილიარდი კრონი.

ტრიანონის ხელშეკრულებით უნგრეთის ტერიტორია 283 ათასი კვ. კმ-დან 91 ათას კვ. კმ-მდე შემცირდა, ე. ი. სამჯერ, მოსახლეობა კი 18 მილიონიდან—7,5 მილიონამდე, ე. ი. 2,5-ჯერ. უნგრეთმა დაკარგა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო რაიონები და აგრარულ ქვეყნად გადაიქცა.

1919 წლის 27 ნოემბერს, პარიზის გარეუბანში, ნეიში, დაიდო საზავო ხელშეკრულება ბულგარეთთან. ხელშეკრულებით რუმინეთს კვლავ რჩებოდა ბალკანეთის მეორე ომის შედეგად (1913 წლის ზავით) ბულგარეთისაგან მიტაცებული სოფლის მეურნეობის მხრივ ყველაზე უფრო ნაყოფიერი და განვითარებული რაიონი — სამხრეთ დობრუჯა. იუგოსლავიას გადაეცა ბულგარეთის მაკედონია, საბერძნეთს კი — დასავლეთ თრაკია, რითაც ბულგარეთი კარგავდა ეგეოსის ზღვაზე გასასვლელს.

ნეის ხელშეკრულების შედეგად 3,5 მილიონი ბულგარელი თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ რჩებოდა.

ხელშეკრულება ბულგარეთში სამხედრო სავალდებულო სამსახურს აუქმებდა. მას არ უნდა ჰყოლოდა ჯარი 20 ათას კაცზე მეტი რაოდენობით. საზღვაო ფლოტი გამარჯვებულ სახელმწიფოთა ხელში გადადიოდა. ბულგარეთს დაეკისრა კონტრიბუცია 2,5 მილიარდი ოქროს ფრანკი, რომელიც 37 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა. ეს თანხა ღარიბი და ჩამორჩენილი ბულგარეთისათვის ძალზედ დიდი იყო, იგი უდრიდა ქვეყნის ომამდელი ეროვნული სიმდიდრის ერთ მეოთხედს.

პატარა აგრარულმა და ჩამორჩენილმა ქვეყნებმა — ბულგარეთმა და უნგრეთმა ვერ შეძლეს მათზე დაკისრებული უზარმაზარი სარეპარაციო თანხების გადახდა. ამან აიძულა ანტანტის სახელმწიფოები დათანხმებულიყვნენ ორივე ქვეყნისაგან ამოსაღები სარეპარაციო თანხების შემცირებაზე. 1923 წელს ბულგარეთის სარეპარაციო თანხა შეუმცირდა 2,5 მილიარდი ფრანკიდან 550 მილიონ ფრანკამდე, რომელიც მას 60 წლის განმავლობაში უნდა ეხადა. 1924 წელს კი უნგრეთი თითქმის მთლიანად განთავისუფდა სარეპარაციო გადასახადისაგან.

სევრის (პარიზის მახლობლად) საზავო ხელშეკრულებას თურქეთის სულთანის მთავრობამ, რომელსაც ფაქტიურად ძალაუფლება არ ჰქონდა, ხელი მოა-

წერა 1920 წლის 10 აგვისტოს. მაგრამ ამ მძარცველური ზავის წინააღმდეგ თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებულმა წინააღმდეგობამ ჩაშალა მისი ცხოვრებაში გატარება. იგი არ იქნა რატიფიცირებული. როდესაც ვეხებოდით ერთა ლიგის ისტორიას, იქ აღვნიშნეთ, რომ თურქეთის სამფლობელოები შევიდა ერთა ლიგის მანდატთა „A“ ჯგუფში. ინგლისს ერთა ლიგის მანდატით გადაეცა: ეზაყი, პალესტინა და ტრანსიორდანია. მას უნდა მიეღო აგრეთვე მოსული. თურქეთი უარს აცხადებდა ინგლისის მიერ ადრე დაპყრობილ ეგვიპტეზე, სუდანზე და კვიპროსზე.

საფრანგეთმა მიიღო სირია და ლიბანი. თურქეთმა ცნო საფრანგეთის მიერ ადრე მიტაცებული მაროკო და ტუნისი. გარდა ამისა, საფრანგეთს უნდა მიეღო ალექსანდრეტა, კილიკია და სირიის მოსაზღვრე ზონა. საბერძნეთის ხელში უნდა გადასულიყო იზმირი და მასთან მდებარე რაიონები მცირე აზიაში, აღმოსავლეთ თრაკია ევროპაში, ეგეოსის ზღვის კუნძულები — იმროსი და ტენედოსი. იტალია იღებდა ლიბიას და დოდეკანეზის კუნძულებს.

აღმოსავლეთ ანატოლიაში უნდა შექმნილიყო სომხეთისა და ქურთისტანის „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოები. თურქეთს და სომხეთს შორის საზღვრები სევრის ზავს არ დაუდგენია. იგი უნდა დადგენილიყო აშშ-ის პრეზიდენტის შუამავლობით. ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები ფიქრობდნენ სომხეთისა და ქურთისტანის გადაქცევას თავის ანტისაბჭოთა ინტრიგების დასაყრდენად. სტამბული თურქეთის მფლობელობაში რჩებოდა, მაგრამ მოკავშირეები იტოვებდნენ უფლებას, რომ, თუ თურქეთი არ შეასრულებდა სევრის საზავო პირობებს, მაშინ ისინი მოახდენდნენ მის ოკუპაციას.

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გამგებლობა გადადიოდა „საერთაშორისო კომისიის“ ხელში, რომელსაც უნდა ემოქმედა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებლად. სრუტეებთან არსებული ყველა სიმაგრე უნდა დანგრეულიყო და უნდა მომხდარიყო მისი სრული დემილიტარიზაცია. კომისიას ეყოლებოდა თავისი პოლიცია.

თურქეთის მთავრობის მიერ ომის დასაწყისში გაუქმებული საკაპიტულაციო რეჟიმი კვლავ უნდა აღდგენილიყო. თურქეთს რჩებოდა მხოლოდ ანატოლიის ნაწილი ანკარიდან — შავ ზღვამდე.

თურქეთს არ უნდა ყოლოდა 50 ათასიანზე მეტი არმია. მისი საზღვაო ფლოტი მოკავშირეებს უნდა გადაცემოდა. ასევე მოკავშირეებს უნდა დამორჩილებოდა ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრება. ამრიგად, სევრის ხელშეკრულება აშკარად მტაცებლური ხასიათისა იყო. თურქეთმა ისარგებლა რა საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით, თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობით, და, რაც მთავარია, თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით, მიაღწია სევრის იმპერიალისტური ზავის გაუქმებას. ამის შემდეგ ზავის დადება თურქეთთან გაჭიანურდა, მოლაპარაკება, თათბირები და კონფერენციები არაერთხელ ჩაშალა და მხოლოდ ლოზანის კონფერენციაზე მოხერხდა თურქეთთან ახალი საზავო პირობების შემუშავება.

1923 წლის 24 ივლისს თურქეთმა ხელი მოაწერა ლოზანის საზავო პირობებს, რომლის მიხედვით იგი კარგავდა თავის ყველა სამფლობელოს არაბეთში და ზოგიერთ კუნძულს ეგეოსის ზღვაში. თურქეთი დათანხმდა, რომ მოსულის საკითხი ერთა ლიგას გადაეწყვიტა, მაგრამ სამაგიეროდ შეინარჩუნა თავისი სახელმწიფოებრივობა და დამოუკიდებლობა. მან უკან დაიბრუნა იზმირი, აღმოსავლეთ თრაკია ანდრიანოპოლით, დარდანელის ევროპული სანაპირო, გალიბულის ნახევარკუნძული, ქურთისტანი და თურქეთის სომხეთი. უქმდებოდა საკაპიტულაციო რეჟიმი, ფინანსური კონტროლი და შეზღუდვები შეიარაღებულ ძალებზე.

მაგრამ ლოზანის კონვენცია სრუტეების შესახებ იმპერიალისტების წინაშე თურქეთის დიდი დათმობა იყო. კონვენციით ომისა და მშვიდობის დროს სრუტეებში გავლა შეეძლო როგორც სავაჭრო, ასევე სამხედრო გემებს. ამასთანავე, მშვიდობიან პერიოდში აქ თავისი ფლოტი ყოველ არა შავი ზღვისპირეთის სახელმწიფოებს შეეძლო შემოეყვანა, მაგრამ თავისი ტონაჟით იგი არ უნდა ყოფილიყო შავი ზღვის ძლიერ სახელმწიფოს ფლოტზე მეტი. ომიანობის პერიოდში, თუ თურქეთი ნეიტრალიტეტს იცავდა, სრუტეებში სამხედრო გემების გატარებაზე არავითარი შეზღუდვები არ უნდა ყოფილიყო.

კონვენცია ითვალისწინებდა აგრეთვე სრუტეების დემილიტარიზაციას და მასზე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას. სტამბოლში იქმნებოდა საერთაშორისო მუდმივი კომისია. ამ კომისიის წევრად საბჭოთა კავშირიც მიიწვიეს, მაგრამ მან უარი განაცხადა მის მუშაობაში მონაწილეობაზე. საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა აგრეთვე სრუტეების შესახებ ლოზანის კონვენციის რატიფიკაციაზე, რადგან მისი გადაწყვეტილებები ანტისაბჭოთა სულისკვეთებით იყო გამსჭვალული.

1936 წელს თურქეთის მთავრობამ მოითხოვა ლოზანის კონფერენციის გადასინჯვა შავი ზღვის სრუტეების საკითხზე იმ მოტივით, რომ იტალიის მიერ ეთიოპიის დაპყრობამ გაამწვავა საერთაშორისო ურთიერთობა ევროპიდან აზიაში მიმავალ კომუნიკაციებზე და საშიშროება შეექმნა თურქეთის საზღვრებსაც. საბჭოთა მთავრობამ მხარი დაუჭირა თურქეთის მოთხოვნას.

1936 წლის ივნისში შვეიცარიის ქალაქ მონტრეში მოწვეულ იქნა კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ — სსრ კავშირი, ინგლისი, საფრანგეთი, თურქეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, იაპონია და სხვები. 1938 წელს აქ ხელმოწერილ კონვენციას იტალიაც შეუერთდა. კონფერენციამ სრუტეების შესახებ მიიღო ახალი „მონტრეს კონვენცია", რომელიც დღევანდლამდე უცვლელად რჩება და ლოზანის კონვენციასთან შედარებით ბევრად წინ გადადგმული ნაბიჯია.

სრუტეებში არა შავის ზღვის სახელმწიფოთა სამხედრო ფლოტის გავლის ეფლება მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ყველა ქვეყნის სავაჭრო გემები სრუტეებში გავლისა და ნაოსნობის შეუზღუდავ უფლებებს იღებდნენ. ომის დროს, თუ თურქეთი არ მონაწილეობდა მასში, ასეთივე წესი რჩებოდა, ხოლო ომში თურქეთის მონაწილეობის შემთხვევაში მასთან მეომარი სახელმწიფოების სავაჭრო გემები არ ისარგებლებდნენ ამ წესით. ომის დროს თურქეთის ნეიტრალიტეტის შემთხვევაში ყველა მეომარი მხარისათვის იკეტებოდა სრუტეებში

გავლის უფლება, ხოლო თურქეთის ომში მონაწილეობის შემთხვევაში მას თავისუფალი მოქმედების უფლება ენიჭებოდა.

ამრიგად, მონტრეს კონვენციამ ცნო თურქეთის სუვერენული უფლებები სრუტეების ზონაში.

სრუტეების საერთაშორისო კომისია გაუქმდა და აქ ნაოსნობაზე კონტროლი და მეთვალყურეობა ისევ თურქეთის ხელში გადავიდა.

ვერსალის სისტემა იურიდიულად აფორმებდა დასავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, ახლო და შუა აღმოსავლეთისა და ნაწილობრივ აფრიკის ზოგიერთი რაიონების ომის შემდგომ წყობას.

ვერსალის სისტემის მთავარი დანიშნულება იყო კაპიტალისტური სისტემის შენარჩუნება და რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სისხლში ჩახშობა. ამას თუნდაც ის ამბავი მოწმობს, რომ ამ სისტემის ორგანიზატორებმა — ინგლისის, საფრანგეთის და აშშ მმართველმა წრეებმა დამარცხებული სახელმწიფოების მთავრობებს თავის განკარგულებაში დიდი რაოდენობით დაუტოვეს პოლიციის და შეიარაღებული ძალების ნაწილები რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ავსტრიის მრავალეროვანი იმპერიის დაშლასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას უდავოდ დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ ამ სახელმწიფოთა სათავეში ყოლოდათ თავიანთი აგენტები, როგორც ადგილობრივი დემოკრატიული ძალების, ასევე საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამასთანავე, ვერსალის სისტემის ორგანიზატორებმა ამ ახლად შექმნილ და, საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა ხელოვნურად დახლართეს, რათა ესარგებლათ მათ შორის გათიშულობით და შუამავლობის საბაბით გაეადვილებინათ მათ ურთიერთობასა და ასევე შინაურ საქმეებში უხეში ჩარევა. ფაქტიურად, ვერსალის სისტემის ორგანიზატორების მთავარი ამოცანა იყო აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობით განეხორციელებინათ ძველი და ნაცადი იმპერიალისტური პრინციპი — დაყავი და იბატონე.

ვერსალის კონფერენციაზე ხელმოწერილი ყველა ხელშეკრულება ვერსალის სისტემის სახელწოდებით შევიდა ისტორიაში. მისი მთავარი ამოცანა თითქოს ის უნდა ყოფილიყო, რომ მტკიცე მშვიდობა დაეცვა და მომავალში არ დაეშვა ახალი ომის აღმოცენება.

ვერსალის სისტემის მთავარი არსი მდგომარეობდა მის ანტისაბჭოთა ხასიათში. მისი დანიშნულება იყო კაპიტალისტური სისტემის უეჭველი დაღუპვისაგან გადარჩენა და საბჭოთა სახელმწიფოს განადგურება.

ვერსალის სისტემამ ნაცვლად მტკიცე მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებისა გაამწვავა იმპერიალისტური წინააღმდეგობანი ინგლისსა და საფრანგეთს, ინგლისსა და აშშ-ს და იაპონიასა და აშშ-ს შორის. ომის შემდეგ ევროპაში სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს საფრანგეთი წარმოადგენდა. იგი ცდილობდა თავისი ჰეგემონიის დამყარებას ევროპაში. 1920 — 1921 წლებში საფრანგეთმა აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებთან და-

ლო სამოკავშირო ხელშეკრულება. მან შექმნა მცირე ანტანტა ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის და იუგოსლავიის შემადგენლობით და მის გამოყენებას ცდილობდა, ერთის მხრივ, თავისი ჰეგემონიის უზრუნველყოფისათვის ევროპაში და მეორეს მხრივ, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სამოკავშირო ხელშეკრულება დაიდო აგრეთვე საფრანგეთსა და პოლონეთს, საფრანგეთსა და ბელგიას შორისაც.

ევროპაში საფრანგეთის იმპერიალისტების ჰეგემონიის დამყარების გეგმებს წინ აღუდგა ინგლისი. ამ გეგმების წინააღმდეგ გამოვიდა იტალიაც. ეს უკანასკნელი უკმაყოფილო იყო ვერსალის სისტემით და ეძებდა ხელსაყრელ მომენტს მისი გადასინჯვისათვის. ამრიგად ვერსალის სისტემის შექმნით იმპერიალისტებმა ვერ შეძლეს ნადავლის ისეთი განაწილება, რომ ყველა კმაყოფილი დარჩენილიყო. მან ვერ უზრუნველყო მშვიდობა ევროპაში, ვერ აღმოფხვრა ის იმპერიალისტური წინააღმდეგობანი, რომლის შედეგად წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომი. იგი მხოლოდ დროებით შესვენებას წარმოადგენდა. უშუალოდ ვერსალის ზავის დადების შემდეგაც ევროპაში არ დამყარებულა მტკიცე მშვიდობა. ამას მოწმობს იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერვენცია საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომი, იტალიის მიერ ფიუმეს დაპყრობა 1919 წელს, ინგლის-ავღანეთის ომი 1919 წელს, პოლონელების მიერ ვილნიუსის ხელთ ჩაგდება 1920 წელს, საბერძნეთ-თურქეთის ომი 1921—1922 წწ. რურის ოლქის ოკუპაცია საფრანგეთ-ბელგიის ჯარების მიერ 1923 წელს და სხვ.

§ 8. ვაშინგტონის კონფერენცია

ვერსალის ზავმა ჩაშალა ამერიკის იმპერიალისტების გეგმები ომისშემდგომ მსოფლიოში მათი ჰეგემონიის დამყარებაზე. ამ ცდებს წინ აღუდგნენ ინგლისი და საფრანგეთი. მაშინ ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო არენაზე ჯერ კიდევ არ იყო ამერიკის იმპერიალიზმის სასარგებლოდ.

ვინაიდან ვერსალის ზავი ინგლის-საფრანგეთის სასარგებლოდ გადაწყდა, ამიტომ ამერიკის სენატმა უარი სთქვა მის რატიფიკაციაზე და 1921 წელს სეპარატიული ზავი დადო გერმანიასთან, შემდეგ კი მის ყოფილ მოკავშირეებთან. იწყება ამერიკის და გერმანიის მონოპოლიების დაახლოება.

აშშ მთავრობა ყოველ მხრივ ხელს უწყობდა და მხარს უჭერდა გერმანიის მიერ ვერსალის ზავით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თავიდან აცილების ცდებს, ეხმარებოდა მას სამხედრო ეკონომიური პოტენციალის აღდგენაში, რათა ერთი მხრივ მისი აგრესია საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ წარემართა, ხოლო მეორე მხრივ გაძლიერებული გერმანია ინგლის-საფრანგეთის საპირისპირო ძალად გამოეყენებინა.

აშშ-ის მთავრობა უკმაყოფილო იყო ვერსალის ზავის გადაწყვეტილებით შორეული აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის საკითხებზე. პარიზის კონფერენციაზე აშშ-ი იაპონიისათვის შანდუნის გადაცემის კატეგორიულ მოწინააღმდეგედ გამოდიოდა. მაგრამ იაპონიამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლის-საფრანგეთის მხარდაჭერით მიაღწია შანდუნის და გერმანიის წყნარ ოკეანეში არსებული კოლონიების საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას. შანდუნის

იაპონიისათვის გადაცემას წინ აღუდგა ჩინელი ხალხი, რომელიც გამოვიდა ვერსალის ზავის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ამის გამო ჩინეთის მთავრობამ ვერ გაბედა ვერსალის ზავის რატიფიცირება. ამრიგად ვერსალის ზავი უარყო ორმა დიდმა სახელმწიფომ — აშშ-მა და ჩინეთმა.

როგორი ვითარება იყო შორეულ აღმოსავლეთში ვაშინგტონის კონფერენციის მოწვევამდე? ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, იაპონიამ ისარგებლა რა იმით, რომ მთავარი იმპერიალისტური სახელმწიფოები ევროპის კონტინენტზე წარმოებული ომით იყვნენ დაკავებულნი, 1915 წელს ჩინეთს „21 მოთხოვნა" წაუყენა, რომლის მიღების შემდეგ იგი თავის ნახევრადკოლონიურ ქვეყნად გადააქცია. აშშ მთავრობა შეშფოთებით უყურებდა იაპონიის პოზიციების გაძლიერებას ჩინეთში და შორეულ აღმოსავლეთში. ჯერ კიდევ 1915 წელს აშშ-ის მთავრობა გამოვიდა იაპონიის მიერ ჩინეთისათვის წაყენებული 21 მოთხოვნის წინააღმდეგ.

ომის დროს გამწვავდა ამერიკა-იაპონიის წინააღმდეგობა ჩინეთში. 1917 წლიდან ამერიკის პირველ მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე ჩაბმის შემდეგ იაპონიაში გაძლიერდა პროგერმანული მოძრაობა.

იმ მიზნით, რომ იაპონია ანტანტის მხარეზე შეენარჩუნებინა, აშშ-ის მთავრობა იძულებული გახდა მის წინაშე დათმობაზე წასულიყო. 1917 წლის 2 ნოემბერს აშშ და იაპონიის წარმომადგენლებმა დადეს შეთანხმება, რომელიც ლანსინგ-ისის დეკლარაციის სახელწოდებითაა ცნობილი. აშშ-ის მთავრობამ ცნო იაპონის „განსაკუთრებული ინტერესები" ჩინეთში. ამ მოლაპარაკების დროს იაპონიამ თავისთვის წამოაყენა „მონროს დოქტრინის" მსგავსი მოთხოვნა აღმოსავლეთ აზიაში. ამის შემდეგ იაპონელი ვაჭრები და ჯარები ერთად დაიძრენ ჩინეთისაკენ, პირველნი სავაჭრო, მეორენი კი სტრატეგიულ პუნქტებში და იწყეს იქიდან ამერიკის და სხვა სახელმწიფოების გამოდევნა. 1921 წლისათვის იაპონიას ფაქტიურად ოკუპირებული ქონდა სამხრეთ მანჯურია, შიდა მონღოლეთი, შანდუნი და რიგი სხვა ოლქები და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა ჩინეთთან ვაჭრობაში. ჩინეთის სამხედრო ოკუპაციას იაპონია ომისშემდეგაც აგრძელებდა და მას იმ მიზნით იყენებდა, რომ იქ არ დაეშვა სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ ომამდელი პოზიციების აღდგენა.

ამრიგად, იაპონია ნაცვლად აშშ-ს მიერ გამოცხადებული „ღია კარების დოქტრინისა" ჩინეთის კარებს სხვა სახელმწიფოებისათვის თანდათანობით ხურავდა. იაპონიის აგრესიამ ჩინეთში გაამწვავა უპირველეს ყოვლისა იაპონია-ამერიკის წინააღმდეგობანი. ეს ორივე სახელმწიფო მზად იყო ერთმანეთს სცემოდა ყელში, მაგრამ ეშინოდათ, რომ მათ შორის ომს არ გამოეწვია შორეული და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დამონებული, მრავალმილიონიანი და, უპირველეს ყოვლისა, ჩინელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. მით უმეტეს ამ ქვეყნების ხალხებს საუკეთესო მაგალითი ქონდათ ოქტომბრის რევოლუციისა და ინტერვენტების წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის ხალხის წარმატებითი ბრძოლისა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ აშშ-ის მმართველი წრეები ვერ წავიდნენ აშკარა ომზე იაპონიასთან. აქ გამოვლინდა ტენდენცია იაპონიის იმპერიალიზმის გამოყენებისა საბჭოთა რუსეთისა და შორეულ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ხალხების რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

აზიის ამ რაიონში, გარდა აშშ-ის და იაპონიისა, დიდი იყო წინააღმდეგო-

ბანი, ერთი მხრივ, ინგლისსა და აშშ-ს შორის და, მეორე მხრივ ინგლისსა და იაპონიას შორის. აშშ-სა და იაპონიას შორის წინააღმდეგობის გამწვავების ვითარებაში ინგლისის პოზიციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ინგლისსა და იაპონიას შორის არსებობდა ჯერ კიდევ 1902 წელს დადებული და რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, შემდეგ კი 1911 წელს განახლებული სამხედრო კავშირი. ეს კავშირი ომის შემდეგაც არ იყო გაწყვეტილი და ინგლისი მის გამოყენებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ცდილობდა. მაგრამ საბჭოთა ხალხის მიერ ინტერვენტთა განადგურების შემდეგ აშშ-ის მმართველი წრეებისათვის გაურკვეველი იყო, დარჩებოდა თუ არა ძალაში ეს დამხმარე კავშირი და, თუ დარჩებოდა ვის წინააღმდეგ წარიმართებოდა იგი. მიუხედავად იმისა, რომ 1916 წელს აშშ-ის დიდი საზღვაო პროგრამა იქნა მიღებული, ომის დამთავრების შემდეგ ძალთა თანაფარდობა სამხედრო საზღვაო ფლოტის თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ იყო ამერიკის სასარგებლოდ. აშშ ფლოტს, რაოდენობით მეორე ადგილი ეკავა მსოფლიოში ინგლისის შემდეგ, მაგრამ სპეციალისტები სამხედრო თვალსაზრისით მას იაპონიის შემდეგ მესამე ადგილზე აყენებდნენ. ამიტომ ამერიკა-იაპონიის მეტოქეობის ვითარებაში ინგლისის პოზიციას უდავოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ინგლისის პოზიცია კი ვაშინგტონის კონფერენციის მოწვევამდე, როგორც ყოველთვის, შენიღბული და გაურკვეველი იყო. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის პოზიციების განმტკიცება წყნარ ოკეანეში და ჩინეთში ინგლისის ინტერესებსაც დიდ საშიშროებას უქმნიდა აზიის ამ რაიონში. ამის გამო ვაშინგტონის კონფერენციაზე ინგლისი აშშ მხარეზე გამოვიდა. მან გასწყვიტა კავშირი იაპონიასთან და თავის პარტნიორად ამჯერად აშშ აირჩია. საქმე იმაში იყო, რომ იაპონური დოქტრინა „აზია-აზიელებს", ანუ იაპონელებს, ინგლისის მმართველ წრეებში დიდ შეშფოთებას იწვევდა. დიდი ბრიტანეთის საგარეო კურსის შეცვლამ წყნარი ოკეანის პოლიტიკაში იაპონიიდან — აშშ-კენ ინგლისურ ლიტერატურაში მიიღო „ორიენტაციის დიდი შეცვლის" სახელწოდება.

შორეულ აღმოსავლეთში ურთიერთობის გამწვავების გაურკვეველ ვითარებაში, აშშ-ის მმართველი წრეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თავიანთ მიზანს ისინი უფრო იოლად, არა ომის, არამედ ომის საწინააღმდეგო გამოსვლით მიაღწევდნენ. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ის გარემოებაც, რომ პირველი მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო და იარაღის ეღარუნის პოლიტიკას მსოფლიოს საერთაშორისო საზოგადოებრიობა წინ აღუდგებოდა. იაპონია წინააღმდეგი იყო კონფერენციის მოწვევისა, მაგრამ იგი შეშფოთებული იყო იმ დარტყმებით, რომელიც მან განიცადა საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის შედეგად ჩინეთში. გარდა ამისა, მას ეშინოდა საერთაშორისო იზოლირებისა. შინაგანი ვითარებაც აიძულებდა იაპონიას ეძია კომპრომისი აშშ-თან.

აშშ-ის მთავრობამ 1921 წლის გაზაფხულზე წინადადებით მიმართა ინგლისს, იაპონიას, იტალიას, საფრანგეთს და სხვა სახელმწიფოებს, რათა მოეწვიათ შეიარაღების შეზღუდვის კონფერენცია. მოწვევა დაეგზავნა აგრეთვე ჩინეთს, ბელგიას, ჰოლანდიას და პორტუგალიას. საბჭოთა სახელმწიფო ამ კონფერენციაზე მოწვეული არ იქნა. საბჭოთა მთავრობის კანონიერ პროტესტს აშშ-ის მთავრობამ უპასუხა უპასუხისმგებლო განცხადებით, ვინაიდან რუსეთში ერთიანი მთავრობა არ არსებობს, მის ინტერესებს მთელი კონფერენცია დაიცავსო.

1921 წლის 12 ნოემბერს, ვაშინგტონში გაიხსნა ზემოთ აღნიშნული ცხრა სახელმწიფოს კონფერენცია. კონფერენციის მუშაობა 1922 წლის 6 თებერვლამდე გაგრძელდა. აქ სამი ძირითადი ხელშეკრულება დადგა. 1 — ოთხი სახელმწიფოს ხელშეკრულება — აშშ-სა, ინგლისსა, საფრანგეთსა და იაპონიას შორის ეხებოდა წყნარი ოკეანის აუზში მდებარე საკუთრებულობების ხელუხლებლობის ურთიერთგარანტიას, იგი 10 წლის ვადით დადგა. ამ შეთანხმების მეოთხე პუნქტი ეხებოდა ინგლის-იაპონიის 1902 წლის კავშირს, რომელიც უნდა გაუქმებულიყო. რაიონები სინგაპურსა, ავსტრალიასა, ახალ ზელანდიასა, ჰავაისა და იაპონიას შორის უნდა დემილიტარიზებულიყო.

მეორე ხელშეკრულება იყო 9 სახელმწიფოს შორის (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია, ჩინეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, პორტუგალია) ჩინეთის ტერიტორიული სუვერენული და ადმინისტრაციული მთლიანობის შენარჩუნებისა და ჩინეთში „ღია კარების" პოლიტიკის ცნობის შესახებ. მხარეები ვალდებულებას კისრულობდნენ დაეცვათ ყველა ქვეყნის თანასწორუფლებიანობა ჩინეთთან ვაჭრობაში და უარი ეთქვათ განსაკუთრებული უფლებებისა და გავლენის სფეროების მიღწევაზე ამ ქვეყანაში. აღნიშნულ სახელმწიფოთა ვალდებულებები ჩინეთის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის პატივისცემის შესახებ, როგორც შემდგომმა ამბებმა დაგვანახა, სრული დემაგოგია იყო. იგი აშშ-ს თავისი „ღია კარების" დოქტრინის დაკანონებისათვის სჭირდებოდა, რათა თავის ძლიერ ეკონომიკაზე დაყრდნობით გაბატონებული მდგომარეობა დაეკავებინა ჩინეთის ბაზარზე და იქიდან თავისი იმპერიალისტური მეტოქეები გამოედევნა. გარდა ამისა, ომის შემდგომ შექმნილი ახალი ვითარება, ოქტომბრის რევოლუციის გავლენის შედეგად დაწყებული ეროვნული მოძრაობა ჩინეთში აძნელებდა იმპერიალისტების ბატონობის ხელუხლებლივ დატოვებას იქ, ამიტომ იყო, რომ იმპერიალისტები ერთგვარ დათმობაზე წავიდნენ ჩინეთის წინაშე. იაპონია იძულებული გახდა ჩინეთისათვის დაებრუნებინა ომის დროს მიტაცებული ტერიტორია (შანდუნი), რკინიგზები, შახტები და ა. შ. და გაეყვანა ჯარი ჩინეთიდან. ინგლისმა უკან დაუბრუნა ჩინეთს იჯარით აღებული ვეიჰაიეი, მაგრამ შეინარჩუნა კოულუნი.

მესამე ხელშეკრულება დაიდო ხუთ სახელმწიფოს შორის (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია, იტალია,) საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ. ინგლისმა უარი თქვა თავის ტრადიციულ პოლიტიკაზე, რომ მას ჰყოლოდა იმდენივე საზღვაო ფლოტი, რამდენიც ორ ძლიერ საზღვაო სახელმწიფოს ერთად აღებულს. იგი დასთანხმდა, რომ ინგლისს და აშშ-ს ჰყოლოდათ ერთნაირი რაოდენობის სამხედრო საზღვაო ფლოტი, იაპონიას არა უმეტეს 60%, საფრანგეთსა და იტალიას კი 35%-35% ინგლისის ან აშშ-ის ფლოტთან შედარებით. შეფარდება იყო ასეთი: 5 : 5 : 3 : 1,75:1,75. მაგრამ ეს შეთანხმება მხოლოდ სახაზო გემებისა და ავიამზიდების მიმართ იყო მიღწეული.

ვაშინგტონის კონფერენციაზე რუსეთის საკითხიც განიხილეს. აშშ-ს აშინებდა იაპონიის გაძლიერება შორეულ აღმოსავლეთში, ამიტომ მას მოთხოვა ჯარის გაყვანა ციმბირიდან და სახალინიდან. იაპონია მართლაც იძულებული გახდა დაეტოვებინა ციმბირი და 1922 წ. თავისი ჯარები საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთიდან გაეყვანა, მაგრამ არა ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილების გამო, არამედ იმ საყოველთაო სახალხო წინააღმდეგობის შედეგად, რომელსაც იაპონიის იმპერიალისტები საბჭოთა ხალხის მხრივ წააწყდნენ.

ვაშინგტონის კონფერენციის შედეგებს აშშ-ს მმართველი წრეები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. უდავოა, რომ ამ კონფერენციის გადაწყვეტილებები ამერიკის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ მან ვერ აღმოფხვრა ის წინააღმდეგობა, რომელიც აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის მსოფლიოს ამ რაიონში არსებობდა. ვაშინგტონის კონფერენცია განიარაღების კონფერენციის სახელწოდებას ატარებდა და მას ვერსალის ზავთან ერთად უნდა უზრუნველეყო მტკიცე მშვიდობის დამყარება მსოფლიოში. მან, მართალია, ნაწილობრივ შეასუსტა იაპონიის პოზიციები ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ, როგორც ვერსალის საზავო პირობები, ისე ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, ქაღალდზე დარჩა. პირიქით, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემამ უფრო მეტად გაამწვავა წინააღმდეგობანი მთავარ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის და ამიტომ იგი უკვე მაშინ მეორე მსოფლიო ომის ჩანასახს წარმოადგენდა. ვაშინგტონის კონფერენციის დამთავრებისთანავე მთავარმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა აშშ, ინგლისმა და იაპონიამ განიარაღების ნაცვლად გამალებული შეიარაღება დაიწყეს. აშშ-ი და იაპონია, სარგებლობდნენ იმით, რომ ვაშინგტონის კონფერენციამ მხოლოდ სახაზო გემებისა და ავიამზიდების მშენებლობა შეზღუდა და, აგებდნენ კრეისერებს, წყალქვეშა ნავებსა და ნაღმოსნებს. ინგლისს, რომელიც ფინანსიურ სიძნელეებს განიცდიდა, არ შეეძლო მათთვის მეტოქეობის გაწევა და მისი ინიციატივით ლონდონში 1930 წლის იანვარ-აპრილში მიმდინარეობდა ვაშინგტონის კონფერენციაზე საზღვაო შეიარაღების შემცირების შეთანხმებაზე ხელმომწერი ხუთი სახელმწიფოს ლონდონის კონფერენცია. იტალიის დიდი პრეტენზიებისა და საფრანგეთ-იტალიის შეურიგებელი წინააღმდეგობის გამო ამ სახელმწიფოებმა დატოვეს კონფერენცია. მთლიანად რომ არ ჩაშლილიყო კონფერენციის მუშაობა, ინგლისი და აშშ სერიოზულ დათმობაზე წავიდნენ იაპონიის წინაშე. იაპონია უფლებას იღებდა იმდენივე რაოდენობის წყალქვეშა ნავები ყოლოდა, რამდენიც აშშ-ს ან ინგლისს. ამის შემდეგ საზღვაო განიარაღების ნაცვლად გამალებული შეიარაღება დაიწყო.

§ 4. საერთაშორისო ურთიერთობა ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის შექმნის შემდეგ (1921—1930 წწ.)

ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა შემუშავებულ იქნა მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ სამყაროს ოქტომბრის რევოლუციის შედეგად გამოაკლდა დედამიწის 1/6 ნაწილი—რუსეთი, სადაც სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. ასეთ ვითარებაში დიდი სახელმწიფოების მესვეურები მიზნად ისახავდნენ იმპერიალიზმის გადარჩენას დაღუპვისაგან. ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში საერთაშორისო იმპერიალიზმი იმედოვნებდა, რომ იგი შესძლებდა საბჭოთა სახელმწიფოს განადგურებას. მაგრამ საბჭოთა ხალხმა გაანადგურა საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ ორგანიზებული ინტერვენცია და შინაურ კონტრრევოლუციონერთა ძალები. ინტერვენტთა განადგურების შემდეგ იმპერიალისტები ცდილობდნენ საბჭოთა სახელმწიფო კვლავ ყოლოდათ ეკონომიურ და დიპლომატიურ იზოლირებაში და, რაც მთავარია, არ დაეშვათ ოქტომბრის რევოლუციის იდეების სხვა ქვეყნებში გავრცელება. ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი ამოცანა იყო მშვიდობიანი და კეთილმე-

ზობლური ურთიერთობის დამყარება დასავლეთისა და აღმოსავლეთის მრავალ-ვარე ქვეყნებთან. 1921 წელს საბჭოთა რუსეთს უკვე ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა ესტონეთთან, ლიტვასთან, ლატვიასთან ფინეთთან, პოლონეთ-თან, ავღანეთთან, ირანთან, თურქეთთან. ახალგაზრდა საბჭოთა დიპლომატიამ, გამოიყენა რა მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებული წინა-აღმდეგობანი, 1921—1922 წლების მანძილზე მიაღწია სავაჭრო შეთანხმებების დადებას ინგლისთან, გერმანიასთან, იტალიასთან და სხვა სახელმწიფოებთან. საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა ხელს უწყობდა კაპი-ტალისტურ ქვეყნებში იმ პოლიტიკური წრეების პოზიციების გაძლიერებას, რომელნიც მშვიდობისაკენ იხრებოდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ იმპე-რიალისტებმა ხელი აიღეს საბჭოთა ქვეყანაში სოციალისტური წყობილების ლიკვიდაციის ცდებზე. მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოების მესვეურები ვერ შეგუებოდნენ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა გამარჯვებული გამოვიდა სამოქა-ლაქო ომიდან და გაანადგურა ინტერვენტთა ძალები. ახლა ისინი ახალ ფორ-მებს და მეთოდებს ეძებდნენ სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძო-ლისათვის და ცდილობდნენ არა მარტო სამხედრო, არამედ დიპლომატიური და ეკონომიური ზეგავლენის გზითაც მოქმედებას.

1920 — 1921 წლებში კაპიტალისტური სახელმწიფოები მოიცვა ომისშემ-დგომმა პირველმა ეკონომიურმა კრიზისმა. ამ გარემოებამ ანტანტის ქვეყნები აიძულა მოეწვიათ ევროპის კონფერენცია ეკონომიკისა და ფინანსების საკი-თხებზე. ამ კონფერენციაზე მოწვეული იქნა საბჭოთა რუსეთიც. კონფერენცია შედგა გენუაში 1922 წლის აპრილ-მაისში. მის მუშაობაში მონაწილეობდა 34 სახელმწიფოს წარმომადგენელი. აშშ მთავრობამ უარი განაცხადა კონფერენ-ციაში მონაწილეობაზე, მაგრამ იქ გაგზავნა თავისი მეთვალყურე.

ამ კონფერენციაზე იმპერიალისტური სახელმწიფოები შეეცადნენ საბჭოთა სახელმწიფოსათვის თავზე მოეხვიათ კაბალური შეთანხმება, რომელშიაც გათვალისწინებული იქნებოდა მეფისა და დროებითი მთავრობის, აგრეთვე კოლჩაკის და დენიკინის ყველა ვალის გადახდა, უცხოეთის კაპიტალისტებისათ-ვის ნაციონალიზებული საწარმოების დაბრუნება, საგარეო ვაჭრობის მონოპო-ლიის გაუქმება, უცხოელებისათვის განსაკუთრებული პოლიტიკური და იუ-რიდიული გარანტიების მიცემა და ა. შ. საბჭოთა დელეგაციამ გადაჭრით უარყო იმპერიალისტთა პრეტენზიები და თავის მხრივ მოითხოვა ინტერვენტე-ბის მიერ საბჭოთა ქვეყნისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღა-ურება. ამავე დროს საბჭოთა დელეგაცია თანახმა იყო გადაეხადა რუსეთის ომამდელი ვალები და უპირატესობა მიეცა ყოფილ მეპატრონეთათვის წარ-მოების იჯარით გაცემისას, მაგრამ იმ პირობით თუ საბჭოთა სახელმწიფო კაპი-ტალისტური ქვეყნებისაგან სესხებს მიიღებდა. კაპიტალისტურმა სახელმწიფო-ებმა უარყვეს საბჭოთა წინადადებანი, რის გამოც გენუის კონფერენცია უშე-დეგოდ დამთავრდა.

საბჭოთა დელეგაციამ ამ კონფერენციაზე გამოიყენა წინააღმდეგობანი ანტანტის სახელმწიფოებსა და გერმანიას შორის და 1922 წლის 16 აპრილს რაპა-ლოში (გენუის მიდამოებში) ხელი მოაწერა მასთან ხელშეკრულებას, რომლის თანახმად საბჭოთა რუსეთმა და გერმანიამ იცნეს ერთმანეთი იურიდიულად, და აღადგინეს დიპლომატიური ურთიერთობა. ორივე მხარემ უარი თქვა სამხედრო ხარჯების ამ ზარალის ურთიერთპრეტენზიებზე. რაპალოს ხელშეკრულება ახალ-

გაპრდა საბჭოთა დიპლომატიის დიდი წარმატება იყო. ამ ხელშეკრულებამ გაარღვია დიდი კაპიტალისტური ქვეყნების ერთიანი ფრონტი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებულმა ორ სოციალურ სისტემას შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და საყოველთაო განიარაღების წინადადებებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მსოფლიოზე, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა უარყვეს საბჭოთა წინადადებები.

საბჭოთა რუსეთის ინიციატივით, 1922 წლის 2 დეკემბერს მოსკოვში მოწვეულ იქნა განიარაღების კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ პოლონეთი, ფინეთი ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების 75% შემცირების შესახებ, მაგრამ პოლონეთმა და მეზობელმა ბალტიისპირა ქვეყნებმა ეს წინადადება არ მიიღეს. მათ უარყვეს საბჭოთა წინადადება კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების 1923 წლისათვის 25%-ით შემცირების შესახებაც.

რურის კრიზისი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარიზის მეორე კონფერენციამ გერმანიისაგან მისაღები სარეპარაციო თანხა 132 მილიარდი ოქროს მარკით განსაზღვრა, მაგრამ დავა სარეპარაციო საკითხის ირგვლივ ამით არ დამთავრებულა. ანტანტის სახელმწიფოებს შორის დიდი იყო დავა იმის შესახებ, თუ რამდენი წლის განმავლობაში უნდა დაეფარა გერმანიას აღნიშნული თანხა. გერმანიისაგან რეპარაციების ყველაზე დიდი ნაწილი — 52% უნდა მიეღო საფრანგეთს, 22% ინგლისს, 10%—იტალიას, 8%—ბელგიას. ამასთანავე სარეპარაციო კომისიის ხელმძღვანელობა საფრანგეთის ხელში იყო და იგი ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული გერმანიისაგან რეპარაციების მიღებაში. საფრანგეთი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ომის შემდეგ სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო დასავლეთ ევროპაში და ახლად შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებსა და მცირე ანტანტაზე დაყრდნობით იგი, ერთი მხრივ, ევროპაში თავის ჰეგემონიის განმტკიცებას ცდილობდა, ხოლო, მეორე მხრივ, წინ აღუდგა ინგლისა-ამერიკის სარეპარაციო რევიზიის ცდებს.

1921 წელს გერმანიის ეკონომიკა მწვავე სამრეწველო კრიზისმა მოიცვა, რამაც ისედაც მძიმე მდგომარეობაში მოქცეული სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებს კიდევ უფრო დიდი დარტყმა მიაყენა. სამხედრო მრეწველობის შეჩერებამ და არმიის დემობილიზაციამ მასობრივი უმუშევრობა გამოიწვია. ქვეყანა ნედლეულის, სურსათისა და სათბობის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. ფასები ომამდელთან შედარებით 10-ჯერ გაიზარდა.

1922 წლის იანვარში გერმანიის მთავრობამ თხოვნით მიმართა ანტანტის სახელმწიფოებს, სარეპარაციო შესატანი თანხის 1 წლით განვადების შესახებ. მოკავშირეებმა დაამაყოფილეს ეს თხოვნა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გერმანიის მთავრობამ კიდევ მოითხოვა ახალი განვადება. ინგლისის მთავრობამ წამოაყენა ე. წ. „ბონარ ლოუს გეგმა", რომლითაც გერმანიას რეპარაციების შესატანად ვანვადება 4 წლით უნდა მისცემოდა, ხოლო საერთო სარეპარაციო თანხა 50 მლრდ. მარკამდე შემცირებულიყო. საფრანგეთის მთავრობამ პუანკარეს მეთაურობით უარყო ეს გეგმა. პუანკარეს მთავრობა, იმ მიზნით, რომ უზრუნველეყო

საფრანგეთის ხანგრძლივი ჰეგემონია ევროპაში, ცდილობდა კიდევ უფრო დაესუსტებინა გერმანია და ხელში ჩაეგდო რურის სამრეწველო ოლქი. 1923 წლის იანვარში საფრანგეთ-ბელგიის 100 ათასიანმა არმიამ მოახდინა რურის ოლქის ოკუპაცია. პუანკარეს იმედი ჰქონდა, რომ საფრანგეთი დაეუფლებოდა რურის ოლქის ქვანახშირს და აიძულებდა გერმანიას რეპარაციების გადახდას. გერმანიის მთავრობამ, ინგლისის რჩევით, რურის ოლქის ოკუპაციას „პასიური წინააღმდეგობის" პოლიტიკის გამოცხადებით უპასუხა. იგი მეშახტეებს და ადმინისტრაციას უკრძალავდა ქვანახშირის მოპოვებას საფრანგეთის სასარგებლოდ და საოკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობას. საფრანგეთმა ვერ მიაღწია თავის მიზანს, ვერც რურის ქვანახშირი მიიღო და ვერც გერმანია აიძულა რეპარაციების გადახდაზე. ამასთანავე რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ ინგლისი და აშშ, რომელთაც მოითხოვეს საფრანგეთის ჯარების ევაკუაცია რურიდან. ევროპა ახალი ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. რურის ოლქის ოკუპაცია დაგმო საბჭოთა მთავრობამაც.

რურის ოლქის საოკუპაციო ხარჯებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ომისშემდეგ ისედაც მოშლილი საფრანგეთის ფინანსური სისტემა. პუანკარეს მთავრობამ ფინანსური დახმარებისათვის აშშ მიმართა. აშშ მთავრობამ საფრანგეთისათვის სესხების მიცემის სანაცვლოდ მოითხოვა რურის ოლქიდან ჯარების ევაკუაცია და ექსპერტთა კომიტეტის შექმნა სარეპარაციო საკითხის გადაჭრისათვის. ექსპერტთა კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნული იქნა ამერიკელი გენერალი და ბანკირი ჩარლზ დაუესი. ექსპერტთა კომიტეტმა შეიმუშავა ახალი სარეპარაციო გეგმა, რომელმაც „დაუესის გეგმის" სახელწოდება მიიღო. იგი 1924 წლის აგვისტოში დამტკიცებული იქნა ლონდონის კონფერენციის მიერ. „დაუესის გეგმას" სარეპარაციო თანხის საერთო რაოდენობა არ განუსაზღვრია. ის მხოლოდ ყოველწლიურ სარეპარაციო თანხას აწესებდა. იგი არც იმას ითვალისწინებდა, თუ გერმანიას რამდენი ხნის განმავლობაში უნდა ეხადა რეპარაციები. 1924/1925 წლებიდან გერმანიას უნდა გადაეხადა ერთი მილიარდი მარკა, შემდეგ იგი თანდათანობით მატულობდა და 1928/1929 წლებიდან დაწყებული ყოველწლიური შესატანი 2,5 მილიარდი მარკით წესდებოდა. მაგრამ სარეპარაციო თანხა გერმანიას უნდა ეხადა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რკინიგზების მოგებიდან, საბაჟო შემოსავლიდან და არაპირდაპირი გადასახადებიდან. ამ მიზნით გერმანიაში უნდა გაზრდილიყო არაპირდაპირი გადასახადები ფართო მოხმარების საგნებზე — შაქარზე, თამბაქოზე, ქსოვილებზე, ფეხსაცმელზე და აგრეთვე რკინიგზის ბილეთებზე.

საფრანგეთი ვალდებულებას კისრულობდა მოეხდინა თავისი ჯარების ევაკუაცია რურიდან. სარეპარაციო კომისია, რომლის ხელმძღვანელობა საფრანგეთის ხელში იყო, უქმდებოდა. შექმნილი იქნა სარეპარაციო საქმეების გენერალური კომისრის თანამდებობა, რომელიც მორგანთა ფინანსური ჯგუფის წარმომადგენელმა პარკერ პილბერტმა დაიკავა. გერმანიას თავისი ფინანსების გასამტკიცებლად 800 მილიონი მარკა მიეცა სესხად.

დაუესის გეგმის ავტორები ვარაუდობდნენ გერმანიის სავაჭრო ექსპანსიის წარმართვას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის ბაზრების დაპყრობას და ჩვენი სამშობლოს გადაქცევას გერმანიის აგრარულ-დანამატად და გასაღების ბაზრად.

ამრიგად, რურის ავანტურამ ლახვარი ჩასცა ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონიის დამყარების პრეტენზიებს და სარეპარაციო საკითხების ხელმძღვანელობა საფრანგეთიდან ინგლის-ამერიკის ხელში გადავიდა.

„დაუესის გეგმამ" ხელსაყრელი პირობები შექმნა ამერიკის კაპიტალის შეჭრისათვის გერმანიის ეკონომიკაში. ამ გეგმის მთავარი ამოცანა ის იყო, რომ გერმანიის ბანკირებს და მონოპოლისტებს ამერიკა-ინგლისის ფინანსური დახმარების გზით სწრაფად აღედგინათ თავისი სამხედრო-ეკონომიური პოტენციალი და იგი საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოეყენებინა. ექვსი წლის განმავლობაში, 1924 წლიდან — 1929 წლამდე გერმანიამ საზღვარგარეთიდან სესხების სახით მიიღო 21 მილიარდი ოქროს მარკა, რომლიდანაც 70%-ზე მეტს ამერიკული სესხები შეადგენდა. ეს უზარმაზარი თანხა კარგად გამოიყენეს გერმანიის მონოპოლისტებმა, თავისი ქვეყნის სამხედრო ეკონომიური პოტენციალის აღდგენისათვის. ამიტომაა, რომ „დაუესის გეგმა" საბჭოთა ლიტერატურაში სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული მეორე მსოფლიო ომის მომზადების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

„დაუესის გეგმის" პოლიტიკის გაგრძელებად ითვლება ლოკარნოს კონფერენცია, რომელიც ინგლისის მთავრობის ინიციატივით მოიწვიეს. ინგლისი მიზნად ისახავდა გერმანიის ჩათრევას კაპიტალისტური სახელმწიფოების ერთიან ანტისაბჭოთა ფრონტში, რომლის ხელშემშლელი ფაქტორი იყო არსებული წინააღმდეგობანი გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოებს შორის. ამიტომ ინგლისი გერმანიის წინაშე აბალ დათმობებზე წასვლას მოითხოვდა და მომზრე იყო თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გერმანიის ერთა ლიგაში შეყვანისა.

1925 წლის ოქტომბერში ლოკარნოში მოწვეული იქნა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია. პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია.

ლოკარნოს კონფერენციის ყველაზე უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულება იყო ე. წ. რაინის საგარანტიო პაქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს ერთი მხრივ საფრანგეთმა და ბელგიამ, ხოლო მეორეს მხრივ გერმანიამ. ამ ხელშეკრულებით ძალაში რჩებოდა ვერსალის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრები და გერმანიის ტერიტორიის დემილიტარიზებული ზონები რაინის სანაპიროზე. ორივე მხარე სცნობდა თავიანთი საზღვრების ხელშეუხებლობასა და დაურღვევლობას. რაინის პაქტს ხელი მოაწერეს ინგლისმა და იტალიამ, რომელთა აღნიშნულ სახელმწიფოთა საზღვრების ღაურღვევლობის გარანტიების თავდებების ვალდებულება იკისრეს.

კონფერენციაზე საფრანგეთს უნდოდა ისეთი შეთანხმებისათვის მიეღწია, რომ გერმანია-პოლონეთის ომის შემთხვევაში ამ უკანასკნელისათვის დახმარების გაწევის მიზნით შეუზღუდველი უფლებები ჰქონოდა თავისი ჯარების შეყვანაზე რაინის დემილიტალიზირებულ ზონაში, მაგრამ ის წააწყდა ინგლისის დიდ წინააღმდეგობას. რაინის პაქტით საფრანგეთი ამის უფლებას კარგავდა ერთა ლიგის ნებართვის გარეშე.

ხელმოწერილი იქნა აგრეთვე გერმანია-პოლონეთისა და გერმანია-ჩეხოსლოვაკიის შეთანხმება, რომლის მიხედვით ხელმომწერნი ვალდებულებას იღებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ ძალა არ გამოეყენებინათ და მშვიდობიანი გზით გადაეჭრათ სადავო საკითხები. ინგლისმა და იტალიამ უარყვეს საფრანგეთის

თხოვნა ამ უკანასკნელს ხელშეკრულებათა მიმართაც მათი გარანტიის ვალდებულების აღების შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საფრანგეთმა ხელი მოაწერა პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან საგარანტიო ხელშეკრულებას. ამრიგად, ინგლისი და იტალია გერმანიას მოქმედების თავისუფლებას აძლევდნენ აღმოსავლეთის საზღვრებისაკენ. მალე ამის შემდეგ 1926 წელს გერმანია მიწვეული იქნა ერთა ლიგაში. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის შექმნის შემდეგ დაუესის გეგმა და ლოკარნოს კონფერენცია ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო საერთაშორისო პოლიტიკაში. მან ბოლო მოუღო საფრანგეთის ჰეგემონიას ევროპაში და განამტკიცა ინგლისის და ა შ შ უპირატესი როლი მსოფლიოს საქმეებში. გარდა ამისა, აღნიშნულმა ამბებმა დაჩქარა გერმანიის სამხედრო ეკონომიური პოტენციალის აღდგენა და მეორე მსოფლიო ომისათვის მზადება. 1927 — 1928 წლებში გერმანიამ აშშ-ის და ინგლისის ფინანსური სესხების მეშვეობით გადააჭარბა ომამდელ დონეს მრეწველობაში და საგარეო ვაჭრობაში. გერმანიამ კვლავ უკან ჩამოიტოვა ინგლისი და საფრანგეთი და მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში თავისი ეკონომიური სიძლიერით. გერმანიის იმპერიალიზმის ეკონომიური სიძლიერის ზრდასთან ერთად ქვეყანაში ძლიერდებოდა რეაქციული და რევანშისტული ძალების გავლენა, რომელნიც სულ უფრო და უფრო ხშირად მოითხოვდნენ ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის გადასინჯვას. უკვე 1928 წლის შემოდგომაზე გერმანიის მთავრობამ ანტანტის სახელმწიფოებს ოფიციალურად მოთხოვა—„დაუესის გეგმის“ გადასინჯვა. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირა აშშ მთავრობამ. შეიქმნა ექსპერტთა ახალი კომიტეტი ამერიკელი ბანკირის იუნგის თავმჯდომარეობით. 1929 წლის ივნისში ინგლის-ამერიკის ფინანსურმა ექსპერტებმა შეიმუშავეს ახალი სარეპარაციო გეგმა, „იუნგის გეგმის“ სახელწოდებით. იგი მიღებულ იქნა 1930 წლის იანვარში ჰაგის კონფერენციის მიერ და შეცვალა „დაუესის გეგმა“. „იუნგის გეგმა“ აწესებდა გერმანიის ყოველწლიურ სარეპარაციო გადასახადს 59 წლის განმავლობაში, რომლის საერთო თანხა 113,9 მლრდ. ოქროს მარკით იქნა განსაზღვრული. მაგრამ, თუ „დაუესის გეგმით“ გერმანიის ყოველწლიური სარეპარაციო შესატანი 2,5 მლრდ. მარკით იყო დადგენილი, ახალი გეგმა მას 2 მლრდ. მარკით ადგენდა. ეს გეგმა, გარდა ამისა, აუქმებდა მოკავშირეთა კონტროლს გერმანიის ფინანსებსა და ეკონომიკაზე. სამრეწველო კონცერნები ყოველგვარი კონტროლისაგან ფორმალურადაც თავისუფლდებოდნენ, რაც მსხვილმა მაგნატებმა სამხედრო წარმოების სწრაფად გაზრდისათვის გამოიყენეს. მაშინ, როდესაც მილიარდობით თანხები გერმანიის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენისათვის იხარჯებოდა, მმართველი წრეები ყოველგვარი უმნიშვნელო მიზეზების გამოყენებას ცდილობდნენ იმისათვის, რათა თავი აერიდებინათ სარეპარაციო თანხების გადახდისაგან.

1929 წელს დაწყებულმა მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა ძალზე გააუარესა გერმანიის ფინანსური მდგომარეობა. 1931 წლის ივნისში გერმანიის პრეზინდენტმა ჰინდენბურგმა თხოვნით მიმართა აშშ პრეზინდენტს ჰ. ჰუვერს სარეპარაციო თანხების გადახდის მორატორიუმის (განვადების) შესახებ. ამერიკის პრეზიდენტის მხარდაჭერით გერმანიას 1 წლის ვადით მიეცა განვადება. ერთი წლის შემდეგ გერმანიამ ისევ მოითხოვა მორატორიუმი. 1932 წლის ივნისში ლოზანში მოწვეულმა სარეპარაციო კონფერენციამ გერმანიას სამწლიანი მორატორიუმი მისცა. ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ გერმანიამ ყოველგვარი სარეპარაციო თანხების გადახდა შეწყვიტა. ამრიგად, პარი-

ზის საზავო კონფერენციიდან დაწყებული 1932 წლის ლოზანის სარეპარაციო კონფერენციამდე, დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობის შედეგად გერმანიამ თავიდან აიცილა რეპარაციების დიდი ნაწილის გადახდა, ეს შემთხვევითობით როდი იყო გამოწვეული. დასავლეთის სახელმწიფოები დ: უპირველეს ყოვლისა აშშ და ინგლისი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მრავალ მილიონიან სესხებს აძლევდნენ გერმანიას და ეხმარებოდნენ მას სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენაში, რათა მისი აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიემართათ.

საერთაშორისო იმპერიალიზმის მორიგი ანტისაბჭოთა გამოხდომების ჩაშლა

საბჭოთა მთავრობა გენუის კონფერენციის შემდეგაც მშვიდობიანი თანაარსებობის თანამიმდევრულ პოლიტიკას ანხორციელებდა. საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი პოლიტიკა დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა მსოფლიოს პროგრესულ წრეებში და მშრომელთა ფართო ფენებში, რომელნიც მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირის ცნობას და მასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას. მიუხედავად საერთაშორისო რეაქციის ყოველგვარი ცდებისა, 1924 წლიდან მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები, გარდა აშშ-სა, იძულებულნი გახდნენ ეცნოთ საბჭოთა კავშირი და დაემყარებინათ მასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა. 1924 წელს საბჭოთა კავშირი სცნეს: ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და ჩინეთმა, 1925 წელს იაპონიამ, სკანდინავიის ქვეყნებმა, ავსტრიამ, საბერძნეთმა და სხვ.

აღდგენითი სამუშაოების წარმატებით დამთავრებამ და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დასაწყისმა კიდევ უფრო გაზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტი და გავლენა. 1925 — 1927 წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირმა ხელშეკრულებები დადო თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ 1925 წელს — თურქეთთან, 1926 წელს — გერმანიასთან, ავღანეთთან და ლიტვასთან.

საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიანი პოლიტიკა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსოფლიოს პროგრესულ ძალებზე. ამ შთაბეჭდილების გაქარწყლების მიზნით იმპერიალისტური სახელმწიფოები სხვადასხვა მანევრებს მიმართავდნენ. 1927 წლის 6 აპრილს, აშშ მსოფლიო ომში ჩაბმის 10 წლის თავთან დაკავშირებით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიანმა მიმართა წინადადებით აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კელოგს, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის დადებულიყო მუდმივი მეგობრობის ხელშეკრულება, რომლითაც უნდა აკრძალულიყო ომი, როგორც ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკის საშუალება. კელოგმა მოიწონა ბრიანის იდეა, მაგრამ მოითხოვა, რომ ასეთი ხელშეკრულება არა ორმხრივი, არამედ მრავალმხრივი ყოფილიყო. აშშ-ის მთავრობაშ ასეთი წინადადებით 48 სახელმწიფოს მიმართა. საფრანგეთის მთავრობამ თავის მხრივ მოიწონა აშშ-ის კონტრწინადადება.

საყურადღებოა, რომ აშშ-ს და საფრანგეთის მთავრობის მესვეურები ვარაუდობდნენ, რომ თავისი პაციფისტური დემაგოგიით ისინი მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგებოდნენ როგორც მშვიდობისათვის მებრძოლები და ამით შენიღბავდნენ თავის იმპერიალისტურ ზრახვებს.

საბჭოთა მთავრობა არ მიიწვიეს მოლაპარაკებაზე ბრიან-კელოგის პაქტის და-

დებისათვის, რაც კიდევ ერთხელ მოწმობდა ამ პაქტის ინიციატორთა ცდებს, რომ ეს პაქტიც ანტისაბჭოთა იარაღად გადაექციათ. საბჭოთა მთავრობამ ამ-ხილა იმპერიალისტთა ეს ცდები და მოითხოვა მონაწილეობა ბრიან-კელოგის პაქტის მოლაპარაკებაში.

1928 წლის 27 აგვისტოს პარიზში ბრიან-კელოგის პაქტს ხელი მოაწერეს 15 ქვეყნის წარმომადგენლებმა. მათ შორის იყვნენ: აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია და სხვები. იმავე დღეს საბჭოთა კავშირმა მიიღო მოწვევა პაქტისადმი შეერთების შესახებ, მაგრამ კაპიტალისტური ქვეყნები აჭიანურებდნენ პაქტის რატიფიკაციას. საბჭოთა კავშირმა პირველმა მოახდინა პაქტის რატიფიცირება და წინადადება მისცა პოლონეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს და ფინეთს არ დალოდებოდნენ ყველა ქვეყნის მიერ პაქტის რატი-ფიკაციას და დაუყოვნებლივ დაეწყოთ მისი განხორციელება. 1929 წლის თე-ბერვალში სსრკ, ლატვიამ, ესტონეთმა, პოლონეთმა, რუმინეთმა ხელი მოაწე-რეს ოქმს აღნიშნული პაქტის ძალაში შესვლის შესახებ. მალე მოსკოვის ოქმს შეუერთდნენ თურქეთი, ირანი და ლიტვა. ბრიან-კელოგის პაქტი რატიფიცი-რებული იქნა ყველა მასზე ხელმომწერი ქვეყნების მიერ. ამრიგად, კვლავ ჩაიშა-ლა დასავლეთის სახელმწიფოების ცდები საბჭოთა კავშირის იზოლირებისა და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნისა.

საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო წარმატებები საერთაშორისო იმპერიალიზმის დიდ გაშმაგებას იწვევდა, რომლის ავანგარდად ინგლისის იმპერიალიზმი გამოდიოდა. ამ დროს სწორედ ინგლისის ბურჟუაზია გამოვიდა მთავარ ინიციატორად საერთაშორისო იმპერიალიზმის ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის საქმეში. 1927 წლის 23 თებერვალს ინგლისის მთავრობა თავის ნოტაში საბჭოთა მთავრობას ბრალს დებდა, „ანტიბრიტანულ პროპა-განდაში", რის შემდეგ კონსერვატორულმა მთავრობამ მთელ რიგ ქვეყნებში გააჩაღა ანტისაბჭოთა კომპანია, რომლის მთავარი ამოცანა იყო ახალი ინტერ-ვენციის ორგანიზაცია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობის მითი-თებით ამოქმედდენ მათი აგენტებიც და მოაწყვეს რიგი ანტისაბჭოთა გამოხ-დომები სხვადასხვა ქვეყნებში. პირველი ასეთი გამოხდომა იყო ინგლისის აგენტების მიერ ორგანიზებული თავდასხმა საბჭოთა წარმომადგენლობაზე პე-კინში, იმავე 1927 წელს ორგანიზებულ იქნა თავდასხმები საბჭოთა საკონსუ-ლოზე შანხაიში, ხანკოუსა და გუანჯოუში. ამ უკანასკნელში დაპატიმრეს საბ-ჭოთა ვიცე-კონსული და საკონსულოს თანამშრომლები და შემდეგ მხეცურად მოკლეს. იმავე წელს ვარშავაში ინგლისელმა აგენტებმა მოკლეს საბჭოთა სრულ-უფლებიანი წარმომადგენელი ვოიკოვი, ლონდონში კი ინგლისის პოლიციამ მო-აწყო თავდასხმა და ჩხრეკა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის შენობასა და ინგლის-საბჭოთა კავშირის სააქციონერო საზოგადოებაზე („არკოსზე"), რის შემდეგ, 27 მაისს ინგლისის მთავრობამ დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერ-თობა გაწყვიტა საბჭოთა ხელისუფლებასთან. 1929 წელს ჩინეთის მილიტარის-ტებმა და იქ ემიგრირებულმა რუს თეთრგვარდიელთა ჯარის ნაწილებმა მანჯუ-რიაში ერთობლივი თავდასხმა მოაწყვეს ჩინეთის აღმოსავლეთ რკინიგზაზე ჰარ-ბინში. ეს რკინიგზა გაყვანილი იყო ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს რუსი ხალ-ხის მიერ და მის ხარჯზე. ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული ხელ-შეკრულებით ამ რკინიგზის მმართველობა ხორციელდებოდა პარიტეტულ საწ-

ყისებზე — ერთობლივად საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წარმომადგენლების მიერ. ამ თავდასხმის შემდეგ საბჭოთა წარმომადგენლები დაპატიმრებული იქნენ. ჩინეთის და თეთრგვარდიელების მოქმედება ამით არ შეიზღუდა. იაპონიის, აშშ-ის, ინგლისის და საფრანგეთის წაქეზებით, ჩინეთის მილიტარისტებმა და რუსმა თეთრგვარდიელებმა დაარღვიეს ჩვენი ქვეყნის საზღვრები და საბჭოთა ტერიტორიაზე შემოიჭრნენ. საბჭოთა მთავრობის ყოველგვარი ცდები, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოეგვარებინა შექმნილი ვითარება, უშედეგოდ დამთავრდა. მაშინ შორეული აღმოსავლეთის საგანგებო არმიამ სწრაფი დარტყმებით დააშოშმინა ჩინეთის მილიტარისტები, აღდგენილ იქნა ჩინეთის აღმოსავლეთის რკინიგზაზე საბჭოთა უფლებები. ყველა ამ პროვოკაციის მთავარი მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ჩათრევა ომში მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ და ერთიანი ანტისაბჭოთა იმპერიალისტური ფრონტის შექმნა, მაგრამ იმპერიალისტთა ეს მორიგი ანტისაბჭოთა გამოხდომები ჩაიშალა. ააშკარავებდა რა საერთაშორისო იმპერიალიზმის ამ მორიგ ანტისაბჭოთა პროვოკაციულ გამოხდომებს, საბჭოთა მთავრობამ ამავე დროს მათ მტკიცე, მაგრამ მშვიდობიანი პოლიტიკით უპასუხა, არ აჰყვა ამ პროვოკაციებს და ჩაშალა მორიგი გამოხდომები საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. იმპერიალისტური სახელმწიფოები ვერ ურიგდებოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო წარმატებებს. ისინი ახალ გზებს ეძებდნენ მორიგი ანტისაბჭოთა გამოხდომებისათვის, ერთიანი, იმპერიალისტური, ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნისათვის. თუ 1927 — 1929 წლებში საერთაშორისო არენაზე ანტისაბჭოთა პროვოკაციების მთავარ ქვეყანას ინგლისი წარმოადგენდა, 1929 — 1931 წლებში საფრანგეთის იმპერიალიზმი გამოვიდა. 1930 წლის მაისში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიანი გამოვიდა „პან-ევროპის" შექმნის წინადადებით. მან წამოაყენა პროექტი, რათა შექმნილიყო ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოთა ევროპის ფედერალური კავშირი, რომლის დანიშნულება თითქოს უშიშროება და ეკონომიური აყვავება უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში კი ბრიანი მიზნად ისახავდა საფრანგეთის ხელმძღვანელობით ევროპის სახელმწიფოთა ახალი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნას. ამავე დროს, ამ პროექტის ერთერთი ამოცანა იყო საფრანგეთის პოზიციების განმტკიცება ევროპაში ინგლის-ამერიკის ხარჯზე, ამიტომ ამ უკანასკნელმა სახელმწიფოებმა არ დაუჭირეს მხარი „პან ევროპის" შექმნის პროექტს. საბჭოთა მთავრობამ გამოიყენა რა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობები, „პან-ევროპის" პროექტს ახალი სამშვიდობო პოლიტიკით უპასუხა. 1932 წელს საბჭოთა მთავრობამ დადო ხელშეკრულებები ნეიტრალიტეტისა და ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ პოლონეთთან, ფინეთთან, ლიტვასთან და ესტონეთთან, ხოლო საფრანგეთთან კი ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ.

ომის ორი კერის შექმნა

1931 წლის სექტემბერში იაპონიამ დაიწყო აგრესია ჩინეთში. ისარგებლა რა იმით, რომ აშშ და ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ვითარებაში მთლიანად თავისი საშინაო საქმეებით იყვნენ დაკავებულნი, იაპონიამ თითქმის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე

ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ მანჯურიის ოკუპაცია. 1932 წლის მარტში იაპონიამ შექმნა მარიონეტური სახელმწიფო „მანჯოუ-გოს“ სახელწოდებით, რომლის სათავეში ჩააყენა მანჯურთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი სუან-ტუნი, იმპერატორ პუ-ის სახელწოდებით. იაპონიის აგრესიასთან დაკავშირებით მანჯურიაში, ჩინეთის მთავრობამ საჩივრით მიმართა ერთა ლიგას და მოითხოვა იაპონიის ჯარების გაყვანა მანჯურიიდან, მაგრამ მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს არავითარი ღონისძიებები არ მიუღიათ აგრესიის აღსაკვეთად იმ იმედით, რომ იაპონიის მტაცებლური მოქმედება გამოიწვევდა საბჭოთა კავშირთან შეჯახებას. მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალსაზრისით ერთა ლიგამ მაინც მიიღო დადგენილება შექმნილიყო კომისია ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და აშშ წარმომადგენლებისაგან და გამოერკვიათ იაპონიის აგრესიის გარემოება ადგილზე. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა ინგლისელი ლიტონი. ამ კომისიამ ერთი წლის შემდეგ ერთა ლიგაში წარადგინა მოხსენება, რომელიც გვერდს ვერ უვლიდა იაპონიის აგრესიის აქტს ჩინეთში. ერთა ლიგა, იმის ნაცვლად, რომ მიეღო სანქციები აგრესორის წინააღმდეგ, შეიზღუდა მხოლოდ დადგენილებით, რომელიც უკრძალავდა მის წევრებს მანჯოუ-გოს, როგორც დე-იურად, ასევე დე-ფაქტოდ ცნობას. ისარგებლა რა დასავლეთის სახელმწიფოების ანტისაბჭოთა წაყრუების პოლიტიკით, იაპონიამ უფრო გაიფართოვა თავისი აგრესია ჩინეთის სხვა პროვინციებშიც. იაპონიის აგრესიის გაფართოება ჩინეთში ლახავდა ინგლისის და ამერიკის ინტერესებს ამ ქვეყანაში. 1933 წლის თებერვალში ერთა ლიგის პლენუმმა განიხილა იაპონიის აგრესიის საკითხი და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც იაპონიას მოუწოდებდა გამოეყვანა თავისი ჯარები მანჯურიიდან და დაებრუნებინა ჩინეთისათვის მიტაცებული ტერიტორია. ამის საპასუხოდ იაპონია გამოვიდა ერთა ლიგიდან და გაძლიერებით დაიწყო მზადება ომისათვის.

ასე აღმოცენდა ომის პირველი კერა შორეულ აღმოსავლეთში.

ომის მეორე კერა აღმოცენდა ევროპის ცენტრში, 1933 წელს ფაშისტური დიქტატურის დამყარების შედეგად გერმანიაში. ჰიტლერელებმა ხელთ ჩაიგდეს რა ძალაუფლება, მაშინვე დაადგნენ ვერსალის სისტემის ვადასინჯვისა და ომის მომზადების გზას. 1933 წლის ოქტომბერში გერმანია გამოვიდა ერთა ლიგიდან და ომისათვის მზადებას აშკარად შეუდგა. სამხედრო საშიშროების ზრდის ვითარებაში საბჭოთა მთავრობამ შეცვალა თავისი დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი. საჭირო იყო ყველა შესაძლებლობების გამოყენება ომის თავიდან აცილებისათვის. ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ შეიძლებოდა ერთა ლიგის ტრიბუნის გამოყენება. საბჭოთა კავშირი ერთა ლიგაში 30 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიწვიეს. 1934 წლიდან საბჭოთა კავშირი ერთა ლიგის წევრი გახდა. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირი ცდილობდა ერთა ლიგა გადაექცია ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ მოქმედ საერთაშორისო ორგანოდ, მშვიდობისა და უშიშროების დასაყრდენად. მაგრამ ერთა ლიგაში გაბატონებული მდგომარეობა ისევ ინგლისს და საფრანგეთს ეკავა, რომელნიც მას თავისი მიზნებისათვის იყენებდნენ. ისინი კი კვლავინდებურად ძველ გზას ადგნენ და მსოფლიოს რეაქციული ძალების ანტისაბჭოთა იმპერიალისტური ფრონტის შექმნაზე ოცნებობდნენ. ამასთანავე საერთაშორისო ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა. მწვავდებოდა წინააღმდეგობანი მთავარ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, თუ 30-იან წლებამდე კაპიტალისტურ სამყაროში ძირითადად ინგლის-საფრანგეთის და ინგლის-

ამერიკის წინააღმდეგობანი არსებობდა, 30-იანი წლების შუა პერიოდიდან მნიშვნელოვნად გამწვავდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობანი: ლათინურ ამერიკაში ჰეგემონიისათვის იბრძოდნენ აშშ, ინგლისი, და გერმანია, შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის აუზში — აშშ, ინგლისი და იაპონია, ახლო და შუა აღმოსავლეთსა და აფრიკაში — ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და იტალია. ამრიგად, დღის წესრიგში კვლავ დადგა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საკითხი.

აშშ, ინგლისის და საფრანგეთის მმართველი წრეები შეშფოთებული იყვნენ გერმანია, იტალია, იაპონიის კონკურენციით და მეტოქეობით და ცდილობდნენ მათი აგრესიის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმართვას. ამ მიზნით მათ დაიწყეს „ჩაურევლობისა" და აგრესორის წაქეზების პოლიტიკის განხორციელება, რათა საბჭოთა კავშირის ხარჯზე გადაეწყვიტათ მათ შორის არსებული იმპერიალისტური წინააღმდეგობანი.

ფაშისტურმა იტალიამ გამოიყენა ეს „ჩაურევლობის" პოლიტიკა და 1935 წლის ოქტომბერში დაუსჯელი ომი გააჩაღა ეთიოპიის წინააღმდეგ. ამავე წელს იტალია ერთა ლიგიდან გამოვიდა და გაამლიერა სამხედრო მზადება. დაიპყრო რა აბისინია, იტალია დაემუქრა ინგლისის სამფლობელოებს — აღმოსავლეთ აფრიკასა და ეგვიპტეს. ევროპიდან აზიაში მიმავალი საზღვაო კომუნიკაციები საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ასე შეიქმნა ომის ახალი კერა ხმელთაშუა ზღვის აუზში.

დასავლეთის სახელმწიფოები სულ ახალ და ახალ დათმობებზე მიდიოდნენ ფაშისტური სახელმწიფოების წინაშე. 1935 წლის ივნისში ხელმოწერილ იქნა ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმება, რომლითაც ინგლისმა ოფიციალურად ცნო გერმანიის უფლებები საზღვაო შეიარაღების საქმეში, რაც ვერსალის ზავის აშკარა დარღვევა იყო. გერმანიამ უფლება მიიღო ჰყოლოდა სამხედრო ფლოტი ინგლისის სამხედრო საზღვაო ფლოტის 35%-ის ოდენობით, ხოლო წყალქვეშა ფლოტი კი ისეთივე თანაფარდობის, როგორც ბრიტანეთის იმპერიას ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელშეკრულება ინგლისის უშიშროების საქმეს უქმნიდა, ბრიტანეთის ხელმძღვანელების აზრით იგი მარტო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული, და ვითომც უზრუნველყოფდა გერმანიის ბატონობას ბალტიის ზღვაზე.

1936 წლის მარტში ფაშისტურმა გერმანიამ ცალმხრივად გააუქმა რაინის საგარანტიო პაქტი და 1925 წლის ლოკარნოს ხელშეკრულება, რის შემდეგ გერმანელთა ჯარები რაინის დემილიტარიზებულ ოლქში შევიდნენ. გერმანელთა ეს აქტი ვერსალის საზავო ხელშეკრულების უხეში დარღვევა იყო. იგი პირველ რიგში საფრანგეთს უქმნიდა საშიშროებას. მოსალოდნელი იყო, რომ გერმანია აქ საფრანგეთის დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდა. ამიტომ იგი ფრთხილად მოქმედებდა, თავის ჯარს ბრძანება მიეცა, რომ თუ რაინის ოლქის დაკავების დროს აქ საფრანგეთის ჯარი გამოჩნდებოდა, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე სასწრაფოდ უკან დაეხია, მაგრამ ეს არ მოხდა. დასავლეთის სახელმწიფოები იმდენად დაბრმავებულნი იყვნენ საბჭოთა სახელმწიფოსადმი სიძულვილით, რომ ეშინოდათ მათ აქტიურ მოქმედებას აგრესორის წინააღმდეგ ფაშისტური რეჟიმის დამხობა არ მოყოლოდა გერმანიაში, რაც, მათი აზრით, მხოლოდ მოსკოვისათვის იქნებოდა ხელსაყრელი.

ამრიგად, ფაშისტების მიერ რაინის ოლქის მიტაცება დაუსჯელი დარჩა.

1936 წელს ჰიტლერულმა გერმანიამ ფაშისტურ იტალიასთან ერთად ინტერვენცია მოაწყო ესპანეთის კანონიერი, სახალხო ფრონტის მთავრობის წინააღმდეგ, დახმარება გაუწია ესპანელ ფაშისტებს, ესპანეთის ხალხის მიერ არჩეული მთავრობის დამხობის და ფაშისტური დიქტატურის დამყარებაში. გერმანია-იტალიის ინტერვენცია ესპანეთში საშიშროებას უქმნიდა საფრანგეთს და ინგლისს, ვინაიდან ფაშისტურ სახელმწიფოებს შეეძლოთ ესპანეთის ტერიტორია გამოეყენებინათ დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ. მაგრამ ესპანეთის დემოკრატიული ძალების ზრდით დაშინებული დასავლეთის სახელმწიფოები პირიქით აქეზებდნენ ინტერვენციას და „ჩაურევლობის კომიტეტის“ შექმნით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ესპანელი ხალხისადმი დახმარების საქმეში. ინტერვენციასთან ერთად ჰიტლერულმა გერმანიამ ესპანეთში ფართო ეკონომიური ექსპანსიაც დაიწყო.

ესპანეთში ერთობლიმა ინტერვენციამ გამოიწვია ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური იტალიის დაახლოება. 1936 წლის 25 ოქტომბერს ჰიტლერულ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიას შორის დაიდო ხელშეკრულება. რომელმაც განამტკიცა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ამ ორ აგრესიულ სახელმწიფოს შორის. მან ღერძის „ბერლინი-რომის“ სახელწოდება მიიღო. ორივე მხარემ განაცხადა, რომ საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში შეთანხმებულად და ერთობლივად იმოქმედებენ. გერმანიამ ცნო იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობა. გარდა ამისა, ამ ორივე აგრესიულმა სახელმწიფომ გაიყვეს გავლენის სფეროები ბალკანეთსა და დუნაის აუზში. ისინი შეთანხმდნენ, რომ გერმანია ექსპანსიას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში წარმართავს, ხოლო იტალია კი—ხმელთაშუა ზღვის რაიონში.

საბჭოთა მთავრობა ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც საქვეყნოდ გმობდა ფაშისტური სახელმწიფოების აგრესიას და მოითხოვდა მათ წინააღმდეგ მშვიდობიანი ქვეყნების ერთიანი კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას. დასავლეთის სახელმწიფოები კი თავისი წაყრუების პოლიტიკით იმედოვნებდნენ, რომ ისინი, საბოლოოდ აგრესიული სახელმწიფოების დარტყმას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმართავდნენ. ისინი აქეზებდნენ ჰიტლერულ გერმანიასაც და იმპერიალისტურ იაპონიასაც. ამ უკანასკნელმა მანჯურიის დაპყრობის შემდეგ არაერთი პროვოკაცია მოაწყო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზაზე, რის გამოც ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის საზღვრებზე დაძაბული ვითარება შეიქმნა. საერთაშორისო რეაქცია სიხარულით მოელოდა, რომ იაპონიის პროვოკაციებს მალე ომი მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირთან, მაგრამ საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა პოლიტიკამ ჩაშალა საერთაშორისო იმპერიალიზმის ცდები. საბჭოთა, მთავრობამ შესთავაზა იაპონიასა და მანჯოუ-გოს შეეყიდა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზა. 1935 წლის მარტში დადებული ხელშეკრულებით საბჭოთა მთავრობამ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზა იაპონიას 140 მილიონ იენად მიყიდა, მაგრამ იაპონიის სამხედრო ხროვამ არც ამის შემდეგ შეწყვიტა თავისი პროვოკაციები შორეულ აღმოსავლეთში. ამჯერად მან თავის აგრესიის ობიექტად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა გაიხადა, რომლის საზღვრები არა ერთხელ დაარღვია. ამის საპასუხოდ, 1936 წლის 12 მარტს ულან-ბატორში საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა ხელ-

შეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. ამავე დროს საბჭოთა მთავრობამ თავის ნოტაში იაპონიის მთავრობას ოფიციალურად განუცხადა, რომ მონღოლეთის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში იგი თავის მეუობელს დაიცავდა. იაპონია ჯერ კიდევ არ იყო მზად „დიდი ომისათვის" და ამიტომ მან ვერ გაბედა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის დაწყება. ამასთანავე, ამ ამბებმა დაჩქარა იაპონიის დაახლოება გერმანიასთან. თავდაპირველად, ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობანი ჩინეთსა და წყნარი ოკეანის აუზში ხელს უშლიდა მათ დაახლოებას. როგორც ვიცით, ვერსალის ზავმა გერმანიის კოლონიები აღნიშნულ რაიონში იაპონიას მიაკუთვნა. ჰიტლერულმა გერმანიამ თვითონ, პირველმა გადადგა ნაბიჯი იაპონიასთან დაახლოებისათვის. 1935 წლის ზაფხულში ჰიტლერის მთავრობამ იაპონიის ელჩს ბერლინში განუცხადა, რომ გერმანია არ აღძრავს საკითხს ჩინეთსა და წყნარი ოკეანის აუზში თავისი ყოფილი სამფლობელოების უკან დაბრუნების შესახებ.

1936 წლის ნოემბერში გერმანიამ და იაპონიამ ხელი მოაწერეს ე. წ. „ანტიკომინტერნულ პაქტს", რომელსაც 1937 წელს იტალიაც შეუერთდა. ამრიგად, ჩამოყალიბდა ფაშისტური სახელმწიფოების სამხედრო აგრესიული ბლოკი, რომელიც მიმართული იყო, არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მათი იმპერიალისტური მეტოქეების წინააღმდეგაც. 1939 წელს „ანტიკომინტერნულ პაქტს" შეუერთდნენ უნგრეთი, ესპანეთი და მანჯოუ-გო. თავისი აგრესიული და მტაცებლური პოლიტიკის შენიღბვის მიზნით ფაშისტურმა სახელმწიფოებმა საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნად კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადეს. ამიტომ იყო, რომ დასავლეთის სახელმწიფოები მათ წინაშე ასეთ დიდ დათმობებზე მიდიოდნენ. 1938 წლის მარტში ჰიტლერელებმა მოახდინეს ავსტრის ე. წ. „ანშლუსი", ანუ მიტაცება და შეუერთეს იგი გერმანიას, ისე რომ არ წაწყდომიან დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგობას, ამის შემდეგ ჰიტლერულმა მთავრობამ წაუყენა ტერიტორიული პრეტენზიები ჩეხოსლოვაკიას და მოსთხოვა მას მისი კუთვნილი ტერიტორია — სუდეტის ოლქი, იმ მოტივით, რომ თითქოს ამ ოლქში მცხოვრები გერმანელები ჩეხოსლოვაკიელი ხალხისაგან ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდნენ.

1938 წლის სექტემბერში, მიუნხენში, შეიკრიბა ოთხი იმპერიალისტური სახელმწიფოს მეთაურთა ინგლისის (ჩემბერლენი), საფრანგეთის (დალადიე), იტალიის (მუსოლინი), და გერმანიის (ჰიტლერი) კონფერენცია, სადაც მოხდა სამარცხვინო გარიგება. ინგლის-საფრანგეთის მმართველმა წრეებმა, იმ იმედით, რომ გერმანიის აგრესიას მიმართავდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დაკმაყოფილეს ჰიტლერის პრეტენზიები ჩეხოსლოვაკიის კუთვნილი ტერიტორია—სუდეტის ოლქზე და მისი ნება-სურვილის გარეშე გადასცეს იგი გერმანიას, მაგრამ გათავხედებული გერმანია ამითაც არ დაკმაყოფილდა და 1939 წლის მარტში მოახდინა მთელი ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია.

აშშ ფაქტიურად მხარს უჭერდა ინგლის-საფრანგეთის მთავრობების მიერ გერმანიისადმი გატარებული დათმობების პოლიტიკას. აშშ ელჩმა ლონდონში განუცხადა გერმანიის ელჩს, რომ ამერიკის მთავრობა სცნობს გერმანიის ინტერესებს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. აშშ მთავრობამ აქტიურად დაუჭირა მხარი ინგლის-საფრანგეთის მთავრობების მოთხოვნას ჩეხოსლოვაკიისადმი, რათა იგი წასულიყო გერმანიის მიმართ დათმობაზე და გადაეცა მისთვის სუდეტის ოლქი.

ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ჰიტლერული გერმანიის აგრესიული აქტების წინააღმდეგ გამოდიოდა, საბჭოთა კავშირი იყო. საბჭოთა კავშირი მოითხოვდა ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას და აგრესორის ალაგმვას. ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის ჯერ კიდევ 1935 წელს დაიდო ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. ასეთივე ხელშეკრულება არსებობდა ჩეხოსლოვაკიასა და საფრანგეთს შორისაც. საბჭოთა მთავრობამ არაერთხელ განაცხადა, რომ იგი მზადაა დაეხმაროს ჩეხოსლოვაკიას აგრესორის წინააღმდეგ, თუ საფრანგეთიც შეასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა უარი თქვა ჩეხოსლოვაკიისათვის დახმარებაზე, საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზადაა მარტოდმარტო დაეხმაროს მას, თუ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ასეთი მოთხოვნით მიმართავს საბჭოთა სახელმწიფოს და პოლონეთი კი წითელ არმიას გაატარებს თავის ტერიტორიაზე. საბჭოთა მთავრობის წინადადება უარყოფილ იქნა ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის მთავრობების მიერ. მიუნხენის გარიგებამ ომისა და აგრესიის ძალები ევროპაში გააძლიერა. ამ პროცესს უფრო მეტად ხელი შეუწყო სამი სახელმწიფოს წარმომადგენლების — საბჭოთა კავშირის, ინგლისის და საფრანგეთის მოლაპარაკების ჩაშლამ მოსკოვში ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე. მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან დასავლეთის სახელმწიფოებმა საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალის ახვევის მიზნით გამართეს. საბჭოთა კავშირთან მათ ისეთი სელშეკრულების დადება აინტერესებდათ, რომელიც ჩვენ ქვეყანას მარტოდმარტო დაუპირისპირებდა ფაშისტურ ბლოკს. ჰიტლერელთა არქივის ამჟამად უკვე გამოქვეყნებული მასალებიდან ცნობილია, რომ სსრ კავშირსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ორ ფრონტზე ომის პერსპექტივა საშუალებას არ მისცემდა გერმანიას გაეჩაღებინა მეორე მსოფლიო ომი და კაცობრიობა გადარჩებოდა იმ უბედურებას, რომელიც მას ამ ომმა მოუტანა. ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში ბრალი მიუძღვის, არა მარტო ფაშისტური ბლოკის ქვეყნებს, არამედ დასავლეთის სახელმწიფოების მმართველ წრეებსაც.

მოსკოვის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ 1939 წლის აგვისტოში ჰიტლერულმა მთავრობამ წინადადებით მიმართა საბჭოთა კავშირს ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ. საბჭოთა კავშირს, მას შემდეგ, რაც დასავლეთის სახელმწიფოებმა ჩაშალეს ანტიფაშისტური კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ევროპაში, არჩევანი აღარ რჩებოდა გარდა იმისა, რომ მიეღო გერმანიის წინადადება. ცხადია, საბჭოთა მთავრობა მოელოდა, რომ ხელსაყრელ მომენტში გერმანია დაარღვევდა ამ ხელშეკრულებას, მაგრამ საჭირო იყო დროის მოგება და, რაც მთავარია, დასავლეთის სახელმწიფოების ანტისაბჭოთა გეგმებიც ჩაშლა. ამასთანავე ასეთი ხელშეკრულების დადება დასავლეთის სახელმწიფოების წაყრუებისა და წაქეზების პოლიტიკის კრახს ნიშნავდა. ხელშეკრულება გაფორმდა მოსკოვში 1939 წლის 23 აგვისტოს. იგი 10 წლის ვადით დაიდო. ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა უარი ეთქვა ურთიერთთავდასხმაზე, ხოლო სხვა სახელმწიფოებთან ომის შემთხვევაში არ გაეწია დახმარება და მხარდაჭერა მესამე მხარისათვის.

ამრიგად, დასავლეთის სახელმწიფოებმა, თავისი ანტიეროვნული და ანტისაბჭოთა პოლიტიკის შედეგად, ჩაშალეს საბჭოთა მთავრობის ყველა ცდა ან-

ტიფაშისტური, კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საქმეში და ფაშისტური ბლოკის სასალმწიფოებს მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების საშუალება მისცეს.

გერმანია I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

რევოლუციური კრიზისის მომწიფება გერმანიაში

გაჭიანურებულმა ომმა, მისგან გამოწვეულმა უდიდესმა ხარჯებმა და მსხვერპლმა, სამეურნეო ნგრევამ და სახალხო მეურნეობის დაცემამ, ფასების ორხახულმა ზრდამ და ხალხთა მასების მატერიალური მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ რევოლუციური აღმავლობა გამოიწვია გერმანიაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას უდიდესი გამარევოლუციონერებელი გავლენა ქონდა ამ ქვეყანაზე, სადაც 1918 წლის შემოდგომისათვის მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია. გერმანიაში ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ იყო ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური ურთიერთობა ძლიერ განვითარებული იყო, აქ ჯერ კიდევ იყო ფეოდალიზმის გადმონაშთები; არსებობდა მონარქიული ხასიათის მმართველობის აპარატი — იმპერატორის ძლიერი ხელისუფლება დ იუნკერთა მსხვილი მიწათმფლობელობა. ამავე დროს, გერმანიაში, რომელსაც მრეწველობის განვითარებით ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგიდან პირველი ადგილი ეკავა ევროპაში, სოციალისტური რევოლუციის ყველა მატერიალური წანამძღვრები არსებობდა. მაგრამ, აქ არ იყო ახალი ტიპის მასობრივი, მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური პარტია, რომელიც შესძლებდა სათავეში ჩასდგომოდა მუშათა კლასის ბრძოლას პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია აშკარა ოპორტუნისტულ-რეფორმისტულ პარტიას წარმოადგენდა, ბურჟუაზიის სამსახურში იდგა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამტარებლად ითვლებოდა მუშათა მოძრაობაში. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების-ებერტის, შეიდემანის, ლანდსბერგის, ბაუერის და სხვების გამცემლური პოლიტიკა მუშათა საერთო უკმაყოფილებას იწვევდა და მათი გავლენა სწრაფად ეცემოდა.

ცენტრისტები — კაუცკის, ჰაზეს, დიტმანის, ბარტის და სხვათა მეთაურობით იმ მიზნით, რომ არ აღმოჩენილიყვნენ სულ მთლად მასებისაგან ზურგშექცეული, და არ დაეკარგათ თავისი გავლენა მუშათა კლასში, 1917 წელს გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან და შექმნეს ცენტრისტული პარტია გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით. მართალია, ამ პარტიის ლიდერები ჰგმობდნენ მემარჯვენეების აშკარა გამცემლურ პოლიტიკას, მაგრამ ფაქტიურად ისინიც ოპორტუნიზმის გზას ადგნენ. „დამოუკიდებლები" წინააღმდეგი იყვნენ რევოლუციური მეთოდებით ბრძოლისა და პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა.

ერთადერთი რევოლუციური მიმდინარეობა გერმანიის სოციალისტურ მოძრაობაში იყო „სპარტაკის კავშირი", რომელიც 1916 წელს შეიქმნა მემარცხე-

ნე სოციალისტებისაგან. მისი ხელმძღვანელები იყვნენ ცნობილი რევოლუციონერები კარლ ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი, ვილჰელმ პიკი, კლარა ცეტკინი და სხვები. ისინი ბრძოლას რეაქციის წინააღმდეგ სოციალიზმისათვის რევოლუციური მეთოდებით აწარმოებდნენ. მაგრამ „სპარტაკის კავშირს“ ახასიათებდა ნახევრადცენტრისტული ხასიათის შეცდომები. მისი ხელმძღვანელობა უარყოფდა გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის როლს. იგი გლეხობას რეაქციულ ძალად სთვლიდა. ამიტომ იყო, რომ ამ პარტიის საბრძოლო პროგრამა არ ითვალისწინებდა აგრარულ საკითხს. მცდარი იყო აგრეთვე მათი შეხედულება პარტიის, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმის საკითხზე, რაც თავის გამოხატულებას პოულობდა მუშათა სტიქიური მოძრაობისადმი ქედის მოხრაში. სწორედ პარტიის როლის უგულვებელყოფიდან გამომდინარე „სპარტაკის კავშირის“ ხელმძღვანელობამ დაუშვა შეცდომა და 1917 წელს სექციის სახით შეუერთდა „დამოუკიდებელ“ სოციალისტურ პარტიას. ამან ხელი შეუშალა მემარცხენე რადიკალების, ანუ „სპარტაკის“ გავლენის ზრდას მასებზე და მის გადაქცევას მასობრივ ორგანიზაციად.

მიუხედავად ყველა ამ შეცდომისა, „სპარტაკის კავშირი“ რევოლუციური მეთოდებით აწარმოებდა ბრძოლას გაჭიანურებული ომისა და გერმანიის რეაქციის წინააღმდეგ. მუშათა კლასს იგი ომის საწინააღმდეგო გამოსვლებისაკენ მოუწოდებდა, რომელიც გერმანიაში 1916 წლიდან ძლიერდება. მაგრამ იგი ოქტომბრის რევოლუციის გავლენით 1917 წლის დამლევიდან საყოველთაო ხასიათს ღებულობს.

გერმანელი ხალხი დიდი თანაგრძნობით შეხვდა საბჭოთა მთავრობის დეკრეტს. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დადების შესახებ მეომარ ქვეყნებს შორის. სამაგიეროდ აღშფოთება გამოიწვია კაიზერის მთავრობის მიერ მძარცველური საზავო პირობების წაყენებამ საბჭოთა დელეგაციისადმი ბრესტლიტოვსკში.

ამის საპასუხოდ 1918 წლის იანვარში გერმანიაში იფეთქა მასობრივმა ომის საწინააღმდეგო პოლიტიკურმა დემონსტრაციამ, რომელშიც 2 მილიონზე მეტი მუშა მონაწილეობდა. 28 იანვარს მარტო ბერლინში 1 მილიონზე მეტი კაცი გაიფიცა, რომელიც 3 თებერვლამდე გაგრძელდა და ბოლოს პროფკავშირთა რეფორმისტულმა ლიდერებმა ჩაშალეს. ბერლინის მუშებმა შემდეგი მოთხოვნები წამოაყენეს. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დადება, როგორც ეს საბჭოთა რუსეთმა წამოაყენა ბრესტ-ლიტოვსკში, სამშვიდობო მოლაპარაკებაში ყველა ქვეყნის მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობა, წარმოებათა მილიტარიზაციის დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია, ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება, გერმანიის სახელმწიფო დაწესებულებების რადიკალური დემოკრატიზაცია.

1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გერმანიისა და მისი მოკავშირეების სამხედრო დამარცხებებმა კიდევ უფრო გაამწვავეს ქვეყნის პოლიტიკური კრიზისი. გერმანიის სარდლობის უკანასკნელი ცდები შეეტრიალებინა ომის ბედი თავის სასარგებლოდ, 1918 წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე დასავლეთის ფრონტზე წარმოებული შეტევებით მარცხით დამთავრდა,

მარცხს განიცდიდნენ გერმანიის მოკავშირეებიც. სექტემბრის დამლევს კაპიტულიაცია გამოაცხადა ბულგარეთმა, ოქტომბრის დამლევს — თურქეთმა, ხოლო 3 ნოემბერს კი — უკვე დაშლილმა, ავსტრო-უნგრეთის იმპერიამ.

გერმანიას ვერ უშველა საბჭოთა რუსეთთან დადებულმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავმაც, რომლითაც გერმანიის სარდლობა იმედოვნებდა, რომ აღმოსავლეთის ფრონტიდან ჯარებს დასავლეთის ფრონტზე გადაისროდა. გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მასობრივი პარტიზანული განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლამ, მისი სარდლობა აიძულა საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმია ჰყოლოდა იქ. ამასთანავე ომში ანტანტის მხარეზე აშშ-ის ჩაბმამ და ევროპაში მათი ახალი ძალების გადმოსხმამ გერმანიის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. ნათელი გახდა რომ ომი წაგებული იყო. შექმნილმა მდგომარეობამ გერმანიაში რევოლუცია დაიჩქარა.

გერმანიის სარდლობამ მოითხოვა მთავრობის შემადგენლობის ისეთი პირებით შეცვლა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ანტანტის სახელმწიფოებთან ხელსაყრელ ზავს, მეორეს მხრივ კი თავისი ლიბერალური დემაგოგიით თავიდან აიცილებდა რევოლუციას.

1918 წლის 3 ოქტომბერს შექმნილ იქნა კოალიციური მთავრობა პრინც მაქს ბადენელის მეთაურობით. მთავრობაში შევიდნენ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები შეიდემანი და ბაუერი.

5 ოქტომბერს ბადენელის მთავრობამ დროებითი ზავის შესახებ თხოვნით მიმართა აშშ-ის პრეზიდენტ უილსონს. მოლაპარაკება გაჭიანურდა იმის გამო, რომ გერმანიას ასეთ პირობებშიც სურდა ხელსაყრელი საზავო პირობებისათვის მიღწევა.

მაქს ბადენელის დემაგოგიამ ქვეყანა ვერ იხსნა რევოლუციისაგან. რევოლუციური განწყობილება მოედო, როგორც ქალაქისა და სოფლის მშრომელებს, ასევე ჯარს.

1918 წლის ოქტომბრის დასაწყისში ქ. გოთაში შედგა „სპარტაკის" ჯგუფის საერთოგერმანული კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მემარცხენე რადიკალური ჯგუფების წარმომადგენლები ჰამბურგიდან და ბრემენიდან. აქ მიღებული იქნა მოწოდება, რომელიც მოახლოებულ რევოლუციაში გერმანიის პროლეტარიატის ავანგარდის როლს აღიარებდა. მოწოდებამ გამოააშკარავა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გამყიდველური მოქმედება. შეიდემანისა და ბაუერის შესელა პრინც ბადენელის მთავრობაში შეფასებული იქნა როგორც ცდა გადაერჩინათ „თავადების ტახტი და კაპიტალისტების სეიფი."

მოწოდება მოითხოვდა ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას, საალყო მდგომარეობის გაუქმებას, სამხედრო სესხების აუნაზღაურებლად გაუქმებას, მთელი საბანკო კაპიტალის, მაღაროების ექსპროპრიაციას, სამუშაო დღის შემცირებას და ხელფასის მინიმუმის დაწესებას, მსხვილი და საშუალო მიწათმფლობელობის ექსპროპრიაციას, არმიის დემოკრატიზაციას, მონარქიის დამხობას, სურსათის განაწილებაზე მუშათა კონტროლის დაწესებას და ა. შ.

სპარტაკის მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მშრომელთა მოწინავე ძალებს შორის. 1918 წლის 20 ოქტომბერს სპარტაკის კავშირმა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია მოაწყო კარლ ლიბკნეხტის ციხიდან განთავისუფლების მოთხოვნით. (კარლ ლიბკნეხტი დააპატიმრეს 1916 წელს ომის საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის). დემონსტრაცია გარეკილ იქნა, მაგრამ ახალი დემონსტრაციის შიშით მთავრობა იძულებული გახდა კარლ ლიბკნეხტი პატიმრო-

ბიდან მეორე დღესვე გაეთავისუფლებინა და ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. მაგრამ უკვე არავითარ დათმობებს არ შეეძლო რევოლუციური ქარცეცხლის შეჩერება.

ნოემბრის რევოლუცია გერმანიაში

1918 წლის 3 ნოემბერს კილში იფეთქა მეზღვაურთა აჯანყებამ, რომელსაც მუშებმაც დაუჭირეს მხარი. აჯანყებულთა ხელში გადავიდა მთელი ქალაქი. გერმანიის ისტორიაში პირველად აქ შეიქმნა მუშათა და მეზღვაურთა დეპუტატთა საბჭოები, რომელმაც ქალაქში ძალაუფლება თავის ხელში აიღო და ხალხის დაუყოვნებლივ შეიარაღებას შეუდგა. ასე დაიწყო ნოემბრის რევოლუცია ვერმანიაში.

აჯანყება მოედო სხვა ქალაქებს — ჰამბურგს, ბრემენს, ლუბეკს, ჰანოვერს ლაიპციგს, შტუტგარტს, მიუნხენს და გავრცელდა მთელ გერმანიაში. აჯანყებულები ყველგან ქმნიდნენ საბჭოებს, ამხობდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას და თავის ხელში იღებდნენ ძალაუფლებას.

დაბოლოს, 1918 წლის 9 ნოემბერს „სპარტაკის კავშირის“ მოწოდებით აჯანყებამ ბერლინში იფეთქა. აჯანყებულმა მუშებმა, რომელთაც მხარი დაუჭირეს ჯარისკაცებმაც. ხელთ ჩაიგდეს დედაქალაქის ყველა სტრატეგიული პუნქტები — რაიხსტაგი, სადგურები, ფოსტა-ტელეგრაფის და პოლიციის შენობები და რატუშა. ვილჰელმ II გაიქცა, მაქს ბადენი ვადადგა და ხელისუფლება მემარჯვენე სოციალ-დემოკრატ ებერტს გადასცა. ხელისუფლების სათავეში მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები მოექცნენ. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ არ დაეშვათ რევოლუციის გაღრმავება, ხოლო რეფორმისტები მონარქიის გადარჩენასაც კი ფიქრობდნენ. რევოლუცია კი სულ უფრო ძლიერდებოდა. კარლ ლიბკნეხტმა იმპერატორის სასახლის აივნიდან აჯანყებული ხალხის წინაშე გერმანია სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები იძულებულნი გახდნენ ბურჟუაზიული წყობილების შენარჩუნების მიზნით მონარქია გაეწირათ და გერმანია რესპუბლიკად გამოეცხადებინათ. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა ისარგებლეს რა ცენტრისტების მხარდაჭერით, და „სპარტაკის კავშირის“ ორგანიზაციული სისუსტით, საბჭოებში ხელთ იგდეს დეპუტატთა ადგილების უმრავლესობა. 10 ნოემბერს ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების ყრილობა შეიკრიბა. მან დაამტკიცა ებერტის დროებითი მთავრობა „სახალხო რწმუნებულთა საბჭოს“ სახელწოდებით. მთავრობაში შევიდნენ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებიდან ებერტი, შეიდემანი და ლანდსბერგი, „დამოუკიდებელი სოციალისტებისა“, ანუ ცენტრისტებისაგან ჰაასზე, ბარტი და დიტმანი. მთავრობაში მოადგილეებად კაიზერის ყოფილი მინისტრებიც შეიყვანეს. მთავრობაში არ მოხვდა „სპარტაკის კავშირის“ არცერთი წარმომადგენელი. ხალხი მოითხოვდა მთავრობაში კარლ ლიბკნეხტი შესულიყო, იგი დათანხმდა მთავრობაში შესვლაზე იმ პირობით თუ გერმანია სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდებოდა, მაგრამ მისი მოთხოვნა უარყოფილ იქნა.

ებერტ-შეიდემანის მთავრობის პოლიტიკის ინტიმალბური ხასიათი

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობით დაშინებული ებერტის მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა ხაალყო მდგომარეობა, აღედგინა სიტყვის, კრების, კავშირების თავისუფლება, შემოეღო 8-საათიანი სამუშაო დღე, გაე-

თავისუფლებინა პოლიტიკური პატიმრები და ა. შ. მთავრობამ განაცხადა, რომ იგი განახორციელებს სოციალიზაციას და თითქოს ამ მიზნით კომისიაც კი შექმნა. კომისიის მეთაურები რენეგატი კ. კაუცკი და რ. ჰილფერდინგი ხალხთა თვალის ახვევის მიზნით აცხადებდნენ, რომ ისინი კაპიტალისტების და მემამულეების ექსპროპრიაციას მოახდენენ.

1918 წლის 10 ნოემბერს „სპარტაკის კავშირმა" თავის გაზეთ „როტე ფანეში" გამოაქვეყნა გერმანიის რევოლუციური ძალების შემდგომი მოქმედების პროგრამა. ეს პროგრამა ამხელდა ებერტ-შეიდემანის მთავრობის ბურჟუაზიულ ხასიათს და მუშათა კლასს აფრთხილებდა, რომ არ მოტყუებულიყვნენ ისინი და დაუყოვნებლივ ებრძოლათ სოციალისტური წყობილების დასამყარებლად. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა შემდეგ მოთხოვნებს აყენებდა: ხალხის საყოველთაო შეიარაღება და პოლიციის, ოფიცრების და ყველა იმ ჯარისკაცების დაუყოვნებლივ განიარაღება, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ ახალ წყობას, სამოქალაქო და სამხედრო საწარმოების და იარაღის მარაგის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების ხელში გადაცემას, რაიხსტაგის და ყოველგვარი პარლამენტების, გერმანული სახელმწიფოების და დინასტიების და საერთოდ გერმანული მთავრობის ლიკვიდაციას, საბჭოების საყოველთაო არჩევნების ჩატარებას, მათ ხელში მთელი ძალაუფლების გადაცემას და გერმანიის ერთიანი განუყოფელი სოციალისტური რესპუბლიკის დამყარებას. პროგრამამ საბჭოთა რუსეთთან კავშირის მოთხოვნა წამოაყენა. მაგრამ სამწუხაროდ მშრომელთა ინტერესებისადმი შესაბამისი ეს ღირსშესანიშნავი პროგრამა, მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციული სისუსტისა და შეცდომების გამო ვერ გატარდა.

საბჭოებში დეპუტატთა ადგილების უმრავლესობა მემარჯვენე სოციალისტებისა და ცენტრისტების ხელში იყო, სპარტაკელები კი საბჭოებში ძალზედ მცირედ იყვნენ წარმოდგენილნი. მემარცხენე სოციალ-დემოკრატების მთავარი ამოცანა საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება უნდა ყოფილიყო. სპარტაკელები და მემარცხენე სოციალისტები ცდილობდნენ მუშათა კლასი თავის ირგვლივ დაერაზმათ, მიღებული პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის ებრძოლათ.

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების და ცენტრისტების გავლენა მუშათა უმრავლესობაზე კვლავ დიდი იყო. ებერტ-შეიდემანის მთავრობის დემაგოგიური დაპირება მუშათა კლასს სჯეროდა. მას ეგონა, რომ მონარქიის დამხობა, ომის შეწყვეტა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების დაარსება უკვე საკმარისი იყო სოციალიზმის მშენებლობისათვის; მას არ ესმოდა, რომ რევოლუციის მთავარი საკითხი — საკითხი ხელისუფლების შესახებ არ იყო გადაწყვეტილი მუშათა კლასის სასარგებლოდ. ებერტ-შეიდემანის მთავრობა ფაქტიურად ბურჟუაზიის აგენტურას წარმოადგენდა. მან იცოდა, რომ გმირულად მებრძოლ მუშათა კლასს ჯერ კიდევ ნათელი წარმოდგენა არა ჰქონდა მის საბოლოო ამოცანებზე, განაგრძობდა ბრძოლას მემარცხენე რევოლუციური ძალების წინააღმდეგ. საბჭოები, რომელშიც უმრავლესობა მემარჯვენეების ხელში იყო, პროლეტარიატის დიქტატურისათვის კი არ იბრძოდა, არამედ ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის საფარი გახდა.

გერმანიის ბურჟუაზია კი მოხერხებულად იყენებდა სოციალ-დემოკრატებს, მემარჯვენე დამოუკიდებლებსა და პროფკავშირთა ოპორტუნისტულ ლი-

დერებს, თავისი ინტერესებისათვის. იგი აფინანსებდა და აქეზებდა ქვეყნის რეაქციულ ძალებს, ოფიცრობას, თავად-აზნაურობას და შეცდომაში შეყვანილ ჯარისკაცების ნაწილს.

ოფიცრების ჯგუფმა კილინგერის, გენერალ ფონ ეპპის და სხვათა მეთაურობით რეაქციული ძალებისაგან შექმნეს მოხალისეთა შენაერთები გვარდიის კავალერიის მსროლელთა დივიზია და სხვადასხვა სამხედრო ქვეგანაყოფები, რომელნიც ებერტის მთავრობის მფარველობის ქვეშ ამზადებდნენ რევოლუციური ძალების განადგურებას.

ებერტის მთავრობამ არმიის სარდლობასთან საიდუმლო ხელშეკრულება დადო რევოლუციური ძალების წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის შესახებ. არმიის წმენდა არ ჩატარებულა და არმიის სათავეში ძველებურად კაიზერის დროინდელი ოფიცრობა და გენერლობა იდგა. მთავრობის მიერ ნოემბრის თვეში გამოცემული დეკრეტებით საბჭოებს ეკრძალებოდა სარდლობისა და სასამართლოს საქმეებში ჩარევა.

ებერტის მთავრობის დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი მტრული იყო. მან უარი თქვა საბჭოთა რუსეთთან ჯერ კიდევ მაქს ბადენელის მთავრობის მიერ 1918 წლის 5 ნოემბერს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე და უკრაინიდან და ბალტიისპირეთიდან გერმანელთა ჯარების გამოყვანაზე. 1918 წლის 11 ნოემბერს ანტანტის სახელმწიფოებმა დარწმუნებულებმა ებერტის მთავრობის კონტრრევოლუციონერობაში ხელი მოაწერეს გერმანიის სარდლობასთან დროებით ზავს, დაზავების პირობებით გერმანიას უფლება ეძლეოდა შეენარჩუნებინა თავისი არმია და იგი შეიარაღებული და გაშლილი ალმებით გაეყვანა თავის ტერიტორიაზე, ხოლო უკრაინასა და ბალტიისპირეთში გერმანიის ჯარები დაეტოვებინა, ვიდრე მათ იქ ანტანტის ჯარები შეცვლიდნენ. მაგრამ ებერტის მთავრობის ყოველგვარი ცდა, ანტანტის სახელმწიფოთა საამებლად თავისი საოკუპაციო ჯარები უკრაინაში დაეტოვებინა, მარცხით დამთავრდა. 1918 წლის 13 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ ბრესტის ზავის პირობები გააუქმა და წითელმა არმიამ უკრაინის პარტიზანების დახმარებით დაიწყო გერმანელთა ჯარებისაგან უკრაინის ტერიტორიის გაწმენდა.

1918 წლის 16 — 21 დეკემბერს ბერლინში შეიკრიბა სრულიად გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების პირველი ყრილობა, დეპუტატთა უმრავლესობას მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები და ცენტრისტები შეადგენდნენ (375 ადგილი 485 ადგილიდან). იმავე დღეს „სპარტაკის კავშირის" ხელმძღვანელობით მოეწყო ბერლინის მუშების დიდი დემონსტრაცია, რომელშიც 250 ათასი კაცი მონაწილეობდა. დემონსტრანტების დელეგაციამ ე. პიკის მეთაურობით ყრილობას მოთხოვა გადაეყენებინა ებერტ-შეიდემანის მთავრობა, ხელში აეღო მთელი ძალაუფლება, გამოეცხადებინა გერმანია სოციალისტურ რესპუბლიკად, მოეხდინა მრეწველობის განსაზოგადოება, განეიარაღებინა რეაქციული ოფიცრობა, მათი გავლენის ქვეშ მყოფი ჯარის ნაწილები და შეეიარაღებინა ხალხი.

მაგრამ საბჭოებში მოკალათებულ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების უმრავლესობამ ეს მოთხოვნები უარყო. ყრილობას თავს მოახვია მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების „სახალხო რწმუნებულთა ხელში" გადაცემის გადაწყვეტილება და 1919 წლის 19 იანვარს დანიშნა დამ-

ფუძნებელი ეროვნული კრების არჩევნები. ასეთი გადაწყვეტილება ფაქტიურად საბჭოების ლიკვიდაციას ნიშნავდა. ამრიგად, რევოლუციის მთავარი საკითხი — ხელისუფლების შესახებ — ყრილობის გადაწყვეტილებების შედეგად ბურჟუაზიის სასარგებლოდ გადაწყდა.

ამის შემდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატები აშკარად კავშირს დებენ კონტრრევოლუციურ ძალებთან და მათთან ერთად იბრძვიან რევოლუციის წინააღმდეგ. ყოველივე ამას მშრომელთა მასების დიდი აღშფოთება მოჰყვა. ხალხში მემარჯვენეთა გავლენა თანდათანობით ეცემა. ცენტრისტები, ანუ დამოუკიდებელი სოციალისტები, რომლებიც ებერტის მთავრობაში შედიოდნენ, იმის შიშით, რომ გავლენა არ დაეკარგათ მასებზე, იძულებულნი გახდნენ მთავრობის შემადგენლობიდან გამოსულიყვნენ.

გერმანიის კომპარტიის შექმნა

ნოემბრის რევოლუციაში მემარჯვენე სოციალისტების და ცენტრისტების აშკარა გამყიდველურმა პოზიციამ „სპარტაკის კავშირი" დაარწმუნა მათთან კავშირის გაწყვეტისა და კომუნისტური პარტიის შექმნის აუცილებლობაში. 1918 წლის 30 დეკემბერს ბერლინში მოწვეულ იქნა გერმანიის კომპარტიის დამფუძნებელი ყრილობა. სამი დღის მუშაობის შემდეგ ყრილობამ პარტია შექმნილად გამოაცხადა, აირჩია მისი ცენტრალური კომიტეტი და მიიღო პროგრამა და წესდება.

პროგრამაში დაშვებული იყო მთელი რიგი სერიოზული ხასიათის შეცდომები, რომლითაც „სპარტაკის კავშირი" ადრეც ხასიათდებოდა. მასში არ იყო ლაპარაკი პარტიის, როგორც მუშათა კლასის ავანგარდის როლზე, მუშათა და გლეხთა კავშირზე, შეიარაღებული აჯანყების მომზადების აუცილებლობაზე და რეფორმისტულ პროფკავშირებში კომუნისტების მუშაობის აუცილებლობაზე.

პარტიის ორგანიზაციულ პრინციპად ყრილობამ ნაცვლად ლენინური დემოკრატიული ცენტრალიზმისა აღიარა ორგანიზაციების ავტონომია.

დიდ შეცდომას წარმოადგენდა ყრილობის გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების არჩევნებისადმი ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. მაგრამ ყველა ეს შეცდომა, ერთად აღებულიც კი, არ ამცირებდა იმ ძირითად მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ევროპის ისეთ დიდ სახელმწიფოში, როგორიც გერმანია იყო, მარქსისტულ-რევოლუციური პარტია აღმოცენდა, რის შემდეგ შესაძლებელი გახდა მუშათა კლასის ორგანიზაცია პროლეტარიატის ინტერესებისა და პროლეტარული რევოლუციისათვის საბრძოლველად.

1919 წლის იანვრის ბრძოლები ბერლინში

რევოლუციური მოძრაობა გერმანიაში ნოემბრის რევოლუციის შემდეგაც არ შემწყდარა. გერმანიის კომუნისტური პარტიის ბრძოლამ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებისათვის, მილიტარიზმის, იმპერიალიზმის, და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის მოძრაობაში და ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის პარტიას მუშათა ფართო რიგებში სულ უფრო და უფრო პოპულარულ ხდიდა.

გერმანიის კომპარტიის გავლენის ზრდა, მის მიერ წამოყენებული ლოზუნგები გერმანიაში სოციალიზმის დამყარებისა და მთელი ძალაუფლების საბჭო-

ების ხელში გადაცემის შესახებ ებერტის მთავრობისა და შეძლებული ფენების დიდ შეშფოთებას იწვევდა. მათ გადაწყვიტეს მუშათა კლასის პროვოკაციაზე, მოუმზადებელ გამოსვლაზე გამოწვევა და მისი მოწინააღ ძალების განადგურება.

ებერტის მთავრობამ გადაწყვიტა პირველი დარტყმა ეიჰგორნისათვის მიეყენებინა, რომელიც „დამოუკიდებელი" მემარცხენეების ხელმძღვანელი და ბერლინის პოლიციის უფროსი იყო. ბერლინის მუშებში იგი დიდის პოპულარობით სარგებლობდა, რადგან არ ემორჩილებოდა მთავრობის მითითებებს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ პოლიციისა და ჟანდარმერიის გამოყენებაზე. შემდგომ ეიჰგორნი კომპარტიის წევრი გახდა. მთავრობამ სწორად განსაზღვრა, რომ ეიჰგორნის გადაყენება მუშათა მოუმზადებელ გამოსვლას გამოიწვევდა. მთავრობის 1919 წლის 4 იანვრის ბრძანებით ეიჰგორნი გადაყენებულ იქნა. ეს ცნობა სწრაფად გავრცელდა ბერლინში და 5 იანვარს მასობრივი დემონსტრაცია მოეწყო, რომელშიც 150 ათასი კაცი მონაწილეობდა. მუშათა გამოსვლები პოლიციასთან ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. მუშებმა ხელთ იგდეს ბურჟუაზიული გაზეთების შენობები და დაიწყეს რევოლუციური გაზეთების გამოცემა. მეორე დღეს დემოსტრანტთა რიცხვი 200 ათას კაცამდე გაიზარდა. ებერტი და მისი მინისტრები მთავრობის სასახლიდან გაიქცნენ. მთავრობაში თავდაპირველად თავი იჩინა დაბნეულობამ, მაგრამ ეს მსოლოდ დროებით. ბურჟუაზიას გამზადებული ჰყავდა რეგულარული ჯარები და „მოხალისეთა რაზმები" შეიარაღებულნი ტანკებით და არტილერიით.

ამავე დროს ბერლინის მუშათა ხელმძღვანელობა აღმოჩნდა „დამოუკიდებელი" სოციალისტების ხელში, ისინი გაუბედავად მოქმედებდნენ. საყურადღებოა, რომ გერმანიის კომპარტია მუშათა ამ მოუმზადებელი გამოსვლების წინააღმდეგი იყო, მაგრამ მას შემდეგ, როცა იგი დაიწყო, კომუნისტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მასში, რათა ორგანიზებული ხასიათი მიეცათ მისთვის. აჯანყების მსვლელობაში შექმნილ იქნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელშიც უმრავლესობა „დამოუკიდებლებს" ეკუთვნოდა. მასში შევიდნენ აგრეთვე გერმანიის კომპარტიის წარმომადგენლებიც. კომიტეტმა ებერტის მთავრობა დამხობილად გამოაცხადა. მაგრამ იგი აქტიურად არ მოქმედებდა, გადამწყვეტ ღონისძიებებს არ იღებდა ძალაუფლების ხელში აღებისა და კონტრრევოლუციური ძალების განიარაღება-განადგურებისათვის. ეს ვითარება დაუყოვნებლივ გამოიყენეს მთავრობისა და რეაქციის ძალებმა და სწრაფად შეტევაზე გადავიდნენ. დედაქალაქში მთელი ძალაუფლება გადაეცა სამხედრო მინისტრს, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატ ნოსკეს. მან სასწრაფოდ თავი მოუყარა ტანკებით და არტილერიით შეიარაღებულ ჯარის ნაწილებსა და რეაქციულ „მოხალისეთა რაზმებს", რომელნიც 11 იანვარს ბერლინში შეიჭრნენ, ძალთა თანაფარდობა აშკარად რეაქციის მხარეზე იყო. მუშები ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი. აღნიშნულის გამო, მიუხედავად მუშათა კლასის გმირული ბრძოლისა იგი მარცხით დამთავრდა. 14 იანვარს რეაქციამ სისხლში ჩაახშო ბერლინის მუშათა გამოსვლები. 15 იანვარს ნოსკეს ბრძანებით მოკლულ იქნენ გერმანიის მუშათა ბელადები როზა ლუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი, რამაც არა მარტო გერმანიის, არამედ მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. 25 იანვარს რ. ლუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის დაკრძალვა ბერლინის მუშათა სტიქიურ გრანდიოზულ დემონსტრაციაში გადაიზარდა.

ნოემბრის რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის რევოლუცია იყო, რომელიც გატარდა პროლეტარული მეთოდებითა და საშუალებით, მაგრამ არ გადაზრდილა პროლეტარულ რევოლუციაში. გერმანელმა მუშებმა რუსეთის მუშების მსგავსად კი შექმნეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოები, მაგრამ ეს საბჭოები მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ღალატის გამო არ გადაქცეულა პროლეტარული რევოლუციის ორგანოდ. არასაკმაო რევოლუციურმა გამოცდილებამ, პარლამენტურ-დემოკრატიულმა ტრადიციებმა და ილუზიებმა ხელი შეუშალა გერმანიის მუშათა კლასს ებრძოლა ეკონომიური და პოლიტიკური ხელისუფლების ხელში აღებისათვის. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოები არსებობდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფო აპარატთან ერთად, მაგრამ არაფერი არ გააკეთეს ამ აპარატის გაწმენდისათვის, რათა შემდგომი ბრძოლის დროს დაემსხვრიათ იგი და შეექმნათ ახალი, პროლეტარული ტიპის სახელმწიფო აპარატი. ვინაიდან მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას შორის არ იყო დამყარებული კავშირი, მემამულეთა და იუნკერთა ძალაუფლება ძირითადად ხელუხლებელი დარჩა. „სპარტაკის კავშირი“ ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ნამდვილ მარქსისტულ-ლენინური ტიპის მიმდინარეობას. მან სწორად დააყენა მუშათა კლასის წინაშე ამოცანად საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება. ამის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ დემოკრატიული მოთხოვნებისათვის ბრძოლით, რომლის მსვლელობაში მუშათა კლასს შეეძლო შეეძინა საჭირო გამოცდილება და რაც მთავარია განთავისუფლებულიყო სოციალ-დემოკრატების რეფორმისტული და პარლამენტური ილუზიებისაგან. ამიტომ „სპარტაკის კავშირს“ მასობრივი ბრძოლის ცენტრში უნდა დაეყენებინა ისეთი დემოკრატიული მოთხოვნები, როგორიცაა რეაქციული და მილიტარისტული ძალების განდევნა სახელმწიფო აპარატიდან, დინასტიის ქონების კონფისკაცია, მიწის რეფორმა, წარმოება-დაწესებულებებზე კონტროლი და მრეწველობის ძირითადი დარგების სოციალიზაცია და ა. შ. მაგრამ „სპარტაკის კავშირის“ სისუსტით და შეცდომებით ისარგებლა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ და გათიშა რევოლუციური ძალები, ხელი შეუშალა პროლეტარიატს გამხდარიყო რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალად, მის ჰეგემონად, რათა ნოემბრის რევოლუციას გერმანიაში გადაებიჯებინა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ჩარჩოებისათვის და გადაზრდილიყო სოციალისტურში.

ამის მიზეზი იყო შემდეგი: 1) მუშათა კლასის უმრავლესობა ჯერ კიდევ არ იყო საკმარისად მომწიფებული პოლიტიკურად და იმყოფებოდა ოპორტუნისტების გავლენის ქვეშ, 2) მუშათა კლასს არ ჰყავდა ნამდვილი, რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური ტიპის პარტია. ამ როლის შესრულება კი „სპარტაკის კავშირმა“ თავისი ორგანიზაციული სისუსტის გამო ვერ შესძლო. 3) გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ინარჩუნებდა გავლენას მუშათა კლასის უმრავლესობაზე, მაგრამ იგი ფაქტიურად იმყოფებოდა ბურჟუაზიის სამსახურში და თავის გავლენას იყენებდა მასების მოტყუებისათვის, მათი რევოლუციური მეთოდებით ბრძოლის გზიდან ჩამოშორებისათვის, 4) არ იყო საჭირო კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის. „სპარტაკის კავშირი“ უგულვებელყოფდა კავშირს ამ ორ კლასს შორის, არ აწარმოებდა მუშაობას სოფლად. ამის შედეგად გლეხობა ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდა. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო — რევოლუციის ძირითადი საკითხი — თუ ვის ხელში გადასულიყო ძალა-

უფლება — გადაწყდა ბურჟუაზიის სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ნოემბრის რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ჩარჩოებით შეიზღუდა და ამ რევოლუციის ამოცანებიც ვერ გადაეწყვიტა, იგი თავისი მნიშვნელობით მაინც წინგადადგმული, პროგრესული ნაბიჯი იყო. მან დაამხო ნახევრად აბსოლუტური მონარქია და შექმნა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა; მუშათა კლასმა მოიპოვა დემოკრატიული თავისუფლებები, შეიძინა გამოცდილება მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. რევოლუციის მსვლელობაში შეიქმნა გერმანიის კომუნისტური პარტია.

ამ რევოლუციას საერთაშორისო მნიშვნელობაც ჰქონდა. მან მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საერთაშორისო იმპერიალიზმს, ჩაშალა ერთიანი ანტისაბჭოთა იმპერიალისტური ფრონტის შექმნა, დიდი გავლენა მოახდინა ევროპის ქვეყნების რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე და მნიშვნელოვნად შეამსუბუქა საბჭოთა ხალხის ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ ორგანიზებულ ინტერვენტთა და შინაურ კონტრრევოლუციონერთა ძალების წინააღმდეგ.

ვაიმარის კონსტიტუცია

დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა რეაქციის შეტევაზე გადასვლისა და სისხლიანი ტერორის პირობებში. კომუნისტურმა პარტიამ სექტანტური შეცდომა დაუშვა და ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. 1919 წლის 6 თებერვალს დამფუძნებელი კრება რევოლუციური ბერლინიდან დაშორებით ვაიმარში შეიკრიბა.

კრებაში ადგილების 60 პროცენტი ბურჟუაზიულმა პარტიებმა მიიღეს, ხოლო 40 პროცენტი კი—მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა. დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა გერმანიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც 1919 წლის 11 აგვისტოდან შევიდა ძალაში. კონსტიტუცია აცხადებდა სიტყვის, პრესის, კრების, ორგანიზაციების თავისუფლებას, მაგრამ კონსტიტუციის 48-ე მუხლით ეს თავისუფლებანი არარაობამდე იყო დაყვანილი. იგი გერმანიის მმართველ წრეებს კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შემთხვევაში იურიდიულ უფლებას აძლევდა გაეუქმებინა პარლამენტური და ადგილობრივი მმართველობა და დიქტატურით შეეცვალა, შემოეღო საალყო მდგომარეობა და შეიარაღებული ძალებიც კი გამოეყენებინა.

ვაიმარის კონსტიტუციას კერძო საკუთრების საკითხში არავითარი ცვლილებები არ შეჰქონდა და ისე ტოვებდა მას, როგორც ჰოჰენცოლერნთა მონარქიის დროს იყო. კონსტიტუციის 153 მუხლით გარანტირებული იყო ბურჟუაზიული საკუთრება. მასში აღნიშნული იყო, რომ კერძო საკუთრების განსხვისება მხოლოდ შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე შეიძლება.

კონსტიტუციას ოდნავაც არ შეურყევია და, პირიქით, იცავდა მონოპოლისტებისა და იუნკრების პოზიციებს.

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ კონსტიტუციამ გამოაცხადა რაიხსტაგი, რომელსაც საყოველთაო კენჭის ყრის საფუძველზე, 4 წლის ვადით ირჩევდნენ 20 წლის ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი, მაგრამ ფაქტიურად რაიხსტაგი არ სარგებლობდა უმაღლესი ხელისუფლების განსაკუთრებული უფლებებით. მას შეეძლო უნდობლობის ვოტუმი გამოეცხადებინა მთავრობისათვის,

მაგრამ პრეზიდენტის დახმარებით მთავრობას უფლება ჰქონდა ამისათვის რაიხსტაგის დათხოვნით და ახალი არჩევნების დანიშვნით ეპასუხნა.

აღმასრულებელი ხელისუფლება გადაეცა პრეზიდენტს, რომელსაც 7 წლის ვადით საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე ირჩევდნენ. მან ფართო უფლებები მიიღო. იგი ითვლებოდა სახელმწიფოს მეთაურად და შეიარაღებული ძალების სარდლად. მას შეეძლო რაიხსტაგის დათხოვნა და მოწვევა, ნიშნავდა მინისტრთა კაბინეტის მეთაურს და ა. შ., მაგრამ ეს უკანასკნელი პასუხისმგებელი იყო არა პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშე.

ახალი კონსტიტუციის საფუძველზე პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა და რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად ებერტი აირჩიეს, რომელმაც კოალიციური მთავრობის სათავეში შეიდემანი დააყენა.

ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა

ბერლინის იანვრის ბრძოლების დამარცხების შემდეგ გერმანიის მუშათა კლასს რევოლუციური ბრძოლა არ შეუწყვეტია. 1919 წლის თებერვალში რევოლუციური გამოსვლები მოედო რურის ოლქს, შუა გერმანიას, ბავარიას, ვიურტემბურგს, ლაიპციგს, აუგსბურგს. ქალაქ აშავენბურგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა კი საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადეს.

1919 წლის მარტის დასაწყისში ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა რურისა და შუა გერმანიის მუშათა გამოსვლებისადმი მხარდაჭერის მიზნით საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, იგი შეიარაღებულ სისხლისმღვრელ საბრძოლაში გადაიზარდა და ათ დღეს გრძელდებოდა.

1919 წლის რევოლუციური ბრძოლების კულმინაციურ წერტილს წარმოადგენდა ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა. 13 აპრილს მონარქიული ამბოხების ჩახშობის შემდეგ მიუნხენის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა და ჯარისკაცთა საბჭოებმა აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ კომუნისტები და მემარცხენე დამოუკიდებლები ბავარიის კომუნისტთა ლიდერის ევგენი ლევინეს მეთაურობით.

ბავარიის საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ გაუგზავნა მისალმებები საბჭოთა რუსეთს და საბჭოთა უნგრეთს. ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკამ თავისი არსებობის მოკლე დროში ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. შემოიღო მუშათა კონტროლი წარმოებაზე, განაიარაღა ბურჟუაზია, მოახდინა ბანკების და რკინიგზების ნაციონალიზაცია, შექმნა მუშებისაგან 20 ათასიანი წითელი არმია და ა. შ.

ამავე დროს ბავარიის კომუნისტებმა მთელი რიგი სერიოზული შეცდომები დაუშვეს. მათ არ გაითვალისწინეს ლენინის მითითება და არაფერი არ გააკეთეს გლეხებისათვის — არ გააუქმეს გლეხთა ვალები ბანკებისადმი, არ მოახდინეს მემამულეთა მიწების კონფისკაცია და მიწების გლეხებისათვის გადაცემა, რის გამოც გლეხობამ მათ მხარი არ დაუჭირა.

საჭირო იყო შინაური კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა, რაც არ იქნა გაკეთებული. ბავარიის საბჭოთა ხელისუფლებამ, მართალია, შექმნა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისია, მაგრამ ეს კომისია გაუბედავად მოქმედებდა. ამავე დროს თვით საბჭოთა მთავრობის შიგნით მთელი რიგი საკითხების ირგვლივ კომუნისტებსა და დამოუკიდებლებს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ, რომელიც 27 აპრილს განხეთ-

ქილებით და კომუნისტების მთავრობის შემადგენლობიდან გამოსვლით დამთავრდა. ყოველივე ეს ფაქტიურად კომუნისტების მიერ ბრძოლის პოზიციების დათმობას ნიშნავდა. რეაქციის ძალებმა დაუყოვნებლივ გამოიყენეს შექმნილი ვითარება. 1919 წლის 1 მაისს ნოსკეს 100 ათასიანი არმია მიუხეხნში შეიჭრა და, მიუხედავად მუშათა კლასის თავგანწირული ბრძოლისა, საბჭოთა ხელისუფლება დაამხო. ნოსკეს შეიარაღებულმა ბანდებმა ბავარიის კომუნისტების დიდი ნაწილი და ათასზე მეტი მუშა დახვრიტეს. მათ შორის იყო კომუნისტების ლიდერი ეუგენი ლევინე.

ვერსალის საზავო ხელშეკრულება

რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში გერმანიის რეაქციას თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა საერთაშორისო იმპერიალიზმი და, უპირველეს ყოვლისა, ანტანტის სახელმწიფოები. ისინი დაშინებულნი იყვნენ რევოლუციური მოძრაობის აღმავლობით. ანტანტის სახელმწიფოებმა სწორედ ამიტომ უარი თქვეს თავისი ჯარების გერმანიის ტერიტორიაზე შეყვანაზე და მის ოკუპაციაზე. მათ ეშინოდათ, რომ ეს გამოიწვევდა გერმანელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებას ადგილობრივი და საგარეო რეაქციული ძალების წინააღმდეგ და გერმანელი ხალხის მოსალოდნელ კავშირს საბჭოთა რუსეთთან.

საზავო ხელშეკრულების დადება დამარცხებულ გერმანიასა და გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამო გაჭიანურდა 1919 წლის ივნისამდე.[1]

ვერსალის საზავო ხელშეკრულებით გერმანია კარგავდა თავის ყველა ყოფილ კოლონიას და თავისი ევროპული ტერიტორიის 1/8 ნაწილს (7,5 მლნ ჰექტარს, რაც სათესი ფართობის 1/7 ნაწილს შეადგენდა), მოსახლეობის 1/12 ნაწილს (6,47 მლნ კაცს), რკინის მადანის მარაგის 3/4-ზე მეტს, ქვანახშირის 1/3, თუჯის წარმოების 2/5 და ფოლადის წარმოების 1/3.

ევრსალის ზავმა გერმანია ომის დამნაშავედ გამოაცხადა და დააკისრა მას სარეპარაციო თანხის გადახდა 132 მლრდ მარკის რაოდენობით.

თუმცა ვერსალის საზავო ხელშეკრულება ძალზედ მძიმე იყო გერმანიისათვის, მაგრამ იგი არ უზრუნველყოფდა გერმანიის სამხედრო ეკონომიური პოტენციალის აღდგენის წინააღმდეგ მტკიცე კონტროლის დაწესებას. ანტისაბჭოთა მიზნებიდან გამომდინარე, ანტანტამ ხელუხლებელი დატოვა გერმანიის მძიმე ინდუსტრია, მისი საწარმოო აპარატით, გერმანიის მონოპოლიების ბატონობა ქვეყნად ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამან მათ საშუალება მისცა შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში აღედგინათ გერმანიის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალი.

1920—1923 წწ. რევოლუციური გამოსვლები

1920 — 1923 წწ. გერმანიის მშრომელთა მასების მდგომარეობა კვლავ გაუარესდა, რაც დაკავშირებული იყო ომის შედეგად გამოწვეული სამეურნეო ნგრევით, ფასების ზრდით პირველი მოთხოვნის საგნებზე, ფულის ინფლიაციით, მასობრივი უმუშევრობით, შიმშილითა და ა. შ.

[1] დაწერილებით ამის შესახებ იხილე I თავში.

გერმანიის რეაქცია სოციალ-დემოკრატებთან კავშირში სასტიკად აბშობდა მშრომელთა მასების უკმაყოფილებასა და გამოსვლებს და ცდილობდა ომის-შემდგომი სიძნელეების სულერთიანად მშრომელთა მასებზე დაკისრებას. ეს კი მასების სამართლიან უკმაყოფილებას და მათ მწვავე კლასობრივ ბრძოლას იწ-ვევდა. 1919 წლის რევოლუციური ბრძოლების ჩახშობის შემდეგაც პროლეტა-რული რევოლუციის მრისხანე აჩრდილი მოსვენებას არ აძლევდა გერმანიის გაბატონებულ კლასებს. გერმანიის რეაქცია ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯ-დომოდა, გაენადგურებინა ქვეყნის რევოლუციური ძალები, მოეხდინა სახელ-მწიფო გადატრიალება და ქვეყანაში სამხედრო-მონარქიული დიქტატურა დაემ-ყარებინა. ამ ამოცანის განსახორციელებლად 1919 წლიდან გერმანიის რეაქციამ თავისი ძალების გაერთიანება დაიწყო. მათ, 1919 წლის აგვისტოში „ეროვნული გაერთიანების" ორგანიზაცია შექმნეს. იგი მსხვილი მემამულე-იუნკრების, მო-ნოპოლისტების და ბურჟუაზიის ყველა ფენების ფართო მხარდაჭერით სარგებ-ლობდა. „ეროვნულ გაერთიანებაში" შედიოდნენ ოფიცერთა ფარული შეიარა-ღებული კონტრრევოლუციური კავშირები, მათ შორის „ფოლადის მუზარადი" (გერმანიის ეროვნული პარტიის შეიარაღებული მებრძოლი ორგანიზაცია), და კონტრრევოლუციური შეიარღებული კავშირები — „კონსული", „ორგეში" „ვიკინგი", „მოხალისეთა გაერთიანებები" და ა. შ. კონტრრევოლუციონერებს სათავეში ედგათ გენერლები სეკტი, ლუტვიცი, ლუდენდორფი, ადმირალი ტირ-პიცი და შავრაზმელი კაპი.

რეაქციის ამბოხების საბაბად გადაიქცა შემდეგი ამბავი. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატის გუსტაფ ბაუერის მთავრობამ ვერსალის საზავო ხელშეკ-რულების მოთხოვნის საფუძველზე განიზრახა რაიხსვერის შეკვეცა 100 ათას კაცამდე, რომელიც იმ დროისათვის 300 ათას კაცს სჭარბობდა. რაიხსვერის შეკვეცა უნდა გატარებულიყო ორ ვადაში — 1920 წლის 10 აპრილისათვის და 10 ივლისისათვის.

მთავრობის 29 თებერვლის ბრძანებას საზღვაო ბრიგადის დათხოვნის შესახებ, გენერალ ლუტვიცმა უარით უპასუხა და მთავრობას ულტიმატუმი წაუყენა. იგი მოითხოვდა ეროვნული კრების დათხოვნას, პრეზიდენტის გადარ-ჩევას და რაიხსვერის შეკვეცაზე უარის თქმას.

მთავრობამ ბრძანება გასცა გენერლების დაპატიმრების შესახებ, მაგრამ ამ მიმართულებით არავითარი ზომები არ მიიღო. 13 მარტს კონტრრევოლუ-ციონერებმა ლუტვიცის მეთაურობით ბერლინი დაიკავეს. მთავრობა შტუტგარ-ტში გაიქცა. მონარქიულმა ძალებმა ხელთ ჩაიგდეს ბერლინის ყველა სტრატეგი-ული ადგილი, მთავრობა დამხობილად გამოაცხადეს და მონარქისტ კაპის მეთა-ურობით ახალი მთავრობა შექმნეს. ამბოხება ერთდროულად მოხდა მიუნხენში, კენიგსბერგში (ახლანდელი კალინინგრადი), ბრესლავში (ახლნადელი ვროცლაე) და სხვა ქალაქებში. ამბოხებულებმა წამოაყენეს რევანშისტული, ანტიკო-მუნისტური და ანტიდემოკრატიული ლოზუნგები და მონარქიის აღდგენა მო-ითხოვეს. თუმცა ბურჟუაზია მონარქისტების ანტიკომუნისტურ და ანტიდემოკ-რატიულ მოთხოვნებს თანაუგრძნობდა, მაგრამ ეშინოდა, რომ გერმანიაში მონ-არქიული რეჟიმის აღდგენა მის საქმეებში ანტანტის სახელმწიფოების ჩარევას გამოიწვევდა. მონარქიის აღდგენა სოციალ-დემოკრატებსაც აშინებდა, რად-გან ამას შესაძლოა ახალი რევოლუცია მოყოლოდა, ამიტომ ამბოხებას არც მათ არ დაუჭირეს მხარი.

ამბოხების განადგურების საქმეში გადამწყვეტი როლი მუშათა კლასმა შეასრულა. თითქმის სტქიიურად აღმოცენდა მუშათა ერთიანი ფრონტი. ამბოხების პირველსავე დღესვე ბერლინის მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, იარაღი აიღეს ხელში, ქუჩებში გამოვიდნენ და ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ. ბერლინის მუშების მაგალითს გერმანიის სხვა ქალაქების მუშებმაც მიბაძეს. საყოველთაო გაფიცვა მთელ გერმანიას მოედო. ქვეყნის მთელი ეკონომიური ცხოვრება ჩაქრა. აჯანყებული მუშები ჰქმნიდნენ წითელი არმიის ნაწილებს, ანიარაღებდნენ რაიხსვერს და ე. წ. „მოხალისეთა ნაწილებს". მუშათა კლასის ხელმძღვანელ ძალად ამ აჯანყების დროს გერმანიის კომპარტია გამოვიდა, მაგრამ ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სათავეში მყოფ პაულ ლევის ოპორტუნისტული პოზიციის გამო მუშათა ეს აჯანყება ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩარჩოებიდან არ გამოსულა.

მუშათა გმირული ბრძოლის შედეგად რეაქციის ძალები განადგურებულ იქნენ. 17 მარტს კაპი და მისი მომხრეების ღიღი ნაწილი ბერლინიდან შეეციაში გაიქცნენ.

შტუტგარტიდან ბერლინში დაბრუნებულმა ემარჯვენე სოციალ-დემოკრატების მთავრობამ კონტრრევოლუციურ ძალებთან ბრძოლის მაგიერ მთავარი ყურადღება მუშათა კლასის განიარაღებისაკენ მიმართა.

გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლამ განსაკუთრებული გაქანება პოვა რურის ოლქში. აქ გაფიცულმა მუშებმა წითელი არმიის 100 ათასიანი ნაწილები შექმნეს და 19 მარტს რურის ოლქის მთავარი ცენტრი ესენი დაიკავეს, სადაც ალაუფლება ესენის მუშათა საბჭოს ხელში გადავიდა. რურის აჯანყებულები მოითხოვდნენ მონარქიული სამხედრო ხროვის განიარაღებას, დემოკრატიული გარდაქმნების გატარებას და აჯანყებულთა მიმართ ამნისტიას. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი ზეევერინგი გაფიცულ მუშებს შეეპირდა, რომ მათ მოთხოვნებს დაკმაყოფილებდა, თუ ისინი თავის მხრივ გაფიცვას შეწყვეტდნენ და წითელ არმიას „ნეიტრალურ ზონაში" გაიყვანდნენ. მუშებმა გულუბრყვილოდ დაუჯერეს ზეევერინგს, შეწყვიტეს გაფიცვა და გაიყვანეს წითელი არმია ნეიტრალურ ზონაში.

ზეევერინგმა ისარგებლა რა მუშათა კლასის გულუბრყვილობით, თავისი ჯარები რურში შეიყვანა და მუშებს მკაცრად გაუსწორდა.

კომუნისტების და დამოუკიდებლების გაერთიანება

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის პირობები მისი არსებობის პირველ წლებში ძალზედ მძიმე იყო. მართალია კომპარტიამ გამოასწორა I ყრილობაზე დაშვებული შეცდომები და II ყრილობაზე (ჰაიდელბერგში) უკვე ცნო კომპარტიის პარლამენტში და პროფკავშირებში მონაწილეობის აუცილებლობა და პარტიის ორგანიზაციების დემოკრატიული ცენტრალიზმი, მაგრამ მალე ამის შემდეგ პარტიაში განხეთქილება მოხდა. ამის შედეგად პარტია გაიყო ორ ნაწილად. რევოლუციურად განწყობილი მუშების დიდი ნაწილი გაერთიანდა „გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიაში", რომლის ხელმძღვანელობა ხელთ ჰაუვარდათ ნახევრად ანარქისტულად განწყობილ ელემენტებს. ამის გამო გერმანიის კომპარტიამ თავის წევრთა თითქმის ნახევარი დაკარგა.

ამავე დროს, გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარ-

ტიის ხელმძღვანელობის გამყიდველური მოქმედება იწვევდა რიგითი წევრების დიდ უკმაყოფილებას. კომუნისტების ენერგიულმა მუშაობამ დამოუკიდებლების რიგით წევრებში თავისი ნაყოფი გამოიღო. 1920 წლის ოქტომბერში ამ პარტიის ყრილობაზე მემარცხენე დამოუკიდებლებმა ერნსტ ტელმანის მეთაურობით II ინტერნაციონალიდან გამოსვლა და III კომინტერნში შესვლა მოითხოვეს. დელეგატთა 2/3 მხარი დაუჭირა ამ მოთხოვნას. დამოუკიდებლობის მემარჯვენეები არ დაემორჩილნენ უმრავლესობის მოთხოვნას, დატოვეს ყრილობა და 1922 წელს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებთან გაერთიანდნენ.

1920 წლის 4 დეკემბერს ბერლინში შედგა კომუნისტების და მემარცხენე დამოუკიდებლების გამაერთიანებელი ყრილობა, რომელმაც შექმნა გერმანიის გაერთიანებული კომპარტია. გერმანიის კომპარტიის რიგები 300 ათას კაცამდე გაიზარდა, მაგრამ პარტიის სათავეში შტაიცე მარქსისტულ-ლენინური ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არ იყო. პარტია დანაგვიანებული აღმოჩნდა როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე სექტანტებისაგან, რაც ხელს უშლიდა პარტიის სწორი ტაქტიკის შემუშავებას. ამავე დროს პარტიის სათავეში იმყოფებოდა ძემარცხენე ოპორტუნისტი პაულ ლევი, რომელიც პარტიას ბრძოლის სწორი გზიდან აცილებდა.

1921 წლის მარტის ბრძოლები შუა გერმანიაში

ჯერ კიდევ კაპის ამბოხების დროს საქსონიისა და ტიურინგიის მუშებმა შუა გერმანიიდან განდევნეს პოლიციის და რაიხსვერის ნაწილები. მთავრობა მათ უკან დაბრუნებას კარგა ხანს ველარ ბედავდა. პარიზის კომუნის 50 წლისთავზე, 1921 წლის 18 მარტს, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატმა ჰერზინგმა, რომელსაც პრუსიის პოლიციის პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა, გამოსცა ბრძანება „სისხლის დამნაშავეების“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით შუა გერმანიის ფაბრიკებსა და ქარხნებში პოლიციის დიდი ნაწილების შეყვანის შესახებ. სინამდვილეში მთავრობას საქსონიის და ტიურინგიის მუშების მებრძოლი ძალების განადგურება ჰქონდა განზრახული.

გერმანიის კომპარტიამ პროტესტის ნიშნად მანსფელდის მუშებს გაფიცვა-საკენ მოუწოდა. გაფიცვა მალე მთელ შუა გერმანიას მოედო და მუშების შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა. მანსფელდის მუშების ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო მაქს ჰელცი, რომელმაც თავი გამოიჩინა ჯერ კიდევ კაპის კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა ამჯერადაც გამყიდველური როლი შეასრულეს და დიდი სამსახური გაუწიეს ქვეყნის რეაქციულ ძალებს გამოსვლების სისხლში ჩახშობის საქმეში. გერმანიის კომპარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობამ პაულ ლევის მეთაურობით დახმარების ნაცვლად ამ აჯანყებას „ამბოხება“ უწოდა და მუშებს მოუწოდა ბრძოლა შეეწყვიტათ.

გერმანიის კომპარტიამ გაითვალისწინა კომინტერნის და ლენინის მითითებები და 1921 წლის 15 აპრილს გარიცხა პარტიიდან მემარჯვენე ოპორტუნისტი პაულ ლევი და მისი ჯგუფი.

რაპალის შეთანხმება

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვერსალის კონფერენციამ რეპარაციების საერთო თანხის დადგენამდე გერმანიას 20 მილიარდი ოქროს მარკის გა-

ცახდა დაუცალა, მაგრამ 1921 წლის დამდეგისათვის მას მხოლოდ 8 მილიარდი მარკა ჰქონდა გადახდილი.

ლონდონის 1921 წლის აპრილ-მაისის კონფერენციამ რეპარაციების საერთო თანხა 132 მილიარდი ოქროს მარკამდე განსაზღვრა და გერმანიას ამ თანხის ანაზღაურება მოსთხოვა, რამაც გერმანიაში მთავრობის კრიზისი გამოიწვია. რეპარაციების გადახდის მოწინააღმდეგე ფერენბახის მთავრობა გადადგა. იგი შეიცვალა კათოლიკური პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლის ვირტის მთავრობით. მან ცნო ლონდონის 1921 წლის გადაწყვეტილება. ამავე წლის აგვისტოში გერმანიამ ანტანტის სახელმწიფოებს გადაუხადა 1 მილიარდი მარკა, რამაც ქვეყნის ფინანსიური სისტემის მოშლა გამოიწვია. ვირტის მთავრობამ ანტანტას თანხის გადახდის განვადება და ავრეთვე სესხები მოსთხოვა. გერმანიამ რეპარაციების გადახდის განვადება 1 წლით მიიღო, მაგრამ უარი ეთქვა სესხებზე. საყურადღებოა, რომ ქვეყნის სამრეწველო და ფინანსიური მაგნატები ხელოვნურად იწვევდნენ ფულის გაუფასურებას და ამით დამატებით ქმნიდნენ სიძნელეებს სარეპარაციო თანხის გადახდის საქმეში. ისინი, ამავე დროს, მოხერხებულად იყენებდნენ იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ანტანტის სახელმწიფოებს შორის არსებობდა. გერმანიის მმართველი წრეები, იმ მიზნით, რომ დათმობები გამოეგლიჯათ ანტანტის სახელმწიფოებისაგან, მათ საბჭოთა სახელმწიფოსთან მოსალოდნელი კავშირით აშინებდნენ.

ვირტის მთავრობა, გერმანიის ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის მოძრე იყო. 1922 წლის აპრილის გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე მან მიიღო საბჭოთა მთავრობის წინადადება ამ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

16 აპრილს ქ. რაპალოში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, რომელიც სასარგებლო იყო ორივე ქვეყნისათვის, თანაც საბჭოთა დიპლომატიის დიდ გამარჯვებას მოასწავებდა.

მაგრამ ვირტის მთავრობის ეს პოლიტიკა ქვეყნის რეაქციული ძალების და, უპირველეს ყოვლისა, ფინანსიური მაგნატების დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ტერორისტული ორგანიზაციის „კონსულის“ ბანდებმა მოჰკლეს საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ რატენაუ, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოსთან ეკონომიური ურთიერთობის მომხრე იყო. 1922 წლის ნოემბერში გადაყენებულ იქნა ვირტის მთავრობაც.

1923 წლის რევოლუციური კრიზისი

ვირტის მთავრობის გადაყენების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოექცა ბურჟუაზიული მთავრობა (სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის გარეშე), კათოლიკური ცენტრის ლიდერის კუნოს მეთაურობით. იგი ამერიკის ორიენტაციისა იყო და მსხვილ მაგნატად ითვლებოდა, ეკავა გერმანია-ამერიკის (როკფელერის ტრესტში შემავალი) საზოგადოების დირექტორის ადგილი.

კუნოს მთავრობა აშშ-ის მხარდაჭერით რეპარაციების გადახდის საბოტაჟის გზას დაადგა, რამაც საფრანგეთის დიდი აღშფოთება გამოიწვია.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის იმპერიალისტები კმაყოფილი არ იყვნენ ვერსალის საზავო ხელშეკრულების გადაწყვეტილებით. ელზას-

ლორენის უკან დაბრუნების შემდეგ საფრანგეთის მეტალურგიულ მრეწველობას საკმაო ჰქონდა რკინის მადანის მარაგი, მაგრამ იგი განიცდიდა ქვანახშირის ნაკლოვანებას, ამიტომ საფრანგეთის მრეწველობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეპარაციებით გათვალისწინებული რურის ოლქის ქვანახშირის მიწოდებას. გერმანიის მონოპოლისტები კი, რომელთაც არ უნდოდათ საფრანგეთის ეკონომიურად გაძლიერება, ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ ქვანახშირის მიწოდებას. ეს გარემოება ამწვავებდა საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობას, რომელსაც კიდევ უფრო მეტად ინგლისი აღვივებდა.

1922 წელს სარეპარაციო კომისიამ, რომლის ხელმძღვანელობა საფრანგეთის ხელში იმყოფებოდა, დაადგინა, რომ გერმანია განზრახ ახდენს რეპარაციებით გათვალისწინებული ქვანახშირის და ხე-ტყის მიწოდების ჩაშლას და რურის ოლქის ოკუპაცია მოითხოვა.

1923 წლის 11 იანვარს საფრანგეთ-ბელგიის 100 ათასიანმა არმიამ რურის ოლქის ოკუპაცია დაიწყო. კუნოს მთავრობამ ამ აქტს „პასიური წინააღმდეგობის" პოლიტიკის გამოცხადებით უპასუხა. ამ პოლიტიკას საფუძვლად დაედო სარეპარაციო კომისიასთან რაიმე მოლაპარაკებაზე უარის თქმა, ვიდრე საფრანგეთის ჯარები რურის ოლქიდან გაყვანილი არ იქნებოდა. გარდა ამისა, რურის მუშებს მთავრობამ მოუწოდა უარი ეთქვათ ქვანახშირის ამოღებასა და გადაზიდვაზე საფრანგეთის სასარგებლოდ, ხოლო მოხელეებს ეკრძალებოდათ საოკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობა.

„პასიური წინააღმდეგობის" პოლიტიკის შედეგად გერმანიაში მკვეთრად შემცირდა სამრეწველო წარმოება, ამან გამოიწვია მასობრივი უმუშევრობა და ქაღალდის მარკის ელვისებური სისწრაფით გაბონება. მაგალითად, 1923 წლის იანვარში 1 ამერიკული დოლარი ღირდა 17972 გერმანული მარკა, აგვისტოში 4,5 მილიონი მარკა, შემდეგ 100 მილიონი, 500 მილიონი, ოქტომბერში კი 1,35 მილიარდი მარკა. ხმარებაში იყო ტრილიონნიანი ქაღალდის მარკები. მსხვილი მაგნატები სარგებლობდნენ ფულის ასეთი გაუფასურებისა და ხალხთა მასების გაპირვებული მდგომარეობით. „პასიური პოლიტიკის" შედეგად მოკლე ხნის განმავლობაში მილიონობით გერმანელი გაღატაკდა. ასიათასობით წვრილი და საშუალო მწარმოებლები მასობრივად კოტრდებოდნენ. დადგენილია, რომ ამ დროისათვის გერმანიის კვალიფიციური მუშის ყოველკვირეული ხელფასი ორი დღის არსებობისათვისაც კი არ ჰყოფნიდათ მათ.

ამავე დროს რურის მაგნატები არა თუ არ განიცდიდნენ ზარალს, არამედ პირიქით ახალი გამდიდრებისათვის სხვადასხვა მაქინაციებს იყენებდნენ. იმ მუშათა ხელფასის ფონდი, რომელნიც მონაწილეობდნენ „პასიური წინააღმდეგობის" პოლიტიკაში და გერმანიის სხვა რაიონებში „რურის დახმარების ფონდში" შეგროვილი თანხა ფაქტიურად რურის მაგნატების ჯიბეში მიდიოდა. მათ ჯიბეში მიდიოდა აგრეთვე „პასიური წინააღმდეგობისათვის" ყოველდღიურად გაშოყოფილი 200 მილიონი ოქროს მარკა.

მუშათა მატერიალური მდგომარეობის კატასტროფული დაცემა მათ საყოველთაო უკმაყოფილებას და მასობრივ მღელვარებას იწვევდა. აგვისტოს შუა რიცხვებში მთელი გერმანია საყოველთაო გაფიცვამ მოიცვა. გაფიცულები მოითხოვდნენ კუნოს მთავრობის გადადგომას და „პასიური წინააღმდეგობის" პოლიტიკის გაუქმებას. გაფიცვა კლასთა ბრძოლის მწვავე პირობებში ძიმდინარეობდა. მიუხედავად მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების და პროფ-

კავშირების რეფორმისტული ხელმძღვანელობის საბოტაჟისა, 1923 წლის 11 აგვისტოს კომპარტიის მოწოდებით მოწვეულ იქნა ბერლინის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონფერენცია. მან მიიღო გადაწყვეტილება სამდღიანი გაფიცვის დუყონებლივ გატარების შესახებ. კონფერენციამ წამოაყენა შემდეგი მოთხოვნები: კუნოს მთავრობის გადაყენება, სასურსათო პროდუქტების კონფისკაცია და მის განაწილებაზე კონტროლის დაწესება, უმუშევართა სამუშაოთი უზრუნველყოფა, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება, მუშათა მთავრობის შექმნისათვის ბრძოლა და ამ მიზნისათვის პროლეტარიატის მებრძოლი რაზმებისა (პროლეტარული ასეულების) და მომარაგების რეგულირებისა და სპეკულიაციის წინააღმდეგ მებრძოლი „საკონტროლო კომისიების“ შექმნა.

მოწოდებას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ გერმანიის მუშები. უკვე სექტემბერში 800-ზე მეტი პროლეტარული ასეული შეიქმნა, რომელიც თავის რიგებში 100 ათას კაცს აერთიანებდა. გერმანიის ბევრ ქალაქსა და ოლქში მოხდა შეტაკებები გაფიცულებსა და რაიხსვერის ნაწილებს შორის. მოძრაობის ასეთი ვაქანებით დაშინებული მმართველი წრეები იძულებული გახდნენ კუნოს მთავრობა გადაეყენებინათ. ხელისუფლების სათავეში ჩადგა ოთხი სოციალ-დემოკრატის მონაწილეობით შემდგარი ე. წ. „ფართო კოალიციის მთავრობა“ „სახალხო პარტიის“ ლიდერის შტრეზემანის მეთაურობით. 1923 წლის 23 სექტემბერს შტრეზემანის მთავრობამ „პასიური წინააღმდეგობის“ პოლიტიკა გააუქმა და ამავე დროს საალყო წესები შემოიღო. შტრეზემანის მთავრობამ დაითხოვა საერთო გერმანული და ბერლინის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების აღმასრულებელი კომიტეტები. რურის ოლქში ყველა კომუნისტური გაზეთები აიკრძალა, 8 საათიანი სამუშაო დღე გაუქმდა. მიუხედავად ამ რეპრესიებისა, რევოლუციური მოძრაობა არ შეწყვეტილა.

1923 წლის შემოდგომაზე გერმანიაში მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია. კომინტერნის შეფასებით გერმანიაში ამ დროს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ყველა ობიექტური პირობები არსებობდა, მაგრამ გერმანიის კომპარტიის ხელმძღვნელობის სათავეში გაძვრნენ მემარჯვენე ოპორტუნისტები ბრანდლერისა და ტალგეიმერის მეთაურობით, რომელნიც თავისი ოპორტუნისტული მოქმედებით ასუსტებდნენ გერმანიის მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას. კომპარტიის მიერ წამოყენებული მუშათა ერთიანი ფრონტის ტაქტიკისათვის ბრძოლის ნაცვლად ისინი, არა მასობრივი ბრძოლის გაშლას, არამედ შემარჯვენე სოციალ-დემოკრატებთან უპრინციპო ბლოკის შექმნას მოითხოვდნენ.

1923 წლის ოქტომბრის დასაწყისში საქსონიასა და ტიურინგიაში მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ლიდერების სურვილის საწინააღმდეგოდ შეიქმნა მუშათა ერთიანი ფრონტი. ამის შედეგად, 11 ოქტომბერს შეიქმნა მუშათა მთავრობა საქსონიაში. მასში 5 სოციალ-დემოკრატი და 2 კომუნისტი შევიდა. 16 ოქტომბერს მუშათა მთავრობა შეიქმნა ტიურინგიაშიც.

მუშათა ორივე მთავრობამ თითქმის ერთიანი ხასიათის პროგრამა წამოაყენა: კონტროლის დაწესება წარმოებაზე, 8 საათიანი სამუშაო დღის დაკანონება, მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათით, უმუშევართათვის დახმარების გაწევა და ა. შ.

შუა გერმანიის სამრეწველო ცენტრებში—საქსონიასა და ტიურინგიაში მუშათა მთავრობების აღმოცენების შედეგად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მუ-

შათა კლასის მიერ მთელ გერმანიაში პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღებისათვის. მაგრამ ეს ხელსაყრელი პირობები კომპარტიის მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის ბრანდლერ-ტალგეიმერის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული არ იქნა. მათ უარი თქვეს სრულიად გერმანიის საბჭოების შექმნაზე. ისინი შეცდომით თვლიდნენ, რომ საბჭოები შეიძლება შეცელილიყო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებით: მუშათა მთავრობების მხარდაჭერისათვის საჭირო იყო მუშათა კლასის დაუყოვნებლივი შეიარაღება, სრულიად გერმანიის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვების გამოცხადება და ა. შ., რაც არ იქნა გაკეთებული. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გამყიდველური მოქმედების გამოაშკარავების ნაცვლად ბრანდლერ-ტალგეიმერის ჯგუფი მათთან უპრინციპო ხასიათის შეთანხმებების მიღწევას ცდილობდა, შედეგი ამისა ის იყო, რომ რაიხსვერის ჯარები 1923 წლის 30 ოქტომბერს შეიჭრნენ საქსონიაში, ხოლო 3 ნოემბერს კი ტიურინგიაში და ყოველგვარი წინააღმდეგობების გაწევის გარეშე დაამხეს მუშათა მთავრობები.

შეიარაღებული აჯანყება მოხდა მხოლოდ ჰამბურგში, სადაც საქალაქო კომუნისტურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა გერმანიის კომპარტიისა და მუშათა კლასის მომავალი ბელადი ერნსტ ტელმანი.

23 ოქტომბერს კომუნისტების მოწოდებით ჰამბურგის მუშები აჯანყდნენ. იგი უნდა გამხდარიყო ნიშანი მთელი გერმანიის მუშათა აჯანყებისა. აჯანყებულებმა მუშათა რაიონში ბარმბეკში ააგეს ბარიკადები. სამასი შეიარაღებული მუშა სამი დღის განმავლობაში გაიფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა 6 ათასი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული პოლიციელის წინააღმდეგ, აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოიყენეს ტანკები, ჯავშნიანი მანქანები და არტილერია. აჯანყებულმა მუშებმა ვერავითარი მხარდაჭერა ვერ მიიღეს გარედან. ბრანდლერ-ტალგეიმერის ხელმძღვანელობამ უარი სთქვა გერმანიის მუშათა კლასისადმი საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოწოდებაზე. 25 ოქტომბერს შუადამისას, ერნსტ ტელმანი დარწმუნდა რომ ჰამბურგის აჯანყებული მუშები იზოლირებულნი იყვნენ, ბრძანება გასცა ქალაქიდან უკან დახევის შესახებ. აჯანყებულებმა ორგანიზებულად დაიხიეს და თან გაიყვანეს ყველა დაჭრილი და დახოცილი.

ამრიგად, სოციალ-დემოკრატების აშკარა გამყიდველური მოქმედების შედეგად და ბრანდლერ-ტალგეიმერის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის გამო გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის 1923 წლის შემოდგომაზე მარცხით დამთავრდა.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ რაინისა და ბავარიის მუშებმა დიდი როლი ითამაშეს გერმანიის ამ ოლქების ბურჟუაზიის სეპარატიული მოძრაობის წინააღმდეგ. აღნიშნული ოლქების ბურჟუაზია დაშინებული იყო გერმანიის მუშათა მოძრაობის გაქანებით. იგი ცდილობდა ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნების მიზნით, გამოყოფილიყო გერმანიიდან და საფრანგეთის მფარველობის ქვეშ რაინის დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეექმნა, ხოლო ბავარიის ბურჟუაზიას ავსტრიასთან გაერთიანებით დუნაის კონფედერაცია სურდა. მაგრამ სეპარატისტების ეს ცდები გერმანიის მუშათა კლასმა ჩაშალა.

ფაშისტების ამბოხება მიუნხენში 1923 წლის 8-9 ნოემბერს

პროლეტარიატის დამარცხება და ხალხის უკმაყოფილების ზრდა ფაშისტურმა პარტიამ განიზრახა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ეს პარტია 1919

წელს შეიქმნა „ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის“ სახელწოდებით[1]. მაგრამ, არც მუშათა კლასთან, და არც სოციალიზმთან ამ პარტიას არავითარი საერთო არა ჰქონდა. ასეთი სახელწოდება ფაშისტებმა ხალხის მოტყუების მიზნით მიიღეს. აღნიშნული პარტია გერმანიის ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციული ფენის მსხვილი ფინანსიური და სამრეწველო მაგნატების პარტიას წარმოადგენდა, რომლის მთავარი ამოცანა რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობის სისხლში ჩახშობა და აშკარა ტერორისტული სისხლიანი დიქტატურის დამყარება იყო. პარტიაში შედიოდნენ ძირითადად კაიზერის ყოფილი არმიის დეკლასირებული ჯარისკაცები და ოფიცრები.

1920 წლიდან ამ პარტიას სათავეში ჩაუდგა რაიხსვერის ეფრეიტორი და მიუნხენის პოლიციის საიდუმლო აგენტი შიკლგრუბერი ზედმეტ სახელად ადოლფ ჰიტლერი. ამავე წელს ფაშისტებმა გამოაქვეყნეს პროგრამა, რომელიც ოავის მხარეზე ხალხის მომხრობის მიზნით სავსე იყო დემაგოგური დაპირებებით. პროგრამა გლეხებს პირდებოდა მიწას და სავაჭრო პროცენტის მოსპობას, მუშებს სამუშაო დღის შემცირებასა და კაპიტალისტების მოგებებში მონაწილეობას, წვრილ ბურჟუაზიას იაფ კრედიტს და უნივერმაღების მოსპობას. გამოიყენეს რა გერმანელი ხალხის ეერსალის ზავისადმი საწინააღმდეგო განწყობილება, მათ რევანშისტული და შოვინისტური მოთხოვნები წამოაყენეს.

ფაშისტებმა ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით გერმანიის პროლეტარიატის დამარცხება 1923 წლის შემოდგომაზე ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს ამბოხების მოწყობისათვის. 1923 წლის 8-9 ნოემბერს ბავარიის მთავარ ქალაქ მიუნხენში მათ ამბოხება მოაწყვეს. ძალით მიიმხრეს ბავარიის მთავრობის მეთაური ფონ კარი, დააპატიმრეს დანარჩენი მინისტრები, ხოლო გერმანიის ცენტრალური მთავრობა დამხობილად გამოაცხადეს. ჰიტლერმა თავისი თავი გერმანიის მთავრობის მეთაურად დანიშნა, ხოლო გენერალი ლუდენდორფი — გერმანიის არმიის მთავარსარდლად. მაგრამ გერმანიის ბურჟუაზიის დიდმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა ფაშისტებს, რომელთა პროგრამის რევანშიზმს შეიძლებოდა საერთაშორისო გართულებანი გამოეწვია. გარდა ამისა, მუშათა გამოსვლების ჩახშობის შემდეგ გერმანიის ბურჟუაზია ფაშისტების დახმარებას აღარ საჭიროებდა. მთავრობის ბრძანებით რაიხსვერმა განდევნა ფაშისტების მოიერიშეთა ნაწილები. ჰიტლერი დაპატიმრებული იქნა და 5 წლის პატიმრობა მიესაჯა, მაგრამ 6 თვის შემდეგ იგი გაათავისუფლეს.

§ 5. გერმანია კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდში (1924 — 1929 წწ)

რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის შემდეგ გერმანიაში კაპიტალისტური წყობილების ნაწილობრივი სტაბილიზაცია დაიწყო. იგი მიღწეულ იქნა ხალხის სოციალური და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვების გზითა და ინგლისა-ამერიკის იმპერიალისტების დახმარებით.

8 საათიანი სამუშაო დღე, მუშათა სახელმწიფო დაზღვევა, პენსიები ინვალიდებისა და ხანდაზმულობისათვის გაუქმებული იქნა. მარკის სტაბილიზაციის მიზნით გატარდა ფულის რეფორმა. 1923 წლის ნოემბრიდან ხელისუფლების სათავეში გერმანიაში ჩაყენებული იქნა კათოლიკური პარტიის „ცენტრის“ ლი-

[1] ფაშისტური პარტია შექმნა ა. დრეკლერმა, 1920 წლიდან კი ამ პარტიის ხელმძღვანელობა ჰიტლერის ხელში გადავიდა.

დერი ვილჰელმ მარქსი, რომელმაც გერმანიაში საალყო მდგომარეობა შემოიღო. მან რაიხსვერის მეთაური გენერალი სეტტი, დიქტატორული უფლებებით აღჭურვა. 1924 წლის თებერვლის დამლევს ბურჟუაზიის პოლიტიკური და ეკონომიური ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ საალყო წესები გაუქმდა და კვლავ პარლამენტური მმართველობის სისტემა აღსდგა.

აშშ-ის და ინგლისის იმპერიალისტებმა, დაშინებულმა გერმანიის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლით, გადაწყვიტეს დახმარება გაეწიათ გერმანიის კაპიტალიზმისათვის.

1924 წლის აგვისტოში ლონდონში მოწვეულ იქნა ანტანტის ქვეყნების კონფერენცია, რომელმაც „დაუესის გეგმა" მიიღო[1]. დაუესის გეგმით გათვალისწინებული იყო გერმანიის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენა ინგლის-ამერიკის ფინანსური დახმარების გზით. ექვსი წლის განმავლობაში 1924—1929 წლებში გერმანიამ ამ გეგმის შესაბამისად მიიღო ინგლის-ამერიკის ბანკებიდან 15 მილიარდი ხანგრძლივვადიანი და 6 მილიარდი მოკლევადიანი სესხები.

იმ მიზნით, რომ უზრუნველეყოთ დაუესის გეგმით გერმანიისაგან რეპარაციების მიღება, ანტანტამ ბანკი დააარსა, რომელსაც ბანკნოტების გამოშვების უფლება ეძლეოდა, მაგრამ იმ პირობით, რომ მარკის კურსის დაცემა არ მოეხდინა.

დაუესის გეგმის მიღების შემდეგ სარეპარაციო კომისიის ხელმძღვანელობა საფრანგეთისაგან ინგლის-ამერიკის ხელში გადავიდა. ლონდონის კონფერენციაზე საფრანგეთმა რურის ოლქიდან თავისი ჯარის გაყვანის ვალდებულება იკისრა: ლოკარნოს კონფერენცია (1925 წლის ოქტომბერი) გერმანიისათვის დიდ წარმატებას წარმოადგენდა. აქ ხელმოწერილი რაინის პაქტით ერთის მხრივ საფრანგეთმა და ბელგიამ და მეორეს მხრივ გერმანიამ ვალდებულება აიღეს, ეცნოთ ვერსალის ზავით დადგენილი დასავლეთის საზღვრების ხელშეუხებლობა. ლოკარნოს კონფერენციაზე გერმანიამ ერთა ლიგაში მიიღო მიწვევა. რაინის პაქტით კმაყოფილი იყვნენ გერმანიის გაბატონებული კლასები. მიიღეს რა თავისი დასავლეთის საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტია და ერთა ლიგაში მიწვევა, მათ დამშვიდებით შეეძლოთ ეფიქრათ თავისი სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენაზე. ამავე დროს გერმანიის იმპერიალისტებს ხელ-ფეხი ეხსნებოდათ აღმოსავლეთ პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიისა და ბოლოს სსრ კავშირისაკენ, რომელთა საზღვრების ხელშეუხებლობაზე, დასავლეთის სახელმწიფოების წინასწარ განზრახული პოლიტიკის გამო, არავითარი საერთაშორისო გარანტია არ არსებობდა.

ინგლის-ამერიკიდან მიღებული სესხები კარგად იქნა გამოყენებული გერმანიის მრეწველობის სწრაფი აღდგენისათვის, უკვე 1928 წლისათვის გერმანიამ მრეწველობაში ომამდელ დონეს მიაღწია. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, მან ვერ შეძლო ომამდელი დონისათვის მიეღწია და რიგ სიძნელეებს განიცდიდა.

კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის წლებში გერმანიაში ძლიერდება მემარჯვენე ძალების პოზიციები. მათი წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება 1925 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ნაცვლად გარდაც-

[1] დაუესი იყო ამერიკელი ბანკირი.

ვლილი ებერტისა, მონარქიული და რევანშისტული ძალების მომხრის ფელდმარშალ ჰინდენბურგის გამარჯვება.

კაპიტალიზმის ე. წ. სტაბილიზაციის დროსაც მუშათა მოძრაობა გერმანიაში არ შეწყვეტილა. გერმანიის კომპარტიამ თავი დააღწია მემარჯვენე ხელმძღვანელობას. 1924 წელს ბრანდლერ-ტალგეიმერის ჯგუფი ჩამოშორებულ იქნა ხელმძღვანელობიდან, ხოლო მასლოვ-ფიშერის ტროცკისტული ჯგუფი კი პარტიიდან გარიცხეს, კომპარტიის ც/კ-ის შემადგენლობაში არჩეულ იქნა ერნსტ ტელმანი. შემდგომ იგი სათავეში ჩაუდგა კომპარტიის ხელმძღვანელობას. ერნსტ ტელმანის ხელმძღვანელობით შეიქმნა მუშათა თავდაცვის წითელი ფრონტელების კავშირი, რომელიც 1927 წლისათვის თავის რიგებში 100 ათას კაცს აერთიანებდა. კომპარტიის რიგები ამ დროისათვის 125 ათას კაცამდე გაიზარდა. კომპარტიამ ქვეყნის რეაქციული ძალების წინააღმდეგ მუშათა კლასის გაერთიანებისათვის ფართო მუშაობა გააჩაღა. 1927-1928 წლებში კომპარტიის ხელმძღვანელობით ჩატარებული იქნა მუშათა მრავალრიცხოვანი გამოსვლები 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებისა, მუშათა ხელფასის გაზრდისა და უმუშევრობის ლიკვიდაციის მოთხოვნით, რომელშიც დაახლოებით 5 მილიონი კაცი მონაწილეობდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა კლასის დიდი ნაწილი ისევ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ისინი ძველებურად განაგრძობდნენ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას და ხელს უშლიდნენ მუშათა კლასის ბრძოლის გაშლას. ამავე დროს კომუნისტების გავლენაც დღითიდღე იზრდებოდა. ამას მოწმობს გერმანიის კომპარტიის წარმატებები რაიხსტაგის არჩევნებში. 1924 წელს გერმანიის კომპარტიამ რაიხსტაგის არჩევნებში 2700 ათასი ხმა მიიღო, ხოლო 1928 წლის არჩევნებში კი—3,3 მლნ. ხმა და 54 დეპუტატის მანდატი მოიპოვა.

§ 6. შაშიტური დიქტატურის დამყარება გერმანიაში

ეკონომიური კრიზისი გერმანიაში

კაპიტალიზმის სტაბილიზაცია გერმანიაში დროებითი და მერყეევი გამოდგა, ქვეყნის ეკონომიკა მან ვერ იხსნა მორიგი ჭარბი წარმოების კრიზისისაგან. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, ჯერ აშშ-ში დაიწყო, შემდეგ გერმანიას მოედო. იგი შეეხო არა მარტო მრეწველობას, არამედ ფინანსებს და ვაჭრობას და აგრარულ კრიზისში გადაიზარდა. ეკონომიური კრიზისი გერმანიაში ჰიმდინარეობდა ძალზედ მწვავე ფორმებში. მართალია, გერმანიის მრეწველობამ და საგარეო ვაჭრობამ სტაბილიზაციის პერიოდში ომამდელ დონეს გადააჭარბა, მაგრამ მის შემდგომ განვითარებას მთელი რიგი საგარეო და საშინაო წინააღმდეგობანი აფერხებდა. საგარეო წინაალმდეგობანი დაკავშირებული იყო შედეგ ფაქტორებთან. პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად გერმანიამ დაკარგა კოლონიები, გასაღების ბაზრები და ნედლეულის წყაროები. გარდა ამისა, დასავლეთის სახელმწიფოებმა, იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ გერმანიის სამრეწველო საქონლის კონკურენცია, თავის ქვეყნებში საზღვარგარეთიდან შემოსატან საქონელზე მაღალი ბაჟები დააწესეს. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა აგრეთვე ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა, რადგან გერმანია ყოველწლიურად 2,5 მლრდ. მარკის რეპარაციას იხდიდა. გარდა ამისა,

გერმანიამ 1924—1929 წწ. დასავლეთის სახელმწიფოებისაგან მიღებულ სესხებზე პროცენტების სახით გადაიხადა 3830 მილიონი მარკა.

გერმანიის ეკონომიკის შემდგომი განვითარების საშინაო წინააღმდეგობანი დაკავშირებული იყო იმ გარემოებასთან, რომ სოფლის მეურნეობამ ომამდელ დონეს ვერ მიაღწია, რის გამოც იგი სამრეწველო საქონლის ცუდი მომხმარებელი იყო. ამას აგრეთვე ისიც უნდა დავმატოს, რომ მშრომელთა მასების მატერიალური მდგომარეობა ომამდელ დონესთან შედარებით მკვეთრად გაუარესდა. გერმანიის გაბატონებული კლასები სარეპარაციო თანხების გადახდის მომიზეზებით ზრდიდნენ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს. ამის შედეგად სამრეწველო და სასურსათო საქონელზე მომხმარებელთა მოთხოვნილება ძალზედ დაბალი იყო, რაც საშინაო ბაზრის შევიწროებას იწვევდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „დაუესის გეგმას" საერთო სარეპარაციო თანხა არ განუსაზღვრია. იგი 1924 წლიდან 1929 წლამდე 1 მილიარდიდან $2^1/_2$ მილიარდ მარკამდე უნდა გაზრდილიყო. 1929 წელს „დაუესის გეგმა" „იუნგის გეგმით" შეიცვალა, რომლითაც გერმანიის სარეპარაციო თანხა 113,9 მილიარდი მარკით განისაზღვრა. გერმანიას, ნაცვლად $2^1/_2$ მილიარდისა, ყოველწლიურად 2 მილიარდი მარკა უნდა ეხადა. დადგენილი სარეპარაციო თანხის გადახდა გერმანიას 59 წლით განესაზღვრა. იუნგის გეგმა ანტანტის კონტროლს გერმანიის ფინანსებსა და ეკონომიკაზე აუქმებდა, რაც გაბატონებულმა კლასებმა თავისი ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის სწრაფად აღდგენისათვის გამოიყენეს.

ეკონომიურმა კრიზისმა წარმოების კატასტროფული დაცემა გამოიწვია. 1929 წლის შემოდგომიდან — 1932 წლის დამლევამდე სამრეწველო პროდუქციის საერთო წარმოება 40 პროცენტამდე შემცირდა, საქონლის ექსპორტი 13,5 მლრდ. მარკიდან (1929 წელს) 5,7 მილიარდ მარკამდე დაეცა (1932 წელს). კრიზისის დროს მთელი რიგი საშუალო და წვრილი საწარმოები, ვერ უძლებდნენ რა მსხვილი მონოპოლიების კონკურენციას, მასობრივად კოტრდებოდნენ.

კრიზისის დროს ქვეყნის ფინანსები და სოფლის მეურნეობა მოიშალა. აგრარული კრიზისის შედეგად ასიათასობით, არა მარტო საშუალო და წვრილი, არამედ მსხვილი გლეხთა მეურნეობაც გაკოტრდა. ეკონომიური კრიზისი არ შეხებია მრეწველობის მხოლოდ იმ დარგებს, რომელიც სამხედრო წარმოებასთან იყო დაკავშირებული.

ეკონომიურმა კრიზისმა ხალხთა მასების ისედაც მძიმე მდგომარეობის შემდგომი გაუარესება გამოიწვია. სწრაფად იზრდებოდა უმუშევართა რაოდენობა. 1930 წლისათვის იგი 4,4 მილიონ კაცამდე აღწევდა, 1931 წლის თებერვალში 5 მილიონამდე, ხოლო 1932 წლისათვის 8 მილიონამდე გაიზარდა. მასობრივ უმუშევრობას და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის დაცემას კლასთა ბრძოლის შემდგომი გამწვავება მოჰყვა. კლასთა ბრძოლის გამწვავების პირობებში ერთდროულად ძლიერდებიან ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალები — რევოლუციური და რეაქციული.

ბურჟუაზიულ პარტიებში კონსერვატორული ძალების კონსოლიდაცია მიმდინარეობდა. იზრდება ფაშისტური პარტიის გავლენა. მაგალითად, 1928 წელს ფაშისტებმა რაიხსტაგის არჩევნებისას მიიღეს ამომრჩეველთა 809 ათასი ხმა, ხოლო 1930 წელს 6,4 მლნ. ხმა. ჰიტლერული პარტიის გავლენის ესოდენ სწრა-

ფი ზრდა შემდეგი გარემოებით აიხსნება. 1930 წლის მარტში მემარჯვენე სოციალ-დემოკრატის მიულერის მთავრობა (იგი ხელისუფლების სათავეში 1928 წლის ივნისიდან იდგა), ბრიუნინგის ბურჟუაზიული მთავრობით შეიცვალა. ამ მთავრობამ საგანგებო დეკრეტები გაატარა: 10% შეამცირა მუშების, მოსამსახურეებისა და მოხელეების ხელფასი, სხვადასხვა სოციალური დახმარებები და გაზარდა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები.

ბრიუნინგის მთავრობის ასეთმა პოლიტიკამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. ხალხის საყოველთაო უკმაყოფილება დაუყოვნებლივ გამოყენებულ იქნა ფაშისტების მიერ, მუშების თავის მხარეზე მიმხრობის მიზნით ჰიტლერელები თავის თავს გაფიცვების მომხრეებად აცხადებდნენ და სხვადასხვა ხასიათის დემაგოგიურ დაპირებებს იძლეოდნენ. მაგალითად, მუშებს ხელფასის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებას და კაპიტალისტების მოგებებში მონაწილეობას ჰპირდებოდნენ, გაკოტრებულ წვრილბურჟუაზიას უნივერმაღების დახურვას და ტრესტებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესებას, გლეხობას მიწების გადაცემას და სამევახშო პროცენტის მოსპობას. ფაშისტურ პარტიას მხარს უჭერდნენ და აფინანსებდნენ ყველაზე უფრო რეაქციული ფენები ბურჟუაზიისა, ფინანსური და სამრეწველო მაგნატები, რომლებიც გერმანიაში აშკარა ტერორისტული, სისხლიანი დიქტატურის დამყარებაზე, რევოლუციური და დემოკრატიული ძალების განადგურებაზე და დამპყრობლური ომის გაჩაღებაზე ოცნებობდნენ. კომუნისტური პარტია თანამიმდევრულ ბრძოლას აწარმოებდა ჰიტლერელების წინააღმდეგ, ამჟღავნებდა მათ რევანშისტულ, რასისტულ და შოვინისტურ პროპაგანდას.

1930 წლის აგვისტოში გკპ-ამ გამოაქვეყნა „გერმანელი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების პროგრამა". იგი ძირითადად ფაშისტების აღვირახსნილი დემაგოგიის წინააღმდეგ იყო მიმართული. პროგრამაში ხაზგასმული იყო, რომ „ფაშისტები (ნაციონალ-სოციალისტები) ამტკიცებენ, რომ ისინი „ნაციონალურ", „სოციალისტურ" და „მუშათა" პარტიას წარმოადგენენ. ჩვენ ამაზე ვპასუხობთ, რომ ისინი ანტიხალხურ, ანტიმუშურ, ანტისოციალისტურ პარტიას, უკიდურეს რეაქციულ პარტიას, მშრომელთა ექსპლოატაციის და დაკაბალების პარტიას წარმოადგენენ". პროგრამა მთელი მაგალითებით გერმანიის მშრომელთათვის ნათელყოფდა, რომ ფაშისტების პარტია კოლონიური დაპყრობების, ხალხთა ძირითადი ინტერესების გამყიდველური პარტიაა. ეს პროგრამა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო პარტიის ახალი პოლიტიკის განსაზღვრის საქმეში გერმანიაში შექმნილ კლასთა ბრძოლის ახალ ვითარებაში. პროგრამა მუშათა კლასის წინაშე ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სახავდა ერთიანი, პროლეტარული ფრონტის, ხოლო შემდეგ ერთიანი, ანტიფაშისტური და ომის საწინააღმდეგო სახალხო ფრონტის შექმნას, რომელშიც ფაშიზმისა და ომის ყველა მოწინააღმდეგე გაერთიანდებოდა. გარდა ამისა, პროგრამა სოციალისტური რევოლუციის დაუყოვნებლივ განხორციელებას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას მოითხოვდა. მაგრამ ასეთი ლოზუნგი ნაადრევი იყო, რადგანაც კომპარტიას ჯერ ხალხთა მასების უმრავლესობის მოპოვებისათვის უნდა ებრძოლა და მხოლოდ ამის შემდეგ დაეყენებინა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები.

ფაშისტური საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლა გერმანიის პროლეტარიატის ყველა პარტიის და ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა,

მაგრამ ამ საქმეში პრინციპული პოზიცია მხოლოდ კომპარტიამ დაიკავა. კომპარტიის ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნისათვის, სოციალ-დემოკრატების ლიდერების დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ფაშიზმის გავლენის ზრდასთან დაკავშირებით რეფორმისტები „ნაკლები ბოროტების" თეორიით გამოდიოდნენ. ისინი ამ „თეორიიდან" გამომდინარე და ბურჟუაზიული დემოკრატიის გადარჩენის საბაბით ბრიუნინგის მთავრობასთან შეუნიღბავ კავშირზე წავიღნენ. ეს კი პროლეტარული ინტერესებისადმი აშკარა ღალატს ნიშნავდა.

/ ბრიუნინგის მთავრობამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1930 წლის მარტში შეცვალა სოციალ-დემოკრატის მიულერის მთავრობა და მაშინვე ანტისახალხო და ანტიდემოკრატიული ღონისძიებები განახორციელა. /

ფაშისტებმა ეს თავისი გავლენის ზრდისათვის გამოიყენეს.

ამრიგად, /კომუნისტებთან ერთად ერთიანი ანტიფაშისტური პროლეტარული ფრონტის შექმნის ნაცვლად სოციალ-დემოკრატებმა დემოკრატიის გადარჩენის საბაბით ბურჟუაზიულ პარტიებთან კავშირი აირჩიეს. სოციალ-დემოკრატების ასეთმა ღალატმა შეასუსტა მისი ავტორიტეტი მასებზე, რამაც თავისი გამოხატულება 1930 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჰპოვა. ამავე დროს ამ არჩევნებმა ნათელი გახადა, რომ კომუნისტების გავლენა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგით წევრებს შორისაც იზრდებოდა. 1930 წლის რაიხსტაგის არჩევნებში კომპარტიამ მიიღო 4,590 ათასი ამომრჩეველის ხმა, რაც 1,327 ათასით მეტი იყო, ვიდრე 1928 წლის არჩევნებში. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს მათ 1928 წლის არჩევნებთან შედარებით 600 ათასით ნაკლები ხმა მიიღეს. ამავე დროს, ამ არჩევნებმა ნათელჰყო ფაშისტების გავლენის სწრაფი ზრდა, რომელთაც 1930 წლის არჩევნებისას 6,400 ათასი ხმა მიიღეს, ე. ი. 8-ჯერ მეტი ვიდრე 1928 წელს.

რაიხსტაგის 1930 წლის არჩევნების შემდეგ ბრიუნინგის მთავრობის კაბინეტი რეორგანიზებულ იქნა. | ბრიუნინგმა რაიხსკანცლერის თანამდებობასთან ერთად საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი მიიღო. ამავე დროს ფაშისტური საშიშროება იზრდებოდა. ტიურინგიაში, ბრაუნშვაიგში, ოლდენბურგში და სხვა ქალაქებში ფაშისტებმა ხელთ ჩაიგდეს ადმინისტრაციული ადგილები და გაძლიერებით ემზადებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. ბრიუნინგის მთავრობამ, რომელსაც რეფორმისტებმა „დემოკრატიის ბედი" ჩააბარეს, რაიხსტაგის არჩევნების დამთავრებისთანავე ჰიტლერთან მოლაპარაკება გამართა მისი მთავრობის შემადგენლობაში შეყვანის თაობაზე, მაგრამ იგი ჰიტლერის დიდი პრეტენზიების გამო ჩაშალა. მონოპოლისტებსაც ეშინოდათ, რომ ეკონომიური კრიზისის ამ პირველ ეტაპზე, როდესაც კიდევ უფრო დიდი სიძნელეები იყო მოსალოდნელი, ეს ჰიტლერელთა პარტიის გავლენის მკვეთრ დაცემას გამოიწვევდა. მათ ეშინოდათ, რომ ფაშისტური პარტიის გავლენის ზრდისათვის გაწეული ხარჯები ამაო არ გამხდარიყო და ეს პარტია ხელისუფლების სათავეში უფრო ხელსაყრელ ვითარებაში ჩაეყენებინათ. 1931 წელს კვლავ დადგა მთავრობაში ფაშისტების მოწვევის საკითხი. ახლა იგი პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა წამოაყენა, მაგრამ ამჯერადაც მსხვილ მაგნატებს ჰიტლერელებისათვის ხელისუფლების გადაცემა ნაადრევად მიაჩნდათ. მთავარი მიზეზი იმისა, რომ 1930—1931 წლებში ფაშისტებმა ვერ შეძლეს

ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ის იყო, რომ კომპარტიამ შეძლო მუშათა კლასის დარაზმვა ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და, მიუხედავად ჰიტლერული პარტიის გავლენის ზრდისა, ხელი შეუშალა მას ძალაუფლება ხელში აეღო. 1930 წლის სექტემბრის დამლევისათვის ბერლინში ფაშისტების შეკრება იყო დანიშნული. ამის საწინააღმდეგოდ, 28 სექტემბერს კომპარტიამ გრანდიოზული, ანტიფაშისტური დემონსტრაცია მოაწყო, რომელმაც ფაშისტების ბავყრილობა ჩაშალა.

კომპარტიის ხელმძღვანელობით მუშებმა პარლამენტგარეშე ბრძოლაში რიგი დამარცხებები აგემეს ფაშისტებს, საკადრისი პასუხი გასცეს მათ გამოხდომებსა და ტერორს. 1930—1931 წლებში კომპარტიის და მის გავლენაში მყოფ პროფკავშირების ხელმძღვანელობით მთელი რიგი გაფიცვები ჩატარდა. მათ შორის გამოირჩევა 1930 წლის ზაფხულში მანსფელდში მომხდარი გაფიცვა, რომელიც 2 თვეს გრძელდებოდა და მეწარმეთა მიერ განზრახული ხელფასის 15% შემცირების წინააღმდეგ იყო მიმართული. იმავე წლის ოქტომბერში, გაიფიცნენ ბერლინის მელითონე მუშები, რომელიც კიდევ უფრო ფართო ხასიათს ატარებდა. მასში 140 ათასი კაცი მონაწილეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გაფიცვები ტერორის ვითარებაში მიმდინარეობდა, მაინც მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

1931 წელს კომპარტიამ გამოაქვეყნა აგრარული პროგრამა. იგი მემამულეთა მიწების კონფისკაციას და ამ მიწების უფასოდ გადაცემას მოითხოვდა უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებისათვის. პროგრამამ, გარდა ამისა, შემდეგი მოთხოვნები წამოაყენა: ღარიბი და საშუალო გლეხებისათვის გადასახადების შემცირება, დავალიანების გაუქმება, პირუტყვის იძულებითი წესით გაყიდვის აკრძალვა, სახელმწიფოს მიერ გლეხებისათვის დახმარების გაწევა და ა. შ. პროგრამა ითვალისწინებდა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მშრომელი გლეხობის გაერთიანებას ფაშიზმის და რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად, კაპიტალისტური წყობილების დამხობისა და მუშურ-გლეხური მთავრობის შესაქმნელად. კომპარტიის მიერ ორგანიზებული „ფაშიზმისა და შიმშილის წინააღმდეგ სახალხო კონგრესებში“ მთელ რიგ ოლქებში მუშებთან ერთად მონაწილეობდნენ ღარიბი გლეხებიც. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მოძრაობამ ვერ მოიცვა გლეხთა ძირითადი მასები და იგი უფრო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით მიმდინარეობდა. გარდა ამისა, კომპარტიის მუშაობას ხშირად ფრაქციული ბრძოლაც ართულებდა. წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ფრაქციულ ჯგუფს, ნეიმანის მეთაურობით, კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ხელმძღვანელური ადგილი ეკავა. ეს ჯგუფი იბრძოდა ე. ტელმანისა და მისი მომხრე ც/კ-ს წევრების და ერთიანი პროლეტარული ანტიფაშისტური ფრონტის შექმნის, პარტიის გენერალური პოლიტიკის წინააღმდეგ. ნეიმანი და მისი ჯგუფი უგულებელყოფდა ფაშიზმის საშიშროებას, ვერ ხედავდა განსხვავებას სოციალ-დემოკრატიულ ლიდერებსა და მის რიგით წევრებს შორის, რითაც ხელს უშლიდა მუშათა კლასის ყველა ძალების გაერთიანებას. ამ ჯგუფის მავნებლურმა მოქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა კომუნისტურ პარტიას და მუშათა კლასს.

ამასთანავე ხდებოდა მუშათა კლასის, კომპარტიისა და მთელი დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ქვეყნის რეაქციული ბანაკის კონცენტრაცია. 1932 წლის დასაწყისიდანვე პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით მმარ-

თველ და გავლენიან წრეებში საიდუმლო მოლაპარაკება მიმდინარეობდა კანდიდატურის შერჩევის საკითხში. | ფაშისტებმა კიდევ უფრო გააძლიერეს დემაგოგია, მათ სურდათ, რაც შეიძლება, მეტი მომხრეები ჰყოლოდათ მომავალ არჩევნებში და ხელთ ეგდოთ ძალაუფლება. მათ წამოაყენეს ანტიკაპიტალისტური ცრუ ლოზუნგები: სამხედრო მოგებების კონფისკაცია, ტრესტების გასახელმწიფოებრივობა, საკვაზო პროცენტების მოსპობა, და ა. შ. დასავლეთის სახელმწიფოები, უპირველეს ყოვლისა, ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს გერმანიაში რეაქციულ და დემოკრატიულ ძალებს შორის მიმდინარე კლასთა ბრძოლას. ისინი ფაშისტებს თანაუგრძნობდნენ და ამავე დროს ეშინოდათ, რომ ჰიტლერის მიერ ხელისუფლების ხელში აღების შემდეგ გერმანიაში დაბანდებული თავისი კაპიტალი არ დაეკარგათ. მაგრამ| 1931 წლის დეკემბერში, როდესაც ჰიტლერმა სენსაციური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ მისი მთავრობა პატივს სცემს გერმანიის საზღვარგარეთის სესხებს, ისინი დამშვიდდნენ. |

| ჰიტლერის ანტიკაპიტალისტურმა ლოზუნგებმა შეშფოთება გამოიწვია მსხვილ მაგნატებს შორისაც, მაგრამ რურის მაგნატების ტისენის და კირდორფის ინიციატივით 1932 წლის 27 იანვარს მოეწყო ჰიტლერის გამოსვლა დუსელდორფის „ინდუსტრიალურ კლუბში", სადაც გერმანიის ეკონომიური ცენტრის რაინ-ვესტფალიის 300 უმსხვილესი მაგნატი შეიკრიბა. | მოხსენებაში ჰიტლერმა პირობა დადო, რომ მოსპობდა კომუნიზმს, შექმნიდა მრავალმილიონიან არმიას და უზრუნველყოფდა გერმანიის ბატონობას მსოფლიოზე. მისმა მოხსენებამ მაგნატების სრული მოწონება დაიმსახურა და უდიდესი თანხა შეაგროვეს ფაშისტური პარტიის ფინანსირებისათვის.

| 1932 წლისათვის ფაშისტებმა განაცხადეს, რომ სამრეწველო კაპიტალი, კაპიტალის ფორმა კი არა, ყველაზე „საპატიო" შრომის ნაირსახეობაა.| მათ ნამდვილ ბოროტებად, მხოლოდ „სესხიანი კაპიტალი" გამოაცხადეს. მაგრამ არ გასულა დიდი დრო და ხალხის მოტყუების მიზნით შეთითხნილ „შავი სიიდან" ამ კატეგორიის ექსპლოატატორებიც ამოიღეს, გარდა ებრაელი ბანკირებისა. გაჭრა „ანტიკაპიტალისტური" ლოზუნგები და მისი ადგილი აღვირახსნილმა რასიზმმა და ანტისემიტიზმმა დაიკავა.

| 1932 წლის დასაწყისში საპრეზიდენტო არჩევნები გერმანიაში ძალზედ მწვავე კლასობრივ პირობებში მიმდინარეობდა.|კომუნისტებმა ტელმანის კანდიდატურა წამოაყენეს, სოციალ-დემოკრატებმა ბრაუნის, ხოლო ბურჟუაზიულმა პარტიებმა პირველ ტურში წამოაყენეს სამი კანდიდატი — ჰიტლერი, ჰინდენბურგი და დუსტერბერგი. კომპარტიამ კვლავ შესთავაზა სოციალ-დემოკრატებს ერთიანი პროლეტარული ფრონტით გამოსვლა. იგი მზად იყო ტელმანის კანდიდატურა სოციალ-დემოკრატ ბრაუნის სასარგებლოდ მოეხსნა, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა კომუნისტებთან ერთიანი ფრონტის ნაცვლად ბურჟუაზიასთან ბლოკი არჩიეს; თავისი კანდიდატი მოხსნეს, „ნაკლები ბოროტების" თეორიით გამოვიდნენ და მუშებს მოუწოდეს, რათა მხარი დაეჭირათ, ჰინდენბურგის კანდიდატურისათვის. |არჩევნების პირველი ტური უშედეგოდ დამთავრდა, საჭირო ხმები ვერცერთმა კანდიდატმა ვერ შეაგროვა. არჩევნების მეორე ტურში სამი კანდიდატი იყო—— ტელმანი, ჰიტლერი, და ჰინდენბურგი. ჰიტლერმა 13,417 ათასი ხმა მიიღო, ხოლო ჰინდენბურგმა 19 მილიონი. ამრიგად, პრეზიდენტად კვლავ ჰინდენბურგი აირჩიეს, მაგრამ არჩევნებმა ნათელ-

ჰყო ფაშისტური პარტიის გავლენის ზრდა./არჩევნების მეორე ტურში კომპარტიის კანდიდატმა მხოლოდ 3,7 მლნ. ხმა მიიღო, რაც ნაკლები იყო 1930 წლის სექტემბრის არჩევნებთან შედარებით. ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ კომპარტიის დაუღალავი ბრძოლის მიუხედავად მას შეცდომებიც ჰქონდა, რაც აძნელებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგითი წევრების ერთიან პროლეტარულ ფრონტში გაერთიანებას. კომპარტიის ყველა შეცდომებში დანაშაული ძირითადად ნეიმანის ჯგუფს მიუძღოდა. 1932 წლის ზაფხულში ეს ჯგუფი პარტიიდან გარიცხეს, რამაც მასებზე კომპარტიის გავლენის ზრდა გაპოიწვია, მაგრამ ეს ღონისძიებანი დაგვიანებით გატარდა.

| 1932 წლის გაზაფხულზე ფაშიზმის წინააღმდეგ კომპარტია გამოვიდა ერთიანი ბრძოლის ახალი პროგრამით, რომელმაც „ანტიფაშისტური" აქციის სახელწოდება მიიღო./მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახდა ფაშისტთა შეიარაღებული რაზმების თავდასხმების საპასუხოდ მუშათა რაზმების შექმნა. კომუნისტები დიდის წარმატებით ახორციელებდნენ ერთიანი ანტიფაშისტური კომიტეტების შექმნას და ფაშისტთა შეიარაღებულ ბანდებს არაერთი სერიოზული დარტყმა მიაყენეს, მაგრამ წარმატებით დაწყებულ ბრძოლას კვლავ ხელი შეუშალეს სოციალ-დემოკრატების ლიდერებმა, რომელიც თავის ხელქვეით ორგანოებს უკრძალავდა ერთიანი ფრონტის შექმნის საკითხში თვითნებურ მოქმედებას.

| 1932 წლის ივნისში ჰინდენბურგის პრეზიდენტად მეორედ არჩევის შემდეგ ივნისში ხელისუფლების სათავეში დაყენებულ იქნა ე. წ. „ეროვნული კონცენტრაციის მთავრობა" მონოპოლისტური ბურჟუაზიის და იუნკრების პირწავარდნილი დამცველების პაპენ-შლაიხერის მეთაურობით./ ამ მთავრობამ აიღო აშკარა რეაქციული კურსი — სიკვდილით სასჯელი შემოიღო არსებული წყობილების წინააღმდეგ გამოსვლისათვის, შეამცირა დახმარებები უმუშევართათვის, გამოსცა დეკრეტი, რომელიც მეწარმეებს უფლებას აძლევდა მუშათა ხელფასი 50%-ით შეემცირებინათ და ა. შ.

| პაპენ-შლაიხერის მთავრობა გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარებას ამზადებდა. მან ისარგებლა მუშათა კლასის გათიშულობით, ფაშისტური ორგანიზაციების და რაიხსვერის მხარდაჭერით და 1932 წლის 20 ივლისს განდევნა პრუსიის ხელისუფლების სათავეში მყოფი ბრაუნ-ზევერინგის კოალიციური მთავრობა, რომელშიც სოციალ-დემოკრატებიც შედიოდნენ./ ამ აქტით რეაქციას სურდა გამოეკვლია, თუ როგორი იქნებოდა მუშათა კლასის წინააღმდეგობა მთავრობის ამ უკანონო მოქმედების გამო. რეაქციული ძალები ფიქრობდნენ, რომ ისინი დიდ წინააღმდეგობას წაწყდებოდნენ. კომპარტიამ სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და სოციალ-დემოკრატებს და რეფორმისტულ პროფკავშირებს მიმართა, რათა შეექმნათ ერთიანი ფრონტი და დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა. მაგრამ სოციალ-დემოკრატების და პროფკავშირების რეფორმისტულმა ხელმძღვანელობამ კომპარტიის წინადადებაზე ამჯერადაც უარი სთქვა. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ასეთმა პოზიციამ ჩაშალა მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნა ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ.

| 1932 წლის 31 ივლისს, პრუსიაში მომხდარი გადატრიალებისთანავე კლასთა ბრძოლის მწვავე პირობებში ჩატარდა რაიხსტაგის მორიგი არჩევნები./ მაგრამ მის შედეგებს რეაქციის დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია./ ფაშის-

ტურმა პარტიამ თუმცა კვლავ მიაღწია წარმატებას (13,07 მლნ. ხმა და 230 მანდატი მიიღო), მაგრამ პარლამენტში კი ვერ მიიღო აბსოლუტური უმრავლესობა. ამ არჩევნებმა ცხადყო კომპარტიის გავლენის ზრდა (5,3 მლნ. ხმა), სოციალ-დემოკრატებმა კი, რომელთა პრესტიჟი 20 ივლისის ამბების შედეგად დაეცა, 600 ათასი ხმით ნაკლები მიიღო 1930 წ. სექტემბრის არჩევნებთან შედარებით. ახლად არჩეული პარლამენტი 30 აგვისტოს შეიკრიბა. ფაშისტური პარტიისადმი მხარდაჭერა ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ იმაში გამოხატა, რომ რაიხსტაგის თავმჯდომარედ ჰიტლერის მარჯვენა ხელი ჰ. გერინგი აირჩია. მიუხედავად კომუნისტების მასობრივი დევნისა, ისინი მაინც აწარმოებდნენ ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ. ანტიფაშისტური მოძრაობის ახალ აღმავლობას თვით მთავრობამ შეუწყო ხელი. მან საგანგებო დეკრეტი გამოსცა ხელფასების შემცირების შესახებ, რომლითაც იგი ფიქრობდა 3,3 მლრდ. მარკის მიღებას. ამ დეკრეტს მუშათა გრანდიოზული გამოსვლები მოჰყვა. /1932 წლის შემოდგომაზე 1100 გაფიცვა აღინიშნა, რომელთა შორის 900 კომუნისტების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ამ გაფიცვებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბერლინის ტრანსპორტის მუშების საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ. გაიზარდა კომუნისტთა გავლენა, რის ნათელი მაგალითი კომპარტიის რიგების ზრდა გახდა. 1928 წელს კომპარტია 125 ათას წევრს აერთიანებდა, 1932 წლის ბოლოსათვის კი მისი რიგები 360 ათას კაცამდე გაიზარდა. 1930 წლიდან 1932 წლამდე ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის რიგები კი 25 ათასიდან 60 ათასამდე გაიზარდა. კომპარტიის ხელმძღვანელობით იქმნებოდა მუშათა თავდაცვითი რაზმები, რომლებიც მნიშვნელოვან დარტყმებს აყენებდნენ ფაშისტთა აღვირახსნილ მოიერიშეთა რაზმებს. ფაშისტებს მხარს უჭერდნენ მთავრობა და მსხვილი მაგნატები იარაღით, ფულით და აქეზებდნენ მათ კომპარტიის მოწინავე მუშების და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. გერმანიაში ფაქტიურად სამოქალაქო ომი გაჩაღდა.

ყოველდღიურად ნათელი ხდებოდა, რომ პაპენ-შლაიხერის მთავრობას არ შეეძლო მუშათა სულ უფრო და უფრო მზარდი მოძრაობის შეჩერება. ყველაფერი ეს ამწვავებდა პოლიტიკურ ვითარებას ქვეყანაში და გაბატონებულ კლასებშიც დიდ შეშფოთებას იწვევდა. ამიტომ იყო, რომ ახლად შეკრებილი რაიხსტაგი ორი კვირის შემდეგ დათხოვნილი იქნა. ახალი არჩევნები ნოემბერში დაინიშნა. მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ტერორითა და დემაგოგიით კომპარტიის გავლენის შესუსტებას შესძლებდა, მაგრამ ახალმა არჩევნებმა რეაქციის იმედები ამჯერადაც ვერ გაამართლა. კომპარტიამ, 6 მილიონი ხმა მიიღო, ე .ი. 600 ათასით მეტი ვიდრე იმავე წელს ივლისის თვეში, ხოლო ფაშისტებმა კი 2 მილიონით ნაკლები, ვიდრე წინა არჩევნებში.

არჩევნების შემდეგ პაპენი გადადგა და შეიქმნა შლაიხერის მთავრობა, მაგრამ ვერც ამ მთავრობამ გაართვა თავი ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. ამასთანავე ნოემბერში ჩატარებული არჩევნების შედეგებმა რეაქციულ წრეებში დიდი შეშფოთება გამოიწვია. ქვეყნის ყველა რეაქციული ძალები ე. წ. „ეროვნული კონცენტრაციის ბლოკში" გაერთიანდნენ და ფაშისტური დიქტატურის დამყარებაზე შეთანხმდნენ.

1932 წლის 19 ნოემბერს გერმანიის მსხვილმა ფინანსიურმა და სამრეწველო მაგნატებმა პრეზიდენტ ჰინდენბურგს მოთხოვეს, რომ მას კანცლერად ჰიტლერი დაენიშნა. 1933 წლის 4 იანვარს კელნის ბანკირის შრედერის ბინაში

შედგა საიდუმლო მოლაპარაკება ჰიტლერსა და პაპენს შორის, ხოლო მეორე დღეს მოწვეულ იქნა ჰიტლერის მეორე თათბირი მონოპოლისტებთან./ მასში მონაწილეობდნენ: ფრიც ტისენი, შრედერი, ჰუჰენბერგი, ფონ პაპენი და სხვები. აქ საბოლოოდ გადაწყდა ჰიტლერისათვის ხელისუფლების გადაცემა, შლაიხერის მთავრობა გადადგა და 30 იანვარს ჰინდენბურგმა რაიხსკანცლერად ჰიტლერი დანიშნა, ვიცე-კანცლერად ფონ პაპენი, საგარეო საქმეთა მინისტრად ფონ ნეირატი, შინაგან საქმეთა მინისტრად ფრიკი. ყველა მნიშვნელოვანი ადგილი მთავრობაში ფაშისტური პარტიის ლიდერებმა დაიკავეს. ერნსტ ტელმანმა ასეთ რთულ ვითარებაში კვლავ წინადადებით მიმართა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და რეფორმისტული პროფკავშირების ლიდერებს, რომ საყოველთაო გაფიცვა გამოეცხადებინათ, მაგრამ ამჯერადაც უარი მიიღო. ამრიგად, ვაიმარის რესპუბლიკამ 14 წლის შემდეგ თავისი არსებობა შეწყვიტა. იგი დაღუპეს მსხვილმა მაგნატებმა და იუნკრებმა, რომელთა ბატონობა ნოემბრის რევოლუციამ კი შეარყია, მაგრამ ვერ მოსპო./ ჰიტლერული დიქტატურის დამყარება მათ გამარჯვებასაც ნიშნავდა.' ფაშისტების ხელისუფლების სათავეში მისვლა შემთხვევითი მოვლენა არ იყო./ გერმანიის გაბატონებული კლასები შეშინებულნი ეკონომიური კრიზისის გამწვავებით და ქვეყნის რევოლუციური და დემოკრატიული ძალების ზრდით თავისი კლასობრივი და პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნების საქმეში გამოსავალს ქვეყნის ფაშიზაციაში ხედავდნენ. ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში დაყენება ყველაზე უფრო რეაქციული, შოვინისტური და იმპერიალისტური ბურჟუაზიის-ფინანსური და სამრეწველო მაგნატების აშკარა სისხლიანი, ტერორისტული დიქტატურის დამყარებას ნიშნავდა.

ფაშისტური დიქტატურის დამყარება გერმანიაში შესაძლებელი გახდა შემდეგ გარემოებათა შედეგად. მართალია, კომუნისტური პარტია ქვეყანაში ერთ-ერთ სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ მან ჯერ კიდევ ვერ შეძლო სოციალ-დემოკრატების გავლენისაგან მუშათა კლასის, გლეხობის და მშრომელთა მასების უმრავლესობის განთავისუფლება. გერმანიის სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მუშათა კლასის უმრავლესობა და მათ თავისი გამყიდველური პოლიტიკის შედეგად ფაშიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის ერთიანი ფრონტით გამოსვლა ჩაშალეს. კომპარტიამ, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, ჰიტლერელების ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე და შემდეგშიც არაერთხელ მიმართა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წინადადებით ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთიანი მოქმედებისა და მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. მაგრამ კომუნისტების ყველა ეს წინადადებანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეფორმისტული გამყიდველური ხელმძღვანელობის მხრივ ორგანიზებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ამრიგად,/ კომპარტიამ ვერ დასძლია სოციალ-დემოკრატების გამთიშველობა ერთიანი პროლეტარული და სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის შექმნის საკითხში. მხოლოდ ასეთი ფრონტის შექმნას შეეძლო გზა გადაეღობა ფაშისტებისათვის ხელისუფლებისაკენ. მეორე მხრივ უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ფაშისტების დემაგოგიური დაპირებები, მათი ნაციონალისტური და „ანტიკაპიტალისტური“ ლოზუნგები ერთგვარი მბარდაჯერით სარგებლობდა ქალაქისა და სოფლის წვრილ ბურჟუაზიულ ფენებში და ჩამორჩენილ მუშებში./ ყველა

ესეში დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდნენ ფაშისტთა შოვინისტური იდეოლოგიის ტყვეობაში. 1932 წლისათვის უმუშევართა რაოდენობა 8 მილიონს სჭარბობდა, ამიტომ მათი მიმხრობის მიზნით ფაშისტები დაპირებას იძლეოდნენ, რომ მოსპობდნენ უმუშევრობას. პრეზიდენტის არჩევნებისას ფაშისტური პროპაგანდა დიდ რეკლამას უკეთებდა ჰიტლერის განცხადებას, რომ, თუ მას პრეზიდენტად აირჩევდნენ, ყველა მიიღებდა სამუშაოს.

§ 7. გერმანია ფაშისტური უღლის ქვეშ

ფაშისტების რეაქციული საშინაო პოლიტიკა

ვიდრე ხელისუფლების სათავეში მოექცეოდნენ, ჰიტლერელები უხვ დაპირებებს იძლეოდნენ ეროვნული ერთობის განმტკიცების შესახებ, მაგრამ მოექცნენ რა ხელისუფლების სათავეში, მათ სასტიკი ტერორი გააჩაღეს ქვეყნის ყველა პროგრესული, დემოკრატიული ძალების, განსაკუთრებით კომპარტიის წინააღმდეგ. ფაშისტების მთავარი ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, კომპარტიის განადგურება იყო.

28 თებერვალს ღამით გერინგმა რაიხსტაგის შენობის პროვოკაციული ხანძარი მოაწყო. მოიერიშეები გერინგის სასახლის მიწისქვეშა შესასვლელით რაიხსტაგის შენობაში შეიპარნენ და ცეცხლი წაუკიდეს მას. ეს ამბავი ჰიტლერელებმა კომუნისტებს დააბრალეს. ამ დროს გერმანიის კომპარტია თავის რიგებში 360 ათას კაცს აერთიანებდა. იმავე ღამეს კომუნისტების მასობრივი დევნა დაიწყო. მარტო ერთ ღამეს გერმანიაში 10 ათასი კომუნისტი დააპატიმრეს. 3 მარტს დაპატიმრეს კომუნისტების ბელადი ერნსტ ტელმანი. გერმანიის კომპარტიამ დიდი დანაკარგი განიცადა, მაგრამ იგი არ დაბნეულა, არალეგარულ მდგომარეობაზე გადავიდა, იატაკქვეშა ორგანიზაციები შექმნა და, მიუხედავად დიდი ტერორისა, ფაშიზმის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლას განაგრძობდა.

1933—1938 წლებში ფაშისტებმა 150 ათასი კომუნისტი დააპატიმრეს, რომელთა დიდი ნაწილი მოკლულ იქნა, გერმანიის კომპარტიის ც/კ-ის სათავეში ჩადგნენ ერნსტ ტელმანის თანამებრძოლები: — ვ. პიკი, ი. შეერი და ვ. ულბრიხტი. ტერორთან ერთად კომუნისტების სახელის გატეხვის მიზნით მათ წინააღმდეგ ფაშისტურმა მთავრობამ 1933 წლის 21 სექტემბრიდან 23 დეკემბრამდე ლიპციგში მოაწყო ღია სასამართლო პროცესი. ჰიტლერელებს ამ პროცესზე რაიხსტაგის შენობის დაწვა ისე უნდოდათ წარმოედგინათ, რომ თითქოს იგი „საერთაშორისო კომუნიზმის“ შეთქმულების შედეგი იყო. რაიხსტაგის დაწვაში ბრალი დასდეს გერმანიის კომპარტიის ფრაქციის თავმჯდომარეს რაიხსტაგში—ტორგლერს, ბულგარეთის კომუნისტებს: გ. დიმიტროვს, პოპოვს, ტანევს და თავის აგენტს ცრუ მოწმეს ვან დერ ლუბეს, რომელიც ჰოლანდიის კომუნისტად მონათლეს. საყურადღებოა, რომ ბულგარეთის კომუნისტები გ. დიმიტროვის შეთაურობით რაიხსტაგის დაწვის ღამეს იმყოფებოდნენ მიუნხენში, სადაც ბულგარეთის კომპარტიის კონფერენციას ატარებდნენ. გ. დიმიტროვის მამაცურმა მოქცევამ ამ პროცესზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიისა და მთელი მსოფლიოს პროგრესულ ძალებზე.

მან ,, .ი თქვა დამცველის აყვანაზე და ამ პროცესზე ბრალდებულიდან ფაშისტების მბრალმდებლად გადაიქცა. თავისი გაბედული აზრიანი შეკითხვებით ჩიხში მოაქცია ამ პროცესის ორგანიზატორები, ფაშისტების მოთავენი, გერინგი და ჰესი და ფაქტებით დაამტკიცა, რომ რაიხსტაგს ცეცხლი არა კომუნისტებმა, არამედ ფაშისტებმა წაუკიდეს იმ მიზნით, რომ კომუნისტების დევნის საბაბი მიეღოთ. გ. დიმიტროვის დასაცავად საპროტესტო დემონსტრაცია ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს მოედო. ამ გარემოებამ ფაშისტები იძულებული გახადა დიმიტროვი გაეთავისუფლებინათ, რის შემდეგ იგი მოსკოვში ჩამოვიდა.

პროცესის შემდეგ ჰიტლერელების ტერორი მოწინავე მუშებისა და მისი ავანგარდის კომპარტიის და პროგრესული ძალების წინააღმდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. გესტაპომ დააპატიმრა არალეგალური კომპარტიის ხელმძღვანელი ი. შეერი და ც/კ-ის ხელმძღვანელები ერიხ შტეინფურტი, რუდოლფ შვარცი და სხვები, რომლებიც 1934 წელს დიდი წამების შემდეგ დახოცეს.

1933 წლის 5 მარტს, ჰიტლერმა თავისი ერთპიროვნული ხელისუფლების დამყარების და უმრავლესობის მიღების მიზნით რაიხსტაგი დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა. რაიხსტაგის არჩევნები აშკარა ტერორისა და შეუკავებელი დემაგოგიის პირობებში მიმდინარეობდა. შედეგი შესაფერი იყო. კომუნისტებმა მიიღეს 4,8 მილიონი ხმა, სოციალ-დემოკრატებმა 7,4 მილიონი ხმა, ფაშისტებმა 17,3 მილიონი ხმა, დანარჩენი ხმებისა სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა მიიღეს. ჰიტლერელებმა რაიხსტაგში ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას მხოლოდ 81 დეპუტატი კომუნისტის დაპატიმრების შემდეგ მიაღწიეს.

1933 წლის 23 მარტს ჰიტლერმა რაიხსტაგისაგან საგანგებო რწმუნებები მიიღო. მალე ამის შემდეგ ე. წ. „უნიფიკაციის" ლოზუნგით გარდა ფაშისტური პარტიისა ქვეყანაში არსებული ყველა პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირული ორგანიზაციები აიკრძალა. აკრძალულ იქნა აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის ხელმძღვანელები საზღვარგარეთ გაიქცნენ, ხოლო ბურჟუაზიულმა პარტიებმა თავისი თავი თვითდათხოვნილად გამოაცხადეს. მუშათა პროფკავშირების ნაცვლად ჰიტლერელებმა ფაშისტ ლეის მეთაურობით ე. წ. გერმანიის „შრომის ფრონტი" შექმნეს, რომლის წევრად მუშებს ძალდატანებით ხდიდნენ. ფაშისტებმა, მოსპეს რა ყოველგვარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებანი, ქვეყანაში აღვირახსნილი ტერორისტული სისხლიანი რეჟიმი დაამყარეს. ფაშისტებმა გააჩაღეს თავშეგებული ნაციონალისტური და რასისტული პროპაგანდა ეერმანელი რასის რაღაც განსაკუთრებულობის შესახებ, რომელიც თითქოს მოწოდებულია მსოფლიოს ყველა ხალხებზე ბატონობისაკენ. ქვეყანაში დაიწყო ებრაელთა და პროგრესულ მოაზროვნეთა ბარბაროსული დევნა. 5 ათასი ცნობილი მეცნიერი მწერალი და მხატვარი განდევნილ იქნა ქვეყნიდან ან დაპატიმრებულ იქნა, ხოლო მათი ქონება 5 მლრდ. მარკის რაოდენობით ფაშისტებმა მიითვისეს. ჰიტლერელებმა გებელსის მეთაურობით შექმნეს პროპაგანდის სამინისტრო და მის კონტროლს დაუქვემდებარეს რადიო, პრესა, კინო, თეატრი, სადაც აღმერთებდნენ ნაციზმს, მილიტარიზმს, სხვა ერებისადმი შეუბრალებლობას. სკოლა, უმაღლესი დაწესებულებები ნახევრად გასამხედროებულ იქნა. ფაშისტები ეწეოდნენ ისტორიის ფალსიფიკაციას — წარსული საუკუნეების გამოჩენილ მოღვაწეებს წარმოადგენდნენ როგორც ნაცისტებს და ა. შ. ჰიტლერი თავის შეთითხნილ წიგნში

„ბევრი ბრძოლა“ გერმანელებს ახასიათებდა როგორც გაბატონებულ რასას, რომელსაც თითქოს უნდა დაემორჩილოს ყველა ხალხი. ჰიტლერი თავის წიგნში მოუწოდებდა 20 მილიონი სლავის გაწყვეტას, მათ შორის სსრ კავშირის სლავებისას.

ჰიტლერელების მიერ აშკარა ტერორისტული, თავაშვებული რეჟიმის დამყარებამ თვალები აუხილა ბევრს, მათ შორის ფაშისტების დემაგოგიური გავლენის ქვეშ მოქცეულ წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს. ჰიტლერელების დაპირებანი საპროცენტო კაბალის გაუქმებაზე, მსხვილი კაპიტალის და მონოპოლიების ბატონობის ლიკვიდაციაზე, რა თქმა უნდა, ქაღალდზე დარჩა. ამან მიიქმა-მოთქმა და უკმაყოფილება გამოიწვია მოიერიშეთა ნაწილებში და ფაშისტების რიგით წევრებში. ფინანსიური და სამრეწველო მაგნატების მოთხოვნით ჰიტლერმა უარი თქვა ანტიკაპიტალისტურ დემაგოგიაზე და 1934 წლის 30 ივნისს შუაღამისას რაიხსვეერზე დაყრდნობით მოაწყო ე. წ. „გრძელი დანების ღამე“, ანუ უკმაყოფილო მოიერიშეების ხოცვა-ჟლეტა. მოკლულ იქნა ოთხასლოგინი 2000 კაცი, მათ შორის მოიერიშეთა რაზმების შტაბის უფროსი რემი. მოიერიშეთა ნაწილების „წმენდის“ შემდეგ, ჰიტლერელთა ძირითად დასაყრდენად გადაიქცა სს-ლთა დაცვითი ნაწილები, გესტაპო (ფარული პოლიცია) და საჯაშუშო ორგანიზაცია „უშიშროების სამსახურის“ სახელწოდებით. ჰიტლერელები, ხელისუფლების სათავეში მოქცევისთანავე უკვე მანამდე შექმნილი ტერორისტული ორგანოების გაფართოებას შეუდგნენ, რომელთა შორის აღსანიშნავია ჰიტლერის მეთაურობით არსებული ესესელების (სს) რაზმები. იგი დიქტატურის დამყარებამდე 40 ათას კაცს აერთიანებდა, 1937 წლისათვის კი 210 ათას კაცს სპარობდა.

პრუსიაში გერინგის ხელმძღვანელობით შეიქმნა სახელმწიფო საიდუმლო პოლიცია გესტაპო, რომელმაც ე. წ. უშიშროების სამსახურთან ერთად მთელ გერმანიაში ჯაშუშებისა და თავისი აგენტების ფართო ქსელი შექმნა. გესტაპოს საქმიანობის მთავარი ამოცანა იყო ფაშისტური რეჟიმის მოწინააღმდეგეთა ფიზიკური მოსპობა, არა მარტო გერმანიაში, არამედ ომის დროს ოკუპირებულ სხვა ქვეყნებშიც. 1936 წელს უშიშროების სამსახური და გესტაპო გაერთიანდა იმპერიის უშიშროების სამმართველოდ, რომლის სათავეში ჩაყენებულ იქნა ჰიმლერი. ფაშისტური მთავრობის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა საკონცენტრაციო ბანაკები, რომლითაც მთელი ქვეყანა დაიფარა და სავსე იყო ჰიტლერული რეჟიმისადმი ყველა ეჭვმიტანილი პირებით, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტებითა და სხვა ანტიფაშისტებით. საკონცენტრაციო ბანაკებში გამოფეებული იყო აუტანელი საკატორღო შრომა, შიმშილი, ტანჯვა-წამება, რომლის მოვარი ამოცანა იყო პატიმრების მორალური და ფიზიკური განადგურება. 1933 წელს დაარსდა ბუხენვალდის (ვაიმარის მახლობლად), ხოლო 1934 წელს კი მიუნხენის გარეუბანში დახაუს საკონცენტრაციო ბანაკები. ასეთივე „სიკვდილის ფაბრიკები“ შეიქმნა ბრანდენბურგში, ჰოპენშტაინში, ჰაიბერგში, ზონენბურგში და სხვაგან.

ტერორისა და ფართო იდეოლოგიური ზემოქმედებით ჰიტლერელებმა მნიშვნელოვნად შეასუსტეს ქვეყნის ანტიფაშისტური ძალები და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავის მხარეზე გადაიბირეს. მართალია, ფაშისტებმა რაიხსტაგი დატოვეს, მაგრამ მას დაუკარგეს ყოველგვარი ძალაუფლება და ჰიტლერმა თავის ტერორისტულ დიქტატურას დაუმორჩილა საკანონმდებლო

ხელისუფლებაც. გერმანიის პროვინციების ყოველგვარი ავტონომია ლიკვიდირებულ იქნა და ადგილებზე მთელი ძალაუფლება ჰიტლეროის მიერ დანიშნულ გენერალ-გუბერნატორების ხელში გადავიდა. პრეზიდენტ ჰინდენბურგის გარდაცვალების შემდეგ (1934 წ. აგვისტოში) ჰიტლერმა გააუქმა პრეზიდენტის პოსტი და თავისი თავი „მუდმივ ფიურერად" გამოაცხადა.

ჰიტლერელების ეკონომიური პოლიტიკა

პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ჰიტლერელები შეუდგნენ ომისათვის გამალებულ მზადებას. ქვეყნის მეურნეობის ყველა დარგი: ფინანსები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საგზაო მშენებლობა, მრეწველობა და ა. შ. ერთ-ერთ ამოცანას — ომის მომზადებას დაუმორჩილა. ღიაწყო ეკონომიკის ელვისებური მილიტარიზაცია, ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხების, და სხვა სახის იარაღის სერიული წარმოება. ეკონომიკის მილიტარიზაცია სასარგებლო იყო უპირველეს ყოვლისა ფინანსური და სამრეწველო ძალნატებისათვის. ეკონომიკის განვითარება მიმდინარეობდა გენერალური შტაბის გეგმებთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა მონოპოლიებთან შეთანხმებით. მსხვილ მონოპოლისტებთან შეთანხმებით ჰიტლერმა 1933 წელს გამოსცა კანონი „იძულებითი კარტელიზაციის" შესახებ, რომლის თანახმად ბევრი წვრილი საწარმო უნდა შეერთებოდა მსხვილ მონოპოლიებს. შექმნილ იქნა „გერმანიის მრეწველობის საიმპერიო კავშირი" კრუპის მეთაურობით. ჰიტლერელებმა ეკონომიკის სამინისტროსთან შექმნეს „მეურნეობის გენერალური საბჭო", რომლის შემადგენლობაში შევიდა მსხვილი მონოპოლისტებისა და ბანკირების 18 წარმომადგენელი, მათ შორის კრუპი, ტისენი, შრედერი და სხვები. მსხვილმა ფინანსურმა და სამრეწველო მაგნატებმა ქვეყნის ეკონომიური მილიტარიზაციის შედეგად ასტრონომიულ ციფრამდე გაზარდეს თავიანთი მოგებები და მათ ხელში აღმოჩნდა ქვეყნის მთელი ეკონომიკა. მარტო კრუპის კონცერნის მოგებები 1934—1939 წლებში შეადგენდა 380 მლნ. მარკას „იგ ფარბენინდუსტრიის" შემოსავალი 1931 წლიდან 1944 წლამდე გაიზარდა 48 მილიონი მარკიდან 822 მილიონ მარკამდე, ე. ი. 17-ჯერ. მის ხელში იმყოფებოდა გერმანიაში 160, საზღვარგარეთ კი — 200 ქარხანა. „ფოლადის ტრესტის" სუფთა მოგება 1933—1940 წწ. გაიზარდა 8,6 მილიონი მარკიდან 27,6 მილიონ მარკამდე და ა. შ. ამავე დროს ძალზედ გადიდდა მუშათა ექსპლოატაცია, რომელთა რეალური ხელფასი 1939 წელს 1928 წელთან შედარებით 82,5% შეადგენდა.

მძიმე მდგომარეობაში მოექცა წვრილი ბურჟუაზია, რომლის საწარმოების რიცხვი შემცირდა მარტო 1936—1937 წლებში 90 ათასამდე, 1933 — 1939 წწ. ჰიტლერელებმა დახურეს 160 ათასი წვრილი მაღაზია. მეორე მსოფლიო ომის წინა ექვსი წლის განმავლობაში სამხედრო მიზნებისათვის ჰიტლერელებმა 92 მილიარდი მარკა დახარჯეს. აქ არ შედის გერმანიისა და უცხოეთის მონოპოლისტების კერძო დაბანდებანი ქვეყნის ეკონომიკაში. აღნიშნული თანხიდან 54,5 მლრდ. მარკა ახალი საწარმოების აგებისათვის დაიხარჯა. მარტო ოთხ წელიწადში (1933—1936 წწ.) აგებულ იქნა 300 სამხედრო ქარხანა, 1938 წელს გერმანიაში ფოლადის გამოდნობა 23,3 მლნ. ტონას შეადგენდა და ამ მხრივ მან ევროპაში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო მსოფლიოს ალუმინის წარმოების 30% გერმანიაზე მოდიოდა და მსოფლიოში პირველ ადგილზე

გამოდიოდა. სწრაფად იზრდებოდა ვერსალის ზავით აკრძალული სამხედრო საჰაერველის წარმოება. 1934 წელს გერმანიაში წარმოებული იქნა ორი ათასამდე სამხედრო და სამოქალაქო თვითმფრინავი, 1936 წლისათვის კი იგი 5112-მდე გაიზარდა.

1936 წლის აგვისტოში ჰიტლერმა ჩამოაყალიბა გერმანიის სამრეწველო და ფინანსური მაგნატების მიერ შედგენილი ოთხწლიანი გეგმის მიზანი: 1. გერმანიის არმია ოთხ წელიწადში მზად უნდა იყოს მოქმედებისათვის, 2. გერმანიის ეკონომიკა ოთხი წლის შემდეგ მზად უნდა იყოს ომისათვის.

„ზარბაზნები კარაქის ნაცვლად!", ასეთი იყო ამ გეგმის მთავარი დანიშნულება. ოთხწლიანი გეგმის განხორციელების ხელმძღვანელობა გერინგს დაეკისრა, რომლის კონტროლის ქვეშ გადავიდა ეკონომიკის, ფინანსთა, შრომის, სურსათის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები და რაიხსბანკი.

ამ გეგმის მიღების შემდეგ ქვეყნის სამხედრო წარმოებამ გიგანტური ხასიათი მიიღო. მაგალითად, თუ 1936 წელს თვითმფრინავების წარმოება 5112 ცალს შეადგენდა, 1939 წლისათვის 8295-დე გაიზარდა.

მონოპოლისტებმა გაზარდეს რა თავისი მოგებები ეკონომიკის მილიტარიზაციის შედეგად, ისინი ამავე დროს ზრდიან ფაშისტური პარტიისათვის სუბსიდიებს. მაგალითად, მარტო კრუპის კონცერნმა 1933—1939 წწ. ფაშისტური პარტიის სალაროში 6 მლნ. მარკა შეიტანა, ხოლო „იგ ფარბენინდუსტრიამ" კი — 40 მლნ მარკა.

ფაშისტური პარტიის მოთავენი თვითონ ხდებიან მონოპოლისტები. მაგალითად. 1937 წელს გერინგმა შექმნა სამხედრო-სამრეწველო კონცერნი, რომელმაც მოკლე ხანში თავის კონტროლს დაუქვემდებარა 177 ქარხანა, 156 სავაჭრო კომპანია, 46 სატრანსპორტო საწარმო და ა. შ. ჰიტლერის ხელში გადავიდა გერმანიის გამომცემლობების შემოსავლის დიდი ნაწილი.

მსხვილი მიწათმფლობელებისა და კულაკების ინტერესების შესაბამისად ჰიტლერელებმა 1933 წელს მიიღეს კანონი მემკვიდრეობის შესახებ, რომლითაც 7,5 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობის მემკვიდრეობა გადადიოდა მხოლოდ უფროსი შვილის ხელში. დანარჩენ შვილებს „თავისუფალი მიწები" გერმანიის ჯარში და იარაღით ხელში უნდა მოეპოვებინათ. ჰიტლერელებმა შექმნეს ე. წ. „კულაკების საიმპერიო წოდება", რომლის ხელმძღვანელობა იუნკრების ხელში იყო. მათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში, გასაღებაში და ფასების დაწესებაში შეუზღუდავი უფლებები ენიჭებოდათ. ისინი აწესებდნენ დიდ გადასახადებს და პროდუქტების იძულებით ჩაბარებას მშრომელი გლეხობის მიერ.

1933 წელს ჰიტლერელებმა შემოიღეს ორწლიანი სავალდებულო ე. წ. „მოხალისეთა" შრომითი ბიგარა 18—25 წ. ასაკის მამაკაცებისა და ქალებისათვის, რომელთაც ათავსებდნენ გასამხედროებული ხასიათის ბანაკებში და ამუშავებდნენ სამხედრო სამსახურში, რაც გერმანიას ეკრძალებოდა ვერსალის ზავით, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს გერმანიას. ამას მოჰყვა ვერსალის ხელშეკრულების სხვა აკრძალვების დარღვევაც. დაიწყო სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნა. უკვე 1933 წელს გერმანია გამოვიდა ერთა ლიგიდან, ხოლო 1936 წელს გააუქმა ლოკარნოს შეთანხმება, შეიყვანა თავისი ჯარები რაინის დემილიტარიზებულ ზონაში და დაიწყო იქ ე. წ. „ზიგფრიდის ხაზის" მშენებლობა.

ფაშისტური გერმანიის აგრესიული საგარეო პოლიტიკა

/ დასავლეთის სახელმწიფოების სიფხიზლის მოდუნებისა და თავისი აგრესიული და მტაცებლური პოლიტიკის მიჩქმალვის მიზნით ჰიტლერულმა გერმანიამ საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანად კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადა. /გებელსი თავის საიუდუმლო ინსტრუქციაში გერმანიის საელჩოებისადმი საზღვარგარეთ მიუთითებდა: იმისათვის, რომ გერმანიამ შეიარაღების სრული თავისუფლება მიიღოს და ომისათვის სწრაფად მოემზადოს, ხელსაყრელი იქნება ბოლშევიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა გამოაცხადოს/ თავის წიგნში „მაინ კამპფ" საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნად ჰიტლერი აცხადებდა მტაცებლური ომის მომზადებას მსოფლიოში გერმანიის ჰეგემონიის დამყარების მიზნით/ მოქმედებდა რა ამ მიმართულებით, ფაშისტურმა გერმანიამ დიდი საგარეო პოლიტიკური აპარატი შექმნა და ფართო მოღვაწეობა გააჩაღა ყველა მიმართულებით. ჯაშუშობის, დაზვერვის, ინფორმაციების შეკრების, ძირგამომთხრელი საქმიანობის, საზღვარგარეთ მცხოვრებ გერმანელთა შორის პროპაგანდისათვის და პროფაშისტურ ელემენტებთან კავშირისათვის /შეიქმნა მთელი რიგი ორგანოები: სამხედრო სამინისტროს დაზვერვა, გესტაპოს საგარეო განყოფილება, კოლონიური სამმართველო, პროპაგანდის სამინისტროს საგარეო განყოფილება, საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური სამსახური რიბენტროპისა და კანარისის ხელმძღვანელობით და ა. შ. ყველა ეს ორგანო ემორჩილებოდა „გაერთიანებული შტაბის კავშირს". გერმანიის საელჩოებიც ხომ იგივე საქმიანობას ეწეოდნენ საზღვარგარეთ.

/ ჰიტლერულმა გერმანიამ ისარგებლა დასავლეთის სახელმწიფოების სიძულვილით საბჭოთა ქვეყნისადმი და მოკლე დროის განმავლობაში დიდ წარმატებებს მიაღწია. 1933 წელს ერთა ლიგიდან გამოსვლისთანავე გერმანიამ უარი განაცხადა განიარაღების კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე 1935 წლის იანვარში ინგლის-საფრანგეთის მთავრობების თანხმობით გერმანიამ შემოიერთა საარის ოლქი, ხოლო თებერვალში ჰიტლერმა ცალმხრივად გააუქმა ვერსალის ზავით დადგენილი გერმანიის შეიარაღებული ძალების შემზღუდავი ყველა სამხედრო მუხლი და დაიწყო გამალებული სახმელეთო და საზღვაო შეიარაღება. ნაცვლად წინააღმეგობის გაწევისა, 1935 წლის ივნისში ხელმოწერილ ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმებით ინგლისმა ოფიციალურად ცნო გერმანიის უფლებები საზღვაო შეიარაღების საქმეში, რაც ვერსალის ზავის აშკარა დარღვევა იყო.

1936 წლის მარტში ფაშისტურმა გერმანიამ ცალმხრივად გააუქმა რაინის საგარანტიო პაქტი და 1925 წლის ლოკარნოს ხელშეკრულება, რის შემდეგ გერმანელთა ჯარები რაინის დემილიტარიზებულ ოლქში შეიდნენ./ ფაშისტების მიერ რაინის ოლქის მიტაცება დაუსჯელი დარჩა. დასავლეთის სახელმწიფოების ასეთმა დათმობებმა კიდევ უფრო გაათავხედა ჰიტლერი. ინგლის-საფრანგეთის და განსაკუთრებით აშშ.-ის მმართველი წრეები არა თუ თვალებს ხუჭავდნენ იმაზე, რაც ხდებოდა გერმანიაში, არამედ, პირიქით, აქეზებდნენ გერმანიას და უბიძგებდნენ მას ომის გაჩაღების საქმეში იმ იმედით, რომ მის აგრესიას მიმართავდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და გაანადგურებდნენ ერთადერთ სოციალისტურ ქვეყანას ჰიტლერელების მეშვეობით, ხოლო თვითონ კი სეირის მაყურებლის როლში გამოვიდოდნენ. დასავლეთის სახელმწიფო-

ების ბეცი და ჭკუამოკლე „ჩაურეველობის“ და „აგრესორის წაქეზების“ პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი მსხვერპლნიც თვითონაც გახდნენ, სულ უფრო და უფრო ათავხედებდა გერმანიასა და ფაშისტურ სახელმწიფოებს.

1936 წელს ჰიტლერულმა გერმანიამ ფაშისტურ იტალიასთან ერთად მოაწყო ინტერვენცია ესპანეთის კანონიერი სახალხო ფრონტის მთავრობის წინააღმდეგ, დახმარება გაუწია ამბოხებულ ესპანელ ფაშისტებს ესპანეთის სახალხო-ფრონტის მთავრობის დამხობაში და ფაშისტური დიქტატურის დამყარებაში. გერმანიამ ესპანეთი გამოიყენა თავისი ახალი იარაღის გამოცდის პოლიგონად და ბარბაროსული ომის წარმოების ობიექტად. მაგალითად, ესპანეთის ორი ქალაქი ალმერია და გერნიკა გერმანელთა საჰაერო კორპუსის „კონდორის“ მიერ ბარბაროსული დაბომბვის შედეგად ნანგრევებად იქნა ქცეული. ჰიტლერის მიერ ესპანეთში გაგზავნილი გერმანელთა ჯარების რაოდენობა 50 ათას კაცს სჭარბობდა. ინტერვენციასთან ერთად ჰიტლერულმა გერმანიამ ესპანეთში ფართო ეკონომიური ექსპანსიაც დაიწყო.

ესპანეთის ხალხის მხარეზე საშინაო და საგარეო ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ გერმანელი ანტიფაშისტებიც იბრძოდნენ. ინტერნაციონალურ ბრიგადებში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ტელმანის სახელობის ბატალიონმა. მადრიდთან ბრძოლაში თავი გაწირა ბავარიის კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჰანს ბაიმლერმა.

1936 წლის 25 ოქტომბერს ჰიტლერულ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელმაც ვანამტკიცა სამხედრო პოლიტიკური კავშირი ამ ორ აგრესიულ სახელმწიფოს შორის. მან „ღერძის ბერლინ-რომის“ სახელწოდება მიიღო.

დაიწყო აგრეთვე გერმანიის დაახლოვება იაპონიასთან, რომელსაც თავდაპირველად ხელს უშლიდა ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობანი ჩინეთსა და წყნარი ოკეანის აუზში. ვერსალის ზავმა გერმანიის კოლონიები აღნიშნულ რაიონში ხომ იაპონიას მიაკუთვნა. 1935 წლის ზაფხულში ჰიტლერულმა მთავრობამ იაპონიის ელჩს ბერლინში განუცხადა, რომ გერმანია არ აღძრავს საკითხს ჩინეთსა და წყნარ ოკეანეში თავისი ყოფილი სამფლობელოების გერმანიისათვის უკან დაბრუნების შესახებ. ამის შემდეგ იწყება ორივე აგრესიული სახელმწიფოს სწრაფი დაახლოვება. 1936 წლის ნოემბერში გერმანიამ და იაპონიამ ხელი მოაწერეს ე. წ. „ანტიკომინტერნულ“ პაქტს, რომელსაც 1937 წელს იტალიაც შეუერთდა. ამრიგად, ჩამოყალიბდა „ფაშისტური სახელმწიფოების ბლოკი“ სამხედრო აგრესიული კავშირი, რომელიც მიმართული იყო, არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მათი იმპერიალისტური მეტოქეების წინააღმდეგ: 1938 წლის მარტში ჰიტლერელებმა მოახდინეს ავსტრიის ე. წ. „ანშლუსი“, ხოლო მიუნხენის სამარცხვინო გარიგების შედეგად ხელთ ჩაიგდეს ჩეხოსლოვაკიის კუთვნილი ტერიტორია სუდეტის ოლქი. 1939 წლის მარტში კი მთელი ჩეხოსლოვაკია[1]. ამ აგრესიის შედეგად ჩეხოსლოვაკია როგორც სახელმწიფო წაიშალა ევროპის პოლიტიკურ რუკაზე. ჩეხოსლოვაკია დანაწილებულ იქნა. ქვეყნის დიდი ნაწილი პრაღითურთ „ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორატის“ სახელწოდებით შეერთებული იქნა გერმანიისადმი, სლოვაკია გამოცხადდა ე. წ. „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ, სადაც

[1] ამის შესახებ იხ. I თავი.

ხელისუფლების სათავეში დაყენებული იქნა ჰიტლერის აგენტები, სლოვაკიელი ფაშისტები ტისოს მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის დანარჩენი რაიონები უნგრეთსა და პოლონეთს გადაეცა. მიუნხენის გარიგებამ და ჩეხოსლოვაკიის ჰიტლერული გერმანიის მიერ დატაცებამ გააძლიერა ომისა და აგრესიის ძალები ევროპაში.

ამ პროცესს უფრო მეტად ხელი შეუწყო სამი სახელმწიფოს წარმომადგენლების — საბჭოთა კავშირის, ინგლისის და საფრანგეთის მოლაპარაკების ჩაშლამ მოსკოვში, ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე.

/ მოსკოვის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ 1939 წლის აგვისტოში ჰიტლერულმა მთავრობამ წინადადებით მიმართა საბჭოთა მთავრობას, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტი დადებულიყო/ მას შემდეგ, როდესაც დასავლეთის სახელმწიფოებმა ჩაშალეს ანტიფაშისტური კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ევროპაში და მოუთმენლად ელოდნენ, თუ როდის გააჩაღებდნენ ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოები ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა მთავრობას არჩევანი აღარ რჩებოდა, გარდა იმისა, რომ მიეღო ჰიტლერული გერმანიის ეს სამშვიდობო წინადადება. რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობას ეშვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ ხელსაყრელ მომენტში ჰიტლერული გერმანია ფარატინა ქაღალდად აქცევდა ამ ხელშეკრულებას, მაგრამ საჭირო იყო დროის მოგება და, რაც მთავარია, დასავლეთის სახელმწიფოების ანტისაბჭოთა გეგმების ჩაშლა, რომელთაც ეშვიც არ ეპარებოდათ იმაში, რომ ფაშისტური ბლოკი საბჭოთა სახელმწიფოს დაესხმოდა თავს, ხოლო ისინი სეირის მაყურებლის როლში გამოვიდოდნენ.

/ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება დასავლეთის სხვა სახელმწიფოების წაყრუებისა და წაქეზების პოლიტიკის კრახს ნიშნავდა. ამან დიდი შეშფოთება გამოიწვია მათ შორის. ამიტომ, როდესაც 1939 წლის 1 სექტემბერს ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს მას, რითაც დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. /

ინგლისი პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

§ 8. ინგლისი 1918—1928 წწ.

ინგლისის საშინაო და საგარეო მდგომარეობა ომის დამთავრებისას

/ პირველ მსოფლიო ომში ინგლისის გამარჯვების შედეგად ბრიტანეთის იმპერიას შეემატა 2,6 მლნ. კვადრატული კილომეტრი ტერიტორია 12 მილიონი მოსახლეობით. / ამიერიდან იგი მოიცავდა 36 მილიონ კვ. კმ-ის ფართობს 500 მილიონზე მეტი მცხოვრებით. ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორია და მოსახლეობა შეადგენდა მსოფლიოს მეოთხედს. მისი კოლონიები და დომინიონების ტერიტორია 140-ჯერ აღემატებოდა საკუთრივ ინგლისს, მოსახლეობით კი 10—11-ჯერ. ინგლისელების გამოთქმით, ბრიტანეთის იმპერიაში მზე არასოდეს არ ჩადიოდა.

ინგლისმა, საფრანგეთთან ერთად, უკეთ გამოიყენა აშშ-ის პრეზიდენტის უილსონის ინიციატივით შექმნილი ერთა ლიგა, პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ თავის იმპერიალისტურ მეტოქეთა ახალი კოლონიების და სამფლობელოების დატაცების ნიღბად.

ინგლისმა მიიღო ერთა ლიგის მანდატები ახლო აღმოსავლეთში ოტომანთა იმპერიის ყოფილ სამფლობელოებზე — პალესტინასა, ტრანსიორდანიასა და ერაყზე, აფრიკაში — გერმანიის ყოფილ აღმოსავლეთ აფრიკაზე (ტანგანიკაზე) და ტოგოსა და კამერუნის ნაწილზე; ინგლისის დომინიონებს კი მიეკუთვნათ: სამხრეთ-აფრიკის კავშირს — გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა, ავსტრალიას — გერმანიის ყოფილი ახალი გვინეა მასთან მდებარე კუნძულებით, ახალ ზელანდიას — დასავლეთ სამოას კუნძულები.

მართალია, ინგლისი გამარჯვებული გამოვიდა ომიდან და მისი ყველაზე უფრო საშიში იმპერიალისტური მეტოქე გერმანია დამარცხდა, მაგრამ მისი პოზიციები ომის შემდეგ სერიოზულად შერყეული აღმოჩნდა. კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისმა, რომელიც დაიწყო პირველი მსოფლიო ომისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, დიდი დარტყმა მიაყენა ბრიტანეთის იმპერიალიზმს და მის კოლონიურ სისტემას. ომის დროს ინგლისის კოლონიებსა და დომინიონებში გაიზარდა ეროვნული მრეწველობა, რომელიც კონკურენციას უწევდა ინგლისის საქონელს; ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ეროვნული ბურჟუაზიის პოზიციები. ინგლისს წარმატებით ავიწროებდნენ ომის დროს გამდიდრებული აშშ-ის და იაპონიის იმპერიალისტები. მნიშვნელოვნად შემცირდა ბრიტანეთის საზღვაო ფლოტი, რომელიც ინგლისის საერთაშორისო პოზიციების ძლიერ ბასტიონს წარმოადგენდა. ომში ინგლისმა დაკარგა თავისი საზღვაო-სავაჭრო ფლოტის 70 პროცენტი, რამაც გაართულა საგარეო ბაზრებთან ომამდე არსებული ინგლისის სავაჭრო კავშირის აღდგენა. 1889 წლის საზღვაო კანონით ინგლისს უნდა ჰყოლოდა იმდენივე ფლოტი, რამდენიც ორ ძლიერ საზღვაო სახელმწიფოს ერთად აღებული, მაგრამ ვაშინგტონის 9 სახელმწიფოს კონფერენციაზე, ინგლისმა უარი თქვა თავის ამ სამხედრო საზღვაო სტრატეგიის ძირითად პრინციპზე. ომში გაწეული ხარჯები ძალზე დიდი იყო. იგი ასტრონომიულ ციფრებს აღწევდა. სახელმწიფოს შიდა ვალი 7,8 მილიარდ გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდა, ხოლო საგარეო, აღებული აშშ-ან, 4 მილიარდ დოლარამდე. ინგლისი, რომელიც ომამდე მსოფლიოს ფინანსიურ ცენტრს წარმოადგენდა, კრედიტორი ქვეყნიდან მოვალე ქვეყნად გადაიქცა. კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთ შემცირდა 25%. მსოფლიოს ფინანსურმა ცენტრმა ინგლისიდან აშშ-ში გადაინაცვლა. რა თქმა უნდა ამ გარემოებამაც ძალზედ შეარყია ბრიტანეთის იმპერიის როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოზიციები.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა ინგლისის კოლონიებში ომის შემდეგ

ბრიტანეთის იმპერიის საგარეო და საშინაო პოზიციებს დიდი დარტყმა მიაყენა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მძლავრი ზემოქმედების შედეგად მისი კოლონიების გამოღვიძებამ და მათი მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, ინგლისის კოლონიური უღლის წინააღმდეგ.

1919 წლის იანვარში ირლანდიაში იფეთქა ძძლავრმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა აჯანყებამ. აჯანყებულებმა მოიწვიეს პარლამენტი და შექმნეს თავიანთი მთავრობა, რომელმაც ირლანდია დამოუკიდებელ რესპუბლი-

კად გამოაცხადა. მართალია, ინგლისის მთავრობის ჯარებმა განდევნეს ირლანდიის პარლამენტი და მთავრობა, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობა. 1921 წ. ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა სამხრეთ ირლანდიისათვის, რომელიც 3 მილიონ მოსახლეობას ითვლიდა, დამოუკიდებლობა მიეცა, ჩრდილოეთ ირლანდია კი 1,5 მილიონიანი მოსახლეობით ინგლისის სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩა. ამავე დროს ინგლისის ხელში რჩებოდა სამხრეთ ირლანდიის საზღვაო ბაზები. 1937 წელს სამხრეთ ირლანდია გამოცხადდა სრულ დამოუკიდებელ რესპუბლიკად ეირეს სახელწოდებით.

1919 წელს ავღანეთის ხალხმა დაიწყო ომი დამოუკიდებლობისათვის, რომელიც დამთავრდა ამ ქვეყნიდან ინგლისელთა განდევნით და ავღანეთის დამოუკიდებლობის აღდგენით.

ძლიერი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ქარიშხალი მოედო ინდოეთს, რომელიც 1919—1922 წლებში ბობოქრობდა. ამან ინგლისელი კოლონიზატორები აიძულა ნაწილობრივ დათმობებზე წასულიყვნენ. 1918 წელს ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა ინდოეთში შემოეღო ე. წ. „კონსტიტუცია“, რომლითაც ინდოეთის მემამულეები და ბურჟუაზია იღებდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში ნაწილობრივი მონაწილეობის უფლებებს, მაგრამ, ამ „რეფორმამ“ არ დააკმაყოფილა ინდოეთის ხალხი, რომელიც განაგრძობდა ბრძოლას თავისი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის.

ეგვიპტელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერების შედეგად ინგლისი იძულებული გახდა წასულიყო ერთგვარ დათმობაზე და ეგვიპტისათვის ფორმალური „დამოუკიდებლობა“ მიეცა. ამავე დროს ინგლისის ჯარები დატოვებული იქნენ ეგვიპტის ტერიტორიაზე, ხოლო ნავსადგურები და სუეცის არხი კვლავ ინგლისელთა ხელში რჩებოდნენ. დიდ დათმობაზე წავიდნენ ინგლისის მმართველი წრეები დომინიონების წინაშეც, 1926 წელს მათ უფლება მიიღეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ხელშეკრულების დადებაზე. 1931 წლის პარლამენტის აქტით („ვესტმინსტერის სტატუტით“) გამოცხადდა დომინიონთა თანასწორუფლებიანობა დიდ ბრიტანეთთან „ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის“ ჩარჩოებში. დომინიონებმა სუვერენული უფლებები მიიღეს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

რევოლუციური მოძრაობა ინგლისში ოქტომბრის რევოლუციის გავლენით

ოქტომბრის რევოლუციამ ძალზე დიდი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა ინგლისის მუშათა კლასზე. ინგლისის გაბატონებული კლასები ომის მთელი ხარჯების ამოქაჩვას მათ ხარჯზე ცდილობდნენ. ამავე დროს მეწარმეებიც ცდილობდნენ მუშათა ისედაც მცირე ხელფასის შემდგომ შემცირებასა და სამუშაო დღის გაზრდას, მაგრამ ინგლისის მმართველი წრეები წააწყდნენ მუშათა კლასის ორგანიზებულ წინააღმდეგობას. 1919 წელს მუშათა გაფიცვებში მონაწილეთა რიცხვი უდრიდა 2,5 მილიონ კაცს, ხოლო 1920 წელს კი 2 მილიონს. გაფიცულთა მთავარი მოთხოვნები იყო სამუშაო დღის შემცირება და ხელფასის გაზრდა. ამასთანავე მუშები აყენებდნენ ბანკების, ქვანახშირის მაღაროების, რკინიგზების და მრეწველობის სხვა წამყვანი დარგების ნაციონა-

ლიზაციის მოთხოვნებს. აქტიური ბრძოლის შედეგად მუშებმა მთელ რიგ წარმატებებს მიაღწიეს. კერძოდ, ხელფასების მომატებას და სამუშაო დღის შემცირებას. მეშახტეებმა 7 საათიანი სამუშაო დღეც კი მიიღეს.

ინგლისის მუშათა კლასმა ხმა აღიმაღლა ლოიდ ჯორჯის კოალიციური მთავრობის ანტისაბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგაც. ამ კოალიციურ მთავრობაში ომამდე შედიოდნენ — კონსერვატორები, ლიბერალები და ლეიბორისტები, ომის დამთავრებისთანავე ლეიბორისტული პარტია, რომელსაც ეშინოდა თავისი გავლენის დაკარგვისა მუშათა კლასზე, გამოვიდა მთავრობის შემადგენლობიდან. ლოიდ ჯორჯი, რომელსაც ლენინი უწოდებდა დიდ დემაგოგსა და გაქნილ პოლიტიკოსს, ითვალისწინებდა რა მშრომელთა რევოლუციურ განწყობილებას, ცდილობდა დემაგოგიით, დაპირებებითა და ზოგიერთი დათმობებით მშრომელთა რევოლუციური განწყობილებების შენელებას. 1918 წელს მან საარჩევნო რეფორმაც კი გაატარა, რომლითაც, პირველად ინგლისის ისტორიაში, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ღებულობდნენ 30 წლისა და ზემო ასაკის მქონე გათხოვილი ქალები, ან რომლებსაც განსაზღვრული რაოდენობის ქონება გააჩნდათ. არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ღებულობდა ყველა მამაკაცი 21 წლის ასაკიდან. ამ კანონით ამომრჩეველთა რიცხვი 8 მლნ-დან 21 მილიონამდე გაიზარდა.

1918 წლის საპარლამენტო არჩევნები და ლოიდ ჯორჯის მეორე კოალიციური მთავრობა

ახალი საარჩევნო რეფორმის საფუძველზე 1918 წლის დამლევს ჩატარებულ იქნა პირველი ომისშემდგომი საპარლამენტო არჩევნები. ლოიდ ჯორჯს იმედი ჰქონდა, რომ საარჩევნო რეფორმით მადლიერი ამომრჩეველი ქალები წარმატებებს მოუტანდნენ მის ლიბერალურ პარტიას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ლიბერალ-კონსერვატორების ერთიანმა ბლოკმა თემთა პალატაში 706 ადგილიდან მიიღო 478 დეპუტატის მანდატი, აქედან 342 ადგილი მიიღეს კონსერვატორებმა, ხოლო 136 მანდატი კი — ლოიდ ჯორჯის მომხრე ლიბერალებმა. ეს ნიშნავდა ლიბერალური პარტიის დიდ მარცხს, პარტიისა, რომელიც ორსაუკუნეხახევრის განმავლობაში არსებობდა და აქედან 100 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ხელისუფლებას.

არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ლეიბორისტულმა პარტიამ, რომელმაც 2,5 მილიონი ხმა და 59 დეპუტატის მანდატი მიიღო. ამ პარტიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ინგლისის მშრომელების სიმპატიები საბჭოთა სახელმწიფოსადმი და იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინა თავისი გავლენა მასებზე, 1918 წელს ახალი პროგრამა მიიღო. პროგრამა პარტიის ამოცანად აცხადებდა რეფორმების გზით სოციალიზმის დამყარებას ინგლისში. იგი აყენებდა მიწისა და მრეწველობის ზოგიერთი დარგების ნაციონალიზაციის საკითხს კომპენსაციის საფუძველზე. ლეიბორისტული პარტიის რეფორმისტული ხელმძღვანელობის ეს „სოციალიზმი", მშრომელთა მასების რევოლუციური მეთოდებით ბრძოლას უარყოფდა და აშკარა ოპორტუნისტული იყო. მისი მთავარი ამოცანა გახდა მასების ჩამოშორება კლასთა ბრძოლისა და რევოლუციის გზიდან.

1918 წლის პარლამენტის არჩევნების შემდეგ ხელისუფლების სათავეში

ჩადგა ლიბერალ — კონსერვატორების ბლოკის მთავრობა ლოიდ ჯორჯის მეთაურობით. მთავრობაში მთავარი ადგილები დაიკავეს კონსერვატორების ცნობილმა მოღვაწეებმა: ო. ჩემბერლენმა, ბონარ ლოუმ, ს. ბოლდუინმა, ჯ. კერზონმა და უ. ჩერჩილმა.

ლოიდ-ჯორჯის მეორე კოალიციური მთავრობა კიდევ უფრო აქტიურად შეუდგა ანტისაბჭოთა ინტერვენციის განხორციელებას. /

ინგლისის მუშათა კლასის ბრძოლა საბჭოთა რუსეთის დასაცავად

1917 წლის დეკემბერში ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებულ იქნა საიდუმლო ხელშეკრულება საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ინტერვენციის მოწყობისა და მისი დაყოფის შესახებ./1918 წლის აპრილში ინგლისმა ჯარები გადასხა არხანგელსკსა და მურმანსკში, ხოლო ივლისში მათი დახმარებით თეთრგვარდიელებმა საბჭოთა ხელისუფლება დაამხეს თურქმენეთში. ბრიტანეთის ჯარებმა დაიკავეს ბაქო და დაამხეს ბაქოს კომუნა./ამავე დროს ინგლისის მმართველი წრეები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად დიდ დახმარებას უწევდნენ რუსეთის კონტრრევოლუციას ფულით, სურსათით, იარაღით და სამხედრო ინსტრუქტორებით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ინგლისის მუშათა კლასი დიდის თანაგრძნობით შეხვდა ოქტომბრის რევოლუციას. იგი საბჭოთა რუსეთის დაცვის ლოზუნგებით აწყობდა გაფიცვებს, დემონსტრაციებს, მიტინგებს და კრებებს. ამ მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ანტანტის მესამე ლაშქრობის დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთს თავს დაესხა დასავლეთის სახელმწიფოების მიერ შეიარაღებული და მომზადებული თეთრპოლონეთი. ინგლისის მუშებმა შექმნეს „მოქმედების კომიტეტები“. მათი მოწოდებით|მუშები უარს ამბობდნენ გემების და მატარებლების სურსათითა და იარაღით ლატვირთვაზე, რომლებიც იგზავნებოდა პოლონეთში. როდესაც წითელი არმია პოლონეთის ჯარს ანადგურებდა და ვარშავას მიაღწია, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა კერზონმა 1920 წლის 3 აგვისტოს ულტიმატუმი წაუყენა საბჭოთა მთავრობას წითელი არმიის შეტევების დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ.| წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისის მთავრობა ომით იმუქრებოდა. თავისი მთავრობის ამ აგრესიული აქტის საპასუხოდ 9 აგვისტოს ლონდონში მოწვეულ იქნა ინგლისის მუშათა კლასის პოლიტიკური და პროფკავშირული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც შექმნა მოქმედების კომიტეტების ცენტრალური საბჭო და მთავრობას მოსთხოვა, რათა დაუყოვნებლივ უკან წაეღო კერზონის ულტიმატუმი და შეეწყვიტა ანტისაბჭოთა ინტერვენცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები საყოველთაო გაფიცვით იმუქრებოდნენ. ამავე დროს მოქმედების კომიტეტების ცენტრალურმა საბჭომ გაგზავნა დეპეშები ინგლისის ყველა კუთხეში, რათა მზად ყოფილიყვნენ მუშები საყოველთაო გაფიცვის ჩატარებისათვის იმ შემთხვევაში თუ მთავრობა არ შეწყვეტდა თავის ანტისაბჭოთა პოლიტიკას. მუშათა კლასის აქტიური მოძრაობის შედეგად მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია და უარი ეთქვა აშკარა, შეუნიღბავი ანტისაბჭოთა კურსის გატარებაზე.

ინგლისის კომუნისტური პარტიის შექმნა

სწორედ მუშათა კლასის ამ პოლიტიკური აქტივობის პერიოდში შეიქმნა ინგლისის კომუნისტური პარტია. კომუნისტური ჯგუფები ინგლისში ჯერ კიდევ 1918—1919 წლებში აღმოცენდნენ. ამავე დროს, ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის შიგნით ჩამოყალიბდა ძლიერი მემარცხენე ფრთა, რომელიც ძირითადად სწორ პოზიციებზე იდგა, ხოლო ინგლისის ფაბრიკებსა და ქარხნებში ჯერ კიდევ ომის წლებში აღმოცენდნენ მუშათა საფაბრიკო-საქარხნო მამასახლისების კომიტეტი შოპ-სტიუარდების სახელწოდებით. ეს ორგანოები, რომელთა წევრები გამოსული იყვნენ მუშათა უბრალო წრიდან, თავისი შინაარსით რევოლუციური ხასიათისა იყვნენ. შოპ-სტიუარდების მოძრაობას სათავეში ედგნენ მუშათა კლასის გამოჩენილი მოღვაწენი უ. გალახერი, მაკ-მანუსი და სხვები. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში მუშათა კლასის რევოლუციური ელემენტები მთელ რიგ შეცდომებს უშვებდნენ. კერძოდ, ისინი უარს ამბობდნენ საპარლამენტო ბრძოლაზე და თვლიდნენ, რომ ეს იქნებოდა თანამშრომლობა ბურჟუაზიულ პარტიებსა და მთავრობასთან. ისინი გამოდიოდნენ აგრეთვე რეფორმისტულ პროფკავშირებში და ლეიბორისტულ პარტიაში მუშაობის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ ეს იქნებოდა თანამშრომლობა რეფორმისტებთან. ვ. ი. ლენინი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ინგლისის მუშათა მოძრაობას. მან თავის ცნობილ წიგნში „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში" გააკრიტიკა რა ინგლისის კომუნისტების შეცდომები, მიუთითა, რომ მათ საპარლამენტო ბრძოლა და პარლამენტის ტრიბუნა უნდა გამოიყენონ თავისი გავლენის გაზრდისათვის, რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის და მთავრობის და ბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკის არსის გამოაშკარავებისათვის, ხოლო რეფორმისტულ პროფკავშირებში და ლეიბორისტულ პარტიაში ინგლისის კომუნისტების მუშაობის აუცილებლობა ნაკარნახევი უნდა იყოს არა რეფორმისტებთან თანამშრომლობით, არამედ მათი გამყიდველური პოლიტიკის გამოაშკარავების, მუშათა კლასის ამ მასობრივი ორგანიზაციების სათავიდან რეფორმისტების ჩამოშორების და მათი რევოლუციური ხელმძღვანელობით შეცვლისათვის.

ოპორტუნისტებთან მძიმე და ხანგრძლივ ბრძოლაში მემარცხენეები ბრიტანეთის სოციალისტური პარტიიდან, მუშათა სოციალისტური ფედერაციის მემარცხენე ფრთა, კომუნისტური გაერთიანების ჯგუფები და მუშათა კლასის სხვა მემარცხენე ჯგუფები, რომელნიც იდგნენ კომინტერნის პოზიციებზე, თითქმის ორი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ მოლაპარაკებას კომპარტიის შექმნაზე. 1920 წლის 31 ივლისს — 1 აგვისტოს მათ დამფუძნებელი ყრილობა მოიწვიეს ლონდონში. ყრილობამ პარტია შექმნილად გამოაცხადა და მიიღო მარქსისტული პროგრამა.

მაგრამ ლონდონის ყრილობის შემდეგაც კომუნისტური მოძრაობა ინგლისში ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად გაერთიანებული, ცალკეულ სამრეწველო რაიონებში კიდევ არსებობდნენ სხვა კომუნისტური ორგანიზაციები. კომპარტიის მორიგმა ყრილობამ, რომელიც მოწვეულ იქნა 1921 წლის 29—30 იანვარს, თავის შემადგენლობაში მიიღო შოპ-სტიუარდების კომიტეტები. იმავე წლის აპრილში კი მემარცხენეები დამოუკიდებელ მუშათა პარტიიდან კომპარტიას შეუერთდნენ. მართალია, ინგლისის კომპარტია რიცხობრივად დიდი არ იყო

(იგი აერთიანებდა 10 ათასზე ცოტა მეტ წევრს), მაგრამ სამაგიეროდ მასში ჯაერთიანებული იყვნენ მუშათა კლასის ყველაზე უფრო გავლენიანი და რევოლუციური წარმომადგენლები. მათ მიზნად დაისახეს კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

1920—1922 წლების ეკონომიური კრიზისი და ბურჟუაზიის გადასვლა შეტევაზე

ომისშემდგომ დროებით ეკონომიურ აღმავლობას 1920 წლის შემოდგომაზე ჭარბი წარმოების მორიგი კრიზისი მოჰყვა. 1921 წელს წარმოების მოცულობა 1920 წელთან შედარებით შემცირდა ერთი მესამედით. ამას მოჰყვა მასობრივი ლოკაუტი, ანუ მუშების გაყრა წარმოებიდან. უმუშევართა რიცხვმა 1921 წლისათვის 1,5 მილიონ კაცს მიაღწია.

ბურჟუაზიამ ეკონომიური კრიზისი გამოიყენა მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლისათვის. 1920 წლის ოქტომბრის დამლევს პარლამენტმა მიიღო საგანგებო რწმუნებების კანონი, რომელიც მთავრობას უფლებას აძლევდა ჯარი და პოლიცია გამოეყენებინა მუშათა გაფიცვების ჩასახშობად.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მოექცა ინგლისის ქვანახშირის მრეწველობა, სადაც ქვანახშირის მოპოვება ხდებოდა ახალი ტექნიკის დანერგვის გარეშე. ომის დროს ქვანახშირის მრეწველობის მმართველობა მთავრობამ დროებით აიღო ხელში. 1921 წლის მარტში კი კვლავ უკან დაუბრუნდა მათ ყოფილ მფლობელებს. ქვანახშირის მრეწველებმა ვანაცხადეს, რომ ისინი 1921 წლის 1 აპრილიდან 30 პროცენტით შეამცირებდნენ ხელფასს, წინააღმდეგ შემთხვევაში მეწარმეები მასობრივი ლოკაუტით ემუქრებოდნენ მუშებს.

ჯერ კიდევ 1919 წელს შეიქმნა ინგლისის ტრანსპორტის, რკინიგზელებისა და მეშახტეთა პროფკავშირების სამთა კავშირი, რომლის მთავარი ამოცანა იყო ამ სამი პროფესიის მუშების ერთიანი ფრონტით გამოსვლა თავისი ინტერესების დასაცავად. მეშახტეთა პროფკავშირებმა ამჯერადაც მიმართეს დახმარებისათვის ტრანსპორტის და რკინიგზელ მუშებს. სამთა კავშირმა ამ სამივე პროფესიის მუშების გაფიცვა, მეშახტეთა დასაცავად დანიშნა ჯერ 12 აპრილისათვის, შემდეგ კი გადაიტანა (პარასკევს), 15 აპრილისათვის. მაგრამ 15 აპრილსაც რკინიგზისა და ტრანსპორტის პროფკავშირების რეფორმისტულმა ხელმძღვანელობამ ჩაშალა საყოველთაო გაფიცვა. მხოლოდ მეშახტეებმა გამოაცხადეს გაფიცვა, რომელიც 9 კვირას გრძელდებოდა და ბოლოს მათი დამარცხებით დამთავრდა. ამ დამარცხებას მუშებმა „შავი პარასკევი“ უწოდეს.

1920—1922 წლების ეკონომიური კრიზისის დროს ინგლისის ბურჟუაზიამ უკან გამოგლიჯა მუშათა კლასს ის მონაპოვარი, რომელიც მან 1918—1919 წლების ბრძოლის დროს მოიპოვა.

1922 წელს კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის განხეთქილება მოხდა. კონსერვატორების დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ ლოიდ-ჯორჯმა უკვე შეასრულა თავისი მისია, რომ მისი დემაგოგია, ბურჟუაზიის მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლასთან დაკავშირებით, არა თუ საჭიროა, არამედ მავნეცაა. ამავე დროს, კონსერვატორები არ ეთანხმებოდნენ ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკას საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ, რომელიც ცდილობდა საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას მისი ეკონომიური დაკაბალების მიზ-

ნით. ლოიდ-ჯორჯის მომხრე ლიბერალებისაგან განსხვავებით, კონსერვატორები მოითხოვდნენ აშკარა ანტისაბჭოთა კურსის გატარებას. მათ, გამოიყენეს რა ლოიდ-ჯორჯის წარუმატებლობა და მისი დათმობები ინგლისის კოლონიებისადმი და საგარეო პოლიტიკის მარცხი, 1922 წლის ოქტომბერში გაწყვიტეს კავშირი ლიბერალებთან.

პარლამენტი დათხოვნილ იქნა და იმავე წლის ნოემბერში ჩატარდა ახალი არჩევნები, რომლის დროსაც კონსერვატორებმა ხმების უმრავლესობა მიიღეს. საყურადღებოა, რომ ამ არჩევნებში დიდი წარმატება ხვდათ ლეიბორისტებს, რომელთაც პარლამენტში მიიღეს 144 დეპუტატის მანდატი.

ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი ბონარ-ლოუ, რომელიც 1923 წლის მაისში ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა გადამდგარიყო. იგი შეცვლილ იქნა ბოლდუინის მთავრობით. ბოლდუინის მთავრობა დაადგა აშკარა ანტისაბჭოთა პოლიტიკის გატარების გზას. 1923 წლის მაისში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა კერზონმა საბჭოთა კავშირს წაუყენა ულტიმატუმი, რომელშიც იგი ბრალს სდებდა მას ანტიბრიტანულ საქმიანობაში ირანსა და ავღანეთში და მოითხოვდა საბჭოთა წარმომადგენლების გაწვევას ამ ქვეყნებიდან.

საბჭოთა მთავრობამ საკადრისი პასუხი გასცა ინგლისის იმპერიალისტების ამ მორიგ გამოხდომებს. კონსერვატორებმა ვერ პოვეს მხარდაჭერა ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც მის გარეთ. ამ მორიგი ანტისაბჭოთა გამოხდომის წინააღმდეგ კვლავ აქტიურად გამოვიდნენ არა მარტო ინგლისელი მუშები, არამედ ბურჟუაზიის ის ნაწილიც, რომელიც განიცდიდა რა ეკონომიურ სიძნელეებს, მოითხოვდა რუსეთთან ტრადიციულად არსებული სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას. კერზონმა ამჯერადაც ვერ პოვა რა საგარეო და საშინაო მხარდაჭერა, იძულებული გახდა უკან წაეღო თავისი ულტიმატუმი.

კონსერვატორები ომისშემდგომ შერყეულ ეკონომიკის განმტკიცებას ფართო პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარებით ცდილობდნენ. მაგრამ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა ინგლისის მუშათა კლასი და ბურჟუაზიის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. კონსერვატორებმა, იმ იმედით, რომ პროტექციონიზმის პოლიტიკაში მათ მხარს დაუჭერდა ინგლისის საზოგადოების დიდი ნაწილი, დაითხოვეს პარლამენტი და 1923 წლის შემოდგომაზე მორიგი, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დანიშნეს.

არჩევნებში კონსერვატორებმა მარცხი განიცადეს. 364 ადგილის ნაცვლად, რომელიც მათ ადრე ჰქონდათ პარლამენტში, მიიღეს მხოლოდ 255 ადგილი. დიდ წარმატებას მიაღწია ლეიბორისტულმა პარტიამ, რომელმაც 191 ადგილი მიიღო, ხოლო ლიბერალებმა კი — 158. ამრიგად, ორივე ოპოზიციურ პარტიებს — ლეიბორისტებს და ლიბერალებს, რომელნიც პროტექციონიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ იყვნენ, ერთად თითქმის 100 ადგილზე მეტი ჰქონდათ პარლამენტში ვიდრე კონსერვატორებს. ეს ნიშნავდა კონსერვატორების პროტექციონიზმის პოლიტიკის კრახს, რის გამოც ხელისუფლების სათავეში 1924 წლის იანვრიდან, პირველად ინგლისის ისტორიაში, ლეიბორისტული მთავრობა ჩადგა.

§ 7. ინგლისი კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდში

პირველი ლეიბორისტული მთავრობა

ლეიბორისტების არჩევნებში გამარჯვება, უპირველეს, ყოვლისა, აიხსნება ინგლისის მოსახლეობის უკმაყოფილებით კონსერვატორებისადმი, რომლებიც აშკარა რეაქციულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ.

ლეიბორისტულ მთავრობას სათავეში ედგა პარტიის ლიდერი რამზეი მაკდონალდი. როგორც კი მოექცნენ ხელისუფლების სათავეში, ლეიბორისტებმა დაიგიწყეს წინასაარჩევნო კამპანიის დროინდელი დაპირებები. მათ უარი თქვეს ქვანახშირის და მრეწველობის სხვა დარგების ნაციონალიზაციაზე, მუშათა ხელფასის გაზრდაზე, პროგრესული გადასახადების შემოღებაზე და ა. შ. ისინი მხოლოდ უმნიშვნელო დათმობებზე წავიდნენ. შეამცირეს ბაჟები ჩაისა, ყავასა და შაქარზე. რამდენადმე გაზარდეს მოხუცებულობისა და ინვალიდების პენსიები. მართალია, უმუშევრობის ლიკვიდაციის მიზნით, მათ შეიმუშავეს პროექტი საზოგადოებრივი სამუშაოების გაზრდისათვის, მაგრამ ეს პროექტი განუხორციელებელი დარჩა. განუხორციელებელი დარჩა აგრეთვე ლეიბორისტების დაპირება საბინაო საკითხის მოგვარების და მსხვილ კაპიტალზე გადასახადის დაწესების შესახებ. პირიქით, ახალი ბიუჯეტის მიღებისას მთავრობამ მნიშვნელოვნად შეამცირა გადასახადები სააქციონერო საზოგადოების მოგებებზე. ამ აქციით და აგრეთვე მთელი საშინაო და საგარეო პოლიტიკით ლეიბორისტულმა ანუ მუშათა მთავრობამ, ნათელჰყო, რომ მას არავითარი საერთო არა აქვს მუშათა კლასთან, რომ ივი ასახავს არა მუშათა კლასის, არამედ ბურჟუაზიის ინტერესებს.

ლეიბორისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა თითქმის არ განსხვავდება კონსერვატორებისაგან. მართალია, ლეიბორისტულმა მთავრობამ ცნო საბჭოთა კავშირი და დაამყარა მასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა, მაგრამ ამის სანაცვლოდ იგი ცდილობდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის თავს მოეხვია შეფის რუსეთის დროინდელი ვალების გადახდა.

ლეიბორისტული მთავრობის მონაწილეობით 1924 წლის აგვისტოში ლონდონის კონფერენციაზე მიღებულ იქნა დაუესის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დასავლეთის სახელმწიფოების ფინანსიური დახმარებით გერმანიის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენას. ამ მთავრობის დროს სისხლში იქნა ჩახშობილი ინდოეთის, ერაყის და ეგვიპტის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.

აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტული მთავრობა ახორციელებდა ინგლისის მილიტარიზაციის ისეთივე პოლიტიკას, როგორიც მისი წინამორბედნი. ლეიბორისტების იმპერიალისტური და მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ კომუნისტები. კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი კემპბელი, რომელიც ამავე დროს ერთ-ერთი კომუნისტური პროვინციული გაზეთის „უორკერს უიკლის“ რედაქტორი იყო, თავის გაზეთის ფურცლებზე სასტიკად აკრიტიკებდა ლეიბორისტების კოლონიურ, მილიტარისტულ და იმპერიალისტურ პოლიტიკას და მოუწოდებდა მეზღვაურებს და ჯარისკაცებს, რათა ისინი არ გამოსულიყვნენ მუშათა გაფიცვებისა და ჩაგრული ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ.

კემპბელის წინააღმდეგ აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე, რის გამოც კემპბელი მაკდონალდის ბრძანებით დააპატიმრეს. მაგრამ პროკურატურა

დანაშაულის დაუსაბუთებლობის გამო იძულებული გახდა უარი ეთქვა მის დამნაშავედ ცნობაზე.[კემპბელის დასაცავად ხმა აიმაღლეს მუშებმაც. ამ გარემოებების გამო კემპბელი განთავისუფლებულ იქნა. მაშინ]პარლამენტში თავი წამოყვეს კონსერვატორებმა, რომელთაც მაკდონალდი მონათლეს კომუნისტების „დამცველად“ და მოითხოვეს პარლამენტში მთავრობის ნდობის საკითხისადმი კენჭის ყრა. ეს კარგს არაფერს არ უქადდა მთავრობას, ამიტომ მაკდონალდმა გადაწყვიტა დროზე გადამდგარიყო. პარლამენტი დათხოვნილ იქნა. 1924 წლის 29 ოქტომბერს ჩატარდა რიგგარეშე არჩევნები.[

ბოლდუინის მთავრობის რეაქციული საშინაო და საგარეო პოლიტიკა

ჯერ კიდევ მაკდონალდის მთავრობის დროს პრესაში გამოქვეყნდა ფალსიფიცირებული „კომინტერნის წერილი“, რომელიც თითქოს გამოგზავნილი იყო მოსკოვიდან ინგლისის კომპარტიისათვის. ამ წერილში კომინტერნი თითქოს ინგლისის კომუნისტებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა მთავრობის დამხობის მიზნით.

ეს შეთხზული წერილი გამოყენებული იქნა კონსერვატორების მიერ ინგლისის საშუალო ფენების დასაშინებლად, რის გამოც მათ არჩევნებში მიაღწიეს დიდ წარმატებებს. [კონსერვატორებმა პარლამენტში მიიღეს 415 დეპუტატის ადგილი, ლეიბორისტებმა ნაცვლად 191 ადგილისა, რომელიც მათ ადრე ჰქონდათ 151, ხოლო ლიბერალებმა 44.]

[1924 წლის ნოემბრის დასაწყისში ხელისუფლების სათავეში ჩაყენებულ იქნა კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერის ბოლდუინის კაბინეტი. ინგლისი თვით სტაბილიზაციის პერიოდშიც განიცდიდა მთელ რიგ სიძნელეებს. 1920 წელში დაწყებული ჰარბი წარმოების კრიზისი გაგრძელდა 1922 წლამდე,[რის შემდეგ დაიწყო მრეწველობის და ვაჭრობის ნაწილობრივ გამოცოცხლება, მაგრამ სერიოზულ აღმავლობას მაინც ადგილი არ ჰქონია. [ინგლისის ეკონომიკა 1929 წლისათვის მხოლოდ მიუახლოვდა ომამდელ დონეს.[ინგლისის მრეწველობის და ვაჭრობის ნელი ტემპით წინსვლა იმ გარემოებით აიხსნება, რომ საგარეო ვაჭრობა ძალზედ დიდ შევიწროებას განიცდიდა საერთაშორისო ბაზარზე, სადაც გაბატონებული მდგომარეობა თვით ინგლისის კოლონიებსა და დომინიონებშიც კი აშშ-მა დაიკავა. გარდა ამისა, კოლონიებსა და დომინიონებში ადგილობრივი მრეწველობის თანდათანობითმა განვითარებამ დასცა მოთხოვნები ინგლისის საქონელზე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო ქვანახშირის მრეწველობა, რომელიც დიდ შევიწროებას განიცდიდა უკვე აღორძინებული გერმანიის ქვანახშირის კონკურენციის მხრივ. ინგლისის ქვანახშირის მრეწველობის ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზი უპირველეს ყოვლისა ის იყო, რომ აქ არ ინერგებოდა ახალი ტექნიკა, რის გამოც ინგლისში მოპოვებული ქვანახშირი ძვირი ჯდებოდა და ვერ უძლებდა კონკურენციას საერთაშორისო ბაზარზე.

ქვანახშირის წარმოების მფლობელები თავისი კონკურენციის უნარიანობის ამაღლებას და შემოსავლის გაზრდას მუშათა კლასის ხარჯზე ცდილობდნენ, მათი ხელფასების შემცირებისა და სამუშაო დღის გაზრდის გზით. 1925 წლის ივნისში მათ სცადეს მეშახტეებისათვის ხელფასის შემცირება. მაშინ სამთა კავშირი (რკინიგზის, ტრანსპორტისა და ქვანახშირის მრეწველობის პროფკავშირები) მათ დაემუქრა საყოველთაო გაფიცვის ამოცხადებით.

ბოლღუინის მთავრობას შეეშინდა მუშათა საყოველთაო გაფიცვისა, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად იგი არ იყო მომზადებული და 31 ივლისს მეწარმეებს 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი სუფსიდია მისცა მუშათა ადრინდელი ხელფასის შესანარჩუნებლად, მაგრამ ეს თანხა საკმარისი იქნებოდა მხოლოდ 9 თვის განმავლობაში. გამარჯვების ნიშნად მუშებმა ამ დღეს „წითელი პარასკევი" უწოდეს.

ინგლისის მთავრობა და ბურჟუაზია დათმობაზე წავიდა, მაგრამ ისინი მუშათა კლასის წინააღმდეგ ახალი დიდი კონფლიქტისათვის ემზადებოდნენ, ხოლო ტრედუნიონების გენერალური საბჭოს რეაქციულმა ხელმძღვანელობამ უ. სიტრინის, ვ. ტომასის და ე. ბევინის მეთაურობით ეს დრო არ გამოიყენეს მომავალი ბრძოლებისათვის მუშათა კლასის მოსამზადებლად. ტრედუნიონების მიერ შექმნილი სამრეწველო კომიტეტი, რომელსაც მდგომარეობა უნდა შეესწავლა ქვანახშირის მრეწველობაში, რეაქციული ლიდერების გავლენის ქვეშ მოექცა.

1926 წლის აპრილში მაღაროთა მფლობელებმა მემაღაროელთა კავშირისაგან მოითხოვეს თანხმობა მუშათა ხელფასის შემცირებაზე, სამუშაო დღის 1 საათით (7 საათიდან 8 საათამდე) გაზრდაზე და ა. შ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ლოკაუტით იმუქრებოდნენ. ასეთმა ულტიმატუმმა მუშების საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. მუშები საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი. კომპარტიამ მოუწოდა მრეწველობის ყველა დარგის მუშაკებს მხარი დაეჭირათ მაღაროელებისათვის საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებით. ამ მოწოდებამ საყოველთაო გამოხმაურება ჰპოვა ინგლისის ყველა დარგის მუშებს შორის. რეფორმისტული ტრედ-უნიონებისა და ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელები დაშინდნენ და ვერ გაბედეს მის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა.

ინგლისის ტრედ-უნიონების გენერალური საბჭოს რეფორმისტული ხელმძღვანელობა იძულებული გახდა გაეთვალისწინებინა მუშათა მასობრივი მოთხოვნა მემაღაროელთა მხარის დასაჭერად საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ და სათავეში ჩასდგომოდა მუშათა საყოველთაო გაფიცვას, რათა იგი მის კონტროლს ქვეშ ყოფილიყო და ხელსაყრელ მომენტში მოეხერხებინა მისი ჩაშლაც კი.

1926 წლის 1 მაისს მაღაროთა მფლობელებმა დაიწყეს ლოკაუტი. ამის საპასუხოდ ღამით 4 მაისს გაიფიცნენ ტრანსპორტის, რკინიგზის და სხვა დარგის მუშები. გაფიცულთა რიცხვმა 6 მილიონ კაცამდე მიაღწია. გაფიცვები რეფორმისტული პროფკავშირების კონტროლიდან გამოვიდა. ინგლისის კომპარტია თანამიმდევრულად გამოდიოდა კლასობრივი ბრძოლის გაფართოების, შეტევაზე გადასვლისა და გაფიცვის პოლიტიკურ ხასიათში გადაზრდის მოთხოვნით. მუშათა კლასი მსარს უჭერდა კომუნისტების მოწოდებას. ქმნიდნენ „მოქმედების კომიტეტებს", გამოჰყავდათ სადარაჯო რაზმები, რათა ზოგიერთი სულმოკლე და პოლიტიკურად ჩამორჩენილი მუშები სამუშაოზე არ დაეშვათ. მიუხედავად გენსაბჭოს რეაქციული ხელმძღვანელობის ყოველგვარი ცდებისა, რომ საყოველთაო გაფიცვა შეეზღუდათ მხოლოდ ეკონომიური ჩარჩოებით, ეს გაფიცვა თანდათანობით იღებდა პოლიტიკურ ხასიათს. ბევრ ადგილზე ხდებოდა შეჯახება გაფიცულებსა და პოლიციას შორის.

გაფიცვის ასეთმა სახით გაქანებამ ძალზე დააშინა არა მარტო ბურჟუაზია

არამედ ტრედუნიონების გენერალური საბჭოს შემადგენლობა. საყურადღებოა, რომ გენსაბჭოს ხელმძღვანელობა ჯერ გაფიცვის დაწყებამდე, ხოლო შემდეგ გაფიცვის მსვლელობაში აწარმოებდა ფარულ მოლაპარაკებას მთავრობასა და მეწარმეებთან. მაგრამ მთავრობა მტკიცედ უარყოფდა ყოველგვარ მოლაპარაკებას და მოითხოვდა გაფიცვის შეწყვეტას. მიუხედავად ამისა გენსაბჭოს ხელმძღვანელობამ აუკრძალა გაფიცვაში მონაწილეობა წარმოების ისეთი მნიშვნელოვანი დარგის მუშებს, როგორიცაა გაზის, წყლისმომარაგებისა და კვების მრეწველობა. გენსაბჭო მოუწოდებდა მუშებს არ გამოსულიყვნენ ქუჩებში, არ დაერღვიათ „წესრიგი" და ა. შ. ამავე დროს, გენსაბჭოს რეაქციულმა ხელმძღვანელობამ განიზრახა საყოველთაო გაფიცვის ჩაშლა. 12 მაისს მაღაროელთა კავშირის მან წაუყენა მოთხოვნა, რათა გაფიცვა შეეწყვიტა, მაგრამ უარი მიიღო. ასევე უშედეგოდ დამთავრდა მათი მიმართვა სხვა დარგის გაფიცულ მუშებისადმი. გაფიცვის შეჩერებას რეფორმისტები იმ მოტივით მოითხოვდნენ, რომ თითქოს არის წარმატებების რაღაც სიმპტომები.

საბჭოს ამ გამყიდველური აქტის შედეგად საყოველთაო გაფიცვა ჩაშლილ იქნა. მაგრამ მემაღაროელი მუშები კიდევ მთელი 6 თვის განმავლობაში გაგრძელებდნენ გაფიცვას და იგი მხოლოდ უაღრესად გაჭირვებული მდგომარეობის გამო შესწყვიტეს.

ინგლისის მუშების ამ კლასობრივმა ბრძოლამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს ყველა კუთხეში. საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის და სხვა ქვეყნების დოკერები უარს ამბობდნენ ინგლისში გასაგზავნი გემების ქვანახშირით დატვირთვაზე. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნებში მუშები აგროვებდნენ სახსრებს გაფიცულ მუშათა დასახმარებლად. საბჭოთა კავშირის პროფკავშირებმა გაფიცულ მემაღაროელთა დასახმარებლად შეაგროვეს 12 მილიონი მანეთი ოქროთი.

/მუშაობა დამარცხების შემდეგ ბურჟუაზიული რეაქცია შეტევაზე გადავიდა. 1927 წლის ივლისში პარლამენტმა მიიღო ყველაზე რეაქციული კანონი პროფკავშირებისა და სამრეწველო კონფლიქტების შესახებ, რომელიც კრძალავდა სოლიდარობისა და საყოველთაო გაფიცვებს. 1928 წლის კანონით მემაღაროელთა სამუშაო დღე გაზრდილ იქნა 7 საათიდან 8 საათამდე, ხოლო ხელფასი კი 10%-ით იქნა შემცირებული. /

რეაქციული იყო კონსერვატორული მთავრობის საგარეო პოლიტიკაც, რომელიც მთავარ ამოცანად ისახავდა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ყველა დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას./1927 წელს კონსერვატორული მთავრობის ბრძანებით მოწყობილ იქნა პოლიციელთა თავდასხმა „არკოსზე". (საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციაზე ლონდონში), ხოლო იმავე წლის მაისში ინგლისის მთავრობამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ინგლისის აგენტების წაქეზებით ორგანიზებულ იქნა ჩინეთის მილიტარისტების თავდასხმები საბჭოთა წარმომადგენლობაზე პეკინში, შანხაიში და ნანკინში.

ინგლისის მთავრობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სხვა ქვეყნებთან ერთად შეიარაღებულ ინტერვენციაში ჩინეთის 1925—1927 წლების რევოლუციის წინააღმდეგ. /

§ 10. მეორე ლეიბორისტული მთავრობა. ინგლისი 1929 — 1932 წლების ეკონომიური კრიზისის და ომისწინა პერიოდში

კონსერვატორული მთავრობის აშკარა რეაქციული საშინაო და საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილო ინგლისის ამომრჩეველთა უმრავლესობამ, 1929 წელს მორიგი საპარლამენტო არჩევნების დროს, ხმა მისცა ლეიბორისტულ პარტიას. კონსერვატორებს არ უშველეს არჩევნების წინ დემაგოგიური თვალსაზრისით გატარებულმა კანონმა, რომლითაც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ღებულობდა ყველა ქალი, რომელთაც 21 წელი შეუსრულდა.

არჩევნებისას ლეიბორისტებმა მიიღეს 287 დეპუტატის ადგილი თემსის პალატაში (ჰქონდათ 151), ხოლო კონსერვატორებმა 260 (ჰქონდათ 415). ლიბერალებმა 59.

თავის საარჩევნო პროგრამაში ლეიბორისტები ფართო დაპირებებს იძლეოდნენ. ისინი ამომრჩეველებს პირდებოდნენ ქვანახშირის მრეწველობის, ტრანსპორტის და ბანკების ნაციონალიზაციას, უმუშევრობის ლიკვიდაციას, მაღაროელთათვის 7 საათიანი სამუშაო დღის აღდგენას, პროფკავშირების შესახებ 1927 წლის რეაქციული კანონის გაუქმებას, კაპიტალზე გადასახადის შემოღებას, საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას და ა. შ. მაგრამ ლეიბორისტების ყველა ეს დაპირებები ქაღალდზე დარჩა.

1929 წლის ივნისში შექმნილ იქნა მეორე ლეიბორისტული მთავრობა რ. მაკდონალდის მეთაურობით. რ. მაკდონალდის მთავრობის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკა თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა კონსერვატორული მთავრობის პოლიტიკისაგან და ისეთივე რეაქციული და იმპერიალისტური ხასიათის იყო.

მართალია, რ. მაკდონალდის მთავრობამ აღადგინა კონსერვატორების მიერ გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, მაგრამ იგი აქეზებდა და ხელს უწყობდა ჩინელი მილიტარისტების ანტისაბჭოთა პროვოკაციებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზაზე.

რაც შეეხება თავის სხვა დაპირებებს ლეიბორისტებმა იგი დაივიწყეს და არც 1927 წლის რეაქციული კანონი გააუქმეს პროფკავშირების შესახებ. ლეიბორისტების ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს ინგლისს აშშ-დან ახალი მსოფლიო ეკონომიური კრიზისი მოედო. მართალია, მას აქ ისეთი კატასტროფული ხასიათი არ მიუღია, როგორც აშშ-ში, მაგრამ იგი მაინც ძალზე მწვავე ფორმებში მიმდინარეობდა. ყველაზე უფრო მეტად კრიზისი შეეხო ქვანახშირის, ლითონის და მანქანათმშენებლობის წარმოებებს. 1931 წლისათვის თუჯის წარმოება შემცირდა 50 პროცენტზე მეტად, ხოლო ფოლადისა — დაახლოებით ორჯერ. ეკონომიურმა კრიზისმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ინგლისის საგადამხდელო ბალანსი. მიუხედავად რიგი ღონისძიებებისა, მკვეთრად შემცირდა ექსპორტის მოცულობა, იმპორტი კი იმავე დონეზე რჩებოდა. იმპორტის შემცირების მიზნით მთავრობამ 1932 წლის იანვარში მიიღო გადაწყვეტილება ინგლისში შემოსატან საქონელზე ბაჟების 10 პროცენტით გაზრდის შესახებ. კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა სავალუტო-ფინანსურ მდგომარეობას. სტერლინგის კურსი დაეცა 30 პროცენტით. უმუშევართა რიცხვმა მიაღწია 3,5 მილიონ კაცამდე. მკვეთრად დაეცა მუშათა რეალური ხელფასი. ეკონომიური კრიზისი გაგრძელდა 1933 წლამდე.

ინგლისის ბურჟუაზია ცდილობდა ეკონომიური კრიზისის მთელი სიმძიმე

მუშათა კლასზე დაეკისრებინა. მაკდონალდის მთავრობის თანხმობით დაიწყო ხელფასების შემცირება და სამუშაო დღის გაზრდა. ამავე დროს მთავრობა არავითარ ღონისძიებებს არ იღებდა უმუშევრობის ლიკვიდაციისათვის, ბიუჯეტით გათვალისწინებული დახმარების აღმოჩენისათვის.

მუშათა კლასის ისედაც მძიმე მდგომარეობის შემდგომი გაუარესება, მასობრივი უმუშევრობა, მეწარმეების მიერ ხელფასის შემცირება და ა. შ., იწვევდა მათს სამართლიან უკმაყოფილებას, კლასთა ბრძოლის შემდგომ გამწვავებას და საგაფიცავო მოძრაობის ზრდას. გაფიცვების მონაწილეთა რიცხვმა 1930 წლისათვის მიაღწია 300 ათას კაცამდე., 1931 წლისათვის კი იგი 0,5 მილიონ კაცს ჰუარობდა. მშრომელთა ინტერესების დასაცავად აქტიურად ჩაება ბრძოლაში ინგლისის კომპარტია. რომელმაც შეიმუშავა და წამოაყენა მუშათა ქარტია. იგი მოითხოვდა: უმუშევართათვის დახმარების გაზრდას, ხელფასის მინიმუმის დაწესებას, 1927 წლის კანონის გაუქმებას პროფკავშირების შესახებ, შემაღარელთათვის 7 საათიანი სამუშაო დღის დაწესებას და ა. შ.

კომპარტია ააშკარავებდა ლეიბორისტებს, როგორც ბურჟუაზიის ინტერესების დამცველ მთავრობას და მოუწოდებდა ხალხს ებრძოლათ თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის. რ. მაკდონალდის მთავრობამ ჩამოიხსნა ყოველგვარი ნიღაბი და ცდილობდა ეკონომიური კრიზისის მთელი სიმძიმის მშრომელ მასებზე დაკისრებას.

| 1931 წელს პარლამენტში შეტანილ იქნა ჯორჯ მეის კომისიის მიერ შედგენილი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა უმუშევართა დახმარების ფონდის და ხელფასების შემცირებას მოხელეთათვის და ჭადასახადების გაზრდას. |

მეის კომისიის რეკომენდაციებმა, რომლის მთავარი არსი იყო მშრომელთა ხარჯზე ეკონომიური კრიზისის შემსუბუქება, ძალზედ დიდი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. ლეიბორისტული პარტიის უმრავლესობამ, რომელიც მანამდე თანახმა იყო მეის რეკომენდაციების მიღებაზე, მოძრაობის დიდი გაქანებით დაშინებულმა, ვერ გაბედა მისთვის მხარდაჭერა. ამავე დროს, მაკდონალდი მოითხოვდა მეის კანონპროექტის დამტკიცებას და მის ცხოვრებაში გატარებას. ამას მოჰყვა განხეთქილება ლეიბორისტულ პარტიასა და მთავრობაში. მეორე ლეიბორისტული მთავრობა გადადგა, პარლამენტი დათხოვნილ იქნა და 1931 წლის ოქტომბერში ჩატარდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. არჩევნების ჩატარებამდე მაკდონალდი დაუკავშირდა კონსერვატორებს და ლიბერალებს და მათზე დაყრდნობით შექმნა ე. წ. „ნაციონალური მთავრობა“.

აღნიშნულის გამო მაკდონალდი და მისი ჯგუფი გარიცხულ იქნენ პარტიიდან. მან შექმნა ახალი პარტია ნაციონალ-ლეიბორისტული პარტიის სახელწოდებით და ამ არჩევნებისას შეჰკრა ბლოკი კონსერვატორებთან და ლიბერალებთან. არჩევნებმა დიდი წარმატება მოუტანა კონსერვატორებს, რომელთაც მიიღეს 471 დეპუტატის ადგილი, ლეიბორისტებმა კი მხოლოდ 46 (ადრე ქონდათ 287).

ამ არჩევნების შემდეგაც, მაკდონალდი, რომელიც თავგამოდებით ემსახურებოდა ბურჟუაზიას, დატოვებულ იქნა „ნაციონალური მთავრობის“ მეთაურად. მაგრამ ამ მთავრობის ფაქტიური ხელმძღვანელი იყო ბოლდუინი. მთავრობამ განახორციელა ჯ. მეის კომისიის რეკომენდაციები. ბევრ უმუშევარს დახმარებაზე უარი ეთქვა, შეუმცირდათ ხელფასები მასწავლებლებს, სახელმწი-

ფო მოხელეებს და სამხედრო მოსამსახურეებს. მთავრობა შეეცადა მეზღვაურთა ხელფასის 25 პროცენტით შემცირებას. ამან გამოიწვია მეზღვაურთა ძლიერი მღელვარება. 1931 წლის სექტემბერში იფეთქა მეზღვაურთა გაფიცვამ ინვერგორდონში, რამაც მთავრობა აიძულა დაკმაყოფილებულიყო მათი ხელფასის მხოლოდ 10 პროცენტით შემცირებაზე. ინგლისის კომპარტია აქტიურად გამოდიოდა ე. წ. „ნაციონალური მთავრობის" ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ, რის გამოც კომუნისტები დიდ დევნას განიცდიდნენ მთავრობის მიერ.

ამავე დროს მთავრობა ხელს უწყობდა ფაშისტური ორგანიზაციების აღმოცენებასა და მათი აქტივობის ზრდას. 1932 წელს ყოფილმა ლეიბორისტმა და ჟერზონის სიძემ ოსვალდ მოსლიმ შექმნა „ბრიტანეთის ფაშისტთა კავშირი", რომელიც ცდილობდა თავისი გავლენის გაზრდას, ისეთივე დემაგოგიით, როგორც ამას აკეთებდნენ ჰიტლერელები გერმანიაში.

(რეაქციული იყო „ნაციონალური მთავრობის" საგარეო პოლიტიკაც.) 1932 წლის შემოდგომაზე ოტტავის საიმპერო კონფერენციის შემდეგ ინგლისი თავისუფალი ვაჭრობიდან მკაცრი პროტექციონიზმის პოლიტიკაზე გადადის. საქმე იმაში იყო, რომ ინგლისი დიდ შევიწროებას განიცდიდა თავისი იმპერიალისტური მეტოქეების მხრივ, არა მარტო კოლონიებისა და დომინიონების, არამედ მეტროპოლიის საშინაო ბაზარზეც და პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარებით კონკურენციის შესუსტებას ცდილობდა. მაუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფოსაგან ინგლისი არავითარ კონკურენციას არ განიცდიდა, პირველი იერიში „ნაციონალურმა მთავრობამ" საბჭოთა კავშირზე მიიტანა. ამ მთავრობამ საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრული დისკრიმინაციის პოლიტიკის გეზი აიღო. 1932 წ. 16 ოქტომბერს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯონ საიმონმა ცალმხრივად გააუქმა 1930 წლის ინგლის-საბჭოთა კავშირის საეაჭრო ხელშეკრულება. ბრიტანეთის მთავრობამ აკრძალა საბჭოთა იმპორტი ინგლისში. ამის საპასუხოდ საბჭოთა მთავრობამ აკრძალა ინგლისის იმპორტი საბჭოთა კავშირში. დაიწყო მოლაპარაკება ახალი საეაჭრო ხელშეკრულების დასადებად. ინგლისის მთავრობა ცდილობდა, რომ ეს ახალი ხელშეკრულება საბჭოთა კავშირს რაც შეიძლება ძვირი დასჯდომოდა. მოლაპარაკებამდე და მოლაპარაკების დროს ინგლისმა საბჭოთა მთავრობას სამი მოთხოვნა წაუყენა: ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ინგლისელი კაპიტალისტების მიერ ნახული ზარალის ანაზღაურება, ინგლის-ამერიკის კომპანიის „ლენა გოლდფილდის"[1] „დანაკარგის" გადახდა და „ტორგსინის" მაღაზიებში გასაყიდ საქონელზე მსოფლიოს ბაზარზე არსებული ფასების დაწესება. საბჭოთა მთავრობამ უარყო ინგლისის მთავრობის ეს მორიგი გამოხდომები, რის შემდეგ 20 მარტს ინგლისმა შეწყვიტა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან.

ომის პირველი კერის აღმოცენების შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში, რაც დაკავშირებული იყო იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაციასთან, „ნაციონალუ-

[1] ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო ამ კონცესიას. მაგრამ 1925 წელს „ლენა გოლდფილდსთან" ახალი საკონცესიო ხელშეკრულება დაიდო ამჯერად ინგლის-ამერიკის კონცერნებთან და განაღლდა ოქროს მოპოვება. მაგრამ ეს კომპანია ხშირად არღვევდა საბჭოთა კანონებს, რის გამოც ხშირი იყო კონფლიქტი ამ კომპანიასა და საბჭოთა მთავრობას შორის. ამის გამო 1930 წელს ეს კომპანია გაუქმებული იქნა. კომპანიამ ამის საპასუხოდ საბჭოთა მთავრობის მოსთხოვა 3,5 მლნ. გირვანქა სტერლინგის გადახდა დაბანდებული კაპიტალის ასანაზღაურებლად და 9,5 მლნ. გირვანქა სტერლინგისა კი იმ მოგებებისათვის, რომელიც უნდა მიეღო ამ კომპანიას 25 წლის განმავლობაში. საბჭოთა მთავრობამ უარყო ეს მოთხოვნები.

რი მთავრობა“ იმ იმედით, რომ ამას ომი მოჰყვებოდა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის, მხარს უჭერდა და აქეზებდა იაპონიას.

ფრიად საყურადღებოა, რომ ბრიტანეთის გაბატონებულ კლასებში ორ მსოფლიო ომებს შორის პერიოდში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხში ორი ძირითადი დაჯგუფება უპირისპირდებოდა ერთმანეთს. პირველ დაჯგუფებაში გაერთიანებული იყო კლასობრივი სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი, როგორც სოციალისტურ სახელმწიფოსადმი. დაჯგუფებას ყოველ პირობებში აუცილებლად მიაჩნდა აშკარა ანტისაბჭოთა პოლიტიკის განხორციელება, მაშინაც კი, თუ იგი არ იქნებოდა ხელსაყრელი ინგლისის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის. დაჯგუფების თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: ოსტინ დენელი ჩემბერლენები, �churchill, საიმონი, ჰალიფაქსი და სხვები. 1933 წლამდე მათ უ. ჩერჩილიც ემხრობოდა. ამ დაჯგუფებას ნ. ჩემბერლენი ედგა სათავეში და მათ ჩემბერლენელებს უწოდებდნენ.

მეორე დაჯგუფების მომხრეები მეტ ანგარიშს უწევდა ინგლისის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ისინი თქვა უნდა, მათი კლასობრივი სიძულვილი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოსადმი აგრეთვე დიდი იყო და ისინი მოხარული იქნებოდნენ, რომ საბჭოთა კავშირში ეხილათ ოქტომბრის რევოლუციამდე არსებული წყობილება, მაგრამ ეს დაჯგუფება იმით გამოირჩეოდა პირველისაგან, რომ გონივრულ ანგარიშს უწევდა მისთვის არასასიამოვნო საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განუხრელად ზრდის ფაქტორს და იმას ფიქრობდა, როგორ უკეთ გამოეყენებინა იგი ბრიტანეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის. ამ ინტერესებიდან გამომდინარე, ეს დაჯგუფება მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან დაახლოების პოლიტიკის გატარებას და თვლიდა, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის არაა სერიოზული წინააღმდეგობანი, ხოლო ეკონომიურ დარგში კი მათი ურთიერთობა ხელსაყრელიცაა. ამ დაჯგუფების თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: ლოიდ ჯორჯი, ბივერ-ბრუკი, იდენი და სხვები. გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ, მეორე დაჯგუფებას უ. ჩერჩილიც შეუერთდა და ფაქტიურად მისი ხელმძღვანელი გახდა. ამ დაჯგუფებას „ახალგაზრდა კონსერვატორებს“ უწოდებდნენ.

30-იანი წლების ბოლომდე კონსერვატორულ პარტიაში ბევრად სჭარბობდნენ ჩემბერლენელების მომხრეები. მათ ხელში იყო კიდეც მთელი სახელმწიფო აპარატი; ამიტომ გასაგებია, რომ ისინი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ. ლიბერალების პარტია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორ დაჯგუფებად იყოფოდა, მაგრამ მან საბოლოოდ დაკარგა თავისი პოლიტიკური გავლენა. ლეიბორისტული პარტია სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ არც მისი ხელმძღვანელები მოითხოვდნენ ომის წინა პერიოდში კონსერვატორული პარტიის დამღუპველი პოლიტიკის შეცვლას.

ამრიგად, ძირითად პოლიტიკურ პარტიებად ორი პარტია რჩებოდა — კონსერვატორული და ლეიბორისტული. რაც შეეხება ნაციონალ-ლეიბორისტულ პარტიას, ანუ როგორც მას უწოდებდნენ „მაკდონალდის ჯგუფს“, იგი არავითარ ძალას არ წარმოადგენდა და მალე არსებობაც შეწყვიტა.

ომის მეორე კერის აღმოცენებისას ევროპის ცენტრში, ე. ი. ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ გერმანიაში, ერთგვარ გავლენას მთავრობის პოლიტიკაზე ახდენენ „ახალგაზრდა კონსერვატორები“. მათ სწორედ შეაფა-

სეს, რომ ჰიტლერელების მიერ ძალაუფლების ხელში აღება საშიშროებას უქმნიდა ინგლისის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ასეთ ვითარებაში ისინი მოითხოვდნენ, რათა აღდგენილიყო ანტანტა, ე. ი. საბჭოთა კავშირთან დაახლოების მომხრედ გამოდიოდნენ. „ახალგაზრდა კონსერვატორების" ლიდერი უ. ჩერჩილი თვლიდა, რომ ჰიტლერული გერმანია საშიშროებას უქმნის ევროპის, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ქვეყნებს, ამიტომ გერმანიის ასალგამავად საჭირო იყო სამი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ინგლისის და საფრანგეთის თავდაცვითი კავშირი, რომელიც შეაკავებდა მას. არავითარი დათმობა ჰიტლერის მიმართ, — ამბობდა უ. ჩერჩილი.

1934 წელს იდენი მთავრობის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი და მას ერთა ლიგის წარმომადგენლობა დაეკალა. ფაქტიურად ორი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავდა „ნაციონალურ მთავრობას" — საიმონი და იდენი, რომელნიც საგარეო პოლიტიკის ხაზის გატარებაში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრისა იყვნენ. საფრანგეთის და ინგლისის წინადადებით, 1934 წელს საბჭოთა კავშირი ერთა ლიგაში მიიწვიეს, ხოლო 1934 წელს საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის ახალი საკავშირო ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულებას დროებითი ეწოდებოდა, მაგრამ იგი ზოგიერთი დამატებებითა და შესწორებებით დღემდე ძალაში რჩება.

1935 წლის მარტში იდენი მოსკოვში ჩამოვიდა. იდენის მოლაპარაკების შედეგად ჩვენ მთავრობასთან მიღებულ იქნა ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკე, რომელიც აცხადებდა, რომ ორივე მთავრობებს შორის საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში არავითარი წინააღმდეგობა არ არის და ეს ფაქტი მშვიდობის საქმეში მტკიცე საფუძველს ქმნის მათ შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებისათვის. მაგრამ საბჭოთა კავშირ-ინგლისის დაახლოების სასტიკ მოწინააღმდეგეებად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჩემბერლენელები გამოდიოდნენ. ისინი, „ახალგაზრდა კონსერვატორებისაგან" განსხვავებით თვლიდნენ, რომ ბრიტანეთის იმპერიისათვის საშიშია საბჭოთა კავშირიც და ჰიტლერული გერმანიაც, ამიტომ საჭიროა მათი ურთიერთდაპირისპირება, ე. ი. მათ შორის ომი. მათი აზრით, ასეთი ომი მაქსიმალურად დაასუსტებდა ორივე მხარეს და დიდი ხნით უზრუნველყოფდა ბრიტანეთის იმპერიის მსოფლიო ჰეგემონობას. ამ კონცეპციიდან გამომდინარე, ჩემბერლენელები წინაღუდგნენ საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის დაახლოებას და დაადგნენ ჰიტლერული გერმანიის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში ომის გაჩაღების ყოველმხრივ წაქეზების გზას. ა. იდენის მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე ჩემბერლენელები შეეცადნენ უპირატესობის მოპოვებას მთავრობაში, მაგრამ ისინი ამავე დროს იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ თავისი ქვეყნის ხალხის ომის საწინააღმდეგო განწყობილებისათვის. საქმე იმაში იყო, რომ ინგლისელი ხალხი წინააღმდეგი იყო ომისა და აგრესორების წინაშე დათმობებზე, მით უმეტეს გარიგებაზე წასელისა და მოითხოვდა, რათა უზრუნველეყოთ მშვიდობა ერთა ლიგაზე დაყრდნობით. 1934 წლის დამლევს ინგლისში არსებულმა „ერთა ლიგის მეგობრობის კავშირმა" ჩაატარა თავისუფალი კენჭისყრა სახელწოდებით „მშვიდობის პლებისციტი". მასში მონაწილეობდა 11,5 მლნ. კაცი, აქედან 10,5

მლნ. მონაწილემ სმა მისცა აგრესორების წინააღმდეგ ძალის გამოყენების მოთხოვნას. „მშვიდობის პლებისციტის“ ასეთი შედეგები ჩემბერლენელებს აიძულებდათ თავისი აგრესიული ზრახვები უფრო შენიღბულად განეხორციელებინათ.

1935 წლის თებერვალში ჰიტლერმა ცალმხრივად გააუქმა ვერსალის ზავის გერმანიის შეიარაღებული ძალებისადმი შეშზღუდავი ყველა სამხედრო მუხლი და დაიწყო გამალებული სახმელეთო და საზღვაო შეიარაღება, 1935 წლის აპრილში ამის საპასუხოდ სტრეზეში მოწვეულ იქნა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ: ინგლისიდან — პრემიერ მინისტრი რ. მაკდონალდი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. სიმონი, საფრანგეთიდან — პრემიერი პ. ფლანდენი და საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ლავალი, იტალიიდან—ბ. მუსოლინი და სუვიჩი (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე). ამ კონფერენციაზე მუსოლინი ჰიტლერის აქციის მიმართ მკაცრი ღონისძიებების წინააღმდეგ გამოვიდა, მაგრამ არც ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს გამოუმჟღავნებიათ სურვილი ჰიტლერის მოქმედების მკაცრი დაგმობისა.

კონფერენციამ უარი თქვა რაიმე ეფექტიური ღონისძიებების მიღებაზე ვერსალის საზავო ხელშეკრულების დარღვევის გამო და დაკმაყოფილდა ჰიტლერის მოქმედების ფორმალური დაგმობით. ამავე დროს ინგლისის წარმომადგენლებმა მუსოლინს აღუთქვეს, რომ ხელს არ შეუშლიდნენ ეთიოპიის დაპყრობაში.

ინგლისი მეორე მსოფლიო ომის წინ

1935 წლის მაისში, მოახლოებული არჩევნების გამო „ახალგაზრდა კონსერვატორებსა“ და ჩემბერლენელებს შორის გაიმართა ბრძოლა მთავრობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. საქმე იმაში იყო, რომ მაკდონალდის აშკარა რეაქციული პოლიტიკა ხალხის საყოველთაო სიძულვილს იწვევდა. კონსერვატორებმა აღარ ცნეს საჭიროდ მისი ერთგული ლაქიაობა. უფრო მეტიც. მისი ხელისუფლების სათავეში ყოფნა კარგს არაფერს უქადდა კონსერვატორებს მორიგ საპარლამენტო არჩევნებში. პრემიერ-მინისტრი გახდა ბოლდუინი. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადაყენებული იქნა აგრეთვე სახელგატეხილი საიმონი. ჩემბერლენელებმა მიაღწიეს იმას, რომ ამ პოსტზე დასვეს თავისი წარმომადგენელი სემუელ ჰორი. 1935 წლის ივნისში ხელმოწერილ იქნა ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმება, რომლითაც ინგლისმა ოფიციალურად ცნო გერმანიის უფლებები საზღვაო შეიარაღების საქმეში, რაც ვერსალის გადაწყვეტილების აშკარა დარღვევა იყო. ცხადია, რომ ინგლისის მთავრობა, ასეთი ხელშეკრულების დადებით მიზნად ისახავდა უზრუნველეყო გერმანიის ბატონობა ბალტიის ზღვაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს ხელშეკრულება ვერსალის ზავის უხეში დარღვევა იყო. იგი იურიდიულად აკანონებდა ჰიტლერული გერმანიის აშკარა გამალებულ შეიარაღებას. მან ინგლისის მოკავშირის—საფრანგეთის აღშფოთებაც კი გამოიწვია, რომელმაც პროტესტი განუცხადა ინგლისს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბოლდუინის მთავრობამ ყურად არ იღო ეს. პროტესტი და 18 ივნისს ხელი მოაწერა აღნიშნულ ხელშეკრულებაზე.

ინგლისის მმართველი წრეების აგრესორისადმი ასეთ აშკარა გარიგებაზე წასელის პოლიტიკამ ქვეყანაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. შემოდგომაზე პარლამენტის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. აღნიშნული ხელშეკრულებით

გამოწვეული რეაქცია კი იმდენად დიდი იყო, რომ კარგს არაფერს არ უქადდა კონსერვატორებს მოახლოვებულ არჩევნებში. 1935 წლის სექტემბერში ხალხის გაბიაბრუების მიზნით საგარეო საქმეთა მინისტრმა სემუელ ჰორმა თავის გამოსვლაში ერთა ლიგის სხდომაზე სასტიკად დაგმო აგრესია და მკაცრი სანქციებით დაემუქრა იტალიას იმ შემთხვევაში, თუ იგი ომს დაიწყებდა აბისინიელი ხალხის წინააღმდეგ. მუსოლინმა ყური არ ათხოვა ამ ყალბ მუქარას და 3 ოქტომბერს საომარი მოქმედება გაუჩაღა ეთიოპიის წინააღმდეგ.

იტალიის აგრესიის საკითხი ერთა ლიგის არაერთ სხდომაზე იქნა განხილული. ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიციისა და სხვა პატარა სახელმწიფოების პროტესტის შედეგად ვერ შეძლეს იტალიის მთლიანი გადარჩენა ეკონომიური სანქციებიდან. მაგრამ ეს სანქციები ძალზედ შეზღუდული იყო. რაც მთავარია, ნავთის იმპორტი იტალიაში არ იკრძალებოდა. სწორედ ამას შეეძლო აგრესის შეჩერება. ემბარგო (აკრძალვა) დაადეს ალუმინს, რომელიც სხვათაშორის ერთად ერთი ლითონია, რომლის წარმოება იტალიაში მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნებს. ბოლდუინის მთავრობამ კატეგორიულად უარი თქვა სუეცის არხის დახურვაზე, რომლის სააქციო კომპანიის წარმომადგენლებმა ინგლისიდან და საფრანგეთიდან დიდი მოგებები ნახეს — ამ აგრესიის დროს ხომ მკვეთრად გაიზარდა გემების მიმოსვლა სუეცის არხში.

(ინგლისის მთავრობას ეშინოდა, რომ მუსოლინის მარცხი აბისინიაში გამოიწვევდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას იტალიაში./ გამომდინარეობდა, რა ამ კლასობრივი ინტერესებიდან, იგი ყოველმხრივ ხელს უწყობდა იტალიის გამარჯვებას ამ ომში, როდესაც იტალიის ფაშისტური ჯარები ძალზედ დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ ეთიოპიაში, ამან ჩემბერლენელების განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია./ 1935 წლის დეკემბერში სემუელ ჰორმა და ლავალმა შეიმუშავეს ომის შეწყვეტისა და იტალიისათვის ეთიოპიის ტერიტორიის ნაწილის გადაცემის გეგმა./ეს იქნებოდა აშკარა და კარგი საჩუქარი აგრესორისათვის. მაგრამ ამ გეგმამ ისეთი აღშფოთება გამოიწვია ინგლისსა და საფრანგეთში, რომ სამუელ ჰორი მაშინვე გადადგა, ხოლო ლავალმა ძლიეს შეინარჩუნა ხელისუფლება.

(საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ა. იდენი, რაც „ახალგაზრდა კონსერვატორების“ წარმატებას ნიშნავდა/ მაგრამ ამის შემდეგაც ინგლისის საგარეო პოლიტიკაში რაიმე ცვლილებები არ მომხდარა. საქმე შემდეგში იყო: 1935 წლის ნოემბერში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც წარმატება კონსერვატორებს მოუტანა. მათ პარლამენტში 385 დეპუტატის მანდატი მიიღეს, ლიბორისტებმა — 154. კონსერვატორებმა ამ არჩევნების შემდეგაც შეინარჩუნეს ბლოკი ე. წ. „ნაციონალ-ლიბორისტებთან“ და ლიბერალებთან. მეორე „ნაციონალური მთავრობის“ სათავეში დაყენებული იქნა ბოლდუინი. პარლამენტში „ნაციონალური ბლოკის“ დეპუტატთა დიდი უმრავლესობა ჩემბერლენელების მხარეზე იხრებოდა, ე. ი. მომხრე იყო ფაშისტური სახელმწიფოთა ბლოკის წინაშე დათმობაზე წასვლისა და მათი აგრესიის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართვისა. ოპოზიცია კი „ახალგაზრდა კონსერვატორების“ სახით, რომელთაც მხარს უჭერდა ლიბორისტული პარტიაც, მოითხოვდა ბრიტანეთის სამხედრო ძალიერების ზრდასა და ევროპული ქვეყნების ერთიან ანტიგერმანულ ბლოკში გაერთიანებას. მაგრამ ამ ოპოზიციის მოღვაწეობას არავითარი პრაქტიკული შე-

დეგები არ მოჰყოლია. ჩემბერლენელები თვით მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამდე კონსერვატორული პარტიის ხელმძღვანელთა უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. უმცირესობა კი არც ფიქრობდა მთავრობის დამღუპველი პოლიტიკის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლას. ამ ოპოზიციის მომხრენი, ისევე როგორც ჩემბერლენელები, ხომ ერთი და იგივე ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს ემსახურებოდნენ. ამიტომ ჩემბერლენელებსა და ჩერჩილელებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს საგარეო პოლიტიკისა და ინგლისის შეიარაღების საკითხების ირგვლივ მათ შორის გადამწყვეტი შეტაკებანი არ გამოუწვევია.

1936 წლის 7 მარტს ჰიტლერმა კიდევ დაარღვია ვერსალის ზავი და ჯარები რაინის დემილიტარიზებულ ოლქში შეიყვანა, ხოლო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ უარს ამბობდა ლოკარნოს შეთანხმებაზე. საფრანგეთის ენერგიული წინააღმდეგობაც კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ჰიტლერელებს თავისი ბატალიონები უკან გაეყვანათ რაინის დემილიტარიზებული ზონიდან. მაგრამ ეს არ მოხდა. მართალია გერმანელთა ჯარების შესვლა რაინის დემილიტარიზებულ ზონაში პირველ რიგში საფრანგეთის უშიშროებას უქმნიდა სერიოზულ საფრთხეს, მაგრამ იგი არც ინგლისისათვის იყო სასიამოვნო. მიუხედავად ამისა ინგლისის მთავრობას არ დაუგმია ვერსალის ზავის პირობების ეს უხეში დარღვევა და საფრანგეთთან ერთად არ გამოსულა ამ აქტის ასალაგმავად.

1936 წელს გერმანიამ და იტალიამ დაიწყეს დაუფარავი ინტერვენცია ესპანეთში სახალო ფრონტის კანონიური მთავრობის წინააღმდეგ ადგილობრივი მეამბოხე ფაშისტების მხარდასაჭერად. 1936 წ. 15 აგვისტოს ინგლისმა, საფრანგეთთან ერთად ესპანეთის საქმეებში „ჩაურევლობის" პოლიტიკა გამოაცხადა. მათი ინიციატივით 27 სახელმწიფოს შემადგენლობით შეიქმნა „ჩაურევლობის კომიტეტი". საბჭოთა კავშირი შევიდა ამ კომიტეტში იმ იმედით, რომ იგი შესძლებდა გერმანიისა და იტალიის ინტერვენციის აღკვეთას ესპანეთში და სახალხო ფრონტის მთავრობას გაუადვილებდა ფაშისტური ამბოხების ჩახშობის საქმეს. მაგრამ საბჭოთა კავშირი მალე გამოვიდა ამ კომიტეტიდან, ვინაიდან გამოირკვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები მას ესპანეთის ადგილობრივი და საერთაშორისო რეაქციული ძალების მხარდასაჭერად იყენებდნენ. ინგლისმა, საფრანგეთთან ერთად გასწირეს ესპანეთი და თავისი ეკონომიური და სტრატეგიული პოზიციები პირინეის ნახევარკუნძულზე და ამ მსხვერპლს ისინი დროებითად სთვლიდნენ. მათთვის მთავარი იყო დიდი თამაშის მოგება, ე. ი. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ურთიერთდაჯახება — ომი. შემდეგ კი ინგლისელი სტრატეგების აზრით ბრიტანეთი არა თუ შესძლებდა თავისი შელახული პოზიციების აღდგენას, არამედ განამტკიცებდა თავის ჰეგემონიას ევროპაში.

1937 წლის მაისიდან პრემიერ მინისტრის პოსტზე ბოლდუინი, ნეველ ჩემბერლენმა, ხოლო 1938 წლის თებერვლიდან საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ანტონ იდენი ე. ჰალიფაქსმა შესცვალა.

ამის შემდეგ ჩემბერლენელები აშკარად შეუდგნენ თავისი მზაკვრული ანტისაბჭოთა გეგმების განხორციელებას. ბერლინში ჩვენი ჯარების მიერ ხელთაგდებული გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მასალებიდან, რომელიც ჩვენმა მთავრობამ 1948 წელს გამოაქვეყნა, ცნობილი გახდა, თუ რა ხრიკებს მიმართავდა ჩემბერლენის მთავრობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 1937 წლის 17 ნოემბერს, ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის და-

კავებამდე, ჰალიფაქსი ჩემბერლენის დავალებით ჰიტლერთან მოსალაპარაკებ-ლად ბერლინში ჩავიდა. ჰალიფაქსმა ჰიტლერს ბრიტანეთის მთავრობის სახელით შესთავაზა ერთგვარი ალიანსის შექმნის გეგმა „ოთხთა პაქტის“ ბაზაზე. უფრო მეტიც, ჰალიფაქსმა ინგლისის მთავრობის მხარდაჭერა აღუთქვა ჰიტლერს ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის და დანციგის დატაცების საქმეში, თუ გერმანია შემდეგ ოავის აგრესიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გააგრძელებდა. 1938 წლის 12 მარტს, ე. ი. 12 დღის შემდეგ ჰალიფაქსის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის დაკავებიდან და სხვათაშორის იმ დროს, როდესაც ჩემბერლენი საზეიმო ვითარებაში იღებდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს რიბენ-ტროპს, ლონდონში ცნობა მოვიდა ჰიტლერელების მიერ ავსტრიის დატაცებისა.

ეს ძალმომრეობითი აქტი ინგლისის მთავრობის მიერ აგრესორის „დასაშოშ-მინებლად“ გატარებული პოლიტიკის შედეგი იყო. ბრიტანეთის მთავრობა მხოლოდ სიტყვიერი პროტესტით შეიზღუდა. ჩაურეველობის პოლიტიკის კულმინაციური წერტილი იყო მიუნხენის გარიგება, რომელიც ინგლისის დიპლომატიურ ისტორიაში დიდ სამარცხვინო ლაქას წარმოადგენს. 1969 წლის იანვარში, ინგლისში არსებული კანონების საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შესახებ გამოქვეყნდა მთავრობის არქივი, რომელიც უფრო დაწვრილებით ჩფენს შუქს ჩემბერლენის მთავრობის სამარცხვინო გარიგებას ჰიტლერთან. ჩემბერლენის მთავრობის წინასწარ შემუშავებული გეგმით ჩეხოსლოვაკია უნდა გაეწირათ ჰიტლერის სასარგებლოდ იმ მიზნით, რომ გერმანიის აგრესია მიემართათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობის სხდომაზე 1938 წლის 27 სექტემბერს თავდაცვის კოორდინაციის მინისტრმა ტ. ინსკიპმა განაცხადა: ომს ჩეხოსლოვაკიის მხარდასაჭერად და ჰიტლერის შეჩერებისათვის, შესაძლებელია მოუვეს ჰიტლერის განადგურებასთან ერთად უფრო მეტი რამ. „მას შედეგად შეიძლება მოუვეს ცელილებები ევროპაში, რომელიც არავისთვის არ იქნება სასიამოვნო, გარდა მოსკოვისა და ბოლშევიკებისა“. ამრიგად, ჩემბერლენისა და საერთოდ დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობებს აშინებდათ, რომ ჰიტლერისათვის წინააღმდეგობის გაწევას შეიძლება მისი დამხობა მოჰყოლოდა, რაც კაპიტალისტურ წყობილებას დასავლეთ ევროპაში დიდ საფრთხეს შეუქმნიდა. საბჭოთა მთავრობა აგრესორთა შეჩერებას მარტო ევროპის სახელმწიფოთა კოლექტიური ღონისიძებებით კი არ ცდილობდა. 1938 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩვენს სახელმწიფოში გატარდა დიდი სამობილიზაციო ღონისძიებანი, რომელიც მიზნად ისახავდა აუცილებლობის შემთხვევაში სწრაფ და ეფექტურ სამხედრო დახმარების აღმოჩენას ჩეხოსლოვაკიისადმი, „საგრამ დასავლეთის სახელმწიფოების მმართველმა წრეებმა და უპირველეს ყოვლისა ჩემბერლენის მთავრობამ, თავისი კლასობრივი ინტერესები უფრო მაღლა დააყენეს სახელმწიფოებრივი უშიშროების ინტერესებთან შედარებით და დასავლეთის სამყაროს „სამხედრო სისუსტისა და მოუმზადებლობის“ მოტივით გასწირეს ჩეხოსლოვაკია.

ჩემბერლენის მთავრობის აგრესორის წაყრუებისა და „დაშოშმინების“ პოლიტიკა ინგლისის მშრომელთა მასების დიდ აღშფოთებას იწვევდა. ინგლისის კომპარტიამ, კომინტერნის VII კონგრესის გადაწყვეტილების საფუძველზე, გააჩაღა ბრძოლა მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისა და დემოკრატიული ძალების ერთიანი მოქმედებისათვის ქვეყნის რეაქციული ძალების წინააღმდეგ. კომპარტიის არა ერთი წინადადება ლეიბორისტული პარტიისა და ტრედუნიონე-

ბის ხელმძღვანელობისადმი აწყდებოდა მათ ორგანიზებულ წინააღმდეგობას. მიუხედავად ამისა, მუშათა ერთიანი ფრონტით მოქმედების საქმეში ინგლისის კომუნისტებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს./1937 წლის იანვარში კომპარტიამ, დამოუკიდებელ მუშათა პარტიამ და ლეიბორისტულ პარტიაში შემავალმა სოციალისტურმა ლიგამ განაცხადეს, რომ იბრძოლებენ მუშათა ყველა ძალების გაერთიანებისათვის და მუშათა მთავრობის შექმნისათვის რეაქციისა და ომის საშიშროების წინააღმდეგ. მაგრამ ლეიბორისტებისა და ტრედ-უნიონების ლიდერები წინაღუდგნენ კომპარტიასთან თანამშრომლობას და გამოვიდნენ მუშათა ერთიანობის წინააღმდეგ. სოციალისტური ლიგა გარიცხულ იქნა ლეიბორისტული პარტიიდან. მიუხედავად ამისა, კომპარტიის ბრძოლა მუშათა ერთიანობისათვის, ქვეყნის ყველა დემოკრატიული ძალების შემჭიდროებისათვის და ინგლისის მმართველი წრეების აგრესორთა „დაშშმინების" პოლიტიკის წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო დიდ მხარდაჭერას პოულობდა მშრომელებს შორის. ჩემბერლენის მთავრობის აგრესორთა „დაშშმინების" პოლიტიკის წინააღმდეგ მოძრაობამ ინგლისში განსაკუთრებული გაქანება პოვა 1939 წლის მარტში, როცა ჰიტლერმა მიუნხენის სამარცხვინო გარიგებაც დაარღვია და მთელი ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია მოახდინა. ასეთ ვითარებაში ჩემბერლენის მთავრობა იძულებული გახდა უფრო შენიღბულად ემოქმედა. მან „ინგლისის დიპლომატიის და პოლიტიკის ახალი ეპოქა" გამოაცხადა, რომლის მთავარი დანიშნულება უნდა ყოფილიყო თავდაცვითი უნარიანობის გაზრდა და მოკავშირეების შეძენა. აპრილში შემოღებულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახური, ორჯერ გადიდდა სამხედრო ასიგნებანი და ა. შ.

1939 წლის აპრილში მოსკოვში, საბჭოთა მთავრობის ინიციატივით დაიწყო მოლაპარაკება ინგლის-საფრანგეთის მთავრობების წარმომადგენლებთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების საკითხზე. ახლა უკვე ბრიტანეთის მთავრობის 1939 წლის საიდუმლო ოქმებიდან ნათელია, რომ ჩემბერლენის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად ედო ანტიკომუნიზმი, რომ მოსკოვის მოლაპარაკება მან მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოტყუების მიზნით გამართა. უკეთეს შემთხვევაში ჩემბერლენი საბჭოთა კავშირთან ისეთი ხელშეკრულების დადებას ფიქრობდა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს მარტოდმარტო დაუპირისპირებდა ჰიტლერულ გერმანიას. ეს იგივე მიუნხენის პოლიტიკის გაგრძელება იყო, რომელსაც საფუძვლად ედო ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა მიერ ომის გაჩაღების მიღწევა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა ცალმხრივ ვალდებულებებზე და მოლაპარაკება ჩაშალა. დასავლეთის სახელმწიფოების ეს ბეცი დიპლომატიური აქცია მიზნად ისახავდა ისეთი შთაბეჭდილების შექმნას, რომ თითქოს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების მიღწევა შეუძლებელია, რომ ევროპაში ანტიფაშისტური კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის ჩაშლაში მთავარი დანაშაული საბჭოთა სახელმწიფოს მიუძღვის. ამრიგად, აგრესიის წინააღმდეგ მტკიცე ზღუდის შექმნა, როგორც ამას ცდილობდა საბჭოთა ქვეყანა, დასავლეთის სახელმწიფოების ანტიკომუნისტური პოლიტიკის გამო ჩაიშალა.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში მარტო გერმანია კი არაა დამნაშავე. მასში დანაშაული დასავლეთის სახელმწიფოების იმ წრეებსაც მიუძღვის, რომელთა ხელშიც ამ დროს მმართველობის საჭე იყო. მაშინ, როცა

გერმანიაში ომისათვის მთელი სისწრაფით მიმდინარეობდა მზადება, დასავლეთის სახელმწიფოების და, უპირველეს ყოვლისა, ჩემბერლენის მთავრობა ძალებს არ ზოგავდა იმისათვის, რომ ჰიტლერული აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიემართა. ახლა უკვე ცნობილია, რომ ინგლისის მთავრობა ჰიტლერელებთან ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა და მათ მსოფლიოს მასშტაბით გავლენის სფეროებად დაყოფის ხელშეკრულებას სთავაზობდა. ამასთანავე, ჩემბერლენის გეგმით, აღმოსავლეთ ევროპა გერმანიის „გავლენის სფეროში" უნდა შესულიყო, მაგრამ ჰიტლერს ამ დროს თავისი აგრესია უკვე განსაზღვრული ჰქონდა — იგი ჯერ დასავლეთის სახელმწიფოების განადგურებას ფიქრობდა. ამრიგად, არ გამართლდა ინგლისის მმართველი წრეების ვარაუდი იმაზე, რომ ისინი საბჭოთა სახელმწიფოს ხარჯზე შეძლებდნენ ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა აგრესიის თავიდან აცილებას და ამავე დროს მათი მეშვეობით გაანადგურებდნენ ერთადერთ სოციალისტურ ქვეყანას.

ჰიტლერული გერმანიისა და საერთოდ ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა აგრესიულ გეგმებში შედიოდა, არა მარტო საბჭოთა სახელმწიფოს, არამედ აგრეთვე თავისი ყველაზე უფრო საშიში და იმპერიალისტური მეტოქის ინგლისის განადგურებაც.

მეორე მსოფლიო ომმა ნათელჰყო მსოფლიოს ყველა პროგრესული ძალებისთვის დასავლეთის სახელმწიფოების, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის მმართველი წრეების „ჩაურეველობის", აგრესორის „დაშოშმინებისა" და წაქეზების პოლიტიკის სიბეცის მთელი სავალალო შედეგები.

საფრანგეთი პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

§ 10. საფრანგეთი 1918—1928 წწ.

საფრანგეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა ომის დამთავრებისას

პირველი მსოფლიო ომიდან საფრანგეთი, მართალია, გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ზარალი, რომელიც მან განიცადა ძალზე დიდი იყო. მოკლულთა და დაჭრილთა სახით საფრანგეთმა 2 მილიონზე მეტი კაცი დაკარგა. მოიშალა ფინანსური სისტემა, შეირყა მისი პოზიციები საერთაშორისო არენაზე და კოლონიებში. ომის მსველლობის მთელ პერიოდში მრეწველობის მხრივ ყველაზე უფრო განვითარებული საფრანგეთის ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონები საომარი ოპერაციების ასპარეზი იყო. მატერიალური ზარალი საფრანგეთისა 200 მილიარდამდე ფრანკს შეადგენდა. სახელმწიფოს ვალი გამოწვეული ომის ხარჯებით 250 მილიარდ ფრანკამდე აღწევდა. ამ გარემოებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საფრანგეთის ფინანსიური სისტემა. კრედიტორ ქვეყნიდან საფრანგეთი დებიტორ სახელმწიფოდ გადაიქცა. მას აშშ-ის ემართა 4 მილიარდი დოლარი, ინგლისისა — 650 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

საფრანგეთის მმართველი წრეების გერმანიის დანაწილებისა და დაუძლურების გეგმები ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობის გამო ჩაიშალა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საფრანგეთის მთავრობამ მოითხოვა გერმანიის დანაწილება, რაინის მარცხენა სანაპიროსაგან საფრანგეთის გავლენის ქვეშ

მყოფი რაინის რესპუბლიკის შექმნა, ბავარიის გამოყოფა გერმანიიდან, ხოლო საარის ოლქის მთლიანად საფრანგეთისათვის გადაცემა. მაგრამ ინგლისის და აშშ-ის დელეგაცია საფრანგეთის ამ მოთხოვნების წინააღმდეგ გამოვიდა, რადგან მათ ეშინოდათ, რომ გერმანიის დასუსტება საფრანგეთის ჰეგემონიის დამყარებას გამოიწვევდა ევროპაში. გარდა ამისა, ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებს ძლიერი გერმანია სურდათ ბოლშევიზმის ზღუდედ გამოეყენებინათ ევროპაში.

საფრანგეთს უკან დაუბრუნდა ელზასი და ლორენი, მას გადაეცა საარის ქვანახშირის საბადოები და მიიღო ერთა ლიგის მანდატები გერმანიის ყოფილ კოლონიებზე ტოგოსა და კამერუნის ნაწილზე და თურქეთის ყოფილ სამფლობელოებზე — სირიასა და ლიბანზე. გარდა ამისა, საფრანგეთს გადაეცა კონგოს ნაწილი: გერმანიაზე დაკისრებული 132 მილიარდი მარკის სარეპარაციო თანხის 52 % საფრანგეთს უნდა მიეღო.

ომსა და განსაკუთრებით ომის შემდეგ იზრდება წარმოების კონცენტრაცია და წვრილი და საშუალო საწარმოების ხარჯზე იქმნება უმძლავრესი მონოპოლიური გაერთიანებანი. ომის დროს აღმოცენდნენ ახალი ინდუსტრიალური რაიონები საფრანგეთის ცენტრალურ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სწრაფად იზრდებოდა საფრანგეთის მძიმე მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა საავიაციო და განსაკუთრებით საავტომობილო მრეწველობა, რომლის წარმოებით საფრანგეთი ერთ-ერთი მოწინავე იყო მსოფლიოში. ყველაფერმა ამან და აგრეთვე ელზას-ლოთარინგიის რკინით მდიდარი საბადოების შემატებამ და საარის ქვანახშირის ექსპლუატაციამ საფრანგეთის მეტალურგიული მრეწველობის სიმძლავრე ომამდელ დონესთან შედარებით 1,5-ჯერ გაზარდა. რკინის მადნის წარმოებით საფრანგეთმა პირველი ადგილი დაიკავა ევროპაში. ომის შემდეგ საფრანგეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა, მაგრამ იგი სამრეწველო პროდუქციის მოცულობით კვლავ მეოთხე ადგილზე რჩებოდა, ვინაიდან მრეწველობის სხვა დარგები დიდი ხნის განმავლობაში ერთ ადგილზე იტკეპნებოდა და ომამდელ დონეს ვერ მიაღწია.

ომის დროს წვრილ გლეხთა მეურნეობის ხარჯზე გაიზარდა მსხვილი მიწათმფლობელობა, რომლის ხელში აღმოჩნდა ქვეყნის სახნავი მიწების დაახლოებით ნახევარი, მსხვილი მიწათმფლობელები იჯარით აძლევდნენ მიწებს უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხობას. ამავე დროს, მნიშვნელოვანი იყო წვრილი და საშუალო მიწის მქონე გლეხთა რიცხვიც. სოფლის მეურნეობა ომისშემდგომ საფრანგეთის სახალხო მეურნეობაში კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. სოფლად ცხოვრობდა საფრანგეთის მოსახლეობის 45%-ზე მეტი, რომელთა შორის სოფლის მეურნეობის მუშები შეადგენდა 2700 ათასს. სოფლის მშრომელთა მდგომარეობა ომის დროსა და მისი დამთავრების შემდეგ ძალზედ მძიმე იყო. ომის გამო კარგა ხნით უვარგისი გახდა დამუშაევებისათვის 2 მილიონამდე ჰექტარი მიწა. 2,3 მილიონი სულით შემცირდა რქოსანი საქონელი, დაინგრა 900 ათასი საცხოვრებელი სახლი.

ომმა და დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა საფრანგეთზე. ომის გაჭიანურებამ, უდიდესმა მსხვერპლმა, აურაცხელმა ხარჯებმა, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გაზრდამ, ფასების არნახულმა ზრდამ პირველი მოთხოვნის საგ-

ნებზე გამოიწვია საფრანგეთის მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება და მასობრივი ომის საწინააღმდეგო საგაფიცვო მოძრაობა. ბრძოლის ავანგარდში იყო საფრანგეთის პროლეტარიატი, რომლის რიცხვი 7 მილიონამდე გაიზარდა. ომის საწინააღმდეგო მოძრაობა მოედო აგრეთვე არმიასა და ფლოტს.

საფრანგეთის მმართველი წრეები სასტიკად ახშობდნენ ყოველგვარ რევოლუციურ გამოსვლებს, როგორც ზურგში, ასევე ფრონტზე. 1917 წლის ნოემბერში მთავრობის სათავეში ჩაყენებულ იქნა რადიკალური პარტიის ლიდერი ჟ. კლემანსო, რომელმაც სამხედრო დიქტატურის რეჟიმი დაამყარა.

ჟ. კლემანსო ანტისაბჭოთა ინტერვენციის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო. იგი ასახავდა საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს და მიზნად დაისახა საბჭოთა წყობილების დამხობა რუსეთში. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად საფრანგეთმა რუსეთში დაკარგა საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალის 25%, რაც 13 მილიარდ ფრანკს შეადგენდა. ეს უზარმაზარი თანხა რუსეთის ხალხის ექსპლუატაციის შედეგად ფრანგ კაპიტალისტებს დიდ მოგებებს აძლევდა. ამის გამო იყო, რომ ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო რეაქციის ერთ-ერთ მთავარ დამრტყმელ ძალად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საფრანგეთის იმპერიალიზმი გამოდიოდა.

1917 წლის დეკემბერში მან ინგლისთან საიდუმლო ხელშეკრულება დადო რუსეთის გავლენის სფეროებად დანაწილების შესახებ. საფრანგეთის ჯარები ინგლისის ჯარებთან ერთად გადასხდნენ მურმანსკში. ამავე დროს, საფრანგეთმა რუსეთის სამხრეთ ნაწილში შეიყვანა თავისი შეიარაღებული ძალები, ხოლო შავ ზღვაში — სამხედრო-საზღვაო ფლოტი და დაიწყო საზღვრისპირა ქალაქების დაბომბვა.

საფრანგეთის მმართველი წრეების ასეთი პოლიტიკა ხალხის ორგანიზებულ წინააღმდეგობას წააწყდა. 1919 წლის 1 მაისს პარიზში შედგა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც ნახევარი მილიონი კაცი მონაწილეობდა. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ლოზუნგები „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან". დემონსტრაცია პოლიციასთან შეტაკებით დამთავრდა.

მღელვარება მოედო რუსეთის სამხრეთ ნაწილში მყოფ საფრანგეთის არმიასა და ფლოტს. 1919 წლის 5 აპრილს აჯანყდნენ ოდესაში მყოფი საფრანგეთის ჯარისკაცები, ხოლო 20 აპრილს აჯანყება მოედო შავ ზღვაში მყოფ საფრანგეთის ფლოტს — ჯავშნოსნებს „ჟან-ბარის" და „ფრანსის". აჯანყებულები მოითხოვდნენ ანტისაბჭოთა ინტერვენციის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და სამშობლოში დაბრუნებას. საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახდა სასწრაფოდ გაეყვანა თავის არმია და ფლოტი საბჭოთა რუსეთიდან და ინტერვენცია შეეწყვიტა.

„ეროვნული ბლოკის" მთავრობა და მისი პოლიტიკა

ომისშემდგომ პირველი არჩევნების დროს რევოლუციური მოძრაობით დაშინებული საფრანგეთის ბურჟუაზიული პარტიები გაერთიანდნენ და შექმნეს ე. წ. „ეროვნული ბლოკი". მასში შევიდნენ მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიები: ეროვნულ-რესპუბლიკური მოქმედების პარტია, რესპუბლიკურ-დემოკრატიული პარტია და რადიკალური პარტია. ეს უკანასკნელი პარტია, წვრილ და საშუალო ბურჟუაზიას ეყრდნობოდა და თავისი შინაარსით მემარცხენე ბურჟუაზიული პარტია იყო, მაგრამ მის სათავეში მყოფმა ხელმძღვანე-

ლობამ, დაშინებულმა რევოლუციური აღმავლობით. მემარჯვენე პარტიებისათვის მხარდაჭერა ამჯობინა. „ეროვნულმა ბლოკმა“ დემაგოგიით და წვრილი და საშუალო ფენების „კომუნიზმის აჩრდილის“ დაშინებით წარმატებას მიაღწია არჩევნებში. პარლამენტში მან მიიღო 400 დეპუტატის დგილი. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ყოფილი სოციალისტ-რენეგატი რეაქციონერი, მილიერანი.

მილიერანის მთავრობის საგარეო პოლიტიკა აშკარა ანტისაბჭოთა ხასიათს ატარებდა. იგი მხარს უჭერდა რუსეთის თეთრგვარდიელებს იარაღით, სურსათით და ფულით, ახორციელებდა ანტისაბჭოთა ბლოკადას. 1920 წელს მან ინგლისთან ერთად მოამზადა და შეაიარაღა თეთრპოლონეთი და აგრესია დაიწყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

საშინაო პოლიტიკაში მილიერანი ცდილობდა რევოლუციური მოძრაობის ჩახშობას და მუშების მიერ ბრძოლით მოპოვებული უფლებების შეზღუდვას.

1919 წლის დასაწყისში საფრანგეთის მუშებმა 8 საათიანი სამუშაო დღე მოიპოვეს და მილიერანი მუშებისადმი ამ დათმობის მოსპობას მოითხოვდა.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თეთრი პოლონეთისათვის ხელისუფლების მხრივ აქტიური დახმარების დღეებში საფრანგეთის მუშათა კლასმა კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელა, საფრანგეთის მუშები უარს ამბობდნენ იარაღის დამზადებაზე, ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების დატვირთვაზე პოლონეთში გასაგზავნად. მუშათა კლასის ბრძოლამ აიძულა საფრანგეთის სოციალისტური პარტიისა და პროფკავშირების რეფორმისტული ხელმძღვანელობა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა ხალხის დასაცავად გაჩაღებულ სახალხო ომძრაობაში.

1920 წლის თებერვალში გაიფიცნენ რკინიგზელები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 250 ათასმა კაცმა. გაფიცულები მოითხოვდნენ 8 საათიან სამუშაო დღეს, ხელფასის გაზრდას და რკინიგზების ნაციონალიზაციას. რკინიგზელთა გაფიცვა განმეორდა აპრილის დამლევს, რომელსაც მხარი დაუჭირეს მრეწველობის სხვა დარგის მუშებმაც. 1 მაისისათვის გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და გრძელდებოდა 2 კვირის განმავლობაში. მასში მონაწილეობდა 1 მილიონზე მეტი კაცი. გაფიცულები მოითხოვდნენ ანტისაბჭოთა ინტერვენციის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, საბჭოთა რუსეთის ცნობას და მასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას. მთავრობამ გაფიცულთა წინააღმდეგ მკაცრ რეპრესიებს მიმართა. 25 ათასი რკინიგზელი დაითხოვეს სამუშაოზე დაბრუნების უფლების ჩამორთმევით. რამოდენიმე ასეული კაცი დააპატიმრეს. საფრანგეთის პროფკავშირების შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობა იმყოფებოდა რეფორმისტების ხელში, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა მუშათა კლასობრივი ბრძოლის შეზღუდვას. შედეგი მათი გამყიდველური მოქმედებისა მუშათა კლასისათვის სავალალო იყო. შექონდათ რა გაფიცულ მუშებს შორის გათიშულობა, რეფორმისტები ხშირად აღწევდნენ გაფიცვის ჩაშლას. ამავე დროს სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა მუშათა კლასის რევოლუციური სულისკვეთება, რამაც თავისი გამოხატულება პოვა სოციალისტური პარტიის რიცხობრივ ზრდაში. 1918—1920 წლებში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წევრთა რიცხვი 34 ათასიდან 150 ათასამდე გაიზარდა, ხოლო შრომის საყოველთაო კონფედერაციის (შსკ) წევრთა რიცხვმა 2,5 მილიონს მიაღწია. სოციალისტური პარტიისა და შსკ-ის შიგნით გაიზარდა მემარცხენე ფრთის გავლენა.

საფრანგეთის კომპარტიის შექმნა

1916 წელს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენეებმა შექმნეს ინტერნაციონალური კავშირის აღდგენის კომიტეტი, რომელიც 1919 წელს რეორგანიზებულ იქნა III ინტერნაციონალის კომიტეტად. კომიტეტმა ფართო მუშაობა გაშალა სოციალისტური პარტიის შიგნით მესამე კომინტერნში შესვლის მიზნით.

1920 წლის თებერვალში სტრასბურგში მოწვეული სოციალისტური პარტიის კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება პარტიის II ინტერნაციონალიდან გამოსვლისა და მარსელ კაშენის მეთაურობით დელეგაციის გაგზავნის შესახებ კომინტერნის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად, მის რიგებში შესვლის პირობების გასაცნობად.

მარსელ კაშენი მოსკოვში ესწრებოდა კომინტერნის II კონგრესს, რომელზეც მიღებული იქნა კომინტერნში მიღების „21 პირობა". II კონგრესმა მოუწოდა ყველა სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებს და ჯგუფებს, რათა მოეწვიათ საგანგებო ყრილობები და განეხილათ „21 პირობა".

1920 წლის დეკემბერში (მოწვეულ (ტურში) სოციალისტური პარტიის საგანგებო კონგრესზე, რომელზეც განხილულ იქნა „21 პირობა", კონგრესის დელეგატთა დიდმა უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება მესამე ინტერნაციონალში შესვლის შესახებ. დელეგატთა უმცირესობა რეფორმისტების ლეონ ბლუმისა და ჟან ლონგეს მეთაურობით არ დაემორჩილა კონგრესის გადაწყვეტილებებს, აშკარად წავიდა პარტიის გათიშვაზე, გამოვიდნენ მისი შემადგენლობიდან და შექმნეს დამოუკიდებელი რეფორმისტული სოციალისტური პარტია. უმრავლესობამ კი 1921 წლის მაისში მარსელში მოწვეულ ყრილობაზე შექმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელმაც თავის რიგებში გააერთიანა 100 ათასამდე კაცი.

საფრანგეთის კომპარტია თავის მოღვაწეობის დასაწყისში ჯერ კიდევ სუსტი იყო იდეოლოგიურად, ახასიათებდა მთელი რიგი შეცდომები და გადახრები. არ გააჩნდა საჭირო პოლიტიკური გამოცდილება და არ ჰყავდა გამოწრთობილი ხელმძღვანელობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ახალი ტიპის მარქსისტულ-ლენინური პარტიის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი თავისი აღმოცენების პირველსავე დღიდანვე აქტიურად ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ბრძოლაში მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად. სხვადასხვა ჯურის, როგორც მემარჯვენე რეფორმიზმის, ასევე „მემარცხენე" გადახრების წინააღმდეგ დაუღალავ ბრძოლაში საფრანგეთის კომპარტია იწრთობოდა და ყალიბდებოდა, როგორც მუშათა კლასის მოწინავე და რევოლუციური ავანგარდი. კომპარტიამ დიდი მუშაობა გააჩაღა შრომის საყოველთაო კონფედერაციის შიგნითაც რეფორმისტული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. მაგრამ რეფორმისტების გავლენა შსკ-ში ჯერ კიდევ ძლიერი იყო, რის გამოც მემარცხენე პროფკავშირებმა 1922 წელს შექმნეს პროფკავშირთა ახალი ცენტრი უნიტარული შრომის საყოველთაო კონფედერაციის სახით (უშსკ).

რურის ავანტურა

1922 წლის იანვრიდან „ეროვნული ბლოკის" მთავრობას სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი რ. პუანკარე. პუანკარეს

მთავრობის საგარეო პოლიტიკა აშკარა ანტისაბჭოთა ხასიათისა იყო. იგი განაგრძობდა ანტისაბჭოთა ეკონომიურ და პოლიტიკურ ბლოკადას. ამავე დროს პუანკარე ცდილობდა 1920 წელში საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ შექმნილ მცირე ანტანტაზე დაყრდნობით (ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და იუგოსლავია) ჰეგემონიის დამყარებას ევროპაში. საფრანგეთის უკიდურესი მემარჯვენე ბურჟუაზიის წარმომადგენლები კმაყოფილნი არ იყვნენ ვერსალის საზაო ხელშეკრულებით. მათი მიზანი იყო გერმანიის მაქსიმალური დასუსტება და თვალი ეჭირათ გერმანიის რურის ოლქის ქვანახშირის საბადოებზე. გერმანიას რეპარაციების ხარჯზე საფრანგეთის, ბელგიისა და იტალიისათვის 366 მილიონი ტ. ქვანახშირი უნდა მიეწოდებინა 10 წლის განმავლობაში, მაგრამ გერმანიის ბურჟუაზიას, არ უნდოდა რა საფრანგეთის ეკონომიური გაძლიერება, თავს არიდებდა და ყოველგვარ დაბრკოლებებს ქმნიდა ამ ვალდებულებების განხორციელებისათვის.

სარეპარაციო კომისიის ხელმძღვანელობა საფრანგეთის ხელში იმყოფებოდა. გერმანიის მიერ რეპარაციების გადახდაზე უარის თქმა საფრანგეთმა გამოიყენა თავისი მტაცებლური მიზნების განხორციელებისათვის და 1923 წლის იანვარში საფრანგეთ-ბელგიის 100 ათასიანი ჯარი შეიჭრა რურის ოლქში და მოახდინა მისი ოკუპაცია, რასაც გერმანიის მთავრობამ უპასუხა ქვანახშირის ამოღების შეწყვეტით. ამავე დროს, რურის ოკუპაციამ გაართულა საერთაშორისო ურთიერთობა. ინგლისი და აშშ-ი გამოვიდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ და მოითხოვეს მისი ჯარების გამოყვანა გერმანიიდან.

საფრანგეთმაც ვერ მიაღწია თავის მიზანს. გერმანიიდან ქვანახშირის შემოტანის შეწყვეტამ საფრანგეთში გამოიწვია მთელი რიგი ქარხნების შეჩერება და უმუშევრობა, რასაც მუშათა კლასის მასობრივი საპროტესტო მოძრაობა მოჰყვა. ამავე დროს საოკუპაციო ხარჯები ძალზედ მძიმედ დააწვა საფრანგეთის ფინანსებს და მისი კრიზისი გამოიწვია.

საფრანგეთის კომპარტია აქტიურად გამოვიდა რურის ოკუპაციის წინააღმდეგ — მისი ხელმძღვანელობით მოეწყო მუშათა საპროტესტო დემონსტრაციები, გაფიცვები, მიტინგები და კრებები. პუანკარეს მთავრობამ კი ამას რეპრესიებით უპასუხა. დაპატიმრებულ იქნენ კომპარტიის ხელმძღვანელები. საფრანგეთი ძალზედ მძიმე ფინანსური კრიზისის ჩიხში მოექცა და სესხებისათვის აშშ-ს მიმართა. ამერიკის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი არავითარ ფინანსურ დახმარებას არ გაუწევს საფრანგეთს, მანამ, სანამ მისი ჯარები არ იქნება გაყვანილი რურის ოლქიდან.

§ 12. საფრანგეთი 1924—1929 წწ.

„მემარცხენე ბლოკის" მთავრობა საფრანგეთში

კლასთა ბრძოლის გამწვავების რთულ პირობებში 1924 წლის მაისში საფრანგეთში ჩატარდა მორიგი საპარლამენტო არჩევნები. არჩევნების წინ შეიქმნა „მემარცხენე" ბურჟუაზიული ბლოკი, რომელშიც შეიდინენ რადიკალები, სოციალისტები და სხვა მემარცხენე ბურჟუაზიული პოლიტიკური ჯგუფები. „მემარცხენე ბლოკმა" წამოაყენა შემდეგი ხასიათის საარჩევნო პროგრამა საშინაო პოლიტიკაში: 8 საათიანი სამუშაო დღის დაცვა, პოლიტიკური პატიმრების ამნისტია, 1920 წლის რკინიგზელთა გაფიცვის დროს დათხოვნილი მუშების

სამუშაოზე აღდგენა, გადასახადის შემოღება კაპიტალზე; საგარეო პოლიტიკაში, რურიდან საფრანგეთის ჯარების ევაკუაცია და დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან.

არჩევნებმა დიდი წარმატება მოუტანა „მემარცხენე ბლოკის" პარტიებს, რის შემდეგ შეიქმნა „მემარცხენე ბლოკის" მთავრობა რადიკალების ლიდერის ედუარდ ერიოს მეთაურობით. მთავრობას პარლამენტში მხარს უჭერდნენ სოციალისტებიც.

ქვეყანაში დაძაბული მდგომარეობის შენელების მიზნით ერიოს მთავრობა იძულებული გახდა ზოგიერთ დათმობებზე წასულიყო: მან გამოაცხადა პოლიტიკური ამნისტია, აღადგინა სამუშაოებზე 1920 წლის გაფიცვაში მონაწილე რკინიგზელი მუშები; საგარეო პოლიტიკაში — გამოიყვანა რურის ოლქიდან საფრანგეთის ჯარები, ცნო საბჭოთა სახელმწიფო და მასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა. აშშ-ისა და ინგლისის მხრივ დიპლომატიური და ფინანსიური ზეგავლენის შედეგად საფრანგეთი დათანხმდა დაუესის გეგმის მიღებაზე, რომელიც ფაქტიურად გერმანიის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენას ითვალისწინებდა. 1925 წლის ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შედეგად საფრანგეთმა დაკარგა ჰეგემონია ევროპაში. ამ ხელშეკრულებით გარანტირებული იქნა გერმანიის დასავლეთი საზღვრები, რომლის პასუხისმგებლობას ინგლისი და იტალია კისრულობდნენ, რაც თავისთავად საფრანგეთის საერთაშორისო პრესტიჟის დაცემას ნიშნავდა. ამავე დროს ლოკარნოს კონფერენციამ უარი თქვა საფრანგეთის მიერ შექმნილ და მის გავლენაში მყოფი, მცირე ანტანტაში შემავალი სახელმწიფოების—ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის და პოლონეთის სახელმწიფოთა საზღვრების გარანტიაზე.

„მემარცხენე ბლოკის" მთავრობის კოლონიური პოლიტიკა არაფრით არ განსხვავდებოდა წინამორბედი მთავრობების პოლიტიკისაგან. ესპანეთის მაროკოსა და საფრანგეთის მაროკოს ნაწილში მოხდა ადგილობრივი ტომების — რიფების აჯანყება, რომელთა სათავეში მოექცა ნიჭიერი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე აბდ-ელ-ქერიმი. აჯანყებულებმა შექმნეს დამოუკიდებელი რიფების რესპუბლიკა. ესპანეთის რამდენიმე სამხედრო ექსპედიცია რიფების წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა.

1925 წლის გაზაფხულზე საფრანგეთ-ესპანეთის გაერთიანებულმა ჯარებმა ბარბაროსულად გაანადგურეს რიფების რესპუბლიკა და აღადგინეს იქ საფრანგეთის და ესპანეთის კოლონიური რეჟიმი.

1925 წლის შემოდგომაზე აჯანყდნენ დრუზთა ტომები სირიაში. მათ მხარი დაუჭირა მთელი სირიის მოსახლეობამ. იგი გადაიქცა სირიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლად საფრანგეთის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ. „მემარცხენე ბლოკის" მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოიყენა თვითმფრინავები, მძიმე არტილერია და ჯავშნიანი მანქანები და დაუნდობლად ჩაახშო იგი.

ეს კოლონიური ომები სასტიკად დაგმო საფრანგეთის მუშათა კლასმა და მთელმა პროგრესულმა ძალებმა. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით მუშათა კლასმა მოაწყო მთელი რიგი საპროტესტო გაფიცვები და დემონსტრაციები. 1925 წლის 12 ოქტომბერს იფეთქა კომპარტიისა და უშსკ-ის მიერ ორგანიზებულმა საყოველთაო საპროტესტო გაფიცვამ, რომელშიც დაახლოებით 1 მილიონამდე კაცი მონაწილეობდა.

კოლონიური ომების ხარჯები ძალზედ დიდი იყო, რამაც ახალი ფინანსიური სიძნელეები შექმნა ქვეყანაში. „მემარცხენე ბლოკის" მთავრობამ ფინანსიური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გადაწყვიტა საგანგებო გადასახადების შემოღება, მაგრამ სოციალისტებმა პარლამენტში ამ საკითხში მხარი არ დაუჭირეს რადიკალებს. ამის შემდეგ „მემარცხენე ბლოკი" დაიშალა. 1926 წლის ივლისში ხელისუფლებას სათავეში კვლავ პუანკარე ჩაუდგა. მან ე. წ. „ფინანსიური გამოჯანსაღების ღონისძიებანი" გაატარა მშრომელთა მასების ხარჯზე. არაპირდაპირი გადასახადები გაიზარდა 9 მილიარდ ფრანკამდე. შემცირებულ იქნა პენსიები ომის ინვალიდებისათვის, ხოლო ხელფასი სახელმწიფო მოხელეთათვის.

1928 წელს მორიგმა საპარლამენტო არჩევნებმა წარმატება მოუტანა მემარჯვენე ბურჟუაზიულ პარტიებს. პუანკარე ხელისუფლების სათავეში იდგა 1929 წლამდე, რის შემდეგ იგი ავადმყოფობის გამო გადადგა და შეცვლილ იქნა ე. წ. „ეროვნულ-რესპუბლიკური მოქმედების" პარტიის ლიდერის ულტრა მემარჯვენე ხელმძღვანელების ტარდიეს, ხოლო შემდეგ ლავალის მიერ.

მემარჯვენე პარტიების მთავრობების საშინაო და საგარეო პოლიტიკა რეაქციულ ხასიათს ატარებდა. საშინაო პოლიტიკაში რეპრესიები გრძელდებოდა ქვეყნის მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ, ხოლო საგარეო პოლიტიკაში აშკარა ანტისაბჭოთა და კოლონიური ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის კურსი. 1930 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიანმა წამოაყენა ე. წ. „პან-ევროპის" შექმნის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოების სამხედრო გაერთიანებას ანტისაბჭოთა ინტერვენციის მოწყობისათვის; მაგრამ საბჭოთა კავშირის სიძლიერის ზრდამ და თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამო ეს ახალი ანტისაბჭოთა გეგმა ჩაიშალა.

§ 12. საფრანგეთი მსოფლიო ეკონომიური კრიზისის და ომისწინა პერიოდში

კლასობრივი ბრძოლის შემდგომი განვითარება კრიზისის დროს

ეკონომიური კრიზისი საფრანგეთში 1930 წელს ე. ი. 1 წლით გვიან დაიწყო, ვიდრე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ თუ სხვაგან იგი ძირითადად გაგრძელდა 1932—1933 წლამდე, საფრანგეთში უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა და 1935 წლამდე გრძელდებოდა. მრეწველობის ზოგიერთი დარგი — ბამბის, შალეულისა და აბრეშუმის კრიზისიდან ვერ გამოვიდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. 1937 წელს საფრანგეთში მორიგი ჰარბი წარმოების კრიზისი ისე დაიწყო, რომ მრეწველობა მიღწეული არ იყო კრიზისამდელი დონისათვის.

კრიზისის დროს სამრეწველო წარმოება ერთი მესამედით შემცირდა 1930—1935 წწ. ქვანახშირის ამოღება დაეცა 15%, ფოლადის — 40%, ალუმინის — 58%, მშენებლობა შემცირდა — 50%, ავტომობილების წარმოება კი 254 ათასიდან, 1929 წელს 165 ათასამდე. 1935 წელს 3 მილიონზე მეტი მუშა გამოყრილ იქნა გარეთ და უმუშევარი დარჩა. კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა საშუალო ფენებსაც. 10 ათასზე მეტი წვრილი საწარმოების მფლობელი და 100 ათასზე მეტი წვრილი ვაჭარი გაკოტრდა. ეკონომიური კრიზისი გადაიზარდა

აგრარულ კრიზისში, რომლის შედეგადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ორი მეხუთედით შემცირდა, ხოლო გლეხთა შემოსავალი — ორნახევარზე მეტად. ათასობით გლეხის ქონება და ჭიწა გაყიდულ იქნა აუქციონზე. მკვეთრად დაეცა საგარეო ვაჭრობაც (სამი მეხუთედით), ხოლო ეროვნული შემოსავალი შემცირდა ერთი მესამედით.

ეკონომიური კრზისის მთელი სიმძიმე მშრომელებს დაეწვა. წარმოების მფლობელებმა სამუშაო დღე 12—15 საათამდე გაზარდეს, ხოლო ხელფასი კი 30—40 პროცენტით შეამცირეს.

მასობრივმა უმუშევრობამ და მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის შემდგომმა გაუარესებამ, ბუნებრივია, გამოიწვია მათი უკმაყოფილების ზრდა და ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის მრავალრიცხოვანი გაფიცვები და დემონსტრაციები. კლასთა ბრძოლის გამწვავება, როგორც სამრეწველო რაიონებში, ასევე სოფლად სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა.

1932 წლის არჩევნები

მორიგი საპარლამენტო არჩევნები კლასთა ბრძოლის გამწვავების პირობებში მიმდინარეობდა. არჩევნებში რადიკალური და სოციალისტური პარტიები კვლავ გაერთიანდნენ, ახალ „მემარცხენე ბლოკში“ და გამოვიდნენ ერთიანი წინასაარჩევნო პროგრამით. საყურადღებოა, რომ ამ დროს ხელისუფლების სათავეში იდგნენ მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიების ყველაზე უფრო რეაქციული წარმომადგენლები ტარდიე-ლავალის მეთაურობით, კომუნისტურმა პარტიამ ამ მთავრობას სრულიად სამართლიანად „სიღატაკის, რეპრესიებისა და ომის“ მთავრობა უწოდა. ეს მთავრობა გამოდიოდა ქვეყნის პარლამენტური მმართველობის სისტემის წინააღმდეგ და მოითხოვდა მმართველობის დიქტატორულ სისტემას. ამ მთავრობის საგარეო პოლიტიკაც აშკარა იმპერიალისტურ და ანტისაბჭოთა ხასიათს ატარებდა. მისი წაქეზებით გაძლიერდა სხვადასხვა ხასიათის ფაშისტური ორგანიზაციების საქმიანობა. საფრანგეთის ფინანსიური და სამრეწველო მაგნატები სახსრებს არ იშურებდნენ ფაშისტური ორგანიზაციების შექმნისა, განმტკიცებისა და მათი საქმიანობის გაშლისათვის.

ევროპაში გავრცელებული ფაშიზმი საფრანგეთსაც შეეხო. როგორც სხვა ქვეყნებში, აქაც, იმპერიალისტური ბურჟუაზია კლასთა ბრძოლის მწვავე მდგომარეობიდან გამოსავალს ფაშიზმში ეძებდა, საფრანგეთის ფინანსიურ წრეებს მუსოლინთან ადრეე ჰქონდათ ურთიერთობა დამყარებული, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ ხელისუფლების ხელში აღების შემდეგ ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ იტალიური ფაშიზმის იდეების გავრცელებას საფრანგეთში.

მაგრამ ფაშიზმის გავრცელება საფრანგეთში არც ისეთი იოლი საქმე იყო. არ შეიძლებოდა იმისი უგულებელყოფა, რომ მას ხელს შეუშლიდა ქვეყანაში არსებული რევოლუციური და დემოკრატიული ტრადიციები, საფრანგეთის ხალხის უმდიდრესი პოლიტიკური გამოცდილება, ხალხისა, რომელმაც ხუთი რევოლუცია მოახდინა და მთელი XIX საუკუნის მანძილზე ევროპისა და მსოფლიოს რევოლუციური იდეებისა და მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა. ამიტომ ფაშიზმის გავრცელების მოტრფიალეები საფრანგეთში თავისი მიზნის მიღწევისათვის სხვადასხვა ხერხების გამონახვას ცდილობდნენ. შეუკავებელი დემაგოგიისა და ნაციონალისტური და შოვინისტური განწყობილების გაღვივე-

ბასთან ერთად ისინი ცდილობდნენ ქვეყნის ისტორიული, მაგრამ დრომოქმული და ხალხის მიერ უარყოფილი წარსულის მოდერნიზებას და მის ფაშიზმთან შეხამებას. ერთ-ერთი ასეთი ფაშისტური ორგანიზაცია იყო ჯერ კიდევ 1924 წელს შექმნილი „პატრიოტული ახალგაზრდობის ლიგა“, რომლის ორგანიზატორი იყო მსხვილი კაპიტალისტი პიერ ტეტენჟე. ლიგა თავდაპირველად წარმოადგენდა განშტოებას უკვე XIX საუკუნის დამლევს პოლ დერულედის მიერ შექმნილი „პატრიოტული ლიგისა“. 1926 წლიდან „პატრიოტული ახალგაზრდობის ლიგა“ დამოუკიდებელი ორგანიზაცია გახდა. პ. ტეტენჟეს პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა ნაპოლეონ III და იგი თავისთავს „ბონაპარტისტ რესპუბლიკელად აცხადებდა“ საყურადღებოა, რომ პ. ტეტენჟემ თავისი ორგანიზაცია შექმნა 1924 წლის არჩევნებში „მემარცხენე ბლოკის“ გამარჯვებისთანავე, ე. ი. იმ დროს როცა საფანგეთის ხალხის გამემარცხენენებასთან დაკავშირებით ბურჟუაზიულ საკუთრებას საშიშროება შეექმნა. ასეთ შემთხვევაში ხომ ბონაპარტიზმი შრომისა და კაპიტალის ინტერესებს შორის შემარიგებლობის როლს ასრულებდა. ლიგის პროგრამა დემაგოგიური თვალსაზრისით აცხადებდა რომ მისი ამოცანაა: კონსტიტუციის გადასინჯვა აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, კორპორაციების შექმნა და ხალხის უფლებების დაცვა შრომასა და დასვენებაზე. იგი აყენებდა უტოპიურ ლოზუნგს „პროლეტართა მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მესაკუთრეების დამშვიდება“. სინამდვილეში კი ლიგის მთავარი ამოცანა იყო მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობის უზრუნველყოფა მათი ტერორისტული ხელისუფლების დამყარებისა და რევოლუციური მოძრაობის სისხლში ჩახშობის გზით. ლიგა დაყოფილი იყო ნახევრადგასამხედროებულ მოძრავ ჯგუფებად, რომელნიც მემარჯვენე პარტიების განკარგულებაში იმყოფებოდნენ. მათ საერთო რაოდენობას — 90 ათას წევრამდე ვარაუდობდნენ.

1927 წელს, პარფიუმერიის წარმოების „მეფის“ ფრანსუა კოტის აქტიურად მონაწილეობით შეიქმნა ფაშისტური ხასიათის გასამხედროებული ორგანიზაცია „მებრძოლი ჯვრების“ სახელწოდებით. 1929 წლიდან ამ ორგანიზაციას სათავეში უდგება საყოველთაო ელექტრო კომპანიის გამგეობის წევრი პოლკოვნიკი გრაფი კაზიმირ დე ლა როკი. იგი დიდი ფინანსიური მხარდაჭერით სარგებლობდა „ორასი ოჯახისაგან“ (მილიონერებისაგან) და აგრეთვე სახელმწიფო საიდუმლო ფონდიდან. მის განკარგულებაში იყო დიდი რაოდენობის თვითმფრინავები, იარაღი და ეყრდნობოდა რეაქციულად განწყობილ ოფიცრობასა და გენერალიტეტს. ამ ორგანიზაციას კარგად ქონდა დაყენებული დაზვერვის საქმე. „მებრძოლი ჯვრების“ პროგრამა თავის ორგანიზაციას აშკარა ანტირევოლუციურ ძალად და „წესრიგის დამყარების“ მომხრედ აცხადებდა. პოლკოვნიკმა დე ლა როკმა კლასობრივი ბრძოლის თეორია „ხელოვნურ, მცდარ და დამღუპველად“ გამოაცხადა.

„მებრძოლ ჯვრებს“ ქონდათ თავისი ფილიალები: „მებრძოლი ჯვრების შვილები“, რეაქციულად განწყობილი ოფიცრობისა და გენერალიტეტის ჯგუფები და წრეები და ა. შ. 1933 წლის შემოდგომიდან „მებრძოლ ჯვრებს“ შეუერთდა ფაშისტური ორგანიზაცია — „ეროვნული ლიგის მოხალისენი“. თუ 30-იან წლებამდე „მებრძოლი ჯვრები“ თავის რიგებში 35 ათას წევრს აერთიანებდა, 1934 წლის თებერვლისათვის თავის ფილიალებთან ერთად მისი რიგები 135 ათას წევრამდე გაიზარდა.

ეკონომიური კრიზისისა და კლასთა ბრძოლის გამწვავების პერიოდში ფინანსიური და სამრეწველო მაგნატების დაფინანსებით და მხარდაჭერით აღმოცენდნენ ახალი ფაშისტური ორგანიზაციები. ოლიგარქიული წრეები ცდილობდნენ მათ გამოყენებას თავის ხელისუფლების შენარჩუნებისა და მუშათა და მემარცხენე ძალების რევოლუციური ბრძოლის ჩახშობისათვის. ფრანსუა კოტსა და პოლკოვნიკ დე ლა როკს შორის არსებული უთანხმოების შედეგად პირველმა გაწყვიტა ურთიერთობა „მებრძოლ ჯვრებთან" და 1933 წლის დასაწყისში ჟან რენოსთან ერთად შექმნა ახალი ფაშისტური ორგანიზაცია „ფრანგული სოლიდარობის" სახელწოდებით. ამ ორგანიზაციის პროგრამა დაუფარავად აცხადებდა, რომ მისი მიზანია ძალაუფლების ხელში აღება, ნომერ მესამე რესპუბლიკის დამხობა და ძლიერი ხელისუფლების დამყარება. მთავარ ამოცანად ცხადდებოდა სოციალიზმის და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ორგანიზაციის ემბლემად გახდა გალიის მამალი. „ფრანგული სოლიდარობის" წევრებისათვის სავალდებულო იყო ფორმის ტარება. ორგანიზაციის მებრძოლი რაზმები თავის რიგებში აერთიანებდა 1500 კაცს, რომელნიც ძირითადად ლუმპენპროლეტარებისა და ჩრდილოაფრიკელებისაგან შედგებოდნენ.

აღმოცენდნენ აგრეთვე სხვა ფაშისტური ორგანიზაციები: „ფრანსისტები", „მეფის რაინდები" და ა. შ.

გერმანიის და იტალიის ფაშისტებთან საფრანგეთის ფაშისტური ორგანიზაციებიდან ყველაზე უფრო ახლოს იდგა „ფრანსისტები", რომლის ხელმძღვანელი იყო მარსელ ბიუკერი. იგი ჰიტლერისა და მუსოლინის აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდა.

ამრიგად, საფრანგეთში, გერმანიისა და იტალიისაგან განსხვავებით, მრავალი ფაშისტური ლიგები შეიქმნა, რომელნიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, რაც იწვევდა მათი ძალების დაქსაქსვას. მათ ვერ შესძლეს ხალხში ძლიერი დასაყრდენის შექმნა. ფაშისტებმა თუმცა კი მიიმხრეს წერილი ბურჟუაზიის ნაწილი, მაგრამ ძირითადად მასა ბურჟუაზიის ამ ფენისა მტრულად იყო განწყობილი მათდამი. დემოკრატიული ტრადიციების ძალა ქვეყანაში ხელს უშლიდა ფაშისტების წარმატებებს. არც შოვინისტურ პროპაგანდას ჰქონდა აქ მყარი ნიადაგი თუნდაც იმიტომ, რომ საფრანგეთი პირველი მსოფლიო ომიდან გამარჯვებული გამოვიდა, ეკონომიური კრიზისი კი ისეთ მწვავე ფორმებში არ მიმღინარეობდა, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. საფრანგეთის მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის დამოკიდებულებაც ფაშიზმისადმი არ იყო ერთსულოვანი. ბურჟუაზიის რადიკალური ნაწილი მომხრე იყო ქვეყნის რესპუბლიკური და პარლამენტური მმართველობისა, რომელიც მას საშუალებას აძლევდა მონაწილეობა მიეღო ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. მემარჯვენე მიმდინარეობის ნაწილიც კი სთვლიდა, რომ პარლამენტური მმართველობა უფრო დაეხმარება მათ ხელისუფლების შენარჩუნებაში, ვიდრე აშკარა დიქტატურა. ფაშისტებმა ვერ ჰპოვეს მხარდაჭერა გლეხობაშიც.

მიუხედავად ამისა ფაშიზმის საშიშროება საფრანგეთში მაინც დიდი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მისი საპირისპირო ძალა — მუშათა კლასი გერმანიის მსგავსად აქაც დაქსაქსული იყო — კომუნისტ, სოციალისტ და კათოლიკ მუშებად, ე. ი. არ იყო მუშათა ერთიანი ფრონტი. სწორედ ამის გამო ფაშისტების მიერ ხელისუფლების ხელში აღება რეალური საშიშროებას წარმოადგენდა.

1933 წლის დეკემბერში საფრანგეთის კომუნისტური პარტია თავის რიგებ-

ში აერთიანებდა მხოლოდ 32 ათას წევრს. იგი ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად თავისუფალი წარსული წლების სექტანტური შეცდომებისაგან და მხოლოდ იწყებდა აქტიურ და მასობრივ ბრძოლაზე გადასვლას.

ფაშისტური საშიშროების ზრდასთან დაკავშირებით საჭირო იყო მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნა. მაგრამ ეს არც ისეთი იოლი საქმე იყო. საფრანგეთის კომპარტია მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის ერთადერთ ფორმად მიიჩნევდა მათ ერთიან მოქმედებას ქვემოდან, ე. ი. რიგით სოციალისტ მუშებთან ერთიან ფრონტს მათი ლიდერების გარეშე და მათ წინააღმდეგ. ადრე ასეთი ტაქტიკა გამართლებული იყო, ვინაიდან სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები უარყოფდნენ ყოველგვარ შეთანხმებას, კომუნისტებთან, ან თანახმა იყვნენ მათთან შეთანხმებისა იმ შემთხვევაში თუ კომუნისტები მათდამი პრინციპიალურ დათმობაზე წავიდოდნენ. მაგრამ ფაშისტური საშიშროების ზრდის პირობებში ასეთი ტაქტიკა არა თუ გამართლებული, არამედ მცდარი და მავნე იყო. იგი ხელსაყრელი იყო მხოლოდ ფაშისტებისათვის, რომელნიც ცდილობდნენ მუშების გამოგლეჯას კომუნისტური და სოციალისტური პარტიების გავლენისაგან და მათ თავის მხარეზე გადაბირებას. ფაშისტებისათვის ხელსაყრელი იყო კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ურთიერთდაპირისპირებაც, ვინაიდან ეს მუშათა კლასს ხელს უშლიდა საერთო მტრის წინააღმდეგ თავისი ძალების გაერთიანებაში. სწორედ ასეთმა ვითარებამ შეუწყო ხელი გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვებას.

საფრანგეთის „მემარცხენეები" და სექტანტები კომუნისტურ პარტიას ექაჩებოდნენ მემარცხენეობისა და შეცდომებისაკენ. ისინი მხარს უჭერდნენ უსაფუძვლო კვალიფიკაციას სოციალ-დემოკრატების როგორც სოციალ-ფაშიზმის შესახებ.

მაგრამ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში არსებული ეს შეცდომები დაძლეულ იქნა. 1930 წლიდან პარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს მორის ტორეზი. 1931 წლის 3 ნოემბერს მან მოუწოდა ბოლო მოეღოთ ლაყბობისათვის სოციალ-ფაშიზმის შესახებ, როგორც დოგმატური კონცეპციისათვის, რომელიც ხელს უშლიდა მუშათა კლასის ძალების გაერთიანებას. იმავე წლის დეკემბერში პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან გარიცხეს „მემარცხენეები" და სექტანტები. ფაშიზმის გამარჯვებამ გერმანიაში კი საფრანგეთის კომუნისტები საბოლოოდ დაარწმუნა სოციალისტურ პარტიასთან ერთიანი მოქმედების აუცილებლობაში საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. საფრანგეთის კომპარტია მოუწოდებდა: „მოდით გავაკეთოთ დასკვნა გერმანიის ამბებისაგან. მოდით, სანამ გვიან არაა, შევქმნათ საფრანგეთში ფართო, ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტი".

ანტიფაშისტური ძალების დაახლოებაში დიდი როლი შეასრულა გიორგი დიმიტროვის დასაცავად გამართულმა მასობრივმა გაფიცვებმა, დემონსტრაციებმა და მიტინგებმა. დიმიტროვის მიერ ფაშიზმის რეაქციული არსის გამოაშკარავებამ, მისმა მგზნებარე მოწოდებამ ლაიპციგის პროცესის ტრიბუნიდან პროლეტარიატის ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექნაზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო კომუნისტურ, არამედ სოციალისტური პარტიის რიგებშიც. საფრანგეთის პროლეტარიატი დარწმუნდა ნაციზმის რეაქციულ ხასიათში და გერმანიის ამბებიდან გამოიტანა სათანადო დასკვნა მუშათა ერთიანობის აუცილებლობაზე.

საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ დაუღალავი ბრძოლა გააჩაღა მასებში უმრავლესობის მოპოვებისათვის, ფაშისტებისა და სხვა რეაქციული პოლიტიკური ხელმძღვანელების, როგორც ფინანსიური და სამრეწველო მაგნატების დამქაშებისა და მსახურების კლასობრივი არსის გამოაშკარავებაში.

ახალმა „მემარცხენე ბლოკმა", გაითვალისწინა ხალხთა რევოლუციური განწყობილება და 1932 წლის არჩევნებისას მთელი რიგი დემაგოგიური დაპირებებით გამოვიდა: იგი პირობას დებდა, რომ დაიცავდა დემოკრატიულ თავისუფლებებს, მოსპობდა უმუშევრობას, თავიდან ააცილებდა საფრანგეთს ეკონომიურ კრიზისს; გაზრდიდა გადასახადებს მსხვილ კაპიტალზე, დაამყარებდა მეგობრულ და სავაჭრო ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და ა. შ.

საარჩევნო კამპანიის დროს (1932 წ. 6 მაისს) რუსმა თეთრგვარდიელმა გორგულოვმა, რომელიც დაკავშირებული იყო საფრანგეთის უშიშროების ორგანოებთან, მოკლა საფრანგეთის პრეზიდენტი პოლ დუმერი.

მემარჯვენე პარტიებს ეს ფაქტი სურდათ გამოეყენებინათ არჩევნებში გამარჯვებისათვის და ამომრჩევლებში ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოთა განწყობის შექმნისათვის. მათ გააჩაღეს ბინძური კომპანია, რომ თითქოს გორგულოვის მოქმედებაში მოსკოვის ხელი ერია და ა. შ., მაგრამ კომუნისტებმა და თვით რადიკალურმა პრესამაც ამხილა საქმის ნამდვილი ვითარება და ნიღაბი ახადა რეაქციას.

არჩევნებში გაიმარჯვა ახალმა „მემარცხენე ბლოკმა", რომელმაც მიიღო 350 ადგილი. მემარჯვენე პარტიებმა მიიღეს 254 ადგილი. 1932 წლის ივლისში შეიქმნა ედუარდ ერიოს მთავრობა, რომელიც მხოლოდ 3 თვის განმავლობაში იდგა ხელისუფლების სათავეში. მან 1932 წლის ნოემბრის თვეში საბჭოთა კავშირთან დადო ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტი. ამავე დროს დადებულ იქნა შეთანხმება ამ ორივე ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესახებ. ედუარდ ერიოს მთავრობის ყოველგვარი ცდები, გაეუმჯობესებინა საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა მემარჯვენე პარტიების დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, რამაც განაპირობა ერიოს გადადგომა. მისი გადადგომის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში შვიდი მთავრობა გამოიცვალა. და, ბოლოს, 1934 წლის 27 იანვარს ხელისუფლების სათავეში ჩადგა რადიკალ-სოციალისტების კაბინეტი დალადიეს მეთაურობით. მემარცხენე ბლოკის მთავრობას ხელისუფლების სათავეში ყოფნის პერიოდში, არსებითად არაფერი არ გაუკეთებია მშრომელთა მასების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში პარტიებმა, რომელნიც ამ ბლოკში შედიოდნენ უარი თქვეს თავისი წინასაარჩევნო უმნიშვნელოვანესი დაპირებების განხორციელებაზე. საფრანგეთის კომპარტია არა ერთხელ მიუთითებდა შექმნილ ვითარებაზე, აკრიტიკებდა „მემარცხენეების" მთავრობას და ხაზს უსვამდა, რომ ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება ფაშისტური საშიშროების გაძლიერება გამოიწვიოს.

შინა პოლიტიკური ვითარების გამწვავებაზე დიდ გავლენას ახდენდა რთული საერთაშორისო ვითარებაც. ფაშისტური დიქტატურის დამყარებამ გერმანიაში დიდი საფრთხის წინაშე დააყენა საფრანგეთის უშიშროების საქმე. ქვეყნის რეაქციული ძალები გერმანიის წაბაძვით ცდილობდნენ აშკარა ტერორისტული, სისხლიანი ფაშისტური დიქტატურის დამყარებას, ქვეყნის პარლამენტალური მმართველობის სისტემის მოსპობას და დემოკრატიული ძალების განადგურებას. ამ მიზნისათვის ქვეყნის რეაქციულმა ძალებმა გადასწყვიტეს

გამოეყენებინათ „სტავისკის საქმე“. თეთრგვარდიელმა რუსმა ემიგრანტმა და საერთაშორისო აფერისტმა სტავისკიმ უზარმაზარი სიმდიდრე დააგროვა თავისი თაღლითობით. მან გამოუშვა ბონები, რომელიც თითქოს უზრუნველყოფილი იყო ესპანელი ემიგრანტების დაგირავებული ძვირფასეულობით. ასეთ ბონებს უშვებდა ბაიონის ლომბარდი, სადაც თითქოს დაგირავებული იყო აღნიშნული ემიგრანტების ძვირფასეულობა. ამ ლომბარდის დირექტორი იყო სტავისკის მეგობარი ტისიე. მათი თანამონაწილე იყო ბაიონის რაიონის მერი და დეპუტატი გარატი. აფიორაში მონაწილეობდნენ კოლონიების ყოფილი მინისტრი დალმიე, პარიზის პოლიციის პრეფექტი კიიაპი და მთავრობის და პარლამენტის ზოგიერთი წევრები. ეს ამბავი ცნობილი გახდა პრესისათვის, რომელმაც ასტეხა განგაში. თვითონ სტავისკმა მაღალი წრეების მფარველობით მიიღო ყალბი პასპორტი და შეეიცარიაში მიიმალა. მაგრამ იქ იგი მალე მოკლული იპოვეს. ოფიციალური ცნობით მან თითქოს თავი მოიკლა, რაშიც პარიზის პრესამ ეჭვი შეიტანა. განსაკუთრებით აქტივობდა რეაქციული პრესა, რომელიც ცდილობდა ანტიპარლამენტური განწყობილების გაღვივებას და გაჰკიოდა „ათასობით გაკოტრებულ ფრანგებზე“, „გამყიდველურ რეჟიმზე“, და აყენებდა ლოზუნგს „ძირს ქურდები!“ „ქურდთა მთავრობა!“ და ა. შ.

საფრანგეთის რეაქციამ შექმნილი ვითარება ხელსაყრელად მიიჩნია გადატრიალების მოწყობის, მთავრობის დამხობის, პარლამენტური რეჟიმის ლიკვიდაციისა და ფაშისტური რეჟიმის დამყარებისათვის. 1934 წლის მთელი იანვრის განმავლობაში რეაქციული ძალები აწყობდნენ მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს. მართალია ფაშისტური ორგანიზაციების გაერთიანება, როგორც ამას მოითხოვდნენ მსხვილი მაგნატები, ვერ მოხერხდა მაგრამ ერთგვარი კორდინაცია მოქმედებისა „მებრძოლ ჯგუფებსა“, „პატრიოტულ ახალგაზრდობასა“ და „საფრანგეთის სოლიდარობას“ შორის დამყარდა. და მათ გადაწყვიტეს 6 თებერვალს დაეწყოთ ამბოხება.

ფაშისტების ამბოხება

1934 წლის 6 თებერვალს პარიზში ფაშისტებმა მოაწყვეს ამბოხება. „მებრძოლი ჯვრების“, „მეფის რაინდების“, „პატრიოტული ახალგაზრდობის ლიგის“, „ფრანგული სოლიდარობის“ და სხვა ფაშისტური ორგანიზაციების შეიარაღებული ბანდები, დაახლოებით 20 ათასი კაცი გაემართა ბურბონთა სასახლისაკენ, რათა განედევნათ დეპუტატთა პალატა, დაემხოთ მთავრობა და ხელთ ეგდოთ ძალაუფლება.

ხელისუფლების სათავეში მდგომმა დალადიეს მთავრობამ არავითარი ღონისძიება არ გააატარა ამბოხებულთა წინააღმდეგ. კომუნისტურმა პარტიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მეამბოხე ფაშისტების წინააღმდეგ პარიზის მუშების გამოსვლის ორგანიზაციის საქმეში. მან პარიზის მუშებს იმავე დღეს მოუწოდა გამოსულიყვნენ ქუჩებში, შებრძოლებოდნენ ფაშისტებს და არ დაეშვათ მათ მიერ ხელისუფლების დატაცება. კომუნისტების მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ პარიზის მუშები. 25 ათასზე მეტი პარიზელი მუშა ჩაება ფაშისტებთან ხელჩართულ ბრძოლაში და აიძულა ისინი უკან დაეხიათ. მუშების შიშით მთავრობამ, ნახა რა ფაშისტების დამარცხება, მიუთითა პოლიციას რათა ცეცხლი გაეხსნათ ფაშისტების წინააღმდეგ, რის შემდეგ მეამბოხე ფაშისტები გაფანტულ იქნენ. საფრანგეთის აღშფოთებულმა მუშებმა პარიზში და სხვა

სამრეწველო ქალაქებში მრავალრიცხოვანი ანტიფაშისტური გაფიცვები და დემონსტრაციები მოაწყვეს. 9 თებერვალს კომპარტიის ხელმძღვანელობით პარიზის მუშათა-ანტიფაშისტურ დემონსტრაციაში 50 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა, ხოლო 12 თებერვალს კომპარტიის წინადადებით სოციალისტური პარტიის ლიდერებმა, დაინახეს რა მუშათა ანტიფაშისტური განწყობილება მოაწყვეს კომუნისტ, სოციალისტ და კათოლიკ მუშათა საყოველთაო დემონსტრაცია, რომელმაც გრანდიოზული ხასიათი მიიღო და მასში 4,5 მილიონი კაცი მონაწილეობდა.

სახალხო ფრონტის შექმნა

1934 წლის 6 თებერვლის ფაშისტურმა ამბოხებამ ცხადყო საფრანგეთის ყველა ანტიფაშისტური ძალების გაერთიანების აუცილებლობა. კომპარტიამ მთავარ ამოცანად დაისახა ერთიანი მუშათა ფრონტისა და სახალხო ფრონტის შექმნა. კომუნისტები ამ მიზნით ქმნიდნენ ანტიფაშისტურ კომიტეტებს წარმოებებში. კომპარტიის წინადადების არაერთხელ უარყოფის შემდეგ სოციალისტური პარტია რიგითი წევრების ზეგავლენით საბოლოოდ დათანხმდა ღაეწყო მოლაპარაკება მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის საკითხზე. 1934 წლის 27 ივლისს კომპარტიის დელეგაციამ მ. ტორეზისა და ჟ. დიუკლოს ხელმძღვანელობით და სოციალისტური პარტიის დელეგაციამ ბლუმისა და ჟირომსკის ხელმძღვანელობით ხელი მოაწერეს ფაშიზმისა და ომის საშიშროების წინააღმდეგ მუშათა „ერთიანი მოქმედების პაქტს". ამ შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან განამტკიცა ანტიფაშისტური ბრძოლა. შეთანხმებამ საფუძველი ჩაუყარა სახალხო ანტიფაშისტური და ომის საწინააღმდეგო სახალხო ფრონტის შექმნის საქმეს. ამიერიდან ანტიფაშისტურ მოძრაობაში ჩაებნენ რადიკალური პარტიის რიგითი წევრები. მათი მოთხოვნის შედეგად პარტიის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა გადაწყვეტილება მიეღო სახალხო ფრონტში მონაწილეობაზე. რადიკალური პარტიის რიგითი წევრების ძირითად მასას შეადგენდნენ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიული ფენები, რომელთა მიმხრობასაც ფაშისტები ცდილობდნენ. სახალხო ფრონტისადმი რადიკალების მიმხრობა კომპარტიის და მუშათა კლასის დიდ გამარჯვებას ნიშნავდა. მნიშვნელოვანი იყო ანტიფაშისტური ფრონტის განმტკიცებისათვის პროფკავშირთა ერთიანობის აღდგენაც. უნიტარული შრომის საყოველთაო კონფედერაციის წევრების მოთხოვნის შედეგად ამ უკანაკნელის რეფორმისტული ხელმძღვანელობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო პროფკავშირთა ერთობის აღდგენაზე. 1936 წლის მარტში ტულუზაში მოწვეულ პროფკავშირთა გაერთიანებულ ყრილობაზე აღდგენილ იქნა პროფკავშირთა ერთობა და შეიქმნა ერთიანი შრომის საყოველთაო კონფედერაცია. იგი 5 მილიონ ორგანიზებულ მუშას და მოსამსახურეს აერთიანებდა.

1935 წლის მაისში პარიზში კომპარტიის ინიციატივით მოწვეულ იქნა მეცარცხენე პარტიების, ორგანიზაციების და ჯგუფების თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ერთიანი ანტიფაშისტური და ომის საწინააღმდეგო სახალხო ფრონტის შექმნის შესახებ. შემუშავებულ იქნა სახალხო ფრონტის პროგრამა, რომელიც გამოქვეყნდა 1936 წლის იანვარში. იგი მოითხოვდა: პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებას, ფაშისტური ორგანიზაციების დათხ-

ოვნას და განიარაღებას, სამხედრო მრეწველობის ნაციონალიზაციას, კონტროლის დაწესებას მსხვილ ბანკებზე, 40 საათიან სამუშო კვირას, მსხვილ კაპიტალზე გადასახადების გაზრდის მიზნით საგადასახადო სისტემის რეფორმების გატარებას, პრესის თავისუფლების შემზღუდველი დეკრეტების გაუქმებას, გლეხებისათვის დახმარების გაწევას, მათთვის კრედიტების მიცემისა, პროდუქტებზე სამართლიანი ფასების დაწესებისა და სავალო სიმძიმის შემსუბუქების გზით, უმუშევართათვის დახმარების ეროვნული ფონდის შექმნასა და სახელმწიფოს სახსრებზე საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაციას.

საგარეო პოლიტიკაში პროგრამა მოითხოვდა ევროპაში უშიშროების შექმნას, ფაშისტური გერმანიის აგრესიის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლას, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცებას და ა. შ. სახალხო ფრონტის პროგრამა საყოველთაო სახალხო განხილვის საგნად გახდა და იგი საფრანგეთის შრომელებმა დიდი კმაყოფილებით მიიღო. მართალია პროგრამა არ ისახავდა მიზნად კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ბძოლას, მაგრამ მას, მიუხედავად ამისა, მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ასახავდა მუშათა კლასის, გლეხობის, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის ინტერესებს.

არც ბურჟუაზიული რეაქცია იჯდა გულხელდაკრეფილი. ფაშისტების ამბოხების მარცხმა რეაქციის დიდი გაოფება გამოიწვია. ისინი კომუნისტების მფარველობაში ბრალს სდებდნენ დალადიეს, რომელმაც, პირიქით, დიდი დახმარება გაუწია რეაქციულ ძალებს ფაშისტების ამბოხების მარცხის მეორე დღესვე თავისი გადადგომით. 7 თებერვალს ხელისუფლების სათავეში ჩადგა პროფაშისტური მთავრობა გასტონ დუმერგის მეთაურობით.

დუმერგის მთავრობამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც მიმართული იყო მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის წინააღმდეგ. შემცირებულ იქნა ჯენსიები ომის ინვალიდებისათვის, ხელფასი რკინიგზელებისა და სახელმწიფო მოხელეთათვის. ამავე დროს, დუმერგის კაბინეტი აქეზებდა ფაშისტური ორგანიზაციების საქმიანობას.

მთავრობაში შემავალი მემარჯვენე პარტიების დიდი ნაწილი საგარეო საქმეთა მინისტრის ბარტუს მეთაურობით, რომელიც, ხედავდა რა ფაშისტურ გერმანიის მხრივ საფრანგეთის უშიშროებისათვის აგრესიის საფრთხეს, მომხრე იყო ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისა და ევროპის ქვეყნებთან და საბჭოთა კავშირთან დაახლოებისა. მაგრამ მთავრობაში შემავალ წევრთა უმრავლესობა მის წინააღმდეგ გამოდიოდა. 1934 წლის ოქტომბერში მარსელში ხორვატელმა ტერორისტებმა, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ ჰიტლერელებთან, მოკლეს ბარტუ. ბარტუს მკვლელობამ გამოიწვია მასობრივი საპროტესტო მოძრაობა საფრანგეთში და დუმერგის მთავრობის დაცემა. იგი შეცვლილ იქნა ამკარა რეაქციულ ფლანდენ-ლავალის მთავრობის მიერ. ეს მთავრობა ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა აგრესიის ხელშემწყობ პოლიტიკას ატარებდა. ამავე დროს, ამ მთავრობამ გაითვალისწინა რა საფრანგეთის ხალხის საყოველთაო მოთხოვნა საბჭოთა კავშირთან დაახლოებისა, ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისა, და ფაშისტურ სახელმწიფოთა აგრესიის ალაგმვის შესახებ, იძულებული გახდა 1935 წლის მაისში სსრ კავშირთან დაედო ურიოთერთდახმარების პაქტი. მაგრამ ამ პაქტის ცხოვრებაში გატარებას იგი არ ფიქრობდა.

სახალხო ფრონტის მთავრობა

1936 წლის გაზაფხულზე მორიგი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ამ არჩევნების დროს სახალხო ფრონტი თავისი პროგრამით გამოვიდა და გამარჯვებას მიაღწია. მან პარლამენტში 6 მილიონი ხმა და 381 დეპუტატის ადგილი მიიღო. საფრანგეთის კომპარტიამ, რომელიც გამოდიოდა სახალხო ფრონტთან ერთად, მიიღო ამომრჩეველთა 1,5 მილიონი ხმა და 72 დეპუტატის მანდატი. მემარჯვენე პარტიებმა დაახლოებით 4,5 მილიონი ხმა და 237 მანდატი.

არჩევნების შემდეგ შექმნილ იქნა სახალხო ფრონტის მთავრობა სოციალისტური პარტიის ლიდერის ლეონ ბლუმის მეთაურობით. მთავრობაში, სოციალისტური პარტიის გარდა შეიდნენ რადიკალები და სხვა მემარცხენე ჯგუფები. კომუნისტები მთავრობაში არ შეუყვანიათ, მაგრამ კომპარტიამ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა მას, თუ იგი ცხოვრებაში გაატარებდა სახალხო ფრონტის პროგრამას.

ლეონ ბლუმის მთავრობის დროს მიღებულ იქნა კანონები: 40 საათიანი სამუშაო კვირის დაწესების, ხელფასის საშუალოდ 15%-ით გაზრდის, ორკვირიანი ფასიანი შვებულების შემოღების, მუშებსა და კაპიტალისტებს შორის კოლექტიური შეთანხმებების დადების შესახებ. დავალიანების გამო ვაჭრებისა და ხელოსნების ქონების გაყიდვა აიკრძალა. მათ მიეცათ შეღავათიანი კრედიტი. შეიქმნა „მარცხლეულის ეროვნული ბიურო“, რომელიც აწარმოებდა გლეხებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას, რაც გარკვეულად ხელს უწყობდა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გატარებულ იქნა სამხედრო მრეწველობის ნაწილობრივი ნაციონალიზაცია, უმუშევრობის ლიკვიდაციის მიზნით მთავრობამ მხოლოდ უმნიშვნელო კრედიტები გამოყო.

1936 წლის 9 ივნისის დეკრეტით აიკრძალა ფაშისტური ორგანიზაციები. საფრანგეთის რეაქცია წინაღუდგა ახალ ღონისძიებებს. კაპიტალისტები საბოტაჟს უცხადებდნენ ამ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას, ცდილობდნენ წარმოების ნორმალური მუშაობის ჩაფუშვას, იწვევდნენ მუშების პროვოკაციულ ვაფიცვებს, უარს ამბობდნენ მრეწველობაში კაპიტალის დაბანდებაზე, ახდენდნენ თავის კაპიტალის საზღვარგარეთ „გაქცევას“, ქმნიდნენ ფინანსიურ სიძნელეებს, ყოველმხრივ ცდილობდნენ ფრანკის კურსის დაცემა-გაბონებას და ა. შ. ბურჟუაზიული რეაქციის ასეთმა საქმიანობამ ძალზედ დიდი სიძნელეები შექმნა საფრანგეთში. ლეონ ბლუმის მთავრობა, იმის ნაცვლად, რომ რეაქციის წინააღმდეგ სათანადო ღონისძიებები მიეღო, პირიქით, თანდათანობითი კაპიტულაციის პოლიტიკაზე წავიდა.

1936 წლის სექტემბერში გატარებულ იქნა ფრანკის დევალვაცია 34%-ით, რამაც მშრომელთა სყიდვისუნარიანობის დაცემა გამოიწვია. 1937 წლის იელისში გატარდა 16,6%-ით ფრანკის მეორე დევალვაცია. ამ ღონისძიებათა შედეგად მშრომელთა რეალური ხელფასი მკვეთრად დაეცა.

ლეონ ბლუმის საგარეო პოლიტიკა არ შეესაბამებოდა სახალხო ფრონტის პროგრამის მოთხოვნებს. მან არ მიიღო არავითარი ღონისძიებები ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა აგრესიული პოლიტიკის ასალაგმავად. პირიქით, იგი ხელს უწყობდა ამ პოლიტიკას. როდესაც ესპანეთში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა დემოკრატიულ და ფაშისტურ ძალებს შორის, ლეონ ბლუმის მთავრო-

ბამ უარი უთხრა ესპანეთის კანონიერ, ხალხის მიერ ამორჩეულ მთავრობას იარაღის მიყიდვაზე, დახურა საზღვრები და გამოაცხადა ესპანეთის საქმეებში ე. წ. „ჩაურევლობის“ პოლიტიკა, ეს მაშინ, როდესაც რევოლუციური ესპანეთის წინააღმდეგ და ფაშისტთა დასახმარებლად გერმანიისა და იტალიის ინტერვენცია მოეწყო. ლეონ ბლუმის ასეთმა პოლიტიკამ საფრანგეთის მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კომუნისტური პარტია და მუშათა კლასი მოითხოვდა, რათა საფრანგეთს ესპანელი ხალხისათვის დახმარება დაუყოვნებლივ აღმოეჩინა.

1937 წლის მარტში ლ. ბლუმმა განაცხადა, რომ დროებით შეაჩერებს სახალხო ფრონტის პროგრამის განხორციელებას, ივნისში კი იგი გადადგა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა რადიკალ შოტანის მთავრობა, მაგრამ ისიც მალე გადადგა. ამის შემდეგ დაიწყო მთავრობების ხშირი ცვლა. დაბოლოს 1938 წლის 10 აპრილიდან ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მემარჯვენე რადიკალი დალადიე, რომლის მთავრობა ჩამოყალიბდა სახალხო ფრონტისადმი მტრულად განწყობილი რადიკალებისა და მემარჯვენე ბურჟუაზიული ჯგუფებისაგან. 1935 წლის 30 აგვისტოს საგანგებო დეკრეტით ფაქტიურად უქმდებოდა 40-საათიანი სამუშაო კვირა და მშრომელთა სხვა უფლებები. მიუნხენის გარიგების შემდეგ დალადიემ საგანგებო რწმუნებები მიიღო და 1938 წლის 12 ნოემბერს რიგი რეაქციული კანონები გაატარა. შემოღებულ იქნა მოსახლეობის შემოსავლის 2 პროცენტიანი გადასახადი, გაიზარდა გადასახადი ხელფასზე, უძრავ ქონებაზე, ფასები პირველი მოთხოვნის საგნებზე, შემცირდა ხარჯები სხვადასხვა სოციალური დახმარებისათვის და ა. შ.

ამის საპასუხოდ საფრანგეთის მუშათა კლასმა, კომუნისტების მოწოდებით, საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა, იგი 1938 წლის 30 ნოემბერს დაიწყო. მასში მონაწილეობას ღებულობდა 4 მილიონი კაცი. დალადიეს მთავრობამ შემოიღო საალყო მდგომარეობა. მუშების მასობრივი დაპატიმრებებით და სამუშაოდან განდევნით გაფიცვა სასტიკად იქნა ჩახშობილი. ამავე დროს დაიწყო კომუნისტების მასობრივი დაპატიმრებანი.

საგარეო პოლიტიკაში დალადიეს მთავრობა ატარებდა ფაშისტური გერმანიის წინაშე დათმობებზე წასვლის კურსს, რომლის მთავარი არსი იყო ჰიტლერელთა აგრესიის მიმართვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დალადიეს მთავრობამ დაარღვია ჩეხოსლოვაკიასთან დადებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულება და ხელი მოაწერა ჰიტლერთან მიუნხენის სამარცხვინო გარიგებას, რომლითაც ჩეხოსლოვაკია გაწირეს იმ იმედით, რომ გერმანიას საბჭოთა კავშირს დააჯახებდნენ.

1938 წლის 6 დეკემბერს ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაცია, რომელიც სამი პუნქტისაგან შედგებოდა. პირველ პუნქტში აღნიშნული იყო, რომ ორივე მხარე დაიცავდა „მშვიდობიან და კეთილმეზობლურ ურთიერთობას“, მეორე პუნქტით ორივე ქვეყნის საზღვრები ცხადდებოდა საბოლოოდ, მესამე პუნქტი კი აცხადებდა, რომ ორივე ქვეყანას ექნებოდა მუდმივი კონტაქტი მათ მიერ საინტერესო საკითხებზე.

ამავე დროს, საფრანგეთის მთავრობამ თავისი ხალხისათვის თვალის ახვევის მიზნით 1939 წლის გაზაფხულზე მოსკოვში, ინგლისთან ერთად დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან სამთა ურთიერთდახმარების კავშირის შექმნისათვის, მაგრამ იგი ინგლის-საფრანგეთის მთავრობებმა ჩაშალეს. მათ უნდოდათ

საბჭოთა კავშირისათვის თავს მოეხვიათ ცალმხრივი ვალდებულებანი, დაეჯახებინათ იგი გერმანიასთან, ხოლო თვითონ გვერდზე დარჩენილიყვნენ. ბუნებრივია, რომ საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა ასეთი ხელშეკრულების დადებაზე. მოსკოვში მოლაპარაკების ჩაშლამ ჰიტლერისათვის ნათელი გახადა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არ ჰქონდათ არავითარი სურვილი საბჭოთა კავშირთან ერთად კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნაზე ევროპაში.

საფრანგეთის კომპარტიამ სასტიკად დაგმო დასავლეთის სახელმწიფოების ზემართველი წრეების აშკარა ანტისაბჭოთა კურსი. მისი მოწოდებით მუშათა კლასმა ომის წინ მრავალრიცხოვანი გაფიცვები, დემონსტრაციები და მიტინგები მოაწყო. კლასთა ბრძოლის გამწვავებამ საფრანგეთში კულმინაციურ წერტილს მიაღწია, მაგრამ საფრანგეთის მმართველი წრეები თავის კლასობრივ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდნენ ეროვნულ ინტერესებზე და ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცებისათვის არავითარ ღონისძიებებს არ იღებდნენ. ისინი მთელ თავის ძალას და დროს ქვეყნის დემოკრატიული და რევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლას ანდომებდნენ. 1939 წლის 25 აგვისტოს დეკრეტით აიკრძალა „ლუმანიტე“ და საერთოდ მთელი კომუნისტური პრესა. კომპარტიის პრესის გამავრცელებლებს და ხელისმომწერებს აპატიმრებდნენ და ასამართლებდნენ. ისარგებლა რა შექმნილი ხელსაყრელი ვითარებით, 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. 3 სექტემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. შეიტყო რა ამის შესახებ, ჰიტლერმა განაცხადა: „ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი იომებენ!“. მართლაც, ინგლის-საფრანგეთის მთავრობებს გერმანიასთან ომის წარმოების არავითარი სურვილი არ ჰქონდათ. მათ პოლონეთი ისევე გაყიდეს, როგორც ჩეხოსლოვაკია. ომის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგაც მიუნხენის პოლიტიკა კვლავ გრძელდებოდა. ინგლის-საფრანგეთის „მიუნხენელების“ აზრით, გერმანია დაიპყრობდა რა პოლონეთს, იგი სახმელეთო-საზღვრებით უშუალო დაპირისპირებაში აღმოჩნდებოდა საბჭოთა სახელმწიფოსთან, რაც დაჩქარებდა ომს ამ ორ სახელმწიფოს შორის. ამით აიხსნება ის ამბავი, რომ საფრანგეთის ჯარებს მკაცრი მითითება ჰქონდა: არ დაერღვიათ გერმანიის საზღვრები, არ დაებომბათ სამრეწველო ობიექტები, არ გაეხსნათ ცეცხლი გერმანელთა ჯარების განლაგების წინააღმდეგ, ერთი სიტყვით, არ ეწარმოებინათ საომარი ოპერაციები. პოლონეთზე თავდასხმისას ძალზე ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა დასავლეთ გერმანიაში საფრანგეთის ჯარების შედარებით იოლი წარმატებისათვის. საფრანგეთს ჰყავდა 110 დივიზია დასავლეთ გერმანიაში მყოფ 23 დივიზიის წინააღმდეგ. საკმარისი იყო საფრანგეთის ჯარების შეტევები დასავლეთიდან, რომ გერმანია სამხედრო კრახის წინაშე აღმოჩნდებოდა. ნიურნბერგის პროცესზე გერმანელმა გენერალმა იოდლმა განაცხადა: „კატასტროფას ჩვენ გადავურჩით მარტო იმის გამო, რომ ფრანგების და ინგლისელების დაახლოებით 110 დივიზია სრულიად უმოქმედოდ იდგა დასავლეთში განლაგებული ჩვენი 23 დივიზიის წინააღმდეგ“. კომუნიზმის აჩრდილით დაშინებულმა საფრანგეთის მმართველმა წრეებმა დააყენეს რა უფრო ჰაღლა თავისი კლასობრივი ინტერესები ეროვნულ ინტერესებზე, არ გამოიყენეს შექმნილი ხელსაყრელი ვითარება გერმანიის წინააღმდეგ. დაიწყო ე. წ. „უცნაური ომი“, როგორც მოსწრებულად უწოდა ფრანგმა ჟურნალისტმა და მწერალმა დორჟელესმა თავის კორესპონდენციას ფრონტიდან. მას აზრადაც არ

მოსვლია, რომ მისი ეს მოსწრებული ეპითეტი ისტორიაში შევიდოდა. „უცნაური ომი“ ეწოდა პერიოდს 1939 წლის სექტემბრიდან — 1940 წლის გაზაფხულამდე. მართლაც, ეს სახელწოდება მთლიანად შეესაბამება იმ შინაარსს, რომელიც მოიცავს პერიოდს 1939 წლის სექტემბრიდან, ე. ი. ომის გამოცხადებიდან — 1940 წლის გაზაფხულამდე. ომი გამოცხადებული იყო, საომარ ოპერაციებს კი არ ჰქონდა ადგილი. დალადიეს მთავრობა საფრანგეთში, ხოლო ჩემბერლენისა ინგლისში იმედს არ კარგავდნენ, რომ ისინი გერმანიასთან საერთო ენას გამონახავდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამავე დროს, საფრანგეთის რეაქცია სასტიკად უსწორდებოდა ფაშიზმის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლებს. 1939 წლის სექტემბრიდან 1940 წლის გაზაფხულამდე შემდეგი რეაქციული ღონისძიებები განხორციელდა: სამხედრო საწარმოებში დამყარდა 60—72 საათიანი სამუშაო კვირა, შემოღებულ იქნა ჯარიმები და საგანგებო გადასახადები ხელფასზე; 1939 წლის 26 სექტემბრის დეკრეტით კომპარტია, ყველა კავშირები, ჯგუფები და დემოკრატიული ორგანიზაციები დათხოვნილ იქნა, ხალხის მიერ ამორჩეული კომუნისტი დეპუტატები პარლამენტში, მუნიციპალურ და სხვა არჩევით ორგანოებში კარგავდნენ თავიანთ თანამდებობებს. 1940 წლის 9 აპრილს კომუნისტური პროპაგანდისათვის სიკვდილის სასჯელი დაწესდა.

რეაქციულ საშინაო პოლიტიკურ კურსთან ერთად გრძელდებოდა ანტისაბჭოთა საგარეო პოლიტიკაც.

გერმანია თუ გაძლიერებით ემზადებოდა საფრანგეთში, ხოლო შემდეგ ინგლისში შეჭრისათვის, პარიზსა და ლონდონში კი ასევე გაფაციცებით იმუშაევებდნენ გეგმებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს ინგლის-საფრანგეთის სარდლობა საექსპედიციო ჯარებს ამზადებდა ფინეთის დასახმარებლად. 1940 წლის 16 იანვრისათვის საფრანგეთის სარდლობამ დაამთავრა ფინეთში საომარი მოქმედების გეგმის შემუშავება, მაგრამ მისი განხორციელება ჩაიშალა. 12 მარტს მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ზავი დაიდო. ამას მალე დალადიეს გადადგომა მოჰყვა, რომლის ერთ-ერთ მიზეზად ფინეთის კაპიტულაციას თვლიდნენ. 21 მარტს მთავრობას სათაევში ჩაუდგა პოლ რეინო. მან მთელი თავისი ენერგია და დრო საბჭოთა კავშირზე ახლო აღმოსავლეთიდან თავდასხმის გეგმის შემუშავების დაჩქარებას მოახმარა. ეს გეგმა მუშავდებოდა ჯერ კიდევ დალადიეს მთავრობის დროს, მაგრამ ფინეთის კაპიტულაციის შემდეგ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. იგი ითვალისწინებდა სწრაფ საჰაერო თავდასხმებს კავკასიის სასიცოცხლო ეკონომიურ რაიონებზე: ბათუმზე, ბაქოზე, გროზნოსა და მაიკოპზე და ასევე სწრაფ საომარ ოპერაციებს კავკასიაში. ამ ავანტურაში ინგლის-საფრანგეთის მთავრობა თურქეთის ჩათრევასაც ფიქრობდა. საფრანგეთის ჯარების სარდალმა სირიაში გენერალმა ვეიგანმა პარიზს აცნობა, რომ კავკასიის დაბომბვას იგი ივნის-ივლისში დაიწყებდა, მაგრამ საფრანგეთის იმპერიალისტებს ამჯერადაც არ დასცალდათ. 1940 წლის 10 მაისს დასავლეთში ჰიტლერელთა ჯარების შეტევები დაიწყო, რასაც მალე საფრანგეთის ჯარების სამარცხვინო დამარცხებები მოჰყვა. 1940 წლის 22 ივნისს კომპიენის ტყეში, გენერალ ფოშის იმ ვაგონში, სადაც 1918 წლის 11 ნოემბერს პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტი გაფორმდა, საფრანგეთმა ხელი მოაწერა სამარცხვინო კაპიტულაციას. ამრიგად, გერმანელებმა რევანში აიღეს, ხოლო საფრანგეთის მესამე რესპუბლიკამ უსახელოდ დაამთავ-

რა თავისი ისტორია. რა თქმა უნდა, ეს კაპიტულაცია საფრანგეთის ხალხის დამარცხებას კი არ ნიშნავდა, იგი იმ დამღუპველი ვიწრო კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკის შედეგი იყო, ოომელსაც საფრანგეთის მმართველი წრეები ახორციელებდნენ. ისინი კომუნიზმის აჩრდილის შიშით წლების განმავლობაში ამზადებდნენ ამ დამარცხებას.

ამერიკის შეერთებული შტატები პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

§ 14. აშშ 1918 — 1928 წწ. ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება ომის შემდეგ

აშშ 1917 წლის აპრილში პირველ მსოფლიო ომში ჩაება ანტანტის მხარეზე. მანამდე კი იგი ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ატარებდა და მეომარ სახელმწიფოთა შეკვეთების ხარჯზე ამერიკის სამრეწველო და ფინანსური მაგნატები მდიდრდებოდნენ.

აშშ-ის დანაკარგები მსოფლიო ომის მთელ მანძილზე ძალზედ უმნიშვნელო იყო. იგი შეადგენდა 50 ათას კაცს მოკლულთა, და 205 ათასი დაჭრილთა სახით.

ომის ვითარება აშშ-მა გამოიყენა იმისათვის, რომ ხელთ ჩაეგდო გასაღების ბაზრები, ნედლეულის წყაროები და დასავლეთის ნახევარსფეროდან გამოეძევებინა ძირითადი კონკურენტები — ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და იქ თავისი ბატონობა დაემყარებინა.

ევროპას არ ეცალა ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, აშშ-მა კარგად გამოიყენა ეს მდგომარეობა და ხელთ ჩაიგდო სამხრეთ ამერიკის ბაზრები 1913—1920 წლებში აშშ-ის კაპრობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან 400 პროცენტით გაიზარდა.

ამერიკის იმპერიალიზმი მარტო ლათინური ამერიკის ეკონომიური ექსპანსიით როდი კმაყოფილდებოდა. მან ჰაიტისა და დომინიკანური რესპუბლიკის ფაქტიური ოკუპაცია მოახდინა, მოაწყო შეიარაღებული ინტერვენცია მექსიკაში, ნიკარაგუაში, კოსტა-რიკასა და სხვა ქვეყნებში, ხოლო დანია აიძულა 25 მილიონ დოლარად მიეყიდა მისთვის ვესტ-ინდოეთის კუნძულები. აშშ-ის იმპერიალისტები ცდილობდნენ გაბატონებული მდგომარეობა დაეკავებინათ შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ იქ ისინი იაპონიის წინააღმდეგობას წააწყდნენ. მართალია აშშ ჩინეთის ბაზარზე ვაჭრობა ორჯერ მეტად გაზარდა, მაგრამ მოცულობით იგი ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე იაპონიისა მასთან. ეს იმით აიხსნება, რომ ამერიკელი მაგნატები დაკავებულნი იყვნენ ომის მომგებიანი საქმეებით.

ომის წლებში ამერიკის კაპიტალისტები მომგებიან ვაჭრობას აწარმოებდნენ არა მარტო მეომარ, არამედ ნეიტრალურ ქვეყნებთანაც. ისინი ანტანტის ქვეყნებს აწვდიდნენ სამხედრო საჭურველს, სტრატეგიულ ნედლეულს და სურსათს.

ამერიკის ფინანსიური და სამრეწველო მაგნატები ზღაპრულად მდიდრდებოდნენ მეომარი ქვეყნების მილიონობით ხალხების სისხლისა და სიცოცხლის ხარჯზედ. მილიონერთა რიცხვი აშშ-ში ომის დროს 17 ათასით გაიზარდა. ექ-

სპორტი გაიზარდა 3-ჯერ მეტად, ხოლო ეროვნული სიმდიდრე 192 მილიარდი დოლარიდან (1914 წ) 488,7 მილიარდ დოლარამდე (1920 წ.)

ევროპის სახელმწიფოთა სიმდიდრის დიდმა ნაწილმა, მათმა ოქროს მარაგმა და კაპიტალდაბანდებამ საზღვარგარეთ აშშ-ში გადაინაცვლა სამხედრო საჭურვლის შესყიდვის ხარჯზე. აშშ-ის ოქროს მარაგი 1914 წლისათვის შეადგენდა 1891 მილიონ დოლარს, ხოლო 1918 წლისთვის კი 3163 მილიონ დოლარს. მოვალე ქვეყნიდან აშშ გადაიქცა კრედიტორ ქვეყნად. ომის დროს აშშ-მ შეისყიდა უცხოეთის ქვეყნების კაპიტალდაბანდება თავის ეკონომიკაში და იგი კაპიტალის ექსპორტის ქვეყნად გადაიქცა. ომის დროს აშშ-ის კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთ გაიზარდა 3,5 მილიარდი დოლარიდან 6,5 მილიარდ დოლარამდე. გარდა ამისა, აშშ-ის მთავრობამ დაახლოებით 10 მილიარდი დოლარი სესხი მისცა ანტანტის სახელმწიფოებს. ომის შემდეგ მსოფლიოს ფინანსურმა ცენტრმა ევროპიდან აშშ-ში გადაინაცვლა. მსოფლიოს 20 სახელმწიფო, მათ შორის ინგლისი და საფრანგეთი, აშშ-ის მოვალე ქვეყნებად გადაიქცნენ.

ომმა გააძლიერა ქვეყნის მილიტარიზაცია. შემოღებულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახური. ომის დასასრულს აშშ-ის არმია გაიზარდა 5 მილიონ კაცამდე. ომისა და ომის შემდეგ წლებში გაიზარდა სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ფლოტის მშენებლობა, გაძლიერდა და გაიზარდა მოხელეთა და სამხედრო აპარატი მშრომელთა მასების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ანტანტის ქვეყნების დიდმა მოთხოვნებმა ამერიკის სამხედრო საჭურველსა და სხვა საქონელზე ძალზე ხელსაყრელი პირობები შექმნა მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებისათვის, როგორიცაა ნავთის, საავტომობილო, გემთმშენებლობის და ა. შ.

ომის დროს საავტომობილო მრეწველობა გაიზარდა 4-ჯერ, ფოლადის გამოდნობა 1 1/2-ჯერ. სამრეწველო პროდუქციის წარმოების საერთო ღირებულება ომის წლებში გაიზარდა 23,9 მილიარდ დოლარიდან 62 მილიარდ დოლარამდე. მნიშვნელოვნად გაიზარდა აშშ-ის ხვედრითი წონა მსოფლიო წარმოებაში.

ომის მომდევნო წლებში გაძლიერდა კაპიტალისტური მონოპოლიებისა და სახელმწიფო-მონოპოლისტური ტენდენციების ზრდა. მორგანებმა, როკფელერებმა, დიუპონებმა, ფორდებმა და ა. შ. თავიანთ კონტროლს დაუმორჩილეს ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი დარგები. მონოპოლისტთა მოგებებმა ომის წლებში მიაღწია ასტრონომიულ ციფრებს — 33,5 მილიარდ დოლარს.

ომის შემდგომ ამერიკაში, ერთი მხრივ, მიმდინარეობდა ზღაპრული სიმდიდრის დაგროვება და კაპიტალისტების გამდიდრება, მეორე მხრივ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მატერიალური მდგომარეობის სულ უფრო და უფრო გაუარესება.

ქვეყნის მილიტარიზაციამ გამოიწვია ფართო მოხმარების საგნების გამოშვების შემცირება და ფასების ზრდა. ომის აურაცხელ ხარჯებს მოჰყვა, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გადასახადების ზრდა. გაიზარდა მუშათა კლასის ექსპლოატაცია. ყოველივე ამას მოჰყვა ცხოვრების დონის დაცემა 1918 წლისათვის 73 პროცენტით, ხოლო 1919 წლისათვის 104%-ით ომამდელ დონესთან შედარებით. ამას დაერთო მუშათა მასობრივი უმუშევრობა, რაც დაკავშირებული იყო მშვიდობიან პერიოდში სამხედრო მრეწველობის შეკვეცასთან.

მუშათა მოძრაობის აღმავლობა აშშ ოქტომბრის რევოლუციის გავლენით

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა ამერიკის მუშათა კლასზე და მძლავრი ბიძგი მისცა მის გარეოლუციონერებას. ამ მხრივ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მუშათა კლასის მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას, რასაც მოჰყვა კლასთა შორის წინააღმდეგობისა და კლასთა ბრძოლის გაძლიერება. ამ გარეგანი და შინაგანი ფაქტორების შედეგად აშშ მუშათა კლასისა და სხვა მშრომელთა მასობრივი რევოლუციური გამოსელებისა და საგაფიცვო მოძრაობის ასპარეზი გახდა.

1918 წელს გაფიცვაში მონაწილეობდა 1 მილიონ 240 ათასი მუშა, ხოლო 1919 წელს კი 4 მილიონ 160 ათასი. ყველაზე დიდი გაფიცვები იყო ნავსადგურთა მუშების საყოველთაო გაფიცვა ქ. სიეტლში და მეშახტეთა გაფიცვა. განსაკუთრებული შეუპოვრობით გამოირჩევა 365 ათასი მუშის გაფიცვა ფოლადსასხმელ მრეწველობაში, რომელიც ორგანიზებულ იქნა უილიამ ფოსტერის მიერ.

გაფიცულთა ძირითადი მოთხოვნები იყო ხელფასის გადიდება, სამუშაო დღის შემცირება, პროფკავშირების შექმნის უფლების მოპოვება. რიგ შემთხვევებში გაფიცულებმა მიაღწიეს წარმატებებს — 44 საათიან სამუშაო კვირას და ხელფასის 15 პროცენტით მომატებას, მაგრამ გაფიცვამ შრომის ამერიკული ფედერაციის რეაქციული ხელმძღვანელობის აშკარა გამყიდველური პოზიციის გამო დამარცხება განიცადა.

აშშ-ის იმპერიალისტების ანტისაბჭოთა გეგმები

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას მტრულად შეხვდნენ ამერიკის მმართველი წრეები. აშშ-ის მონოპოლისტებმა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყეს ეკონომიური ექსპანსია რუსეთში და ამ მხრივ საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ამერიკის ექსპორტმა რუსეთში მიაღწია 470,5 მილიონ დოლარს, ე. ი. 17-ჯერ გაიზარდა 1913 წელთან შედარებით. ამერიკის უმსხვილესმა მონოპოლისტებმა დაიწყეს რუსეთის ბაზარზე შეჭრა, ხოლო უმსხვილესმა ბანკებმა მეფის მთავრობას მისცეს მნიშვნელოვანი სესხები და ქვეყნის ფინანსური დაკაბალების გეგმებს აწყობდნენ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ აშშ-ის მონოპოლისტების აქტივობა რუსეთში კიდევ უფრო გაიზარდა. დროებითი მთავრობის თანხმობით რუსეთში ჩამოვიდა მრავალი მისია, რომლის მიზანი იყო რუსეთის ეკონომიური დაკაბალება, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ ჩაშალა ამერიკის ექსპანსიური გეგმები.

1918 წელს აშშ-ის პრეზიდენტი უილსონი გამოვიდა პროგრამით, რომელიც „14 პუნქტისაგან" შედგებოდა. იგი ითვალისწინებდა საბჭოთა რესპუბლიკის დამხობას და რუსეთის ტერიტორიის დანაწილებას, კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის განადგურებას, კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას, აშშ-ის მსოფლიო ბატონობის დამყარებას და სხვა.

აშშ-მა, ინგლისმა, საფრანგეთმა და იაპონიამ თავდასხმა მოაწყვეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაზე. მათგან აშშ ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და აქტიური მონაწილე იყო ანტისაბჭოთა ინტერვენციაში.

1917 წლის დეკემბერში ანტანტის ქვეყნებმა და აშშ-მა მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიის „მოქმედების ზონებად“ დაყოფის შესახებ. ინგლისის „მოქმედების ზონაში“ შევიდა ამიერკავკასია, ჩრდილოეთ კავკასია, მურმანსკი და ურალის ჩრდილოეთ ნაწილი, საფრანგეთისაში — უკრაინა, ბესარაბია და ყირიმი, აშშ-სა და იაპონიის — ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი.

1918 წელს ამერიკამ ჯარები გადასხა მურმანსკში, არხანგელსკში, შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში. აშშ-ის იმპერიალისტები დიდი ფინანსურ, ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას უწევდნენ თეთრგვარდიელ გენერლებს: კოლჩაკს, დენიკინს, იუდენიჩს, ვრანგელს და თეთრპოლონეთს. ამ უკანასკნელს აშშ-მა მისცა 50 მილიონი დოლარი სესხად, მაგრამ მათი ანტისაბჭოთა ავანტურა სამარცხვნიოდ ჩაშალა.

უილსონის ანტისაბჭოთა პოლიტიკამ თავისი გამოხატულება ჰპოვა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე 1919 წელს, სადაც იგი მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ინტერვენციისა და ბლოკადის გაფართოებას. მაგრამ უილსონის გეგმებმა აშშ მსოფლიო ბატონობის დამყარებაზე აქაც კრახი განიცადა. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები დასთანხმდნენ უილსონის წინადადებებს ერთა ლიგის შექმნის შესახებ, რომელიც, უილსონის აზრით, აშშ მსოფლიო ბატონობის იარაღად უნდა გამხდარიყო, მაგრამ ერთა ლიგაში ხელმძღვანელობა ინგლის-საფრანგეთის ხელში აღმოჩნდა. ამის გამო სენატმა უარყო პარიზის ხელშეკრულება და აშშ ერთა ლიგაში შესელა. 1921 წელს აგვისტოში აშშ გერმანიასთან და მის ყოფილ მოკავშირეებთან სეპარატიული საზავო ხელშეკრულება დადო.

აშშ მუშათა კლასის ბრძოლა საბჭოთა რუსეთის დასაცავად

აშშ მმართველი წრეების ანტისაბჭოთა ინტერვენციამ ქვეყნის მშრომელი მასების და პროგრესული ინტელიგენციის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამერიკის დასავლეთ სანაპიროების ქალაქებში სიეტლში, პორტლენდსა და სხვაგან მუშებმა, ჯარისკაცებმა, მეზღვაურებმა ანტისაბჭოთა ინტერვენციის წინააღმდეგ კომიტეტები შექმნეს და გაფიცვები მოაწყვეს. სოციალისტური პარტიის მემარცხენე ჯგუფის მიერ ჯერ კიდევ 1915 წელს შექმნილმა „სოციალისტური პროპაგანდის ლიგამ“ მოელი რიგი მიტინგები და გამოსვლები მოაწყო ლოზუნგებით „ხელები შორს საბჭოთა რუსეთიდან“. ამერიკის მუშებმა შექმნეს „საბჭოთა რუსეთთან მეგობრობის ლიგა“, „საბჭოთა რუსეთისათვის ტექნიკური დახმარების საზოგადოება“ და ა. შ. ისინი ანტისაბჭოთა ინტერვენციისა და ბლოკადის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მოითხოვდნენ ამერიკის ჯარების საბჭოთა რუსეთიდან გამოყვანას, საბჭოთა რუსეთის ცნობას და მასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. აშშ ფართო მოძრაობა გაჩაღდა მოხალისეთა ნაწილების შექმნისათვის წითელი არმიის მხარდამხარ ინტერვენტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. 1919 წელს ამერიკის კონგრესს წარუდგინეს 1 მლნ. კაცის ხელმოწერილი პეტიცია, რომ შეწყვეტილიყო ანტისაბჭოთა ინტერვენცია, ჯარები გამოეყვანათ საბჭოთა რუსეთიდან, შეეწყვიტათ დახმარება რუსეთის თეთრგვარდიელ გენერლებისათვის და რომ რუს ხალხს თვითონ გადაეწყვიტა თავისი ბედი. უილსონის მთავრობამ სასტიკად გაილაშქრა საბჭოთა რუსეთისადმი მხარდამჭერი მოძრაობის წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ სენატორებიც

კი, მაგალითად, ბორი, მაკკორმიკი და სხვები გმობნდენ აშშ-ის ანტისაბჭოთა ინტერვენციას და მოითხოვდნენ მის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. საბჭოთა რუსეთის დაცვისათვის მოძრაობის ასეთმა გაქანებამ დააშინა აშშ მმართველი წრეები და ისინი იძულებული გახდნენ 1920 წელს გაეყვანათ თავისი ჯარები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან. ამერიკის მუშათა კლასის პროლეტარული სოლიდარობა საბჭოთა რუსეთისადმი იყო ამავე დროს ბრძოლა თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის, დემოკრატიისათვის და პროგრესისათვის.

აშშ კომპარტიის შექმნა

ოქტომბრის რევოლუციამ და მუშათა კლასის აქტივობის ზრდამ დიდი გავლენა მოახდინა აშშ სოციალისტურ პარტიაზე. აშშ სოციალისტურ პარტიაში მ. ჰილკვიტის რეფორმისტული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა მემარცხენე ფრთა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ჩარლზ რუტენბერგი და პოპულარული ჟურნალისტი ჯონ რიდი. ჩ. რუტენბერგი სთვლიდა, რომ საჭირო იყო რეფორმისტულ სოციალისტურ პარტიასთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა. ეს ნაწილი მემარცხენეებისა 1919 წლის ივნისში გამოეცალა სოციალისტური პარტიიდან და 1919 წლის 1 სექტემბერს ჩიკაგოში კომპარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე შეიქმნა აშშ კომუნისტური პარტია. ეს პარტია ძირითადად აერთიანებდა ემიგრანტ მუშებს. ჯონ რიდის მემარცხენეები ძირითადად ამერიკელი მუშებისაგან შედგებოდნენ.

ჯონ რიდის მომხრეები სოციალისტურ პარტიასთან სრულ გათიშვას არ მოითხოვდნენ და თვლიდნენ, რომ საჭირო იყო პარტიის ხელმძღვანელობიდან რეფორმისტების ჩამოცილება და პარტიის განახლება რევოლუციური ხელმძღვანელობით, მაგრამ ჰილკვიტის ოპორტუნისტულმა ჯგუფმა ჯონ რიდის მემარცხენეები პარტიიდან გარიცხა. ამის შემდეგ ჯონ რიდის მომხრეებმა მიმართეს ჩ. რუტენბერგს, რომ ისინი მის მიერ შექმნილ კომპარტიაში მიეღო. რუტენბერგი დათანხმდა, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი კომპარტიაში შესულიყვნენ პერსონალურად. მაშინ ჯონ რიდის მემარცხენეებმა ცალკე მოიწვიეს კომპარტიის დამფუძნებელი ყრილობა და შექმნეს აშშ კომუნისტური მუშათა პარტია. ორივე პარტია ძირითადად მარქსისტულ პოზიციაზე იდგა და ორივე შევიდა კომინტერნში, სადაც მათ წინადადება მისცეს გაერთიანებაზე. მათი გაერთიანება 1921 წლამდე შეფერხდა, რადგან რეპრესიებისა და დევნის გამო ორივე პარტია იძულებული გახდა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო.

ამერიკის გაბატონებული კლასები მტრულად შეხვდნენ კომუნისტური პარტიების შექმნას. მუშათა, კომუნისტური და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ 1919 წელს ამერიკის რეაქციონერებმა ნახევრადფაშისტური რეაქციული მილიტარისტული ორგანიზაცია შექმნეს „ამერიკის ლეგიონის“ სახელწოდებით. საქმიანობა განაახლა ახლად აღორძინებულმა რასისტულმა ორგანიზაციამ კუ-კლუკს-კლანმა. თუ ამ ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას ადრე შავკანიანების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა, ახლა თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად დაისახა საერთოდ ქვეყნის მუშათა, კომუნისტური და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა.

დაიწყო კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის გამოჩენილი მოღვაწეების მასობრივი დაპატიმრებები და მათი გასამართლება. ამავე დროს ამერი-

კის მთავრობამ 6 ათასზე მეტი დემოკრატიულად განწყობილი ემიგრანტი გაასახლა აშშ-დან.

1920—1921 წლების ეკონომიური კრიზისი

1920—1921 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ეკონომიური კრიზისი დაიწყო, რაც დაკავშირებული იყო, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის ექსპორტის მკვეთრ შემცირებასთან ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ეს უკანასკნელი კი გამოიწვია ევროპის ქვეყნებში ომში მიყენებული ჭრილობების მოშუშებამ და ეკონომიურმა აღდგენამ, რასაც მოჰყვა ამერიკული საქონლის შემოტანის შემცირება. ეკონომიური კრიზისით შექმნილი სიძნელეები ამერიკის კაპიტალისტებმა გამოიყენეს მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევისათვის. დაიწყო საწარმოების შეკვეცა და მასობრივი ლოკაუტები, მუშათა ხელფასის შემცირება და სამუშაო დღის ზრდა. მუშებმა ბურჟუაზიის შეტევას უპასუხეს გაფიცვებით, რომელიც ძირითადად თავდაცვით ხასიათს ატარებდა.

შრომის ამერიკული ფედერაციის გამყიდველური პოლიტიკა მუშათა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. მუშათა კლასისათვის ნათელი იყო, რომ მათი წარმატებისათვის აუცილებელია შრომის ამერიკული ფედერაციის პროფკავშირების ამქრული სტრუქტურის ნაცვლად, მათი გადასვლა უფრო პროგრესულ საწარმოო პრინციპზე. ამ დროს ერთ საწარმოში მომუშავე პირები გაერთიანებული არიან ერთ პროფკავშირში.

1920 წელს უილიამ ფოსტერმა შექმნა „პროფკავშირული პროპაგანდის ლიგა". ამ ლიგამ დაიწყო ბრძოლა პროფკავშირთა აგების საამქრო პრინციპის წინააღმდეგ და მისი საწარმოო პრინციპზე გარდაქმნისათვის[1].

კომუნისტურ პარტიას არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნის დროს, კავშირი არ შეუწყვეტია მუშათა კლასთან და 1921 წლის დეკემბერში კომპარტიის რიგებიდან შეიქმნა ლეგალური მუშათა პარტია („უორკერს პარტი").

1920 წელს აშშ-ში მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატიულმა პარტიამ თავისი აშკარა რეაქციული საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამომარცხი განიცადა. პრეზიდენტად აირჩიეს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი უორენ ჰარდინგი

1921 წლის ნოემბერში ჰარდინგის მთავრობის ინიციატივით მოწვეულ იქნა ცხრა სახელმწიფოს ვაშინგტონის კონფერენცია, რომლის შედეგებს აშშ-ის მმართველი წრეები დიდის კმაყოფილებით შეხვდნენ. ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებები ამერიკის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. საყურადღებოა, რომ ვაშინგტონის კონფერენციის მოწვევამდე შორეულ აღმოსავლეთში გამწვავდა წინააღმდეგობა ამერიკისა და იაპონიის იმპერიალისტებს შორის. ამ წინააღმდეგობებმა იმდენად მძაფრი ხასიათი მიიღო, რომ ომის საშიშროებაც კი შეიქმნა, მაგრამ აშკარა ომისაგან მათ თავი შეიკავეს ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კოლონიური ქვეყნების შიშით, რომ მათ არ ესარგებლათ შექმნილი ვითარებით და ბრძოლა არ დაეწყოთ დამოუკიდებლობისათვის.

---

[1] ერთ საწარმოში არსებობდა ათობით სხვადასხვა პროფკავშირი ვიწრო სპეციალობების მიხედვით, რაც თრავდა მუშების ერთიანი ფრონტით გამოსვლას კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ვაშინგტონის ცხრა სახელმწიფოს კონფერენციაზე ხელი მოაწერეს ძირითადად სამ ხელშეკრულებას.

პირველი — ოთხი სახელმწიფოს ხელშეკრულება — აშშ, ინგლისს, საფრანგეთს და იაპონიას შორის წყნარი ოკეანის აუზში მათი სამფლობელოების ხელუხლებლობის ურთიერთგარანტიის შესახებ 10 წლის ვადით. მეორე ხელშეკრულება იყო 9 სახელმწიფოს შორის (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია, ჩინეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, პორტუგალია) ჩინეთის ტერიტორიული და ადმინისტრაციული მთლიანობისა და ჩინეთში „ღია კარების“ პოლიტიკის ცნობის შესახებ.

იაპონია იძულებული გახდა ჩინეთისათვის დაებრუნებინა ომის დროს დატაცებული ტერიტორია (შანდუნი), რკინიგზები, შახტები და ა. შ., და გაეყვანა ჯარი ჩინეთიდან;

მესამე — ხუთი სახელმწიფოსი (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია, იტალია) საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ. ინგლისმა უარი თქვა თავის ტრადიციულ პოლიტიკაზე, რომ მას ჰყოლოდა იმდენივე საზღვაო ფლოტი, რამდენიც ორ ძლიერ საზღვაო სახელმწიფოს ერთად აღებულს. იგი დასთანხმდა, რომ ინგლისსა და აშშ ჰყოლოდათ ერთნაირი რაოდენობის სამხედრო საზღვაო ფლოტი, იაპონიას არა უმეტეს 60%, საფრანგეთსა და იტალიას კი 35%, 35% ინგლისის ან აშშ საზღვაო ფლოტთან შედარებით.

ვაშინგტონის კონფერენციაზე რუსეთის საკითხიც განიხილეს. ეშინოდა რა იაპონიის გაძლიერებისა შორეულ აღმოსავლეთში, აშშ მოთხოვა მას ჯარის გაყვანა ციმბირიდან და სახალინიდან.

იაპონია მართლაც იძულებული გახდა 1922 წელს დაეტოვებინა ციმბირი, მაგრამ არა ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილების გამო, არამედ იმ საყოველთაო სახალხო წინააღმდეგობის შედეგად, რომელსაც იაპონიის იმპერიალისტები ციმბირში წააწყდნენ.

§ 15. აშშ კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდში

ეკონომიური „აღმავლობა“ სტაბილიზაციის პერიოდში

1920—1921 წლების შემდგომი პირველი ეკონომიური კრიზისი, 1922 წელს ეკონომიკის გამოცოცხლებით, ხოლო შემდეგ კი დროებითი აღმავლობით შეიცვალა, რომელიც 1929 წლამდე გაგრძელდა. აშშ სამრეწველო წარმოებამ გადააჭარბა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და იაპონიის წარმოებას ერთად აღებულს. სტაბილიზაციის დროს წარმოების კონცენტრაცია გრანდიოზულ ხასიათს ღებულობს. მორგანის ფოლადის ტრესტი ქვეყნის ფოლადის წარმოების 40—45 პროცენტს იძლეოდა. საავტომობილო მრეწველობა ძირითადად სამი კომპანიის — ფორდის, ჯენერალ-მოტორსის და კრაისლერის ხელში მოექცა. 1919 წელს აშშ-ში იყო 6,7 მილიონი მსუბუქი მანქანა, ხოლო 1928 წელს — 21,5 მილიონი. სწრაფად განვითარდა საავიაციო, ქიმიური, ხელოვნური აბრეშუმისა და რადიოს მრეწველობა.

კაპიტალის ექსპორტი 1929 წლისათვის ომამდელ დონესთან შედარებით 4-ჯერ მეტად გაიზარდა. აშშ მარტო 10 წლის განმავლობაში (1922—1932 წ) ?.

საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალიდან და სამხედრო სესხებიდან დაახლოებით 10 მილიარდი დოლარი მიიღო.

სტაბილიზაციის პერიოდში წარმოების კაპიტალისტურმა რაციონალიზაციამ, შრომის ინტენსიფიკაციისა და მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერების გზით, ფართო ხასიათი მიიღო. წარმოებაში ფართოდ ინერგებოდა უახლესი ტექნიკა და წარმოების სტანდარტიზაცია, რაც მუშათა კონტინგენტის შემცირებას იწვევდა. მაგალითად, მუშათა რიცხვი წარმოებაში 1922—1929 წწ. 7,6%-ით შემცირდა.

„აყვავების" დროსაც ადგილი ჰქონდა მასობრივ უმუშევრობასა და წარძოების არასრულ დატვირთვას. მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით უმუშევართა რიცხვი აშშ-ში 3 მილიონზე მეტ კაცს უდრიდა, ხოლო წარმოების მთელი რიგი დარგები 60 პროცენტის დატვირთვით მუშაობდნენ. აშშ-ის მონოპოლიების ზემოგების ნაწილი წილად ხვდებოდა მუშათა კლასის ზედაფენას, ე. წ. მუშათა არისტოკრატიას, მუშათა ფართო მასების მდგომარეობა კი უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა. სტაბილიზაცია არ შეხებია წვრილ ფერმერულ მეურნეობას, რომელთა დიდი ნაწილი მძიმე ვალებში იყო და ვერ უძლებდა მსხვილი ფერმერული მეურნეობის კონკურენციას. ფერმერთა დავალიანება 1929 წლისათვის 15 მილიარდ დოლარამდე აღწევდა, ხოლო ფერმერული მეურნეობის რიცხვი კი 159 ათასით შემცირდა.

კ. კულიჯის მთავრობა და მისი საშინაო პოლიტიკა

1923 წლის აგვისტოში უეცრად და ძალზედ საეჭვოდ (მოიწამლა) გარდაიცვალა პრეზიდენტი ჰარდინგი. მისი სიკვდილის შემდეგ პრეზიდენტი გახდა ვიცე-პრეზიდენტი კალვინ კულიჯი. 1924 წელს ჩატარებული იქნა მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები.

არჩევნების დროს ორი ბურჟუაზიული პარტიის ნაცვლად ურთიერთს დაუპირისპირდა სამი პარტია — რესპუბლიკური, დემოკრატიული და პროგრესული.

1923 წელს აშშ კომპარტია არალეგალური მდგომარეობიდან გამოვიდა. იმავე წელს მას შეუერთდა კომუნისტების მიერ ლეგალური მუშაობისათვის 1921 წელს შექმნილი მუშათა პარტია („უორკეს პარტია"), რის შემდეგ კომპარტიამ მიიღო აშშ ერთიანი მუშათა პარტიის, ხოლო 1929 წლიდან კი აშშ კომუნისტური პარტიის სახელწოდება. კომპარტიამ დიდი მუშაობა გააჩაღა მასობრივი მუშათა და ფერმერთა პარტიის შესაქმნელად. 1923 წელს კომპარტიისა და პროფკავშირული პროპაგანდის ლიგის ინიციატივით შექმნილ იქნა მუშა-ფერმერთა პარტია, მაგრამ ხელმძღვანელობა ამ პარტიისა ხელთ ჩაუვარდათ მემარჯვენეებს, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს კომუნისტებთან.

1924 წელს არჩევნების წინ სენატორ რესპუბლიკელმა ლაფოლეტმა პროგრესული პარტიის შექმნა მოითხოვა. მის წინადადებას მხარი დაუჭირეს და ერთიანი ბლოკი შექმნეს ზოგიერთმა პროფკავშირებმა, სოციალისტურმა პარტიამ და მუშა-ფერმერთა პარტიამ.

ე. წ. პროგრესულმა პარტიამ არჩევნებში პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატად ლაფოლეტი წამოაყენა, რესპუბლიკურმა პარტიამ — კ. კულიჯი, ხოლო დემოკრატიულმა — ჯ. დევისი.

რ. ლაფოლეტის პროგრამა მუშათა, ფერმერთა და წვრილი ბურჟუაზიის

მდგომარეობის შემსუბუქებას და ქვეყნის დემოკრატიზაციას ითვალისწინებდა.

პრეზიდენტად არჩეული იქნა კ. კულიჯი (მიიღო 15,7 მლნ. ხმა). ხოლო რ. ლაფოლეტმა 4822 ათასი ხმა მიიღო. კომინტერნმა პროგრესული პარტიის გამოსვლას შემდეგნაირი დახასიათება მისცა: „ლაფოლეტის მოძრაობა, რომელიც წარმოადგენდა წვრილბურჟუაზიულ მოვლენას, ატარებდა ორგვარ ხასიათს. ერთის მხრივ, იგი ბურჟუაზიული ბანაკის დეზორგანიზაციის ობიექტურ ნიშანს წარმოადგენდა, მეორეს მხრივ, მასზე დაკისრებული იყო კაპიტალის მხარდაჭერის ობიექტური ამოცანა... ე. ი. მიეძინებინა პროლეტარიატის გამოღვიძებული კლასობრივი თვითშეგნება დამოუკიდებელი კლასობრივი მოძრაობის გაფორმებისაგან“

არჩევნებში ლაფოლეტის მარცხის შემდეგ პროგრესული პარტიის ბლოკი დაიშალა.

კ. კულიჯის მთავრობის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკა რეაქციულ ხასიათს ატარებდა. სიკვდილით დასჯეს ემიგრანტი იტალიელები ნ. საკკო და ბ. ვანცეტი. ისინი 1920 წ. 5 მაისს ჯერ „რადიკალური“ მოღვაწეობის საბაბით დაპატიმრეს, შემდეგ კი მასაჩუზეტის შტატის სასამართლომ მათ ერთ-ერთი ქარხნის მოლარის გაძარცვისა და მოკვლის ყალბი ბრალდება წაუყენა, რაც აშკარა ცილისმწამებლური იყო. 1921 წლის 14 ივნისს მათ სიკვდილის დასჯის განაჩენი გამოუტანეს. საპატიმროში, სადაც ისხდნენ საკკო და ვანცეტი, შემთხვევით აღმოჩნდა ბანდიტი მადეიროსი, რომელიც 1925 წლის 15 ნოემბერს ეამოტყდა, რომ იგი მონაწილე იყო იმ ბანდისა, რომელმაც ის მკვლელობა ჩაიდინა, რასაც ბრალდებად უყენებდნენ საკკოსა და ვანცეტს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ეს გარემოება და გადაწყვეტა მათი სიკვდილით დასჯა. განაჩენის კლასობრივი მოტივი აშკარა იყო. აშშ-ს ამ ორი პიროვნების სამაგალითო დასჯით უნდოდათ დაეშინებინათ და ხელი აეღებინათ მუშებისათვის მათ კლასობრივ და რევოლუციურ ბრძოლაზე. სასამართლოს თავმჯდომარემ ტეიერმა განაცხადა, რომ ბ. ვანცეტმა „თუ ფაქტიურადაც არ ჩაიდინა დანაშაული, რასაც მას აწერენ, მორალურად მაინც დამნაშავეა, როგორც არსებული წყობილების მტერი, როგორც ანარქისტი, როგორც ადამიანი, რომელიც აშშ-ში თავისი ყოფნის დროს პროპაგანდას ეწეოდა არსებული წყობილების დამსობისათვის, რაც თავისთავად დანაშაულად ითვლება“.

მოძრაობამ საკკო და ვანცეტის დასაცავად საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო. მათი განთავისუფლების მოთხოვნით აშშ იმართებოდა მასობრივი მიტინგები, დემონსტრაციები და კრებები. ეს იყო ბრძოლა დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს შორის. აშშ კომპარტიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ბრძოლაში. რაც შეეხება შრომის ამერიკულ ფედერაციას, თავისი „ნეიტრალური“ პოზიციით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის კაპიტალის ერთგული მსახურია. საკკო და ვანცეტის დასაცავად ხმა აღიმაღლა მთელი მსოფლიოს პროგრესიულმა კაცობრიობამ. მსოფლიოში და განსაკუთრებით კი ევროპაში აშშ საელჩოებთან გრანდიოზული დემონსტრაციები და მიტინგები იმართებოდა უდანაშაულო საკკო და ვენცეტის განთავისუფლების მოთხოვნით. აშშ პრეზიდენტს კ. კულიჯს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ათასობით წერილებს და დეპეშებს უგზავნიდნენ, რათა მას არ მოეწერა ხელი საკკო და ვანცეტის სასიკვდილო განაჩენზე. მიუხედავად ამ გრანდიოზული მოძრაობისა, ამერიკის რეაქციამ მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის დაშინების მიზნით გადაწყვიტა უდა-

ნაშაულო საკკო და ვანცეტის სამაგალითო დასჯა. შვიდ წელზე მეტი პატიმრობის შემდეგ, 1927 წლის 22 აგვისტოს ნ. საკკო და ბ. ვანცეტი ელექტრონის სკამზე სიკვდილით დასაჯეს ბოსტონის ციხეში.

საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია აგრეთვე ე. წ. „მაიმუნის პროცესმ:“, რომელიც შესდგა დეიტონში. ბიოლოგიის ახალგაზრდა მასწავლებელი პასუხისგებაში მისცეს მხოლოდ იმიტომ, რომ საშუალო სკოლაში იგი დარვინის ევოლუციურ თეორიას ასწავლიდა.

მუშათა საგაფიცვო მოძრაობა ე. წ. „აყვავების“ პერიოდში თავდაცვათ ხასიათს ატარებდა. შრომის ამერიკული ფედერაცია გაძლიერებულად ქადაგებდა მუშათა კლასის რიგებში ბურჟუაზიულ თეზისს „კლასობრივი თანამშრომლობის“ შესახებ.

აშშ მუშათა კლასის და კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე უ. ფოსტერი ამ პერიოდის მუშათა მოძრაობის შესახებ აღნიშნავდა, რომ იგი მთლიანად ჩაფლული იყო „კლასობრივი თანამშრომლობის“ ჭაობში, რომ მისი საბრძოლო განწყობილება მოშლილი იყო შაფ-ის გამყიდველური პოზიციის შედეგად. მიუხედავად ამისა ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მუშათა სერიოზულ საგაფიცვო მოძრაობას. 1925 წელს გაფიცვებში მონაწილეობდა 428 ათასი. 1926 წელს — 329 ათასი, 1927 წელს—330 ათასი, 1928 წელს—314 ათასი, 1929 წელს—288 ათასი კაცი.

ე. წ. „აყვავების“ პერიოდში აშშ კომპარტია დანაგვიანებული აღმოჩნდა მემარჯვენე და მემარცხენე ფრაქციონერების მიერ, რაც კომპარტიას ასუსტებდა. მემარჯვენე ფრაქციონერებს სათავეში უდგა რევიზიონისტული ჯგუფი, რომელშიც აქტიურ როლს ასრულებდნენ ლოვსტონი და პეპერი. უ. ფოსტერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული გადახრა მარქსიზმიდან და კაპიტულაცია კაპიტალიზმის წინაშე.

მემარჯვენეები ქადაგებდნენ აშშ კაპიტალიზმის განვითარების „განსაკუთრებულობის თეორიას“, რომ მასზე არ ვრცელდება კაპიტალიზმის საერთო კანონები, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია თითქოს არის მყარი, რომლის დროსაც თითქოს უზრუნველყოფილია „მუდმივი აყვავება“ და ა. შ. ტექნიკურ პროგრესს აშშ-ში ისინი იხილავდნენ, როგორც „მეორე სამრეწველო რევოლუციას“.

მემარცხენეებს სათავეში უდგნენ ტროცკისტები კენონის მეთაურობით.

კომინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტმა არა ერთხელ განიხილა აშშ-ის კომპარტიაში შექმნილი ვითარება და მოითხოვა, რათა დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო ფრაქციული ბრძოლა. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტი ლოვსტონ — პეპერის მცდარ შეხედულებებს შემდეგნაირად ახასიათებს: „კაპიტალიზმის კრიზისი, მაგრამ არა ამერიკაში; მასების გამმარცხენება, მაგრამ არა ამერიკაში, რეფორმიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა, მაგრამ არა ამერიკაში, მემარჯვენე საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, მაგრამ არა ამერიკის კომუნისტურ პარტიაში“.

კომინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტმა 1925—27 წლებში არაერთხელ მიმართა აშშ-ის კომპარტიას, რათა ბოლო მოღებოდა ამ ფრაქციულ ბრძოლას. და ბოლოს კომინტერნის VI კონგრესმა კატეგორიულად მოითხოვა აშშ-ის კომპარტიის რიგებიდან ფრაქციონერთა გარიცხვა. 1928 წლის შემოდგომაზე პარ-

ტიიდან გარიცხეს ტროცკისტები, ხოლო 1929 წლის მარტში კი მემარჯვენეები ლოვსტონ — პეპერის მეთაურობით.

კ. კულიჯის მთავრობის საგარეო პოლიტიკა

რეაქციული იყო კ. კულიჯის მთავრობის საგარეო პოლიტიკაც. აშშ ამ დროს საერთაშორისო ჟანდარმის როლში გამოდიოდა, იგი ებრძოდა თავისი კონტინენტის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. აშშ-მა მოაწყვეს ინტერვენცია და ადგილობრივი რეაქციული ძალების მხარდაჭერით სახელმწიფო გადატრიალებანი: ნიკარაგუაში, ჰაიტში, სანდომინგოში, პანამაში, ჰონდურასში, ხოლო 1927 წელს ჩაახშეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ფილიპინებზე და ა. შ.

ამერიკის მონოპოლისტებმა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს ლათინური ამერიკის ქვეყნებში და იქიდან ევროპელი იმპერიალისტური მეტოქეები გამოდევნეს.

1927 წლის მარტში აშშ სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ინგლისსა და იაპონიასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ნანკინის დაბომბვაში, ხოლო შემდეგ მხარი დაუჭირა ჩან კაი-შის კონტრრევოლუციურ გადატრიალებას.

აშშ იმპერიალისტების მიერ შედგენილი დაუესის გეგმის საფუძველზე დაიწყო გერმანიის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენა. ამერიკის მთავრობა და მონოპოლისტები გულუხვად აძლევდნენ გერმანიას მილიარდობით სესხს, რათა სწრაფად მოეხდინა მას ქვეყნის მილიტარიზაცია და იგი ანტისაბჭოთა აგრესიის ბუდედ გაეხადათ.

აშშ მთავრობამ ჩაშალა განიარაღების კონგრესის მოწვევა და საზღვაო შეიარაღებას აძლიერებდა.

§ 10. ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო ეკონომიური კრიზისის და ომისწინა პერიოდში

1928 წელს ჩატარდა მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები. რესპუბლიკურმა პარტიამ ამ არჩევნებში თავის კანდიდატად ჰერბერტ ჰუვერი წამოაყენა, რომელიც მუდმივი აყვავების ლოზუნგით გამოვიდა. ჰუვერი მსხვილი მონოპოლიური ბურჟუაზიის ფენებს ეკუთვნოდა და მათი ინტერესების პირწავარდნილი დამცველი იყო. მანამდე შვიდი წლის განმავლობაში მას ვაჭრობის მინისტრის პოსტი ეკავა და ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე იყო საბჭოთა კავშირთან საგაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა. ოქტომბრის რევოლუციამდე ის რუსეთის „მაიკოპნავთის“ ტრესტის საკმაოდ სოლიდური აქციების მფლობელი იყო. ეს ტრესტი, ისე როგორც სხვა საწარმოები, საბჭოთა მთავრობის მიერ ნაციონალიზებულ იქნა. პრეზიდენტად არჩევის ჩემდეგ ჰუვერი არ მალავდა, რომ თავისი ცხოვრების მთავარ ამოცანად საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობას სთვლიდა. რესპუბლიკური პარტიისა და პირადად ჰუვერის დემაგოგიამ ამერიკის ეკონომიკის „მუდმივი აყვავების“ შესახებ საწადელს მიაღწია. ჰუვერი არჩეული იქნა პრეზიდენტად, მაგრამ ცხოვრებამ მალე უარყო მრეწველობის მუდმივი „აყვავების“ ლეგენდა.

„აყვავების“ პერიოდი, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, არ შეხებია

მშრომელთა მასების, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომელთა მსყიდველობითი დონე ძალზე დაბალი იყო, ამიტომ მრეწველობის „აყვავებას“ მალე „ჭარბი“ წარმოება მოჰყვა. ჭარბი წარმოება უმნიშვნელოვანეს სამრეწველო დარგებში უკვე 1929 წლის ზაფხულიდან იგრძნობოდა. ჰუვერის მთავრობისა და ფინანსური და სამრეწველო მაგნატების ყოველგვარი ცდები, რომ ეკონომიური კრიზისი თავიდან აეცილებინათ, მარცხით დამთავრდა. ეკონომიური კრიზისი კაპიტალიზმის განვითარების გარდუვალი შედეგი არის.

1929 წ. ოქტომბერში დაიწყო ეკონომიური კრიზისი, რომელმაც მსოფლიო ხასიათი მიიღო და მთელ კაპიტალისტურ სამყაროს მოედო. სამრეწველო კრიზისი გადაიხლართა აგრარულ, ფინანსურ და სავაჭრო კრიზისში. იგი 1933 წლამდე გაგრძელდა. მან დიდი დარტყმა მიაყენა ამერიკის ეკონომიკას. ქვეყნის ეკონომიკა დაეცა 1913 წლის დონეზე დაბლა. ეკონომიური კრიზისის დროს წარმოება 1933 წელს თითქმის ორჯერ შემცირდა 1929 წელთან შედარებით, გაკოტრდა 135 ათასი სამრეწველო და სავაჭრო საწარმო და ნახევარზე მეტი ამერიკის ბანკი. უმუშევართა რაოდენობამ 1933 წლის გაზაფხულისათვის 17 მილიონ კაცს მიაღწია, რაც უფრო მეტი იყო, ვიდრე ყველა სახელმწიფოში ერთად აღებული.

მკვეთრად დაეცა ეროვნული შემოსავალი, იგი შემცირდა თითქმის ორჯერ. ასევე ორჯერ მეტად შემცირდა ხელფასის ფონდი. ბევრ საწარმოში მუშათა ხელფასი განახევრდა.

აშშ-ის კონგრესმა 1930 წელს მიიღო საბაჟო კანონი, რომლითაც საზღვარგარეთიდან ამერიკაში შემოსატან საქონელზე დაწესდა მაღალი ბაჟები. ამის საპასუხოდ სხვა კაპიტალისტურმა ქვეყნებმაც გაზარდეს იმპორტის ბაჟები, რამაც გააძნელა ამერიკის ვაჭრობა საზღვარგარეთ. შედეგი ამისა კი ის გახდა, რომ ამერიკის საგარეო ვაჭრობა თითქმის სამჯერ შემცირდა.

მთავრობა ფიქრობდა, რომ ბანკების, წარმოების და სოფლის მეურნეობის დაფინანსებით შეძლებდა ეკონომიური კრიზისიდან თავის დაღწევას. ამ მიზნით 1931 წელს შეიქმნა „ეროვნული საკრედიტო კორპორაცია“ 500 მლნ. დოლარის კაპიტალით, რომელიც 1932 წელს გადაკეთდა „სარეკონსტრუქციო ფინანსიურ კორპორაციად“ 3,5 მილიარდი დოლარის კაპიტალით. აგრარული კრიზისიდან გამოსვლისათვის შეიქმნა „ფერმერთა ფედერალური ბიურო“ 500 მლნ. დოლარის კაპიტალით. მაგრამ მთავრობის სუბსიდიები კორპორაციებისადმი, რომელიც გადასახადების გადამხდელების ხარჯზე ტარდებოდა, სასურველ შედეგს ვერ აღწევდა. ეს კორპორაციები მაღალი ფასების შენარჩუნების მიზნით სამრეწველო და სასურსათო საქონელზე აწარმოებდნენ საქონლის დიდი პარტიებით შესყიდვას და მის განადგურებას მაშინ, როდესაც მილიონობით ადამიანი სიღატაკესა და შიმშილისაგან დაბეჩავებული იყო. მთავრობა ფიქრობდა მხოლოდ მსხვილი მონოპოლისტების, ფერმერების და ბანკირების გადარჩენაზე და არავითარ ღონისძიებებს არ იღებდა მუშათა მილიონობით უმუშევართა არმიისა და საშუალო ამერიკელის მდგომარეობის შემსუბუქებაზე, რომლებიც ეკონომიური კრიზისის წლებში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მაგალითად, ეკონომიური კრიზისის წლებში ვალების გადაუხდელობის გამო 1 მლნ. ფერმა აუქციონზე გაიყიდა. ათიათასობით წვრილი საწარმოები

გაკოტრდა და კორპორაციებმა შთანთქეს. მთავრობის ე. წ. „რეგულირების“ პოლიტიკამ ვერ იხსნა ქვეყანა კატასტროფული კრიზისისაგან.

ეკონომიური კრიზისის დროს ძალზე გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობა. კომპარტიის ხელმძღვანელობით ქვეყანაში ფართოდ გაიშალა მშრომელი მასების, განსაკუთრებით უმუშევართა მოძრაობა. 1929 წელს პროფკავშირული პროპაგანდის ლიგა გადაკეთდა პროფკავშირული ერთობის ლიგად, რომელმაც ასევე დიდი როლი შეასრულა უმუშევართა მოძრაობის საქმეში. რაც შეეხება შრომის ამერიკულ ფედერაციას, იგი არა თუ გვერდზე იდგა ამ მოძრაობიდან, არამედ, პირიქით, ხელს უშლიდა მშრომელთა მოძრაობის გაშლას.

ერთადერთი პარტია, რომელიც თანმიმდევრულ ბრძოლას აწარმოებდა მშრომელთა ინტერესებისათვის, იყო აშშ კომპარტია. მართალია თავის რიგებში კომპარტია 1933 წ. აერთიანებდა 18 ათას წევრს, მაგრამ იგი ითვლებოდა მშრომელთა ერთ-ერთ გავლენიან პარტიად ქვეყანაში. კომპარტია იბრძოდა უმუშევრობის, წარმოებიდან მუშების დათხოვნის და ხელფასის შემცირების წინააღმდეგ, უმუშევართათვის დახმარების მიცემისათვის, სოციალური დაზღვევისათვის, გაკოტრებული ფერმერებისათვის დახმარების გაწევისათვის და სხვა. კომპარტია იყო აშშ-ის რიგ ქალაქებში უმუშევართა დემონსტრაციების ერთ-ერთი ორგანიზატორი, რომელიც მოეწყო 1930 წლის 6 მარტს. ეს იყო უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე. მასში მონაწილეობდა 1250 ათასი ამერიკელი მუშა. 1931 და 1932 წლებში ორგანიზებულ იქნა უმუშევართა ეროვნული ლაშქრობანი. სენტ-ლუიში უმუშევართა დემონსტრაციაში მონაწილეთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა უმუშევართა დასახმარებლად გამოეყო 200 ათასი დოლარი. მაგრამ ეს თანხა წვეთი იყო ზღვაში.

კრიზისის წლებში მკვეთრად გაიზარდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობა. 1929—1933 წწ. აშშ ადგილი ქონდა 4904 გაფიცვას და ლოკაუტს. გაფიცვებში 2305826 კაცი მონაწილეობდა. გაძლიერდა აგრეთვე ფერმერთა მოძრაობაც. 1933 წელს ფერმერთა მოძრაობამ მოიცვა 22 შტატი.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკაზე უმუშევარ ომის ვეტერანთა ლაშქრობამ. 1932 წლის ივნისის ბოლოს პირველი მსოფლიო ომის მონაწილე 25 ათასი ვეტერანი ვაშინგტონში ჩავიდა, რათა მოეთხოვა მთავრობისაგან დაპირებული პენსიების გადახდა და სოციალური დაზღვევის შემოღება მუშებისათვის. ჰუვერმა უარი თქვა მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. გენერალური შტაბის უფროსს მაკარტურს მათი განდევნა უბრძანა. მაკარტურმა ვეტერანების გასარეკად ქვეითი და კავალერიის ნაწილების გარდა ტანკებიც კი გამოიყენა.

კრიზისის დროს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ზანგები. გაძლიერდა მათი როგორც სოციალური, ასევე რასობრივი ჩაგვრა.

რეაქციული იყო ჰუვერის საგარეო პოლიტიკა ეკონომიური კრიზისის წლებში. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ჰუვერი არ მალავდა მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა სახელმწიფოსადმი. მის დროსაც აშშ მთავრობამ უარი თქვა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე. ძალზე უმნიშვნელო იყო სავაჭრო ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის. ე. წ. „წითელი დემპინგის“ საბაბით, რომელსაც თითქოს საბჭოთა სახელმწიფო

ახორციელებდა აშშ-ის ეკონომიკაში სიძნელეების შექმნის მიზნით, ჰუვერის მთავრობა საბჭოთა ექსპორტისადმი ატარებდა დისკრიმინაციის პოლიტიკას. ამის საპასუხოდ საბჭოთა მთავრობაც იძულებული გახდა მკვეთრად შეემცირებინა საქონლის შესყიდვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც უფრო მეტად ამერიკისათვის იყო არახელსაყრელი. კვლავ გრძელდებოდა ამერიკის მხარდაჭერა გერმანიის ვერმახტის აღორძინებისათვის, რომელსაც, ამერიკის მმართველი წრეების აზრით, გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა საბჭოთა სახელმწიფოს განადგურებაში. 1929 წელს ამერიკის მმართველი წრეების მხარდაჭერით „დაუესის გეგმა" შეიცვალა „იუნგის გეგმით", რომლითაც ვერსალის ზავით გათვალისწინებული სამხედრო და ეკონომიური კონტროლი ფაქტიურად გაუქმდა. 1931 წლის ივნისში ჰუვერის ინიციატივით გერმანიას ჯერ გაუგრძელეს რეპარაციების გადახდის ვადა, ხოლო შემდეგ კი იგი ფაქტიურად მთლიანად განთავისუფლდა მისგან. 1931 წელს, როდესაც იაპონიამ მანჯურიის ოკუპაცია მოახდინა, ჰუვერის მთავრობა აქეზებდა იაპონიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიისათვის, მაგრამ გამოირკვა, რომ იაპონიის მმართველი წრეები აგრესიის გაფართოებას უფრო ხელსაყრელად თვლიდნენ სამხრეთისაკენ, ვიდრე ჩრდილოეთით, სადაც წარმატების იმედი ნაკლები იყო. ამან გაამწვავა ამერიკა-იაპონიის ურთიერთობა.

1931 წლისათვის აშშ პირველი ადგილი დაიკავა ჩინეთთან ვაჭრობაში. ბუნებრივია, რომ იაპონიის აგრესია დიდ საშიშროებას უქმნიდა ამერიკის ინტერესებს ჩინეთში. ჰუვერის მთავრობის პროტესტი შეიზღუდა მხოლოდ 1932 წლის 7 იანვრის ნოტით იაპონიისა და ჩინეთის მთავრობისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აშშ მთავრობა არასოდეს არ სცნობს იაპონიის დაპყრობებს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში. ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია იაპონიისათვის გაეზარდა იარაღის შესყიდვა. სწორედ ამ დროს იაპონიამ გაზარდა იარაღის და ლითონის შესყიდვა აშშ-ში. აშშ მონოპოლისტების სიხარბემ კიდეც ერთხელ იჩინა თავი. იაპონიის აგრესია მათ გამდიდრების წყაროდ გამოიყენეს და მკვეთრად გაუზარდეს მას სამხედრო საჭურვლის მიწოდება. ეს ამბავი ისე აშკარა და თვალში საცემი გახდა, რომ ხალხთა საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. 1932 წელს აშშ რიგ ქალაქებში: ნიუ-იორკში, პისტბურგში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, ბოსტონში და სხვაგან მიტინგები და დემონსტრაციები ჩატარდა იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ, ხოლო ფილადელფიის 1200 მუშამ უარი თქვა სამხედრო საჭურვლით დაეტვირთა გემები, რომლებიც იაპონიაში იგზავნებოდნენ.

ფ. რუზველტის „ახალი კურსი"

„შიმშილის პრეზიდენტის", როგორც ჰუვერს უწოდა ამერიკელმა ხალხმა, აშკარა რეაქციულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ გაჭირვების გარდა კარგი არაფერი მოუტანა ამერიკელ ხალხს. რესპუბლიკური პარტიის უნაყოფო დემაგოგია მუდმივი „აყვავების" შესახებ ხომ სამარცხვინო კრახით დამთავრდა. 1932 წლის არჩევნებში რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში 1920 წლიდან შეუცვლელად იდგა, მარცხი განიცადა. ამერიკის გაბატონებულ კლასებს, დროებით აღარ აწყობდათ ამ სახელგატეხილი

პარტიის ხელისუფლების სათავეში ყოფნა და პრეზიდენტის პოსტზე მხარი დაუჭირეს დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატს ფ. რუზველტს. ორპარტიული პოლიტიკური დუელის ჭიდილში გამარჯვება გამოცდილ და შოქნილ პოლიტიკოსს ფ. რუზველტს დარჩა, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს ფართო დაპირებების პროგრამით გამოვიდა. ეს პროგრამა „ახალი კურსის" სახელწოდებითაა ცნობილი.[1] ეკონომიურმა კრიზისმა მძლავრად შეარყია ამერიკის კაპიტალიზმი და გაამწვავა კლასობრივი წინააღმდეგობა. ამერიკის გაბატონებული კლასების ნაწილი ეკონომიური სიძნელეებიდან და კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებიდან თავის დაღწევას, გერმანიის მსგავსად, ქვეყნის ფაშიზაციაში ეძებდნენ, მაგრამ ამავე დროს მათ აშინებდათ ხალხთა მასების მრწამსი უკვე ტრადიციულად დამკვიდრებული, ფორმალური, დემოკრატიული თავისუფლებებისადმი. ამიტომ ისინი გიმოსავალს რეფორმებში ეძებდნენ, რომლებიც ძირითადად არ შეეხებოდა კაპიტალიზმის საფუძვლებს, მაგრამ მოქნილი პოლიტიკის მეშვეობით ამერიკას პოლიტიკური და ეკონომიური ჩიხიდან გამოიყვანდა. ასეთ პოლიტიკოსად ამერიკის კაპიტალიზმს მოევლინა ფ. რუზველტი, რომელიც, პირველად ამერიკის ისტორიაში, ოთხჯერ ზედიზედ აირჩიეს პრეზიდენტად (1932 წ., 1936 წ., 1940 წ. და 1944 წ).

ფ. რუზველტმა ქვეყნის მართვის „ახალი კურსი" შეიმუშავა. მისი მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მთავრობის მიერ ქვეყნის ეკონომიკაში აქტიურად ჩარევის ე. წ. რეგულირების გზით თავიდან აეცილებინა ჭარბი წარმოება, მოეხდინა მრეწველობის მართვის ცენტრალიზაცია და შემოეღო მეურნეობის ყველა დარგის წარმოების გეგმიურობა. მაგრამ კაპიტალისტური მეურნეობის, კერძო საკუთრების პირობებში შეუძლებელია. მოშლილი ფინანსური სისტემის მოწესრიგების მიზნით რუზველტის მთავრობამ აკრძალა საზღვარგარეთ ოქროს გატანა და გაატარა დოლარის დევალვაცია. ბანკებმა სახელმწიფო ხაზინიდან სესხად სამი მილიარდი დოლარი მიიღეს. იძულებით გატარდა წვრილი ბანკების გამსხვილება.

სამრეწველო პროდუქციის წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესებისა და წინასწარ დაგეგმვის მიზნით 1933 წლის ივნისში ძალაში შევიდა კანონი მრეწველობის გაჯანსაღების ეროვნული ადმინისტრაციის შექმნის შესახებ („ნირა"). ნირას სათავეში ჩააყენეს ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და შრომის ამერიკული ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად მსხვილი მონოპოლისტების წარმომადგენლები, მაგალითად, სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ჰარიმანი, სლოანი („ჯენერალ მოტორს"), თეიგლი („სტანდარდ ოილ"), რასლობი (მორგანის ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფი). ნირამ „ტვინის ტრესტის" სახელი მიიღო. ეს ე. წ. „ტვინის ტრესტი" ყველა მეწარმეს ავალებდა გაერთიანებულიყო და მრეწველობის ყოველ დარგში შეემუშავებინა „პატიოსანი კონკურენციის კოდექსები". ნირა ფაქტიურად წარმოების იძულებითი კარტელიზაციისათვის ოფიციალურ ორგანად გადაიქცა. ათასობით წვრილი და საშუალო საწარმოები შთანთქა მსხვილმა მონოპოლიებმა.

---

[1] ფ. რუზველტი დაიბადა 1882 წელს მსხვილი მეწარმისა და მიწათმფლობელის ოჯახში. მან იურიდიული განათლება ჰარვარდისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში მიიღო. პირველი მსოფლიო ომის წლებში იყო საზღვაო მინისტრის თანაშემწე უილსონის მთავრობაში, 1929 წლიდან კი—ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი.

ნირას მოქმედების პირველ წლებში მის ხელში გაერთიანდა ამერიკის მთელი სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების 95%. „კოდექსები“ აწესებდნენ წარმოების მოცულობას, ხელფასის რაოდენობას, სამუშაო დღის ხანგრძლივობას, ფასებს საქონელზე, ინაწილებდნენ ბაზრებს და ა. შ.

„კოდექსების“ მეშვეობით მთავრობა ცდილობდა პროდუქციის წარმოების გეგმიურ შემცირებას და ასეთი გზით კრიზისის თავიდან აცილებას.

აგრარული კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით 1933 წ. მაისში შექმნილი იქნა „სოფლის მეურნეობის რეგულირების ადმინისტრაცია“, AAA, რომლის მთავარი ამოცანა იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჭარბი წარმოების თავიდან აცილება და ფასების გაზრდა. კრიზისის დროს სოფლის მეურნეობის საქონელზე ფასები ძალზედ დაეცა და ხშირად ტრანსპორტის ხარჯებსაც ვერ ანაზღაურებდა, ამიტომ ამ ადმინისტრაციის მთავარი ამოცანა იყო ფასების გაზრდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. სახელმწიფო ფერმერებისაგან დიდძალ პროდუქტებს და პირუტყვს იძენდა და მის დიდ ნაწილს ანადგურებდა. მარტო ერთი წლის განმავლობაში აღნიშნულმა ადმინისტრაციამ შეისყიდა 23 მლნ. რქოსანი პირუტყვი და 6,4 მლნ. ღორი, რომლის დიდი ნაწილი გაანადგურა. ხორცი გადამუშავდა მინერალურ სასუქად. მთავრობა სუბსიდიებს აძლევდა იმ ფერმერებს, რომელნიც ამცირებდნენ სათეს ფართობებსა და პირუტყვს.

ამ ღონისძიებებს არავითარი შეღავათი არ მოუტანია წვრილი ფერმერებისათვის. პირიქით, მათი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა.

მცირე მიწის მქონე ფერმერებს სუბსიდიების მიღების არავითარი იმედი სახელმწიფოსაგან არ შეიძლება ქონოდათ, აღნიშნული ღონისძიებები ხელსაყრელი აღმოჩნდა მხოლოდ მსხვილი ფერმერებისათვის, რომლებიც სახელმწიფოსაგან სუბსიდიებს ღებულობდნენ. ისინი ამცირებდნენ სათეს ფართობებს. მაგალითად, შეკვეცილ იქნა 3 მლნ. ჰექტარი მარცვლეულისა და 4 მლნ. ჰექტარი ბამბის საოესი ფართობი, მაგრამ 1934 და 1935 წლებში მოსავალი ისეთივე იყო, როგორც ადრე. საქმე იმაში იყო, რომ მსხვილი ფერმერები ამცირებდნენ ცუდმოსავლიანი მიწების სათეს ფართობებს, მაგრამ სამაგიეროდ ნაკლებ ფართობზე იგივე რაოდენობის მოსავალს ღებულობდნენ, როგორც ადრე. უარყოფითი გავლენა მოახდინა პირუტყვის მოსპობამ, რის გამოც მომავალ წლებში თავი იჩინა ხორცისა და რძის ნაწარმის ნაკლებობამ.

მთავრობამ ვერაფერი ვერ მოუხერხა უმუშევრობის ლიკვიდაციას, 1934 წელს შექმნილ იქნა „საგანგებო დახმარების ფედერალური ადმინისტრაცია“, რომელიც 1935 წელს შეიცვალა „საზოგადოებრივი სამუშაოების განვითარების ადმინისტრაციით“. უმუშევრობის ლიკვიდაციისათვის მთავრობამ 3,5 მილიარდი დოლარი დახარჯა. უმუშევრებს აგზავნიდნენ შრომის ბანაკებში, სადაც მათ სხვადასხვა სამუშაოებზე იყენებდნენ, მაგრამ ამ ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო უმუშევრობის აღმოფხვრა, რომელიც კაპიტალიზმის აუცილებელ თანამგზავრს წარმოადგენს.

„ახალი კურსის“ მეშვეობით ამერიკის კაპიტალიზმმა დროებით შეძლო კრიზისიდან თავის დაღწევა. 1934 წელს ამერიკის ეკონომიკა გამოვიდა კრიზისიდან. მაგრამ 1936 წლამდე ივი დეპრესიის (მოდუნების) მდგომარეობაში იყო. 1936 წლიდან დაიწყო ეკონომიკის გამოცოცხლება, რომელიც 1937

წლის შემოდგომამდე გაგრძელდა. ამ დროისათვის აშშ-ს ეკონომიკამ მიაღწია 1929 წლის დონეს.

„ახალმა კურსმა“ ქვეყანაში აშშ-ის მსხვილი ბურჟუაზიის პოზიციები განამტკიცა. სახელმწიფოს ჩარევამ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ხელსაყრელი პირობები შექმნა მონოპოლისტური კაპიტალის წამყვანი ჯგუფისათვის.

ფ. რუზველტის პრეზიდენტობისას, წერდა უ. ფოსტერი: „მონოპოლიები მთავრობის წყალობით არნახული სისწრაფით იზრდებოდნენ, მნიშვნელოვნად განმტკიცდა სახელმწიფო კაპიტალიზმი“. „ახალ კურსს“ არავითარი სერიოზული ცვლილებები ამერიკის ეკონომიურ და სოციალურ სტრუქტურაში არ მოუტანია, სამაგიეროდ გააძლიერა მუშათა კლასის, ფერმერების და წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკური აქტივობა.

ბურჟუაზიაც, რომელიც დამფრთხალი იყო კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით, ეკონომიური კრიზისის წლებში თავდაპირველად მხარს უჭერდა „ახალ კურსს“. მაგრამ ეკონომიური დეპრესიის დაწყებისთანავე ბურჟუაზიამ ჩათვალა, რომ „ახალმა კურსმა“ შეასრულა თავისი მისია და მოითხოვდა მის გაუქმებას. 1935 წლის მაისში „ახალი კურსის“ ღონისძიებები უმაღლესმა სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად ცნო და გააუქმა. სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. 1937 წლის შემოდგომიდან აშშ კვლავ დაიწყო ეკონომიური კრიზისი. 1938 წლისათვის 1929 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოება 28 %-ით დაეცა, უმუშევართა რაოდენობამ კი 11 მლნ. კაცამდე მიაღწია. ამერიკის ეკონომიკა კრიზისიდან მხოლოდ მეორე მსოფლიო ომმა იხსნა.

მუშათა მოძრაობა 1933—1939 წწ.

როგორც აღვნიშნეთ, „ახალ კურსს“ არავითარი სერიოზული ცვლილებები არ მოუტანია ამერიკის ეკონომიურ და სოციალურ სტრუქტურაში, მაგრამ სამაგიეროდ გააძლიერა მშრომელი მასების, უპირველეს ყოვლისა, მუშათა კლასის პოლიტიკური აქტივობა. 30-იან წლებში ადგილი ჰქონდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობას. მუშები, ხელფასის მომატებისა და სამუშაო დღის შემცირების გარდა, მოითხოვდნენ კოლექტიური ხელშეკრულებებისა და პროფკავშირთა უფლებების ცნობას მეწარმეების მიერ. ფართო ხასიათი მიიღო მუშათა მოძრაობამ აღნიშნული მოთხოვნების სახელმწიფოს მიერ დაკანონებისათვის.

მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ასეთი მოთხოვნებისათვის და დათმობებზე წასულიყო. 1935 წ. გამოიცა ვაგნერის კანონი, რომლითაც მუშებს პროფკავშირების შექმნისა და კოლექტიური ხელშეკრულების დადების უფლება მიეცათ. დაწესდა ხელფასის მინიმუმი და აიკრძალა ბავშვის შრომა წარმოებაში. კაპიტალისტებს ეკრძალებოდათ მუშების დევნა გაფიცვებისა და პროფკავშირების ორგანიზაციებისათვის. იმავე წლის კანონით დაწესდა მუშათა პენსიები 65 წლის ასაკიდან, დახმარება უმუშევრებისათვის, ინვალიდებისათვის, ობლებისა და ქვრივებისათვის, აგრეთვე სოციალური დაზღვევის უფლება მუშებისათვის.

მუშებმა მდგომარეობის ამ გაუმჯობესებას დაძაბული ბრძოლის შედეგად

მიაღწიეს. 1934—1939 წწ. აშშ 16 ათასი გაფიცვა მოხდა, რომელშიც 7 მილიონზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

ამ მრავალრიცხოვანი გაფიცვებიდან 1933 წელს კლასობრივი ბრძოლის სიმძაფრით განსაკუთრებით გამოირჩეოდა სამრეწველო საწარმოების მუშათა გაფიცვა ნიუ-იორკში, რომელშიც 60 ათასი მუშა იღებდა მონაწილეობას, სამხრეთ კაროლინის 65 ათასიანი ფეიქართა გაფიცვა პენსილვანიაში. 1934 წლის მაისში სან-ფრანცისკოს მტვირთავი მუშებისა და მეზღვაურთა საყოველთაო გაფიცვა 35 ათასი კაცის მონაწილეობით დამთავრდა სისხლისმღვრელი შეტაკებებით გაფიცულ მუშებსა და მთავრობის ჯარებს შორის, რომლის დროსაც მოკლული იქნა 2 და დაჭრილი — 115 კაცი. ამის საპასუხოდ 16 ივლისს გაიფიცა 127 ათასი სან-ფრანცისკოსა და მეზობელი ქალაქების მუშები. ეს გაფიცვა სამ დღეს გრძელდებოდა. 19 ივლისს არცერთი გემი არ შესულა სან-ფრანცისკოში. გაფიცულებმა მიაღწიეს ხელფასის გაზრდას და წყნარი ოკეანის სანაპიროს მტვირთავი მუშების პროფკავშირების ცნობას.

1934 წლის სექტემბერში ხელფასის 25 %-ით შემცირებას ამერიკის თითქმის მთელი საფეიქრო წარმოების მუშებმა უპასუხეს საყოველთაო გაფიცვით, რომელშიც მილიონმა კაცმა მიიღო მონაწილეობა და სამ კვირას გრძელდებოდა, მაგრამ შაფ-ის რეფორმისტი ლიდერების გამცემლური ჩარევის შედეგად ეს გაფიცვა მუშათა დამარცხებით დამთავრდა.

ფართო ხასიათი მიიღო ე. წ. „მჯდომარე გაფიცვამ". ასეთი გაფიცვიდან აღსანიშნავია 1936 წლის დეკემბერში მომხდარი გაფიცვა საავტომობილო ქარხნების კონცერნის „ჯენერალ მოტორზ"-ის მუშებისა ქ. ფლინტში 135 ათასი კაცის მონაწილეობით, რომელიც 44 დღეს გრძელდებოდა და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. ასეთი სახის გაფიცვაში 1936 წლის სექტემბრიდან 1937 წლის მაისამდე დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი მონაწილეობდა.

შრომის ამერიკული ფედერაციის რეფორმისტული ხელმძღვანელობის გამყიდველური პოლიტიკა მუშათა კლასის ინტერესებისადმი მუშათა დიდ აღშფოთებას იწვევდა. ამიტომ მასობრივი საწარმოო პროფკავშირების შექმნისათვის ბრძოლა 30-იან წლებში მუშათა მოძრაობის თავისებურება იყო.

ამ მოძრაობის ერთ-ერთ ორგანიზატორად კომპარტია გამოდიოდა. კომპარტია იბრძოდა, რათა შრომის ამერიკული ფედერაციის სათავეში ნაცვლად რეაქციული ხელმძღვანელობისა, რევოლუციური ხელმძღვანელობა ყოფილიყო. ამ მიზნით 1935 წლის მაისში პროფკავშირული ერთობის ლიგამ თვითდათხოვნილად გამოაცხადა თავი და შევიდა შაფ-ში. მართალია, ამ ნაბიჯმა გააძლიერა მემარცხენე ძალები შაფ-ის შიგნით, მაგრამ მათი ყოველგვარი ცდები შაფ-ის გარდაქმნისა უშედეგოდ დამთავრდა. ამას მალე გათიშვა მოჰყვა შაფ-ში და 1935 წლის ნოემბერში 8 უმსხვილესმა პროფკავშირმა, რომელიც აერთიანებდა 1 მილ. მეტ წევრს (ძირითადად არაკვალიფიციურ მუშებს), შექმნა საწარმოო პროფკავშირების კომიტეტი, რომელიც 1938 წ. საწარმოო პროფკავშირების კონგრესად გადაიქცა. ამრიგად აშშ-ში პროფკავშირთა ორი ცენტრი შეიქმნა — შაფ-ის სათავეში კვლავ რეაქციული ლიდერები დარჩნენ, ხოლო საწარმოო პროფკავშირების კონგრესის სათავეში კი მემარცხენეებისა და ცენტრის ბლოკი მოექცა.

1937 წლისათვის საწარმოო პროფკავშირთა კონგრესი თავის რიგებში დაახლოებით 4 მილ. წევრს აერთიანებდა. ოპორტუნისტები სოციალისტური პარ-

ტიიდან, შრომის ამერიკული ფედერაციიდან და სხვები ცდილობდნენ რუზველტის „ახალი კურსი“ ისე წარმოედგინათ, თითქოს იგი გამორიცხავდა კლასთა ბრძოლისა და გაფიცვების აუცილებლობას და მუშებს თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდნენ ბურჟუაზიასთან.

აშშ კომპარტიამ სწორად შეაფასა „ახალი კურსის“ კლასობრივი არსი. კომუნისტური პარტია განუმარტავდა რა მუშებს „ახალი კურსის“ კლასობრივ არსს, მიუთითებდა, რომ მისი ამოცანაა კაპიტალიზმის განმტკიცება და მშრომელთა მასების რევოლუციური ბრძოლის თავიდან აცილება, პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების დეზორგანიზაცია და მასში კლასობრივი თანამშრომლობისა და რეფორმისტული ილუზიების დანერგვა. კომუნისტები ააშკარავებდნენ რა რუზველტის „ახალი კურსის“ კლასობრივ არსს, ამასთანავე არ უარყოფენ მის პროგრესულ მნიშვნელობას, ვინაიდან ამ ღონისძიებებმა საგრძნობლად შეამსუბუქა მუშების მძიმე მდგომარეობა.

გაიზარდა აშშ კომპარტიის რიგებიც. 1939 წელს იგი დაახლოებით 100 ათას წევრს აერთიანებდა, მაგრამ პარტია არ იყო თავისუფალი სექტანტური ელემენტებისაგან. კომპარტიას დიდ ზიანს აყენებდა გენერალური მდივნის ე. ბრაუდერის რევიზიონიზმი, რომელიც ფაქტიურად უარყოფდა კომპარტიის დამოუკიდებელი პოლიტიკის აუცილებლობას. მისი აზრით, მარქსიზმ-ლენინიზმი დამოუკიდებელი პროლეტარული მოძღვრება კი არა, ბურჟუაზიული დემოკრატიზმის განვითარების შედეგია. ე. ბრაუდერი თავისი რევიზიონისტული შეხედულებებით ფაქტიურად კლასობრივი ბრძოლის უარყოფამდე მიღიოდა, მაგრამ კომპარტიის ჯანსაღი ძალები უ. ფოსტერისა და უ. დენისის ხელმძღვანელობით ებრძოდნენ ბრაუდერის ოპორტუნიზმს. კომპარტია ომის წინ იბრძოდა ქვეყნის ყველა პროგრესული ძალების შემჭიდროებისათვის ერთიან სახალხო ფრონტად და ფაშისტური საშიშროების წინააღმდეგ.

ფ. რუზველტის მთავრობის საგარეო პოლიტიკა ომის წინ

ფ. რუზველტმა თავისი საგარეო პოლიტიკის „ახალ კურსად“, ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კომპანიის დროს, საბჭოთა კავშირის ცნობა და მასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის დამყარება გამოაცხადა.

1933 წლის 16 ნოემბერს რუზველტის მთავრობის ინიციატივით საბჭოთა კავშირსა და აშშ შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა, ხოლო 1935 წელს კი ხელმოწერილ იქნა ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც 1937 წელს შეცვლილ იქნა ახალი სავაჭრო ხელშეკრულებით. ამ შეთანხმების შედეგად, რომელიც ხელსაყრელი იყო ორივე სახელმწიფოსათვის, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ურთიერთვაჭრობა. რუზველტის მთავრობის რეალისტური მიდგომა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საქმეში ნაკარნახევი იყო თვით ამერიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ინტერესებით.

ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი რუზველტის მიერ გამოცხადებული „კეთილი მეზობლის“ პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო ის, რომ არ დაეშვა გერმანიის გავლენის ზრდა და უზრუნველეყო აშშ მონოპოლიების პოზიციების განმტკიცება. „კეთილი მეზობლის“ პოლიტიკა ფაქტიურად წარმოადგენდა ცუდად შენიღბულ დოქტრინის გაგრძელებას — „ამერიკა ამერიკელებისათვის“. მაგრამ ამ პოლიტიკას ხელი არ შეუშლია აშშ მმართველი წრეებისათვის ჩარე-

ულიყო ნიკარაგუის, მექსიკის, ბრაზილიის და სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში.

ამერიკის მონოპოლისტების ის ჯგუფი, რომელიც დაკავშირებული იყო გერმანიის და იაპონიის მონოპოლისტებთან და რომელმაც „იზოლაციონერების" სახელწოდება მიიღო, მოითხოვდა, რათა აშშ არ ჩარეულიყო ევროპის და აზიის საქმეებში და გაეტარებინა ნეიტრალიტეტის პოლიტიკა.

ამ დროს მსოფლიოში არსებობდა ომის ორი კერა — ერთი ევროპის ცენტრში გერმანიის ფაშიზმის სახით და მეორე კი შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის აგრესიასთან დაკავშირებით ჩინეთში, ამიტომ წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოს მათ შორის აშშ-ის ნეიტრალური პოლიტიკა ხელსაყრელი იყო მხოლოდ ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთათვის. ამასთანავე, „ნეიტრალიტეტის" პოლიტიკის მომხრეებს აშშ-ში ფაქტიურად ასეთი პოლიტიკის გატარებით ხელის შეწყობა სურდათ ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთათვის, რომ მათ ომი გაეჩაღებინათ საბჭოთა კავშირთან.

ამრიგად, „იზოლაციონერების" მთავარი მიზანი ის იყო, რომ აშშ ომის გაჩაღებაში წინააღმდეგობა არ გაეწიათ აგრესორებისათვის თუ რა თქმა უნდა, ეს აგრესია საშიშროებას არ უქმნიდა უშუალოდ თვით აშშ-ის ინტერესებს. „იზოლაციონერების" მეთაურები იყვნენ: გ. ჰუვერი, რ. ტაფტი, ა. ვანდენბერგი და სხვები.

მეორე დაჯგუფებას, რომელსაც თვითონ ფ. რუზველტი ედგა სათავეში, „ინტერნაციონალური" ეწოდა. ის მონოპოლისტთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც ინგლისის კაპიტალთან იყო დაკავშირებული. ეს ჯგუფი თვლიდა, რომ „იზოლაციონური" პოლიტიკა შეასუსტებდა აშშ საერთაშორისო პოზიციებს და გავლენას.

1935 წელს აშშ კონგრესმა მიიღო „ნეიტრალიტეტის" კანონი, რომლითაც მეომარი სახელმწიფოებისათვის აიკრძალა იარაღის მიყიდვა, ხოლო 1936 წლის კანონით კი სესხის მიცემა. „ნეიტრალიტეტის" კანონი არავითარ განსხვავებას არ ითვალისწინებდა აგრესორის მსხვერპლსა და აგრესორს შორის და ფაქტიურად აგრესორთა წინააღმდეგ კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის უარყოფას ნიშნავდა. „ნეიტრალიტეტის კანონი", პირიქით, ხელსაყრელი იყო აგრესორებისათვის, ფაშისტური ბლოკისათვის. იტალია — აბისინიის ომის დროს, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომის დროს ესპანეთში, აშშ კონგრესმა „ნეიტრალიტეტის" კანონი გაავრცელა აბისინიასა და ესპანეთზე, უარი უთხრა მათ სესხებზე და იარაღის მიყიდვაზე და დაუცველად მიატოვა ისინი ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური იტალიის წინაშე. ამასთანავე, გერმანია და იტალია სხვადასხვა გზებით მაინც ახერხებდნენ იარაღის შესყიდვას აშშ-ში. „ნეიტრალიტეტის" პოლიტიკის მთავარი არსი მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ ხელი შეეწყო ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოებისათვის ომის გაჩაღების საქმეში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს იგივე წაყრუების და წაქეზების ცუდად შენიღბული პოლიტიკა იყო, რომელმაც საშუალება მისცა ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოებს გაეჩაღებინათ მეორე მსოფლიო ომი.

იტალია პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

§ 17. იტალია 1918 — 1922 წწ.

ეკონომიური მდგომარეობა ომის შემდეგ

პირველი მსოფლიო ომის წინ იტალია სამთა კავშირში შედიოდა, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ იგი ორიეე მეომარ მხარესთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და მზად იყო მას მიმხრობოდა, ვინც მის ტერიტორიულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ქვეყნის აგრესიულ ძალებს სურდათ, რომ ომში მონაწილეობის შედეგად გაბატონებულიყვნენ ადრიატიკის ზღვაზე, პოზიციები განემტკიცებინათ ბალკანეთსა და მცირე აზიაში და შეეძინათ სამფლობელოები აფრიკასა და არაბეთში. ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეები უფრო მეტს შეპირდნენ, ვიდრე გერმანია. კერძოდ, იტალია მათ დაიმედეს, რომ მონაწილეობას მიიღებინებდნენ გერმანიისა და თურქეთის სამფლობელოების დანაწილებაში და დალმაციის, ისტრიის, სამხრეთ ტიროლის და ადრიატიკის და ეგეოსის ზღვების რიგი კუნძულების ფაპყრობაში. ამის შემდეგ 1915 წლის მაისიდან იტალია ომში ანტანტის მხარეზე ჩაება. მაგრამ იტალიის „მათხოვრულ იმპერიალიზმს“[1] არ გააჩნდა საკმაო ძალა, რომ აგრესიული ზრახვები განეხორციელებინა. ომმა იტალიის ხალხის მასობრივი პროტესტი გამოიწვია, ეწყობოდა ომის საწინააღმდეგო გაფიცვები და მანიფესტაციები, ჯარისკაცები გარბოდნენ ფრონტიდან და დეზერტირობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ომის დამთავრებისას დეზერტირთა რაოდენობა 1 მლნ. კაცს აღწევდა. ამით აიხსნება, ის, რომ ომის დროს იტალიელი იმპერიალისტების ჯარებმა ვერ „მოიხვეჭეს“ გამარჯვებათა დაფნის გვირგვინები. პირიქით, ამ ომმა ათეულ ათასობით სამგლოვიარო გვირგვინი მოუტანა იტალიელ ხალხს. ომში გაწეული ხარჯები მძიმე უღლად დააწვა იტალიელ მშრომელებს. იგი 65 მლრდ. ლირს შეადგენდა. მოკავშირეებისადმი იტალიის ვალები 19 მლრდ. ლირს უდრიდა, რაც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 70 % აღემატებოდა. საომარ მოქმედებათა შედეგად იტალიის ჩრდილო აღმოსავლეთ რაიონები გაპარტახებული აღმოჩნდა. მოკლულთა სახით დანაკარგი 650 ათას, ხოლო დაჭრილთა და დასახიჩრებულთა სახით კი ნახევარ მილიონზე მეტ კაცს შეადგენდა. ომის შედეგად შენაძენი ტერიტორია ძალზედ უმნიშვნელო იყო. ანტანტის სახელმწიფოები ხედავდნენ რა იტალიის სისუსტეს, ყველა დანაპირები არ შეუსრულეს, მას მონაწილეობა არ მიიღებინეს გერმანიისა და თურქეთის სამფლობელოების დანაწილებაში. იტალიას მხოლოდ მცირედი ტერიტორიული შენაძენი ხვდა წილად. კერძოდ: სენ-ჟერმენის ზავით ავსტრიასთან მან მიიღო ტრენტინო და სამხრეთ ტიროლი; რაპალის ხელშეკრულებით იუგოსლავიასთან მას წილად ხვდა ავსტრიის ყოფილ იმპერიაში შემავალი სამხრეთ სლავეთის ტერიტორიის ნაწილი, თითქმის მთელი ისტრია ტრიესტით, აბაცა და სანაპიროს ხაზი ფიუმესთან კავშირისათვის. ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ომის დროს იტალიის მრეწველობაში მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები. საზღვარგარეთიდან მიღებული სესხებით მრავალი ახალი მეტალურგიული,

[1] ვ. ი. ლენინი, იტალიის იმპერიალიზმს „მათხოვრულს“ უწოდებდა.

მანქანათმშენებლობის და ქიმიური მრეწველობის ქარხანა აიგო. სამხედრო მრეწველობის მნიშვნელოვნად გაფართოების შედეგად იტალია აგრარულ-ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაიქცა, სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი 4,1 მლნ კაცამდე ვაიზარდა.

გარკვეული წარმატებები შეიმჩნეოდა სოფლის მეურნეობაში. მაგრამ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ფეოდალური გადმონაშთები კვლავ შემორჩენილი იყო. ჯერ კიდევ სახეზე იყო მემამულეთა მსხვილი მიწათმფლობელობა. გლეხთა ნახევარზე მეტს მიწა საერთოდ არ ჰქონდა და სოფლის პროლეტარად ითვლებოდა. მემამულეები და ბურჟუაზია მათს გაძლიერებულ ექსპლოატაციას ეწეოდნენ. სოფლის პროლეტართა რაოდენობა 3 მლნ კაცამდე აღწევდა. იტალიის სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ მეურნეობას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. მასზე მოდიოდა ქვეყნის დასამუშავებელი მიწების 60% და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების 80%.

რევოლუციური მოძრაობა 1917—1920 წწ.

მსოფლიო ომმა და ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა იტალიის ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის მრავალრიცხოვან არმიაზე. იტალიაც, რუსეთის მსგავსად, იმპერიალიზმის ჯაჭვში ერთ-ერთ სუსტ რგოლს წარმოადგენდა. იტალიის მშრომელებს შორის ძალზედ პოპულარული იყო ლოზუნგი „გავაკეთოთ ისე, როგორც რუსეთში". საპროტესტო გაფიცვები გამოიწვია იტალიის მშრომელებს შორის ორლანდოს მთავრობის[1] ანტისაბჭოთა პოლიტიკამ, იგი ანტისაბჭოთა ბლოკადაში მონაწილეობდა და 1918 წ. ჯარებიც გაგზავნა ოდესაში, მურმანსკში და ვლადივოსტოკში. იტალიელი მუშები უარს ამბობდნენ დაეტვირთათ სამხედრო საჭურველით რუსეთის წინააღმდეგ გასაგზავნი გემები. 1919 წ. ივლისში ჩრდილოეთ იტალიაში საბჭოთა რუსეთის დასაცავად საყოველთაო გაფიცვაც ჩატარდა.

იტალიის მრეწველობა ომის დამთავრების შემდეგ დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. საჭირო იყო სამხედრო მრეწველობის შეკვეცა, რამაც მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი დაცემა და მასობრივი უმუშევრობა გამოიწვია. ამას თან მოჰყვა ომის შემდგომი სამრეწველო კრიზისი, რომელიც 1920 წლის მეორე ნახევარში დაიწყო და 1921 წლის ბოლომდე გაგრძელდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ წვრილი მეწარმეები დ ვაჭრები, რომელთა დიდი ნაწილი გაკოტრდა.

ეკონომიურმა კრიზისმა მასობრივი უმუშევრობა გამოიწვია, რასაც საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობა მოჰყვა. 1919 წელს გაფიცვაში მონაწილეთა რაოდენობა თუ 1,5 მლნ კაცს უდრიდა, 1920 წ. დაახლოებით 2,5 მლნ-მდე გაიზარდა. მუშები მოითხოვდნენ 8 საათიან სამუშაო დღეს და ხელფასის მომატებას. მოძრაობა მოედო სოფელსაც, განსაკუთრებით იტალიის სამხრეთში. გლეხების კლასობრივი ბრძოლის ძირითად ფორმას წარმოადგენდა მემამულეთა მიწების მიტაცება, საიჯარო გადასახადების შემცირების მოთხოვნა და ა. შ. მშრო-

[1] 1917 წლის ოქტომბერში იტალიის ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ, რომელნიც დაშინებული იყვნენ რევოლუციური მოძრაობის ზრდით, შექმნეს ბლოკი და ხელისუფლების სათავეში ჩააყენეს რეაქციონერი ორლანდო.

მელთა ბრძოლის ერთ-ერთი თავისებურება იყო პროფესიული და კოოპერაციული მასობრივი ორგანიზაციების ზრდა. შრომის საყოველთაო კონფედერაციის წევრთა რაოდენობა 327 ათასი წევრიდან (1913 წ.) 2,3 მლნ. წევრამდე (1920 წ.) გაიზარდა. 1921 წლისათვის არსებობდა 15 ათასზე მეტი კოოპერაციული საზოგადოება, რომელიც თავის რიგებში 3 მლნ. კაცს აერთიანებდა. გაიზარდა იტალიის სოციალისტური პარტიის რიგებიც (45 ათასიდან 1913 წ.— 216 ათასამდე 1920 წ.) მაგრამ იგი არ იყო მარქსისტული ტიპის პარტია. სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა ცენტრისტების ხელში იყო და იგი მაქსიმილიანების სახელწოდებას ატარებდა, რომელიც სიტყვით არ უარყოფდა პროლეტარულ რევოლუციასა და პროლეტარულ დიქტატურას. მაგრამ პრაქტიკული საქმიანობით მარქსიზმის ამ მთავარი მოძღვრების წინააღმდეგი იყო. პარტიის მთლიანობის შენარჩუნების მოტივით მაქსიმილიანებმა სერატტის ჯგუფის მეთაურობით ურთიერთობა არ გაწყვიტეს მემარჯვენეებთან. ამ უკანასკნელთა სათავეში იდგნენ ტურატი და დე არაგონა. მემარჯვენეებმა დე არაგონას მეთაურობით, ხელთ ჩაიგდეს შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობა. ისინი მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის მოწინააღმდეგედ გამოდიოდნენ და ცდილობდნენ მუშათა საყოველთაო გამოსვლები ეკონომიური ბრძოლით შეეზღუდათ. სოციალისტურ პარტიაში მემარცხენეების მიმდინარეობას სათავეში უდგნენ ქალაქ ტურინის სოციალისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელები ანტონიო გრამშში და პალმირო ტოლიატი. ეს მიმდინარეობა მარქსისტული იყო. ანტონიო გრამში რუსეთის რევოლუციების გამოცდილების შედეგად მუშათა და გლეხთა კავშირის მომხრე იყო, იგი ამ კავშირზე დაფუძნებულ პროლეტარიატის დიქტატურას აღიარებდა, მაგრამ მემარცხენეთა ჯგუფის გაელენის ქვეშ ჯერჯერობით არ იყო მუშათა კლასის უმრავლესობა. იგი ჯერ არ იყო ორგანიზაციულად დამოუკიდებლად გაფორმებული. გარდა ამისა, თვით ამ მიმდინარეობაშიც არ იყო ერთიანობა. მის რიგებში იყო ბორდიგა და მისი მიმდევრები. ისინი მემარცხენეების ფრაზებით ინიღბებოდნენ. ბორდიგა წინააღმდეგი იყო პარტიის მონაწილეობისა საპარლამენტო არჩევნებში და მასობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებში. ამრიგად იტალიის მუშათა კლასს არ ყავდა ნამდვილი რევოლუციური, მარქსისტული ტიპის პარტია. ამიტომ იყო, რომ 1920 წელს იტალიის მუშების მასობრივი გამოსვლები დამარცხებით დამთავრდა. მემარცხენეების ხელმძღვანელობით 1920 წლის აპრილში ტურინში, მილანში და ჩრდილოეთ იტალიის სხვა სამრეწველო რაიონებში მოძრაობა დაიწყო მუშათა საფაბრიკო-საქარხნო საბჭოების შექმნისათვის.

იტალიის მმართველი წრეები შეშფოთებულნი მუშათა გამოსვლებით ერთგვარ დათმობაზე წავიდნენ. მთავრობის შემადგენლობაში ერთგვარი ცვლილება მოხდა. 1920 წლის ივნისში ნიტის მთავრობა ჯიოლიტის მთავრობამ შეცვალა. მან სასურსათო საქონელზე ფასები 50 % შეამცირა. მეტალურგიული წარმოების მფლობელებს ადრევე გაზრახული ქონდათ ხელფასის შემცირება, მაგრამ მუშათა შიშით მის ცხოვრებაში გატარებას ვერ ბედავდნენ. ამჟამად მათ გადაწყვიტეს მთავრობის მიერ ფასების შემცირება გამოეყენებინათ თავის სასარგებლოდ და მეტალურგიული მუშების პროფკავშირებს მოთხოვეს ხელფასის შემცირება 50 % ფასების შემცირებასთან შეფარდებით. მუშებმა უარყვეს ეს მოთხოვნა. მეწარმეებმა საყოველთაო ლოკა-

უტი გამოაცხადეს, რასაც აგვისტო-სექტემბერში მუშების მიერ ქარხნების დატაცება მოჰყვა. ჩრდილოეთ იტალიის უმსხვილეს სამრეწველო ცენტრების: მილანის, ტურინის, გენუის, ფლორენციის და სხვა ქალაქების მუშებმა დაიკავეს ქარხნები და ფაბრიკები და საფაბრიკო-საქარხნო საბჭოების ხელმძღვანელობით თვითონვე, დამოუკიდებლივ ამუშავებდნენ მას. წარმოების მომარაგება ნედლეულით, მზა პროდუქციის რეალიზაცია, შრომის ანაზღაურება და სხვა საკითხებს თვით მუშები ახორციელებდნენ. ამ მოძრაობაში 600 ათასი მუშა მონაწილეობდა. ჩრდილოეთ იტალიის თითქმის ყველა ქარხანა სამი კვირის განმავლობაში მუშათა ხელში იმყოფებოდა. მუშებმა ქარხნების დასაცავად შეიარაღებული წითელი გვარდიის ნაწილები შექმნეს. მუშების გამოსელას თანაუგრძობდნენ სოფლის ღარიბი და ქალაქის წვრილბურჟუაზიული ფენები. საყურადღებოა, რომ გაფიცვების დროს მუშების მიერ ფაბრიკა-ქარხნების დაკავებამ „იტალიური გაფიცვების" სახელწოდება მიიღო სხვა ქვეყნებში. მუშებს მიაჩნდათ, რომ ფაბრიკა-ქარხნების დატაცება მათ მიერ ხელისუფლებისათვის ბრძოლის გარდამავალი საფეხური უნდა გამხდარიყო. ამრიგად, იტალია სოციალისტური რევოლუციის წინაშე იდგა.

იტალიის გაბატონებული კლასები დაბნეული იყვნენ. მთავრობამ ვერ გაბედა მუშების წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა, ვინაიდან მას ჯარის იმედიც არ ჰქონდა. ამიტომ ჯოლიტის მთავრობამ „ნეიტრალიტეტი" გამოაცხადა, მაგრამ რევოლუციამდე საქმე არ მივიდა. რეფორმისტები სოციალისტური პარტიიდან და შრომის საყოველთაო კონფედერაციიდან წინააღმდეგი იყვნენ მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების ხელში აღებისა და საერთოდ რევოლუციისა. იმ მიზნით, რომ ჩაეშალათ მუშათა ერთსულოვანი გამოსვლები, მათ ფაბრიკა-ქარხნების დატაცების ნაცვლად წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების მოთხოვნა წამოაყენეს. დე არაგონმა პროფკავშირთა კონფერენციას მილანში 1920 წ. სექტემბერში თავს მოახვია გადაწყვეტილება, რომელიც გმობდა მუშების მიერ ფაბრიკა-ქარხნების დატაცებას და მოითხოვდა მათი ბურჟუაზიისათვის უკან დაბრუნებას. ამავე დროს მუშათა კლასის თვალის ახვევის მიზნით, კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესებისა და მუშათა ხელფასის გაზრდის შესახებ. თვით წარმოების მფლობელებმა დე არაგონთან შეთანხმების შემდეგ თვალთმაქცურად განაცხადეს, რომ ისინი თანახმა არიან წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესებისა და მუშათა ხელფასის გაზრდისა. რეფორმისტთა მოღალატურმა მოქმედებამ მუშათა დაბნეულობა გამოიწვია, რითაც ისარგებლა მთავრობამ და ეს გამოსვლები ჩაახშო.

იტალიის კომუნისტური პარტიის შექმნა

რეფორმისტების გამცემლობამ დააჩქარა გათიშვა სოციალისტურ პარტიაში მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის. საბოლოო გათიშვა მათ შორის მოხდა სოციალისტური პარტიის ყრილობაზე ლივორნოში 1921 წლის იანვარში. როცა მაქსიმილიანებმა ანუ ცენტრისტებმა უარი თქვეს მემარცხენეების წინადადებაზე გაედევნათ რეფორმისტები პარტიიდან, მაშინ მემარცხენეებმა დატოვეს ყრილობა, შეიკრიბნენ ცალკე და შექმნეს კომუნისტური პარტია. იგი თავდაპირველად თავის რიგებში 50 ათას კაცს აერთიანებდა, ბო-

იკოტის მომხრეები, ანუ ბორდიგის მიმდევრები ახლად შექმნილ პარტიაში შეადგენდნენ უმრავლესობას. ამიტომ თავდაპირველად პარტიის ხელმძღვანელობა ბორდიგის მომხრეების ხელში აღმოჩნდა. ეს ჯგუფი უშვებდა მთელ რიგ სერიოზულ შეცდომებს. რაც მთავარია, მას არ ესმოდა პარტიის, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმის როლი. ამასთანავე იგი უარყოფდა ლეგალური შესაძლებლობის გამოყენებას და გამოდიოდა პარლამენტისათვის ბოიკოტის გამოცხადების მოთხოვნით. „მემარცხენეების" შეცდომების გამო კომპარტიის შიგნით გაიმართა ფრაქციული ბრძოლა ბორდიგის და ანტონიო გრამშის ჯგუფებს შორის, რაც ხელს უშლიდა ახალგაზრდა კომპარტიას ფაშიზმის საშიშროების წინააღმდეგ მუშათა კლასის ფართო მასების დარაზმვის საქმეში.

კომპარტიის მიერ მიღებული პროგრამა რევოლუციური იყო. მასში ლაპარაკი იყო შემდეგზე: პროლეტარიატი ვერ შესძლებს კაპიტალისტური სისტემის წარმოების ურთიერთობისა და ბურჟუაზიული ხელისუფლების ვერც დამსხვრევას და ვერც შეცვლას, ძალდატანების გარეშე. ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ პროლეტარიატი გაბატონებულ კლასად გადაიქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამსხვრევს ბურჟუაზიულ სახელმწიფო აპარატს და შექმნის სახელმწიფოს, რომელიც დაფუძნებული იქნება მხოლოდ ერთ მწარმოებელ კლასზე და გამორიცხავს ბურჟუაზიული კლასის ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებას. პროლეტარული ხელისუფლების სახელმწიფოებრივ ფორმად ცხადდებოდა საბჭოების რესპუბლიკა, მაგრამ მაშინდელი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ბორდიგის ხელმძღვანელობით თეორიულად ცუდად იყო მომზადებული, უშვებდა მემარცხენე სექტანტურ შეცდომებს და ვერ ერკვეოდა იმ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა იტალიაში იმ დროისათვის. საქმე იმაში იყო, რომ იტალიის კომუნისტური პარტიის შექმნის მომენტში იწყება გარდატეხა კლასობრივ და პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაში. 1920 წლის სექტემბრის ამბების შემდეგ იტალიის ბურჟუაზია კარგავს იმედს, რომ შეინარჩუნებს თავის ძალაუფლებას პარლამენტური მმართველობის გზით და იწყებს შემობრუნებას ფაშიზმისაკენ. ფაშისტური პარტია კი გადადის შეტევაზე. ასეთ ვითარებაში კომუნისტური პარტიის შექმნა უდავოდ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ვინაიდან იგი ანთავისუფლებდა რეფორმიზმის გაელვნისაგან მუშათა კლასის ყველაზე უფრო რევოლუციურად განწყობილ ნაწილს. მაგრამ მიმდინარე მომენტის მთავარი ამოცანა პროლეტარული რევოლუციის დაუყოვნებლივ მოხდენა კი არა, მუშათა დემოკრატიული ძალების ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნა უნდა ყოფილიყო, რათა გზა გადაეღობათ ხელისუფლებისაკენ მომძლავრებული ფაშიზმისათვის. სამწუხაროდ, კომუნისტური პარტიის მაშინდელი ხელმძღვანელობა ვერ გაერკვა ამ რთულ ვითარებაში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ქალაქისა და სოფლის საშუალო ფენების განწყობილებაშიც. სექტემბრის ამბების შემდეგ ამ ფენების დიდი ნაწილი მტრულ პოზიციას იკავებს, როგორც მუშათა რევოლუციური მოძრაობისადმი, ასევე ლიბერალური მმართველობისადმი. ერთიც და მეორეც მათ მთავარ მიზეზად მიიჩნდათ თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუარესებისა და სიძვირის ზრდის საქმეში. ფაშიზმი კი თავისი ლოზუნგებით გამოდიოდა

სწორედ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისა და ლიბერალური მმართველობის წინააღმდეგ. ამიტომ საშუალო ფენებს ფაშიზმი ეჩვენებოდათ სწორედ მათი ინტერესების ამსახველ ძალად. ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ ფაშიზმი მათ ინტერესებს კი არა, მსხვილი სამრეწველო და ფინანსური ბურჟუაზიის ინტერესებს ასახავდა. .

ყველაზე მეტად საშუალო ფენების ფაშიზმისაკენ შემობრუნების პროცესი სოფლად იგრძნობოდა. აქ გლეხთა ძირითად მასებს გამოეყო ომის დროს გამდიდრებული მესაკუთრეთა საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელსაც ეშინოდა, რომ კლასთა ბრძოლის გამწვავების გამო არ დაეკარგა თავისი მიწები. მათ დაიწყეს „თავდაცვის" რაზმების შედგენა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოფლად რეაქციული ძალების შეტევაზე გადასვლის საქმეში. ფაშისტებმა სოფლის მოსახლეობის თავის მხარეზე მიმხრობისათვის წამოაყენეს ლოზუნგი „მიწა მას, ვინც მას ამუშავებს".

იტალია ფაშისტური უღლის ქვეშ

პირველი ფაშისტური ჯგუფები[1] იტალიაში 1919 წელს შეიქმნა, რომელთა ორგანიზატორები იყვნენ ყოფილი სოციალისტი მუსოლინი[2] და დეკადენტი პოეტი გაბრიელ დ' ანუნციო. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ფაშისტების გავლენა მასებზე, მიუხედავად ფართო სოციალური და ნაციონალისტური დემაგოგიისა, სუსტი იყო. ამ პარტიის გავლენა სწრაფად, განსაკუთრებით მუშათა 1919—1920 წწ. გამოსვლების შემდეგ იზრდება. ფაშისტებმა ისარგებლეს რა სოციალისტური პარტიისა და პროფკავშირთა ლიდერების გამყიდველური პოლიტიკით და აქედან გამომდინარე მუშათა უკმაყოფილების ზრდით რეფორმისტებისადმი მიმართეს ფართო სოციალურ და პოლიტიკურ დემაგოგიას. ხალხთა მოტყუებისა და თავის მხარეზე გადაბირების მიზნით მათ წამოაყენეს შემდეგი ლოზუნგები: ხელფასის მინიმუმის დაწესება, პენსიების გაზრდა ინვალიდებისა და მოხუცებულთათვის, მიწების გლეხებისათვის გადაცემა, გადასახადის დაწესება კაპიტალზე, მუშების მონაწილეობა ბურჟუაზიის მოგებებში, საეკლესიო ქონების კონფისკაცია, ბანკების და ბირჟების გაუქმება, ძირს საზიზღარი ბურჟუაზია და ერის ექსპლოატატორები, საყოველთაო განიარაღება, საიდუმლო დიპლომატიის გაუქმება, დემოკრატიული თავისუფლებები, მონარქიის გაუქმება და რესპუბლიკის შემოღება და ა. შ. საგარეო პოლიტიკაში ფაშისტებმა „დიდი იტალიის" შექმნის მოთხოვნა წამოაყენეს. ამ შეუკავებელი დემაგოგიით და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო ლოზუნგებით ფაშისტები ცდილობდნენ თავის მხარეზე გადაებირებინათ ქალაქისა და სოფლის ღარიბები და წვრილი და საშუალო ბურჟუაზიული ფენები.

---

[1] სიტყვა „ფაშიზმი" წარმოიშვა ფაშისტური ბანდების „ბრძოლის კავშირის" სახელწოდებიდან (იტალიურად — „ფაშიო დი კომბატიმენტო" „ფაშიო" კონას და ხუთვის შეკვრას ნიშნავს).

[2] ფაშისტების მომავალი ხელმძღვანელი „დუჩე" ბენიტო მუსოლინი, რომელიც გარიცხული იქნა სოციალისტური პარტიიდან პირველი მსოფლიო ომის დროს იტალიის ამ ომში ანტანტის მხარეზე ჩაბმის აშკარა პროპაგანდისათვის, საფრანგეთისაგან მიღებული ფულით აარსებს გაზეთს „პოპოლო დე იტალია". ომის დასაწყისში მიერ მიერ შექმნილი „ომში ნაბმის კავშირი" 1915 წელს თვლიდა 105 ჯგუფს დაახლოებით 10 ათასი წევრით.

ფაშისტური პროგრამა თავის იდეოლოგიურ პრინციპად აცხადებდა ერის იდეას. იმ მიზნით, რომ შეენიღბათ თავისი, როგორც მსხვილი კაპიტალის მსახურის როლი, ფაშისტები აცხადებდნენ, რომ თანამედროვე სამყაროში სოციალური ორგანიზაციის გაბატონებულ ფორმას კლასები კი არა, ერი წარმოადგენს. „ერი ეს არის ორგანიზმი, რომელშიც ჩაქსოვილია თაობათა — წარსულის, აწმყოსი და მომავლის უწყვეტი რიგები. ცალკეული ინდივიდები ამ ისტორიული პანორამის გარდამავალ მომენტს წარმოადგენენ". აქედან გამოჰქონდათ დასკვნა: ყველა ინტერესი — პიროვნული (ინდივიდის) და ჯგუფური (ოჯახის, კორპორაციის, კლასისა და ა. შ.) უნდა ექვემდებარებოდეს ერის მაღალ ინტერესებს. ფაშისტური კონცეპცია სახელმწიფოს შესახებ აცხადებდა: ესა თუ ის სახელმწიფო თუ არ პასუხობს „ერის ინტერესებს" მაშინ „ამ ინტერესების გულისათვის" იგი უნდა შეიცვალოს ფაშისტური „ზეკლასობრივი" სახელმწიფოთი. ამრიგად, ფაშისტური სახელმწიფო, „ზეკლასობრივ" ცხადდებოდა, ხოლო ფაშიზმი კი პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიურ ორგანიზმად.

ფაშისტების ამოცანა იყო „ძლიერი ხელისუფლების" შექმნა, პარლამენტური მმართველობის გაუქმება, დემოკრატიული ძალების განადგურება, ფინანსური ბურჟუაზიისა და მემამულეების ხელისუფლების განმტკიცება.

ფაშისტები, არა თუ ხვდებოდნენ ქვეყნის შიგნით რაიმე წინააღმდეგობას, არამედ, პირიქით, იტალიის გაბატონებული კლასების ფართო მხარდაჭერით სარგებლობდნენ განსაკუთრებით მუშათა 1920 წლის აგვისტო-სექტემბრის გამოსვლების შემდეგ. იტალიის ყველა ბურჟუაზიული პარტია, მათ შორის ვატიკანის მიერ 1919 წ. შექმნილი სახალხო პარტია („პოპულარი") რომელთა გავლენა ომის შემდგომ პერიოდში ძალზედ დაეცა, მხარს უჭერდნენ ფაშისტებს. არც ერთი ბურჟუაზიული პარტიის გავლენა არ იყო ისეთი დიდი, რომ მას შესძლებოდა ქვეყნის მართვა-გამგეობა ძველი მეთოდებით. ამას მოწმობს 1919 წ. ნოემბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, რომლის დროსაც ამომრჩეველთა ყველაზე მეტი ხმა (1,8 მლნ.) მიიღო სოციალისტურმა პარტიამ, მეორე ადგილზე სახალხო პარტია გამოვიდა (1,2 მლნ. ხმა).

ასეთ ვითარებაში ბურჟუაზიამ და მემამულეებმა გადაწყვიტეს ლიკვიდაცია ექნათ პარლამენტური მმართველობისა და ისედაც შეზღუდული დემოკრატიული თავისუფლებებისათვის და დაემყარებინათ აღვირახსნილი სისხლიანი, ფაშისტურ-ტერორისტული დიქტატურა, რომელიც შესძლებდა ბურჟუაზიისა და მემამულეების პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის შენარჩუნებას ქვეყანაში. ამიტომ იყო, რომ ფაშისტები ფართო მხარდაჭერით სარგებლობდნენ ბურჟუაზიის, მემამულეების, ვატიკანისა და საერთოდ კათოლიკური ეკლესიის, მონარქიის და სამხედრო წრეების — განსაკუთრებით ოფიცრობის მხრივ. ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ფენები აფინანსებდნენ ფაშისტებს, სამხედრო ხელისუფლება კი აძლევდა მათ იარაღს, ყაზარმებს, ტრანსპორტს. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ფაშისტებმა თავისი შეუკავებელი დემაგოგიით მიიმხრეს ქვეყნის დეკლასირებული და რეაქციული ელემენტები: სისხლის სამართლის დამნაშავენი, დემობილიზებული ოფიცრობა და ჯარისკაცები. ბურჟუაზიული წრიდან გამოსული სტუდენტობა, მემამულეები, ქალაქის და სოფლის წვრილბურჟუაზიული ფენები და ნაწილობრივ უმუ-

შვერები და ჩამორჩენილი მუშები. ფაშისტებმა მოახერხეს წარმოებებშიც გაძალება და იქ თავისი პროფესიული კავშირების შექმნა. მუშათა 1920 წ. აგვისტო-სექტემბრის გამოსვლებისას და განსაკუთრებით შემდგომ პერიოდში ფაშისტურმა ტერორმა ფართო ხასიათი მიიღო, ფაშისტები ხოცავდნენ მეშარცხენე მოღვაწეებს, არბევდნენ კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ორგანიზაციების შენობებს და ა. შ. მუშები თავდაცვის მიზნით იძულებული გახდნენ შექმნათ მებრძოლი რაზმები, რომლებიც ფაშისტებს საკადრის პასუხს აძლევდნენ. 1921 წლის ზაფხულში შუა იტალია ბრძოლის არენად გადაიქცა მუშათა მებრძოლ რაზმებსა, რომელთაც „გულადთა სახალხო რაზმებს" უწოდებდნენ და ფაშისტურ ბანდებს შორის. მუშები წარმატებით იბრძოდნენ ფაშისტების წინააღმდეგ და ამავე დროს მოითხოვდნენ, რათა იმ მიზნით, რომ არ დაეშვათ ფაშისტების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება, ბოლო მოეღოთ მუშათა ძალების დაქუცმაცებისათვის და შეექმნათ მუშათა ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტი. საყურადღებოა, რომ კომპარტიის მაშინდელი ხელმძღვანელობა ბორდიგის ჯგუფის მეთაურობით უარყოფითად ეკიდებოდა მუშათა „გულადთა სახალხო რაზმებისა" და მუშათა ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნას.

მან კომუნისტებს ასეთ მოძრაობაში მონაწილეობაც კი აუკრძალა იმ მოტივით რომ თითქოს „გულადთა რაზმების" ძირითადი ამოცანა იყო მშრომელთა დაცვა ფაშისტური საშიშროებისაგან, წესრიგისა და ნორმალური სოციალური ცხოვრების აღდგენა, კომუნისტებისა კი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება. კომინტერნის III კონგრესმა სასტიკად დაგმო იტალიის კომუნისტური პარტიის სექტანტური შეცდომები, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობა ძველ პოზიციაზე დარჩა.

იტალიის კომპარტიის მეორე ყრილობაზე, რომელიც 1922 წლის მარტში შედგა, ბორდიგის მომხრეებმა მიიღეს სექტანტური ხასიათის პროგრამა, რომელიც რომის თეზისების სახელწოდებითაა ცნობილი. ამ თეზისების შინაარსი და ლოზუნგები შემდეგნაირია: არავითარი განსხვავება არაა ბურჟუაზიულ-დემოკრატიასა და ფაშიზმს შორის. ყველა ეს ბურჟუაზიული დიქტატურის ფორმაა; პარტიის ტაქტიკა უნდა იყოს უცვლელი და არ უნდა იყოს დამოკიდებული ვითარების შეცვლაზე; არავითარი შეთანხმება იმ პარტიებთან და ჯგუფებთან, რომელნიც არ იზიარებენ კომუნისტების პროგრამას. თეზისები მოუწოდებდნენ ებრძოლათ პროლეტარული დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის იტალიაში. ამრიგად, იტალიის ახალგაზრდა კომუნისტური პარტია ვერ გაერკვა ქვეყანაში შექმნილი ვითარებით, უარი სთქვა კომინტერნის მიერ რეკომენდირებული ერთიანი ფრონტის ტაქტიკაზე. საყურადღებოა, რომ გრამში ყრილობაზე აკრიტიკებდა აღნიშნულ თეზისებს, მაგრამ ყრილობაზე ხმა მისცა მას, ვინაიდან სთვლიდა, რომ მაშინ მისი აშკარა გალაშქრება ბორდიგისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ, მხოლოდ ზიანს მოუტანდა ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის გავლენას მასებზე.

1922 წლის ზაფხულში ტურინის კომუნისტებმა ა. გრამშის მეთაურობით დაამყარეს კონტაქტი სახალხო პარტიის მემარცხენეებთან და ლიბერალებთან ფაშიზმის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლისათვის. მაგრამ ტურინის კომუნისტების ცდა, რომ დაეთანხმებინათ ბორდიგა და პარტიის მაშინდელი ხელმძღვანელობა მემარცხენე და დემოკრატიულ ძალებთან ერთად ანტიფაშისტური

ფრონტის შექმნაზე მარცხით დამთავრდა. ბორდიგამ ეს წინადადება უარყო. მის ასეთ პოზიციას სასტიკად გმობდა ა. გრამში და მისი მომხრეები, რომელიც მოითხოვდა მშრომელთა მთელი ძალების გაერთიანებას, რათა ფაშისტებისათვის გზა გადაეღობათ ხელისუფლებისაკენ. მემარჯვენე სოციალისტური პარტია აგრძელებდა თავის ოპორტუნისტულ პოლიტიკას, იგი იქამდეც კი მივიდა, რომ 1921 წ. 3 აგვისტოს ფაშისტებთან „შერიგების პაქტი“ დადო. „შერიგების პაქტის“ დადებამ ფაშისტებთან მუშათა კლასის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ფაშისტები კი ამ პაქტის დადებით იმედოვნებდნენ მშრომელთა წინააღმდეგობის შესუსტებას, მუშათა და წვრილბურჟუაზიული ფენების თავის მხარეზე გადაბირებას და დროის მოგებას თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის. მართლაც, 1921 წლის შემოდგომაზე ფაშისტური პარტია სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. იგი თავის რიგებში აერთიანებდა 300 ათას წევრს. ერთგვარ წარმოდგენას ამ პარტიის სოციალური შემადგენლობის შესახებ გვაძლევს 151 ათასი ფაშისტის საანკეტო მონაცემები. თუ ამ მონაცემებს დავუჯერებთ ფაშიზმის მასობრივ ბაზას, 40 % წარმოადგენდნენ პროლეტარული ელემენტები.

1922 წლის დამდეგისათვის ფაშისტები ზრდიან თავის გავლენას წვრილბურჟუაზიული ფენებიდან გამოსულ მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. მუსოლინმა ფაშისტური პარტია „ახალგაზრდათა პარტიად“ გამოაცხადა, ხოლო ძველ პოლიტიკურ პარტიებს დაბერებულ და მიხრწნილ პარტიებს უწოდებდა, რომელთაც, მისი გამოთქმით, რომ ვთქვათ, „თავისი ურთიერთ ბრძოლით იტალიელი ერი დაღუპვისა და ჩიხის გზაზე მიიყვანეს“.

სოციალისტური პარტიის ოპორტუნიზმი და ფრაქციული ბრძოლა კომპარტიის შიგნით ასუსტებდა მუშათა ძალების შეკავშირების საქმეს ფაშისტური საშიშროების წინააღმდეგ. მუშათა ზეგავლენით კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა, შრომის საყოველთაო კონფედერაციამ და მუშათა სხვა ორგანიზაციებმა 1922 წლის ზაფხულში დააარსეს „შრომის კავშირი“, რომელიც მუშათა ერთიანი, ანტიფაშისტური ფრონტის შექმნის ცდას წარმოადგენდა. მაგრამ ასეთი ფრონტის შექმნა ბორდიგის და ოპორტუნისტების უარყოფითი პოზიციის შედეგად შეუძლებელი აღმოჩნდა. „შრომის კავშირმა“ 1922 წ. 1 აგვისტოს საყოველთაო ანტიფაშისტური პოლიტიკური გაფიცვა გამოაცხადა, რომელმაც გრანდიოზული ხასიათი მიიღო, მაგრამ ფაშისტების მუქარით დაშინებულმა „შრომის კავშირმა“ გასცა განკარგულება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. ამრიგად, მუშათა ეს გამოსვლაც ჩაიშალა. მალე ამის შემდეგ „შრომის კავშირიც“ დაიშალა. გზა ფაშისტური ხელისუფლების დამყარებისათვის გაწმენდილი იყო.

1922 წლის 27—28 ოქტომბერს, მთავრობის მორიგი კრიზისის დროს, ფაშისტებმა მოაწყვეს „რომზე ლაშქრობის“ ინსტენირება და რეაქციული ძალების საყოველთაო მხარდაჭერის შედეგად რომში შევიდნენ. მთავრობა გადადგა. 30 ოქტომბერს მეფე ვიტორიო ემანუილმა მუსოლინი პრემიერ-მინისტრად დანიშნა. მუსოლინმა შეადგინა მთავრობა, რომელიც თავდაპირველად კოალიციური იყო. მუსოლინი იძულებული იყო, სანამ თავის პოზიციებს განამტკიცებდა, ჯერ-ჯერობით პარლამენტური მმართველობა შეენარჩუნებინა და სხვა პარტიების არსებობასაც შერიგებოდა. ამასთანავე, იმ მიზნით, რომ მემამულეებისა და ბურჟუაზიის მხარდაჭერა მიეღო, მათი ინტერესების შესა-

ბამისად განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: გაუქმდა 8 საათიანი საჭუ-შაო დღე, შემცირდა მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი, გლეხების მიერ მიტაცებული მიწები დაუბრუნდა მემამულეებს, საფაბრიკო-საქარხნო კომისიები საწარმოებში დათხოვნილ იქნენ, მათ ნაცვლად კი დაინიშნა მთავ-რობის კომისიები, პროფკავშირთა უფლებები შეიზღუდა, შეუმცირდა გადასა-ხადები შეძლებულ ფენებს, სამაგიეროდ მშრომელთა გადასახადები გაიზარ-და. ამასთანავე ფაშისტებმა მოწინავე მუშების, კომპარტიის და სხვა მემარ-ცხენე ძალების წინააღმდეგ მასობრივ ტერორსა და რეპრესიებს მიმართეს. არც მემარცხენე ბურჟუაზიული პარტიების ზოგიერთი ლიდერი გადაურჩა ფაშისტური ბანდების თავდასხმებს. ამასთანავე გაძლიერდა ხალხთა მასების ბრძოლა ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ. ყველაფერმა ამან ბურჟუაზიული პარტიების ბლოკში ერთგვარი ბზარი შეიტანა. კათოლიკური სახალხო და ლიბერალური პარტიები ოანდათან ანტიფაშისტური ბლოკის მხარეზე იხ-რებოდნენ. ხედავდა რა ამ საფრთხეს, მუსოლინმა ახალი საარჩევნო კანონი გაატარა, რომლითაც ის პარტია, რომელიც არჩევნებისას შეფარდებით მეტ ხმებს შეაგროვებდა, პარლამენტში დეპუტატთა მანდატების არანაკლებ ორ-მესამედს მიიღებდა. ამ ახალი კანონის საფუძველზე 1924 წლის გაზაფხულ-ზე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნები აღვირახსნილი დემაგო-გიისა და ტერორის ვითარებაში მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, ოპოზიცი-ურმა პარტიებმა 2,5 მლნ. ხმა[1], ხოლო ფაშისტებმა 4,5 მლნ. ხმა მიიღეს. ახალი „კანონის“. საფუძველზე ფაშისტებმა პარლამენტში დეპუტატთა ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა მიისაკუთრეს. არჩევნების დროს ფაშისტების ტერორისტული და თაღლითური მოქმედება პარლამენტის სხდომებზე თავის გამოსვლებში გამოააშკარავა სოციალისტმა დეპუტატმა ჯაკომო მატეო-ტიმ. ამის საპასუხოდ მუსოლინის ბრძანებით 10 ივნისს ფაშისტებმა დეპუტა-ტი მატეოტი მოიტაცეს და მოკლეს. ამ საზარელმა აქტმა მთელი ქვეყანა აღელვა. აღშფოთებული ხალხის მღელვარება სტიქიურ დემონსტრაციებსა და მიტინგებში გადაიზარდა. მუსოლინი იძულებული გახდა ბრძანება გაეცა მა-ტეოტის მკვლელის დაპატიმრების შესახებ, ხოლო ერთ-ერთი გამოსვლისას სენატში განცხადება გააკეთა თავისი შესაძლებელი გადადგომის შესახებ. ფა-შისტური პროპაგანდით მოტყუებული მშრომელთა და წვრილბურჟუაზიული ელემენტები მასობრივად გამოდიოდნენ მუსოლინის პარტიიდან და გადადი-ოდნენ ოპოზიციის მხარეზე. ზოგიერთი ფაშისტი დეპუტატი, ე. წ. ავენტინის ბლოკსაც კი მიემხრო. ოპოზიციურმა პარტიებმა პარლამენტში (სოციალის-ტებმა, კომუნისტებმა, კათოლიკებმა, მემარცხენე ლიბერალებმა და სხვებმა) შექმნეს ოპოზიციური ფრაქციების კომიტეტი, რომელმაც ავენტინის ბლოკის სახელწოდება მიიღო[2]. ამ ბლოკმა პროტესტის ნიშნად პარლამენტი დატოვა. ამრიგად, 1924 წლის ზაფხულში ფაშისტური რეჟიმის დამხობის რეალური შესაძლებლობა იყო, ეს ბლოკი რომ ნამდვილი ბრძოლის გზას დასდგომოდა. მაგრამ მას არ უნდოდა ხალხს დაყრდნობოდა. პირიქით, ეშინოდა ხალხისა.

---

[1] სოციალისტურმა, კომუნისტურმა, სახალხო პარტიებმა და ლიბერალური პარტიის მე-მარცხენეებმა, კომპარტიამ 270 ათასი ხმა მიიღო.

[2] გადმოცემით ძველი რომის პლებეებმა, რომელნიც პატრიციებს ებრძოდნენ, პროტეს-ტის ნიშნად დატოვეს ქალაქი და ავენტინის ბორცვზე მოიყარეს თავი.

მისი პროტესტი მხოლოდ პასიური ბრძოლით, ე. წ. კონსტიტუციური მეთოდებით შეიზღუდა. კერძოდ, მეფეს ეხვეწებოდნენ, რათა მას მუსოლინის მთავრობა გადაეყენებინა. კომპარტია, რომლის ხელმძღვანელი 1923 წლის დამლევიდან ანტონიო გრამში გახდა, თავდაპირველად ავენტინის ბლოკში იმ იმედით შეევიდა, რომ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლას გადამწყვეტი მოქმედებებით წარმართავდა. კომუნისტებმა წამოაყენეს წინადადება საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის და ავენტინის ბლოკის ანტიფაშისტურ პარლამენტად გამოცხადების შესახებ, მაგრამ აღნიშნული ბლოკი რევოლუციური მეთოდებით ბრძოლის წინააღმდეგ გამოვიდა. ასეთი პოზიცია ამ ბლოკისა, არა თუ სასარგებლო, არამედ მავნეც იყო, ვინაიდან იგი მასების რევოლუციურ ინიციატივას ბორკავდა, მათი ძალების დეზორგანიზაციას იწვევდა. ამის შემდეგ კომუნისტები იძულებული გახდნენ დაბრუნებულიყვნენ პარლამენტში, რათა მისი ტრიბუნა ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოეყენებინათ.

ავენტინის ბლოკიდან კომუნისტების წასვლის შემდეგ, ამ ბლოკში დარჩენილი პარტიებიდან მხოლოდ სოციალისტური პარტია (ცენტრალისტებისა) მოითხოვდა მუსოლინის მთავრობის წინააღმდეგ უფრო აქტიურ ბრძოლის ტაქტიკაზე გადასვლას. მაგრამ მას ეშინოდა, რომ აქტიური ბრძოლის ტაქტიკა დააფრთხობდა ბლოკში შემავალ სხვა პარტიებს. იგი ბლოკში ერთიანობის შენარჩუნებისათვის მიდიოდა კომპრომისზე ოპოზიციური პარტიების წინაშე და კვეცავდა თავის მოთხოვნებს. ამიტომ იყო, რომ სოციალისტურმა პარტიამ არ დაუჭირა მხარი კომუნისტური პარტიის მიერ გამოცხადებულ 24 საათიან ეროვნულ გაფიცვას. რაც შეეხება შრომის საყოველთაო კონფედერაციის მიერ გამოცხადებულ 10 წუთიან გაფიცვას, სოციალისტურმა პარტიამ მას აქტიური მხარდაჭერა აღმოუჩინა. მაგრამ ეს გაფიცვა იყო ფაშისტური მთავრობისადმი წინააღმდეგობის მხოლოდ პასიური ფორმა. მუშათა 10 წუთიან გაფიცვას მხარი დაუჭირა ავენტინის ბლოკში შემავალმა უნიტარულმა სოციალისტურმა პარტიამაც (მემარჯვენეებმა), მაგრამ აღნიშნული ბლოკის ორივე სოციალისტურმა პარტიამ, რომლებზეც ძალზედ ბევრი იყო დამოკიდებული ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა, რეალურად არაფერი გააკეთეს ამ მიმართულებით. მართალია, სოციალისტური პარტია ფაშიზმის წინააღმდეგ უფრო აქტიური ბრძოლის მომხრედ გამოვიდა, მაგრამ მას მარჯვნივ ექაჩებოდნენ ბლოკის სხვა ოპოზიციური პარტიები. ამის გამო მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის იდეა კვლავ ვერ განხორციელდა. კომუნისტური პარტია ამ მიმართულებით აქტიურად მოქმედებდა და სოციალისტებს არა ერთხელ მისცა წინადადება ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნაზე, მაგრამ მათი უარყოფითი პოზიციის გამო მუშათა ძალები კვლავ დაქუცმაცებული რჩებოდა. მიუხედავად ავენტინის ბლოკში შემავალ ორ სოციალისტურ პარტიას შორის დაახლოებისა, საქმე მათ გაერთიანებამდე არ მისულა. ამრიგად, ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნის ამოცანა ამჯერადაც ვერ განხორციელდა.

მუსოლინის წინააღმდეგ შეიქმნა კიდევ ერთი ოპოზიცია ძალზე გავლენიანი ყოფილი ფრონტელების ასოციაციის სახით, რომელიც თავის რიგებში 315 ათას ომის მონაწილეებსა და ინვალიდებს აერთიანებდა. ასოციაცია ადრე მხარს უჭერდა მუსოლინს, მაგრამ მატეოტის მკვლელობამ და საერთოდ ფაშისტურმა ტერორმა მისი წევრების აღშფოთება გამოიწვია. 1924 წლის 30

ივლისს ასოციაციის ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც უარს ამბობდა მუსოლინისათვის შემდგომ მხარდაჭერაზე. მაგრამ ასოციაციამ არც ავენტინის ბლოკს დაუჭირა მხარი. ამრიგად, ასოციაციის პროტესტიც არ გამოსულა პასიური ოპოზიციის ჩარჩოებიდან.

ანტიფაშისტური მოძრაობის ერთადერთ აქტიურ ძალას კომუნისტური პარტია წარმოადგენდა. მაგრამ მუშათა უმრავლესობა ჯერ კიდევ სოციალისტების მხარეზე იყო და ახალგაზრდა კომუნისტურ პარტიას არ გააჩნდა საკმაო ძალები ფაშიზმის დამხობისათვის. ოპოზიციის წინააღმდეგ ფაშისტების ბანაკში აღმოჩნდნენ ბურჟუაზიული პარტიები, მონარქია, არმია, პოლიცია.

ოპოზიციური ძალების დაქსაქსულმა მოქმედებამ და ავენტინის ბლოკის პასიური ბრძოლის მეთოდმა მუსოლინს საშუალება მისცა დაბნეულობისაგან თავი დაეღწია, ძალები მოეკრიფა და საშინაო და საერთაშორისო რეაქციის მხარდაჭერით დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ შეტევაზე გადასულიყო.

1925 წლის 3 იანვარს მუსოლინი პარლამენტში გამოვიდა სიტყვით და განაცხადა, რომ ბრძოლა მთავრობასა და ოპოზიციას შორის გადაწყდება ძალით. მალე ამის შემდეგ ფაშისტების მიერ ჯერ კიდევ 1923 წელს შექმნილმა შეიარაღებულმა ბანდებმა, რომელიც მილიციის სახელს ატარებდა, დაიწყეს დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების შენობების, გაზეთის რედაქციების დარბევა, ოპოზიციონერთა ხელმძღვანელების წინააღმდეგ ტერორი და მათი დაპატიმრება.

არც ერთი ძალა, გარდა მუშათა კლასისა არ აღმდგარა ფაშისტების ამ ყბადაღებული ტერორის წინააღმდეგ. 1925 წლის მარტში იფეთქა მელითონეთა გაფიცვამ პიემონტში, ლომბარდიასა და ლიგურიაში. ივლისში გაიფიცნენ ფიატის ქარხნის მუშები, მაგრამ ეს გაფიცვები ფაშისტებმა ჩაახშეს.

ეს იყო მუშათა კლასის უკანასკნელი ლეგალური გამოსვლები, ფაშისტებმა ამის შემდეგ განახორციელეს რიგი ღონისძიებანი მუშათა პროფკავშირული ორგანიზაციების ლიკვიდაციისათვის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ფაშისტურ პროფკავშირებსა და მრეწველთა კონფედერაციას შორის 1925 წლის 2 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელმა ფაშისტური პროფკავშირები სცნო მუშათა კლასის ერთადერთ წარმომადგენლად.

1925—1926 წწ. ფაშისტებმა განახორციელეს ღონისძიებები, რომლის ამოცანა ტოტალიტალური რეჟიმის დამყარება იყო. ყველა პოლიტიკური პარტია, გარდა ფაშისტურისა, აიკრძალა, ბეჭდვის ყველა ოპოზიციური ორგანო დაიხურა, განდევნილი მუნიციპალიტეტების ადგილი ფაშისტმა მოხელეებმა დაიკავეს, დაჩაგრეს მშრომელთა და ბურჟუაზიის ყველა ოპოზიციური ხელმძღვანელობა, „პოლიტიკური დანაშაულისათვის“ სიკვდილის სასჯელი დაწესეს. დემოკრატიული და რევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის შეიქმნა სპეციალური ტერორისტული ორგანიზაცია — ოვრა. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში მხოლოდ ფაშისტური პარტიის დეპუტატები იყვნენ მოკალათებული, მუსოლინმა ამ საკანონმდებლო ორგანოს უფლებები არარაობამდე დაიყვანა. ფაშისტური მთავრობა დეკრეტების სახით პარლამენტის გვერდის ავლით სცემდა კანონებს, ბრძანებულებას და განკარგულებებს. ფაშისტური პარტიის და მთავრობის უმაღლეს ორგანოდ ფა-

შისტური დიდი საბჭო ცხადდებოდა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ფაშისტური პარტიის დირექტორიის და დეპუტატთა პალატის დეპუტატები. პარლამენტის დეპუტატების არჩევა ხდებოდა ფაშისტური პარტიის მიერ წამოყენებული მხოლოდ ერთი სიით. ეს იყო კარიკატურა არჩევნებისა. ამრიგად, როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციები ფაშისტური მთავრობის ხელში იქნა კონცენტრირებული.

ფაშისტებმა თავისი აღვირახსნილი ტერორი პირველ რიგში კომუნისტების წინააღმდეგ მიმართეს. კომუნისტებს აპატიმრებდნენ და სასამართლოსა და გამოძიების გარეშე სპობდნენ ან საკონცენტრაციო ბანაკებში ათავსებდნენ. 1926 წლის ნოემბერში იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 92 წევრი, მათ შორის ა. გრამში დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. ა. გრამშისა და მის თანამებრძოლებს ფაშისტურმა სასამართლომ 20 წლის პატიმრობა მიუსაჯა. ა. გრამშიმ ვერ ატანა რა სასტიკი რეჟიმი, 1937 წელს გარდაიცვალა. ფაშისტებმა პროფკავშირები გარეკეს და მის ნაცვლად „სინდიკატები" შექმნეს, რომლის წევრობა მუშისათვის სავალდებულო იყო. შსკ-ის ლიდერებმა დე არაგონას მეთაურობით პროფკავშირები თვითდათხოვნილად გამოაცხადეს, ხოლო თვითონ ფაშისტების სამსახურში გადაბარგდნენ. სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის ნაწილი დააპატიმრეს, ნაწილი კი ემიგრაციაში წავიდა. მუშათა გაფიცვები სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდა.

კათოლიკური ეკლესია ფაშისტებს მხარს უჭერდა ხელისუფლების განმტკიცებაში. 1929 წელს ვატიკანსა და ფაშისტურ მთავრობას შორის დაიდო ე. წ. ლატერანის შეთანხმება, რომლითაც დედაქალაქის ტერიტორიაზე იქმნებოდა პაპის სუვერენული სახელმწიფო ვატიკანი. ამის შემდეგ კათოლიკური სამღვდელოება მორწმუნეებს შორის ფაშისტური პოლიტიკის აქტიურ პროპაგანდისტად გამოდიოდა.

§ 18. იტალია მსოფლიო ეკონომიური კრიზისისა და ომის წინა პერიოდში

მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა იტალიის ეკონომიკას დიდი დარტყმა მიაყენა. კრიზისის წლებში სამრეწველო პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა 1/3 შემცირდა. სამი წლის განმავლობაში 1929—1932 წლებში ექსპორტი დაეცა — 3-ჯერ — იგი შემცირდა 14-დან 6 მლრდ ლირამდე, ხოლო იმპორტი 21-დან—8 მლრდ ლირამდე. წარმოების დაცემა გრძელდებოდა 1933 წლის დასაწყისამდე. 1932 წლისათვის სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა 1929 წელთან შედარებით შეადგენდა 72,2%. 1933 წლისათვის წარმოების დაცემა შეჩერდა, მაგრამ კრიზისამდელ დონეს მან მხოლოდ 1937 წლისათვის მიაღწია. ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობაც

ეკონომიური კრიზისის წლებში ქალაქის და სოფლის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გაუარესდა. უმუშევართა რაოდენობამ 1 მილიონ კაცს გადააჭარბა. კრიზისის მთელი სიმძიმე მშრომელთა მასებს დაეწვა. ბურჟუაზიაც და მთავრობაც მშრომელთა ხარჯზე ცდილობდა კრიზისიდან თავის დაღწევას. მთავრობის 1930 წლის დეკრეტით სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ხელფასი 12 % შემცირდა, ხოლო წარმო-

ებებში კი მეწარმეებმა მუშათა ხელფასი 12—16%-ით შეამცირეს, სოფლის მეურნეობის მუშათა შემოსავალი კი 30—50% შემცირდა. კრიზისის დროს გაზშირდა წვრილი და საშუალო გლეხთა ქონების საჯაროდ გაყიდვა. კრიზისმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა წვრილი და საშუალო მეწარმეები, რომელთა დიდი ნაწილი გაკოტრდა. მაგრამ არც მსხვილ მეწარმეებს და ბანკირებს დაადგათ კარგი დღე. იტალიის მთელი რიგი უმსხვილესი საწარმოები და ბანკები სრული გაკოტრებისაგან ფაშისტურმა მთავრობამ იხსნა. 1931 წელს უმსხვილესმა ფინანსურმა გაერთიანებამ „ბანკო კომერჩიალე იტალიანო"-მ მთავრობისაგან მიიღო 1 მლრდ კრედიტი და ამით გადარჩა გაკოტრებას. მთავრობის დახმარება მიიღეს სხვა უმსხვილესმა ბანკებმა და წარმოებებმა. მათ დასახმარებლად მთავრობამ შექმნა სამრეწველო რეკონსტრუქციის ინსტიტუტი, რომელიც აკრედიტებდა უმსხვილეს საწარმოებს, ყიდულობდა მათ აქციებს და ახდენდა წარმოებების იძულებით კონცენტრაციას. მაგალითად, 1931 წელს მთავრობამ აიძულა ლითონის წარმოების ყველა კომპანია გაერთიანებულიყვნენ ერთ კონსორციუმში. მთავრობის დეკრეტებით შეიქმნა მოელი რიგი უმსხვილესი სამრეწველო მონოპოლიები — ელექტრო-ენერგეტიკის, ქიმიური, შაქრის, მეტალურგიის, მექანიკური. მრეწველობის ეს დარგები სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანების ცენტრად გადაიქცა. კრიზისმა განამტკიცა ფაშისტური სახელმწიფოსა და მსხვილი ფინანსური სამრეწველო მაგნატების ინტერესების ურთიერთ შერწყმა.

კრიზისმა ძალზედ გაუარესა მშრომელთა მასების ისედაც მძიმე მდგომარეობა და გამოიწვია მათი საგაფიცვო მოძრაობა. მიუხედავად მკაცრი ტერორისტული რეჟიმისა, მაინც დაიწყო მშრომელთა სტიქიური გამოსვლები.

სამხედრო მრეწველობის მონოპოლიები სახელმწიფოსაგან დიდ სუბსიდიებს იღებდნენ. ისინი ყოველგვარი გადასახადებისაგან განთავისუფლდნენ და დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ ნედლეულის, დაკვეთების და ელექტროენერგიის მიღების საქმეში.

ფაშისტური მთავრობა მასობრივ ტერორთან ერთად კვლავ ფართოდ იყენებდა სოციალურ დემაგოგიას. მისი პროპაგანდა ტოტალიტარულ დიქტატურას უკლასო სოციალურ წყობად სახავდა, რომლის დროსაც თითქოს კერძო კაპიტალისტურ საქმიანობას მთავრობა მთელი ხალხის ინტერესების გზით წარმართავდა. ასეთი ილუზიების დანერგვას მუსოლინი იტალიელ ხალხში ცდილობდა ეკონომიური კრიზისის შემდეგ მის მიერ შექმნილი კორპორაციებით.

ჯერ კიდევ 1927 წელს ფაშისტთა დიდმა საბჭომ გამოაქვეყნა ე. წ. შრომის ქარტია, რომლის შესახებ მუსოლინის მთავრობა ეწოდა პროპაგანდას, რომ თითქოს მისი მთავარი დანიშნულებაა — კლასთა ბრძოლის მოსპობა და სოციალური თანამშრომლობის იდეის გავრცელება ქვეყანაში, საერთო ეროვნული ინტერესების მიღწევის მიზნით. ფაშისტური სახელმწიფოს ტოტალიტალურ რეჟიმად გადაქცევის პროცესი ქარტიაში კონკრეტიზირებული იყო სახელმწიფოს ჩარევით წარმოების სფეროში. მისი ძირითადი საფუძველი უნდა ყოფილიყო კორპორაციული სისტემა, რომელიც გააერთიანებდა მეწარმეებსა და მუშებს წარმოების დარგების მიხედვით. შექმნილ იქნა კორპორაციის ეროვნული საბჭო და კორპორაციის სამინისტრო, მაგრამ ერთიც და მეორეც უმოქმედოდ იყენენ იმის გამო, რომ არ შექმნილა თვით

კორპორაციები, ვინაიდან ამ უკანასკნელის შექმნა მაშინ სერიოზულ სიძნელეებს წააწყდა. ძნელი იყო ერთ პროფესიულ ორგანიზაციაში მუშებისა და მეწარმეების გაერთიანება, რომელთა რეალური ინტერესები ძალზედ განსხვავებული იყო. მაგალითად, მეწარმეებს არ მოწონდათ ქარტიაში ჩაწერილი ზოგიერთი დაპირებები — მუშებისათვის შრომის ანაზღაურების პრინციპების შესახებ, ღამისა და გარიგებითი სამუშაოებისათვის ზედმეტი ანაზღაურების, მუშებისათვის ყოველწლიურად ანაზღაურებული შვებულებების მიცემის, სამსახურიდან მუშათა მიზეზის გარეშე დათხოვნის შემთხვევაში მათთვის კომპენსაციების მიცემის შესახებ და სხვ. ამ უმნიშვნელო პროპაგანდული ხასიათის დაპირებამაც კი მეწარმეთა უკმაყოფილება გამოიწვია. ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეიქმნა, რომ თითქოს ფაშისტურ ხელისუფლებასა და ბურჟუაზიას შორის წინააღმდეგობაც კი იყო. ამის რეკლამას განგებ ეწეოდა ფაშისტური პროპაგანდა, რათა თავისი სახელმწიფო წარმოედგინა როგორც „ზეკლასობრივი“ ხასიათისა. სინამდვილეში კი ფაშისტური მთავრობის მთავარი ამოცანა იყო ჩარეულიყო ქვეყნის ეკონომიურ მართვაში და ისე წარემართა იგი, რომ თავისუფალი ყოფილიყო ყოველგვარი კრიზისებისაგან და უზრუნველეყო დიდი ომის მომზადების საქმე, ერთგულად ემსახურა მსხვილი კაპიტალის მაგნატების ინტერესებისათვის.

ეკონომიური კრიზისის დროს კორპორაციების პოლიტიკაში დაიწყო ახალი ეტაპი. კორპორაციის ძველ სამინისტროებს გადაეცათ ეკონომიკის სამინისტროს ფუნქციები. 1930 წლის მარტში გამოქვეყნებული მთავრობის დეკრეტით ხელახლა შეიქმნა კორპორაციების ეროვნული საბჭო, რომელიც გადაიქცა ფაშისტური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ორგანოდ. მისი ამოცანა იყო ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ურთიერთ შერწყმა და წარმოების სხვადასხვა სექტორებს შორის ეკონომიური ურთიერთობის კორდინირება. კორპორაციების ეროვნულ საბჭოში თანაბარი რაოდენობით შედიოდნენ ფაშისტური პროფკავშირებისა და მეწარმეების წარმომადგენლები. მასში შედიოდნენ აგრეთვე ფაშისტური პარტიის წარმომადგენელები, მინისტრები და მათი მოადგილეები და მრავალრიცხოვანი ეკონომიური ექსპერტები. საბჭო 120 წევრისაგან შედგებოდა. წარმოების უშუალო წარმომადგენლები მასში უმცირესობას შეადგენდნენ.

ეროვნული საბჭოს წევრებს კი არ ირჩევდნენ, არამედ მთავრობა ნიშნავდა, რის გამოც იგი თავიდანვე ბიუროკრატიულ ორგანოდ გადაიქცა.

თავდაპირველად შვიდი კორპორაცია შეიქმნა, შემდეგ კი მათი რაოდენობა 22-დე გაიზარდა. იტალიის ყოველ პროვინციაში ეროვნული საბჭოს მსგავსი ეკონომიური საბჭოები შეიქმნა. მათი წევრები პოლიციის პრეფექტის მიერ ინიშნებოდა. 1934 წლისათვის იტალიის მთელი აქტიური მოსახლეობა კორპორაციულმა სისტემამ მოიცვა. მუშები, გლეხები, მრეწველები, ხელოსნები, თავისუფალი პროფესიის მქონე ადამიანები, მსახიობები, მასწავლებლები, ექიმები, ერთი სიტყვით ყველა პროფესიის ადამიანი, როგორც წესი, შევიდა რომელიმე პროფკავშირში, რომელსაც ეროვნული კორპორაციის ფედერაცია ეწოდებოდა. სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურენი გაერთიანებულნი იყვნენ განსაკუთრებულ ასოციაციაში, რომელიც უშუალოდ ფაშისტური პარტიის მდივანს ემორჩილებოდა.

კორპორაციული სისტემის მთავარი დანიშნულება იყო კლასობრივი

წინააღმდეგობის მიჩქმალვა და კერძო ინტერესების დამორჩილება „მაღალ ეროვნულ ინტერესებისადმი“. ფაშისტურმა მთავრობამ ყოველგვარი დემოკრატიული თავისუფლების მოსპობის შემდეგ კორპორაციული სისტემების შექმნით მიზნად დაისახა ძირშივე ამოეძირკვა ყოველი სახის ოპოზიციური მიმდინარეობის შექმნის შესაძლებლობანი პროფკავშირებში, განემტკიცებინა მონოპოლიებს ბატონობა ქვეყანაში და ხელი შეეშალა არსებული წყობილების წინააღმდეგ მუშათა ძალების გაერთიანებისათვის. ამრიგად, ამ სისტემით მშრომელთა ინტერესები უნდა დამორჩილებოდა კერძო კაპიტალის ინტერესებს. მაგალითად, კორპორაციებში არსებული მეწარმეებისა და მუშათა პროფკავშირების პარიტეტული სისტემა აშკარა თვალთმაქცობა იყო. მშრომელთა პროფკავშირების წარმომადგენლებად აქ იყვნენ ფაშისტური სინდიკატები, რომლის წევრები მუშების მიერ არ იყვნენ ამორჩეულნი, არამედ მთავრობა ნიშნავდა. გასაგებია, რომ ისინი კორპორაციებში მუშების კი არა მეწარმეების ინტერესებს იცავდნენ. მეწარმეების პროფკავშირები კორპორაციებში კი რეალურ ძალას წარმოადგენდა და თავს ახვევდა თავის ინტერესებს მუშათა კლასს.

ეკონომიური კრიზისის დროს სახელმწიფო მართლაც ძალზედ ფართოდ ჩარეულა სამეურნეო ცხოვრებაში, მაგრამ ამ ჩარევის მიზანი იყო მსხვილი მრეწველობისა და ბანკირებისათვის დახმარების გაწევა. ერთი სიტყვით, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში კორპორაციების როლი უმნიშვნელო იყო არა მარტო ეკონომიური კრიზისის დროს, არამედ თვით ომის დაწყებამდე.

კორპორაციებმა განახორციელეს ზოგიერთი ღონისძიებანი მუშათა კანონმდებლობისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში. სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მსგავსად იტალიაშიც 1933 წელს საწარმოებში შემოღებული იქნა 8 საათიანი სამუშაო დღე, ხოლო 1934 წელს კი 40 საათიანი სამუშაო კვირა. მაგრამ ამ კანონებს მეწარმეები არღვევდნენ და როგორც წესი ქაღალდზე ჩრჩებოდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის წარმოება, მაგრამ იგი ეხება სოფლის მეურნეობის კულტურების ისეთ მომგებიან წარმოების ხარჯზე, როგორიცაა ზეითუნის ზეთი, ყურძენი, ღვინო და სხვ. ზარალი ნახა აგრეთვე მეცხოველეობამ. მარცვლეულის წარმოების გაზრდის მთავარი მიზანი იყო, რომ აღარ შემოეტანათ საზღვარგარეთიდან ხორბლეული და ომის დროს უზრუნველეყოთ ზურგისა და ფრონტის მომარაგება აღნიშნული პროდუქტით. მაგრამ მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა იტალია მაინც ვერ აწარმოებდა ქვეყნისათვის სამყოფ მარცვლეულს. ამ საქმეს ვერ უშველა აგრეთვე ყამირი მიწების ათვისებამაც (რომის მახლობლად პონტინის ჭაობისა).

ფაშისტური მთავრობა ცდილობდა იტალიელ ხალხში დაენერგა შოვინიზმი და რასიზმი, სხვა ხალხებისადმი სიძულვილი და აშკარად ეწეოდა სხვა ქვეყნების დაპყრობის პროპაგანდას. ამ მიზნით მუსოლინმა „დიდი იტალიის“ შექმნის ლოზუნგი წამოაყენა. ის აცხადებდა, რომ იტალია რომის დიდი იმპერიის პირდაპირი შემკვიდრეა. თავისი აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად და შეიარაღებული ძალების გაზრდის მიზნით მუსოლინმა წამოაყენა იტალიის მოსახლეობის გამრავლების მოთხოვნა, რათა იგი გაზრდილიყო 60 მილიონამდე. ამ მიზნით სასტიკად აიკრძალა იტალიიდან უმუშევართა ემიგრაცია საზღვარგარეთ, უცოლოებზე შემოღებული იქნა მაღალი გადასახადი,

მრავალშვილიანი დედები იღებდნენ სპეციალურ საჩუქრებსა და ფინანსურ დახმარებას, მუსოლინი აცხადებდა, რომ თუ, „მოსახლეობა არ გამრავლდა, იტალია ვერ გახდება იმპერია და თვითონ გადაიქცევა კოლონიად". ფაშისტებმა ამ საქმეშიც ვერ მიაღწიეს წარმატებას. 10 წლის განმავლობაში 1921—1931 წწ. მოსახლეობა გაიზარდა 38 მილიონიდან—41 მილიონამდე, მაგრამ ეს მატება წინა წლებთან შედარებით უფრო დაბალი იყო, ხოლო შემდეგ წლებში კი კიდევ უფრო დაეცა. მაგალითად, 1931 წელს ყოველ 1 ათას კაცზე მოდიოდა 27,5 ახალშობილი, 1934 წელს კი—23,4.

ფაშისტებს მოსახლეობის გამრავლება უნდოდათ აგრეთვე „მომავალი იმპერიის" კოლონიზაციისა და შეიარაღებული ძალების გაზრდისათვის.

ომის მომზადების მიზნებს ემსახურებოდა აგრეთვე გამოცხადებული ე. წ. ავთარქიის პოლიტიკა, რომლის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის სტრატეგიული ნედლეულით თვითუზრუნველყოფა. ამ მიზნით მომდინარეობდა ნავთობისა და ქვანახშირის გეოლოგიური ძიებანი, ეროვნული რესურსების მაქსიმალური გამოყენება, სტრატეგიული ნედლეულის მოხმარებაზე კონტროლისა და შეზღუდვების დაწესება, მათი შემცვლელი წარმოების განვითარება, ჰიდროელექტრო სადგურების დაჩქარებული მშენებლობა და ა. შ. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო დარგის მრეწველობა. მაგრამ წარმატებები უმნიშვნელო იყო, 5-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ავთარქიის გეგმა ისახავდა, ხოლო ახლად შექმნილი სტრატეგიული ნედლეულის ბაზები ღარიბი იყო და იქ მოპოვებული პროდუქცია 3—5-ჯერ მეტი ჯდებოდა, ვიდრე შემოტანილი. ამასთანავე, ავთარქიის პოლიტიკის განხორციელება ძალზე ძვირი ჯდებოდა და იგი ხალხის ხარჯზე ტარდებოდა. მოგებული მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზია რჩებოდა. ქვეყნის მილიტარიზაციის შედეგად ძირითადმა მონოპოლიებმა 1934—1935 წწ. თავიანთი მოგებები საშუალოდ 80 % გაზარდეს.

კრიზისის წლებში ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გაუარესდა. მიუხედავად ტერორისტული რეჟიმისა მშრომელთა სტიქიური გამოსვლები მაინც დაიწყო.

მილანის მუშებმა გრანდიოზული გაფიცვა მოაწყვეს, მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვის წინა დღეს მთავრობამ 3 ათასი კაცი დააპატიმრა. ტურინში მოხდა შეტაკება უმუშევრებსა და ჯარის ნაწილებს შორის. ბრძოლაში სამხრეთ იტალიის გლეხობაც ჩაება. გლეხები ანიარაღებდნენ პოლიციელებს, უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე და ა. შ.

ერთადერთი პარტია, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ თანამიმდევრულ ბრძოლას აწარმოებდა, კომუნისტური პარტია იყო[1]. კომპარტიამ გაწმინდა თავისი რიგები ფრაქციონერებისაგან. 1930 წელს ბორდიგი პარტიიდან გაირიცხა. კომპარტიის თავგანწირული ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ზრდიდა მის რიგებს და ავტორიტეტს მასებში. კომპარტია წარმატებით ანხორციელებდა არალეგალური და ლეგალური მუშაობის ურთიერთ შეხამების ტაქტიკას, იბრძოდა ქვეყნის ყველა ანტიფაშისტური ძალების გაერთიანებისა და ერთიანი მუშათა და ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის შექმნისათვის. 1934 წელს პარიზში

[1] 4671 კაციდან, რომელიც „პოლიტიკური დანაშაულისათვის" გასამართლდა ფაშისტური ტრიბუნალის მიერ, 4000 კომუნისტი იყო. საკონცენტრაციო ბანაკებსა და გადასახლებაში გაგზავნილი 10 ათასი კაციდან, 8 ათასი კომუნისტი იყო.

იტალიის კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ფაშიზმის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედების შესახებ. ანტიფაშისტურ ფრონტში ერთიანდებოდნენ ემიგრაციაში მყოფი პატრიოტული და დემოკრატიული ძალები, არალეგალური მუშაობის წარმოებისათვის ქვეყნის შიგნით შეიქმნა ცენტრი. დაიწყო არალეგალური კომუნისტური გაზეთების გამოცემა. კომუნისტების ხელმძღვანელობით აღსდგა იატაკქვეშა შრომის საყოველთაო კონფედერაცია.

ფაშისტური მთავრობის მტაცებლური საგარეო პოლიტიკა

ფაშისტური დიქტატურის დამყარების უკვე პირველსავე წლებში იტალიის საგარეო პოლიტიკა აშკარა აგრესიულ ხასიათს იღებს. ისარგებლა რა ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებით საფრანგეთის მიერ რურის ოლქის ოკუპაციის გამო, მუსოლინის აგენტებმა ფიუმეში სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს, იქ ფაშისტური ხელისუფლება დაამყარეს და იგი თავის სახელმწიფოს შეუერთეს. ეს რაპალის ხელშეკრულების აშკარა დარღვევა იყო. ამ ხელშეკრულებით ფიუმე თავისუფალ ნავსადგურად ცხადდებოდა, სადაც იტალიასთან ერთად ქალაქში მნიშვნელოვანი უფლებები იუგოსლავიასაც ჰქონდა. 1924 წ. იანვარში იტალიასა და იუგოსლავიას შორის დადებული ხელშეკრულებით ფიუმე იტალიის ხელში გადადიოდა.

ფაშისტური მთავრობის საგარეო პოლიტიკის პირველი ნაბიჯი ვერსალის საზავო ხელშეკრულებისათვის ძირის გამოთხრა იყო. ამ ზავით საფრანგეთის პოზიციები ევროპაში გაძლიერდა. მან შექმნა მცირე ანტანტა, ბალკანეთის ანტანტა და თავის გავლენაში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მოაქცია. იტალია, ინგლისის მხარდაჭერით ბალკანეთის და მცირე ანტანტის დაშლისა და საფრანგეთის გავლენის შესუსტებისათვის იბრძოდა. მუსოლინის მთავრობა ცდილობდა ბალკანეთსა და დუნაის ქვეყნებში საფრანგეთის ხარჯზე იტალიის ჰეგემონიის დამყარებას. ფაშისტური იტალიის აგრესიულმა კურსმა ბალკანეთის ქვეყნები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროების წინაშე დააყენეს. 1934 წლის თებერვალში იტალიის ამ ხრიკებს იუგოსლავიამ, საბერძნეთმა, რუმინეთმა და თურქეთმა უპასუხეს ბალკანეთის პაქტის დადებით, რამაც საფრანგეთის პოზიციები ამ ქვეყნებში კიდევ უფრო განამტკიცა. მალე ამის შემდეგ მკვეთრად დაეცა იტალიის ექსპორტიც ბალკანეთის ქვეყნებში, სადაც ამ მხრივ გაბატონებულ მდგომარეობას ჰიტლერული გერმანია იკავებდა. 1937 წლისათვის იტალიის ექსპორტი ბალკანეთში 10-ჯერ შემცირდა.

ჰიტლერული დიქტატურის დამყარების შემდეგ ურთიერთობა გერმანიასა და იტალიას შორის თავდაპირველად დაძაბული იყო. მუსოლინის მთავრობა წინ აღუდგა დუნაის და ბალკანეთის ქვეყნებში გერმანელთა გაბატონების ცდებს. 1934 წ. მარტში იტალიასა და ავსტრიას შორის დადებული ხელშეკრულება უკანასკნელს დამოუკიდებლობის გარანტიას აძლევდა. იმავე წლის ზაფხულში ჰიტლერელთა აწმლუსის ცდებს მუსოლინმა ავსტრიის საზღვრებთან 12 დივიზიის გაგზავნით უპასუხა, რის შემდეგ ჰიტლერი იძულებული გახდა ჯერჯერობით ხელი აეღო თავის აგრესიულ ზრახვებზე. ავსტრიის დამოუკიდებლობის შენარჩუნების საკითხთან დაკავშირებით იტალიისა და საფრანგეთის დროებითი დაახლოებაც კი დაიწყო. საფრანგეთი იტალიის მიმართ

ერთგვარ ტერიტორიულ დათმობაზეც კი წავიდა ლიბიასა და ეკვატორულ აფრიკაში და, რაც მთავარია, მას მოქმედების თავისუფლებას აძლევდა ეთიოპიაში. ინგლისმაც აგრძნობინა იტალიას, რომ არც ის შეუშლიდა მას ხელს ეთიოპიაში. ფაშისტური იტალიის ტერიტორიული პრეტენზიები ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიების მიმართ დიდი იყო. მაგრამ მან იგი დროებით შეკვეცა, რათა ამ სახელმწიფოების მხრივ წინააღმდეგობას არ შეხვედროდა ეთიოპიის დაპყრობის საქმეში, რომლისთვისაც იგი დიდი ხნით ადრე ემზადებოდა. იტალიის აგრესიას ეთიოპიაში მხარს უჭერდა და აქეზებდა ჰიტლერული გერმანიაც. ეს უკანასკნელი, ემზადებოდა რა მსოფლიო ომისათვის, დაინტერესებული იყო საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებით, რათა ხელსაყრელი ვითარება შექმნილიყო მისი აგრესიული ზრახვებისათვის. ჰიტლერულ გერმანიას იმედი ჰქონდა, რომ ამ მხარდაჭერით იგი ერთი მხრივ იტალიას თავის მხარეზე გადაიბირებდა, ხოლო მეორე მხრივ გააღრმავებდა წინააღმდეგობას ინგლის-საფრანგეთსა და იტალიას შორის. თავის მხრივ, იტალია გერმანიის სახით მომავალ მოკავშირეს ხედავდა ინგლის-საფრანგეთის კოლონიების გადანაწილების საქმეში.

სარგებლობდა რა ფაქტიურად ევროპის დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების მხარდაჭერით, იტალიამ 1935 წლის ოქტომბერში დაუცველი ეთიოპიელი ხალხის წინააღმდეგ დამპყრობლური ომი დაიწყო. ჩამორჩენილი, ნახევარფეოდალური ეთიოპიის წინააღმდეგ მუსოლინმა 300 ათასიანი არმია დასძრა, რომელიც ტანკებით, თვითმფრინავებით და არტილერიით იყო შეიარაღებული. ეთიოპიელებმა მხოლოდ 20 ათასიანი რეგულარული ჯარების დაპირისპირება შეძლეს. იტალიელი ფაშისტების ეს ომი ეთიოპიელ ხალხთან არც ისეთი იოლი აღმოჩნდა. ეთიოპიელები დამპყრობელებს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. აგრესორები ქალაქების ბარბაროსულ დაბომბვებთან ერთად ქიმიურ გაზებსაც იყენებდნენ. საბჭოთა კავშირი ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელმაც ხმა აღიმაღლა ეთიოპიელი ხალხის დასაცავად. საბჭოთა მთავრობა დიდ სახელმწიფოებს მოუწოდებდა, რათა გაერთიანებული ძალებით აღეკვეთათ აგრესორი და დაეცვათ ეთიოპიელი ხალხი, მაგრამ საბჭოთა მთავრობის ამ წინადადებამ არ პოვა მხარდაჭერა. 1936 წლის ზაფხულში პატრიოტთა წინააღმდეგობა გატეხილ იქნა, ეთიოპია, იტალიის კოლონიებით — სომალსა და ერიტრეასთან ერთად შეევიდა „იტალიის აღმოსავლეთ აფრიკის“ შემადგენლობაში, სადაც მთელი ძალაუფლება იტალიის მთავრობის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორის ხელში გადადიოდა.

ეთიოპიელი ხალხის წინააღმდეგ ფაშისტების მიერ წარმოებულმა დაუსჯელმა ომმა გაათამამა ისინი. ამასთანავე, ამ ომმა ორი ფაშისტური სახელმწიფო — ჰიტლერული გერმანია და ფაშისტური იტალია უფრო მეტად დააახლოვა. 1936 წელს ორივე ამ სახელმწიფომ ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ დახმარება აღმოუჩინა მეამბოხე ესპანელ ფაშისტებს ჯერ იარაღითა და ფულით, ხოლო შემდეგ ამკარა ინტერვენცია დაიწყეს. მათ ესპანეთის სახალხო ფრონტის წინააღმდეგ გაგზავნეს ჯარის ნაწილები, თვითმფრინავები, ტანკები არტილერია, საზღვაო ფლოტი და მეამბოხე ფაშისტებს შეუფერხებლივ აწვდიდნენ ყოველი სახის საჭირო მასალას.

სამ წელიწადს გრძელდებოდა იტალია-გერმანიის ეს გამოუცხადებელი ომი ესპანეთში. იტალიის სამხედრო ფლოტი ბომბავდა ესპანეთის ნავსად-

გურებს, წყალქვეშა ფლოტი ძირავდა ესპანელი ხალხის დასახმარებლად გაგზავნილ იარაღითა და სურსათით დატვირთულ გემებს. მუსოლინმა ესპანეთში 30-ათასიანი საექსპედიციო კორპუსი გაგზავნა. იტალიელი ფაშისტები აღმაშფოთებელ მხეცობას სჩადიოდნენ ესპანეთში: არ ინდობდნენ ბავშვებს, ქალებს და მოხუცებს, განუკითხავად ხვრეტდნენ თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხს. იტალიელი ფაშისტების ბარბაროსობამ ესპანეთში მთელი პროგრესული კაცობრიობის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. იტალიის საუკეთესო შვილები, დაახლოებით 4 ათასი კაცი, რომელთაც გარიბალდის სახელობის ბრიგადა შეადგინეს, სხვა ინტერნაციონალურ ბრიგადებთან და ესპანელ ხალხთან ერთად გმირულად იბრძოდნენ ადგილობრივი და ინტერვენტთა ფაშისტური ძალების წინააღმდეგ. იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ლუიჯი ლონგო ესპანეთში არსებულ ყველა ინტერნაციონალური ბრიგადის გენერალური კომისარი იყო. ესპანეთში ბრძოლის ველზე დაეცა 600 და დაიჭრა 2 ათასი იტალიელი მოხალისე — ანტიფაშისტი. 1937 წ. მარტში გვადალახართან ბრძოლისას გარიბალდის ბრიგადამ გადამწყვეტი როლი ითამაშა იტალიის საექსპედიციო კორპუსის დამარცხებაში.

გერმანია-იტალიის ინტერვენცია ესპანეთში საშიშროებას უქმნიდა ინგლის-საფრანგეთის ინტერესებს ხმელთაშუა ზღვის აუზში და ატლანტის ოკეანეში, მაგრამ იმის იმედით, რომ ფაშისტური სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გააჩაღებდნენ ომს, დასავლეთის სახელმწიფოები ფაშისტური აგრესორების წახალისების გზას დაადგნენ. დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველმა წრეებმა აგრესორისათვის კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევის პოლიტიკას, როგორც ამას მოითხოვდა საბჭოთა კავშირი, ფაშისტებთან გარიგების პოლიტიკა არჩიეს. მათ გამოაცხადეს ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა, რაც ფაქტიურად ფაშისტებისათვის მხარდაჭერას ნიშნავდა.

ესპანელი ხალხის გმირულ ბრძოლას მეამბოხე ფაშისტებისა და საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ დიდი თანაგრძნობით და მხარდაჭერით შეხვდა მსოფლიო პროგრესული კაცობრიობა. საბჭოთა კავშირმა პირველმა აღიმაღლა ხმა გერმანია-იტალიის ინტერვენციისა და დასავლეთის სახელმწიფოების „ჩაურევლობის" პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვა, რათა ესპანეთისათვის მიეცათ იარაღის შესყიდვის უფლება და მისთვის დახმარება აღმოეჩინათ, მაგრამ საერთაშორისო რეაქციულმა ძალებმა ყველაფერი გააკეთეს ესპანეთის რესპუბლიკის დამხობისა და იქ ფაშისტური დიქტატურის დამყარებისათვის.

ერთობლივმა ინტერვენციამ ესპანელი ხალხის წინააღმდეგ უფრო დააახლოვა ჰიტლერული გერმანია და ფაშისტური იტალია. 1936 წ. ოქტომბერში მათ ხელი მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რომელმაც „ბერლინ-რომის ღერძის" სახელწოდება მიიღო. იგი ითვალისწინებდა საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში მოქმედების საერთო ბაზს და ევროპაში გავლენის სფეროების გაყოფას. ჰიტლერული გერმანია ფაშისტურ იტალიას ხმელთაშუა ზღვის აუზში თავისუფალი მოქმედების უფლებას აძლევდა და მხარდაჭერას აღუთქვამდა დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელებაში. 1937 წლის ნოემბერში იტალია, რომელიც მანამდე ერთა ლიგიდან გა-

მოვიდა, შეუერთდა გერმანია-იაპონიის მიერ შექმნილ „ანტიკომინტერნულ პაქტს". ამ კავშირის მონაწილენი ამტკიცებდნენ, რომ მათი ერთადერთი მიზანი საერთაშორისო კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. სინამდვილეში ეს იყო აგრესიული სამხედრო ბლოკი, რომელიც ესწრაფვოდა ომის გაჩაღებას მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების მიზნით. 1939 წლის აპრილში ფაშისტურმა იტალიამ პატარა ალბანეთის დაუსჯელი ოკუპაცია მოახდინა. დაპყრობითმა ომებმა და სხვისი ხალხების ძარცვამ მოგებები მხოლოდ მსხვილ მონოპოლიებს მოუტანა. ამას არ გამოუწვევია იტალიის ეკონომიური აღმავლობა და მით უმეტეს ხალხთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესება. პირიქით, ომის პოლიტიკა და ამ პოლიტიკით გამოწვეული უდიდესი ხარჯები მშრომელთა მასებს მძიმე უღლად დაეწვა. 1939 წ. სახელმწიფო ვალი 2000 მლრდ. ლირას აღწევდა. გადასახადები ომის წინ ორჯერ გაიზარდა, რეალური ხელფასი კი 15 % შემცირდა. საბინაო მშენებლობა 1,3 შემცირდა. ქვეყნის ეკონომიკის მილიტარიზაციამ მშვიდობიანი დარგის წარმოების მოშლა გამოიწვია. მკვეთრად შემცირდა ფართო მოხმარების საგნების წარმოება. მართალია, დიდი იყო ფაშისტური იტალიის პრეტენზიები მსოფლიოს გადანაწილების მოთხოვნაში, მაგრამ იგი მასზე ძლიერი გერმანიის უმცროსი პარტნიორის როლს ასრულებდა. იტალია ეკონომიურად ბევრად ჩამორჩებოდა ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგალითად, 1939 წ. იტალიაში ბუჯის გამოდნობა 20-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე გერმანიაში, 7,5-ჯერ ნაკლები, ვიდრე ინგლისში და 6,5-ჯერ ნაკლები, ვიდრე საფრანგეთში, ფოლადისა კი 8-ჯერ ნაკლები ვიდრე გერმანიაში, 5-ჯერ ნაკლები, ვიდრე ინგლისში და 2,5-ჯერ ნაკლები, ვიდრე საფრანგეთში.

მიუხედავად ტერორისტული რეჟიმისა, ხალხთა მასებისა და დემოკრატიული ძალების ბრძოლა ქვეყანაში გაძლიერდა. ფაშისტური მთავრობა საშინაო კრიზისიდან თავის დაღწევას ომში ეძებდა. 1940 წლის ივნისში ჰიტლერული გერმანიის საფრანგეთში შეჭრის შემდეგ, ფაშისტური იტალია იოლი წარმატებების იმედით, თავს დაესხა საფრანგეთს, რითაც ჩაება მეორე მსოფლიო ომში.

ესპანეთი I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

§ 19. ესპანეთი 1918—1920 წწ.

ოქტომბრის რევოლუციის გავლენა ესპანეთზე

I მსოფლიო ომში ესპანეთს მონაწილეობა არ მიუღია. მან „ნეიტრალიტეტი" გამოაცხადა. ესპანეთის ბურჟუაზია ომის დროს სარფიან ვაჭრობას ეწეოდა ორივე მეომარ მხარესთან, რის შედეგადაც ესპანეთის შედარებით სუსტად განვითარებული მრეწველობა ერთგვარი აღმავლობის გზას დაადგა. ომის წლებში წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის და, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო დაკვეთების ზრდის გამო ბურჟუაზიის ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციები ქვეყანაში გაძლიერდა.

მაგრამ მიუხედავად ამისა ესპანეთი ომის შემდეგაც ჩამორჩენილ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყანას წარმოადგენდა. სოფლად ჯერ კიდევ მტკიცედ

იყო შემორჩენილი ფეოდალიზმის გადმონაშთები. მთელი მიწების ორი მესამედი მემამულეებს ეკუთვნოდათ. გლეხთა დიდი ნაწილი უმიწო ან მცირე მიწის მქონე იყო, რის გამოც იგი იძულებული იყო მემამულეებისაგან კაბალურ პირობებში აეღო მიწა იჯარით. მრეწველობა ძალზე სუსტად იყო განვითარებული. შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო მსუბუქი მრეწველობა, ხოლო მძიმე მრეწველობიდან უმეტესად სამთომადნო მრეწველობა. ქვეყნის ეკონომიკაში ძლიერი იყო საზღვარგარეთის, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალი.

1876 წლის კონსტიტუციის საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლება ესპანეთში მეფისა და მის მიერ დანიშნულ მინისტრთა კაბინეტის ხელში იყო. საკანონმდებლო ორგანო კორტესების (პარლამენტი) ხელში იყო. მაგრამ ფაქტიურად კორტესებს ძალზედ უმნიშვნელო უფლებები გააჩნდა. მეფეს შეეძლო შეხედულებისამებრ მისი მოწვევა და დათხოვნა. ამასთანავე, კორტესები არ ასახავდა ესპანელი ხალხის ინტერესებს. იგი მაღალი ფეოდალური ფენებისაგან შედგებოდა. მას ირჩევდნენ შეზღუდული საარჩევნო უფლებებით. დეპუტატთა უმრავლესობა ეკუთვნოდა კონსერვატორულ პარტიას, რომელიც ფეოდალ-კლერიკალების და ფინანსური მაგნატების ინტერესებს ასახავდა. კონსერვატორები მონარქიის ძლიერ დასაყრდენად ითვლებოდნენ. ბურჟუაზია კორტესებში წარმოდგენილი იყო ლიბერალური პარტიით, რომლის გავლენა ძალზე სუსტი იყო.

მეფის ხელისუფლების ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც, როგორც შუა საუკუნეების ეპოქაში, დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალას წარმოადგენდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ განათლების მთელი სისტემა ეკლესიის ხელში იყო.

არანაკლები გავლენით სარგებლობდა მხედრიონი, ფეოდალურ-მემამულური, კომპრადორული და სხვა გამყვლეფელი სოციალური წრეებიდან გამოსული გენერალიტეტი, რომელიც არსებული სოციალური სისტემის ერთ-ერთი საიმედო ბურჯი იყო. საყურადღებოა, რომ არცერთ ქვეყანაში იმდენი გენერალი არ იყო, რამდენიც ესპანეთში.

ესპანეთის მუშათა კლასის მდგომარეობა ძალზედ მძიმე იყო, რაც იწვევდა მის სამართლიან მრავალრიცხოვან გაფიცვებსა და გამოსვლებს. 1879 წელს შექმნილ სოციალისტურ პარტიაში ხელმძღვანელობა მემარჯვენე ოპორტუნისტების ხელში იყო. პროფკავშირულ ორგანიზაციებში გაბატონებული მდგომარეობა ანარქო-სინდიკალისტებს ეკავათ. მათი ხელმძღვანელობით არსებული შრომის ეროვნული კონფედერაცია 1920 წლისათვის 1 მილიონ 200 ათასზე მეტ კაცს ითვლიდა.

ომისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით გაჩაღებულ მუშათა კლასის საგაფიცვო და რევოლუციური ბრძოლა მონარქიულ-ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ. 1918—1920 წლებში ადგილი ჰქონდა მუშათა კლასის და გლეხობის მრავალრიცხოვან გამოსვლებს. მუშათა გამოსვლები განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა კატალონიაში, ასტურიაში და ბისკაიაში. 1919 წლის მარტში იფეთქა მუშათა საყოველთაო გაფიცვამ, რომელიც დაიწყო მადრიდში და გავრცელდა მთელ ესპანეთში. მუშებმა ეკონომიური მოთხოვნების გარდა წამოაყენეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთხოვნებიც: მონარქიის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამ-

ყარება, დემოკრატიული თავისუფლებების შემოღება და ფეოდალური გადმონაშთების სრული ლიკვიდაცია და ა. შ.

გრანდიოზული ხასიათის გაფიცვები ესპანეთში განმეორდა 1919 წლის აგვისტოსა და 1920 წლის მარტში.

რევოლუციურ ბრძოლაში ჩაება გლეხობაც. ანდალუზიაში და სხვა რაიონებში აჯანყებული გლეხობა სასტიკად უსწორდებოდა მემამულეებს და იტაცებდა მათ მიწებს.

დაშინებული მთავრობა იძულებული გახდა ზოგიერთ დათმობებზე წასულიყო: შემოღებულ იქნა 8 საათიანი სამუშაო დღე, გაზარდეს მუშათა ხელფასი, შემცირდა საიჯარო გადასახადი, აღადგინეს კონსტიტუციური გარანტიები, ნებადართულ იქნა პროფკავშირთა მოღვაწეობა და ა. შ. მაგრამ ამ უმნიშვნელო დათმობებმა ვერ შეაჩერეს ხალხთა რევოლუციური ბრძოლა. მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლა დიდ პანიკას იწვევდა გაბატონებულ კლასებში. ორი წლის განმავლობაში ესპანეთში მთავრობა რვაჯერ შეიცვალა.

კომუნისტური პარტიის შექმნა

ესპანეთის კომპარტია რევოლუციური ბრძოლის აღმავლობის ქარცეცხლში შეიქმნა. ესპანეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის პერიოდში სოციალისტურ პარტიასა და პროფკავშირებში მემარცხენე მარქსისტული მიმდინარეობანი ჩამოყალიბდა. 1920 წლის აპრილში სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირმა, რომელიც ომის დროს სოციალისტური პარტიის შიგნით ჩამოყალიბდა და 1919 წ. კავშირი გასწყვეტა რეფორმისტებთან, კომპარტიის სახელწოდება მიიღო.

ამავე დროს, 1920 წელს სოციალისტურ პარტიაში განხეთქილების შედეგად მას ჩამოშორდა მემარცხენე მიმდინარეობა, რომელიც მოითხოვდა კომინტერნში შესვლას და მიიღო კომპარტიის სახელწოდება. ორივე კომპარტია 1921 წელს გაერთიანდნენ ესპანეთის ერთ კომპარტიად. მართალია თავის მოღვაწეობის პირველ წლებში ესპანეთის კომპარტია ჯერ კიდევ სუსტი იყო როგორც ორგანიზაციულად, ასევე რიცხობრივადაც, მაგრამ მიუხედავად ამისა მის შექმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი რეფორმიზმთან და ანარქიზმთან ბრძოლაში თანდათან იწრთობოდა, ყალიბდებოდა და ზრდიდა თავის გავლენას მშრომელთა ფართო ფენებზე.

1920—1921 წლებში ესპანეთში დაიწყო ეკონომიური კრიზისი, რაც გამოყენებული იქნა ბუარჟუაზიისა და მთავრობის მიერ შეტევაზე გადასვლისათვის. მთავრობამ და ბურჟუაზიამ უკან წაიღო ის დათმობები, რაც მუშათა კლასმა გამოგლიჯა მას რევოლუციური აღმავლობის პირობებში.

ესპანეთის მაროკოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად აღმოცენდა რიფების რესპუბლიკა. ესპანეთის რეაქციამ ჯარი გაგზავნა მათ წინააღმდეგ, მაგრამ რიფებმა გაანადგურეს კოლონიური არმია. არმიის გენერალმა სილვესტრიმ თავი მოიკლა. ამ ამბებმა ახალი რევოლუციური აღმავლობა გამოიწვია, რამაც ესპანეთის მთავრობა აიძულა კვლავ დათმობებზე წასულიყო.

პრიმო დე რივერას სამხედრო-ფაშისტური დიქტატურის დამყარება და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა

რევოლუციური მოძრაობით დაშინებული ქვეყნის რეაქციულმა ფენებმა ძალები შემოიკრიბეს და ქვეყანაში აშკარა დიქტატორული რეჟიმის დამყარების მზადება დაიწყეს.

1923 წლის სექტემბერში კატალონიის ოლქის გენერალმა პრიმო დე რივერამ მეფე ალფონზ XIII თანხმობით ქვეყნის ფეოდალურ-კლერიკალურ ელემენტებსა, სამხედროებსა, მსხვილ ბურჟუაზიასა და ფაშისტურ ძალებზე დაყრდნობით მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება, კორტესები განდევნა, კონსტიტუციური გარანტიები გააუქმა და ქვეყანაში საალყო მდგომარეობა შემოიღო. ესპანეთში ფაშისტური დიქტატურა დამყარდა. პრიმო დე რივერას რეჟიმი გარდა შინაგანი კონტრრევოლუციური ძალებისა, კათოლიკურ ეკლესიასა და საზღვარგარეთის კაპიტალს ეყრდნობოდა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ესპანეთის ეკონომიკაში კაპიტალიზმის, ე. წ. სტაბილიზაციის დროს ინგლის-საფრანგეთის კაპიტალთან ერთად შეჭრა დაიწყო აშშ-ის, გერმანიის და იტალიის კაპიტალმა.

პრიმო დე რივერა თავისი სოციალური ბაზის განმტკიცებას ცდილობდა სოფლად ძლიერი კულაკური მეურნეობის შექმნით, ხოლო ქალაქად წვრილი ბურჟუაზიისა და ჩამორჩენილი მუშათა ნაწილის მიმხრობის გზით. 1924 წელს შექმნილ იქნა ფაშისტური ორგანიზაცია „პატრიოტების კავშირის" სახელწოდებით, რომელიც ცდილობდა თავის რეაქციულ საქმიანობაში ქალაქსა და სოფლის საშუალო ფენები ჩაეთრია.

პრიმო დე რივერას ფაშისტური რეჟიმის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის რევოლუციური და დემოკრატიული ძალების, უპირველეს ყოვლისა, მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის კომპარტიის განადგურება.

8 საათიანი სამუშაო დღე გაუქმებულ იქნა, მუშათა დიდ ნაწილს კი ხელფასები შეუმცირდა. 1926 წლის სპეციალური დეკრეტით აიკრძალა მუშათა ორგანიზაციების მოღვაწეობა, ხოლო გაფიცვებში მონაწილეობისათვის კანონი სასტიკი სასჯელით იმუქრებოდა. მაშინ, როდესაც სოციალისტურმა პარტიამ უარი სთქვა დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაზე და მასთან აშკარა თანამშრომლობამდეც კი მივიდა, ესპანეთის კომპარტიამ დაგმო პრიმო დე რივერას დიქტატურა და დაიწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა. მთავრობამ მასობრივ რეპრესიებს მიმართა კომპარტიის წინააღმდეგ. 1925 წელს კომპარტიის ცენტრალური და რიგითი წევრების საუკეთესო წარმომადგენლები დააპატიმრეს და საპყრობილეებში ჩაჰყარეს. კომპარტიის სათავეში მოექცნენ ტროცკისტები, რომლებიც აბრკოლებდნენ მუშათა კლასის ბრძოლის გაშლას დიქტატურის წინააღმდეგ.

მთავრობამ დათხოვნილი რევოლუციური პროფკავშირების ნაცვლად შექმნა ე. წ. „დარგობრივი სინდიკატები", რომელშიც მუშებს ძალით ერეკებოდნენ.

ფაშისტური იტალიის წაბაძვით ესპანეთში შექმნილ იქნა „კორპორაციული სისტემა", რომელშიც შედიოდნენ წარმომადგენლები მთავრობიდან, მეწარმეებიდან და ფაშისტური პროფკავშირებიდან. ეს კორპორაცია, რომელიც შრომის სამინისტროს ექვემდებარებოდა, მიზნად ისახავდა ქვეყნის ეკონომიკაზე სახელმწიფოს კონტროლის დაწესებას.

დიქტატორული რეჟიმის დამყარების შემდეგ პრიმო დე რივერამ 1924 წელს ესპანეთის ჯარები გაგზავნა მაროკოში რიფების რესპუბლიკის წინააღმდეგ, მაგრამ რიფების ჯარებმა, მათი ბელადის აბდულ-ქერიმის მეთაურობით, კვლავ დაამარცხეს ესპანელი აგრესორები. ესპანეთის ზონის რიფების წარმატებამ შეაშფოთა საფრანგეთის კოლონიზატორებიც, რისთვისაც სრული საფუძველი ჰქონდათ. „ესპანელ" რიფებს მიბაძეს საფრანგეთის მაროკოს მოსახლეობამაც, რომელმაც აქა-იქ აჯანყების დროშა აიფრიალა. ამან და ფრანგი მონოპოლისტების დიდმა დაინტერესებამ მაროკოს მდიდარი რესურსებისადმი — საფრანგეთი ესპანეთის მოკავშირედ აქცია რიფების წინააღმდეგ ბრძოლაში. საფრანგეთის ჯარებმა, მდინარე მოსწყვიტეს რიფების ტერიტორიას, რამაც რიფები აიძულა შეჭრილიყვნენ საფრანგეთის მაროკოს ტერიტორიაზე, რაც საფრანგეთმა დაუყოვნებლივ გამოიყენა რიფების წინააღმდეგ საომარი ოპერაციების გაჩაღებისათვის. რიფები ამჯერადაც წარმატებით გაწაგრძობდნენ ბრძოლას. 1925 წ. საპასუხოდ საფრანგეთმა ხელშეკრულება დადო ესპანეთთან რიფების წინააღმდეგ ერთიან ომზე. საფრანგეთ-ესპანეთის ჯარებმა, მიუხედავად რიფების გმირული ბრძოლისა, 1926 წლის ზაფხულში გაანადგურეს მათი რესპუბლიკა და კოლონიური რეჟიმი აღადგინეს მაროკოში.

პრიმო დე რივერა ცდილობდა თავისი კოლონიური რეჟიმი გაეერცელებინა ტანჟერის ნავსადგურზეც, რომელიც 1923 წლიდან საერთაშორისო იყო. აგრესიის მოტივად ესპანეთის მთავრობამ ის გამოაცხადა, რომ ვითომც აქედან შეჰქონდათ იარაღი ესპანეთის მაროკოში, რომელსაც მოსახლეობა კოლონიზატორების წინააღმდეგ იყენებდა. თავისი მოთხოვნების მიღწევისათვის და დასავლეთის სახელმწიფოებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ესპანეთი 1926 წლის სექტემბერში იტალიის მხარდაჭერით ერთა ლიგიდან გამოვიდა. 1928 წელს იგი იძულებული გახდა კვლავ დაბრუნებულიყო ერთა ლიგაში და ეცნო ტანჟერის 1923 წლის სტატუტი.

§ 20. ესპანეთი მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დროს

1931 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია

მიუხედავად პრიმო დე რივერას ტერორისტული რეჟიმისა, მუშათა კლასს და ქვეყნის დემოკრატიულ ძალებს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა. მის წინააღმდეგ ამ ბრძოლამ აქტიური ხასიათი მიიღო მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დროს. კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა ესპანეთის ეკონომიკას. მრავალი საწარმო და ბანკი გაკოტრდა და დაიხურა. უმუშევრობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მასების ისედაც მძიმე მდგომარეობის შემდგომმა გაუარესებამ გამოიწვია მათი აქტიური ბრძოლის გაძლიერება. 1929 წელს ესპანეთში მოხდა მუშათა 800-მდე გაფიცვა. გაფიცულები ეკონომიური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად მოითხოვდნენ ტერორისტული რეჟიმის დამხობასა და რესპუბლიკის დამყარებას. გაძლიერდა გლეხთა გამოსვლებიც, უკმაყოფილება მოედო ქალაქისა და სოფლის საშუალო ფენებსაც.

მეფე და გაბატონებული კლასები იძულებული გახდნენ პრიმო დე რივერა გაეწირათ. იგი 1930 წლის იანვარში გადააყენეს და მან ესპანეთი დატოვა. მის ნაცვლად დაინიშნა გენერალი ბერენგერი, რომელიც 1931 წლის თებერვალში შეცვლილ იქნა ადმირალ ასნარის მთავრობით. გაბატონებული კლასები ამ

აქციით ფიქრობდნენ რევოლუციის თავიდან აცილებას, მაგრამ მათი ვარაუდები არ გამართლდა.

რევოლუციურმა მოძრაობამ მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. უკმაყოფილება მოედო ჯარსაც. მოძრაობამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ბურჟუაზიისათვის ნათელი გახდა, რომ ასეთ პირობებში მონარქია განწირული იყო. რევოლუციის შემდგომი გაღრმავება რომ არ დაეშვა, მან გადაწყვიტა თვითონ ჩასდგომოდა სათავეში რესპუბლიკისათვის ბრძოლის საქმეს. ესპანეთში რესპუბლიკის დამყარების მიზნით 1930 წლის აგვისტოში სან-სებასტიანეში ბურჟუაზიულ-რესპუბლიკურმა პარტიამ სოციალისტებთან ხელი მოაწერა შეთანხმებას ერთიანი ბლოკის შექმნის შესახებ. 1930 წელს ამ ბლოკმა რამოდენიმე აჯანყება მოაწყო ჯარის ზოგიერთ ნაწილებში. ბურჟუაზიული რესპუბლიკელებისა და სოციალისტების ბლოკმა იატაკქვეშა დროებითი მთავრობაც შექმნეს.

1931 წლის 12 აპრილს ჩატარდა მუნიციპალური არჩევნები, რომელიც მიმდინარეობდა ლოზუნგით — „ძირს მონარქია". არჩევნების დროს მონარქიის დამხობის მოთხოვნით მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები და გამოსვლები მიმდინარეობდა. არჩევნებში გაიმარჯვეს ბურჟუაზიული რესპუბლიკელებისა და სოციალისტების ბლოკმა. ამ ბლოკის დროებითმა მთავრობამ მეფე დამხობილად გამოაცხადა. იგი იძულებული გახდა საზღვარგარეთ გაქცეულიყო. ხელისუფლება გადავიდა კოალიციური მთავრობის ხელში, რომელშიც ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებთან ერთად სოციალისტებიც შეავიდნენ. მთავრობის მეთაური გახდა ზომიერი რესპუბლიკელი ალკალა სამორი.

1931 წლის ივლისში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც ადგილების უმრავლესობა მიიღეს მემარცხენე რესპუბლიკელებმა. დამფუძნებელმა კრებამ ამავე წლის დეკემბერში შეიმუშავა და მიიღო კონსტიტუცია, რომელმაც ესპანეთი დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. საკანონმდებლო ხელისუფლება გადავიდა ერთპალატიანი კორტესების (პარლამენტის) ხელში. დამყარდა სიტყვის, კრების, ბეჭდვის, ორგანიზაციების თავისუფლება. ფეოდალური ვალდებულებანი გაუქმდა. ეკლესია გამოყოფილ იქნა სახელმწიფოდან. აიკრძალა იეზუიტების ორდენი, ხოლო მათი და სამონასტრო ქონება (დაახლოებით 5 ათასი მონასტერი არსებობდა) გადავიდა სახელმწიფოს ხელში.

მემარცხენე რესპუბლიკელებისა და სოციალისტების გამარჯვების შემდეგ ზომიერმა რესპუბლიკელებმა დატოვეს მთავრობა. ახალი მთავრობა შეიქმნა მემარცხენე რესპუბლიკელის ასანიას მეთაურობით.

1931 წლის რევოლუცია თავისი ხასიათით იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, რომლის მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენდა ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასა. მუშათა კლასის ძალების დაქუცმაცებულობის გამო ხელისუფლება აღმოჩნდა ბურჟუაზიის ხელში, რომელიც მემარჯვენე სოციალისტებთან ბლოკში გამოდიოდა. ესპანეთის სოციალისტური პარტია, კომპარტიის სისუსტის გამო, უფრო დიდი გავლენით სარგებლობდა მუშათა კლასში. მაგრამ იგი აშკარა რეფორმისტული წვრილ-ბურჟუაზიული ხასიათის პარტია იყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ რევოლუციამ ვერ გადაწყვიტა ისეთი

მნიშვნელოვანი ამოცანა, როგორც აგრარული და ეროვნული საკითხი იყო.

გლეხთა მდგომარეობა სოფლად კი კვლავინდებურად ძალზე მძიმე იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიწების ორი მესამედი ეკუთვნოდათ მემამულეებს, რომლებიც მიწას მოიჯარე გლეხობას მძიმე კაბალურ პირობებში აძლევდნენ. 2,5 მილიონზე მეტი კაცი სოფლის მეურნეობის მუშა იყო. სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენდა მცირე მიწის მქონე გლეხობა, რომელიც მძიმე ვალებში იყო ჩაფლული. ესპანეთში არსებობდა აგრეთვე მსხვილი კულაკური მეურნეობა. საჭირო იყო მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ კონფისკაცია და მათი განაწილება გლეხებისადმი.

ესპანეთი წარმოადგენდა მრავალეროვან სახელმწიფოს, სადაც ესპანელებთან ერთად ცხოვრობდა 4,5 მილიონი კატალონიელი, 2,2 მილიონი გალისიელი და 600 ათასი ბასკი. ესპანეთის ეროვნული უმცირესობა, ისევე როგორც კოლონიების მოსახლეობა, ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა.

1932 წელს პარლამენტმა მიიღო აგრარული კანონი, რომლითაც მიწები აუნაზღაურებლად ჩამოერთვათ სამეფო კარსა და გრანდებს, ხოლო მემამულეებისათვის უნდა ჩამოეჭრათ „ზედმეტი“ მიწები, მაგრამ დიდი კომპენსაციის გადახდით. რეფორმა 14 პროვინციაზე ერცელდებოდა, რაც შეადგენდა ესპანეთის ერთ მესამედ ნაწილს. ეს რეფორმა ძალზედ ნელა ტარდებოდა. ორი წლის განმავლობაში მიწა მიიღო 7200 გლეხმა, ორ მილიონზე მეტი გლეხი კვლავ უმიწოდ დარჩა.

ავტონომიის უფლებები მიიღო მხოლოდ კატალონიამ, რაც შეეხება დანარჩენ ეროვნულ უმცირესობას. მათი მდგომარეობა ძველებურად უცვლელი დარჩა.

ამრიგად, რევოლუციამ ვერ გადაჭრა აგრარული და ეროვნული საკითხები, რომელიც ყველაზე უფრო მწვავე საკითხს წარმოადგენდა.

თითქმის უცვლელად დარჩა მუშათა მდგომარეობაც. მართალია მთავრობამ გამოსცა კანონი 8 საათიანი სამუშაო დღის, სოციალური დაზღვევის და მუშათა დაქირავების რეგულირების შესახებ, მაგრამ მას საბოტაჟს უცხადებდნენ მეწარმეები და ხშირად გვერდს უვლიდნენ. არავითარი ღონისძიება არ გატარებულა უმუშევრობის ლიკვიდაციისათვის, რომელთა რიცხვმა 1933 წლისათვის 1,5 მილიონ კაცამდე მიაღწია. უმუშევრები არავითარ დახმარებას არ ღებულობდნენ სახელმწიფოსაგან.

სახელმწიფო აპარატში და ჯარში დარჩნენ მონარქისტები, რომლებმაც თავიანთი პოზიციები შეინარჩუნეს. მნიშვნელოვანი იყო კათოლიკური ეკლესიის გავლენაც. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია გამოყოფილ იქნა სახელმწიფოსაგან, ხოლო სკოლა—ეკლესიისაგან, სკოლებში მასწავლებლებად მაინც სასულიერო პირები რჩებოდნენ. არც იეზუიტების ორდენს არ შეუწყვეტია არსებობა. იგი ძველებურად განაგრძობდა რეაქციულ საქმიანობას.

ასანიას მთავრობის ღონისძიებები ხალხთა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ხალხი მოითხოვდა რევოლუციის გაღრმავებას, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მონარქიულ-კლერიკალური და მილიტარისტული ფენების ალაგმვას, აგრარული რეფორმის გაღრმავებას და ა. შ.

რევოლუციის შემდეგ ესპანეთის კომუნისტური პარტია არალეგალური მდგომარეობიდან გამოვიდა და ფართო მოღვაწეობა გაიჩაღა ქალაქისა და სოფლის მშრომელებს შორის. საყურადღებოა, რომ 1931 წლის რევოლუ-

ციის წინ კომპარტიის რიგები 1000-ზე ნაკლებ წევრს აერთიანებდა, 1933 წლის დამლევისათვის კი მისი რიგები 20 ათას კაცამდე გაიზარდა. 1932 წლის მარტში კომპარტიის ყრილობაზე სევილიაში ტროცკისტები განადგურებულ იქნენ და პარტიიდან გარიცხეს. ხელმძღვანელობა გადაეცა ხოსე დიასისა და დოლორეს იბარურის ხელში. კომპარტიამ წამოაყენა ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციის ფართო პროგრამა.

კომპარტიის ხელმძღვანელობით გაიშალა ხალხის ფართო მოძრაობა ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციის მოთხოვნით. ერთი წლის განმავლობაში (1931 წლის აპრილი — 1932 წლის აპრილი) ესპანეთში ადგილი ჰქონდა მუშათა 3700 გაფიცვას, ხოლო 1933 წელს კი 6000, რომლებიც წარიმართა ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებით. გაფიცვები ხშირად საყოველთაო ხასიათს ატარებდა. რევოლუციური პროფკავშირების მოღვაწეობის გაშლის შემდეგ მისი რიგებიც გაიზარდა 70 ათას კაცამდე. ახალგაზრდათა კავშირის რიგები, რომელიც კომუნისტების ხელმძღვანელობით მოქმედებდა, გაიზარდა 10 ათას წევრამდე. ბრძოლაში ფართოდ ჩაება სოფლის გლეხობაც. საგარარული რეფორმით უკმაყოფილო გლეხობა ქმნიდა კომიტეტებს და მემამულეთა მიწებს იტაცებდა. გლეხთა კომიტეტები ორგანიზებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მთავრობის ჯარებს.

რეაქციულმა ძალებმა ისარგებლეს მთავრობის შემარიგებელი პოლიტიკით, გონს მოვიდნენ და ძალების მობილიზება დაიწყეს. 1933 წელს რეაქციონერებმა შექმნეს ფაშისტური ორგანიზაცია ესპანეთის ავტონომიური მემარჯვენეების კონფედერაციის (სედას) სახელწოდებით, რომელშიც გაერთიანდნენ ქვეყნის ყველაზე უფრო რეაქციული ფენები: ფინანსური და სამრეწველო მაგნატები, მსხვილი მემამულეები, კათოლიკური ეკლესია და რეაქციულად განწყობილი გენერალიტეტი და ოფიცრობა. სედას ორგანიზაცია ცდილობდა დემაგოგიითა და მოტყუებით თავის რიგებში ქალაქისა და სოფლის ჩამორჩენილი წვრილი ბურჟუაზია და მშრომელები ჩაეთრია. 1933 წელს შექმნილ იქნა აგრეთვე ფაშისტური ორგანიზაცია „ესპანეთის ფალანგის“ სახელწოდებით, რომელიც შემდეგ ფაშისტების მთავარი დასაყრდენი გახდა.

1933 წლის ნოემბერ-დეკემბერში ესპანეთში ჩატარდა კორტესების არჩევნები. მემარჯვენეებმა ისარგებლეს მემარცხენეების ავტორიტეტის დაცემით და დემაგოგიური დაპირებებით გამარჯვება მიაღწიეს. შეიქმნა მემარჯვენეების მთავრობა ლერუს მეთაურობით, იგი იყო რესპუბლიკურ-რადიკალური პარტიის ლიდერი. მოექცნენ რა ხელისუფლების სათავეში, რეაქციონერებმა უპირველეს ყოვლისა ბრძოლა დაიწყეს მშრომელთა იმ უფლებების წინააღმდეგ, რომელიც 1931—1933 წლებში იქნა მოპოვებული. აღდგენილ იქნა კათოლიკური ეკლესიის პრივილეგიები. ფაშისტური პარტიები მთავრობის მფარველობის ქვეშ მოექცნენ. გაჩაღეს ტეროორი მუშათა კლასისა და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. გამოცხადდა მონარქისტების ამნისტია. დაიწყო დემოკრატიული ძალების მასობრივი დევნა. ამავე დროს რეაქცია ცდილობდა დემოკრატიული ძალების განადგურების მიზნით პროვოკაციული გამოსვლების მოწყობას.

1934 წლის 4 ოქტომბერს მთავრობაში შეყვანილ იქნა სედას პარტიის 3 წევრი. ამ ამბავმა გამოიწვია საყოველთაო გაფიცვა, რომელიც მთელ ეს-

პანეთს მოედო და 2 კვირას გრძელდებოდა. მასში მონაწილეობას იღებდა 1 მილიონზე მეტი კაცი. საყოველთაო გაფიცვა მთელ რიგ ადგილებში შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა. 6 ოქტომბერს გამოცხადდა კატალონიის ავტონომიური რესპუბლიკა. მუშათა შეიარაღებულმა ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ასტურიაში. აქ ერთიანი მოქმედება დამყარეს კომუნისტებმა, სოციალისტებმა და ანარქისტებმა. აჯანყებულებმა შექმნეს რევოლუციური კომიტეტები, წითელი გვარდია და 2 კვირის განმავლობაში შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებდნენ მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. აჯანყება ჩახშობილ იქნა და კატალონიის ავტონომია ლიკვიდირებულ იქნა.

კომპარტიის ბრძოლა სახალხო ფრონტის შექმნისათვის. სახალხო ფრონტის მთავრობა

ასტურიის აჯანყების ჩახშობის შემდეგ მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო 1934—1935 წლებს — „შავ ორწლიან“ პერიოდს უწოდებენ. ესპანეთის კომპარტია აიკრძალა. იგი არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა და მხოლოდ 1935 წლის ივლისში დაიწყო ლეგალური მოღვაწეობა.

კომპარტიამ დაიწყო ბრძოლა ქვეყნის დემოკრატიული ძალების გაერთიანებისათვის ერთიან სახალხო ფრონტში. მიუხედავად სოციალისტების და ანარქისტების ლიდერების წინააღმდეგობისა, კომპარტიის მოწოდება მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ ფართო გამოხმაურებასა და მხარდაჭერას პოულობდა რიგით წევრებს შორის. ამ გარემოებამ სოციალისტები და ანარქისტები აიძულა გაეთვალისწინებინათ პარტიის რიგითი წევრების მოთხოვნები. 1935 წელს ყველა პროფკავშირული ორგანიზაცია გაერთიანდა მუშათა საყოველთაო კავშირში ლარგო კაბალიეროს მეთაურობით; 1936 წლის იანვარში კომპარტიის ინიციატივით მოწვეულ იქნა ქვეყნის მემარცხენე პარტიების, ორგანიზაციების და ჯგუფების თათბირი, რომელმაც შექმნა სახალხო ფრონტი. მასში შევიდა: კომპარტია, სოციალისტური პარტია, მუშათა საყოველთაო კავშირი, მემარცხენე რესპუბლიკანელების, „რესპუბლიკური მოქმედების“ პარტია, კატალონიის მემარცხენეები და ა. შ. ამრიგად, შეიქმნა მუშათა კლასის, გლეხობის, წვრილი და საშუალო ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული დემოკრატიული ინტელიგენციის ბლოკი.

მთავრობამ დაითხოვა კორტესები და დანიშნა მისი რიგგარეშე არჩევნები, რადგან იმედი ჰქონდა ეს შეუშლიდა მემარცხენეების ერთიანი ფრონტით მოქმედებას და გაიმარჯვებდა არჩევნებში.

1936 წლის თებერვლის არჩევნებში სახალხო ფრონტი თავისი პროგრამით გამოვიდა. იგი მოითხოვდა პოლიტიკური პატიმრების ამნისტიას, არმიისა და სახელმწიფო აპარატის დემოკრატიზაციას, უმუშევრობის ლიკვიდაციას, გადასახადების შემცირებას და ა. შ. მართალია, კომპარტიის წინადადება მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ უარყოფილი იქნა, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს პროგრამა წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. არჩევნებმა წარმატება მოუტანა სახალხო ფრონტს, რომელმაც მიიღო 268 ადგილი 473-დან. პირველად ესპანეთის ისტორიაში პარლამენტში არჩეულ იქნა კომუნისტი.

1936 წელს პრეზიდენტად ასანია აირჩიეს, პრემიერ მინისტრის პოსტი დაიკავა კასარეს კიროგამ

სახალხო ფრონტის პროგრამის განხორციელებას თვითონ ხალხი შეუდგა. გამოცხადდა პოლიტიკური პატიმრების ამნისტია, აღდგენილ იქნა კატალონიის ავტონომია, მიიღეს სოციალური კანონმდებლობა, გარეკეს რიგი ფაშისტური ორგანიზაციები, 6 ათასამდე ფაშისტი დაპატიმრებულ იქნა.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ძირითადი ამოცანები ჯერ კიდევ მთლიანად გადაწყვეტილი არ იყო. თითქმის უცვლელი დარჩა მსხვილი მემამულეების და ეკლესიის ეკონომიური პოზიციები. მხოლოდ 100 ათასმა გლეხმა მიიღო 750 ათასი ჰექტარი მიწა, გლეხთა ძირითადი მასა კვლავ უმიწოდ რჩებოდა. მართალია, აღდგენილ იქნა 8 საათიანი სამუშაო დღე და მუშათა ხელფასი გაიზარდა, მაგრამ უმუშევრობა მასობრივი იყო. ვერ გადაწყდა ეროვნული საკითხი. გალისიელებმა და ბასკებმა ვერ მიიღეს ავტონომია. სახალხო ფრონტის ღონისძიებები ბურჟუაზიის ორგანიზებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ისინი აფერხებდნენ წარმოების შეუწყვეტელ მუშაობას, საზღვარგარეთ გაქონდათ კაპიტალი, უარს აცხადებდნენ ხელფასების მომატებაზე და ა. შ. ანალოგიურად მოქმედებდნენ მემამულეები მიიჯარადე გლეხობის მიმართ. მათ წინააღმდეგ საჭირო იყო მკაცრი ზომების მიღება, რასაც მთავრობა არ ახორციელებდა.

§ 21. სამოქალაქო ომი და გერმანია-იტალიის ინტერვენცია ესპანეთში

1936 წლის თებერვლის არჩევნებში დამარცხების შემდეგ რეაქციონერები მაშინვე შეუდგნენ მზადებას ამჯერად უკვე სამხედრო-ფაშისტური შეიარაღებული ამბოხების მოწყობისათვის სახალხო ფრონტის მთავრობის წინააღმდეგ. ფაშისტური ამბოხების მთავარი ორგანიზატორი იყო „ესპანეთის სამხედრო კავშირი", რომელსაც მეთაურობდნენ გენერლები სანხურხო, ფრანკო, გოდედი, მოლა და სხვები. იგი დაკავშირებული იყო ადგილობრივ ფაშისტურ ორგანიზაციებთან და ჰიტლერულ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიასთან. მეამბოხეებს აქტიურ მხარდაჭერას უწევდა ინგლისის დაზვერვაც. 1936 წლის 12 მარტს გენერალი სანხურხო ბერლინში ჩავიდა დახმარების სათხოვნელად, რათა ჰიტლერულ გერმანიას მხარი დაეჭირა ესპანელი ფაშისტებისათვის ამბოხების მოწყობის საქმეში. ჰიტლერელებმა აღუთქვეს დახმარება გენერალ სანხურხოს, მაგრამ მისი დამოუკიდებელი ხასიათი მათ არ მოეწონათ. მეამბოხე გენერლების მეთაურად ჰიტლერელებმა წამოწიეს გენერალი ფრანკო, რომელიც უფრო მორჩილი ჩანდა. გენერალი სანხურხო კი ძალზე საეჭვო ვითარებაში დაიღუპა თვითმფრინავის კატასტროფის დროს. ფაშისტების ამბოხების ცენტრად გადაიქცა ესპანეთის მაროკო, და კანარის კუნძულები, სადაც თავი მოიყარეს ქვეყნის ყველა რეაქციულმა ძალებმა. მეამბოხეებმა დიდი რაოდენობის სამხედრო საჭურველი მიიღეს ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური იტალიისაგან. ისინი დაუფარავად ემზადებოდნენ. ესპანეთის კომპარტიამ არა ერთხელ გააფრთხილა მთავრობა ფაშისტების მიერ ამბოხების მზადების შესახებ, მაგრამ მან არავითარი ღონისძიება არ მიიღო მეამბოხეების წინააღმდეგ.

1936 წლის 18 ივლისს ფაშისტების ამბოხება დაიწყო ესპანეთის მაროკოში, კანარისა და ბალეარის კუნძულებზე და მეორე დღესვე ესპანეთის მთელ

არმიას მოედო. ამბოხებულებმა მაროკოს მოსახლეობას შორის მოტყუებით, დაპირებით, მოსყიდვით და დაშინებით შეაგროვეს „მოხალისეები“ და შექმნეს „ველური დივიზია“, რომელიც თითქმის მაროკოელებით იყო დაკომპლექტებული და თავისი ბოროტებით ესპანელი ხალხის მიმართ არ ჩამორჩებოდა ადგილობრივ და იტალია-გერმანიის ფაშისტებს. ფრანკომ მაროკოდან ესპანეთში გადაისროლა „ველური დივიზია“. მაროკოდან ესპანეთში ჯარების გადასროლა გერმანია-იტალიის ფლოტის დახმარებით მოხდა.

ამბოხებას მხარი დაუჭირა საშინაო და საერთაშორისო რეაქციამ. ფაშისტებს იმედი ჰქონდათ, რომ რამდენიმე დღეში ხელთ ჩაიგდებდნენ მთელ ესპანეთს, დაამხობდნენ სახალხო ფრონტის მთავრობას და დაამყარებდნენ ტერორისტულ-ფაშისტურ დიქტატურას. მათი იმედი იოლ წარმატებებზე არ იყო მოკლებული საფუძველს. ისინი ვარაუდობდნენ განხეთქილებაზე სახალხო ფრონტის მთავრობაში. მართლაც ამბოხების პირველ დღეებში იგრძნობოდა სახალხო ფრონტის დაბნეულობა. პრეზიდენტმა ასანიამ კოალიციური მთავრობის შედგენა ფაშისტების მონაწილეობით დაავალა რესპუბლიკური კავშირის ლიდერს მ. ბარიოს, მაგრამ კაპიტულაცია ფაშისტების წინაშე ჩაშალა კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც მოუწოდა მთელ მშრომელებს დაეცვათ რესპუბლიკა მეამბოხეებისაგან. კომუნისტების მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ ესპანეთში. ფაშისტების გამოსვლების პირველ დღეებში 300 ათასი მოხალისე ჩაეწერა მილიციაში და ჩაება ბრძოლაში ამბოხებულების წინააღმდეგ. ხალხმა არ დაუშვა კაპიტულაცია ფაშისტების წინაშე. მ. ბარიოს მთავრობა გადადგა და ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ხ. ხირალეს კაბინეტი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი იბრძოლებდა ამბოხებულების წინააღმდეგ. თითქმის უიარაღო ხალხმა ჩაახშო ამბოხებები მადრიდში, ბარსელონაში, ვალენსიაში, კასტილიაში და მთელ რიგ სხვა ადგილებში. ამბოხებულებმა პოზიციები შეინარჩუნეს სამხრეთში — პროვინციებში (კადისი, უელვა და სევილია), ჩრდილოეთში (გალისია, ნავარა) და კასტილიის დიდ ნაწილში. ამრიგად, დარჩა ამბოხების ორი კერა — ჩრდილოეთისა გენერალ მოლას მეთაურობით და სამხრეთისა — გენერალ ფრანკოს მეთაურობით. ამბოხებულები ერთმანეთისაგან მოწყვეტილი იყვნენ, მაგრამ ისინი სრული განადგურებისაგან იხსნა იტალია-გერმანიის აშკარა ინტერვენციამ. ინტერვენტებმა ესპანეთში გაგზავნეს ჯარის ნაწილები, თვითმფრინავები, ტანკები, საზღვაო ფლოტი, არტილერია და ესპანელ ფაშისტებს განუწყვეტლივ აწვდიდნენ ყოველი სახის საჭირო მასალას. 1936—1939 წლებში გერმანიამ ესპანეთში გაგზავნა 50 ათასი, იტალიამ — 150 ათასი, პორტუგალიამ — 15 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. ფრანკოს მხარეზე იბრძოდა 300 ათასი ინტერვენტი. ფაშისტური სახელმწიფოები დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ ფრანკოს. მარტო იტალია ამბოხებულებს 14 მლრდ. ლირით დაეხმარა. დახმარების სანაცვლოდ ინტერვენტებმა ესპანეთში ხელთ ჩაიგდეს ბუნებრივი რესურსები. იტალია-გერმანიის ინტერვენციის შედეგად ესპანეთში სამოქალაქო ომი ეროვნულ-რევოლუციურ ომად გადაიქცა, რომელიც მიმართული იყო საშინაო და საგარეო გაერთიანებული რეაქციის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნებას.

გერმანია-იტალიის აქტიურმა ჩარევამ და ინტერვენციამ ძალთა თანაფარდობა ესპანეთში მეამბოხეთა სასარგებლოდ შესცვალა, ამან საშუალება მისცა

ფაშისტებს ძალები მოეკრიფათ და ომის ბედი საბოლოოდ თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ.

საშინაო და საგარეო რეაქციის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლისათვის საჭირო იყო ქვეყნის ყველა ანტიფაშისტური ძალების გაერთიანება, სახალხო ფრონტში შემავალი ყველა პარტიების და ჯგუფების ერთობის განმტკიცება და მტრისათვის კარგად ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა. მდგომარეობა რთულდებოდა იმით, რომ სახალხო მთავრობას არ ყავდა კარგად დისციპლინირებული რეგულარული არმია, არ იყო ერთიანი სარდლობა, ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ დაქსაქსულ ხასიათს ატარებდა. თვითეული პარტია და პროფკავშირი თავის სამხედრო რაზმებს ქმნიდნენ და ფაშისტების წინააღმდეგ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იბრძოდნენ. რეგულარული არმიის შექმნის წინააღმდეგ გამოვიდნენ მემარჯვენე სოციალისტები და ანარქო-სინდიკალისტები იმ მოტივით, რომ თითქოს ეს იქნებოდა „მილიტარიზმის" რესტავრაცია. ისინი მოითხოვდნენ სახალხო მილიციის ხელუხლებლივ დატოვებას, მის გაფართოებას მოხალისეებით და საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახურის შემოღებაზე უარის თქმას. გარდა ამისა, ანარქისტები კატალონიაში, არაგონსა და ლევანტში ძალდატანებით ანხორციელებდნენ „კოლექტივიზაციას", ქმნიდნენ „კომუნებს" და ძალადობას მიმართავდნენ გლეხების მიმართ. ისინი თავისი მოქმედებით გლეხთა სამართლიან გულისწყრომას იწვევდნენ. ყველაფერმა ამან და გერმანია-იტალიის აქტიურმა ინტერვენციამ საშუალება მისცეს მეამბოხეებს წარმატებებისათვის მიეღწიათ და მადრიდისათვის უშუალო საშიშროება შეექმნათ.

ესპანეთში გერმანია-იტალიის ინტერვენცია საშიშროებას უქმნიდა ინგლისსაფრანგეთის ინტერესებს ხმელთაშუა ზღვის აუზში და ატლანტიკის ოკეანეში, მაგრამ ამ ქვეყნების რეაქციულ წრეებს არ სურდათ გერმანიასთან უთანხმოების გამოწვევა, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ამის სანაცვლოდ იგი ომს დაიწყებდა სსრ კავშირის წინააღმდეგ. გარდა ამისა, რესპუბლიკის გამარჯვება ესპანეთში ხელს შეუწყობდა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობას დასავლეთ ევროპაში. საფრანგეთმა და ინგლისმა ესპანეთის საქმეებში „ჩაურევლობის პოლიტიკა" გამოაცხადეს. მათ შექმნეს „ჩაურევლობის კომიტეტი", რომელშიც საბჭოთა კავშირიც შევიდა იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალა დასავლეთის სახელმწიფოებისათვის, რათა არ მოეწყოთ ესპანეთის რესპუბლიკის ბლოკადა და დახმარება არ გაეწიათ მეამბოხეებისათვის. საფრანგეთმა ამასთან ერთად უარი უთხრა ესპანეთის კანონიერ მთავრობას საქალაქო ომის დაწყებამდე დაკვეთილი იარაღის მიცემაზე, დახურა საზღვარი, რათა ხელი შეეშალა იქედან მოხალისეთა გადასვლისათვის, ესპანეთის ფაშისტები კი დახმარებას იღებდნენ არა მარტო გერმანიისა და იტალიისაგან, არამედ საერთოდ საერთაშორისო რეაქციული ძალებიდან.

ერთადერთი პარტია, რომელიც ფაშისტების წინააღმდეგ თანმიმდევრულ ბრძოლას მოითხოვდა, კომპარტია იყო. ხირალეს მთავრობამ ამბოხებულთა წინააღმდეგ სათანადო ზომები ვერ მიიღო და მალე გადააყენეს კომპარტიის მოთხოვნით, 1936 წლის სექტემბერში შეიქმნა ლარგო კაბალიეროს მთავრობა, რომლის შემადგენლობაში კომუნისტებიც შევიდნენ, მაგრამ ლარგო კაბალიეროს მთავრობაც მტრებთან ბრძოლაში უპრინციპო აღმოჩნდა.

1937 წლის მარტისათვის კომპარტიის რიგები 250 ათას კაცამდე გაიზარ-

და — იგი სათავეში ჩაუდგა ესპანეთის ხალხის ბრძოლას ადგილობრივი ფაშისტებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ. 1936 წლის ოქტომბერში კომუნისტების წინადადებით, მთავრობამ დეკრეტი გამოსცა სახალხო მილიციის რეგულარულ არმიად გარდაქმნის შესახებ. სახალხო რევოლუციურ არმიაში მოხალისეები შეეიდნენ. კომუნისტებმა მადრიდში შექმნეს მეხუთე პოლკი და პოლიტიკური კომისრების ინსტიტუტი. კომისრებად ძირითადად კომუნისტები იყვნენ, ხოლო მეხუთე პოლკი სახალხო არმიის მთავარ დამრტყმელ ძალად გადაიქცა. კომუნისტების მოწოდებით ათასობით მადრიდელი გამოვიდა ქალაქის მისადგომებთან სიმაგრეების მშენებლობისათვის. 1936—1937 წლებში ფაშისტთა იერიშები მოგერიებულ იქნა მადრიდთან, ტერუელთან, მდინარე ებროზე, ხოლო იტალიელთა შემოტევები — გვადალახართან. ამავე დროს, კომპარტიის წინადადებით გატარებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესებას. 1936 წლის 7 ოქტომბერს მიწათმოქმედების კომუნისტ-მინისტრის ვისენტ ურიბის წინადადებით, მთავრობამ მიიღო დეკრეტი აგრარული რეფორმის შესახებ. ამ დეკრეტის საფუძველზე კონფისკებულ იქნა მათი მიწა, ვინც მხარს უჭერდა ფაშისტებს და გადაეცა იგი უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხობას. დაახლოებით 5 მილიონ 424 ათას ჰექ. მიწა 376787 გლეხთა ოჯახზე განაწილდა. რეფორმის შედეგად გლეხობა მუშათა კლასის მოკავშირე და სახალხო ფრონტის მომხრე გახდა.

1936 წლის აგვისტოს დეკრეტით საწარმოები, რომლებიც რევოლუციის შიშით მიატოვეს მათმა მფლობელებმა გადაეცათ მუშათა და მთავრობის წარმომადგენლებისაგან შემდგარ საბჭოებს. გამოიცა კანონი შრომის დაცვის, ხელფასის გაზრდისა, ბავშვთა შრომის შეზღუდვისა და ქალთა თანასწორუფლებიანობის შესახებ. ბასკებმა და კატალონებმა მიიღეს ავტონომია.

დიდი ღონისძიებები განხორციელდა კულტურის, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სახალხო განათლების დარგში. შეიქმნა კულტურული დაწესებულებების ფართო ქსელი — სტუდენტთა ასოციაცია, გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის კულტურული ორგანიზაცია, კულტურის დაცვის ინტელიგენციის კავშირი, რომლებმაც დიდი მუშაობა გაშალეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ქვეყანაში.

1936 წლის 7 სექტემბრის დეკრეტით შეიქმნა უმაღლესი სასწავლებლები მშრომელთათვის, რომელნიც განათლებას უფასოდ იღებდნენ, ხოლო ღარიბი სტუდენტები სახელმწიფო სტიპენდიას ღებულობდნენ.

კომინტერნის VII კონგრესის გადაწყვეტილების შესაბამისად კომუნისტებმა დიდი მუშაობა გაიჩაღეს მუშათა ერთიანი პარტიის შექმნისათვის. 1936 წლის ბოლოს მადრიდში, ვალენსიაში და სხვა ქალაქებში კომუნისტური და ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ძირეულმა ორგანიზაციებმა შექმნეს კავშირის კომიტეტები, რომელნიც 1937 წელს რეორგანიზებული იქნა გაერთიანების კომიტეტებად. თუმცა ამ ორი პარტიის გაერთიანებამდე საქმე არ მისულა, მაგრამ 1937 წლის აგვისტოში ორივე პარტიის ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერა ერთიანი მოქმედებისა და ეროვნული კომიტეტის კავშირის შექმნის შეთანხმებას. კომუნისტების მეცადინეობით მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ფაშიზმის წინააღმდეგ პროფკავშირთა ერთიანი მოქმედების საქმეშიც. კომუნისტურ პარტიას ბრძოლა უხდებოდა ერთდრო-

ულად მემარჯვენეებისა და „მემარცხენეების“ წინააღმდეგ, რომელნიც სამშობლოსათვის მძიმე დღეებშიც კი არ იშლიდნენ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლას, ცდილობდნენ გაედევნათ ისინი არმიიდან, პროფკავშირებიდან. ანარქისტები იქამდეც კი მივიდნენ, რომ თავს ესხმოდნენ კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს, არბევდნენ მათ და ხოცავდნენ კომუნისტებს. ანარქისტებმა შეთანხმება დაღეს ტროცკისტებთან კომუნისტების წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის შესახებ და 1937 წლის 3 მაისს აჯანყება მოაწყვეს ბარსელონაში და კატალონიის სხვადასხვა ქალაქებში. ბარსელონის ქუჩებში სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. მეამბოხეებს ქონდათ ტანკები, არტილერია, ტყვიამფრქვევები. კონტრრევოლუციური ამბოხების მიზანი იყო ხელისუფლების ხელთ ჩაგდება და კომუნისტური პარტიის განადგურება. კომუნისტების მოთხოვნით კაბალიეროს მთავრობა იძულებული გახდა მეამბოხეების წინააღმდეგ ჯარი გაეგზავნა კატალონიაში და ამბოხება ჩაეხშო. კომუნისტებმა კაბალიეროს მთავრობას მოსთხოვეს მეამბოხეების, მეხუთე კოლონისა და რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღება, მაგრამ ეს მოთხოვნები მთავრობამ უარყო. მაშინ კომუნისტები და სოციალისტები გამოვიდნენ მთავრობიდან. კაბალიერო შეეცადა კომუნისტების გარეშე შეექმნა მთავრობა, მაგრამ ამის წინააღმდეგ სახალხო ფრონტის სხვა პარტიები გამოვიდნენ. კაბალიერო გადადგა და 1937 წლის მაისში შეიქმნა სოციალისტ ხუან ნეგრინის მთავრობა, რომელშიც ორი კომუნისტიც შევიდა. ნეგრინის მთავრობამ ბოლო მოუღო ანარქისტების თავაშვებულობას, ლიკვიდაცია უყო მათ მიერ შექმნილ „საბჭოებსა“ და „კოლმეურნეობებს“ და განახორციელა ღონისძიებანი არმიაში მტკიცე დისციპლინის დამყარებისათვის. კომუნისტების მიერ შექმნილმა მეხუთე პოლკმა 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოამზადა და გაგზავნა ფრონტზე. მათ შორის უმრავლესობა კომუნისტები იყვნენ. მარტო მადრიდიდან კომუნისტური პარტიის წევრთა 90 % წავიდა ფრონტზე.

ყველა ამ ღონისძიების გატარების შედეგად ესპანეთი ახალი ტიპის დემოკრატიულ რესპუბლიკად დადაიქცა, რომელიც თავისი კლასობრივი არსით ახლოს იყო ევროპის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან მათი განვითარების პირველ ეტაპზე.

ესპანელი ხალხის გმირულ ბრძოლას მეამბოხე ფაშისტების და საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ დიდი თანაგრძნობით და მხარდაჭერით შეხვდა მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა. საბჭოთა კავშირმა პირველმა აღიმაღლა ხმა გერმანია-იტალიის ინტერვენციისა და დასავლეთის სახელმწიფოების „ჩაურევლობის პოლიტიკის“ წინააღმდეგ. 1936 წლის 22 ოქტომბერს სსრ კავშირის წარმომადგენელმა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტში ი. მაისკიმ განაცხადა, რომ „ჩაურევლობის“ პრინციპი უხეშად ირღვევა, რომ ფაშისტები დახმარებას ღებულობენ თვით კომიტეტის ერთ-ერთი წევრისაგან — პორტუგალიიდან და რომ ესპანეთის მთავრობა ფაქტიურად ბლოკადაში აღმოჩნდა. საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა, რათა ესპანეთისათვის მიეცათ იარაღის შესყიდვის უფლება და გაეუქმებინათ ეს ე. წ. „ჩაურევლობის“ შეთანხმება. საბჭოთა კავშირის წინადადება უარყვეს და იგი კომიტეტიდან გამოვიდა.

ესპანეთის ხალხისადმი საერთაშორისო სოლიდარობის ერთ-ერთ მაჩვენე-

ბელს წარმოადგენს ინტერნაციონალური ბრიგადების შექმნა. მის შემადგენლობაში შევიდნენ მსოფლიოს 54 ქვეყნის წარმომადგენელი 40 ათასზე მეტი კაცის რაოდენობით. მეამბოხე ფაშისტებისა და ინტერვენტთა წინააღმდეგ ინტერნაციონალურ ბრიგადებში იყვნენ გერმანელი ანტიფაშისტების — ტელმანის სახელობის ბრიგადა, იტალიელი ანტიფაშისტების — გარიბალდის სახელობის ბრიგადა, ამერიკელი ანტიფაშისტების — ლინკოლნის სახელობის ბრიგადა და ა. შ. ისინი ესპანელი ხალხის მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ ფაშისტთა წინააღმდეგ[1].

საბჭოთა ხალხმა ძმური დახმარება გაუწია ესპანელ ხალხს. სამი ათასი საბჭოთა მოხალისე იბრძოდა ინტერნაციონალურ ბრიგადებში. სსრ კავშირიდან ესპანეთში გაიგზავნა ტანკები, თვითმფრინავები და სხვა შეიარაღება. სსრ კავშირის მშრომელებმა შეკრიბეს 47 მილიონზე მეტი მანეთი, ამ ფულით ესპანეთში ათობით გემი გაიგზავნა, სურსათით, იარაღით და მედიკამენტებით დატვირთული.

თუ რესპუბლიკის განკარგულებაში არსებულ ტერიტორიაზე ღრმა სოციალურ-ეკონომიური ხასიათის გარდაქმნითი ღონისძიებანი ხორციელდებოდა ამბოხებულების მიერ დატაცებულ სოფლებსა და ქალაქებში ადგილი ქონდა აღვირახსნილ ტერორს, რომლის მთავარი ამოცანა იყო მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობის აღდგენა და განმტკიცება, ამასთანავე ესპანეთის ფაშისტები დემაგოგიასაც მიმართავდნენ. მათ მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე ბურგოსეში ამბოხებულებმა შექმნეს მთავრობა ფრანკოს მეთაურობით, რომელიც 1936 წლის ოქტომბერში რადიოში გამოვიდა. იგი ესპანელ ხალხს შეპირდა, რომ შექმნიდა „სოციალური სამართლიანობის", „სოციალური მშვიდობისა" და „საყოველთაო კეთილდღეობის" სახელმწიფოს. ფრანკო უხვ დაპირებებს აძლევდა გლეხობას. საშუალო გლეხთა ფენები და განსაკუთრებით კულაკები, რომელნიც დამფრთხალი იყვნენ ანარქისტების მიერ ძალდატანებით განხორციელებული „კოლექტივიზაციით" და ე. წ. „კომუნების" შექმნით, იხრებოდნენ მეამბოხე ფაშისტების მხარეზე. ფაშისტები დემაგოგიური დაპირებებით ცდილობდნენ თავის მხარეზე მუშათა კლასის მიმხრობასაც. ამ მიზანს ემსახურებოდა ფრანკოს მიერ 1938 წლის მარტში გამოცემული კანონი შრომის შესახებ, რომელშიც ლაპარაკი იყო ხალხის უფლებების შესახებ შრომაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, მათი ინტერესების დაცვაზე. ფაშისტებმა თავის მხარეზე მიიმხრეს კათოლიკური ეკლესიაც, რომლის გავლენა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ჩამორჩენილ ნაწილზე საკმაოდ სერიოზული იყო. ფრანკომ გამოსცა დეკრეტი იეზუიტთა ორდენის აღდგენის შესახებ. ფაშისტებმა მიიმხრეს ქალაქისა და სოფლის არა მარტო საშუალო, არამედ წვრილბურჟუაზიული ფენების ნაწილიც. ისინი დაშინებული იყვნენ სახალხო ფრონტის მთავრობის მიერ სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილის თავის ხელში აღებითა და მრეწველობის დროებითი მილიტარიზაციის ღონისძიებებით, რომლის მიზანი იყო ფრონტის უზრუნველყოფა სამხედრო საჭურვლით. ამან ერთგვარი ბზარი შეიტანა სახალხო ფრონ-

[1] ინტერნაციონალურ ბრიგადებში იბრძოდა: 9 ათასი ფრანგი, 4 ათასი იტალიელი, 3 ათასი პოლონელი, 2,5 ათასი ამერიკელი, 2 ათასი გერმანელი და სხვები. ესპანეთის ბრძოლებში ყველა ინტერნაციონალური ბრიგადის 5 ათასი კაცი დაიღუპა.

ტში. მასში შემავალი წვრილი და საშუალო ბურჟუაზიული ფენები თავისი ბუნების გამო ხომ ისედაც მერყეობდნენ. 1938 წლის 30 აპრილს ნეგრინის მთავრობამ, ბოლო რომ მოეღო ამ მერყეობისათვის გამოაქვეყნა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი პროგრამა „13 პუნქტის“ სახელწოდებით. იგი ითვალისწინებდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, სახელმწიფო წყობილების ხასიათის საკითხის გადაწყვეტას ომის შემდეგ თვით ესპანელი ხალხის მიერ, კანონიერად მოპოვებული საკუთრებისათვის პატივისცემას, ყველა ესპანელის ამნისტიას და ა. შ. მაგრამ, ამ დროისათვის, ძალთა თანაფარდობა ქვეყანაში ფაშისტების მხარეზე იყო.

სახალხო ფრონტში შემავალი ბურჟუაზიული პარტიების ლიდერები თანდათანობით რეაქციის მხარეზე იხრებოდნენ და კაპიტულაციის გზას დაადგნენ. 1938 წლის აგვისტოში სახალხო ფრონტში შემავალმა მემარჯვენე სოციალისტებმა, ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებმა და ბასკონიის ნაციონალისტებმა მრეწველობის მილიტარიზაციის კანონი გამოიყენეს საბაბად და მთავრობის კრიზისი გამოიწვიეს მტრის წინაშე კაპიტულაციის მოხდენის იმედით, მაგრამ ეს შეთქმულება ამჯერად ჩაიშალა.

ამრიგად, სოციალური დემაგოგიისა და ტერორის მეშვეობით ფაშისტებმა მიაღწიეს ესპანელი ხალხის ძალების გათიშვას, მათში ერთგვარი დასაყრდენის შექმნას და მათ ურთიერთ დაპირისპირებას.

არც რეაქციულ ბანაკში გაერთიანებულ ძალებს შორის იყო ერთსულოვნება. ფრანკოს ფაშისტური ხროვა დაპყრობილ ტერიტორიაზე მთელ რიგ სიძნელეებს განიცდიდა. რეაქციულ ბლოკში შემავალი ყოველი დაჯგუფება ცდილობდა ძალაუფლება თავის ხელში ჩაეგდო. განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა არსებობდა მონარქიულ-კლერიკალურ დაჯგუფებასა და ესპანეთის ფალანგას შორის. თვითეული მათგანი მოითხოვდა, რათა ხელისუფლება მთლიანად მის ხელში გადასულიყო. მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი იმდენად სერიოზული იყო, რომ ხშირად იგი შეიარაღებულ კონფლიქტამდეც მიდიოდა ფალანგის მილიციასა და მონარქიულ შეიარაღებულ შენაერთებს „რაკეტას“ შორის. საქმე იმაში იყო, რომ მონარქისტები რევოლუციური ძალების განადგურების შემდეგ მეფის ხელისუფლების აღდგენაზე ოცნებობდნენ, ფრანკოს კი თავისი ტოტალიტალური რეჟიმის დამყარება სურდა. არც ბურჟუაზია იყო მთლიანად კმაყოფილი 1936 წლის ნოემბერში მუსოლინმა ფრანკოს თავს მოახვია საიდუმლო შეთანხმება, რომლითაც ესპანეთის რესურსებისადმი კონტროლი იტალიის ხელში გადადიოდა. 1937 წლის მარტში ასეთივე ხელშეკრულება დაიდო გერმანიასთან. ამ ხელშეკრულების შედეგად გერმანიისა და იტალიის მონოპოლიებმა ფართო მოღვაწეობა გაშალეს ესპანეთისა და მისი კოლონიების ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლოატაციისათვის. ამ მიზნით გერმანიის მონოპოლიებმა შექმნეს საავიაციონერო საზოგადოება „როვაკი“, ხოლო იტალიელებმა — „სოფინდუსი“.

ესპანეთის ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო ამ ხელშეკრულებებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის გერმანიისა და იტალიის მონოპოლიების მიერ მითვისებით. მართალია რეაქციულ ბანაკში საქმე აშკარა განხეთქილებამდე არ მისულა, მაგრამ უთანხმოება მასში შემავალ დაჯგუფებებს შორის ძალზე დიდი იყო. 1937 წლის აპრილში ამ უთანხმოების ლიკვიდაციის მიზნით ფრანკომ გამოსცა დეკრეტი რეაქციულ ბანაკში გაერთიანებულ ყველა პარტიის

ერთ პარტიად გაერთიანებაზე — ესპანეთის ტრადიციონალისტურ ფალანგაში და ეროვნულ-სინდიკალისტური შეტევის ხუნტაში. ჩატარდა ხელისუფლების ყველა ორგანოების წმენდა „არაკეთილსაიმედო" პირებისაგან. ფრანკომ თავიდან მოიშორა თავისი მოქიშპე გენერალი მოლა, რომელიც დაიღუპა „ავიაციის კატასტროფისას". მეამბოხეთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფაშისტებმა მკაცრი რეჟიმი დაამყარეს. გაუსამართლებლად ხვრეტდნენ რესპუბლიკის მხარეზე მებრძოლ მუშებს, გლეხებს, სტუდენტებს და საერთოდ დემოკრატიული ძალების წარმომადგენლებს. კომუნისტებისა და სხვა მემარცხენე პარტიების მუშაობა ძალზედ გაძნელდა. მიუხედავად ამისა, ისინი ღრმა იატაკქვეშა გმირულ ბრძოლას აწარმოებდნენ ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. კომუნისტების ხელმძღვანელობით რეაქციის წინააღმდეგ მოქმედებდნენ პარტიზანული ნაწილები და ჯგუფები — ანდალუზიის, ასტურიის, ბასკეთის და სხვა მრავალ რაიონებში. მაგრამ მათ წინააღმდეგ ფაშისტებმა დიდი ძალები წარმართეს. ყველა ამ ღონისძიებების ჩატარებითა და რაც მთავარია გერმანია-იტალიის და საერთაშორისო რეაქციის დიდი და აქტიური მხარდაჭერის შედეგად ფრანკომ შესძლო დაპყრობილი ტერიტორიის შენარჩუნება, ჭარბი ძალების დაგროვება და რესპუბლიკური ჯარების წინააღმდეგ ახალი შეტევების განხორციელება.

1938 წლის დამლევისათვის ფრანკოს განკარგულებაში იყო დიდი ჭარბი ძალები. მაგალითად, ფაშისტებს ამ დროისათვის 10-ჯერ მეტი ტანკები და არტილერია, 16-ჯერ მეტი ავიაცია, 20-ჯერ მეტი ტანკსაწინააღმდეგო არტილერია და 50-ჯერ მეტი საზენიტო ზარბაზნები ქონდათ, ვიდრე რესპუბლიკურ ჯარებს. ცოცხალი ძალების უპირატესობაც მეამბოხეების მხარეზე იყო.

1938 წლის დეკემბერში, მიუხედავად ესპანელი ხალხის და ინტერნაციონალური ბრიგადების გმირული და თავგანწირული ბრძოლისა ფაშისტებმა ახალი შეტევები დაიწყეს კატალონიაში, გაარღვიეს რესპუბლიკური ჯარების ფრონტი და 1939 წლის იანვრის ბოლოს აიღეს ბარსელონა, ხოლო 11 თებერვალს მათ ხელში აღმოჩნდა მთელი კატალონია. რესპუბლიკის ხელში დარჩა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი, ე. ი. ესპანეთის ერთი მეოთხედი ნაწილი. კატალონიიდან რესპუბლიკურმა ჯარებმა, ათიათასობით ლტოლვილებთან ერთად, საფრანგეთისაკენ დაიხიეს. დალადიეს მთავრობამ ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსა.

1939 წლის 27 თებერვალს ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებმა გაწყვიტეს ურთიერთობა ესპანეთის რესპუბლიკურ მთავრობასთან და სცნეს ფრანკოს ფაშისტური რეჟიმი. დასავლეთის სახელმწიფოების მუხანათურმა მოქმედებამ კიდევ უფრო გააძლიერა ფაშისტური რეჟიმი და დაბნეულობა შეიტანა დემოკრატიულ ძალებში, დააჩქარა მათი გათიშვა. ასეთ ვითარებაში სახალხო ფრონტის პარტიებიდან, მხოლოდ კომუნისტური პარტია იყო ერთად ერთი, რომელიც სულით არ დაეცა და თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდა ფაშისტებისა და სახალხო ფრონტში და არმიაში მოქმედ კაპიტულაციის მომხრეების წინააღმდეგ. კომუნისტების მოთხოვნით ნეგრინის მთავრობამ ქეყანაში გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია და სამხედრო მდგომარეობა. გადაიდგა აგრეთვე ნაბიჯები რესპუბლიკური არმიის ცენტრის დაშლისათვის, ვინაიდან იქ მოკალათებული იყვნენ კაპიტულაციის მომხრენი. შეიქმნა ახალი ცენტრი კომუნისტების ხელმძღვანელობით. მაგრამ ნეგრინის მთავრობა ძალ-

ზედ ნელა და გაუბედავად მოქმედებდა. საერთოდ სოციალისტებს ეშინოდათ, რომ ძალაუფლება კომუნისტების ხელში არ გადასულიყო და ყოველთვის მერყეობდნენ და გაუბედავად მოქმედებდნენ. ამ განსაცდელის მძიმე ჟამს, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკური მთავრობის ხელში საკმაო ძალები იყო, სახალხო ფრონტში შემავალი ყველა პარტია, გარდა კომუნისტურისა, კაპიტულაციის გზას დაადგა. სახალხო ფრონტმა ფაქტიურად თავისი არსებობა შეწყვიტა. მარტის დამდეგს მადრიდში მოღალატეებმა პოლკოვნიკ კასადოსა და მემარჯვენე სოციალისტ ბესტეიროს მეთაურობით შექმნეს „თავდაცვის ეროვნული ხუნტა", რომელიც ძირითადად ანარქისტებისაგან შემდგარ სამხედრო ნაწილებს ეყრდნობოდა. 5 მარტს მადრიდში ხუნტამ ამბოხება დაიწყო. პირველი დარტყმა მან კომუნისტების წინააღმდეგ წარმართა და განკარგულება გასცა ნეგრინის მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ცეკას წევრების დაპატიმრების შესახებ. კომუნისტებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ამბოხებულებს, მაგრამ ამ უკანასკნელებმა შესძლეს წინააღმდეგობის დაძლევა. 9 ათასი კაცი მოკლულ და 12 ათასი ციხეში ჩაყრილ იქნა. გამთიშველთა ამბოხების შედეგად სახალხო ფრონტი საბოლოოდ დაიშალა, ხუნტამ მოლაპარაკება გამართა ფრანკოსთან და საპატიო ზავი შესთავაზა მას, მაგრამ ფაშისტებმა სრული კაპიტულაცია მოითხოვეს და ჯარები მადრიდისაკენ დასძრეს. 28 მარტს ფაშისტთა ჯარები, თითქმის ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, მადრიდში შევიდნენ. აპრილის დასაწყისში მთელი ესპანეთი ფაშისტების ხელში აღმოჩნდა.

სამოქალაქო ომში რეაქციული ძალების გამარჯვების შედეგად ესპანეთში აღვირახსნილი, სისხლიან-ტერორისტული ფაშისტური რეჟიმი დამყარდა. სახალხო ფრონტის მთავრობის მიერ გატარებული ყველა გარდაქმნები გაუქმდა. ციხეები რევოლუციონერებით აივსო. ფრანკოს ფაშისტური რეჟიმი მსხვილი ბურჟუაზიის, მემამულეების და კლერიკალური რეაქციის ინტერესებს ემსახურებოდა.

ათასობით ესპანელმა ლტოლვილმა მეორე სამშობლო საბჭოთა კავშირში ჰპოვა.

ესპანელი ხალხის სამოქალაქო ეროვნულ განმათავისუფლებელი რევოლუციური ომის დამარცხების მიზეზებია — საგარეო და საშინაო ფაქტორები. საგარეო ფაქტორი შემდეგია — გერმანია-იტალიის აშკარა შეიარაღებული ინტერვენცია და დასავლეთის სახელმწიფოების მიერ გატარებული „ჩაურევლობის" პოლიტიკა. „ჩაურევლობის" პოლიტიკის შედეგად ესპანეთის კანონიერი მთავრობა ბლოკადაში აღმოჩნდა და ვერ მიიღო გარედან დახმარება, მეამბოხე ძალები კი ასეთ დახმარებას ღებულობდნენ, არა მარტო გერმანიასა და იტალიისგან, არამედ დასავლეთის სახელმწიფოებიდან. ეხლა უკვე ცნობილია, რომ ასეთი დახმარების გარეშე მეამბოხე ფაშისტები დამარცხდებოდნენ.

საშინაო ფაქტორის დამარცხების მიზეზების დახასიათება მოგვცა ესპანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხოსე დიასმა, რომელიც რესპუბლიკის დაცემის შემდეგ სსრ კავშირში ჩამოვიდა, მან განაცხადა: ესპანეთის ხალხის ომმა დაგვანახა, რომ ძნელ და საშიშ ვითარებაში, როდესაც რესპუბლიკის ბედი წყდებოდა კომპარტიის გარდა სხვა პარტიები და ორგანიზაციები, კაპიტულაციაზე მიდიოდნენ და მათი პოლიტიკა მასების დეზორგანი-

ზაციას იწვევდა. ხოსე დიასმა აღნიშნა, რომ ესპანეთი, რომელიც ბრძოლის დაწყებამდე წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ტიპის რესპუბლიკას, ომის დროს გადაიქცა სახალხო რესპუბლიკად მსხვილი კაპიტალისტების, მემამულეების, რეაქციონერების გარეშე; რესპუბლიკად, რომელიც ეყრდნობოდა ხალხთა მასებს და რეგულარულ სახალხო არმიას.

ეს იყო რესპუბლიკა, სადაც, კერძო საკუთრებასთან ერთად, ხორციელდებოდა მსხვილი სამრეწველო საწარმოების, ბანკების და ტრანსპორტის ნაციონალიზაცია, მსხვილ მემამულეთა მიწების კონფისკაცია. ნებაყოფლობით შექმნილი მუშათა და გლეხთა კოოპერატივები და კოლექტივები დიდ დახმარებას ღებულობდნენ სახელმწიფოდან.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორისპერიოდში. III კომუნისტური ინტერნაციონალი

§ 22. კომინტერნი 1919 — 1923 წწ.

III კომინტერნის შექმნა

I მსოფლიო ომის დროს II ინტერნაციონალის ხელმძღვანელობა აშკარად დადგა ბურჟუაზიის მხარეზე, გაჰყიდა პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები და კრახი განიცადა. მან დაივიწყა თავის კონგრესებზე (შტუდგარტში, ბაზელში) მიღებული გადაწყვეტილებანი იმპერიალისტური ომით შექმნილი კრიზისის პროლეტარიატის ინტერესებისათვის გამოყენების შესახებ და გადაიქცა იმპერიალიზმის მსახურად. II ინტერნაციონალში შემავალ სოციალ-დემოკრატიული პარტიების ბელადები გადავიდნენ თავიანთი ბურჟუაზიული მთავრობების სამსახურში და თავიანთი ქვეყნების მუშებს ომში მეორე ქვეყნის მუშების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ. ბოლშევიკური პარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელიც თანმიმდევრულ ბრძოლას აწარმოებდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა წამოაყენეს ლოზუნგი იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ.

ომის მსვლელობაში ევროპის ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში ჩამოყალიბდა შემარცხენე ჯგუფები, რომელნიც გმირულ ბრძოლას აწარმოებდნენ როგორც იმპერიალისტური ომის, ასევე შემარჯვენე სოციალისტებისა და გამყიდველების წინააღმდეგ, მაგრამ ისინიც მთელ რიგ შეცდომებს უშვებდნენ, არ მიდიოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიების შემარჯვენე და ცენტრისტულ ხელმძღვანელობასთან სრული კავშირის გაწყვეტაზე.

საერთოდ ომისწინა საერთაშორისო მუშათა და სოციალისტურ მოძრაობაში სამი ძირითადი მიმდინარეობა იყო ჩამოყალიბებული: აშკარა ოპორტუნისტული, ცენტრისტული და შემარცხენეებისა. აშკარა ოპორტუნისტები ანუ რევიზიონისტები ჯერ კიდევ ომამდე დაადგნენ მარქსიზმის რევოლუციური მოძღვრების რევიზიის გზას. ისინი გამოდიოდნენ მარქსის რევოლუციური თეორიის წინააღმდეგ, ე. ი. იმის წინააღმდეგ, რაც მთავარია მარქსიზმში — კლასობრივი ბრძოლისა, პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ. რევიზიონისტები ფაქტიურად გადაიქცნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამტარებლად მუშათა მოძრაობაში, ომის დროს კი ისინი გახდნენ აშკარა სოციალ-შოვინისტები.

რევიზიონისტების ანუ სოციალ-შოვინისტების წარმომადგენლები იყვნენ: გერმანიაში — ებერტი და შეიდემანი, ავსტრიაში — რენერი, საფრანგეთში — რენოდელი და ტომა, რუსეთში — პლეხანოვი და პოტრესოვი, ინგლისში — ჰაინდმანი და ჰენდერსონი, ბელგიაში — ვანდერველდე. აშკარა სოციალ-შოვინისტებმა ომის დაწყებისთანავე „სამოქალაქო მშვიდობა“ გამოაცხადეს ბურჟუაზიასთან და მხარს უჭერდნენ მას იმპერიალისტური ომის წარმოებაში.

ცენტრისტული მიმდინარეობის წარმომადგენლები იყვნენ გერმანიაში — კაუცკი, გააზე და ჰილფერდინგი; ავსტრიაში — ვიქტორ და ფრიდრიხ ადლერები; რუსეთში — ჩხეიძე, ტროცკი და მარტოვი; საფრანგეთში — ჟ. ლონგე და მერგეიმი; ინგლისში — მაკდონალდი და სხვები; იტალიაში — ლაცარი.

ცენტრისტული მიმდინარეობა განსაკუთრებით საშიში იყო პროლეტარიატისათვის. ვ. ი. ლენინი ცენტრისტებს „სიტყვით მარქსისტებს საქმით კი ოპორტუნისტებს“ უწოდებდა. ისინი ამართლებდნენ იმპერიალისტურ ომში სამშობლოს დაცვის აუცილებლობას, მოუწოდებდნენ მუშებს შეესრულებინათ თავისი მოვალეობა და იარაღით ხელში ებრძოლათ ფაქტიურად მეორე ქვეყნის მუშაპის წინააღმდეგ. 1914 წელს ოპორტუნისტებთან ერთად, ცენტრისტებმაც პარლამენტში ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს.

მესამე მიმდინარეობა საერთაშორისო მუშათა და სოციალისტურ მოძრაობაში იყო მემარცხენეების, რომლის ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ: რუსეთში — ბოლშევიკური პარტია, გერმანიაში — მემარცხენე სოციალისტები კ. ლიბკნეხტი, რ. ლუქსემბურგი, კ. ცეტკინა, ფ. მერინგი, ვ. პიკი და სხვები; ბულგარეთში — ტესნიაკების პარტია გ. დიმიტროვის, დ. ბლაგოევის და ვ. კოლაროვის მეთაურობით; პოლონეთში — პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები ფ. ძერჟინსკი და უ. მარხლევსკი; სერბიაში — სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები გ. ტრუფინოვიჩის მეთაურობით; აშშ — სოციალისტური და სოციალისტური მუშათა პარტიის მემარცხენეები — ჩ. რუტენბერგი, უ. დებსი, ჯ. რიდი და სხვები; მემარცხენე ინტერნაციონალისტები იყვნენ აგრეთვე სხვა ქვეყნების სოციალისტურ პარტიებშიც — საფრანგეთის, იტალიის, შვეიცის, ნორვეგიის, შვეიცარიის და სხვაგან. გარდა ბოლშევიკური პარტიისა — სხვა ქვეყნების მემარცხენეები არ აწარმოებდნენ თანამიმდევრულ ბრძოლას სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ. მათ არ ესმოდათ ცენტრისტებთან და რეფორმისტებთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტის და დამოუკიდებელი რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის აუცილებლობა.

მეორე ინტერნაციონალის მესამე მიმდინარეობას შორის ნამდვილი რევოლუციური, ახალი ტიპის მარქსისტული პარტია — ბოლშევიკური პარტია იყო. მან ომის დაწყების პირველსავე დღიდან შეურიგებელი პოზიცია დაიკავა იმპერიალისტური ომისადმი. ბოლშევიკები იმპერიალისტური ომისადმი მარქსისტული პროლეტარული პოზიციით გამოვიდნენ. მათ საერთოდ კი არ გაილაშქრეს ომის წინააღმდეგ, როგორც ამას ბურჟუაზიული პაციფისტები აკეთებდნენ. ბოლშევიკები განუმარტავდნენ მასებს, რომ ომები სხვადასხვა ხასიათისაა: დაპყრობითი და უსამართლო ან სამართლიანი და განმათავისუფლებელი. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს ან ხალხის განთავისუფლებას იმპერიალიზმის კოლონიური უღლისაგან, ან დამოუკიდებლობის შენარჩუნე-

ბას, ან ხალხის განთავისუფლებას კაპიტალისტური ჩაგვრისაგან, ხოლო უსამართლო ომები კი მიზნად ისახავენ სხვისი ტერიტორიების მიტაცებას და სხვა ხალხის დაპყრობას. ასეთი ომები იმპერიალისტურია და მათ წინააღმდეგ მარქსისტები შეურიგებელნი უნდა იყვნენ. ასეთი ომების დროს მარქსისტული პარტიების მთავარი ამოცანაა — გამოიყენონ ხალხის უკმაყოფილება ომით მათი გამჩაღებლების, ე. ი. ბურჟუაზიის დამხობისათვის. ბოლშევიკებმა წამოაყენეს ლოზუნგი — იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისა, რათა იმ ქვეყნების მუშებს, რომელთა მთავრობებიც ჩაბმულნი იყვნენ იმპერიალისტურ ომში შეეტრიალებინათ თოფები თავიანთი მთავრობების დასამხობად და პროლეტარული დიქტატურის დასამყარებლად.

ლენინი და ბოლშევიკები უკვე ომის დაწყებისთანავე იწყებენ ბრძოლას III ინტერნაციონალის შესაქმნელად, ყველა მემარცხენე ძალების გასაერთიანებლად ნამდვილ მარქსისტულ, რევოლუციურ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ყოველგვარი ჯურის რეფორმიზმისაგან, ოპორტუნიზმისაგან და შოვინიზმისაგან.

1915 წლის მარტში ბერნში (შვეიცარია) ბოლშევიკური პარტიის ქალთა ორგანიზაციების მიერ მოწვეულ იქნა საერთაშორისო ქალთა სოციალისტური კონფერენცია, სადაც 8 ქვეყნის 25 დელეგატი ესწრებოდა. ამ კონფერენციამ დაგმო სოციალ-შოვინიზმი და „სამშობლოს დაცვის“ პოლიტიკა, მაგრამ იმის გამო, რომ აქ დელეგატთა უმრავლესობას ნახევრადცენტრისტული ელემენტები შეადგენდნენ, ვერ გაბედეს ლენინური ლოზუნგის მიღება ომზე და სოციალ-შოვინისტებთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტაზე.

1915 წლის სექტემბერში იტალიის და შვეიცარიის სოციალისტური პარტიების ინიციატივითა და ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, შვეიცარიის სოფელ ციმერვალდში შეიკრიბა სოციალ-შოვინიზმის მოწინააღმდეგე სოციალისტების საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობდა 38 დელეგატი 11 ქვეყნის სოციალისტური პარტიებისა და ოპოზიციონერი — ინტერნაციონალისტებისა: რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, შვეციის, პოლონეთის, ბულგარეთის და სხვ.

კონფერენციაზე ლენინმა გააერთიანა რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტები: რუსეთის, პოლონეთის, გერმანიის, შვეიცარიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, შვეციის და ლატვიის მხარის, სულ 8 დელეგატი. კონფერენციაზე „ციმერვალდის მემარცხენეები“ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გამოვიდნენ დამოუკიდებელი პლატფორმით და შეიტანეს თავისი რეზოლუცია და მანიფესტი, რომელიც ძირითადად ასახავდა იმპერიალისტური ომის ბოლშევიკურ შეფასებას და სოციალ-შოვინისტებთან მთლიანი ურთიერთობის გაწყვეტის მოთხოვნას. მართალია, კონფერენციამ არ მიიღო იგი მთლიანად, მაგრამ შემუშავებულ მანიფესტში „ციმერვალდის მემარცხენეების“ მოთხოვნით ასახული იქნა მარქსიზმის ძირითადი რევოლუციური იდეები. მანიფესტი სცნობდა ომის იმპერიალისტურ ხასიათს და მოითხოვდა მშვიდობისათვის ბრძოლას, მაგრამ არ გმობდა სოციალ-შოვინიზმს.

ციმერვალდის კონფერენციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან დააჩქარა მემარცხენე ინტერნაციონალისტ-სოციალისტების გამიჯვნა სოციალ-შოვინისტებისაგან. „ციმერვალდის მემარცხენეების“ ირგვლივ თანდა-

თანობით ერთიანდებოდნენ სხვა მემარცხენეებიც. კონფერენციის შემდეგ შეიქმნა „ციმერვალდის მემარცხენეების“ ბიურო, რომელმაც დაიწყო თავისი საკუთარი ჟურნალის „პრედვესტნიკის“ გამოცემა.

1916 წლის აპრილში შვეიცარიის პატარა სოფელ კინტალში შეიკრიბა ინტერნაციონალისტების მეორე საერთაშორისო კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ 48 დელეგატი და ერთი სტუმარი ინგლისიდან. „ციმერვალდის მემარცხენეებიდან“ აქ მონაწილეობდა 12 კაცი. ამ კონფერენციაზე უმრავლესობას ცენტრისტული და ნახევრადცენტრისტული წარმომადგენლები შეადგენდნენ, რომელთა შორის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით, იგრძნობოდა ერთგვარი ვამემარცხნება.

კინტალის კონფერენციამ დაგმო მემარცხენეების პროლეტარული ინტერციონალიზმის პრინციპებიდან გადახვევა და „სამოქალაქო მშვიდობისა და სამშობლოს დაცვის პოლიტიკაში თანამონაწილეობა“, რომლის შედეგად მუშათა კლასი უმწეო გახდა. მაგრამ სოციალ-შოვინიზმთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ კინტალის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ლაპარაკი არ იყო. რაც შეეხება პროლეტარიატის დამოკიდებულებას მშვიდობის ლოზუნგთან, იგი გმობდა, სოციალ-შოვინისტებსაც და სოციალ-პაციფისტებსაც და აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების საფუძველზე მტკიცე მშვიდობის დამყარება შეუძლებელია, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა უნდა დაკავშირებული იყოს სოციალიზმისათვის ბრძოლასთან.

„ციმერვალდის მემარცხენეებმა“ შეიტანეს თავისი რეზოლუციის პროექტი მშვიდობის შესახებ, რომელიც შედგენილი იყო ბოლშევიკური პარტიის მიერ და მოითხოვდა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას. მაგრამ კინტალის კონფერენციამ იგი არ მიიღო. კინტალის და ციმერვალდის კონფერენციებმა უარყვეს აგრეთვე რევოლუციური, მესამე ინტერნაციონალის შექმნა, რომელიც გაწმენდილი იქნებოდა ყველა სახის ოპორტუნიზმისაგან. მიუხედავად ამისა, ამ კონფერენციებს მაინც დიდი მნიშვნელობა ქონდა, ვინაიდან მათ ხელი შეუწყვეს რევოლუციური ინტერნაციონალისტების ძალების შემჭიდროვებას და III ინტერნაციონალის შექმნისათვის ბრძოლას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დააჩქარა მემარცხენეების სრული გამიჯვნა რეფორმისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიებიდან და კომუნისტური პარტიების ჩამოყალიბება.

1918 წლის იანვარში შეიქმნა არგენტინის კომპარტია, იმავე წლის აგვისტოში — ფინეთის, ნოემბერში — უნგრეთის, დეკემბერში — ავსტრიის, პოლონეთის და გერმანიის კომუნისტური პარტიები. სხვა ქვეყნებშიც მიმდინარეობდა მზადება კომპარტიების შესაქმნელად.

ასეთ პირობებში მესამე კომინტერნის შექმნა აუცილებელი გახდა. მით უმეტეს, რომ ახალგაზრდა კომპარტიები თავის მოღვაწეობის დასაწყისში ჯერ კიდევ სუსტნი იყვნენ და მთელ რიგ შეცდომებს უშვებდნენ. ისინი დახმარებას საჭიროებდნენ. 1918 წლის იანვარში პეტროგრადში მოწვეულ იქნა სოციალისტური პარტიების მემარცხენე მიმდინარეობის თათბირი, რომელმაც განიხილა და მიიღო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის გადაწყვეტილება, III ინტერნაციონალის შესაქმნელად.

1919 წლის იანვარში მოსკოვში მოწვეულ საერთაშორისო თათბირმა მიიღო მოწოდება ყველა მემარცხენე პარტიებისა და ჯგუფებისადმი, რათა მი-

ეღოთ მოსაწილეობა საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მესამე კომინტერნის შესაქმნელად.

III კომინტერნის I დამფუძნებელი კონგრესი მოწვეულ იქნა მოსკოვში 1919 წლის 2 მარტს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთი იმპერიალისტური ქვეყნების ბლოკადაში იმყოფებოდა, კონგრესზე მაინც ჩამოვიდა 30 ქვეყნის 53 დელეგატი.

კონგრესის დელეგატთა დიდმა უმრავლესობამ მოითხოვა კომინტერნის შექმნა. კომინტერნის უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა კონგრესი, ხოლო კონგრესებს შორის პერიოდში — კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტი.

კონგრესზე მოხსენებით ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ გამოვიდა ვ. ი. ლენინი.

საბჭოთა რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებასთან დაკავშირებით ყველა ქვეყნის მუშათა პარტიებში დიდი პოლემიკა მიმდინარეობდა ამ საკითხის ირგვლივ. სოციალ-დემოკრატები უარყოფდნენ რა პროლეტარიატის დიქტატურას, ცდილობდნენ მისთვის დაეპირისპირებინათ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, რომლის შესახებ მუშათა კლასში ისინი ნერგავდნენ ილუზიებს „საყოველთაო თანასწორუფლებიანობაზე", „სრულ დემოკრატიაზე" და ა. შ. ახალგაზრდა კომპარტიებს ჯერ კიდევ არ ესმოდათ მარქსის ნამდვილი მოძღვრება ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. საჭირო იყო ამ საკითხებში სრული გარკვეულობის შეტანა. ეს ამოცანა შეასრულა ვ. ი. ლენინმა.

ვ. ი. ლენინმა თავის გამოსვლაში კონგრესზე ნათელყო პროლეტარიატის დიქტატურის ძირფესვიანი განსხვავება სხვა სახის დიქტატურისაგან, მიუთითა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ეს არის დიქტატურა მშრომელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისა, რომელიც მიზნად ისახავს მათი საყოველთაო ინტერესების დაცვას და ექსპლოატატორთა კლასების წინააღმდეგობის, ე. ი. მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობის — მემამულეების და ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვას.

შეადარა რა პროლეტარიატის დიქტატურა ბურჟუაზიულ დემოკრატიას, ლენინმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია წარმოადგენს ერთ მუჭა ბურჟუაზიისა და მემამულეების დიქტატურას, რომელიც მოწოდებულია დაიცვას მათი ხელისუფლება და დათრგუნოს მშრომელთა მასების, ე. ი. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის წინააღმდეგობანი. ლენინმა მოხსენებაში ცხადყო, რომ საბჭოები წარმოადგენენ დემოკრატიის უმაღლეს ფორმას, დემოკრატიას მშრომელებისათვის, უმრავლესობის დემოკრატიას.

პროლეტარიატის დიქტატურის ლენინური განმარტება ნათელს ჰფენდა მარქსის მოძღვრებას ამ საკითხზე. I კონგრესმა მიიღო ლენინის თეზისები პროლეტარიატის დიქტატურისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის შესახებ, განაცხადა, რომ ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიის ამოცანაა განუმარტოს მშრომელ მასებს პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც მშრომელთა უმრავლესობის ხელისუფლების და დემოკრატიის არსი, რომელმაც უნდა შეცვალოს ბურჟუაზიული დემოკრატია და პარლამენტი, იბრძოლოს მუშათა დეპუტატთა საბჭოების შექმნისათვის და ამ საბჭოებში უმრავლესობის მოპოვებისათვის.

კონგრესმა მიმართა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშათა კლასს მოწოდებით, რათა მას მთელი ძალები და საშუალება გამოეყენებინა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარე შეიარაღებული ინტერვენციის შეწყვეტისა და მასთან ნორმალური დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის დამყარებისათვის.

I კონგრესის ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მან შექმნა ახალი მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაცია. „კომუნისტური ინტერნაციონალი, — როგორც მითითებულია მის პროგრამაში, წარმოადგენს ერთადერთ საერთაშორისო ძალას, რომელსაც აქვს თავისი პროგრამა პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნიზმისა და დაუფარავად გამოდის საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ორგანიზატორად".[1].

კომინტერნის II კონგრესი

კომინტერნის I კონგრესის მიერ მიღებული თეზისები და ლენინის გამოსელა ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხებზე დაეხმარა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს დაეჩქარებინა გათიშვა სოციალისტებისა და ანარქო-სინდიკატების რიგებში.

I და II კონგრესებს შორის პერიოდში საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები მოხდა. უნგრეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც 4 თვეს იარსება, საბჭოთა ხელისუფლება აღმოცენდა ბავარიაში, მაგრამ აქაც 2 კვირის არსებობის შემდეგ ისიც დაეცა. უნგრეთის და ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკების დაცემის მთავარი მიზეზები იყო მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გამყიდველობა და კომპარტიების სისუსტე.

კაპიტალისტურ ქვეყნებში გრძელდებოდა რევოლუციური აღმავლობა. ევროპის და ამერიკის ქვეყნების მუშები განაგრძობდნენ ბრძოლას ეკონომიური და პოლიტიკური უფლებებისათვის და საბჭოთა რუსეთის დასაცავად გამოდიოდნენ. კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში კი ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

მუშათა კლასის გამემარცხენების შედეგი ის იყო, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში იქმნებოდა კომპარტიები, რომელთაც 1919—1920 წწ. სურვილი განაცხადეს კომინტერნში შესვლის შესახებ. მაგრამ ახალგაზრდა კომპარტიები უშვებდნენ მთელ რიგ შეცდომებს. კერძოდ, ისინი უარს ამბობდნენ საპარლამენტო ბრძოლაზე იმ მოტივით, რომ თითქოს ეს იქნებოდა თანამშრომლობა ბურჟუაზიულ პარტიებსა და მთავრობასთან, უარს ამბობდნენ რეფორმისტულ პროფკავშირებში შესვლაზე და მუშაობაზე იმ მოტივით, რომ ეს იქნებოდა თანამშრომლობა რეფორმისტებთან.

კომინტერნის დამოკიდებულება ამ სექტანტურ „მემარცხენე" შეცდომებისადმი ლენინმა განსაზღვრა ცნობილ შრომაში „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში", რომელიც გამოვიდა 1920 წლის ზაფხულში და თარგმნილ იქნა გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

ამ ნაშრომში ლენინმა ანალიზი გაუკეთა ბოლშევიკური პარტიის განვითარების ეტაპებს, მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის თავისებურებებს და ნათელყო

[1] Коммунистический Интернационал в документах, М., 1935, გვ. 284.

ოუ რომელ მტრებთან ბრძოლაში გამოიწრთო ბოლშევიკური პარტია.

ლენინმა გააკრიტიკა დასავლეთ ევროპის კომპარტიების „მემარცხენე" შეცდომები და მიუთითა მათ ამ შეცდომათა გამოსწორების გზებზე. ლენინმა ხაზი გაუსვა, რომ კომპარტიებმა საპარლამენტო ბრძოლა და პარლამენტის ტრიბუნა უნდა გამოიყენონ თავის გავლენის გაზრდისათვის, რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის და მთავრობის და ბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკის არსის გამოაშკარავებისათვის, ხოლო რეფორმისტულ პროფკავშირებში კომუნისტების მუშაობის აუცილებლობა ნაკარნახევი უნდა იყოს რეფორმისტების გამყიდველური პოლიტიკის გამოაშკარავებით, მუშათა კლასის ამ მასობრივი ორგანიზაციების სათავიდან რეფორმისტების ჩამოშორებით და მათი რევოლუციური ხელმძღვანელობით შეცვლით. ლენინის ეს შრომა დაეხმარა ახალგაზრდა კომპარტიებს მათი შეცდომების დაძლევაში და ახალი ტიპის პარტიების ჩამოყალიბებაში.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მუშათა კლასის გარევოლუციონერების გავლენით ზოგიერთმა ცენტრისტულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ნორვეგიის, შვეციის და ა. შ.) მიიღეს გადაწყვეტილება II ინტერნაციონალიდან გამოსვლისა (II ინტერნაციონალი ომის შემდეგ კვლავ აღდგენილ იქნა) და III კომინტერნში შესვლის შესახებ.

აღნიშნული ქვეყნების ცენტრისტული პარტიების ბელადები ფიქრობდნენ III კომინტერნში გაძვრომას და იქ თავისი რეფორმისტული ტაქტიკის გაგრძელებას. ცენტრისტული პარტიების შიგნით აღნიშნულ ქვეყნებში მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლა კომინტერნში შესვლის საკითხზე. კომინტერნის სწორი პოზიცია დაეხმარა ამ პარტიების საუკეთესო რიგით წევრებს სწორი გზის შემუშავების საქმეში.

კომინტერნის II კონგრესი შედგა 1920 წლის 19 ივლისს — 7 აგვისტოს. მოსკოვში. მის მუშაობაში მონაწილეობდა 41 ქვეყნის 200-ზე მეტი დელეგატი.

კონგრესმა მოისმინა ლენინის მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის ამოცანების შესახებ". მან გაუკეთა რა ღრმა და ნათელი ანალიზი საერთაშორისო მდგომარეობას, I მსოფლიო ომის შედეგებს და ვერსალის ზავს, გამოიტანა პრაქტიკული დასკვნები კომუნისტური პარტიებისათვის. ლენინმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კაპიტალიზმის დამხობა შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციური მუშათა კლასის მიერ რევოლუციური, ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის ხელმძღვანელობის გზით, რომელიც შეურიგებელი უნდა იყოს რეფორმიზმთან. ლენინმა გააკრიტიკა აგრეთვე კომპარტიების „მემარცხენეობა" და მიუთითა მისი დაძლევის გზები.

ლენინის მოხსენების საფუძველზე კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ კომპარტიების მთავარი ამოცანაა ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

კონგრესმა კომპარტიების წინაშე გადაუდებელ ამოცანად დასახა ბრძოლა მუშათა კლასის ყოველგვარი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ხელში აღებისათვის. ლენინის თეზისების საფუძველზე კონგრესმა შეიმუშავა კომინტერნში მიღების „21 პირობა". ეს დოკუმენტი გზას უხშობდა კომინტერნის რიგებში რეფორმისტების, ცენტრალისტებისა და ყველა შემთხვევითი ელემენტების გაძრომას.

კომინტერნში მიღების „21 პირობის“ ძირითადი მოთხოვნები იყო შემდეგი: სისტემატური პროპაგანდის წარმოება პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის, ოპორტუნიზმთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა; რეფორმისტების ჩამოშორება ყოველგვარი მუშათა ორგანიზაციების თანამდებობებიდან, პარტიის აგება დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე, მტკიცე დისციპლინა, სისტემატური მუშაობის წარმოება გლეხობაში, არმიასა და ფლოტში, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის და საბჭოთა რესპუბლიკისათვის მხარდაჭერა.

II კონგრესმა მიიღო კომინტერნის წესდება. აგრარული საკითხის გადაწყვეტილებაში ხაზგასმული იყო მემამულეთა მიწების გლეხთა შორის განაწილების აუცილებლობა. ეროვნულ საკითხს საფუძვლად დაედო ერთა თვითგამორკვევის ლენინური პრინციპი.

II კონგრესის გადაწყვეტილებების მთავარი მნიშვნელობა ის იყო, რომ მან შეიმუშავა კომინტერნის პარტიების სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირითადი პრობლემები და გზა დაუხშო ცენტრისტებს, რომლებიც ცდილობდნენ მესამე კომინტერნში გაძვრომას.

მას შემდეგ, რაც ცენტრისტების მესამე კომინტერნში გაძვრომის ცდები ჩაიშალა, მათ 1921 წლის თებერვალში ვენაში მოიწვიეს დამფუძნებელი კონგრესი, და შექმნეს საკუთარი, ე. წ. $2^1/_2$ ინტერნაციონალი. მასში შევიდნენ ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია, გერმანიის დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, საფრანგეთის ცენტრისტები, რუსეთის მენშევიკები და ა. შ.

ცენტრისტები ყოველმხრივ ცდილობდნენ მასების ყურადღების ჩამოშორებას რევოლუციური ბრძოლიდან, მესამე კომინტერნში მათი შესვლის სწრაფვის შენელებას და ა. შ. სწორედ ამ მიზნით იქნა შექმნილი $2^1/_2$ ინტერნაციონალი. ევროპაში პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების შენელების შემდეგ, $2^1/_2$ ინტერნაციონალი შეუერთდა II ინტერნაციონალს (1923 წელს).

კომინტერნის III და IV კონგრესები

II და III კონგრესებს შორის პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. საშინაო და საგარეო კონტრრევოლუციური ძალების განადგურების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს პოზიციები განმტკიცდა.

დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიამ შეძლო მასების რევოლუციური შეტევების მოგერიება, მაგრამ მუშათა კლასმა მაინც მიაღწია წარმატებებს, მან მიიღო ბურჟუაზიასთან რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება, გაიზარდა იდეურად და ორგანიზაციულად, აღმოცენდნენ მთელი რიგი კომპარტიები, თუმცა მშრომელთა ძირითადი მასების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული რეფორმისტთა გავლენისაგან. ასეთ პირობებში კომინტერნმა თავისი სექციების წინაშე დააყენა მასებისათვის ბრძოლის მოთხოვნა.

მესამე (1921 წლის ივნის-ივლისი) და მე-4 კონგრესებმა(1922 წლის ნოემბერში) შეიმუშავეს მუშათა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის კონკრეტული გეგმა.

ორივე კონგრესმა კომუნისტურ პარტიებს დაავალა, რომ მათ ემუშავათ

პროლეტარიატის ყველა მასობრივ ორგანიზაციაში: პროფკავშირებში, კოოპერატივებში, სპორტულ და კულტურულ ორგანიზაციებში და შეექმნათ ერთიანი მოქმედების ფრონტი სოციალ-დემოკრატ, ანარქო-სინდიკალურ და უპარტიო მუშებთან. მუშათა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის შექმნის მიზნით დაშვებული იყო კომუნისტების დროებითი კომპრომისი და შეთანხმება სოციალ-დემოკრატებთან კონკრეტულ საკითხებზე ერთიანი მოქმედებისათვის, მაგრამ, ამავე დროს, კომუნისტებს მუშათა ხელმძღვანელობის სრული დამოუკიდებლობა და კრიტიკის სრული თავისუფლება უნდა შეენარჩუნებინათ.

IV კონგრესმა დააყენა საკითხი მუშურ-გლეხური ან მუშათა მთავრობის შექმნის შესახებ კომუნისტების და მუშათა სხვა პარტიების მონაწილეობით. ამის შესახებ IV კონგრესი მიუთითებდა: „როგორც საერთო სააგიტაციო ლოზუნგი, მუშათა მთავრობა (ან მუშურ-გლეხური მთავრობა) შეიძლება გამოყენებულ იქნეს თითქმის ყველგან. მაგრამ მუშათა მთავრობის შექმნის ლოზუნგს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზიული საზოგადოების მდგომარეობა არაა მყარი, სადაც ძალთა თანაფარდობა მუშათა პარტიებსა და ბურჟუაზიას შორის დღის წესრიგში სვამს საკითხს მუშათა მთავრობის შექმნაზე, როგორც პრაქტიკულ აუცილებლობაზე. ასეთ ქვეყნებში მუშათა მთავრობის ლოზუნგი გამომდინარეობს, როგორც აუცილებელი დასკვნა ერთიანი ფრონტის მთელი ტაქტიკიდან"[1].

ამ ლოზუნგის ძირითადი აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ „ღია თუ ფარულ ბურჟუაზიულ-სოციალ-დემოკრატიულ კოალიციას კომუნისტები უპირისპირებდნენ ყველა მშრომელის ერთიან ფრონტს და ყველა მუშათა პარტიის კოალიციას ბურჟუაზიული ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად დე მისი საბოლოო დამხობისათვის". ამავე დროს მეოთხე კონგრესი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ მუშათა მთავრობისათვის ბრძოლა არ ნიშნავს იმას, რომ ბურჟუაზიის დამხობა თითქოს შესაძლებელია მშვიდობიანი გზით. მუშათა მთავრობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ბურჟუაზიის განიარაღება და მუშათა კლასის შეიარაღება, წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესება და ა. შ. კონგრესი იძლეოდა გაფრთხილებას ავრეთვე, რომ „ყველა მუშათა მთავრობა არაა ნამდვილი პროლეტარული, სოციალისტური მთავრობა".

IV კონგრესმა დაწვრილებით შეიმუშავა კომუნისტების ამოცანები პროფკავშირებში და გამოააშკარავა რა პროფკავშირთა „ნეიტრალიტეტის" და „დამოუკიდებლობის" თეორიები, დასახა კაპიტალისტური ქვეყნების პროფკავშირების რეფორმისტული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა დიდი მუშაობა გააჩაღა საერთაშორისო ახალგაზრდული, საერთაშორისო რევოლუციური, პროფკავშირული და გლეხთა ორგანიზაციების შესაქმნელად.

1919 წლის ნოემბერში რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ინიციატივით ბერლინში მოწვეულ იქნა კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც შეიქმნა ახალგაზრდობის კომუნისტუ-

[1] Коммунистический Интернационал в документах, зз. 301.

რი ინტერნაციონალი, სადაც II მსოფლიო ომის წინ გაერთიანებული იყო 40 მილიონამდე ახალგაზრდა.

1921 წელს მოსკოვში მოწვეულ რევოლუციური პროფკავშირების საერთაშორისო კონფერენციაზე, შეიქმნა პროფკავშირთა საერთაშორისო რევოლუციური ცენტრი. პროფკავშირული ინტერნაციონალი ოავის რიგებში აერთიანებდა 17 მილიონ მუშას. 1923 წელს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში მოწვეულ გლეხთა საერთაშორისო კონფერენციაზე შეიქმნა გლეხთა წითელი ინტერნაციონალი.

1921 წელს მოსკოვში კომინტერნის ინიციატივით მოწვეულ იქნა 10 ქვეყნის კომუნისტური კოოპერატივების საერთაშორისო თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საერთაშორისო კოოპერაციული ბიუროს შექმნის შესახებ. გარდა ამისა, 1924 წლის ივნისში შეიქმნა რევოლუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 1932 წელს თავის რიგებში 13 მლნ. კაცს აერთიანებდა.

ყველა ეს ორგანიზაცია მესამე კომინტერნის შემადგენლობაში შედიოდა. კომინტერნის კონგრესები და პლენუმები დიდ ყურადღებას უთმობდნენ და ხელმძღვანელობდნენ მათ მუშაობას. ყველა ამ ჩამოთვლილი ორგანიზაციის თავისებურებების მიუხედავად, მათი საერთო ამოცანა იყო მუშათა კლასის, როგორც ეკონომიური, ასევე პოლიტიკური უფლებების დაცვა.

საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციები კომინტერნთან მჭიდრო კავშირში აწარმოებდნენ აქტიურ ბრძოლას ომის გამჩაღებლების, ფაშიზმისა და ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ. აწყობდნენ ომის საწინააღმდეგო ყოველკვირეულ კონგრესებს და ა. შ.

§ 23. კომინტერნი 1924 — 1948 წწ.

კომინტერნის V კონგრესი

კომინტერნის V კონგრესი შედგა 1924 წლის ივნის-ივლისში. ეს კონგრესი ისტორიაში შევიდა, როგორც ბოლშევიზაციის კონგრესი, ვინაიდან მან ხელი შეუწყო მოძმე კომპარტიების გადაქცევას ნამდვილ მარქსისტულ-ლენინურ პარტიებად.

კონგრესმა შეაჯამა 1923 წლის რევოლუციური ბრძოლები და მათი დამარცხების მიზეზები გერმანიაში, ბულგარეთში და პოლონეთში და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ქვეყნების მუშათა კლასის დამარცხების მთავარი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იყო ამ ქვეყნების კომპარტიების ხელმძღვანელთა შეცდომები. V კონგრესის მითითებით მოძმე კომპარტიებმა შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღეს თავისი პარტიის ბოლშევიზაციისათვის და პარტიის რიგების სიწმინდისათვის. გერმანიის კომპარტიის რიგებიდან განდევნილ იქნენ რენეგატები რუტ ფიშერი და მასლოვი, რომელთა რეფორმისტული პოზიციის გამო გერმანიის მუშებმა მარცხი განიცადეს 1923 წლის რევოლუციური ბრძოლებისას, პარტიას სათავეში ჩაუდგა ჰამბურგის მუშათა გმირული აჯანყების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ერნსტ ტელმანი, საფრანგეთის კომპარტიის სათავეში კი მოექცნენ ბრძოლაში გამოწრთობილი მუშათა კლასის გმირული ხელმძღვანელები მ. ტორეზი და ჟაკ დიუკლო.

V და VI კონგრესებს შორის პერიოდში მოხდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამბები საერთაშორისო არენაზე.

დაიწყო კაპიტალიზმის ნაწილობრივი, დროებითი სტაბილიზაცია, რომელიც

გრძელდებოდა 1929 წლამდე. მაგრამ ე. წ. სტაბილიზაციაც ხასიათდებოდა საერთაშორისო ხასიათის მწვავე კლასობრივი ბრძოლებით, რომელთა შორის აღსანიშნავია ინგლისის მუშების საყოველთაო გაფიცვა 1926 წელს, პირველი სამოქალაქო რევოლუციური ომი ჩინეთში, მაროკოს, სირიის, ინდოეთის და ინდონეზიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები და ა. შ.

საბჭოთა კავშირმა გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია, სადაც სახალხო მეურნეობის აღდგენის შემდეგ დაიწყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. V და VI კონგრესებს შორის პერიოდში მოწვეულ იქნა კომინტერნის V, VI, VII, VIII და IX პლენუმები, აქედან V, VI და VII პლენუმებზე განხილულ იქნა ტროცკიზმის, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მტრული მიმდინარეობის საკითხი მუშათა საერთაშორისო მოძრაობაში.

VIII და IX პლენუმებზე განხილულ იქნა ჩინეთის რევოლუციის საკითხი, შემუშავებული იქნა ჩინეთის რევოლუციის შემდგომი გაღრმავების ღონისძიებანი და მიღებული იქნა მოწოდება ყველა კომპარტიებსა და მუშათა კლასისადმი, რათა ყოველმხრივ გაეწიათ დახმარება და მხარი დაეჭირათ ჩინელი ხალხის ბრძოლისათვის.

კომინტერნის VI კონგრესი

კომინტერნის VI კონგრესის მუშაობა მიმდინარეობდა 1928 წლის ივლისაგვისტოში, რომელსაც ესწრებოდა 57 ქვეყნის 500-ზე მეტი დელეგატი.

კონგრესმა, შეაფასა რა საერთაშორისო მდგომარეობა, კომუნისტური პარტიების წინაშე დასახა უახლოესი ამოცანები. მან მიუთითა, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაციას ძირი ეთხრება და ახლოდება კლასთა ბრძოლის გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებში.

კონგრესმა მოიწონა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის ტაქტიკა „კლასის კლასის წინააღმდეგ", რაც ნიშნავდა მუშათა ინტერესების გამყიდველების — სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, მუშათა კლასის და მათ შორის სოციალ-დემოკრატი მუშებისათვის დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის კურსის გატარებასა და ეკონომიური ბრძოლის პოლიტიკურ ბრძოლად გადაქცევას.

VI კონგრესმა მიიღო კომინტერნის პროგრამა, რომელშიც ასახული იყო მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მრავალწლიანი გამოცდილება. იგი განმარტავდა ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალისტური წყობილების დამყარების აუცილებლობის საქმეში.

პროგრამა დაწვრილებით ეხებოდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ეტაპებს და იძლეოდა კომინტერნის სტრატეგიას და ტაქტიკას. პროგრამაში აღნიშნულია, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის საბოლოო ამოცანაა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კომუნისტური სისტემით შეცვლა.

პროგრამა კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გამყიდველურ პოლიტიკას, მაგრამ მოითხოვდა მის რიგით წევრებთან, სოციალ-დემოკრატ მუშებთან, ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობას რეაქციული ძალების წინააღმდეგ.

VI კონგრესმა შეაჯამა კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და სასტიკად დაგმო ზოგიერთი დელეგატის „დეკოლონიზაციის" თეორია, რომლითაც იმპერიალიზმს აწერ-

ღნენ პროგრესულ როლს კოლონიებში. კონგრესმა მიუთითა, რომ „დეკოლონიზაციის“ თეორია არის II ინტერნაციონალის თეორია, რომელიც ამართლებს იმპერიალიზმის დამპყრობლურ გეგმებს. VI კონგრესი მიუთითებდა, რომ კოლონიური ქვეყნებისადმი იმპერიალიზმი პარაზიტის როლს ასრულებს, სისხლსა სწოვს მის სამეურნეო ორგანიზმს.

VI კონგრესმა [illegible] ნეგენი პარტიის გადამწყვეტი ღონისძიებანი ტროცკისტების წინააღმდეგ. ამავე დროს, კონგრესმა წამოაყენა მემარჯვენე საშიშროებასთან ბრძოლის ლოზუნგი. მემარჯვენეები უარყოფდნენ კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის, რევოლუციური აღმავლობის დასაწყისს. ბუხარინი იცავდა ანტილენინურ თეორიას „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ შესახებ. იგი გამოდიოდა რა კომინტერნის ტაქტიკის წინააღმდეგ, თვლიდა, რომ მუშათა კლასი ჯერ კიდევ თავდაცვითი ბრძოლის პოზიციებზეა და წინააღმდეგი იყო სოციალ-დემოკრატებთან ბრძოლის გაძლიერებისა, ერთიანი ფრონტის ტაქტიკისა და ა. შ.

კომინტერნი VI და VII კონგრესებს შორის პერიოდში

VI კონგრესის სწორი ანალიზი კაპიტალიზმის სტაბილიზაციის შერყევისა. მოახლოებული კრიზისისა და კლასთა ბრძოლის გამწვავების შესახებ გამართლდა.

1929 წელს კაპიტალისტური სისტემის ციტადელში, აშშ-ში, დაიწყო ეკონომიური კრიზისი, რომელიც თანდათანობით გავრცელდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებზე და გადაიქცა მსოფლიო ეკონომიურ კრიზისად.

1929—1933 წლების ეკონომიური კრიზისი იყო ყველაზე უფრო ღრმა და მწვავე კრიზისი, რომელიც კი ახსოვს კაპიტალიზმის ისტორიას. კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო წარმოება კრიზისის დროს დაეცა 36 %, უმუშევართა რიცხვმა მიაღწია 30 მილიონ კაცამდე. კრიზისი ღრმად შეეხო ფინანსებს, საშინაო და საგარეო ვაჭრობას და გადაიზარდა აგრარულ კრიზისში.

ამავე დროს საბჭოთა სახელმწიფომ არნახულ გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია ქვეყნის განვითარებაში. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და პირველი ხუთწლედის წარმატებით განხორციელების შედეგად სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1928 წელთან შედარებით 1932 წელს ორჯერ მეტად გაიზარდა.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დროს გამწვავდა კაპიტალიზმის საშინაო და საგარეო წინააღმდეგობანი.

ეკონომიური კრიზისით გამოწვეულმა მასობრივმა უმუშევრობამ, კრიზისის მთელი სიმძიმის მშრომელთა მასებზე დაკისრებამ, ხელფასების შემცირებამ და სამუშაო დღის გაზრდამ, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ზრდამ, სოციალური დახმარების მკვეთრმა შემცირებამ და ა. შ., გამოიწვია მშრომელთა მასების ისედაც მძიმე მდგომარეობის შემდგომი გაუარესება. მშრომელმა მასამ ბურჟუაზიის შეტევას ძლიერი კონტრშეტევით უპასუხა. დაიწყო მუშათა კლასის მასობრივი გაფიცვები, გამოსვლები, შეტაკებები, მიტინგები, დემონსტრაციები.

მთელი რიგი ქვეყნების ბურჟუაზიულმა წრეებმა, დაშინებულებმა ახალი რევოლუციური აღმავლობით, უარი თქვეს თავისი ქვეყნის მართვაზე პარლამენტური და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მეთოდებით და იწყეს ფაშის-

ტური მართვის მეთოდების დანერგვა. 1933 წელს ფაშისტური დიქტატურა დამყარდა გერმანიაში და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. საფრანგეთში 1934 წლის თებერვალში მოხდა ფრანგი ფაშისტების ამბოხება და ა. შ. გაძლიერდა ომის საშიშროება, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ასევე თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. 1931 წელს იაპონიის მილიტარისტებმა გააჩაღეს აგრესია ჩრდილოეთ ჩინეთში.

საშინაო და საგარეო ურთიერთობის გამწვავებამ კაპიტალისტურ სამყაროში კომინტერნის წინაშე დააყენა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები.

კომინტერნის XI პლენუმმა, რომელიც მოწვეულ იქნა 1931 წლის მარტში, განიხილა შემდეგი საკითხები: კომინტერნის სექციების ამოცანები ეკონომიური კრიზისის გამწვავების პირობებში და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის საშიშროება.

პლენუმმა მიუთითა კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებას და კომპარტიების წინაშე მთავარ ამოცანად დასახა მუშათა კლასის უმრავლესობისათვის ბრძოლა. პლენუმმა აღნიშნა, რომ ერთიანი ფრონტის ტაქტიკას მომძე კომპარტიები არასაკმარისად ახორციელებდნენ, რის გამოც კომპარტიების ზრდა ჩამორჩებოდა მასების რევოლუციური აქტივობის ზრდას.

პლენუმმა აღნიშნა ანტისაბჭოთა ინტერვენციის საშიშროების ზრდა და კომინტერნის სექციებს მოუწოდა მსოფლიო პროლეტარიატს ორგანიზებული ბრძოლა გაეჩაღებინა საბჭოთა კავშირის დასაცავად.

1932 წლის სექტემბერში შემდგარმა კომინტერნის XIII პლენუმმა მიუთითა მომძე კომპარტიებს, რომ არასაკმარისად ახორციელებდნენ მუშათა ერთიანი ფრონტის ტაქტიკას ქვემოდან და დაავალა მუშაობა გაეძლიერებინათ რეფორმისტულ პროფკავშირებში და მშრომელთა სხვა მასობრივ ორგანიზაციებში.

კომინტერნის მოწოდებით ყველა ქვეყანაში მოეწყო მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები გ. დიმიტროვის დასაცავად, რომლის გამოც ჰიტლერელები იძულებული გახდნენ გაეთავისუფლებინათ იგი. გ. დიმიტროვი 1934 წელს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, ხოლო 1935 წლიდან იგი გახდა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივანი.

ფაშიზმისა და ომის საშიშროება სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. ეს კომინტერნის წინაშე ახალ და ახალ ამოცანებს აყენებდა.

კომინტერნის VII კონგრესი

1935 წლის ივლის-აგვისტოში მოწვეულ იქნა კომინტერნის VII კონგრესი. კონგრესის ძირითადი საკითხი იყო ფაშიზმისა და ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა გ. დიმიტროვი. მან აღნიშნა, რომ ჰიტლერელთა ფაშისტური დიქტატურის დამყარება გერმანიაში შესაძლებელი გახდა, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გამცემლური პოლიტიკის შედეგად მუშათა კლასი გათიშული აღმოჩნდა. მათ ჩაშალეს კომუნისტების ბრძოლა მუშათა ერთიანი ანტიფაშისტური გამოსვლებისათვის. დიმიტროვმა აღნიშნა, რომ ფაშიზმის მის-

წრაფების შეჩერება ხელისუფლებისაკენ შესაძლებელია მუშათა ერთიანი ფრონტის და სახალხო ფრონტის შექმნით.

კონგრესმა დიმიტროვის და სხვათა მოხსენებების საფუძველზე შეიმუშავა ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა, უპირველეს ყოვლისა, მუშათა ერთიანი ფრონტისა და სახალხო ფრონტის შექმნას.

კონგრესმა აღნიშნა, რომ სახალხო ფრონტში გაერთიანდებიან ყველა ისინი, მათ შორის ის ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგი არიან. სახალხო ფრონტის შექმნას შეიძლება მოყვეს სახალხო ფრონტის მთავრობის შექმნა, რომელიც მუშათა კლასის მთავრობა კი არა, ანტიფაშისტური და ომის საწინააღმდეგო მთავრობა იქნება.

კონგრესმა განაცხადა ომის თავიდან აცილების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში თუ ომის ძალებს დაუპირისპირდება მშვიდობის მთელი ძალები. კონგრესმა მოუწოდა კომპარტიებს, რათა მთელი ძალებით ებრძოლათ ომის გაჩაღებელთა წინააღმდეგ. ამავე დროს, კონგრესმა აღნიშნა, რომ, თუ ომი მაინც გარდუვალი გახდა, იგი კომუნისტებმა უნდა გამოიყენონ კაპიტალიზმის დაშხბისათვის.

კონგრესის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა მასების დასარაზმავად ფაშიზმისა და ომის საშიშროების წინააღმდეგ.

კოლონიური საკითხის განხილვისას კონგრესმა მიუთითა კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების კომპარტიებს, რათა მათ ებრძოლათ ქვეყნის ყველა პატრიოტული ძალების გაერთიანებისათვის და ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნისათვის.

1935 წლის ოქტომბერში კომინტერნის აღმასკომმა სოციალისტურ ინტერნაციონალს წინადადებით მიმართა, რათა ერთიანი მოქმედების ფრონტი დაემყარებინა აგრესიისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მაგრამ სოციალისტურმა ინტერნაციონალმა, მიუხედავად კომინტერნის არაერთი მიმართვისა, ეს წინადადება არ მიიღო.

მუშათა და ერთიანი სახალხო ფრონტისათვის ბრძოლა თავიანთ ქვეყნებში ყველა მოძმე კომპარტიამ გააჩაღა და ბევრმა მათგანმა ამ მხრივ წარმატებასაც მიაღწია — ესპანეთში, საფრანგეთში, ხოლო ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნაში კი წარმატებას მიაღწიეს ჩინეთის კომუნისტებმა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს წარმატებები მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გამყიდველური მოქმედების შედეგად მალე ჩაიშალა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კომინტერნის მოღვაწეობა ძალზედ გაძნელდა, გართულდა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის კავშირი თავის სექციებთან, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ კომინტერნმა შეასრულა თავისი მისია, — მან იდეურად და ორგანიზაციულად გამოაწრთო ბრძოლაში მოძმე მარქსისტულ-ლენინური კომპარტიები, აღზარდა მარქსიზმის თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით შეიარაღებული ხელმძღვანელები, რომელთაც თავისუფლად შეეძლოთ დამოუკიდებელი და სწორი ხელმძღვანელობის გაწევა თავისი ქვეყნის მუშათა კლასისა და ხალხისათვის. ამავე დროს, ომის პერიოდში შექმნილ რთულ ვითარებაში ცალკეული ქვეყნების კომპარტიების წინაშე სხვადასხვა ხასიათის ამოცანები იდგა, რის გამოც

კომინტერნის საერთო გადაწყვეტილებანი არ იქნებოდა ერთნაირად მისაღები ყველა მომმე პარტიისათვის.

ცალკეული ქვეყნების კომპარტიებისაგან ბევრი საკითხი სწრაფ და დამოუკიდებელ გადაწყვეტას მოითხოვდა. ამიტომ კომპარტიების ხელმძღვანელობა ცენტრიდან არა თუ აუცილებელი, არამედ მიზანშეწონილიც არ იყო. ამის გამო, 1943 წლის ივნისში კომინტერნმა თავისი თავი დათხოვნილად გამოაცხადა.

მეორე მსოფლიო ომი (1939—1945 წწ.).

§ 24. მეორე მსოფლიო ომის დაწყებითი ეტაპი (1939—1941 წწ). მეორე მსოფლიო ომის მიზეზები და ხასიათი

მეორე მსოფლიო ომი წარმოიშვა კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარებისა და იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავების შედეგად; პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა ინგლისმა, საფრანგეთმა და აშშ ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის შექმნის შედეგად მსოფლიო თავისი ინტერესების შესაბამისად დაანაწილეს და მიღწეული პოზიციების შენარჩუნებასა და გაფართოებას ცდილობდნენ. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მეორე დაჯგუფება — გერმანია, იტალია და იაპონია, რომელნიც თავის თავს ნედლეულის წყაროებითა და გასასაღებელი ბაზრებით ნაკლებად უზრუნველყოფილად თვლიდნენ, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების მიღწევას თავისი ინტერესების შესაბამისად ომების გზით ცდილობდნენ. მოხდა წონასწორობის დარღვევა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის შიგნით, რომლის შედეგად კაპიტალისტური ქვეყნები ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკად გაითიშა. ამრიგად, ომის მიზეზები თვით კაპიტალისტური წყობილების სტრუქტურაშია მოცემული და მის განუყრელ თანამგზავრს წარმოადგენს. პირველი მსოფლიო ომისწინა პერიოდისაგან განსხვავებით, მეორე მსოფლიო ომისწინა პერიოდში, როდესაც მსოფლიო არენაზე არსებობდა საბჭოთა კავშირი, კაპიტალისტური ქვეყნების ერთი ჯგუფი — ინგლისი, საფრანგეთი და აშშ, წინააღმდეგობის გადაწყვეტას გერმანიასთან, იტალიასთან და იაპონიასთან სსრ კავშირის ხარჯზე ცდილობდნენ. ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოები კი გეგმავდნენ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ძველი კაპიტალისტური ქვეყნების ტერიტორიის ხელთ ჩაგდებასაც.

ინგლისის, საფრანგეთის და აშშ-ის მმართველი წრეების მისწრაფებებმა. წარემართათ ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების აგრესია სსრ კავშირის წინააღმდეგ, ფაშისტ აგრესორებს მსოფლიო ომის გაჩაღების საშუალება მისცა. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები მოსტყუვდნენ ანგარიშში. ფაშისტური გერმანია მიზნად ისახავდა, არა მარტო სსრ კავშირის ტერიტორიის ხელთ ჩაგდებას, არამედ აფრიკის, აზიის და თვით ამერიკის კონტინენტებზე გაბატონებას და თავისი ჰეგემონიის დამყარებას მთელ მსოფლიოში. დიდი დამპყრობელური გეგმები ჰქონდათ ფაშისტურ იტალიას და იმპერიალისტურ იაპონიას. იაპონია მიზნად ისახავდა წყნარი ოკეანის აუზში აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში გაბატონებას. მას სურდა ჩინეთის და წყნარი ოკეანის კუნძულების, ინდოეთის და ბირმის, ინდოჩინეთისა და ინდონეზიის, საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთის და ციმბირის და სხვა მრავალი ტერიტორიის დაპყრობა. იტალიის ფაშისტების დამპყრობელურ გეგმებში შედი-

ოდა ინგლის-საფრანგეთის კოლონიების — ეგვიპტის სუდანის, მაროკოს, ტუ-ნისის, ალჟირის და სხვათა მიტაცება.

მართალია, მეორე მსოფლიო ომის ხანძარი ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების მიერ იქნა გაჩაღებული, მაგრამ მის გაჩაღებაში ცოტად თუ ბევრად დამნაშავენი არიან მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები, რომელნიც ამ ომს დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდნენ. საერთაშორისო იმპერიალიზმი ოცნებობდა სსრ კავშირისა და მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების განადგურებაზე, კომუნისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაზე, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოების ყოველგვარი ცდა, თავიდან აეცილებინათ გერმანიის დარტყმა და იგი სსრ კავშირის წინააღმდეგ მიემართათ, კრახით დამთავრდა.

გერმანიამ დასავლეთის სახელმწიფოების და, უპირველეს ყოვლისა, აშშ და ინგლისის მონოპოლისტების დახმარებით სწრაფად აღადგინა თავისი სამ-ხედრო ეკონომიური პოტენციალი. მან თავისი აგრესია, არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგაც მიმართა, რამაც ისინი აიძულა ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების წინააღმდეგ გამოსულიყვნენ.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომი, არა სსრ კავშირზე თავდასხმით, არამედ თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის დაიწყო. მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, როგორც იმპერიალისტური ომი, ინგლისი და საფრანგეთი შემდეგ კი აშშ ომში თავისი იმპერიალისტური მიზნების განხორციელებისათვის ჩაებნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფაშისტურმა გერმანიამ საფრანგეთის ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა და ჰიტლერელების ინგლისში შეჭრის საშიშროება შეიქმნა, ომმა ამ სახელმწიფოების მხრივ თანდათანობით დაკარგა იმპერიალისტური ხასიათი და სამართლიანი და გამათავისუფლებელი ხასიათი მიიღო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისისა და აშშ მმართველი წრეები არ კარგავდნენ იმედს, რომ ამ ომს თავისი იმპერიალისტური მიზნების განხორციელებისათვის, მსოფლიო ჰეგემონიის დამყარებისთვისაც გამოიყენებდნენ. სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულად თავდასხმისა და ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების აგრესიის გაფართოების შემდეგ მეორე მსოფლიო ომმა საბოლოოდ მიიღო ანტიფაშისტური, განმათავისუფლებელი და სამართლიანი ხასიათი.

სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ანტიჰიტლერული კოალიცია. ომის ხასიათს არ ცვლიდა ის გარემოება, რომ სსრ კავშირთან ერთად ანტიჰიტლერულ კოალიციაში გაერთიანდნენ კაპიტალისტური ქვეყნები — აშშ და ინგლისი, ვინაიდან ფაშისტური სახელმწიფოები თავისი აგრესიით და დამპყრობლური გეგმებით ემუქრებოდნენ როგორც სსრ კავშირის, ასევე ინგლისის და აშშ უშიშროების საქმეს, ამიტომ ანტიჰიტლერული კოალიცია აღნიშნული სახელმწიფოების ხალხთა ანტიფაშისტური კოალიცია იყო, რომელიც დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის იბრძოდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყება და ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთის სახელმწიფოს განადგურება

ფაშისტურმა გერმანიამ მეორე მსოფლიო ომის ხანძარი პოლონეთზე თავდასხმით გააჩაღა. 1939 წლის 1 სექტემბერს იგი მოულოდნელად თავს დაესხა პოლონეთს წინასწარ შედგენილი ე. წ. „თეთრი გეგმით". ჰიტლერელებმა ომის საბაბი რომ მიეღოთ, გერმანია-პოლონეთის საზღვარზე პროვოკაცია მოაწყვეს, რომლის ორგანიზატორი იყო ამ საქმის ოსტატი ჰიმლერი. 31 აგვისტოს პოლონეთის სამხედრო ტანსაცმელში გადაცმული ესესელები თავს დაესხნენ პოლონეთის სასაზღვრო ქალაქს გლაივიცს, ხელთ ჩაიგდეს რადიოსადგური და გადასცეს წინასწარ გამზადებული მიმართვა პოლონეთისადმი, რომელშიც ისინი მოუწოდებდნენ, რათა დაუყოვნებლივ დაეწყოთ ომი გერმანიის წინააღმდეგ. კვალის წაშლის მიზნით ჰიმლერმა პროვოკაციაში მონაწილენი დაახვრეტინა. გერმანიამ პოლონეთის წინააღმდეგ გამოიყვანა ჭარბი ძალები, როგორც ცოცხალი ძალით, ასევე ტექნიკით. მოქმედებდა რა ე. წ. „თეთრი გეგმით" ფაშისტურმა გერმანიამ პოლონეთის წინააღმდეგ გამოიყვანა 53 ქვეითი, 6 სატანკო, 5 მოტორიზებული დივიზიები და 2 ათასი თვითმფრინავი. პოლონეთის მთავრობამ გერმანელებს დაუპირისპირა 42 ქვეითი და 1 მოტორიზებული დივიზია და 900 თვითმფრინავი, გერმანელებმა მთავარი დარტყმის მიმართულებით დიდი უპირატესობა შექმნეს. მათი ქვეითი ჯარი სამჯერ სჭარბობდა პოლონეთისას, ტანკები — რვაჯერ, თვითმფრინავები კი — ათჯერ.

ფაშისტური გერმანიის თავდასხმამ პოლონეთზე ევროპის ხალხის დიდი აღშფოთება გამოიწვია. 1939 წლის 2 სექტემბერს ინგლის-საფრანგეთის მთავრობებმა, რომელთაც პოლონეთთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული, გერმანიას მოსთხოვეს, რომ დაუყოვნებლივ შეეჩერებინა სამხედრო მოქმედება და თავისი ჯარები იქიდან გამოეყვანა. იმის გამო, რომ გერმანიამ უპასუხოდ დატოვა მათი მოთხოვნა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა 3 სექტემბერს ომი გამოუცხადეს გერმანიას, თუმცა პოლონეთისათვის მათ არავითარი რეალური დახმარება არ გაუწევიათ, ეს მაშინ, როდესაც პოლონეთზე თავდასხმის შემდეგ გერმანიას დასავლეთის საზღვარზე ჰყავდა სულ 31 დივიზია; აქედან მხოლოდ 11 დივიზია იყო კადრისა, საფრანგეთმა და ინგლისმა კი სექტემბრის დასაწყისში გერმანიის საზღვარზე თავი მოუყარეს 76 დივიზიას, 16,4 ათას ზარბაზანს, 3 ათასამდე ტანკს, ათას თვითმფრინავს და ახდენდნენ ახალი ძალების კონცენტრაციას. გერმანიას დასავლეთის საზღვრებზე არ ჰყავდა ერეცერთი ტანკი, ვინაიდან მთელი სატანკო დივიზიები პოლონეთში იყო გადასროლილი.

ნიურნბერგის პროცესზე ჰიტლერელთა გენერალური შტაბის უფროსმა ჰალდერმა აღიარა, რომ ინგლის-საფრანგეთის ჯარების დასავლეთიდან შეტევის შემთხვევაში გერმანია ორ ფრონტს შორის აღმოჩნდებოდა შევიწროვებული და მისი დამარცხება გარდუვალი იყო, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები გერმანიასთან ძველებურად ომს კი არა, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ გარიგებას ეძებდნენ. ამიტომ იყო, რომ ჰიტლერმა, როდესაც ინგლის-საფრანგეთის მთავრობების მიერ ომის გამოცხადება შეიტყო, განაცხადა: „ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი იომებენ"!

გერმანელთა ავიაციამ პოლონეთზე თავდასხმისთანავე ბარბაროსულად დაბომბა ამ ქვეყნის ყველა სამრეწველო და რკინიგზის საკვანძო ცენტრები და ჰაეროდრომები, რის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა სამხედრო მნიშვნელობის ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზა და ავიაციის დიდი ნაწილი. გერმანელთა „მეხუთე კოლონამ" კი ფართო ტერორი გააჩაღა ზურგში. ასეთ ვითარებაში გაძნელდა პოლონეთის ჯარების ორგანიზებული მოქმედება. მიუხედავად ამისა, პოლონელი ჯარისკაცები გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ რიცხობრივად და ტექნიკურად ჭარბ მტრის ჯარებს. პოლონელმა პატრიოტებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, გდანსკთან და ვარშავასთან. გერმანელთა სატანკო დივიზიების რამდენიმე შეტევა ვარშავასთან წარმატებით იქნა მოგერიებული.

დედაქალაქის წინააღმდეგ ჰიტლერელებმა თავი მოუყარეს ქვეითი, სატანკო და საავიაციო ნაწილების დიდ ძალებს. ალყაში მოაქციეს იგი, აწყობდნენ მასირებულ საჰაერო თავდასხმებს და ცდილობდნენ ქალაქის დამცველების წინააღმდეგობის გატეხვას. დედაქალაქის დასაცავად მთელი მოსახლეობა და უპირატესად მუშათა კლასი აღსდგა, პოლონეთის სარდლობასთან მიღწეული შეთანხმებებით ჰიტლერელებმა მაინც შეძლეს ვარშავის ხელში ჩაგდება.

პოლონელი ხალხის თავგანწირული ბრძოლა ფაშისტური გერმანიის ჯარების წინააღმდეგ მოკლებული იყო ორგანიზებულობასა და ხელმძღვანელობას. ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთის მთავრობა მშრომელთა მასების ამ პატრიოტულ ბრძოლას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ვერ ჩაუდგებოდა სათავეში. მან ბედის ანაბარად მიატოვა თავისი ქვეყანა და საზღვარგარეთ გაიქცა[1]. სექტემბრის მეორე ნახევარში პოლონეთის ჯარების ორგანიზებული წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. ბრძოლა ცალკეულ რაიონებში გრძელდებოდა საერთო ხელმძღვანელობის გარეშე და იზოლირებულად. 1940 წლის გაზაფხულზე გერმანიამ მთლიანად დაამთავრა პოლონეთის რეგულარული არმიის განადგურება.

პოლონეთის ომში სწრაფად დამარცხების მთავარი მიზეზი იყო იმ რეჟიმის რეაქციული ხასიათი, რომელიც აქ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში არსებობდა და რომლის უღლის ქვეშ გმინავდნენ არა მარტო პოლონეთის მშრომელი მასები, არამედ დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ხალხებიც. ომში დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი იყო აგრეთვე სამხედრო ჩამორჩენილობა და ომისათვის მოუმზადებლობა. ომმა აშკარად ცხადყო ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთის მთელი სიდამპლე. პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ ჰიტლერმა გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ქვეყნის დასავლეთ და ცენტრალური რაიონების ტერიტორიის 50% გერმანიას შეუერთა, ხოლო დანარჩენი ნაწილი საგენერალ-გუბერნატოროდ გამოაცხადა. მისი დედაქალაქი კრაკოვი გახდა, სადაც ჰიტლერის ნაცვალი, პოლონელი ხალხის ჯალათი, გენერალი ჰანს ფრანკი იჯდა. რაიხის შემადგენლობაში შესული ტერიტორიიდან ჰიტლერელებმა დაახლოებით 9 მლნ. პოლონელი გაასახლეს, აქედან 1 მილიონზე მეტი იძულებით სამუშაოებზე გარეკეს გერმანიაში. საგენერალ-გუბერნატოროს რაიონებში ტერორისტული რეჟიმი დამყარდა. ყველა უმაღლესი და საშუალო სასწავლებელი დახურულ იქნა, დარჩა მხოლოდ ოთხკლასიანი დაწყებითი სკოლები. პოლონეთის ეროვნული მუზეუმები,

[1] პოლონეთის მთავრობა გაიქცა ჯერ რუმინეთში, შემდეგ საფრანგეთში, ამ უკანასკნელის კაპიტულაციის შემდეგ ,,ინგლისში.

ბიბლიოთეკები და კვლევითი ინსტიტუტები გაძარცულ იქნა და ეროვნული კულტურის მთელი სიმდიდრე გერმანიაში იქნა გაზიდული. გერმანიაში გაჰქონდათ ყველაფერი, რის გატანაც შეიძლებოდა. 294 მსხვილი და 85 ათასზე მეტი საშუალო და წვრილი სამრეწველო საწარმო ხელთ ჩაიგდეს გერმანიის მონოპოლიებმა.

ჰიტლერელები მიზნად ისახავდნენ პოლონეთის მოსახლეობის ამოწყვეტას და „დაცარიელებულ სივრცეზე" გერმანელების დასახლებას. მოსახლეობის მასობრივი განადგურებისათვის პოლონეთში 164 საკონცენტრაციო ბანაკი შეიქმნა, რომელთა შორის ყველაზე დიდი ოსვენციმი იყო. საყურადღებოა, რომ აქ მოთავსებულ 405 ათასი პატიმრიდან, მხოლოდ 60 ათასი გადარჩა სიკვდილს. აღვირახსნილი ტერორის მსხვერპლნი ძირითადად პოლონელი ებრაელები გახდნენ.

ოკუპაციის პერიოდში ჰიტლერელებმა 6 მლნ. პოლონელი მოქალაქე მოკლეს. 1940—1941 წწ. მათ შეიმუშავეს „გენერალური გეგმა", „ოსტ", რომელიც მიზნად ისახავდა ომის დამთავრების შემდეგ გადარჩენილი პოლონელებიდან 20 მლნ. კაცის დასავლეთ ციმბირში გადასახლებას. ასეთი იყო ჰიტლერული გერმანიის გეგმები პოლონელი ხალხის მიმართ.

ჰიტლერული გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების შემდეგ აშშ მთავრობამ განაცხადა, რომ ნეიტრალიტეტს დაიცავდა. ამერიკის მონოპოლისტები იმედოვნებდნენ, რომ ამ ომში ორივე მეომარი დაჯგუფება დასუსტდებოდა, მათი მოგებები გაიზრდებოდა და ამერიკის იმპერიალიზმისათვის სანუკვარი მსოფლიო ჰეგემონია დამყარდებოდა.

გამოუცხადეს რა ომი გერმანიას, ინგლის-საფრანგეთის მთავრობები სრულიადაც არ ფიქრობდნენ სერიოზულად საომარი მოქმედების წარმოებას. ისინი იმედს არ კარგავდნენ, რომ პოლონეთის ხელში ჩაგდების შემდეგ ფაშისტური გერმანია თავის დარტყმას სსრ კავშირის წინააღმდეგ წარმართავდა.

სსრ კავშირის ბრძოლა ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვის განმტკიცებისათვის

საბჭოთა მთავრობამ ფაშისტური გერმანიის პოლონეთზე თავდასხმისა და მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ თავისი საზღვრების განმტკიცებისათვის მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა. გერმანიის პოლონეთში შეჭრამ საშიშროება შეუქმნა სსრ კავშირის საზღვრებს. ფაშისტური უღლის ქვეშ მოქცევის საშიშროება ემუქრებოდა დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიას, რომელნიც სამოქალაქო ომის მძიმე პერიოდში უკანონოდ იქნა მიტაცებული პოლონეთის მიერ. 1939 წლის 17 სექტემბერს, საბჭოთა მთავრობის ბრძანებით, წითელი არმიის ნაწილები გამათავისუფლებელი მისიით შეავიდნენ დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიებზე, აქ სახალხო არჩევნები ჩატარდა და სახალხო კრებებზე გადაწყდა საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში გაერთიანება. 1939 წლის 1—2 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დააკმაყოფილა დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ხალხის თხოვნა და ისინი სსრ კავშირის შემადგენლობაში მიიღო. დასავლეთ უკრაინა უკრაინის სსრ, ხოლო დასავლეთ ბელორუსია ბელორუსიის სსრ შემადგენლობაში გაერთიანდნენ.

სსრ კავშირის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების უშიშროებისა და ბალტიისპირა სახელმწიფოების გერმანიის აგრესიისაგან დაცვის მიზნით, საბჭოთა მთავრობის წინადადებით 1939 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სსრ კავშირსა, ერთი მხრივ, და ლიტვასა, ლატვიასა და ესტონეთს შორის, მეორე მხრივ, ხელმოწერილ იქნა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიაზე ჩვენი ჯარების განლაგებას ითვალისწინებდა. ლიტვასთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა აგრეთვე ლიტვის უძველესი დედაქალაქის ვილნიუსის და ვილნიუსის ოლქის ლიტვისათვის გადაცემას, რომელიც პოლონეთმა 1920 წელს მიიტაცა და საბჭოთა ჯარებმა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიებთან ერთად გაათავისუფლა. მაგრამ ბალტიისპირა სახელმწიფოების ბურჟუაზიული მთავრობები ურთიერთდახმარების პაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გზას დაადგნენ, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება გამოწვია. დემოკრატიული ძალების ზრდის შედეგად ბალტიისპირა სახელმწიფოებში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1940 წლის აგვისტოში ლიტვა, ლატვია და ესტონეთი სსრ კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შევიდნენ. ბალტიისპირა ქვეყნების ხალხების ამ ბრძნული ნაბიჯის შედეგად ფაშისტური უღლის ქვეშ მოქცევის საშიშროება 1940 წლისათვის თავიდან იქნა აცილებული, ამავე დროს განმტკიცდა სსრ კავშირის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრები.

დასავლეთის სახელმწიფოები და მათ შორის გერმანია ცდილობდნენ ფინეთის გადაქცევას ანტისაბჭოთა პლაცდარმად, რაც განსაკუთრებით ლენინგრადისა და აგრეთვე მურმანსკის რკინიგზას დიდ საშიშროებას უქმნიდა. 1939 წლის 12 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა ფინეთის მთავრობას, რათა ორივე მხარეს ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულება დაედო ტერიტორიების გაცვლის შესახებ. საყურადღებოა, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვრები ლენინგრადიდან 32 კმ-ით იყო დაშორებული. საბჭოთა წინადადება მეტად ხელსაყრელი იყო ფინეთისათვის. საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა ფინეთისაგან, რათა მას რამდენიმე კილომეტრით გადაეწია საზღვარი ლენინგრადიდან, სამაგიეროდ იგი ორჯერ მეტ ტერიტორიას სთავაზობდა კარელიაში. ფინეთის რეაქციონერები წავიდნენ სასაზღვრო და ომის პროვოკაციებზე, რის გამოც სსრ კავშირის მთავრობა იძულებული გახდა ფინეთის წინააღმდეგ 1939 წლის 29 ნოემბერს ომში ჩაბმულიყო.

ინგლის-საფრანგეთის მთავრობებს ომის ნაცვლად რომ ომი გერმანიის წინააღმდეგ ეწარმოებინათ, საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს ფინეთის მილიტარისტებს ეხმარებოდნენ ფულით, იარაღით, საომარი მასალით, და ფინეთში 150 ათასიანი საექსპედიციო კორპუსის გაგზავნის გეგმებს აწყობდნენ. ინგლისმა ფინეთს გაუგზავნა 101 თვითმფრინავი, 215 ქვემეხი, 185 ათასი ჭურვი. საფრანგეთმა გაგზავნა 175 თვითმფრინავი, 500 ქვემეხი, 5 ათასზე მეტი ტყვიამფრქვეევი, 1 მლნ. ჭურვი და ხელის ყუმბარა.

ჩრდილოეთიდან სსრ კავშირზე დარტყმასთან ერთად, ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეები ამზადებდნენ ასი ათასიან არმიას, რომელიც ჩვენ ტერიტორიაზე უნდა შემოჭრილიყო სამხრეთიდან. ანტისაბჭოთა ავანტურაში მათ სურდათ ჩაეთრიათ აგრეთვე თურქეთი, ირანი და ბალკანეთის ქვეყნები.

სსრკ მიმართ მეტად მტრული პოზიცია დაიკავა აშშ მთავრობამაც, მან

ამერიკის საექსპორტო საქონელზე სსრ კავშირში ე. წ. „მორალური ემბარგო“ შემოიღო. აშშ-ში შეიქმნა „ფინეთისათვის დახმარების კომიტეტი“, რომელსაც სათავეში ედგა სსრ კავშირის დაუძინებელი მტერი, აშშ ყოფილი პრეზიდენტი ჰუვერი. ფინეთმა აშშ-დან დაახლოებით 40 მილიონი დოლარის რაოდენობის სამხედრო საშურველი მიიღო. მთელი ეს აქცია მიზნად ისახავდა ფაშისტური გერმანიის სსრ კავშირის წინააღმდეგ დაჯახებას, მაგრამ მიუხედავად საერთაშორისო რეაქციის ყოველგვარი ცდებისა თეთრფინელი რეაქციონერები წითელმა არმიამ გაანადგურა, გაარღვია „მანერჰაიმის ხაზი“. იგი გერმანელი სამხედრო ინჟინრების მონაწილეობით იყო აგებული და მიუვალ ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა, წითელი არმიის ნაწილების მიერ მანერჰაიმის ხაზის აღებას ფინეთის არმიის განადგურება მოჰყვა, რამაც ფინეთის მთავრობა იძულებული გახადა ზავი მოეთხოვა, რომელსაც 1940 წლის 12 მარტს მოაწერეს ხელი ქ. მოსკოვში. ზავით სსრ კავშირ-ფინეთის საზღვარი ლენინგრადიდან გადაწეულ იქნა 150 კმ-ით, სსრ კავშირის შემადგენლობაში შეიდა კარელიის ყელი ქ. ვიბორვით, ლადოგის ტბის ჩრდილოეთ და დასავლეთ სანაპიროებით. ზავი ითვალისწინებდა ურთიერთ თავდაუსხმელობას და ურთიერთსაწინააღმდეგო კავშირებში და კოალიციებში მონაწილეობაზე უარის თქმას.

1940 წლის ზაფხულში მშვიდობით იქნა გადაჭრილი ბესარაბიის საკითხი, რომელიც 1917 წლის დეკემბრიდან მიტაცებული ქონდა რუმინეთს. საბჭოთა მთავრობის მოთხოვნა ბესარაბიის უკან დაბრუნების შესახებ რუმინეთის მთავრობამ დააკმაყოფილა. ერთსა და იმავე დროს საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა რუმინეთის მთავრობას, გადაეცა სსრ კავშირისათვის ჩრდილოეთი ბუკოვინა, სადაც უკრაინელები იყვნენ დასახლებულნი. რუმინეთის მთავრობა დასთანხმდა სსრ კავშირის მთავრობის წინადადებაზე. ბესარაბია გაერთიანდა მოლდავეთის სსრ, ხოლო ბუკოვინა კი უკრაინის სსრ. სსრ კავშირის მთავრობის ღონისძიებებს ჩვენი ქვეყნის საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით უდიდესი მნიშვნელობა ქონდა, ვინაიდან მან, ერთის მხრივ ჩვენი საზღვრები განამტკიცა, მეორე მხრივ გერმანელთა შემდგომი აგრესიული გეგმები აღმოსავლეთ ევროპაში ჩაშალა.

საომარი მოქმედებანი დასავლეთ ევროპაში

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანიის პოლონეთზე თავდასხმის შემდეგ ინგლის-საფრანგეთის მთავრობებმა მიიღეს რა მხედველობაში ამ აგრესიით გამოწვეული მსოფლიოს საზოგადოების დიდი აღშფოთება, იძულებულნი გახდნენ 1939 წლის 3 სექტემბერს ომი გამოეცხადებინათ გერმანიისათვის, რითაც დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. მაგრამ 1939 წლის სექტემბრიდან თვით 1940 წლის აპრილამდე საომარი მოქმედება აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის, მიუხედავად ომის ოფიციალური გამოცხადებისა, არ მიმდინარეობდა. სწორედ ასეთ შექმნილ სიტუაციას ფრანგმა ჟურნალისტებმა „უცნაური ომი“, ხოლო გერმანელმა ისტორიკოსებმა კი „მჯდომარე ომი“ უწოდეს. სინამდვილეში აქ არაფერი უცნაური არ იყო. ეს ივივე მიუნხენის პოლიტიკის გაგრძელება იყო. ომის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგაც ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეები კიდევ არ ჰკარგავდნენ იმედს, რომ ისინი შეძლებდნენ გერმანიის აგრესიის წარმართვას სსრ კავშირის წინააღმდეგ. ასეთივე მიზ-

ნებით მოქმედებდა აშშ-ის მთავრობა, რომელმაც მეომარ სახელმწიფოებს შორის ზავის დადების შუამავლობის მოტივით, 1940 წლის თებერვალ-მარტში ლონდონს, პარიზს, ბერლინსა და რომში გააგზავნა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ს. უელსი.

ს. უელსის მისიის მთავარი ამოცანა იყო ხუთივე სახელმწიფოს ანტისაბჭოთა შეთანხმება სსრ კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მსგავსის მოწყობის მიზნით. მაგრამ იმდენად დიდი იყო გერმანია-იტალიის ფაშისტების მისწრაფებანი მსოფლიოში გაბატონებისათვის, რომ ასეთი გარიგება ვერ მოხდა, ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს მთელი საერთაშორისო რეაქცია გააქტიურდა და ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ომის ნაცვლად, ისინი საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალების ერთიან ანტისაბჭოთა ომის დაწყებაზე ფიქრობდნენ. ფაშისტურმა გერმანიამ, ისარგებლა მოწინააღმდეგეთა დიპლომატების სიბეცით და მაქსიმალურად გამოიყენა რვათვიანი შესვენება. გაიზარდა და უკეთ აღიჭურვა გერმანიის არმია: დივიზიების რაოდენობამ 156 მიაღწია, სამხედრო ავიაციის რაოდენობა 3—4 ათას თვითმფრინავამდე გაიზარდა.

ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია-ჰოლანდიის ქვეითი დივიზიები რიცხობრივად თითქმის გერმანიის ჯარების თანატოლი იყო. მათ ჰყავდათ 142 დივიზია. მაგრამ მათი შეიარაღება გაცილებით დაბალი იყო. ფრანგებს ჰყავდათ 6 სატანკო დივიზია და 1500 საბრძოლო თვითმფრინავი. 1939 წლის სექტემბრიდან 1940 წლის გაზაფხულამდე ინგლისმა საფრანგეთის ტერიტორიაზე გადასხა 450 ათასიანი არმია, მაგრამ იგი შეიარაღებით სუსტი იყო გერმანიის არმიასთან შედარებით. 1940 წლის გაზაფხულიდან ფაშისტური გერმანია ფართო აგრესიაზე გადავიდა დასავლეთ ევროპაში. ეს აგრესია მან დაიწყო „ვეზერზე მანევრების" გეგმის სახელწოდებით, რომელიც მიზნად ისახავდა ერთდროულად ორი ნეიტრალური სახელმწიფოს დანიისა და ნორვეგიის ხელთ ჩაგდებას. ამ აგრესიის მიზანი იყო გერმანიის სტრატეგიული მდგომარეობის გაუმჯობესება — მარჯვენა ფლანგის უზრუნველყოფა ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების გაშლისას. გარდა ამისა, ნორვეგიისა და დანიის ოკუპაცია გაზრდიდა გერმანიის სამხედრო პოტენციალსაც, ნეიტრალური შვეიცის მეშვეობით კი გერმანია მიიღებდა სტრატეგიულ ნედლეულს და ბოლოს, სკანდინავიის ბაზებისა და ტერიტორიის გამოყენებას გერმანია აგრეთვე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფიქრობდა.

დანიისა და ნორვეგიის წინააღმდეგ ჰიტლერმა გამოყო 10 ქვეითი, სამთო და მოტორიზებული დივიზიები, რომლის რაოდენობა 140 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს შეადგენდა. ოპერაციაში მონაწილეობდა 1000 თვითმფრინავი და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. 9 აპრილს გერმანელთა ჯარები დანიაში შეიჭრნენ და იმავე დღეს მოახდინეს კოპენჰაგენის ოკუპაცია. საყურადღებოა, რომ დედაქალაქის ხელთ ჩაგდების ოპერაცია განახორციელა გერმანელთა ერთმა ბატალიონმა. დანია ოკუპირებული იქნა რამოდენიმე საათის განმავლობაში. ჰიტლერელთა ჯარების ასეთი წარმატება იმით აიხსნება, რომ მათ დიდი დახმარება გაუწიეს დანიელმა ფაშისტებმა და გერმანელმა კოლონისტებმა. დანიის მთავრობამაც პირდაპირი ღალატი გამოიჩინა. მან თავის შეიარაღებულ ძალებს მიუთითა, რომ წინააღმდეგობა არ გაეწიათ გერმანელებისათვის. დანიის ფლოტმა და სანაპირო ბატარეამ არცერთი გასროლა არ მოახდინა.

იმავე დღეს გერმანიის გემებმა, რომლებიც ინგლისური ალმით შეინიღ-ბნენ, გადასხეს დესანტი ნორვეგიის უმნიშვნელოვანეს ნავსადგურებში: ოსლო-ში, ნარვიკში, ბერგენში და ა. შ. ჰიტლერელთა სადესანტო ნაწილებმა ხელში ჩაიგდეს ეგრეთვე უმნიშვნელოვანესი ჰაეროდრომებიც. ნორვეგიას ჰყავდა 14 ათასიანი არმია, რომელმაც გმირული წინააღმდეგობა გაუწია დამპყრობლებს. ნორვეგიის მთავრობამ უარჰყო გერმანიის ულტიმატუმი ამ ქვეყნის ჰიტლე-რელთა მფარველობის ქვეშ გადასვლის შესახებ და ჯარს ბრძანება მისცა წი-ნააღმდეგობა გაეწია აგრესორებისათვის, მაგრამ ძალთა თანაფარდობა აშკარად გერმანელების მხარეზე იყო. გარდა ამისა, ნორვეგიაში მოქმედებდა „მეხუ-თე კოლონა“ ჰიტლერელთა აგენტის, ნორვეგიელი ფაშისტის კვისლინგის მე-თაურობით. კვისლინგელები ზურგში ესროდნენ ტყვიებს თავიანთ თანამე-მამულეებს. კვისლინგმა ისარგებლა რა ნორვეგიის მეფის და მთავრობის ჩრდილოეთში წასვლით შექმნა ახალი მთავრობა და ჯარებს უბრძანა წინააღმ-დეგობა შეეწყვიტათ. კვისლინგის სახელი სამშობლოს გამყიდველთა სიმბო-ლურ სახელწოდებად გადაიქცა.

ნორვეგიაში გერმანელთა წინააღმდეგ ინგლისმა და საფრანგეთმა თავისი სადესანტო ნაწილები გადასხეს, მაგრამ იგი სუსტად იყო შეიარაღებული და მათ დამარცხება განიცადეს და მაისის ბოლოს ისევ უკან იქნა გამოყვანილი. გერ-მანელების ქვეითი ჯარის დანაკარგი დაახლოებით 5 ათას კაცს უდრიდა. უფ-რო მნიშვნელოვანი იყო საზღვაო ფლოტის დანაკარგი. ინგლისის ფლოტმა ჩა-ძირა გერმანელთა სამი კრეისერი და 10 ნაღმოსანი, დააზიანა ორი სახაზო კრეისერი და ერთი გემი. ნორვეგიის არმიის წინააღმდეგობა გერმანელებმა მხოლოდ ივნისის ბოლოს დაძლიეს. დანიის და ნორვეგიის ხელთ ჩაგდების შემ-დეგ ბალტიის ზღვის ყველა გასასვლელი გერმანიის ხელში აღმოჩნდა. გერმა-ნელთა ჯარების შეჭრამ ნორვეგიასა და დანიაში ბოლო მოუღო „უცნაურ ომს“. ნ. ჩემბერლენის მთავრობის „მიუნხენის პოლიტიკამ“ კრახი განიცადა და იგი 10 მაისს გადადგა. შეიქმნა კოალიციური მთავრობა, რომელსაც სათა-ვეში უ. ჩერჩილი ჩაუდგა. საფრანგეთში კი ხელისუფლებიდან უფრო ადრე გადადგა მეორე მიუნხენელი დალადიე, რომელიც 21 მარტს შეცვალა იმავე პოლიტიკის გამტარებელმა პოლ რეინომ. ორივე ქვეყნის ეს „მიუნხენელი“ პოლიტიკოსები, ვიდრე მთავრობის სათავეში იყვნენ იმის ნაცვლად, რომ გერ-მანიის წინააღმდეგ მთელი ძალების მობილიზირებაზე ეფიქრათ, თავისი ქვეყ-ნის შიგნით კომუნისტების და ყველა დემოკრატიული ძალების დევნითა და საბ-ჭოთა კავშირში შეჭრის გეგმების შემუშავებით იყვნენ დაკავებულნი. ისინი თვით უკანასკნელ მომენტამდე იმედს არ კარგავდნენ იმაზე, რომ ჰიტლერთან მიაღწევდნენ ანტისაბჭოთა გარიგებას. ამიტომ იყო, რომ მათ არ მიიღეს ვადამჭრელი ზომები თავიანთი ქვეყნების თავდაცვისა და უშიშროების უზ-რუნველყოფისათვის. ჰიტლერული გერმანია კი „უცნაური ომის“ პერიოდში გულმოდგინედ ემზადებოდა ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ გამანადგურე-ბელი და ელვისებური დარტყმებისათვის. ამრიგად, მაშინ, როდესაც გერმანია გაფაციცებით ემზადებოდა ინგლის-საფრანგეთზე თავდასხმისათვის, ლონდონ-სა და პარიზში ასევე გაფაციცებით ადგენდნენ გეგმებს საბჭოთა კავშირზე თავ-დასხმისათვის.

ჰიტლერელებს თავდაპირველად შემუშავებული ჰქონდათ სამხედრო ოპე-

რატიული გეგმა „გელბი“ („ყვითელი გეგმა“), რომელიც შლიფენის გეგმის მსგავსად მიზნად ისახავდა გერმანელთა ჯარების საფრანგეთში შეჭრას ბელგიიდან და ჰოლანდიდან და ინგლის-საფრანგეთის ჯარებისათვის მარჯვენა ფლანგიდან შემოვლას.

საფრანგეთის სამხედრო წრეები ჯერ კიდევ მოძველებული დოგმებით იკვებებოდნენ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ომი სუფთა პოზიციური ხასიათისა იქნებოდა. საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე 30-იან წლებში აგებულ იქნა თავდაცვის „მაჟინოს ხაზი“, რომლის სიმაგრეთა მშენებლობა ომის დაწყებისას ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად დამთავრებული. საფრანგეთის სარდლობის აზრით მაჟინოს ხაზი დაუძლეველი იქნებოდა თანამედროვე ტექნიკისათვის და მას გერმანელთა ჯარები „ტვინს შეასხამდნენ“. გარდა ამისა, ინგლის-საფრანგეთის სარდლობის აზრით გერმანელთა სატანკო ნაწილები ვერ შეძლებდნენ არდენის დაძლევას და ამიტომ ისინი არა სამხრეთ, არამედ ცენტრალურ და ჩრდილოეთ ბელგიიდან შემოიჭრებოდნენ. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო საფრანგეთის ორი არმიის და ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ბელგიაში შესვლა და მის აღმოსავლეთით წინ წავევა, რათა გერმანელთა ჯარების შეტევები საფრანგეთის საზღვრებიდან დაშორებით შეეჩერებინათ. მაგრამ ინგლის-საფრანგეთის სარდლობა არ ითვალისწინებდა იმას, რომ ასეთ შემთხვევაში ბელგიაში შეჭრილი ჩრდილოეთის დაჯგუფება და „მაჟინოს ხაზთან“ განლაგებული ძირითადი ძალები ერთმანეთისაგან გათიშული აღმოჩნდებოდა და მათ შორის საშიში სიცარიელე შეიქმნებოდა.

ინგლის-საფრანგეთის სარდლობის ეს გეგმა ცნობილი გახდა გერმანიის დაზვერვისათვის. ამის შემდეგ „გელბის“ გეგმაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვით გერმანიის სატანკო დაჯგუფებას მთავარი დარტყმა უნდა განეხორციელებინა ლუქსემბურგიდან სწორედ არდენის რაიონში საფრანგეთ-გერმანიის საზღვრების გვერდის ავლით და გაეგრძელებინა შეტევა ლა-მანშის მიმართულებით, ალყა შემოერტყა და გაენადგურებინა ინგლის-საფრანგეთის ჩრდილოეთის დაჯგუფება და შემდეგ მთელი ძალები მიემართა საფრანგეთის დანარჩენი ჯარების წინააღმდეგ. „ყვითელი ოპერაციის“ განხორციელება გერმანელებმა 10 მაისს დაიწყეს. ბელგიასა და ჰოლანდიაზე თავდასხმის საბაბი რომ ეპოვნა, ჰიტლერელთა ავიაციამ დაბომბა სტუდენტთა ძველი გერმანული ქალაქი ფრაიბურგი და იგი ბელგია-ჰოლანდიის ავიაციას გადააბრალა. 10 მაისს გერმანელთა ჯარები შეიჭრნენ ბელგიაში, ჰოლანდიასა და ლუქსემბურგში. ომში ჩაება გერმანელთა 136 დივიზია, (აქედან 10 სატანკო და 7 მოტორიზირებული), 3800 თვითმფრინავი, 2600 ტანკი და 24,5 ათასი ქვეითი. გერმანელთა ჯარების საერთო რაოდენობა 3,300 ათას კაცს აღწევდა.

დივიზიებისა და ტანკების რაოდენობის მხრივ ძალები თითქმის თანაბარი იყო, მაგრამ მოკავშირეებმა ცალკეული სატანკო დივიზიების შექმნის ნაცვლად, თავისი ტანკები დააქუცმაცეს ქვეით დივიზიებში, რითაც დაუკარგეს მას დარტყმის ძალა. მოკავშირეთა არტილერია უფრო ძლიერი იყო გერმანიისაზე, მაგრამ გერმანიის ავიაცია რაოდენობითაც და ხარისხობრივადაც მოწინააღმდეგისაზე ბევრად ძლიერი იყო. გარდა ამისა, ომის პირველსავე დღეებში გერმანიის ავიაციამ საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის ჰაეროდრომების მასირებული დაბომბვის შედეგად მწყობრიდან გამოიყვანა მოკავშირეთა საჰაერო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი.

„ყვითელი გეგმის“ შესაბამისად გერმანიის სატანკო ნაწილები შეიჭრენ ლუქსემბურგიდან არდენში, გადალახეს მდ. მაასი სედანის რაიონში, რამდენიმე დღეში მცირე წინააღმდეგობის შემდეგ აიღეს ამიენი და დიუნკერკიდან სამხრეთ დასავლეთით მიაღწიეს ლა-მანშს.

მოკავშირეთა ჩრდილოეთის დაჯგუფება 40 დივიზიის რაოდენობით მოწყვეტილი აღმოჩნდა რეზერვებისა და მომარაგების წყაროებს. მაისის ბოლოს კალე-დიუნკერკის რაიონში გერმანელებმა ალყაში მოაქციეს მოკავშირეთა ჯარები. მანამდე კი, 15 მაისს ჰოლანდიამ, ხოლო 28 მაისს ბელგიამ კაპიტულაცია მოახდინეს. გერმანელთა ჯარების პირველ შეტევებს იმდენად დიდი და სწრაფი წარმატებები მოჰყვა, რომ იგი თვით ჰიტლერელთა სარდლობისათვისაც მოულოდნელი იყო. ამასთანავე გერმანელთა სატანკო შემტევი ჯგუფი ძალზედ მოწყვეტილი აღმოჩნდა ქვეითი ჯარისაგან. მოკავშირეებს რომ ეს ხელსაყრელი მომენტი გამოეყენებინათ და ფლანგებიდან დაერტყათ, უდავოდ წარმატებას მიაღწევდნენ და შეიძლება ვითარება მათ სასარგებლოდ შეცვლილიყო, მაგრამ მოკავშირეთა სარდლობა სრულიად შეუთანხმებლად მოქმედებდა. ინგლისი თვლიდა, რომ საქმე უკვე წაგებული იყო და თავისი ჯარების გადარჩენაზე ფიქრობდა, ხოლო საფრანგეთის მთავრობა აშკარა გამყიდველურ გზას ადგა.

როგორც აღვნიშნეთ, მოკავშირეთა 40 დივიზია მიმწყვდეული იქნა დიუნკერკთან. მხოლოდ ეს პატარა ნავსადგური იყო მათ ხელში. 24 მაისს ჰიტლერის ბრძანებით გერმანელთა ტანკების შეტევები, როდესაც ისინი დიუნკერკიდან 15 კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ, შეჩერებულ იქნა. ჰიტლერი ამას იმით ხსნიდა, რომ მას არ უნდოდა გზა მოეჭრა ინგლისთან შეთანხმებაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გარდა ამისა, სატანკო ნაწილები და ქვეითი ჯარი ერთმანეთისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ, ხოლო დიუნკერკის რაიონი მოუხერხებელი იყო ტანკების მოქმედებისათვის და ამასთანავე საფრანგეთი ჯერ არ იყო განადგურებული. 26 მაისიდან 4 ივნისამდე განხორციელდა „დინამოს“ ოპერაცია, ე.ი. ინგლის-საფრანგეთის ჯარების ევაკუაცია დიუნკერკიდან. ამ მიზნით ინგლისის მთავრობამ გამოიყენა დაახლოებით 860 სხვადასხვა სახის საზღვაო ტრანსპორტი და დიუნკერკიდან გაიყვანა 338 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 224 ათასი ინგლისელი. ამ არმიის მთელი შეიარაღების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით ტანკები, არტილერია, სატრანსპორტო საშუალება მტერს ჩაუვარდა ხელში. მთელი ამ ევაკუაციის პერიოდში გერმანელთა ჯარები დიუნკერკში შეჭრას არც შეცდილან, მაგრამ ჰიტლერელთა ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავდა მოკავშირეთა ჯარებს. ინგლისის მეზღვაურებმა და ჯარისკაცებმა ამ ევაკუაციის დროს დიდი ამტანობა, სიმტკიცე და გმირობა გამოიჩინეს. გერმანელთა ჯარების შეტევების პირველ დღეებში ფაშისტური იტალია აღფრთოვანებული იყო, მაგრამ არ იცოდა თუ როგორ განვითარდებოდა შემდგომი ამბები. იგი ჯერ-ჯერობით თავს იკავებდა ომში ჩაბმისაგან, მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანელთა ჯარები გავიდნენ ლა-მანშთან, ხოლო ინგლისმა დაიწყო თავისი ჯარების ევაკუაცია დიუნკერკიდან, 30 მაისს მუსოლინმა ჰიტლერს აცნობა, რომ იტალია ომში 5 ივნისიდან ჩაებმებოდა. ჰიტლერმა უპასუხა, რომ ეს თარიღი რამდენიმე დღით გადაეწია. საქმე იმაში იყო, რომ გერმანელებს ივნისის დამდეგისათვის დაგეგმილი ჰქონდათ ახალი შეტევები და დარწმუნებული იყვნენ თავის გამარჯვებაში. ამიტომ

მათ არ უნდოდათ იტალიისათვის გაეზიარებინათ ეს წარმატებები. მუსოლინი ჩქარობდა ომში ჩაბმას, რათა მასაც მიეღო მონაწილეობა საფრანგეთის ხალხის ძარცვაში და მისჯდომოდა გამარჯვებულთა მაგიდას, მაგრამ ჰიტლერისაგან პასუხის მიღების შემდეგ, მან თავდასხმა საფრანგეთზე ხუთი დღით გადაწია.

ივნისის დამდეგს გერმანელთა ჯარები ახალ შეტევაზე გადავიდნენ ლამანშიდან შვეიცარიის საზღვრამდე. ახლა უკვე გერმანიას მარტო საფრანგეთის ჯარებთან უხდებოდა ბრძოლა. ფრანგთა ჯარები დემორალიზებული იყვნენ თავიანთი მთავრობის გამცემლური პოლიტიკით. ასეთ ვითარებაშიც კი საფრანგეთის პოლიტიკური წრეები გერმანელთა ჯარებთან ბრძოლაზე კი არა, ჰიტლერთან კომპრომისულ შეთანხმებაზე ფიქრობდნენ. საფრანგეთის მთავრობასა და უმაღლეს მთავარსარდლობაში ჯერ კიდევ 18 მაისს ცვლილებები მოხდა. პრემიერ მინისტრ პოლ-რეინოს მოადგილედ დანიშნული იქნა მარშალი პეტენი[1], ხოლო მთავარსარდლად კი ვეიგანი.

პეტენი ყველაზე უფრო შესაფერისი ადამიანი იყო ფაშისტურ გერმანიასთან გარიგებაზე წასვლის საქმეში. ჰიტლერი მას ყველაზე „საიმედო" და „ავტორიტეტულ" პიროვნებად თვლიდა საფრანგეთში. პეტენმა ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირი დაამყარა ფრანკოს ფაშისტურ ესპანეთში საფრანგეთის ელჩად ყოფნის დროს. პეტენს თავის ბელადად თვლიდნენ საფრანგეთის ფაშისტური ორგანიზაციები: პოლკოვნიკ დე ლა როკის „მებრძოლი ჯვრები", პიერ ტეტენეს „პატრიოტული ახალგაზრდობა", მარსელ ბუკერის „მწვანე ხალათიანები". და ა. შ. საფრანგეთის ფაშისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უმრავლესობა პეტენის მთავრობაში შევიდა და მისი უახლოესი თანამშრომელი გახდა.

საფრანგეთის ახალი მთავარსარდალი პროჰიტლერელი ვეიგანი კი აშკარა კაპიტულანტურ გზას დაადგა. იმ მოტივით, რომ ომი უკვე წაგებულიაო, საფრანგეთის ჯარების კაპიტულაციას მოითხოვდა. საფრანგეთისათვის ამ მძიმე დღეებში კომუნისტებმა ქვეყნის ყველა ძალების გაერთიანებისა და ანტიფაშისტურ სახალხო ომად გადაქცევის პროგრამა წამოაყენეს. ეს ერთადერთი გზა იყო საფრანგეთის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის. მაგრამ საფრანგეთის მმართველ წრეებს თავისი ხალხის უფრო მეტად ეშინოდათ, ვიდრე ჰიტლერელებისა. მათ თავიანთი კლასობრივი ინტერესები ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დააყენეს და ამ ომის ანტიფაშისტურ სახალხო ომად გადაქცევის ნაცვლად, ჰიტლერელების წინაშე კაპიტულაციაზე წასვლა არჩიეს. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში გერმანელთა წარმატებები უზრუნველყოფილი იყო.

10 ივნისს გერმანელთა ტანკებმა მდ. სენა გადალახეს და პარიზს დაემუქრნენ. ამავე დღეს რეინოს მთავრობა ტურში გაიქცა. იტალია კი ომში ჩაება და საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში საომარი მოქმედება გაჩაღა.

14 ივნისს საფრანგეთის მთავრობამ და სარდლობამ პარიზი „ღია ქალაქად" გამოაცხადეს და მტერს უბრძოლველად ჩააბარეს. მალე იმის შემდეგ, რეინო გადადგა და ხელისუფლება პეტენს გადასცა, რომელმაც გერმანიასთან მოლაპარაკება გამართა დაზავებაზე. სამარცხვინო კაპიტულაციის აქტს პეტენის მთავრობამ ხელი მოაწერა 1940 წლის 22 ივნისს, კომპიენის ტყეში, გენ. ფოშის

[1] პეტენი მანამდე საფრანგეთის ელჩი იყო ფრანკოს მთავრობასთან ესპანეთში

სალონ-ვაგონში, იქ, სადაც 22 წლის წინ, 1918 წლის 11 ნოემბერს საფრანგეთის გენერალმა ფოშმა ანტანტის სახელით პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია მიიღო. ამრიგად, გერმანიამ რევანში აიღო[1].

კაპიტულაციის აქტის პირობები მძიმე და სამარცხვინო იყო. საფრანგეთი ორ ნაწილად იქნა გაყოფილი. ქვეყნის სამრეწველო რაიონები პარიზიანად და მთელი ატლანტიკის სანაპიროებით ესპანეთის საზღვრამდე გერმანიის ხელში გადადიოდა. ჰიტლერულმა გერმანიამ საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შექმნა მარიონეტული სახელმწიფო. ეს იმ მიზნით იქნა გაკეთებული, რომ არ დაეშვა საფრანგეთის კოლონიების ინგლის-ამერიკის ან იაპონიის მიერ დატაცება და აგრეთვე საფრანგეთის ფლოტისა, რომელმაც ნავსადგურ ტულონს შეაფარა თავი.

საოკუპაციო ჯარების შენახვა ფრანგ ხალხს ეკისრებოდა. საფრანგეთის ჯარები განიარაღებულ და დათხოვნილ იქნა, ხოლო ქვეყანაში ფაშისტური რეჟიმი დამყარდა. საფრანგეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი „მმართველობისათვის" გადაეცა გამყიდველ პეტენს, რომლის რეზიდენციად პატარა საკურორტო ქალაქი ვიში გახდა. პეტენი საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადდა. მის მთავრობას დაცინვით „ვიშის მთავრობა" უწოდეს. 1942 წლისათვის გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიასა და „ვიშის მთავრობის" ტერიტორიას შორის ყოველგვარი განსხვავება ლიკვიდირებულ იქნა და საფრანგეთის მთელი ეკონომიკა გერმანელთა კონტროლის ქვეშ მოექცა. გერმანელების მიერ ოკუპირებული ზონა საფრანგეთის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. ომამდე აქ საფრანგეთის მოსახლობის 65 % ცხოვრობდა, წარმოებდა საფრანგეთის მთელი თუჯის 97 %, ქვანახშირის 79%, რკინის მადნის 75 % და ამ ზონაში იყო დასამუშავებელი მიწების 65 %. ასე უსახელოდ და სამარცხვინოდ დაამთავრა თავისი არსებობა 1870 წლის სექტემბრის რევოლუციის შედეგად აღმოცენებულმა და 1875 წლის კონსტიტუციით გამოცხადებულმა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკამ.

ასეთი იყო მიუნხენის პოლიტიკოსების შედეგები საფრანგეთისა და ინგლისისათვის, საფრანგეთი გაითელა გერმანელთა ფაშისტური ჯარების მიერ, ხოლო ინგლისი კი ჰიტლერული გერმანიის პირისპირ მარტოდმარტო აღმოჩნდა. საფრანგეთის მმართველი წრეების გამყიდველურმა პოლიტიკამ, რომელთაც რევოლუციის შიშით თავისი კლასობრივი ინტერესები ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დააყენეს, მშრომელთა მასების დიდი აღშფოთება გამოიწვია. დიდი რევოლუციური და გმირული ტრადიციების მქონე ფრანგი ხალხი სამარცხვინო კაპიტულაციით შერცხვენილი და შეურაცხყოფილი, ფაშისტურ რეჟიმს არ შეჰგუებია.

კომუნისტური და სხვა პატრიოტული და დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სისხლიანი და ტერორისტული რეჟიმის ძალზე მძიმე პირობებში ფრანგი ხალხი დაუღალავ და შეუპოვარ ბრძოლას განაგრძობდა თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. რაც შეეხება საფრანგეთის რეაქციულ მონოპოლისტურ ბურჟუაზიას, კაპიტულაციის შემდეგ იგი თავისი კლასობრივი ბატონობის შენარჩუნებისათვის ქვეყანაში, თავის ორ-

[1] გენერალ ფოშის ვაგონი გერმანელებმა დაწვეს, ხოლო ძეგლს ხელი არ ახლეს.

მაგ დაზღვევას ცდილობდა. მსხვილი ბურჟუაზიის ერთი ჯგუფი, რომელიც გერმანიის მონოპოლისტებთან იყო დაკავშირებული გერმანელი ფაშისტების ბანაკში აშკარად გადაბარგდა და თავისი ფაბრიკები, ქარხნები, რკინიგზები და საფრანგეთის ბუნებრივი სიმდიდრე ჰიტლერელების სამსახურში ჩააყენა, მეორე ჯგუფი კი, რომელიც ინგლის-ამერიკის მონოპოლისტებთან იყო დაკავშირებული, იმედოვნებდა, რომ გერმანიის დამარცხების შემთხვევაში იგი თავის კლასობრივ ბატონობას საფრანგეთში ინგლის-ამერიკის იმპერიალისტების დახმარებით აღადგენდა. მან ჯერ კიდევ სახალხო ფრონტის დიდი ძოძრაობის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომის წინა პერიოდში, თავისი კაპიტალის „გაქცევა" მოაწყო საზღვარგარეთ და იგი ინგლის-ამერიკის წარმოებასა და ბანკებში დაებანდა. ეს უკანასკნელი ჯგუფი თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა გენერალ დე გოლს, რომელიც 1940 წლის 22 ივნისს ბრიტანეთის თვითმფრინავით გაფრინდა ინგლისში, სადაც მან ინგლის-ამერიკის ფინანსური დახმარებით და მხარდაჭერით შექმნა ე. წ. „თავისუფალი საფრანგეთის", შემდეგ „მებრძოლი საფრანგეთის" და ბოლოს, „საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი". ეს კომიტეტი შემდეგ საფრანგეთის დროებით მთავრობად ცნო სსრ კავშირმა, ინგლისმა და აშშ-მა.

საფრანგეთის კაპიტულაციისა და იტალიის მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის მხარეზე ჩაბმის შემდეგ ინგლისი ძალზედ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუ მანამდე ინგლისის ზოგიერთი ოფიციალური წრეები მზად იყვნენ გერმანიასთან ერთგვარი გარიგებისათვის მიეღწიათ მსოფლიოს დანაწილებისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის საკითხში, ამის შემდეგ ინგლისის მმართველი წრეებისათვის ნათელი გახდა, რომ ასეთი გარიგება ინგლისის იმპერიალიზმისათვის ხელსაყრელი და საიმედო არ იქნებოდა, ვინაიდან გერმანია ხელსაყრელ მომენტში დაარღვევდა ყველანაირ გარიგებას და ინგლისს მისი კოლონიებიანად თავის სამფლობელოდ გადააქცევდა.

საფრანგეთის განადგურების შემდეგ ფაშისტური გერმანია სსრ კავშირზე თავდასხმის მზადებას შეუდგა. მაგრამ იმ მიზნით, რომ უზრუნველეყო თავისი ზურგი, ჰიტლერული მთავრობა 1940—1941 წლებში ცდილობდა, დაეთანხმებინა ინგლისის მმართველი წრეები ანტისაბჭოთა ლაშქრობაში მონაწილეობაზე. ჰიტლერი ფიქრობდა, რომ საფრანგეთის განადგურების შემდეგ ინგლისი ომიდან გამოვიდოდა და გერმანიასთან ზავის დადებას შეეცდებოდა, მითუმეტეს დიუნკერკთან დამარცხების შემდეგ თვით ჩერჩილის აღიარებით, ინგლისი ფაქტიურად განიარაღებული იყო. ინგლისის არმიას სულ 200 ტანკი და 500 საველე ქვემეხი ჰქონდა. ბრიტანეთის იმპერიაში შემავალ დომინიონებს კი თავისი შეიარაღებული ძალები არ გააჩნდათ, რომ ინგლისისათვის დახმარება გაეწიათ. თემთა პალატაში გამოსვლისას, 1942 წლის 23 აპრილს ჩერჩილმა განაცხადა, რომ „1940 წელს დაახლოებით 150 ათასიანი შემოსეული არმია რჩეული ჯარისკაცებით შესძლებდა დამღუპველი განადგურება შეექმნა ჩვენს გარემოში". მაგრამ ინგლისს თავისი საბჭედრო საზღვაო ფლოტის იმედი ჰქონდა, რომელიც გერმანიის ფლოტზე ბევრად ძლიერი იყო. ინგლისთან შეთანხმების ინიციატივა ჰიტლერმა გამოიჩინა. 1940 წელს 19 ივნისს მან ინგლისს ოფიციალურად შესთავაზა ზავი იმ პირობით, თუ გერმანიას დაუბრუნებდა პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაკარგულ კოლონიებს. ჰიტლერული მთავრობა ინგლისთან ზავის დადებას მიზანშეწონილად თვლიდა, ვინაიდან მას ეშინო-

და, რომ გერმანიის ჯარების ბრიტანეთის კუნძულებზე შეჭრა მნიშვნელოვნად შეასუსტებდა ჰიტლერელთა შეიარაღებულ ძალებს და მაშინ უპირატესობა საბჭოთა კავშირის მხარეზე იქნებოდა. გარდა ამისა, ჰიტლერელებს ეშინოდათ, რომ ინგლისის განადგურებით ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიისათვის, რომ ხელთ ჩაეგდოთ ინგლისის კოლონიები.

ასეთი ვითარება გერმანიის ძალების დაქუცმაცებას გამოიწვევდა, რაც ჰიტლერელთა აზრით მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის იქნებოდა სასარგებლო. სწორედ საბჭოთა კავშირისადმი შიში აიძულებდა გერმანიას გარიგება ეძებნა ინგლისთან. ესპანეთის ფაშისტების მეთაური ფრანკო მადრიდში მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის ელჩ ს. ჰორთან ინგლისსა და გერმანიას შორის ზავის შესახებ. 1940 წელს ფარული მოლაპარაკებისათვის ინგლისის წარმომადგენლებთან მადრიდში გაიგზავნა ჰიტლერის მოადგილე ჰესი, მაგრამ ინგლის-გერმანიის გარიგება, რაც არაფერს კარგს არ მოუტანდა ინგლისს, ჩერჩილის მთავრობის უარყოფითი პოზიციის შედეგად არ მოხდა. ჰიტლერი, ჩერჩილის მთავრობის პოზიციების ძირის გამოთხრის მიზნით, შეეცადა გამოეყენებინა ინგლისის ყოფილი მეფე ედუარდ VIII, რომელიც პორტუგალიაში ცხოვრობდა. მაგრამ ინგლისის დაზვერვამ ეს ცდები ჩაშალა. მიუხედავად იმ მძიმე მდგომარეობისა, რომელშიც ინგლისი საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ აღმოჩნდა, ინგლისელი ხალხის სიმტკიცე ფაშიზმის წინააღმდეგ არა თუ შედრკა, არამედ კიდევ უფრო განმტკიცდა. სწორედ ინგლისელი ხალხის სიმტკიცემ ჩაფუშა ინგლის-გერმანიის ანტისაბჭოთა გარიგება. მთავრობასა და პარლამენტში ჯერ კიდევ იყვნენ მიუნხენის პოლიტიკის მიმდევრები, მაგრამ მათი პოზიციები და გავლენა ძალზე შესუსტდა. მათთვის ნათელი იყო, რომ ინგლისელი ხალხი ჰიტლერელებთან რაიმე კავშირზე წასვლას არ დასთანხმდებოდა.

ამრიგად, ჰიტლერული გერმანიის ინგლისთან ანტისაბჭოთა გარიგების ცდები ჩაიშალა. ამის შემდეგ ჰიტლერმა 1940 წლის 16 ივლისს ხელი მოაწერა დირექტივას ინგლისში გერმანელთა სადესანტო ჯარების შეჭრის მომზადების შესახებ. „ოპერაციის მიზანია, — აღნიშნული იყო დირექტივაში, — ინგლისის მეტროპოლიის, როგორც გერმანიის წინააღმდეგ ომის წარმოების ბაზის ლიკვიდაცია“. შემუშავდა გეგმა, რომელმაც „ზღვის ლომის“ სახელწოდება მიიღო. ამ გეგმის პირველი ვარიანტით დაგეგმილი იყო ინგლისში 38 დივიზიის, მათ შორის 9 სატანკო და მოტორიზირებულის გადასხმა და 400 კილომეტრიანი ფრონტის სიგანით შეტევა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ინგლისელთა ჯარების ელვისებური განადგურება და მთელი ქვეყნის ოკუპაცია. ჰიტლერის ხროვას ამის შემდეგ დაგეგმილი ჰქონდა ინგლისელი ხალხის მასობრივი მოსპობა და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ლიკვიდაცია, მაგრამ ეს გეგმა ჰიტლერელებმა შეცვალეს. მათ ეშინოდათ, რომ ინგლისის, როგორც სახელმწიფოს, ლიკვიდაციის შედეგად ბრიტანეთის კოლონიები აშშ და იაპონიის ხელში გადავიდოდა. 1940 წლის 1 აგვისტოს ჰიტლერმა ხელი მოაწერა ახალ დირექტივას, რომლის მიზანი იყო, არა მთელი ინგლისის, არამედ მხოლოდ მისი სამხრეთ ნაწილის ოკუპაცია, ჩრდილოეთ ნაწილში კი ისეთივე მარიონეტული მთავრობის შექმნა, როგორც საფრანგეთში პეტენის მთავრობა იყო. ჰიტლერელები ფიქრობდნენ, რომ ინგლისის ჩრდილოეთში ფორმალური სა-

ხელმწიფოს შექმნის გზით გადაარჩენდნენ ბრიტანეთის იმპერიაში შემავალ: კოლონიების აშშ-ისა და იაპონიის მიერ ხელთ ჩაგდებას, ხოლო საბჭოთა სა- ხელმწიფოს დაპყრობის შემდეგ მოსპობდნენ ინგლისის დამოუკიდებლობას და დაეუფლებოდნენ მის კოლონიებს. ინგლისში გერმანელთა ჯარების გადასხმა დაგეგმილი იყო 1940 წლის 15 სექტემბრიდან.

იმ მიზნით, რომ დაეშინებინა ინგლისელი ხალხი და დემორალიზაცია შეეტანა მასში, აგვისტოდან გერმანიის ავიაციამ დაიწყო მასირებული საჰაერო თავდასხმები ქალაქებზე „ადლერის" (არწივის) ოპერაციის სახელწოდებით. „ადლერის" ოპერაციების მთავარი ამოცანა იყო გერმანიის ავიაციის ჰაერში გაბატონება და ინგლისში ფაშისტთა ჯარების გადასხმების გაადვილება. ინგ- ლისის ნავსადგურებზე, აეროდრომებზე და სამხედრო ობიექტებზე მასირე- ბული თავდასხმებისათვის გამოყოფილ იქნა 2200 თვითმფრინავი. გერმანიის ამ საჰაერო ძალებს ინგლისმა მხოლოდ 125 გამანადგურებელი დაუპირისპი- რა. 7 სექტემბრიდან ჰიტლერელებმა დაიწყეს აგრეთვე მშვიდობიანი მოსახ- ლეობის მასირებული დაბომბვა, რათა მათში შიში და პანიკა დაეთესათ. 57 დღის განმაელობაში გერმანიის ავიაცია შეუსვენებელ თავდასხმას აწყობდა ლონ- დონსა და სხვა ქალაქებზე. ქალაქი კოვენტრი მთლიანად დანგრეულ იქნა. დი- დი ზარალი განიცადა ლონდონმა, ბირმინჰემმა, შეფილდმა, მანჩესტერმა, გლაზ- გომ, ლივერპულმა, ბრისტოლმა და სხვა ქალაქებმა. ამ ბარბაროსული თავდას- ხმების მსხვერპლი გახდა ათიათასობით ადამიანი.

სექტემბრის დამდეგისათვის გერმანიის სარდლობამ ინგლისში სადესანტო ჯარების გადასხმის მიზნით, ბევრ ნავსადგურში, შერბურიდან-როტერდამამდე, თავი მოუყარა ყველა სახის სანაოსნო საშუალებას დაწყებული ჯავშნოსნები- დან — მოტორიანი კატერებით დამთავრებული. ასეთი სახის ტრანსპორტი 4 ათასზე მეტი იყო. ჰიტლერელთა წყალქვეშა ნავებმა 1939 წ. სექტემბრიდან 1941 წლის ივნისამდე ჩაძირეს 2040 სავაჭრო გემი, მათ შორის 1448 — ინგლი- სისა. ეს შეადგენდა ინგლისის სავაჭრო ფლოტის ერთ მესამედს. რაც შეეხება ინგლისის სამხედრო საზღვაო ფლოტს, იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ გერმა- ნელები მათთან შებმას გაურბოდნენ. გერმანელთა მიერ ინგლისში ჯარების გა- დასასხმელად თავმოყრილი საზღვაო ძალები სრულიად არ იყო საკმარისი „ზღვის ლომის" ოპერაციის განსახორციელებლად. ჰიტლერულ მთავრობას ეშინოდა, რომ ამ ოპერაციის ჩაშლას 40-დე სადესანტო დივიზიის დაღუპვა არ მოჰყოლოდა, ამიტომ „ზღვის ლომის" ოპერაცია გადატანილ იქნა 12 ოქტომ- ბრისათვის, შემდეგ კი 1941 წლისათვის. ინგლისის მდგომარეობა 1940 წელს იმდენად სერიოზული იყო, რომ ჩერჩილი აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტის პი- რად წარმომადგენელს ჰოპკინსს გამოუტყდა, რომ ინგლისი ან ჰიტლერის ვასალი გახდება, ან ბრიტანეთის იმპერიის ნანგრევებში დაიღუპება. რუზველ- ტმა ჰოპკინსის მეშვეობით ურჩია ჩერჩილს, რომ მომზადებულიყვნენ კანადა- ში, ან ინგლისის სხვა რომელიმე დომინიონში ევაკუაციისათვის, ამავე დროს აშშ-ის იმპერიალისტებმა მოითხოვეს, რომ ინგლისის დამარცხების შემთხვევაში მისი ფლოტი და სამფლობელოები აშშ-ს გადასცემოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერმა იცოდა ინგლისის მძიმე მდგომარეობის შესახებ, მან ვერ გაბედა ინგლისზე თავდასხმა. თავის წიგნში „ფარული ომი საბჭოთა რუ- სეთის წინააღმდეგ" ამერიკის პროგრესული პუბლიცისტები სეიერსი და კა- ნი ხაზს უსვამდნენ, რომ ჰიტლერს ეშინოდა რა ძლიერი წითელი არმიისა,

ლა-მანშთან შეჩერდა. აშშ-ს მუშათა და კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწე უ. ფოსტერი თავის წიგნში „მსოფლიო კაპიტალიზმის აღსასრული“ ეხება რა აღნიშნულ საკითხს, ბაზს უსვამს, რომ „ინგლისი ნაცისტების წარმატებითი შეტევისაგან გადაარჩინა მხოლოდ შიშმა, რომელსაც ჰიტლერი წითელი არმიის გამო განიცდიდა“.

ფაშისტური სახელმწიფოების სამთა პაქტის და ინგლის-ამერიკის სამხედრო კავშირის ჩამოყალიბება

ვერც ინგლისის ქალაქების მასირებულმა დაბომბვამ და ვერც ჰიტლერელთა ჯარების შეპრის მუქარამ ვერ გასტეხა ინგლისელი ხალხის საბრძოლო სულისკვეთება, პირიქით მან ინგლისელი ხალხის შეურიგებელი სიძულვილი გამოიწვია ფაშისტური გერმანიისადმი და დარაზმა იგი მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ინგლისის სამხედრო ძალები, მართალია, ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ ძლიერდებოდნენ. ამ მხრივ მნიშნელოვანი როლი ითამაშა აშშ-მა. ფაშისტური გერმანიის მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ, ცხადია, საშიშროებას უქმნიდა შეერთებულ შტატებსაც, ამავე დროს, ძლიერდებოდა წინააღმდეგობანი ამერიკასა და გერმანიას შორის ჰიტლერელთა აგენტების ძირგამომთხრელი მოქმედების გამო აშშ და ლათინურ ამერიკაში. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის არ იყო ხელსაყრელი ბრიტანეთის იმპერიის ჯანადგურება, რაც გერმანიას უფრო მეტად გააძლიერებდა და აშშ-ის უშიშროების საქმეს საფრთხეს შეუქმნიდა. აშშ, მართალია, ომში ჯერ კიდევ არ ჰონაწილეობდა, მაგრამ ინგლისისათვის სამხედრო-ეკონომიური დახმარების გაწევა დაიწყო. 1940 წლის 2 სექტემბერს ინგლისსა და აშშ შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლითაც აშშ დასავლეთ ნახევარსფეროში ბრიტანეთის სამფლობელოებისა და დაცვის ვალდებულება იკისრა. ამავე შეთანხმებით ინგლისი 99 წლის ვადით იჯარით აძლევდა აშშ-ს ტერიტორიებს სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზების შესაქმნელად კუნძულებზე — ნიუფაუნდლენდში, ბერმუდესში, იამაიკაში, ბაჰამში, ტრინიდადში, სენ-ლუსიაში, ანტიგუაში და ბრიტანეთის გვიანაში. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ინგლისისათვის უკვე მოძველებული 50 ნაღმოსნის გადაცემას. ამ შეთანხმებით განმტკიცდა, აშშ-ს პოზიციები ინვლისის ხარჯზე, მაგრამ ამავე დროს შესუსტდა ფაშისტური აგრესიის საშიშროება დასავლეთ ნახევარსფეროში, ინგლისის და აშშ-ს შორის დაახლოვება და თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა ფაშისტური სახელმწიფოების მიერ სამთა პაქტის დადების შემდეგ.

1940 წლის 27 სექტემბერს ბერლინში გერმანიასა, იტალიას და იაპონიას შორის დაიდო სამთა პაქტი, რომლითაც აღნიშნული სახელმწიფოების სამხედრო პოლიტიკური კავშირის შექმნა საბოლოოდ დამთავრდა. მანამდე იგი 1936 წლიდან „ანტიკომინტერნული“ პაქტის ნიღბით არსებობდა. პაქტის მონაწილეებმა აშკარად განაცხადეს, რომ მათი მიზანია მსოფლიოზე ბატონობის მოპოვება და ევროპაში და აზიაში „ახალი წესრიგის“ დამყარება. სამივე სახელმწიფო შეთანხმდა მსოფლიოს დანაწილებაზე. იაპონია სცნობდა გერმანიისა და იტალიის ბატონობას ევროპაში, ხოლო გერმანია და იტალია კი — იაპონიის ბატონობას აღმოსავლეთ აზიაში. სამთავე სახელმწიფო ვალდებულებას იღებდა ერთად ემოქმედათ იმ შემთხვევაში, თუ მათ თავს დაესხმოდა ის სახელ-

ეწიფო, რომელიც ომში არ მონაწილეობდა. სამთა პაქტი მიმართული იყო ინგლის-ამერიკისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ. ამ პაქტის საიდუმლო მუხლები ითვალისწინებდა სსრ კავშირის ტერიტორიის დაყოფას: საბჭოთა მიწები ომსკიდან დასავლეთით უნდა გადასულიყო გერმანიისა და იტალიის ხელში, ხოლო ომსკიდან აღმოსავლეთით — იაპონიის ხელში. სამთა პაქტის დადებით ნათელი იყო, რომ ღერძის სახელმწიფოებს აგრესიის გაფართოება ჰქონდათ მიზნად დასახული. თავის მსოფლიო ბატონობისადმი მისწრაფებას ისინი ნიღბავდნენ ე. წ. „ახალი წესით“ ევროპასა და აზიაში, რაც ფაქტიურად ხალხების მთლიან ეკონომიურ და პოლიტიკურ დაკაბალებას და რასობრივი დისკრიმინაციულ-ბარბაროსული რეჟიმის დამყარებას ნიშნავდა.

ამის საპასუხოდ 1940 წლის ოქტომბერში ინგლისსა და აშშ-ს შორის დაიდო შეთანხმება წყნარი ოკეანის აუზში მათი სამფლობელოების ერთიანი დაცვის შესახებ, რამაც განამტკიცა ინგლის-ამერიკის კავშირი. ამერიკის სამხედრო ეკონომიური დახმარება ინგლისისადმი გაიზარდა. ინგლისი ძალზედ დიდი რაოდენობის იარაღს ყიდულობდა აშშ-ში, რის გამოც მისი ფინანსური შესაძლებლობანი ამოიწურა, ამიტომ 1941 წლის 11 მარტს აშშ-ის კონგრესმა პრეზიდენტ რუზველტის წინადადებით მიიღო კანონი ლენდ-ლიზის შესახებ, ანუ კანონი იარაღის, სურსათის და ნედლეულის სესხად ან იჯარით გადაცემის შესახებ, რასაც ინგლისისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ კანონით ამერიკის მიერ ინგლისისათვის იარაღისა და ნედლეულის მიწოდება მეტად გაიზარდა. ამ კანონის საფუძველზე აშშ შემდეგ ეხმარებოდა ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებსაც. ამ გზით ამერიკის ბურჟუაზიას ერთბაშად ორი ამოცანის გადაწყვეტა სურდა: დაესუსტებინა ფაშისტური სახელმწიფოები და თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოები.

ფაშისტური აგრესია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთში

ემზადებოდა რა ომისათვის სსრ კავშირის წინააღმდეგ ფაშისტურმა გერმანიამ 1940 წლის მეორე ნახევარსა და 1941 წლის პირველ ნახევარში გაატარა ღონისძიებანი აგრესიული ბლოკის გაფართოებისა, ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ხალხის დაკაბალებისა და მათი რესურსებისა და ტერიტორიის ანტისაბჭოთა მიზნებით გამოყენებისათვის. 1940 წელს ჰიტლერმა . თავის გავლენას დაუმორჩილა რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი და სლოვაკია. რუმინეთის დაკაბალება ჰიტლერს გაუადვილდა მას შემდეგ, რაც იქ 1940 წლის სექტემბერში გენერალ ანტონესკუს ფაშისტური დიქტატურა დამყარდა. იმავე წელს ოქტომბერში, გერმანიამ ანტონესკუსთან შეთანხმებით რუმინეთში თავისი ჯარები შეიყვანა. 23 ნოემბერს ანტონესკუმ ხელი მოაწერა ბერლინის პაქტს, რომლითაც რუმინეთი ფაშისტურ ბლოკში გაერთიანდა. ბერლინის პაქტს შეუერთდა აგრეთვე უნგრეთი და სლოვაკია. 1941 წლის 1 მარტს კი აღნიშნულ პაქტს შეუერთდა ბულგარეთი. ამავე მიზნის მისაღწევად მან გადაწყვიტა განემტკიცებინა თავისი მარჯვენა ფლანგი, და დაეპყრო ბალკანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები — საბერძნეთი და იუგოსლავია. ჰიტლერის მოთხოვნით იუგოსლავიის რეაქციულმა ცვეტკოვიჩის მთავრობამ 1941 წლის 25 მარტს ხელი მოაწერა ბერლინის პაქტისადმი იუგოსლავიის შეერთების შესახებ, რასაც ხალხის დიდი აღშფოთება და ცვეტკოვიჩის გადაყენება მოჰყვა. სიმოვი-

ჩის მთავრობამ 1941 წლის 5 აპრილს სსრ კავშირთან დადო მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, მაგრამ ამ ხელშეკრულების დადებიდან მეორე დღესვე იუგოსლავიაში შეიჭრა გერმანელთა 300 ათასიანი არმია, რომელსაც თავისი ჯარებით მხარი დაუჭირეს ავრეთვე იტალიის, ბულგარეთის, უნგრეთის და რუმინეთის ჯარებმა. იუგოსლავიის ჯარებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობლებს, მაგრამ 12 დღეში იქნენ განადგურებულნი, იუგოსლავიის ტერიტორია ოკუპირებულ და დაყოფილი იქნა ცალკე ნაწილებად: გერმანიასა, იტალიასა, ბულგარეთსა და უნგრეთს შორის. სლოვენია შეუვანილ იქნა „მესამე რაიხის“ შემადგენლობაში, მაკედონია მიაკუთვნეს — ბულგარეთს, ვოევოდინა — უნგრეთს, ჩერნოგორია და დალმაცია — იტალიას, ხორვატია „დამოუკიდებელ“ სამეფოდ გამოცხადდა. მის სათავეში იტალიის მეფის ნათესავი ჰერცოგი სპოლეტო იქნა დაყენებული. ფაქტიურად კი მთელი ძალაუფლება სამშობლოს გამყიდველის ხორვატიელი ფაშისტის პაველიჩის ხელში გადავიდა. იუგოსლავიის თავისუფლებისმოყვარე ხალხს გერმანელთა წინაშე ქედი არ მოუხრია. უკვე 1941 წლის ივნისში მთებსა და ტყეებში შეიქმნა პარტიზანული ნაწილები. 1941 წლის აგვისტოში ჰერცეგოვინასა და ჩერნიგორიაში აჯანყებამ იფეთქა. იუგოსლავიის პარტიზანებმა გათავისუფლეს სერბეთის ტერიტორიის ნაწილი და იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელობით მთელი ომის განმავლობაში გმირულ ბრძოლას ეწეოდნენ ქვეყნის განთავისუფლებისათვის ფაშისტური უღლისაგან.

გერმანელთა ჯარებმა ერთსა და იმავე დროს საბერძნეთის ტერიტორიის ოკუპაციაც მოახდინეს. ჯერ კიდევ 1940 წლის 28 ოქტომბერს ფაშისტურმა იტალიამ უხეშად დაარღვია საბერძნეთის ნეიტრალიტეტი და თავს დაესხა მას ალბანეთის ტერიტორიიდან. ალბანეთი იტალიის მიერ ოკუპირებული იქნა 1939 წლის აპრილში. იტალიის ჯარებმა გამოიყენეს რა უეცარი თავდასხმის უპირატესობა, დიდ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ 1941 წლის მარტში საბერძნეთის ჯარებმა ინგლისის ჯარების მხარდაჭერით იტალიელები განდევნეს თავისი ტერიტორიიდან. 1941 წლის 6 აპრილს ჰიტლერულმა გერმანიამ საბერძნეთს ნოტა წაუყენა მისი ტერიტორიის გერმანელთა ჯარების ოკუპირების გადაწყვეტილების შესახებ იმ მოტივით, რომ საბერძნეთის ტერიტორიაზე ინგლისელთა ჯარები იმყოფებოდნენ. იმავე დღეს ჰიტლერელთა ჯარები საბერძნეთში შეიჭრნენ და 27 აპრილისთვის დაამთავრეს მისი ოკუპაცია.

ამრიგად, 1941 წლის მაისისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ჰიტლერული გერმანიის ხელში აღმოჩნდა, სადაც სისხლიანი ფაშისტური რეჟიმი დამყარდა და მათი ტერიტორია სსრ კავშირზე თავდასხმისათვის იქნა გამოყენებული.

ფაშისტური გერმანიის მზადება საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის

ფაშისტური გერმანია სსრ კავშირზე თავდასხმისათვის დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა. უკვე 1940 წლის ზაფხულში, ინგლის-საფრანგეთის ჯარების განადგურების შემდეგ, ფაშისტური გერმანიის სარდლობა სსრ კავ-

შირზე თავდასხმის გეგმის შემუშავებას შეუდგა, 1940 წლის 21 ივლისს ქვეითი ჯარების მთავარსარდალმა ფელდმარშალმა ბრაუჰიჩმა ბრძანება მიიღო შეემუშავებინა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმა, რომელმაც „ბარბაროსას გეგმის" სახელწოდება მიიღო[1]. ამ ავანტიური გეგმის თითოეული მუხლი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ გამანადგურებელი ომის წარმოების სულითაა გაჟღენთილი. „ბარბაროსას გეგმა" სამხედრო თვალსაზრისით ავანტურისტული იყო. მისი მთავარი არსი იყო ელვისებური ომის წარმოება. ჰიტლერელთა სტრატეგების აზრით, საბჭოთა შეიარაღებული ძალების განადგურებას ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში და უკრაინაში უნდა მოჰყოლოდა მთელი რიგი სამხედრო ოპერაციების სწრაფად დამთავრება დაახლოებით თვენახევარ-ორი თვის განმავლობაში და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია არხანგელსკ-ვოლგა-ასტრახანის ხაზამდე. ჰიტლერელთა სტრატეგებს თავბრუ ჰქონდათ დახვეული თავისი ჯარების იოლი წარმატებებით, ე. წ. „ბლიცკრიგით", დასავლეთში და ეჭვიც არ ეპარებოდათ ასევითვე წარმატებების მიღწევაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. მათ თავიანთ სტრატეგიულ გეგმებში მეტად გადააფასეს ძალთა სიჭარბის დროებითი ფაქტორები და სრულებით არ გაითვალისწინეს, ან უგულვებელჰყვეს საბჭოთა ქვეყნის მორალური და ეკონომიური შესაძლებლობანი.

„ბარბაროსას გეგმის" მიხედვით ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების — რუმინეთის, უნგრეთის და ფინეთის ჯარები, უკვე წინასწარ მობილიზებული და განლაგებული იყვნენ საზღვრებზე.

საბჭოთა კავშირზე თავდასხმისას გერმანიას ჰყავდა 214 დივიზია, აქედან 159 ქვეითი, 21 სატანკო, 14 მოტორიზებული. საერთო რაოდენობა ჯარისა იყო 8,5 მლნ. კაცი. საბჭოთა საზღვრებზე განლაგებული იყო 190 დივიზია, მათ შორის იყო 35 სატანკო და მექანიზირებული დივიზიები და დაახლოებით 5 ათასი თვითმფრინავი. აქედან 152 გერმანელთა დივიზია იყო, ხოლო 18—ფინეთის, 16—რუმინეთის და 2—უნგრეთისა. საბჭოთა კავშირში ომის წარმოებისათვის გერმანიისა და მისი მოკავშირეების ჯარების საერთო რაოდენობა 5,5 მლნ. კაცს უდრიდა, აქედან 4,6 მლნ. გერმანელი იყო. ტექნიკის რაოდენობა ასეთი იყო: 2800 ტანკი, 5 ათასამდე თვითმფრინავი, 48 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 193 სამხედრო ხომალდი. გერმანიის შეიარაღებული ძალები ეყრდნობოდა უძლიერეს სამხედრო-ეკონომიურ პოტენციალს. 1941 წლის ზაფხულისათვის გერმანიისა და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობა შეადგენდა 290 მილიონ კაცს, წარმოებდა 400 მლნ. ტონა ქვანახშირი, 7,5 მლნ. ტ. ნავთი, 32 მლნ. ტონა ფოლადი. ავტომობილების წარმოება გაიზარდა ორჯერ, ხოლო სამრეწველო მუშების რიცხვი ათიდან—28 მილიონამდე. ოკუპირებულ ქვეყნებში ჰიტლერელებმა ხელში ჩაიგდეს უამრავი სტრატეგიული ნედლეული და იარაღი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ინგლისსაფრანგეთის ჯარების დიუნკერკთან განადგურების შემდეგ გერმანიის ხელში აღმოჩნდა შეიარაღება, რომელმაც 40 დივიზია აღჭურვა. გერმანიის 88 დივიზია ფრანგული მანქანებითა და ტრანსპორტით იყო აღჭურვილი. ოკუპირებულ ქვეყნებში გერმანიას ხელთ ჩაუვარდა 5 ათასი ორთქლმავალი.

---

[1] ამ გეგმამ ეს სახელი მიიღო გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსის პატივსაცემად, რომელიც XII ს. სათავეში ედგა ჯვაროსნულ ლაშქრობას.

საბჭოთა კავშირის სამრეწველო-ეკონომიური ბაზა დიდი სამამულო ომის წინ შემდეგნაირად გამოიყურებოდა. ორი ხუთწლედის და მესამე ხუთწლედის დიდი ნაწილის განხორციელების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობით პირველი ადგილი დაიკავა ევროპაში და უკან ჩამოიტოვა განვითარებული ქვეყნები: გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი. 1940 წელს საბჭოთა კავშირში წარმოებდა: 15 მლნ. ტ. თუჯი, 18 მლნ. 300 ათასი ტ. ფოლადი, 166 მლნ. ტ. ქვანახშირი, 31 მლნ. ტონა ნავთი, 2 მლნ. 700 ათასი ტ. ბამბის ნედლეული. გამოშვებული თვითმფრინავებისა და ტანკების რაოდენობის მხრივ ჩვენი თავდაცვითი მრეწველობა სჯობნიდა ფაშისტური გერმანიის სამხედრო მრეწველობას. სამხედრო-საჰაერო ძალები შეიარაღებისათვის იღებდნენ ახალი ტიპის გამანადგურებლებს, მოიერიშე თვითმრფინავებს და ბომბდამშენებს. დამუშავებული იქნა ახალი ტანკების კონსტრუქციები და დაიწყო მათი წარმოება. ჩვენი ახალი კონსტრუქციის თვითმფრინავები და ტანკები, თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით, სჯობნიდნენ ყველა საზღვარგარეთულ ნიმუშებს, მაგრამ ჩვენი წარმოება ჯერ კიდევ არასაკმაო რაოდენობით უშვებდა ამ ახალ იარაღს, ამიტომ ომის დასაწყისში წითელი არმია ნაკლებად იყო შეიარაღებული ახალი თვითმფრინავებითა და ტანკებით.

ნელი ტემპით მიმდინარეობდა ახალი ნიმუშების ავტომატური სასროლი იარაღის წარმოებაც. უკეთესად იყო საქმე არტილერიის წარმოებაში. წითელ არმიას შეიარაღებაში ჰქონდა უფრო სრულყოფილი არტილერია, ვიდრე გერმანიის არმიას. განსაკუთრებით პოპულარული გახდა კონსტრუქტორ ა. გ. კოსტიკოვის გამოგონილი რეაქტიული ნაღმსატყორცნი დანადგარები, ცნობილი „კატიუშები“.

1941 წლის ივნისისათვის წითელი არმიის შემადგენლობაში 4 მილიონ 207 ათასი კაცი ითვლებოდა, მაგრამ ბევრი სამხედრო ნაწილი ადამიანებით და ტექნიკით ის-ის იყო კომპლექტდებოდა, და ახალ საბრძოლო მანქანებს ჯერ კიდევ არ იყვნენ დაუფლებულნი, ასევე არასაკმაო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მუშაობა წითელი არმიის რაოდენობის გასაიდიბლად და ხელახლა შესაიარაღებლად. სსრ კავშირზე თავდასხმის წინ ფაშისტურმა გერმანიამ, მას ინგლის-ამერიკის პრესამაც აუბა მხარი, ფართო კამპანია გააჩაღეს იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა მთავრობა თავს უყრის თავის ჯარებს საზღვრებზე გერმანიაზე თავდასხმისათვის. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, პირიქით, მას ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ექვი ფაშისტური გერმანიის თავდასხმაში და ამაგრებდა საზღვრებს, ამავე დროს მკაცრად იცავდა გერმანიასთან 1939 წლის 23 აგვისტოს დადებულ ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულებას და არავითარ საბაბს არ აძლევდა ჰიტლერულ მთავრობას ომის პროვოკაციისათვის, განუხრელად ატარებდა რა მშვიდობის უზრუნველყოფის ხაზს, საბჭოთა მთავრობამ 1941 წლის მარტში თურქეთთან, ხოლო 1941 წლის აპრილში იაპონიასთან ხელი მოაწერა ნეიტრალიტეტის ხელშეკრულებებს. თავის მხრივ, ჰიტლერელები, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ, კიდევ ერთხელ შეეცადნენ ინგლისის ნეიტრალიზაციისათვის მიეღწიათ, თანაც „ძალის პოზიციის“ გზით. ამ მიზნით 1941 წლის 10 მაისს, ინგლისისათვის რომ დაენახვებინათ ფაშისტური მანქანის სიძლიერე, მოაწყვეს საჰაერო მასირებული თავდასხმა ლონდონზე. იმავე დღეს ინგლისში გაფრინდა ჰიტლერის მოადგილე

ჰესი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ინგლისის მმართველ წრეებთან. მან აწარმოა მოლაპარაკება საგარეო საქმეთა წარმომადგენელთან კირპატსიკთან, ინგლისის მთავრობის წევრთან, ლორდკანცლერთან საიმონთან და სხვებთან. ჰესმა ინგლისს შესთავაზა ზავი შემდეგი პირობებით: გერმანიას თავისუფალი მოქმედება ეძლევა ევროპაში, მათ შორის საბჭოთა კავშირში და დაუბრუნდება თავისი ყოფილი კოლონიები, ხოლო ინგლისს ეძლეოდა მოქმედების თავისუფლება ბრიტანეთის იმპერიაში. მაგრამ, ამ ქვეყნებს შორს არსებული იმპერიალისტური წინააღმდეგობის მშვიდობიანი გზით დაძლევა შეუძლებელი იყო, მითუმეტეს 1941 წლისათვის. როდესაც ინგლისელი ხალხის მტკიცე და გმირული შრომისა და აშშ სამხედრო დახმარების შედეგად, ბრიტანეთის სამხედრო მდგომარეობა აღარ იყო ისე უიმედო, როგორც 1940 წლისათვის. გარიგება არ შედგა და ჰესი დაპატიმრებულ იქნა, ხოლო ჰიტლერმა იგი შეშლილად გამოაცხადა. „ჰესის მისიის“ შესახებ ისტორიკოსებს შორის სხვადასხვა აზრი არსებობს, რომ თითქოს იგი არა ჰიტლერმა გააგზავნა, არამედ თავისი ინიციატივით მოქმედებდა.

§ 26. ფაშისტური გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და დიდი სამამულო ომის დასაწყისი

1941 წლის 22 ივნისს დილის 4 საათზე ფაშისტურმა გერმანიამ, უხეშად დაარღვია რა ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულება, საბჭოთა სახელმწიფოსთან, ყოველგვარი საბაბისა და პრეტენზიის წაყენების გარეშე, ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა სსრ კავშირს. ერთდროულად სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაებნენ იტალია, ფინეთი, რუმინეთი და უნგრეთი. დიდ და აქტიურ დახმარებას უწევდნენ გერმანიას ესპანეთი და ბულგარეთი. ესპანეთმა სსრ კავშირის წინააღმდეგ გაგზავნა ე. წ. „ცისფერი დივიზია“, ხოლო ბულგარეთის ტერიტორიაზე კონცენტრირებულ იქნა გერმანელთა ჯარები სადესანტო ოპერაციებისათვის ოდესისა და ყირიმის წინააღმდეგ. ბულგარეთის ფლოტი და ნავსადგურები გამოყენებულ იქნა გერმანელთა ჯარების და იარაღის გადატანისათვის სსრ კავშირის წინააღმდეგ.

გარდა ამისა, ბულგარეთის ჯარებმა იუგოსლავიაში და საბერძნეთში შეცვალეს გერმანელთა საოკუპაციო ჯარები, რომლებიც გადასროლილ იქნა სსრ კავშირ-გერმანიის ფრონტზე. დიდ დახმარებას უწევდნენ ფაშისტურ გერმანიას ე. წ. ნეიტრალური სახელმწიფოები — შვეიცია, პორტუგალია, შვეიცარია და სხვები, სხვადასხვა სახის სტრატეგიული მასალების მიწოდებით. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ჰიტლერელების მიერ ოკუპირებული თითქმის მთელი ევროპის ქარხნები და ფაბრიკები გერმანელთა ჯარებისათვის მუშაობდნენ.

ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულება გვქონდა დადებული, მაგრამ იაპონიის მტრული მოქმედება სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის შედეგად გაიზარდა. იაპონიას საბჭოთა ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვრებზე კონცენტრირებული ჰყავდა ერთმილიონიანი რჩეული „კვანტუნის არმია“, რომელიც ჩვენს საზღვრებს ყოველ წუთს ემუქრებოდა თავდასხმით. ეს გვაიძულებდა, რომ მთელი ომის განმავლობაში შორეულ აღმოსავლეთში 40 დივიზია გვყოლოდა. ჰიტლერელები იმისათვის, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაბმულ თავის ვასალ სახელმწიფოებისათვის დაინტერესება შეექმნათ, დიდ ტერიტორიულ

დაპირებებს აძლევდნენ მათ. რუმინეთს ჰპირდებოდნენ ბესარაბიას, ჩრდილოეთ ბუკოვინას და უკრაინის მიწებს, დნეპრამდე, უნგრეთს—გალიციას და ტერიტორიას დნესტრამდე, ფინეთს — საბჭოთა კარელიას და ლენინგრადის ოლქს. დიდ გამდიდრებას პპირდებოდნენ ფაშისტები თავის ჯარისკაცებს, ოფიცრებსა და გენერლებს. მტერი იმდენად იყო დარწმუნებული თავის წარმატებაში, რომ 1941 წლის სექტემბრიდან ჰიტლერის ბრძანებით სამხედრო საჯურვლის წარმოება 1940 წელთან შედარებით $^1/_3$-ით შემცირდა.

მტრის შემოკრა დაიწყო ერთდროულად 3 ათასი კილომეტრის ფრონტის სიგრძით ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე. ისტორიას ჯერ არ ახსოვს ძალების ასეთი მოცულობითი და ფრონტის ასეთი სიფართოვით რომელიმე სახელმწიფოზე თავდასხმა. გერმანელთა ჯარებმა შეტევა გაშალეს სამი მიმართულებით სსრ კავშირის ძირითადი სასიცოცხლო რაიონებისაკენ. „ჩრდილოეთის" დაჯგუფება ფინეთის ჯარების მხარდაჭერით, უტევდა აღმოსავლეთ პრუსიიდან ბალტიისპირეთით ლენინგრადისაკენ, მეორე დაჯგუფება „ცენტრი" — მინსკის-სმოლენსკის-მოსკოვის მიმართულებით, დაჯგუფება „სამხრეთი" — კიევის-დონბასის-ყირიმის მიმართულებით.

გამოიყენეს რა უეცარი თავდასხმის მთელი უპირატესობა, გერმანელთა ჯარებმა 15 დღის განმავლობაში 400 კმ. მანძილზე წაიწიეს წინ. გერმანელთა ჯარების წარმატებები სამამულო ომის პირველ წლებში შემდეგი გარემოებით აიხსნება: ფაშისტთა ჯარები წინასწარ იყვნენ მობილიზებულნი და კონცენტრირებულნი ჩვენი ქვეყნის საზღვრებზე და ელონდენ მხოლოდ ნიშანს თავდასხმისათვის. ამავე დროს თანამედროვე ომის წარმოებაში მათ საკმაო გამოცდილება ჰქონდათ მიღებული. გერმანელთა ხელში იყო ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიური რესურსები და, გარდა ამისა, მას თავისი ეკონომიკა სამხედრო ყაიდაზე ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე რამოდენიმე წლით ადრე ჰქონდა გადაყვანილი. ყოველივე ამან ომის პირველ თვეებში უზრუნველყო ფაშისტური გერმანიის რაოდენობრივი და ნაწილობრივ ხარისხობრივი უპირატესობა საბრძოლო ტექნიკაში. ვერაგული თავდასხმის შედეგად საბჭოთა ჯარებმა დიდი დანაკლისი განიცადეს, მწყობრიდან გამოყვანილ იქნა ჩვენი ჯარების საუკეთესო დივიზიები და დიდძალი ტექნიკა ტანკების, თვითმფრინავების, არტილერიის და სხვათა სახით.

ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული სსრ კავშირის ახალი სახელმწიფო საზღვრების გამაგრება ბალტიისპირეთში, დასავლეთ უკრაინასა, დასავლეთ ბელორუსიასა და ბესარაბიაში. საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია ომის წინა წლებში ზრუნავდა ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის ამაღლებისათვის და მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, მაგრამ წითელი არმიის რეორგანიზაციისა და მისი ახალი სამხედრო ტექნიკით გადახალისების ღონისძიებანი ჯერ არ იყო დამთავრებული. მართალია, ჩვენთან მას შემდეგ, რაც წარმატებით განხორციელდა ორი ხუთწლიანი გეგმა და მესამე ხუთწლიანი გეგმის დიდი ნაწილი, მძლავრი სამხედრო მრეწველობა შეიქმნა, მაგრამ საჯურვლის მასობრივი წარმოება არ იყო იმის გამო, რომ ეკონომიკა დაქვემდებარებული იყო მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანებისადმი. ახალგაზრდა მრეწველობის მიერ ის იყო იწყებოდა საბრძოლო ტექნიკის ახალი ნიმუშების ტანკებისა და ავიაციის ათვისება, ამიტომ საბჭოთა ჯარები ომის პირველ თვეებში ტანკების, ავიაციის, არტილერიისა და სხვა სახის საჯურვლის ნაკლებობას

განიცდიდნენ. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სამხედრო ყაიდაზე გადაყვანა და შეიარაღების წარმოების ტემპების ზრდა და აგრეთვე მთელი ჩვენი ხალხისა და ძალების მობილიზაცია განსაზღვრულ დროს მოითხოვდა, რის გამოც ომის პირველ თვეებში ნახული დიდი დანაკლისის შევსების უზრუნველყოფა საბრძოლო ტექნიკაში სწრაფად ვერ ხდებოდა. მაგრამ არც გერმანელთა ჯარების წინსვლა წააგავდა იმ ტრიუმფალურ მსვლელობას, რასაც ჰიტლერელებმა დაიავლეთში მიაღწიეს. ყოველ ნაბიჯზე ისინი ხვდებოდნენ დიდ წინააღმდეგობას და ადამიანის და ტექნიკის მხოლოდ დიდი დანაკარგის ფასად მიიწევდნენ წინ. მაგალითად, 1941 წ. 22 ივნისიდან — 31 ივლისამდე გერმანელებმა მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით დაკარგეს 318,333 კაცი, ე. ი. სსრ კავშირში შემოჭრილი ჯარების 9,63 %. მაგრამ, მიუხედავად სერიოზული დანაკლისისა, მტერი მაინც მეტად ძლიერი იყო.

ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ დიდი საშიშროება შეუქმნა საბჭოთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის არსებობის საქმეს. ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის საპასუხოდ მთელი საბჭოთა ხალხი, საბჭოთა მთავრობისა და კომპარტიის მოწოდებით, როგორც ერთი აღსდგა თავის სამშობლოს დასაცავად, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და შეურყეველად შეუდგა ქვეყნის მთელი ძალებისა და რესურსების მობილიზაციას, მთელი პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა წარმართა სამშობლოს შეიარაღებული დაცვის ორგანიზაციისათვის, ფაშისტი აგრესორების უკუგდებისა და მათი განადგურებისათვის.

1941 წლის 30 ივნისს შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი სტალინის მეთაურობით, რომლის ხელში თავმოყრილ იყო მთელი ძალაუფლება ჩვენ სახელმწიფოში. სწრაფად და ორგანიზებულად იქნა ჩატარებული მილიონობით საბჭოთა პატრიოტის მობილიზაცია, შეიქმნა ახალი არმიები, მტრის ზურგში კი — პარტიზანული ნაწილები. ქვეყანა გადაიქცა სამხედრო ბანაკად. საბჭოთა ადამიანები გაორკეცებული ენერგიით მუშაობდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში ლოზუნგებით „ყველაფერი ომისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის". ათასობით ქარხნები და საწარმოები მუშათა მთელი კოლექტივებით და მათი ოჯახებით ევაკუირებული იქნა განსაკუთრებით საშიშ რაიონებიდან აღმოსავლეთ რაიონებში. შექმნილ იქნა თავდაცვის მრეწველობის ახალი ბაზები ურალში, დასავლეთ ციმბირში, შუა აზიაში და მთელ რიგ სხვა რაიონებში. მთელი საბჭოთა ხელხი — მუშები, ინტელიგენცია, კოლმეურნეები დაუშრეტელი ენერგიით მუშაობდნენ ზურგში ფრონტის უზრუნველსაყოფად. ფრონტი და ზურგი განუყოფლად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული.

§ 20. ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა

ფაშისტურ გერმანიას საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ იმედი ჰქონდა ჩვენი სახელმწიფოს იზოლაციაზე, უფრო მეტიც, სსრ კავშირის წინააღმდეგ საყოველთაო კოალიციის შექმნაზე ინგლისისა და აშშ-ის მონაწილეობით, მაგრამ ჰიტლერელების ამ ვარაუდმაც კრახი განიცადა. ინგლისის და აშშ-ის მმართველი წრეები გამომდინარეობდნენ რა, თავისი ქვეყნის თავდაცვის ინტერესებიდან, მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირს ფაშისტური გერმანიის

წინააღმდეგ. 1941 წლის 22 ივნისს საღამოს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა განაცხადა რადიოთი, რომ ინგლისი საბჭოთა კავშირის მხარეზე იქნება. ჩერჩილს ეს სსრ კავშირისადმი სიმპათიით არ მოსვლია. ფაშისტური გერმანიის სსრ კავშირზე თავდასხმაში, მან ბრიტანეთის იმპერიის ძალზედ კრიტიკულ ყოფნა-არყოფნის მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი დაინახა, ვინაიდან სსრ კავშირზე თავდასხმის შემდეგ ფაშისტური ბლოკის მთელი სიმძიმე თავს დაატყდა საბჭოთა ხალხს, ინგლისი კი ასეთი სიმძიმისაგან განთავისუფლდა. რაც შეეხება ინგლისის მშრომელებს, საბჭოთა კავშირ-ინგლისის ანტიჰიტლერულ თანამშრომლობაში ისინი ფაშისტური უღლის საშიშროების თავიდან აცილების ერთ-ერთ გამოსავალს ხედავდნენ. ამიტომ მათი სოლიდარობა საბჭოთა ხალხისადმი გულწრფელი იყო.

1941 წლის 23 ივნისს აშშ-ის პრეზიდენტმაც განაცხადა, რომ აშშ დახმარებას გაუწევს სსრ კავშირს გერმანიის წინააღმდეგ ომში, ხოლო 24 ივნისს რუზველტის მთავრობამ მოხსნა სექვესტრი საბჭოთა ფონდებიდან (სექვესტრი ჩვენ ფონდებზე ამერიკაში საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს იქნა დადებული).

1941 წლის 12 იულისს მოსკოვში დაიდო ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება ამ ორი სახელმწიფოს მიერ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის ერთიანი ძალებით წარმოების შესახებ. მართალია, მოსკოვის შეთანხმებით ინგლისის მთავრობამ თავი აარიდა თავის კონკრეტულ ვალდებულებებს, მაგრამ აღნიშნულმა შეთანხმებამ ხელი შეუწყო ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის თანამშრომლობის განვითარებას ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. 1941 წლის ივლისში საბჭოთა მთავრობამ ლონდონში მყოფ ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობებთან ხელი მოაწერა შეთანხმებაზე, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის წინააღმდეგ ომში ურთიერთდახმარებას და მხარდაჭერას და აგრეთვე სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის სამხედრო ნაწილების შექმნას. მათ საომარი ოპერაციები გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობის ხელმძღვანელობით უნდა ეწარმოებინათ.

1941 წლის 9—14 აგვისტოს ატლანტიკის ოკეანეში ნიუფაუდლენდის კუნძულთან სამხედრო გემზე „პრინც უელსზე" მოხდა შეხვედრა აშშ პრეზიდენტ ფ. რუზველტისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილისა, რომელთაც ატლანტიკის ქარტია გამოაქვეყნეს. ქარტია უარს ამბობდა სხვისი ტერიტორიების დაპყრობაზე, სცნობდა ხალხთა სუვერენულ უფლებებს თავისი სურვილისამებრ მმართველობის ფორმის ამორჩევაზე, აცხადებდა, რომ იბრძოლებდა ფაშისტ-აგრესორთა უღლის მოსპობისათვის და აგრესორთა განიარაღებისათვის, ომის შემდეგ სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის და ა. შ.

რუზველტმა და ჩერჩილმა განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირისათვის სამხედრო საჭურველის მიწოდების საკითხი. ისინი შეთანხმდნენ, რომ სსრ კავშირისათვის დახმარების საკითხის განსახილველად მოსკოვში ჩატარებულიყო სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირი. საბჭოთა მთავრობამ ცნო ქარტიის ძირითადი პრინციპები. ატლანტიკის ქარტიას, მიუხედავად მისი ზოგიერთი უარყოფითი მხარეებისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიფაშისტური ძალების გაერთიანებისა და ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის საქმეში. მაგრამ ქარ-

ტიის პრინციპები დარღვეული იქნა ინგლის-ამერიკის მთავრობების მიერ მეორე მსოფლიო ომის და განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში.

1941 წლის 29 სექტემბრიდან — 1 ოქტომბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა სამი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც შემუშავებულ იქნა ინგლის-ამერიკის სახელმწიფოთა მხრივ საბჭოთა კავშირისათვის იარაღითა და სხვა საქონლით დახმარების გაწევის პროგრამა მომავალი 9 თვის განმავლობაში. მალე ამის შემდეგ აშშ მთავრობამ სსრ კავშირს მისცა ერთი მილიარდი დოლარი უპროცენტო სესხი და გაავრცელა მასზე ლენდ-ლიზის კანონი. (1941 წლის 7 ნოემბერს).

1942 წლის იანვარში ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა 26 სახელმწიფოს გაერთიანებული ერების დეკლარაცია ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების წინააღმდეგ ომში მონაწილეობისა და ატლანტიკის ქარტიისადმი მხარის დაპერის შესახებ. იმპერიალისტური იაპონიის მიერ ფაშისტური გერმანიის მხარეზე ომში ჩაბმის შემდეგ 1941 წლის დეკემბერში, ვაშინგტონში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის და აშშ მთავრობის მეთაურები ჩერჩილი და რუზველტი, რომელნიც შეთანხმდნენ, რომ 1942 წლის მეორე ნახევარში დაეწყოთ სამხედრო ოპერაციები დასავლეთ ევროპაში. შეთანხმდნენ აგრეთვე ინგლისის და აშშ მოქმედებათა კოორდინაციის შესახებ. მთავრობის მეთაურთა თათბირის პერიოდულად მოწვევის გარდა გადაწყდა შექმნილიყო გენერალური შტაბების უფროსთა საბჭო.

1942 წლის თებერვალში ზემოთ აღნიშნულმა სახელმწიფოებმა დადეს შეთანხმება, რომლითაც ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა ურთიერთ სამხედრო დახმარება გაეწიათ თავდაცვითი მასალებისა, მომსახურეობისა და ინფორმაციის გზით.

1942 წლის 26 მაისს ლონდონში ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომელმაც შესცვალა ამ ორ სახელმწიფოებს შორის 1941 წლის 12 ივლისს დადებული შეთანხმება. ხელშეკრულებით, რომელიც 20 წლის ვადით იქნა დადებული, ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა სამხედრო და სხვა სახის დახმარება გაეწიათ გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ და ურთიერთშეთანხმების გარეშე არ გაემართათ მოლაპარაკება გერმანიის არც ერთ მთავრობასთან, არ დაედოთ დროებითი ზავი ან სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ევროპაში. ორივე სახელმწიფო შეთანხმდა ერთმანეთთან და ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა სახელმწიფოებთან ეთანამშრომლათ ომის შემდგომ პერიოდში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

1942 წლის 11 ივნისს ვაშინგტონში სსრკ და აშშ შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა ერთმანეთისათვის დახმარებას სამხედრო მასალებით, მომსახურებით, ინფორმაციით, აგრეთვე ეკონომიურ თანამშრომლობას ურთიერთშორის, აშშ-ის ექსპორტის გაზრდას სსრ კავშირში.

ამრიგად, 1942 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა ანტიფაშისტურ სახელმწიფოთა კოალიცია, რომლის მთავარ ძალას სსრ კავშირი წარმოადგენდა. ინგლის-ამერიკის მმართველ წრეებს ესმოდათ, რომ საბჭოთა კავშირის გარეშე მათი ყველაზე საშიში კონკურენტის, ფაშისტური გერმანიის მწყობრიდან გამოყვანა შეუძლებელი იყო. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ ისინი იძულებული იყვნენ მხარი დაეჭირათ სსრ კავშირისათვის ფაშისტური ბლოკის

სახელმწიფოთა წინააღმდეგ. მართალია, ინგლის-ამერიკის ოფიციალურ წრეებს არც ომის დროს არ აუღიათ ხელი თავის მტრობაზე სსრ კავშირისადმი და ორივე სახელმწიფო არღვევდა თავის ვალდებულებას საბჭოთა კავშირისათვის სამხედრო საჭურვლის მიწოდებაზე, მაგრამ მათ პოზიციაზე დიდ გავლენას ახდენდა, არა მარტო ორ იმპერიალისტურ დაჯგუფებებს შორის არსებული წინააღმდეგობანი, არამედ აგრეთვე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ხალხთა ფართო ფენების მძლავრი მოძრაობა სსრ კავშირისათვის მხარდასაჭერად.

§ 27. ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური იტალიის აგრესიის ჩაფშვ

ახლო და შუა აღმოსავლეთში

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე, 1940 წლის ზაფხულიდან, გერმანია-იტალიის მთავარსარდლობა შეეცადა ხელთ ჩაეგდო ჩრდილო აფრიკა, ხოლო ხმელთაშუა ზღვაში — სტრატეგიული პუნქტები. იტალიის ჯარებმა ხელთ იგდეს ბრიტანეთის სომალი, სუდანი და დაიწყეს ლიბიიდან ეგვიპტეზე შეტევა. 1940 წლის დეკემბერში ინგლისის ჯარები გადავიდნენ კონტრშეტევაზე და გარეკეს იტალიელები კირენაიკიდან, სუდანიდან, კენიიდან, ბრიტანეთის და იტალიის სომალიდან, ხოლო 1941 წლის აპრილში შევიდნენ იტალიელების მიერ ჯერ კიდევ 1935 წელს მიტაცებულ ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში. 1941 წლის დასაწყისში გერმანელებმა იტალიელთა დახმარებისათვის ლიბიაში გადაისროლეს რამდენიმე დივიზია და 31 მარტს იტალია-გერმანიის გაერთიანებულმა ჯარებმა გენერალ რომელის სარდლობით დაიწყეს ახალი დიდი შეტევა ეგვიპტის მიმართულებით, რის შემდეგ ინგლისელები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ ეგვიპტის საზღვრებამდე და დაეტოვებინათ მათ მიერ დაკავებული ტერიტორია. ამავე დროს, იმავე წლის 3 აპრილს ფაშისტებმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს ერაყში და ხელისუფლების სათავეში თავისი აგენტი რაშიდ ჰაილანი ჩააყენეს. მაგრამ 1941 წლის ზაფხულში ინგლისის და თავისუფალი საფრანგეთის გაერთიანებული არმია გადავიდა შეტევაზე რის შედეგადაც იტალია-გერმანიის გაერთიანებული ჯარებისა და მათი აგენტებისაგან გაიწმინდა სირია და ლიბანი. ერაყელმა ხალხმა რაშიდ-ალი ჰაილანს ჭხარი არ დაუჭირა და იგი იძულებული გახდა საზღვარგარეთ გაქცეულიყო. ფაშისტური გერმანია ცდილობდა აგრეთვე ხელთ ჩაეგდო ირანის ნავთი და გამოეყენებინა მისი ტერიტორია სსრ კავშირის სამხრეთ საზღვრებში შესაჭრელად. აგრეთვე იმისათვის, რომ ირანიდან საშიშროება შეექმნა ინდოეთისათვის.

აღსანიშნავია, რომ ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის 1921 წელს დადებული შეთანხმების მეექვსე მუხლი ითვალისწინებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სახელმწიფო შეეცდებოდა ირანის ტერიტორიის გამოყენებას საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის, მაშინ უკანასკნელს უფლება ეძლეოდა შეეყვანა თავისი ჯარები ირანში ასეთი საშიშროების ლიკვიდაციის მიზნით. ირანის ტერიტორიაზე ჰიტლერის აგენტთა მთელი ხროვის გააქტიურება, რომელსაც თანაუგრძნობდა რეზა შახი, აძლიერებდა ასეთ საშიშროებას. ამის შესახებ საბჭოთა მთავრობამ სამჯერ გააფრთხილა (1941 წლის 26 ივნისს, 19 ივლისს და 16 აგვისტოს) ირანის მთავრობა. ირანის მთავრობა კი ასეთი გაფრთხილების შემდეგაც ჰიტლერელთა აგენტების საქმიანობისათვის ხელის შეწყობას განაგრძობდა. 1941 წლის 26 აგვისტოს საბჭოთა მთავრობა თავდაც-

ცის მიზნით იძულებული გახდა დროებით შეეყვანა თავისი ჯარები ირანის ჩრდილოეთ ნაწილში, რათა ლიკვიდაცია ექნა ასეთი საშიშროებისათვის. ერთსა და იმავე დროს ირანის სამხრეთ ნაწილში შეყვანილ იქნენ ინგლისის ჯარებიც, ხოლო ცოტა გვიან აშშ-ის.

1942 წლის 29 იანვარს სსრ კავშირმა და ინგლისმა ირანთან დადეს ხელშეკრულება, რომლითაც მათ ვალდებულება იკისრეს პატივი ეცათ ირანის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის და დაეცვათ იგი ჰიტლერელთა აგრესიისაგან, ხოლო ირანი კი ვალდებულებას კისრულობდა ეთანამშრომლა ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფოებთან და შესულიყო ანტიჰიტლერულ კოალიციაში. ამ აქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომლის შედეგად ჰიტლერული გერმანიის ზრახვები, რომ გამოეყენებინა ირანის ტერიტორია და რესურსები თავისი აგრესიული მიზნებისათვის, ჩაიშალა.

§ 28. ფაშისტური გერმანიის ჯარების განადგურება მოსკოვთან

1941 წლის შემოდგომისათვის გერმანელთა ჯარები ღრმად შეიჭრნენ საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიაზე. ისინი დაეუფლენ მთელ ბალტიისპირეთს, ბელორუსიას,მოლდავეთს, უკრაინასა და ყირიმის ნაწილს, კარელია-ფინეთის დიდ ნაწილს და შემოიჭრნენ რუსეთის სფსრ ტერიტორიაზე. მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ომამდე ცხოვრობდა სსრკ მოსახლეობის 40%. იგი იძლეოდა ქვანახშირის 63%, თუჯის 68%, ფოლადის 58% და ა. შ. გერმანელთა ჯარების ცდები, რომ ხელში ეგდოთ ლენინგრადი, დონბასი და მოსკოვი, კრახით დამთავრდა. გერმანელთა ჯარი აწყდებოდა რა საბჭოთა არმიის დიდ წინააღმდეგობას, უფროდაუფრო სუსტდებოდა, საბჭოთა ჯარები კი იზრდებოდნენ და ძლიერდებოდნენ. 4 თვის ბძოლის განმავლობაში გერმანელებმა 4,5 მილიონი კაცი დაჰკარგეს.

1941 წლის სექტემბრისათვის გერმანელებს იმდენი ძალები აღარ ჰყავდათ, რომ შეტევები მთელი 3 ათასიანი კილომეტრის ფრონტით ეწარმოებინათ. დიდმა ზარალმა გერმანია აიძულა მთელი ფრონტით შეტევის ნაცვლად დარტყმები ცალკეულ მნიშვნელოვან მიმართულებებით — ლენინგრად-ტიხვინის როსტოვისა და მოსკოვისაკენ ეწარმოებინა. მოსკოვის მიმართულებით შეტევა გერმანიის სარდლობას ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად და გადამწყვეტად მიაჩნდა. მოსკოვის ხელთ ჩაგდება ჰიტლერული გერმანიისათვის არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური პრესტიჟის საკითხიც იყო — მოსკოვის აღება გადაწყვეტდა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში იაპონიისა და თურქეთის ჩაბმას.

აღსანიშნავია, რომ იაპონიის სარდლობას შემუშავებული ჰქონდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმა სახელწოდებით „კანტოკუენი" (ქვანტუნის არმიის ძირითადი მანევრები), რომელიც იაპონიის ომში ჩაბმას მოსკოვის დაცემის შემდეგ ითვალისწინებდა. გერმანელების მიერ მოსკოვის აღებამდე კი იაპონელებს ომში ჩაბმა არ უნდოდათ. ჰიტლერი იაპონიის ელჩს გერმანიაში მოსკოვის აღებას 1941 წლის 12 ოქტომბრისათვის შეპირდა. მოსკოვის დაცემის შემთხვევაში ჰიტლერს იმედი ჰქონდა, რომ სსრ კავშირს ზურგიდან იაპონია დაარტყამდა და ამით ომის დამთავრება სსრ კავშირთან დაჩქარდებოდა, მაგრამ მისი ვარაუდები არ გამართლდა.

მოსკოვის მიმართულებით გერმანელებმა თავი მოუყარეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მყოფ თავისი დივიზიების 50%-ს, სატანკო ნაწილების

84%-ს, მოტორიზებული დივიზიების 66%-ს და ავიაციის 50%-ზე მეტს. გერმანელებმა ძლიერი დარტყმა მოამზადეს, მაგრამ უფრო ძლიერი მათ ჩვენი ჯარისაგან მოელოდათ. „ჩრდილოეთის დაჯგუფებას“ უნდა შემოეტია ჩრდილოეთიდან კლინ-დმიტროვის მიმართულებით, „სამხრეთისას“ ორიოლ — ტულა — კაშირის მიმართულებით, „ცენტრს“ მოჟაისკ-მოსკოვის მიმართულებით. „ცენტრის“ ჯგუფში ყველაზე მეტი ძალები იყო კონცენტრირებული — აქ მოქმედებდა 77 დივიზია, აქედან 22 სატანკო და მოტორიზირებული.

1941 წლის 30 სექტემბერს გერმანელთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ („ტაიფუნის ოპერაცია“). ჰიტლერს და მის სარდლობას ეშვიც არ ეპარებოდათ მოსკოვის დაცემასა და საბჭოთა ჯარების განადგურებაში.

3 ოქტომბერს, ჰიტლერმა, რომელიც არ დაელოდა ბრძოლის შედეგს, ბერლინის გაზეთებში განაცხადა: მტერი უკვე განადგურებულია და ვერასოდეს ვერ აღადგენს თავის ძალებს“. 12 ოქტომბერს ჰებელსმა გაზეთებს მითითება მისცა დაეტოვებინათ ადგილი მოსკოვის დაცემის ცნობისათვის, მაგრამ ეს ცნობა, არც მაშინ და არც შემდეგ არ გამოქვეყნებულა. შეტევიდან ერთი თვის განმავლობაში ჰიტლერელებმა დიდი დანაკარგის ფასად მოსკოვისაკენ 200 კმ-ით წაიწიეს და აიღეს ქალაქები: ვიაზმა, მოჟაისკი, კალინინი, ორიოლი. 12-დან — 30 ოქტომბრამდე გერმანელებმა მოსკოვთან 70 ათასი კაცი დაჰკარგეს. ოქტომბრის ბოლოს გერმანელთა შეტევები ჩვენი ჯარების გმირული ბრძოლების შედეგად შეჩერებულ იქნა ოსტაშკოვ-კალინინის, ვოლოკოლამსკის, ნარო-ფომინსკის, ალექსინის, ტულის ხაზზე. მტრის პირველი შეტევა მოსკოვზე შეჩერებულ იქნა. როდესაც „ცენტრის“ ჯგუფი მოსკოვს უტევდა, „სამხრეთის“ ჯგუფმა დაიწყო შეტევები დონბასისა და ყირიმის მიმართულებით, ხოლო 16 ოქტომბრიდან შეტევაზე გადავიდა „ჩრდილოეთის“ ჯგუფიც ტიხვინის მიმართულებით. ოქტომბერში საბჭოთა ჯარები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ დონბასი და დონის როსტოვისაკენ დაეხიათ. ყირიმში გერმანელებმა ხელთ იგდეს პერეკოპის ყელი, რის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დაიხიეს სევასტოპოლისაკენ, ნაწილმა კი ქერჩის ნახევარკუნძულისაკენ. 5 ნოემბრიდან დაიწყო სევასტოპოლის გმირული დაცვა. მეორე გენერალური შეტევა გერმანელებმა 15—16 ნოემბერს დაიწყეს და წინ წაიწიეს იმდენად, რომ ზოგიერთ ადგილებში მოსკოვს 25—30 კმ-ის მანძილზე მიუახლოვდნენ. საბჭოთა ჯარებმა მოსკოვის მისადგომებთან აქტიურ თავდაცვით ბრძოლებში დაქანცეს და დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს. ამავე დროს, საბჭოთა სარდლობა მტრის წინააღმდეგ დიდ კონტრშეტევით დარტყმას ამზადებდა. მოსკოვში და მის მიდამოებში თავმოყრილი იყო დიდი სარეზერვო ნაწილები, რომლის არსებობის შესახებ გერმანელებს ეშვი არ ჰქონდათ. მაშინ, როდესაც გერმანელებს ეგონათ, რომ მიაღწიეს თავის მიზანს, საბჭოთა ჯარები 5—6 დეკემბერს დიდ კონტრშეტევაზე გადავიდნენ, გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გატეხეს რა მტრის წინააღმდეგობა, გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს მას და 1942 წლის თებერვლისათვის განდევნეს მოსკოვიდან 120—400 კმ-ს მანძილზე. მარტო 6 დეკემბრიდან 1942 წლის 15 იანვრამდე მოსკოვთან გერმანელებმა დაკარგეს 300 ათასი კაცი. ჩვენმა ჯარებმა მთლიანად გაათავისუფლეს მოსკოვის და ტულის ოლქები და კალინინის, ლენინგრადის, ორიოლის და სმოლენსკის ოლქები. მაგრამ თვითონ ქალაქი ლენინგრადი ძალზე მძიმე მდგომარეობაში იყო, იგი გერმანელებმა ბლოკადაში მოაქციეს. კარგ წარმა-

ტებებს მიაღწიეს ჩვენმა ჯარებმა დონის როსტოვის და ტიხვინის მიმართულებით. მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურების შემდეგ ჰიტლერმა გადაყენა ქვეითი ჯარების მთავარსარდალი გენერალი ბრაუჰიჩი და თვითონ აიღო ეს ფუნქციები. გადაყენებულ იქნა აგრეთვე სატანკო არმიების გენერლები — სულ 35 გენერალი. მოსკოვთან დამარცხების შემდეგ სამხედრო ეკონომიკა კონცენტრირებულ იქნა მთლიანად მსხვილი მონოპოლიების ხელში. 1942 წლის მაისში შეიქმნა შეიარაღების საბჭო, რომლის შემადგენლობაში გენერლებისა და ადმირალების გარდა შევიდნენ მსხვილი მონოპოლიები.

მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურებას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩაიშალა გერმანელთა მთელი სტრატეგიული და ე. წ. „ელვისებური ომის" წარმოების გეგმა. მოსკოვთან დამარცხებამ ჩაშალა გერმანელთა ყოველგვარი იმედი სსრ კავშირის წინააღმდეგ საყოველთაო კოალიციის შექმნისა, გაფანტა მითი ფაშისტური არმიის „უძლეველობის" შესახებ, აამაღლა სსრ კავშირისა და მისი არმიის საბრძოლო სულისკვეთება და ჩაუნერგა მათ ფაშისტური გერმანიის განადგურების გარდაუვალობის რწმენა, ლიკვიდაცია უყო ძალთა იმ უთანასწორობას ომის პერიოდში, რომელიც შეიქმნა ფაშისტთა უეცარი თავდასხმის გამო. მოსკოვთან ჩვენი ჯარების გამარჯვების საერთაშორისო მნიშვნელობა მდგომარეობდა შემდეგში — ბრძოლისათვის აღაფრთოვანა ჰიტლერელების მიერ დამონებული ევროპის ხალხები, გააძლიერა ფაშიზმის ძალებისადმი მათი წინააღმდეგობის უნარი, განმტკიცდა ანტიჰიტლერული კოალიცია.

§ 20. ხალთარი მოქმედების დასაწყისი წყნარი ოკეანის აუზში

იაპონიის აგრესია შორეულ აღმოსავლეთში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე დაიწყო. იაპონელებმა ისარგებლეს რა ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის მთავრობების წაყრუებისა და წაქეზების პოლიტიკით, ჯერ კიდევ 1931 წელს დაიწყეს თავისი აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ, რომელსაც წაართვეს მანჯურია და შექმნეს იქ მარიონეტული ე. წ. „მანჯოუგოს" სახელმწიფო. 1937 წელს იაპონიამ ახალი აგრესია დაიწყო ჩინეთის წინააღმდეგ. ისარგებლა რა საფრანგეთის დამარცხებით ომში, იაპონიის მთავრობამ 1941 წლის 21 ივლისს „ვიშის მთავრობა" აიძულა ხელი მოეწერა მასთან შეთანხმებისათვის ინდო-ჩინეთის „ერთიანი ძალით დაცვის" ფაქტიურად კი ინდო-ჩინეთის იაპონიისათვის გადაცემის შესახებ.

ასეთივე ზრახვები ჰქონდა იაპონიას ინდონეზიისადმი, მაგრამ ჰოლანდიის კოლონიურ ხელისუფლებას ინდონეზიაში მხარი დაუჭირა აშშ-მა, რის გამოც თავის განზრახვაზე იაპონიამ დროებით ხელი აიღო. ამავე დროს, იაპონია შეუდგა გაფაციცებულ მზადებას მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების მხარეზე ჩაბმისათვის და ინგლის-ამერიკის წყნარი ოკეანის სამფლობელოების ხელში ჩასაგდებათ. აღსანიშნავია, რომ ინგლის-ამერიკის მთავრობებისათვის ცნობილი იყო, რომ მათ წინააღმდეგ იაპონიის აგრესია მზადდებოდა, მაგრამ არასაკმარისად მიიღეს ღონისძიებები თავისი ძალების გაზრდისათვის. იაპონიის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ფლოტი გაცილებით სჯარბობდა ინგლის-ამერიკის წყნარი ოკეანის აუზში მყოფ საზღვაო და საჰაერო ფლოტს.

იაპონია დიდხანს ემზადებოდა ინგლის-ამერიკის წყნარი ოკეანის სამფლო-

ბელოებზე თავდასხმისათვის, ამავე დროს იაპონიის იმპერიალიზმმა იმისათვის, რომ დაემალა თავისი სამზადისი, 1941 წლის ნოემბერში აშშ-ში გაგზავნა იაპონიის ყოფილი ელჩი გერმანიაში კურუსუ ვითომდაც ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობის საკითხების მოსაგვარებლად.

1941 წლის 7 დეკემბერს ხელით იაპონიის სამხედრო საზღვაო და სამხედრო საჰაერო ფლოტი, ომის გამოუცხადებლად, როგორც ეს ჩვეულია იაპონიის იმპერიალიზმს, თავს დაესხა ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტის მთავარ ბაზას პერლ-ჰარბორს (ჰავაის კუნძულები) და აგრეთვე მანილს, გუამს და ინგლისის კოლონია ჰონკონგს. ამ უეცარი თავდასხმით, იაპონიამ მწყობრიდან გამოიყვანა ამერიკისა და ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი ნაწილი წყნარი ოკეანის აუზში. გაბატონდნენ რა ზღვაზე და არ ხვდებოდნენ თითქმის არავითარ წინააღმდეგობას, იაპონელმა იმპერიალისტებმა ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში ხელთ იგდეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთელი რიგი ქვეყნები 150 მილიონიანი მოსახლეობითა და 3 მილიონი 860 ათასი კვ-კმ ტერიტორიით. ეს ქვეყნები იყო შემდეგი: ფილიპინები, ვიეტნამი, ტაილანდი, ბირმა, ინდონეზია. ჩინეთის სანაპიროზე იაპონელებმა ხელთ იგდეს აგრეთვე ინგლისის კოლონია ჰონკონგი, ხოლო ოკეანეში კუნძულები: გუამი, უეიკი, სოლომონის, ახალი ბრიტანეთი და სხვები. იაპონიამ უშუალო საშიშროება შეუქმნა ინდოეთსა და ავსტრალიას. იაპონიის ასეთი სწრაფი წარმატებები არა მისი სიძლიერით, არამედ იმით აიხსნება, რომ ინგლის-ამერიკის მმართველმა წრეებმა თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს აგრესორს, სამხრეთ-აღმოსავლეთის ხალხები არ გამოიყენეს მის წინაღმდეგ საბრძოლველად, ვინაიდან ამ ხალხის ეროვნული მოძრაობისა უფრო ეშინოდათ, ვიდრე იაპონიის იმპერიალიზმისა. იაპონიამ წამოაყენა ლოზუნგი „აზია აზიელებს", რომელიც თითქოს მიზნად ისახავდა აზიელების განთავისუფლებას ევროპელი კოლონიზატორებისაგან.

იაპონიასთან ერთად აშშ-ს ომი გამოუცხადეს გერმანიამ და იტალიამ. ამ ფაშისტურმა სახელმწიფოებმა 1941 წლის 11 დეკემბერს ხელი მოაწერეს ახალ სამხედრო პაქტს, რომლითაც ვალდებულებას კისრულობდნენ ერთად ეომათ ინგლისისა და აშშ-ს წინააღმდეგ მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით და ერთმანეთთან ურთიერთშეთანხმებისა და თანხმობის გარეშე ზავი არ დაედოთ თავის მოწინააღმდეგეებთან. აღსანიშნავია, რომ იაპონიასა და ჩინეთს შორის ომი 1937 წლიდან მიმდინარეობდა, ჩან კაი შის მთავრობამ კი იაპონიას ომი მხოლოდ 1941 წლის 9 დეკემბერს გამოუცხადა. ჩინეთმა ომი გამოუცხადა აგრეთვე გერმანიას და იტალიას. ინგლის-ამერიკის მხარეზე გამოვიდნენ აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნები, რომელთაც ფაშისტურ სახელმწიფოებს ომი გამოუცხადეს. წყნარ ოკეანეში იაპონიის აგრესიის დაწყებით საომარ მოქმედების არენა უფრო გაფართოვდა.

§ 30. ჰიტლერელთა განადგურება სტალინგრადთან

1942 წლის ზაფხულში გერმანიამ კვლავ მოახდინა მის განკარგულებაში მყოფი ევროპის მთელი რესურსებისა და ძალების მობილიზაცია, რამაც საშუალება მისცა მას საკმაოდ დიდი რაოდენობის ტექნიკა და ცოცხალი ძალა დაეგროვებინა და 1942 წლის ზაფხულში დიდი შეტევები განეხორციელებინა.

გერმანიის წარმატებებს 1942 წლის ზაფხულში იმ გარემოებამაც შეუწყო

ხელი, რომ ჩვენმა მოკავშირეებმა თავისი დაპირება 1942 წლისათვის დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ არ შეასრულეს.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირ-ინგლისის და საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებათა შედეგად მიღებულ ოფიციალურ დეკლარაციაში გარკვევით იყო ნათქვამი 1942 წლისათვის ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ. მაგრამ, მალე ამის შემდეგ, 1942 წლის იელისში ვაშინგტონში მომხდარ ინგლის-ამერიკის წარმომადგენელთა თათბირმა ახალი გადაწყვეტილება მიიღო მეორე ფრონტის, არა ევროპაში, არამედ აფრიკაში გახსნის შესახებ. თავისი საქციელის შენიღბვის მიზნით ინგლის-ამერიკის მთავრობის წარმომადგენლები იმას იმეორებდნენ, რომლის პროპაგანდას ფაშისტური პრესა ეწეოდა გერმანელთა პოზიციების ხიძლიერისა და მიუვალობის შესახებ ევროპაში. ინგლის-ამერიკას 1942 წელს მეორე ფრონტის გახსნის საშუალება ჰქონდა. მათ განკარგულებაში იყო 6 მილიონზე მეტი კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი, მაგრამ ინგლის-ამერიკის მმართველ წრეებს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდათ დაგეგმილი, თუ გერმანიაში შინაგანი კრახი მოხდებოდა, ან საბჭოთა კავშირი აღმოჩნდებოდა სამხედრო კრახის წინაშე.

1942 წლის აგვისტოში, სწორედ იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ფაშისტური ჯარების დიდი იერიშები მიმდინარეობდა, მოსკოვში სპეციალური მისიით ჩამოვიდა უ. ჩერჩილი, რომელმაც ინგლის-ამერიკის მთავრობების სახელით საბჭოთა მთავრობას აცნობა, რომ ევროპაში მეორე ფრონტს, არა 1942 წელს, არამედ 1943 წელს გახსნიდნენ.

გერმანიის მთავრობამ თავისი აგენტების საშუალებით იცოდა, რომ ინგლის-ამერიკა 1942 წლისათვის მეორე ფრონტის გახსნას ევროპაში არ აპირებდა, ამიტომ უკვე გაზაფხულისათვის დასავლეთ ევროპიდან აღმოსავლეთის ფრონტზე ათობით ახალი დივიზია გადმოიყვანა და აგრეთვე თავისი მოკავშირეებიც აიძულა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი დივიზიები გაეგზავნათ. გერმანიამ 1942 წლის ივნისისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 237 დივიზია გამოიყვანა, აქედან 20 სატანკო, 15 მოტორიზირებული და ცხენოსანი დივიზიები იყო. შემოდგომისათვის დივიზიების რაოდენობა გაზარდეს 266-მდე, აქედან 193 დივიზია გერმანული იყო. გარდა ამისა, გერმანელებმა საჰურელის წარმოების მნიშვნელოვნად გადიდების მიღწევაც შესძლეს.

ჩვენი ქვეყანა კვლავ დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, მტრის ხელში იყო სტრატეგიულად და ეკონომიურად დიდმნიშვნელოვანი რაიონები. მტერი მოსკოვიდან სულ რაღაც 120 კმ-ით იყო დაშორებული. ამრიგად, მტერი კვლავ ძლიერ და საშიშ ძალას წარმოადგენდა. გერმანიამ შეძლო თავისი ჯარების დასავლეთიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოსროლა, ჩვენი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილები კი იაპონიისა და თურქეთის თავდასხმის საშიშროების გამო სამხრეთისა და აღმოსავლეთის საზღვრებზე იმყოფებოდნენ.

1941 წლის ბოლოს და 1942 წლის დასაწყისში იაპონიის სახმელეთო ჯარების თითქმის ნახევარი და ავიაციის მესამედი კონცენტრირებული იყო მანჯურიაში, კორეასა და სამხრეთ სახალინზე, ან უკვე სსრ კავშირის საზღვრებთან. 1942 წლის იანვარში კვანტუნის არმია მილიონზე მეტ კაცს ითვლიდა, ხოლო იაპონიის ჯარების რიცხვმა კორეაში 135 ათას კაცს მიაღწია. მანჯურია-კორეის პლაცდარმზე იაპონელებს ჰყავდათ 1 ათასი ტანკი, 1700 საბრძოლო თვით-

მფრინავი, ეს მაშინ, როცა მთლიანად იაპონიის სახმელეთო ჯარები ამ დროისათვის 2260 ტანკსა და 5000 საბრძოლო თვითმფრინავს ითვლიდა.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მრეწველობა ამ დროს უკვე მთლიანად გარდაიქმნა სამხედრო ყაიდაზე და 1942 წლისათვის გაცილებით მეტ საჭურველს იძლეოდა, ვიდრე 1941 წლის დამლევს. გერმანელთა ზაფხულის შეტევების მთავარი ამოცანა იყო მოსკოვისათვის აღმოსავლეთიდან შემოვლა, ეოლგისა და ურალის რაიონების ცენტრიდან მოწყვეტა, ჩვენი ქვეყნის ნავთის რაიონების ბაქოს, მაიკოპის და გროზნოს ხელთ ჩაგდება და ჩვენი ძალების სამხრეთისაკენ მიზიდვა, შემდეგ კი სწრაფი შეტევით აღმოსავლეთიდან მოსკოვის ჩელთ ჩაგდება.

გერმანელთა შეტევები დაიწყო 1942 წლის გაზაფხულზე — მაისში და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მათ ქერჩი დაიკავეს, ხოლო ზაფხულში უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილი, დონბასი და გაიჭრნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. მაგრამ, მთავარ დარტყმას გერმანელები ვოლგის მიმართულებით აწარმოებდნენ, სადაც გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ისინი სექტემბრის შუა რიცხვებში სტალინგრადის განაპირა უბნებს მიადგნენ. გერმანელთა ჯარები, მიუხედავად დიდი ზარალისა და ჩვენი ჯარების შეუპოვარი და გააფთრებული წინააღმდეგობისა, ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, აეღოთ სტალინგრადი, რადგან ამას მათთვის არა მარტო სტრატეგიული, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვრებზე იაპონელთა ერთ მილიონზე მეტი არმია, ხოლო სამხრეთის საზღვრებზე ასეთივე რაოდენობის თურქეთის არმია გამზადებული იდგა და სტალინგრადის დაცემას ელოდებოდა.

მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს მტრების ვარაუდმა ამჯერადაც კრახი განიცადა. ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარ თავდაცვით ბრძოლებში მოქანცეს და გაამოფიტეს გერმანელთა ჯარები, ამავე დროს საბჭოთა მთავარსარდლობამ ახალი რეზერვები მოამზადა. 1941 წლის 18 ნოემბერს სტალინგრადის რაიონში საბჭოთა ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. გერმანელებისა და მისი მოკავშირეების რუმინეთის და იტალიის ჯარები 330 ათასი კაცის შემადგენლობით ალყაშემორტყმულ, და 1943 წლის თებერვალში, განადგურებულ იქნა. სტალინგრადთან ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 90 ათასი კაცი, მათ შორის 24 გენერალი და 2500 ოფიცერი ფელდმარშალ პაულიუსთან ერთად. ბრძოლის ველზე მოკლულთა სახით გერმანელებმა დაკარგეს 147200 კაცი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ ჩაიგდეს 750 თვითმფრინავი. 1550 ტანკი, 6700 ქვემეხი, 8135 ტყვიამფრქვევი, 90 ათასი შაშხანა, 61 102 ავტომანქანა და ა. შ.

სტალინგრადთან ჩვენი ჯარების დიადი გამარჯვების შემდეგ დიდი სამამულო ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხა დაიწყო ჩვენს სასარგებლოდ, რომელიც კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკისა და სტრატეგიის, ფრონტზე და ზურგში მისი ორგანიზატორული მუშაობის, საბჭოთა ხალხის თავგანწირული საბრძოლო გმირობისა და თავდადებული შრომის შედეგი იყო.

საბჭოთა ჯარების გამარჯვებას სტალინგრადთან უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო მეტად განამტკიცა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე, ბიძგი მისცა ფაშისტური უღლის ქვეშ მყოფი ხალხების ბრძოლის აღმავლობას თავისი განთავისუფ-

ლებისათვის და ბოლოს ჩაშალა იაპონიისა და თურქეთის თავდასხმის გეგმები საბჭოთა კავშირზე.

1943 წლის დასაწყისში ჩვენი ჯარები სტალინგრადის გარდა გადავიღნენ შეტევაზე სხვა ფრონტებზეც და ზოგიერთ ადგილებში წინ წაიწიეს 600—700 კმ-ის მანძილზე. გერმანელთა ჯარები განადგურებულ იქნენ დონზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, ვორონეჟთან და ველიკიე ლუკთან. გარდა ამისა, ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა. საბჭოთა არმიის ამ ძლევამოსილი შეტევების შედეგად განადგურებულ იქნენ გერმანელებისა და მისი მოკავშირეების- - იტალიის, უნგრეთის და რუმინეთის საუკეთესო დივიზიები. მთლიანად ზამთრის კამპანიის დროს განადგურებულ იქნა მტრის 100 დივიზია.

§ 31. ინგლის-ამერიკის ჯარების შეტევები ჩრდილოეთ აფრიკაში

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის მთავრობათა მოლაპარაკების შედეგად გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ ინგლის-ამერიკას მეორე ფრონტი ევროპაში უნდა გაეხსნა 1942 წლისათვის, მაგრამ ივლისში ინგლის-ამერიკის მთავრობათა წარმომადგენლების მორიგი შეხვედრის შემდეგ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება მეორე ფრონტის არა ევროპაში, არამედ აფრიკაში გახსნისა. ამასთანავე, ჩრდილოეთ აფრიკაში თავისი ჯარების გადასხმას ინგლის-ამერიკის მთავრობები ასაღებდნენ, როგორც მეორე ფრონტის გახსნას. ფაქტიურად, ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლის-ამერიკის ჯარების გაღასხმა არ წარმოადგენდა დიდ აუცილებლობას მეორე მსოფლიო ომის სწრაფად დამთავრებისათვის. აფრიკაში მოქმედებდა იტალია-გერმანიის სულ 11 დივიზია, რომელთაგან გერმანელებისა მხოლოდ 4 იყო. აღსანიშნავია, ისიც, რომ აფრიკაში მყოფმა ინგლისის ჯარებმა ჯერ კიდევ დესანტის გადასხმამდე, გენერალ მონტგომერის მეთაურობით 1942 წლის 23 ოქტომბერს დაიწყეს შეტევა და აიძულეს იტალია-გერმანიის ჯარები უკან დაეხიათ დასავლეთით. ამრიგად, აქ მოქმედი ინგლისის ჯარები, არა თუ უიმედო, არამედ, პირიქით, შემტევ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რის გამოც აქ ჯარების გადასხმის არავითარი აუცილებლობა არ იყო. ინგლის-ამერიკის ჯარების ჩრდილოეთ აფრიკაში გადასხმის მიზანი შემდეგი იყო: დასავლეთ ევროპიდან ლამაწშის სრუტის გადალახვით მეორე ფრონტის გახსნის მთავარი მოწინააღმდეგე ინგლისში ჩერჩილი იყო, ხოლო ამერიკაში ტრუმენი, რომელთაც უნდოდათ, რომ საბჭოთა კავშირი და გერმანია ამ ომში მაქსიმალურად დასუსტებულიყვნენ ომის რაც შეიძლება გაჭიანურებით.[1] ჩერჩილი მოითხოვდა სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში შეჭრას ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან, რათა აქ საბჭოთა ჯარების შეჭრა არ დაეშვათ და ევროპის ამ რაიონში ინგლისის გავლენა გაეძლიერებინათ. ინგლის-ამერიკის ჯარების ჩრდილოეთ აფრიკაში გადასხმის შემდეგ, 1943 წლის იანვარში, კასაბლანკაში (მაროკო) ერთმანეთს

[1] აშშ სენატის წევრმა შემდეგ ვიცე პრეზიდენტმა და ბოლოს ომის შემდეგ პრეზიდენტმა ტრუმენმა სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის მეორე დღეს განაცხადა: „თუ ჩვენ დავინახეთ, რომ გერმანია იგებს რუსეთს უნდა დავეხმაროთ, ხოლო თუ გამოირკვევა, რომ რუსეთი იგებს,' მაშინ უნდა გერმანიას დავეხმაროთ, და, ამრიგად, რაც შეიძლება უფრო მეტი ელიტონ ერთმანეთი."

შეხვდნენ ჩერჩილი და რუზველტი და თავისი ჯარების სიცილიაში გადასხმის გადაწყვეტილება მიიღეს, რაც მეორე ფრონტის გახსნას არ ნიშნავდა. ამრიგად, ინგლის-ამერიკის მთავრობამ კვლავ დაარღვია თავისი დაპირება დასავლეთ ევროპაში 1943 წლისათვის მეორე ფრონტის გახსნის შესახებ. 1942 წლის 6 ნოემბერს ინგლის-ამერიკის 700 ათასიანი არმია გენერალ ეიზენჰაუერის საერთო სარდლობით გადასხმულ იქნა საფრანგეთის მაროკოში და ალჟირში. აქ მყოფი ვიშის მთავრობის ჯარები მოკავშირეთა ჯარებს წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდა. მაგრამ ინგლის-ამერიკის ჯარებმა შეტევები განახორციელეს არა მაშინვე, არამედ მხოლოდ 1943 წლის 20—21 მარტიდან. ამასთანავე ბენ დე გოლისა და აფრიკაში მყოფი ვიშის მთავრობის ყოფილი ფრანგთა ჯარები შეუერთდა. საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის სათავეში დაყენებულ იქნა გენერალი დე გოლი, რომელიც საბჭოთა კავშირის, ინგლისის და აშშ-ის მთავრობებმა საფრანგეთის დროებით მთავრობად სცნეს.

მოკავშირეებმა შეტევები სამი მიმართულებით დაიწყეს: სამხრეთიდან შეტევდნენ ფრანგები, აღმოსავლეთიდან ინგლისელები, ხოლო დასავლეთიდან ამერიკელები. გერმანია-იტალიის ჯარები მიმწყვდეული იქნენ ზღვასთან და 12 მაისს კაპიტულაცია მოახდინეს.

ნიფელი არმიისა და მოკავშირეთა ჯარების გამარჯვებათა გავლენით იტალიაში კომპარტიის მეთაურობით მუსოლინის ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ძლავრი პარტიზანული ბრძოლა მიმდინარეობდა. იტალიამ თავისი კოლონიები დაკარგა და გერმანიის აგრარული ნედლეულის მიმწოდებელ დანამატ ქვეყნად გადაიქცა. იგი სამეურნეო და ფინანსურ რღვევას განიცდიდა, ხალხთა მღელვარება ზურგში, ხოლო ჯარებისა ფრონტზე მასობრივ ხასიათს ღებულობდა.

სწორედ ასეთ პირობებში, 1943 წლის ივნის-ივლისში, ინგლის-ამერიკელებმა დაიწყეს თავისი ჯარების გადასხმა კუნძულებზე: ლამპიონში, ლამპედუხაში, ლინოსა და სიცილიაში, სადაც ისინი თითქმის არავითარ წინააღმდეგობას არ წაწყდომიან.

იტალიის მმართველმა წრეებმა ცხადად დაინახეს, რომ იტალიამ ამ ომში კრახი განიცადა და გადასწყვიტეს მუსოლინის თავიდან მოშორება. 1943 წლის 25 ივლისს იგი დააპატიმრეს. მისი ადგილი არანაკლებმა რეაქციონერმა მარშალმა ბადოლიომ დაიკავა. მან ჩვენს მოკავშირეებთან მოლაპარაკება გამართა. 1943 წლის სექტემბრის დასაწყისში ინგლის-ამერიკის ჯარები გადასხმულ იქნენ სამხრეთ იტალიაში და ჩრდილოეთისაკენ წინ წაწევა დაიწყეს. 8 სექტემბერს იტალიამ დროებით ზავი დადო მოკავშირეებთან, ხოლო 13 სექტემბერს იტალიის მთავრობამ ომი გამოუცხადა გერმანიას. ფაშისტური გერმანიის ჯარები იტალიის მიერ კაპიტულაციისთანავე ამ ქვეყანაში შეიჭრნენ და მისი ჩრდილოეთი და ცენტრალური პროვინციები დაიკავეს. ამრიგად, უკვე 1943 წლისათვის ფაშისტური სახელმწიფოების ბლოკის დაშლა დაიწყო და გერმანიამ თავისი მთავარი მოკავშირე იტალია დაკარგა.

§ 32. საომარი მოქმედება 1943 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე

სტალინგრადთან დამარცხების შემდეგაც გერმანიის სარდლობა არ კარგავდა გამარჯვების იმედს და ფიქრობდა ყველაფერი თავიდან დაეწყო, ე. ი. 1943 წლის ზაფხულში კვლავ შეტევები განეხორციელებინა.

1943 წლის 15 აპრილს ჰიტლერმა დაამტკიცა სამხედრო-ოპერატიული გეგმა, რომელმაც „ციტადელის" სახელწოდება მიიღო. იგი ითვალისწინებდა საბჭოთა ჯარების განადგურებას კურსკის შვერილთან, რის შემდეგ გერმანიის სარდლობა იმედოვნებდა, რომ სტრატეგიული ინიციატივა კვლავ მათი ჯარების ხელში გადავიდოდა და ომის ბედს საბოლოოდ თავის სასარგებლოდ გადაწყვეტდა. „ციტადელის" ოპერაცია პოლიტიკურ ამოცანებსაც ისახავდა. სტალინგრადთან დამარცხების შემდეგ გერმანელთა ჯარების მორალური სულისკვეთება მნიშვნელოვნად დაეცა, ფაშისტური ხელმძღვანელობის პრესტიჟი შეირყა, ხოლო გერმანიის მოკავშირეების რწმენა კი გამარჯვებისადმი გაცარეულა. ამიტომ იყო, რომ „ციტადელის" ოპერაციის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ჰიტლერელები ერთდროულად სამხედრო და პოლიტიკური ამოცანების გადაჭრას ფიქრობდნენ. გამოცხადდა ტოტალური მობილიზაცია ლოზუნგით: „ტოტალური ომი — ყველაზე ხანმოკლე ომი". განხორციელდა საგანგებო ღონისძიებების მთელი სისტემა — მას ერთი მხრივ უნდა უზრუნველეყო ფრონტის მომარაგება მატერიალური საშუალებით, ხოლო მეორე მხრივ შეეესო ცოცხალი ძალის დანაკლისი. ამ მიზნით გამოცხადდა ყველა გერმანელის მობილიზაცია — მამაკაცების 16-დან 65 წლის ასაკის ჩათვლით, ქალებისა — 17-დან 45 წლის ასაკამდე. დაიხურა ის სამრეწველო საწარმოები და კომუნალური დაწესებულებები, რომელნიც სამხედრო საქმეს არ ემსახურებოდა, შემცირდა მოსახლეობის სურსათით მომარაგების ნორმები. მაგალითად, ხორცის ნორმა კვირაში 100 გრამი დაწესდა. მიღებულ იქნა ღონისძიებანი ნედლეულის, ელექტროენერგიის, სათბობის ეკონომიისათვის. ავტოტრანსპორტი გადაყვანილ იქნა გაზოგენერატორების დანადგარებზე. მოსახლეობის მომარაგება ქვანახშირით შემცირდა. გლეხებს აეკრძალათ ხელისუფლების ნებართვის გარეშე თავიანთი პროდუქციის გაყიდვა, საქონლის ან ფრინველების დაკვლა და ა. შ. წარმოებაში ფართოდ იყენებდნენ საზღვარგარეთის მუშებისა და სამხედრო ტყვეების შრომას, რომელთა რიცხვი 1943 წლისათვის 12 მლნ. კაცს სჭარბობდა. ამ ღონისძიებებით და დაპყრობილი ხალხების ძარცვით ჰიტლერელებმა დროებით გამოასწორეს თავიანთი მდგომარეობა. საომარი მასალების წარმოება კვლავ გაიზარდა, გამოშვებული იქნა ახალი სახის საბრძოლო ტექნიკა — ტანკების, თვითმფრინავების, ზარბაზნების. გერმანიის შეიარაღებული ძალები ითვლიდა 10,3 მლნ. ჯარისკაცსა და ოფიცერს, დივიზიათა რაოდენობა 294-მდე გაიზარდა. აქედან 196 დივიზია აღმოსავლეთის ფრონტზე იყო თავმოყრილი.

„ციტადელის" ოპერაციის განსახორციელებლად გერმნელებმა თავი მოუყარეს 900 ათას კაცს, (დაახლოებით 50 დივიზიას), 2 ათას თვითმფრინავს, 2700 ტანკს, 10 ათას ქვემეხს და ნაღმსატყორცნს.

ჰიტლერელთა შეტევის მიზანი იყო ჩვენი ჯარების განადგურება ორიოლ-

კურსკის შვერილთან, შემდეგ შეტევის წარმართვა აღმოსავლეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით და მოსკოვის ხელთ ჩაგდება, მაგრამ ამ დროისათვის სამამულო ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხა მოხდა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. საბჭოთა უმაღლესი სარდლობა დროულად მიხვდა გერმანელების განზრახვას და ძლიერი თავდაცვის ხაზები შექმნა აღნიშნული მიმართულებით. ამავე დროს კურსკისა და ბელგოროდის აღმოსავლეთით თავმოყრილი იყო ჯარებისა და საბრძოლო ტექნიკის დიდი სტრატეგიული რეზერვები. გერმანელთა ჯარები კურსკის მიმართულებით შეტევაზე 1943 წლის 5 ივლისისათვის გადავიდნენ. ჩვენმა ჯარებმა, მოქმედებდნენ რა უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ წინასწარ გათვალისწინებული სტრატეგიული გეგმის მიხედვით, აქტიურ თავდაცვით ბრძოლებში დიდი ზარალი მიაყენეს მტრის დამკვრელ დაჯგუფებებს, რის შემდეგ 12 ივლისს კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მოკლე ხნის განმავლობაში გაათავისუფლეს ორიოლი, ბელგოროდი, დონბასი და უკრაინის მარცხენა სანაპირო. გადალახეს რა დნეპრი, 1943 წლის 6 ნოემბერს ჩვენი ჯარები კიევში შეავიდნენ. ამრიგად, გერმანელთა ჯარებისაგან ჩვენი ტერიტორიის საყოველთაო განთავისუფლება დაიწყო. 1943 წელი სამამულო ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხის წლად ითვლება. 1943 წლის გამარჯვებებს საერთაშორისო მნიშვნელობა ქონდა. ფაშისტების მიერ ოკუპირებული ყველა ქვეყანაში გაიშალა სახალხო პარტიზანული მოძრაობის ხანძარი, დაიწყო ფაშისტური ბლოკის დაშლა. გერმანიის ცდები ინგლისთან და აშშ-თან სეპარატიული ზავის დაღებისა ჩაიშალა. საბჭოთა კავშირის სამხედრო და სამეურნეო წარმატებებმა ჩვენი მოკავშირეები აიძულა გერმანიისა და მისი ვასალების წინააღმდეგ უფრო აქტიურ ბრძოლაზე გადასულიყვნენ. 1943 წლის გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირის, როგორც ანტიჰიტლერული კოალიციის ხელმძღვანელის როლი გაიზარდა, გაიზარდა მისი როლი საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში, რამაც დააჩქარა სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა კონფერენციის მოწვევა.

სამი სახელმწიფოს—სსრ კავშირის, აშშ და ინგლისის მთავრობების მეთაურთა თეირანის კონფერენცია

სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და აშშ თეირანის კონფერენცია მიმდინარეობდა 1943 წლის 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე. მთავრობის მეთაურების სტალინის, რუზველტის და ჩერჩილის გარდა თეირანის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აღნიშნული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები და გენერალური შტაბის უფროსები. კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნისა არა უგვიანეს 1944 წლის 1 მაისისათვის.

კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედებისა და ომის შემდგომი თანამშრომლობის შესახებ. კონფერენციაზე გერმანიის საკითხის განხილვის დროს აშშ პრეზიდენტმა რუზველტმა შემოაყენა გერმანიის ხუთ ნაწილად დაყოფის გეგმა. ჩერჩილის გეგმით გერმანიას უნდა გამოყოფოდა პრუსია, ხოლო სამხრეთ გერმანიის პროვინციები კი შეეყვანათ „დუნაის ფედერაციაში". საბჭოთა დელეგაციამ დაგმო ეს ორივე გეგმა და მოითხოვა, რათა შექმნილიყო ერთიანი მშვიდობისმოყვარე დე-

მოკრატიული გერმანია. გერმანიის ომის შემდგომი მოწყობის საკითხი გადაეცა ევროპის საკონსულტაციო კომისიას. კონფერენციის მიერ მიღებული დეკლარაცია ირანის შესახებ კვლავ ადასტურებდა ირანის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ ხელშეუხებლობას და სამივე სახელმწიფოს მზადყოფნას გაეწიათ ირანისათვის ეკონომიური დახმარება. თეირანის კონფერენციამ ანტიჰიტლერული კოალიციის თანამშრომლობა კიდევ უფრო განამტკიცა და ჰიტლერელების იმედები მოკავშირეთა ბანაკის გათიშვაზე ჩაშალა.

§ 38. 1944 წელი საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაბარჯვების გადამწყვეტი წელია

საბჭოთა ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებათა წყალობით ფაშისტების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში უფრო და უფრო ძლიერდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ე. წ. „ახალი წესის" წინააღმდეგ. გერმანიის ფაშიზმს, რომლის სამხედრო მდგომარეობა უარესდებოდა, მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეჩერება აღარ შეეძლო. მას არ შეეძლო აგრეთვე ფაშისტური ბლოკის დაშლის პროცესის შეჩერებაც. 1944 წლის დამდეგისათვის ოკუპანტების ხელში იყო: ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, კარელია-ფინეთის, მოლდავეთის, ყირიმისა და უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილი. იმის გამო, რომ მეორე ფრონტი ჯერ არ იყო გახსნილი, გერმანიას ჩვენს ტერიტორიაზე 1944 წლის დამდეგისათვის ჰყავდა 236 დივიზია და 18 ბრიგადა. მიუხედავად ამისა 1944 წელს ჩვენმა ჯარებმა მთელი რიგი გრანდიოზული ოპერაციები განახორციელეს, რომლის მთავარი მიზანი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან მტრის განდევნა იყო.

1944 წლის იანვარში საბჭოთა ჯარებმა ლენინგრადსა და ნოვგოროდთან გერმანელები გაანადგურეს და ლენინგრადის ოლქი გაანთავისუფლეს. ჩვენი ჯარების გამანადგურებელი შეტევების შედეგად მტერი განდევნილ იქნა ბელორუსიიდან, უკრაინიდან, ყირიმიდან, საბჭოთა კარელიიდან, ლიტვა, ლატვია, ესტონეთიდან. ამის შემდეგ საომარი ოპერაციები გადატანილ იქნა მტრის ტერიტორიაზე, რასაც ფაშისტური ბლოკიდან გერმანელთა მოკავშირეების ერთიმეორეზე გამოსვლა მოჰყვა.

1944 წლის 23 აგვისტოს ომიდან გამოვიდა რუმინეთი, ხოლო 25 აგვისტოს მან ომი გამოუცხადა გერმანიას. 5 სექტემბერს მას მიჰბაძა ფინეთმა, რომელმაც 1944 წლის 4 მარტს ომი გამოუცხადა გერმანიას. 1944 წლის 9 სექტემბერს ბულგარეთში მოხდა სახალხო აჯანყება, რომელმაც დაამხო ფაშისტური რეჟიმი, გასწყვიტა ურთიერთობა გერმანიასთან, ხოლო ოქტომბრის დამლევს ომი გამოუცხადა გერმანიასა და უნგრეთს.

უნგრეთი ჰიტლერულ ბლოკში 1944 წლის 28 დეკემბრამდე რჩებოდა, შემდეგ კი გერმანიასთან კავშირი გასწყვიტა და 1945 წლის 20 იანვარს მას ომი გამოუცხადა. ამრიგად, 1944 წელს ჩვენი ჯარების ძლევამოსილი დარტყმების შედეგად გერმანიამ ყველა თავისი მოკავშირე დაკარგა და საომარმა მოქმედებამ გერმანიის ტერიტორიაზე გადაინაცვლა.

მეორე ფრონტის გახსნა დასავლეთ ევროპაში

მას შემდეგ, რაც ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები დარწმუნდნენ იმაში, რომ საბჭოთა ჯარები ჰიტლერული გერმანიის განადგურებას და ევროპის დამო-

ნებული ხალხების განთავისუფლებას ფაშისტური უღლისაგან მეორე ფრონტის გახსნის გარეშეც შესძლებდნენ. ინგლისმა და აშშ 1944 წლის 6 ივნისს გახსნეს მეორე ფრონტი. ამრიგად, მათ დაარღვიეს თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილება მეორე ფრონტის არა უგვიანეს 1944 წლის 1 მაისამდე გახსნის შესახებ. ინგლის-ამერიკის ჯარები 6 ივნისს გენერალ აიზენჰაუერის საერთო ხელმძღვანელობით ლა-მანშის სრუტით გადასხმულ იქნა ნორმანდიაში, ხოლო აგვისტოს შუა რიცხვებში სამხრეთ საფრანგეთში, ტულონის რაიონში. ჩვენი მოკავშირეების ჯარების გადმოსხმა საფრანგეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ რაიონებში მათთვის მეტად ხელსაყრელ პირობებში მოხდა. გერმანელები, საბჭოთა ჯარების ძლევამოსილი შეტევების შედეგად იძულებული იყვნენ თავისი ჯარები დასავლეთიდან გადმოესროლათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, რის გამოც მათი კომუნიკაციები დასავლეთში სუსტად დაცული აღმოჩნდა. 1944 წლის ზაფხულისათვის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოქმედებდა მტრის 228 დივიზია და 23 ბრიგადა, აქედან გერმანიისა იყო 179 დივიზია და 5 ბრიგადა. დასავლეთ ევროპაში კი გერმანიას ჰყავდა 61 დივიზია, მათ შორის 10 სატანკო, მაგრამ ისინი ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი. აქ გერმანიას ჰყავდა 500 თვითმფრინავი. ჩვენმა მოკავშირეებმა ოპერაცია „ოვერლოდის" განსახორციელებლად ბრიტანეთის კუნძულებზე თავი მოუყარეს 37 დივიზიას და 12 ბრიგადას, საზღვაო ფლოტის ჭარბ ძალებს და 11 ათას საბრძოლო თვითმფრინავს. ამან საშუალება მისცა ინგლის-ამერიკის ჯარს თავისი შეტევები განევითარებინათ. ფრანგი ხალხი კომპარტიის ხელმძღვანელობით აჯანყებებს აწყობდა გერმანელთა წინააღმდეგ და თავის ტერიტორიას მოკავშირეთა ჯარების მისვლამდე ათავისუფლებდა. 18 აგვისტოს ფრანგმა პატრიოტებმა კომუნისტების მეთაურობით აჯანყება მოაწყვეს და პარიზი გაანთავისუფლეს, ხოლო 25 აგვისტოს განთავისუფლებულ პარიზში შევიდა საფრანგეთის დივიზია გენერალ ლეკლერკის მეთაურობით. ფრანგმა პარტიზანებმა გაანთავისუფლეს აგრეთვე მარსელი, ლიონი და ა. შ. პატრიოტების მიერ უკვე განთავისუფლებულ ბრიუსელში 1944 წლის სექტემბერში მოკავშირეთა ჯარები შევიდნენ, ხოლო შემდეგ ჰოლანდიაში შეიჭრნენ.

საფრანგეთის ტერიტორიის განთავისუფლების შემდეგ, „საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტმა" დროებითი მთავრობის სახელწოდება მიიღო, რომლის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ აგრეთვე წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლები. დროებითი მთავრობის მეთაური გახდა დე გოლი.

საბჭოთა კავშირსა და დროებით მთავრობას შორის დადებულ იქნა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება გერმანიის წინააღმდეგ ურთიერთდახმარებისა და ომის შემდგომ პერიოდში თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულება 20 წლის ვადით დაიდო.

მეორე ფრონტის გახსნამ გერმანიის მდგომარეობა ძალზე გააუარესა. დაწყებული 1944 წლის ივნისიდან გერმანიას ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა. მან დაკარგა ყველა თავისი მოკავშირე ევროპაში, მაგრამ გერმანიის მთავარი ძალები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იყვნენ კონცენტრირებულნი. გერმანიის მდგომარეობა სულ უფრო მეტად უარესდებოდა. ახლოვდებოდა, მისი, არა მარტო სამხედრო, არამედ ეკონომიური კატასტროფაც. 1944 წლის

მეორე ნახევრიდან დაიწყო გერმანიის სამრეწველო წარმოების დაცემა, გაძლიერდა ინფლაცია, სასურსათო სიძნელენი. გერმანიის ეკონომიური კრახის მთავარი მიზეზი ჩვენი ჯარების ძლევამოსილი გამარჯვება იყო. საბჭოთა ჯარების მიერ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლების შედეგად გერმანიამ 1944 წლის დამლევისათვის დაკარგა რკინის მადნის მარაგის 75 %-ზე მეტი და ნავთობის მარაგის ნახევარი, გერმანიამ დაკარგა აგრეთვე საფრანგეთის სამხედრო სამრეწველო ბაზა. გერმანიის ეკონომიკის დეზორგანიზაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჰიტლერელთა სამრეწველო რაიონების განუწყვეტელმა დაბომბვებმა ინგლის-ამერიკის ავიაციის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია იზოლირებული აღმოჩნდა და მისი მდგომარეობა უიმედო იყო, იგი მაინც არ აპირებდა იარაღის დაყრას და წინააღმდეგობას განაგრძობდა. გერმანიის ჯარების ფრონტზე დამარცხების შედეგად მწიფდებოდა პოლიტიკური კრიზისი, რომლის დაძლევას ფაშისტები დიმატებით და საგანგებო ტოტალური მობილიზაციის ჩატარების გზით ცდილობდნენ. ამავე დროს ფაშისტები იმედს არ ჰკარგავდნენ, რომ ინგლის-ამერიკასთან საერთო ენას გამონახავდნენ, მათი იარაღის შებრუნებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შესძლებდნენ. ამ მიმართულებით გერმანიის მხრიდან მოქმედებდა შაბტი, რომელიც შვეიცარიაში ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა ამერიკის დაზვერვის უფროსთან ევროპაში ალენ დალესთან.

1944 წლის 20 ივლისს გერმანიის გენერლების ჯგუფმა, რომელიც ხედავდა, რომ გერმანია უმწეო მდგომარეობაში მოექცა, ჰიტლერზე წარუმატებელი თავდასხმა მოაწყო იმ მიზნით, რომ მისი თავიდან მოშორებით ისეთი მთავრობა შეექმნათ, რომელიც ინგლის-ამერიკასთან საერთო ენის გამონახვას შეძლებდა. ამ შეთქმულების მონაწილეებს კონტაქტი ალენ დალესთან ჰქონდათ დამყარებული. ეს შეთქმულება ჰიტლერმა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ რეპრესიების კიდევ უფრო გაძლიერებისათვის გამოიყენა. 1944 წლის 18 აგვისტოს მოკლული იქნა გერმანიის მუშათა კლასის ბელადი და კომპარტიის მდივანი ერნსტ ტელმანი. ჰიტლერზე უშედეგო თავდასხმა ფაშისტებმა გამოიყენეს მასობრივი ტერორის გაძლიერებისათვის ქვეყნის შიგნით, როგორც ანტიფაშისტური მოძრაობის, ასევე ყველა უკმაყოფილო ელემენტების წინააღმდეგ. გესტაპოს ხელმძღვანელი და შინაგან საქმეთა მინისტრი ჰიმლერი დაინიშნა სარეზერვო არმიის სარდლად, რომელსაც დაევალა ყველა უკმაყოფილო ელემენტებისა და გერმანიაში მომუშავე საზღვარგარეთის მუშებსა და ტყვეებს შორის ყოველგვარი უკმაყოფილების ჩახშობა, 1944 წლის 30 ივლისს ჰიტლერის ბრძანებით ტერორისა და საბოტაჟის შესახებ, ყველა პიროვნება, რომელიც დაკავშირებული იყო ანტიფაშისტურ მოძრაობასთან. ფიზიკურად უნდა მოესპოთ. 20 ივლისის შეთქმულების ყველა მონაწილე მათ შორის 700 გენერალი და ოფიცერი დახვრეტილ იქნა. დიდი დარტყმა იქნა მიყენებული ანტიფაშისტური მოძრაობისადმი. რამდენიმე კვირის განმავლობაში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და მოკლეს 50 ათასი კაცი. ამ მასობრივ ტერორთან ერთად, ჰიტლერელებმა, იმ მიზნით, რომ აღედგინათ თავისი შელახული პრესტიჟი მყვირალა პროპაგანდა გააჩაღეს ე. წ. „სასწაული იარაღის“ გამოგონების შესახებ, რომელიც თითქოს მათ ჰქონდათ და ამზადებდნენ მტერზე გადამწყვეტი დარტყმისათვის.

ეს „სასწაული იარაღი“ გამოდგა თვითმფრინავი — ბომბი „ფაუ-1“ და რეაქტიული ბომბი „ფაუ-2“.

ჰიტლერელებმა „ფაუ-1“ გამოიყენეს ლონდონის დასაბომბავად ჯერ კიდევ 1944 წლის 13 ივნისს, ხოლო 1944 წლის სექტემბრიდან კი ინგლისის დაბომბვა დაიწყეს „ფაუ-2“-ით. სულ 9 ათასი „ფაუ-1“ გაუშვეს ინგლისზე, რომელთაგან ინგლისის სანაპირომდე მიაღწია $^2/_3$-მა, ხოლო ლონდონამდე $^1/_3$-მა, ჰიტლერელებმა ლონდონს დაარტყეს 3 ათასი „ფაუ-2“, ხოლო 2 ათასი ომის ბოლოს ანტვერპენს, ბრიუსელს და ლიეჟს. ამავე დროს, იმ მიზნით, რომ დაეშინებინათ ინგლის-ამერიკის მთავრობები და აეძულებინათ ისინი წასულიყვნენ მათთან ანტისაბჭოთა გარიგებაზე, 1944 წლის 17 დეკემბერს გერმანიის სარდლობამ დასავლეთის ფრონტზე განახორციელა შეტევები. გერმანელთა ჯარების ეს შეტევები წარმატებით წარიმართა, რის გამოც ინგლის-ამერიკის ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების საშიშროება შეიქმნა. გერმანელებმა ფრონტი გაარღვიეს 80 კმ-ის სიგანით და 100 კმ-ის სიღრმით. იანვრის დამდეგს გერმანელებმა ელზასში, (ვოგეზთან) კიდევ ერთი დარტყმა მიაყენეს ჩვენს მოკავშირეებს.

1945 წლის 6 იანვარს უ. ჩერჩილმა თხოვნით მიმართა ი. სტალინს, რათა ჩვენს ჯარებს დაეჩქარებინათ შეტევები აღმოსავლეთის ფრონტზე და ამით ინგლის-ამერიკის ჯარები განადგურებისაგან ეხსნათ. საბჭოთა მთავრობამ, რომელიც განუხრელად ახორციელებდა თავის მოკავშირულ ვალდებულებებს, ბრძანება გასცა ჩვენი ჯარების ვადაზე ადრე შეტევაზე გადასვლის შესახებ. 12 იანვარს საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ფართო ფრონტით — ბალტიის ზღვიდან კარპატებამდე. 1945 წლის თებერვლის დამლევს ჩვენმა ჯარებმა მთლიანად გაათავისუფლეს პოლონეთი, ჩეხოსლოვაკიის დიდი ნაწილი, დაიკავეს აღმოსავლეთ პრუსიის და გერმანიის სილეზიის დიდი ნაწილი, შეიჭრნენ პომერანიაში და მიუახლოვდნენ ბერლინის მისადგომებს. საბჭოთა ჯარების შეტევამ გერმანელები აიძულა შეეჩერებინათ თავისი შეტევები ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ და გადმოესროლათ დასავლეთის ფრონტიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დივიზიების მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩვენი ჯარების ამ ძლევამოსილი შეტევების შედეგად 1945 წლის დამდეგისათვის გერმანიის მიერ ომის გაგრძელების ეკონომიური და სამხედრო შესაძლებლობანი ამოიწურა. ქვანახშირის წარმოება თებერვალში 7 მლნ ტონამდე დაეცა, ე. ი. შეადგენდა ერთთვიური წარმოების $^1/_4$-ს. მკვეთრად დაეცა აგრეთვე ფოლადის წარმოება. მთლიანად მოიშალა ტრანსპორტი. კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობა. ამოიწურა ადამიანების რეზერვები ფრონტისა და მრეწველობისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1945 წლის დამდეგისათვის გერმანიას მაინც საკმაოდ დიდი ძალები ჰყავდა, მისი არმია ითვლიდა 7,5 მლნ. ჯარისკაცს, აქედან აღმოსავლეთის ფრონტზე 3,1 მლნ. კაცი იყო. რომელთა საბრძოლო განწყობილება ჯერ კიდევ ძლიერი იყო, მაგრამ ამ დროისათვის, როგორც რიცხობრივი, ასევე ტექნიკური უპირატესობა აშკარად ანტიჰიტლერული კოალიციის მხარეზე იყო. მარტო საბჭოთა კავშირმა ომის დროს ორჯერ მეტი საჭურველი აწარმოვა ვიდრე გერმანიამ. ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა მრეწველობამ აწარმოა 490 ათასი ქვემეხი, 102 ათასი ტანკი, 137 ათასი საბრძოლო თვითმფრინავი.

სსრ კავშირის, აშშ და ინგლისის სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა ყირიმის კონფერენცია

1945 წლის 4—11 თებერვალს ყირიმში (იალტაში) მიმდინარეობდა სამი დიდი სახელმწიფოს სსრ კავშირის, ინგლისის და აშშ მთავრობების მეთაურთა კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ი. სტალინი, ფ. რუზველტი და უ. ჩერჩილი. (მრავალრიცხოვანი თანმხლები პირებითურთ) კონფერენციამ დასახა გერმანიის სამხედრო განადგურების საბოლოო გეგმა და მისი უსიტყვო კაპიტულაციის პირობები. გერმანიის ტერიტორია უნდა ოკუპირებულიყო მოკავშირე ჯარების მიერ ზონების მიხედვით. გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილი შედიოდა საბჭოთა საოკუპაციო ზონაში, სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი აშშ-ის ზონაში, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი ინგლისაში. ბერლინიც უნდა გაყოფილიყო სამ საოკუპაციო ზონად. აღმოსავლეთ ბერლინი შევიდოდა საბჭოთა საოკუპაციო ზონაში, ხოლო დასავლეთ ბერლინი კი ინგლის-ამერიკის ზონაში. უმაღლეს ხელისუფლებას თავიანთ ზონებში განახორციელებდნენ სამი სახელმწიფოს ჯარების მთავარსარდლები, ხოლო იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელიც მთელ გერმანიას ეხებოდა, ეკისრებოდა საკონტროლო საბჭოს, რომელიც შედგებოდა მოკავშირე სახელმწიფოთა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლებისაგან.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის შესახებ, კონფერენციის გადაწყვეტილებაში ხაზგასმული იყო: „მხოლოდ მაშინ, როცა აღმოიფხვრება ნაციზმი და მილიტარიზმი, შეიქმნება იმის იმედი, რომ გერმანელი ხალხი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ერთა თანასაზოგადოებაში". კონფერენციის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ გერმანია, რომელიც პასუხისმგებელია ომის გაჩაღებაში, ვალდებულია ომში დაზარალებულ სახელმწიფოებს ზარალი აუნაზღაუროს. ომის შემდგომ პერიოდში მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დასაცავად კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შესახებ. ამ მიზნით გადაწყდა, რომ 1945 წლის აპრილში სან-ფრანცისკოში მოწვეულიყო გაერთიანებული ერების კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის. ყირიმის კონფერენციამ ცნო აგრეთვე მომავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში მუდმივი წევრების — ხუთი დიდი სახელმწიფოს: სსრ კავშირის, აშშ, ინგლისის, საფრანგეთის, ჩინეთის, ერთხმივობის პრინციპი.

ყირიმის კონფერენციაზე საბჭოთა მთავრობამ პოლონეთის დროებითი რევოლუციური მთავრობის ცნობას მიაღწია, პოლონეთის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრების საკითხი მის სასარგებლოდ გადაწყდა.

იალტის კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია ევროპის განთავისუფლების შესახებ, რომლითაც სამი დიდი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობდა შეთანხმებული პოლიტიკა გაეტარებინა ფაშისტური გერმანიის უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში, გაწია მათთვის ეკონომიური დახმარება, ხელი შეეწყო ამ ქვეყნების დემოკრატიზაციისა და სუვერენიტეტისათვის.

კონფერენცია შეთანხმდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შექმნაზე, რომელსაც უნდა მოეგვარებინა ომის შემდგომი საკითხები. ყირიმის კონფერენციაზე დადებულ იქნა აგრეთვე საიდუმლო შეთანხმება, რომელიც ითვა-

ლისწინებდა გერმანიასთან ომის დამთავრების 3 თვის შემდეგ საბჭოთა კავშირის იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმას.

ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ლახვარი ჩასცა ფაშისტური გერმანიისა და საერთაშორისო რეაქციის ცდებს, რომ გათიშვა შეეტანათ მოკავშირეებში და ინგლისსა და აშშ სეპარატული ზავი დაედოთ გერმანიასთან.

მაშინ, როდესაც სსრ კავშირი ზუსტად ახორციელებდა ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები თავიდანვე მისი დარღვევის გზას დაადგნენ.

§ 34. ფაშისტური გერმანიის კაპიტულაცია

1945 წლის გაზაფხულზე საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს უდიდესი მასშტაბის შეტევები, რომელთა მიზანი იყო მტრის საბოლოო განადგურება მის ბუნაგში. 1945 წლის მარტში ბელორუსიის პირველ და მეორე ფრონტის ჯარებმა განახორციელეს გიგანტური ოპერაციები. მათ მოუხვიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და ბრძოლებით გზა გაიკაფეს ბალტიის ზღვამდე. აპრილის დასაწყისში მთელი აღმოსავლეთ პომერანია საბჭოთა ჯარების ხელში აღმოჩნდა. 9 აპრილს ჩვენმა ჯარებმა აიღეს კენიგსბერგი.

1945 წლის მარტის დამლევს ჩვენი ჯარები შევიდნენ ავსტრიის ტერიტორიაზე, ხოლო 13 აპრილს ფაშისტებისაგან გაათავისუფლეს ვენა. 16 აპრილს ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვითი ხაზები ოდერსა და ნეისზე და დაიწყეს შეტევა ბერლინზე. 19 აპრილიდან 24 აპრილამდე ჩვენმა ჯარებმა ალყა შემოარტყეს ბერლინს და დაიწყეს ბრძოლები მისი აღებისათვის. ბერლინთან ბრძოლებში, რომელიც გააფთრებულ ხასიათს ატარებდა, ჩაბმული იყო 2,5 მლნ. კაცი, 6300 ტანკი, 8400 თვითმფრინავი, 41 ათასი საარტილერიო ქვემეხი. ბერლინის დასაცავად ფაშისტებს ყავდათ 1 მლნ. კაცი, 10 400 ქვემეხი, 1500 ტანკი, 3300 თვითმფრინავი. 2 მაისს ბერლინი აღებულ იქნა. ბერლინის აღებამდე კი, 30 აპრილს ჰიტლერმა თავი მოიკლა.

ჯერ კიდევ ბერლინის აღებამდე ჩვენი ჯარები მიიწევდნენ სწრაფად წინ, დასავლეთისაკენ. ამავე დროს ინგლის-ამერიკის ჯარებმა რაინის გადალახვის შემდეგ დაიწყეს წინ წაწევა ელბისაკენ. ტორგაუს რაიონში, ელბაზე მოხდა ისტორიული შეხვედრა ჩვენ ჯარებსა და ინგლის-ამერიკის ჯარებს შორის. ამის შემდეგ გერმანელთა ჯარები, რომელნიც იმყოფებოდნენ ჩრდილოეთით, მოწყვეტილ აღმოჩნდნენ სამხრეთ გერმანიაში და ჩრდილოეთ იტალიაში მყოფი ჯარებისაგან.

1945 წლის 8 მაისს გერმანიის სარდლობამ ბერლინში ხელი მოაწერა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

ჩრდილო და სამხრეთ გერმანიაში და აგრეთვე ჩრდილო იტალიაში მყოფმა გერმანელთა ჯარებმა იარაღი დაჰყარეს. რაც შეეხება პრაღაში მყოფ გერმანელებს, მათ უარი განაცხადეს იარაღის დაყრაზე. პრაღის მოსახლეობა აჯანყდა გერმანელთა წინააღმდეგ. მათ დასახმარებლად ბერლინიდან პრაღაში დაიძრა მესამე და მეოთხე გვარდიული სატანკო არმიები, რომელნიც 9 მაისს შეიჭრნენ ქალაქში და გაანადგურეს იქ მყოფი გერმანელთა გარნიზონები.

1945 წლის 5 ივნისს სსრ კავშირის, აშშ-ის, ინგლისის და საფრანგეთის

მთავრობებმა ხელი მოაწერეს გერმანიის დამარცხების დეკლარაციას და გერმანიაში უმაღლესი ხელისუფლების აღნიშნულ სახელმწიფოთა ხელში გადასვლას. ამავე დროს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საკონტროლო მექანიზმისა და გერმანიის ზონებად დაყოფის შესახებ. გერმანიის 1937 წლის 1 დეკემბრამდე არსებული საზღვრები ოთხ საოკუპაციო ზონად დაიყო.

სამი სახელმწიფოს მეთაურთა ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია

1945 წლის 17 ივლისს—2 აგვისტოს ბერლინში მიმდინარეობდა სამი დიდი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, აშშ-ის და ინგლისის მთავრობათა მეთაურების კონფერენცია.

კონფერენციის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა გერმანიის საკითხი. კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია, რომელიც აცხადებდა, რომ მოკავშირე სახელმწიფოები მიიღებენ ღონისძიებებს, რათა მოსპობილ იქნას გერმანიის ფაშიზმი და მილიტარიზმი, რომ გერმანიას არასოდეს არ შეეძლოს მუქარა შეუქმნას მეზობელ სახელმწიფოებს, ხალხის უშიშროების და მშვიდობის საქმეს. ოკუპაციის მიზანი უნდა ყოფილიყო გერმანიის მთლიანი განიარაღება და დემილიტარიზაცია ნაციონალისტური, ფაშისტური პარტიების დათხოვნა. სამხედრო მრეწველობის ლიკვიდაცია. დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ მოკავშირე ქვეყნები არ ისახავენ გერმანიის ხალხის მოსპობისა და დამონების მიზნებს. მათი მიზანია გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნა. ბერლინის კონფერენციამ დაამოწმა მანამდე მიღებული დეკლარაცია საკონტროლო მექანიზმის ამოცანისა და უფლებების შესახებ გერმანიაში. მისი მიხედვით უმაღლესი ხელისუფლება გერმანიაში უნდა განეხორციელებინა თავთავიანთ ზონებში თავიანთი მთავრობების ინსტრუქციის შესაბამისად საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლებს, ხოლო საერთო საკითხებზე საკონტროლო საბჭოს.

შეთანხმებით მკაცრად უნდა გატარებულიყო გერმანიის სამხედრო წარმოების შეზღუდვა და გერმანიის მრეწველობის დეკარტელიზაცია. მრეწველობა უნდა გადაყვანილიყო მშვიდობიან საწყისებზე. გერმანიაში იარაღის წარმოება აკრძალულ იქნა. გერმანიის კარტელები და მონოპოლიური გაერთიანებები, როგორც მილიტარიზმის საშიში კერა უნდა ლიკვიდირებულიყო. კონფერენციამ დაადგინა რეპარაციების მიღების წესი გერმანიისაგან. საბჭოთა კავშირს სარეპარაციო გადასახადი უნდა მიეღო საბჭოთა საოკუპაციო ზონიდან და აგრეთვე გერმანიის კაპიტალ დაბანდებიდან ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ფინეთში და აღმოსავლეთ ავსტრიაში. გარდა ამისა საბჭოთა კავშირი დასავლეთი გერმანიიდან დამატებით მიიღებდა ჩამორთმეული სამრეწველო მოწყობილობის მეოთხედ ნაწილს. საბჭოთა კავშირს თავის სარეპარაციო ნაწილიდან უნდა დაეკმაყოფილებინა პოლონეთის პრეტენზიები რეპარაციებზე, სამი სახელმწიფო შეთანხმდა გერმანიის სავაჭრო ფლოტის ურთიერთშორის თანასწორად განაწილების შესახებ.

ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებებით აღმოსავლეთ პრუსიის სანაპიროს ნაწილი კენიგსბერგით საბჭოთა კავშირს გადაეცა, ხოლო დანარჩენი კი პოლონეთს. პოტსდამის კონფერენციამ განიხილა პოლონეთის დასავ-

ლეთის საზღვრების საკითხი. პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრები დადგენილ იქნა ყირიმის კონფერენციის მიერ. ბერლინის კონფერენციამ პოლონეთის დასავლეთ საზღვრებად დაადგინა მდ. ოდერი და დასავლეთ ნეისი, რითაც აღდგენილ იქნა ისტორიული სამართლიანობა. სსრ კავშირის წინადადებით ბერლინის კონფერენციამ გადასწყვიტა დაეჩქარებინათ გერმანიის სამხედრო-დამნაშავეთა სასამართლო და დაესაჯათ ისინი. კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ფაშისტური ესპანეთი არ მიეღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან იტალიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან და ფინეთთან საზავო პირობების შემუშავება კონფერენციამ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დაავალა. კონფერენციამ მიიღო საიდუმლო გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა კავშირი ჩაბმულიყო ომში იაპონიის წინააღმდეგ.

ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ აშშ, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობები — მალე დაადგნენ ყირიმისა და ბერლინის კონფერენციების გადაწყვეტილებების დარღვევის გზას.

§ 86. საომარი მოქმედება წყნარი ოკეანის აუზში და იმპერიალისტური იაპონიის განადგურება.

როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ, იაპონიის იმპერიალისტები, ჩაებნენ რა ომში 1941 წლის 7 დეკემბერს, ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში ხელში ჩაიგდეს უზარმაზარი ტერიტორია 150 მილიონიანი მოსახლეობით. მაგრამ იაპონელთა წარმატებები არ იყო მათი სიძლიერის მაჩვენებელი. იგი აიხსნებოდა იმით, რომ იაპონიის აგრესიას ვერ უწევდნენ სათანადო წინააღმდეგობას ინგლის-ამერიკის სახელმწიფოები. 1942 წლის გაზაფხულიდან მდგომარეობა წყნარ ოკეანეში ნელა, მაგრამ თანდათანობით ინგლის-ამერიკის სასარგებლოდ იცვლებოდა.

იაპონელების ცდები, რომ ხელთ ჩაეგდოთ ავსტრალია, იმით დამთავრდა, რომ იაპონელებმა დიდ ზარალი ნახეს და უკან დაიხიეს. 1942 წლის ზაფხულიდან იაპონელთა შეტევა შეჩერებულ იქნა, ხოლო აგვისტოს დასაწყისში კონტრშეტევაზე ჩვენი მოკავშირეები გადავიდნენ. 1942 წლის დამდეგიდან საბჭოთა საზღვრებთან კონცენტრირებული იყო იაპონიის სახმელეთო ჯარების თითქმის ნახევარი. იაპონიის საუკეთესო დივიზიები შებოჭილი იყო ჩინეთშიც. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ამცირებდა იაპონიის შეირაღებული ძალების შეტევით, შემდგომ კი თავდაცვით შესაძლებლობებს მოკავშირეთა ჯარების წინააღმდეგ წყნარი ოკეანის კუნძულებსა და ბირმაში. ყველაფერი ეს ამსუბუქებდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მდგომარეობას. ამერიკა-ავსტრალიის გაერთიანებულმა ჯარებმა 1942 წლის 8 აგვისტოს დაიწყეს შეტევა სოლომონის კუნძულებზე.

ეს ბრძოლა გაჭიანურდა და 1943 წლის თებერვალში იაპონელთა დამარცხებით დამთავრდა. ამის შემდეგ. ინიციატივა ჩვენი მოკავშირეების მხარეზე გადავიდა. 1943 წლის დამდეგს ინგლის-ამერიკის ჯარები შეტევით ოპერაციებზე გადავიდნენ და მარშალისა და მარიანის კუნძულები დაიკავეს. 1944 წლის ოქტომბერში კი ამერიკის ჯარები გადასხმულ იქნა ფილიპინის კუნძულებზე. 1944 წლის 24—25 ოქტომბერში კუნძულ ლეიტესთან დიდი საზღვაო ბრძოლა იაპონიისა და ამერიკის ფლოტს შორის იაპონელთა დიდი ზარალით და დამარ-

ცხებით დამთავრდა. იაპონიამ დაჰკარგა 3 სახასო გემი, 4 ავიამზიდი, 10 კრეისერი, 9 ნაღმოსანი, 1 წყალქვეშა ნავი და მრავალი თვითმფრინავი. ამერიკელებმა დაჰკარგეს 2 ავიამზიდი და 2 ნაღმოსანი. ფილიპინის კუნძულების დაკავების შემდეგ ამერიკის ჯარებმა გზა გადაუჭრეს იაპონიის ჯარებს სამხრეთის ზღვების ქვეყნების მიმართულებით და მოსწყვიტეს იქ მყოფი ჯარები იაპონიის ტერიტორიას.

ამავე დროს აშშ ავიაციამ 1944 წლის ნოემბრიდან დაიწყო იაპონიის რეგულარული დაბომბვა. 3 თვიანი ინტენსიური ბრძოლების შემდეგ ამერიკელებმა 1945 წლის ივნისში აიღეს კუნძული ოკინავა. მაგრამ, მიუხედავად ამერიკელთა შეტევების წარმატებებისა, იაპონელების ხელში იმყოფებოდა ჩინეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც იაპონელებს ჩან კაი-შის გამყიდველური მოქმედების გამო, ომის წარმოება უხდებოდათ მხოლოდ ჩინეთის რევოლუციური 8 და 4 არმიების წინააღმდეგ, რომელთა სათავეში ჩინეთის კომუნისტები იდგნენ. გარდა ამისა იაპონიის მილიტარისტების ხელში თვით იაპონიის ტერიტორიაზე იყო კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი 60 დივიზია.

1945 წლის 26 ივლისს პოტსდამში ხელმოწერილ იქნა სამი სახელმწიფოს აშშ, ინგლისის და ჩინეთის დეკლარაცია, რომელიც მოითხოვდა იაპონიის უსიტყვო კაპიტულაციას. იაპონიამ უარჰყო პოტსდამის დეკლარაციის მოთხოვნები და უარი განაცხადა კაპიტულაციაზე.

პოტსდამის დეკლარაციას შეუერთდა საბჭოთა კავშირიც. მთელი დიდი სამამულო ომის განმავლობაში იაპონიის სარდლობა, არამც თუ იცავდა 1941 წლის აპრილში საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის დადებულ ნეიტრალიტეტის პაქტს, არამედ აგრესიულ აქტებს აწყობდა ჩვენი ქვეყნის მიმართ, რაც სსრ კავშირის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის ხასიათს ატარებდა. ამ პერიოდში იაპონელმა მილიტარისტებმა 118-ჯერ დაუშინეს ტყვია საბჭოთა ტერიტორიას, მოკლეს და დაჭრეს მრავალი საბჭოთა მოქალაქე. საბჭოთა შეიარაღებული ძალების შესახებ იაპონია სადაზვერვო ინფორმაციებს აწვდიდა ჰიტლერულ გერმანიას. იაპონიის სამხედრო ხროვა სსრ კავშირის შორეულ აღმოსავლეთის სანაპიროზე სამხედრო საზღვაო ფლოტის ბლოკირებას ახდენდა, ძირავდა, ცეცხლს უშენდა და აკავებდა საბჭოთა გემებს.

საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინა რა ყველა ეს გარემოება 1945 წლის 5 აპრილს მოახდინა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტის დენონსირება (გაუქმება).

1945 წლის 8 აგვისტოს ყირიმის და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებების შესაბამისად საბჭოთა მთავრობამ განაცხადა იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმის შესახებ. საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობდა სამოკავშირეო ვალდებულებების შესრულების მისწრაფებებით იაპონიის კაპიტულაციის დასაჩქარებლად, მეორე მსოფლიო ომის დასამთავრებლად. მას სურდა დაეცვა შორეული აღმოსავლეთის საზღვრები, გადაერჩინა ხალხები, მათ შორის თვით იაპონელები მსხვერპლისა და ტანჯვისაგან, დახმარებოდა აზიის ქვეყნებს განთავისუფლებულიყვნენ იაპონელი ოკუპანტებისაგან. იაპონიის წინააღმდეგ ომი სამართლიანი იყო.

გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ მოკავშირეთა საბოლოო გამარჯვება იაპონიაზე ჯერ კიდევ შორს იყო, რადგან მას დიდი ძალა ჰქონდა. 1945 წლის

აგვისტოში იაპონიის შეიარაღებული ძალები 7 მილიონ კაცს ითვლიდა. სერიოზული დანაკლისის მიუხედავად, მისი სამხედრო საზღვაო ფლოტი (412 ჩაძირული გემის ნაცვლად ააგეს 383) მაინც დიდი ძალა იყო. იაპონიაზე გამარჯვება მოითხოვდა მნიშვნელოვან დროს და მსხვერპლს. აღსანიშნავია, რომ ინგლის-ამერიკის სარდლობას იაპონიასთან ომის დამთავრება 1946—1947 წლებისათვის ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ საბჭოთა ჯარების გამანადგურებელმა დატყმებმა და იაპონიის რჩეული კვანტუნის არმიის განადგურებამ მკვეთრად შეამცირა ომის დამთავრების ვადები.

1945 წლის 9 აგვისტოს, ღამით, საბჭოთა ჯარებმა გადალახეს ჩვენი საზღვრები, შეიჭრნენ მანჯურიაში და ექვსი დღის განმავლობაში სერიოზული ზიანი მიაყენეს კვანტუნის არმიას, დაიპყრეს თექვსმეტი (ჩვიდმეტიდან) გამაგრებული რაიონი და მანჯურიის სიღრმეში 400 კილომეტრზე წაიწიეს. ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს იაპონიის რჩეული კვანტუნის არმია მანჯურიაში და განვითარეს რა შეტევები, გაათავისუფლეს იაპონიისაგან ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთი, სამხრეთ სახალინი, ქალაქები დალნი და პორტ-არტური, კურილის კუნძულები და შეიჭრნენ კორეაში.

ერთდროულად გრანდიოზულ შეტევებზე გადავიდნენ ჩინეთის სახალხო რევოლუციური მერვე არმია, რომელმაც გაათავისუფლა ჩრდილოეთ ჩინეთი. ხოლო ცენტრალურ ჩინეთში მე-4 არმია მიადგა ნანკინსა და შანხაის, ჩინეთის რევოლუციური არმიების წარმატებებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ჩან კაი შის ხროვასა და ინგლის-ამერიკის მმართველ წრეებში.

ჯერ კიდევ ჩვენი ჯარების იაპონიასთან ომში ჩაბმამდე, 1945 წლის 6 აგვისტოს დილის 8 საათზე და 15 წუთზე აშშ-ის თვითმფრინავმა ჩამოაგდო პირველი ატომური ბომბი იაპონიის ქალაქ ხიროსიმაზე. იმისათვის, რომ ატომის ბომბს რაც შეიძლება მეტი ზარალი და მსხვერპლი მოეტანა, იგი აფეთქებულ იქნა 600 მეტრი სიმაღლეზე. ამ აფეთქების შედეგი ასეთი იყო: 78150 კაცი მოკლული იქნა, 287 ათასზე მეტი კი დაიჭრა, დასახიჩრდა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა. 75 ათასი შენობიდან განადგურდა ან მთლიანად დაიწვა 62 ათასი. სამი დღის მერე, იაპონიის მეორე ქალაქ ნაგასაკში ატომის მეორე ბომბის აფეთქებით მოსპობილ იქნა 24 ათასი კაცი და დაიჭრა 23 ათასი. ასეთი იყო ორი ატომური ბომბის შემზარავი შედეგები. ამ მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენება ისიც მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ არ იყო გამოწვეული სამხედრო აუცილებლობით. ამერიკელების მიერ მისი გამოყენების მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დაეშინებინა მსოფლიოს ხალხები და დაემორჩილებინა ისინი ამერიკის იმპერიალისტების გავლენისათვის.

1945 წლის 28 აგვისტოს ამერიკამ გადასხა თავისი ჯარები იაპონიის ტერიტორიაზე, მაგრამ იაპონელებმა ფაქტიურად შესწყვიტეს წინააღმდეგობა და 1945 წლის 2 სექტემბერს ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციაზე, ტოკიოს ყურეში აშშ სახაზო გემ „მისურზე". ამ აქტით დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი, დამთავრდა იგი ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების განადგურებით.

§ 86. ნიურნბერგის და ტოკიოს სასამართლო პროცესები

ყირიმის და პოტსდამის კონფერენციებზე საბჭოთა მთავრობის წინადადების შედეგად მიღებული იქნა გადაწყვეტილება მეორე მსოფლიო ომის დამნაშა-

ვეების წინააღმდეგ საერთაშორისო გასამართლების მოწყობის შესახებ. 1945 წლის 8 აგვისტოს ლონდონში სსრ კავშირის, აშშ-ის, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობათა შეთანხმების შედეგად შექმნილი იქნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი. შემდეგ ამ შეთანხმებას კიდევ 19 სახელმწიფო შეუერთდა. საერთაშორისო სასამართლო პროცესი მოეწყო ნიურნბერგში (1945 წლის 20 ნოემბრიდან — 1946 წლის 1 დეკემბრამდე).

გასამართლებული იქნენ ჰიტლერული ბრბოს მოთავენი. მრავალრიცხოვანი მოწმეების წერილობითი და დოკუმენტური მასალების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ჰიტლერელებს წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი აგრესიული ომის გაჩაღება, საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის მილიონობით ადამიანის ფიზიკური განადგურება. ამ მიზნით მათ შექმნეს ადამიანების მასობრივად მოსპობის ფაბრიკები — საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც 12 მილიონი კაცი იქნა მოსპობილი. სასამართლომ დაადგინა ჰიტლერული ბანდის უდიდესი დანაშაული კაცობრიობის წინაშე. მან პირველად მსოფლიო ისტორიაში დაგმო აგრესიული ომი, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და გამოაშკარავა გერმანიის ფაშიზმის და ნაციზმის უდიდესი დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

მთელი კაცობრიობის სახელით საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა გესტაპო, სს, სდ და ნაცისტური პარტია დანაშაულებრივ ორგანიზაციებად გამოაცხადა. რაც შეეხება ჰიტლერულ მთავრობას, უმაღლეს მთავარსარდლობას და გენერალურ შტაბს, სასამართლომ აღიარა მათი პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი ომის წარმოებაში, მაგრამ მიუხედავად საბჭოთა მოსამართლის პროტესტისა, ისინი არ ცნო დანაშაულებრივ ორგანიზაციებად.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილის განაჩენი ჩამოხრჩობით გამოუტანა აგრესიის უშუალო ხელმძღვანელებს — იოდლსა და კეიტელს, საკონცენტრაციო ბანაკებში მილიონობით ადამიანების მოსპობის ერთ-ერთ ორგანიზატორს კალტენბრუნერს, პოლონეთის ჯალათს ფრანკს, ნიდერლანდების ჯალათს ზაის-ინკვარტს, ნაცისტების „იდეოლოგს“ როზენბერგს, ფაშისტური მთავრობის „დიპლომატს“ რიბენტროპს, ზაუკელს, შტრაიხერს და ფრიკს. რაც შეეხება გერინგს, ჰებელსს და ჰიმლერს მათ თავი მოიკლეს[1]. ბორმანს დაუსწრებლივ მიესაჯა ჩამოხრჩობა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1946 წლის 16 ოქტომბერს. ჰესს, რედერს და ფუკს მიესაჯათ მუდმივი პატიმრობა, შირაჰს და შპეერს — 20 წელი, ნეირატს — 15 წელი, დენიცს — 10 წელი.

პაპენი, ფრიჩი და შახტი, მიუხედავად საბჭოთა მოსამართლის პროტესტისა, გამართლებული იქნენ.

საერთაშორისო სასამართლო პროცესი მოეწყო აგრეთვე ტოკიოში იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა წინააღმდეგ (1946 წლის 5 მაისიდან — 1948 წლის 12 ნოემბრამდე). გასამართლებულ იქნა 28 კაცი, რომელთა შორის იყვნენ ყოფილი პრემიერ-მინისტრები, მინისტრები და გენერლები. სასამართლოზე მრავალრიცხოვანი მოწმეების და დოკუმენტური მასალების საფუძველზე დამტკიცებულ იქნა იაპონელი სამხედრო ხროვის დანაშაულებრივი მოქ-

[1] ჰებელსმა თავი მოიკლა დაპატიმრებამდე, ჰიმლერმა დაპატიმრების შემდეგ, მაგრამ ნიურნბერგის პროცესამდე, გერინგმა კი სიკვდილით დასჯის წინ მოიწამლა თავი.

მედება, მათი გეგმები საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, შორეულ და სამხრეთ-აღმოსავლეთის ხალხების დაპყრობისა და ფიზიკური განადგურებისა და აგრესიული ომის გაჩაღებისა. შვიდ კაცს, მათ შორის ტოძიოს, ხიროტოს, მუტოს და სხვებს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, ხოლო დანარჩენებს სამუდამო ან ხანგრძლივი პატიმრობა.

მსოფლიოს პროგრესული წრეები დიდის კმაყოფილებით შეხვდნენ ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სასამართლოების განაჩენს. მათ ამ განაჩენში სერიოზული გაფრთხილება დაინახეს იარაღის ეღარუნის მოყვარულთა წინააღმდეგ.

საერთაშორისო რეაქცია ცდილობდა დაეცვა გერმანიის და იაპონიის სამხედრო დამნაშავენი, მათ „უბრალო შემსრულებლებს" და „ბრმა იარაღს" უწოდებდა.

§ 87. მეორე მსოფლიო ომის შედეგები

მეორე მსოფლიო ომის შედეგად კაცობრიობამ უდიდესი ზარალი განიცადა, რომელიც ყოველგვარ ჩვეულებრივ ფინანსიურ და ეკონომიურ სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოდგენას აღემატება. მასში ჩაბმულიყო 72 სახელმწიფო. საომარმა მოქმედებამ მოიცვა 22 მლნ. კვ. კმ ტერიტორია. ჯარში გაწვეული იყო 110 მილიონზე მეტი კაცი. გაერთიანებული ერების მონაცემებით მეორე მსოფლიო ომის წლებში მარტო ბრძოლის ველზე მოკლული იქნა 38 მილიონი კაცი, დაბომბვისაგან 25 მილიონი კაცი, 95 მილიონზე მეტი კაცი დაპრილ და დასახიჩრებულ იქნა. მარტო ევროპის საკონცენტრაციო ბანაკებში ჰიტლერელებმა მოსპეს 12 მილიონი კაცი.

საბჭოთა კავშირმა მოკლულთა სახით მეორე მსოფლიო ომში დაჰკარგა 20 მილიონი კაცი. ამ ომში გერმანელი ფაშისტების მიერ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დანგრეულ და განადგურებულ იქნა 1700 ქალაქი და 70 ათასზე მეტი სოფელი და დასახლებული ადგილი, 32 ათასი სამრეწველო საწარმო, გაძარცული იქნა 98 ათასი კოლმეურნეობა, 1876 მეურნეობა. საბჭოთა კავშირის მატერიალური ზარალი შეადგენს 2600 მილიარდ მანეთს, რაც ბევრად აღემატება პირველ მსოფლიო ომში ყველა მონაწილე სახელმწიფოს ხარჯებს და ზარალს. მთლიანად კი ომი ჩვენს ქვეყანას დაუჯდა 2 ტრილიონ 600 მილიარდი მანეთი. აქ შედის როგორც მატერიალური ზარალი, ასევე გაწეული საერთო სამხედრო ხარჯები. საბჭოთა კავშირის ზარალი და ხარჯები ბევრად აღემატება ამ ომში მონაწილე ყველა სახელმწიფოთა ზარალს და ხარჯებს ერთად აღებული. ომში მონაწილე ყველა სახელმწიფოთა მატერიალური ზარალი და სამხედრო ხარჯები საბჭოთა კავშირთან ერთად შეადგენს 4 ტრილიონ დოლარს. მეორე მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები აღემატება 1380 მლრდ. დოლარს. ბრიტანეთის იმპერიამ მოკლულთა სახით დაჰკარგა 358 ათასი კაცი, აშშ—405 ათასი კაცი, ჩინეთმა 10 მლნ. კაცი, პოლონეთმა 6 628 ათასი კაცი, იუგოსლავიამ 1,7 მლნ. კაცი. გერმანიამ მარტო მოკლულთა სახით დაკარგა 9,700 ათასი კაცი, აქედან 9 მლნ. ფრონტზე, 450 ათასი საჰაერო თავდასხმისას, ხოლო 250 ათასი კაცი ფაშისტური ტერორის მსხვერპლი გახდა. საფრანგეთმა დაკარგა 520 ათასი, იტალიამ კი 400 ათასი კაცი. საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს მე-

ორე მსოფლიო ომში და აშშ და ინგლისის ჯარებთან თანამშრომლობით დაამარ-ცხეს მსოფლიოში ყველაზე აგრესიული სახელმწიფოები: ჰიტლერული გერმა-ნია, იმპერიალისტური იაპონია და ფაშისტური იტალია. გამარჯვება ამ აგრე-სიულ სახელმწიფოებზე მიღწეულ იქნა მსოფლიოს ხალხებისა და განსაკუთ-რებით კი საბჭოთა ხალხის უდიდესი მსხვერპლის, სისხლისა და აუწერელი ტან-ჯვის შედეგად. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შედეგად მოხდა ძირეული ცვლილებები ძალთა თანაფარდობაში სოციალიზმის სასარ-გებლოდ და კაპიტალიზმის საზიანოდ. ყველა კაპიტალისტური ქვეყნები ამ ომში გარდა აშშ-ისა დასუსტდნენ ეკონომიურად და სამხედრო თვალსაზრისით. ომის შედეგად გაიზარდა და გაძლიერდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი სა-ერთაშორისო არენაზე. ომის შემდეგ სოციალიზმი გამოვიდა ერთი ქვეყნის ჩარჩოდან და გადაიქცა მსოფლიო სისტემად. მსოფლიოს მშვიდობის, დემოკ-რატიის და სოციალიზმის ბანაკში ამჟამად გაერთიანებულია ევროპისა და აზი-ის მთელი რიგი ქვეყნები, რომელთა მოსახლეობა 1 მილიარდ ადამიანამდე აღ-წევს.

მეორე მსოფლიო ომში დემოკრატიული ძალების გამარჯვებამ დააჩქარა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა. ომის შემდგომ პერიოდში საბ-ჭოთა კავშირი სათავეში ჩაუდგა მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალიზმის ბანაკს მსოფლიოს ხალხთა მასების ბრძოლას ომის ახალი გამჩაღებლების წი-ნააღმდეგ.

შინაარსი

შესავალი	3
დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა	3
ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის შექმნა. საერთაშორისო ურთიერთობა (1918—1939 წწ.)	10
§ 1. გამარჯვებული სახელმწიფოები პარიზის სამშვიდობო კონფერენციის წინ	10
§ 2. პარიზის სამშვიდობო კონფერენცია	13
§ 3. ვაშინგტონის კონფერენცია	26
§ 4. საერთაშორისო ვითარება ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის შექმნის შემდეგ (1921—1939 წწ.)	30
§ 5. გერმანია კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდში	63
§ 6. ფაშისტური დიქტატურის დამყარება გერმანიაში	65
§ 7. გერმანია ფაშისტური უღლის ქვეშ	74
ინგლისი პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში	81
§ 8. ინგლისი 1918—1923 წწ.	81
§ 9. ინგლისი კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდში	89
§ 10. მეორე ლეიბორისტული მთავრობა. ინგლისი 1929 — 1933 წლების ეკონომიური კრიზისის და ომისწინა პერიოდში	93
საფრანგეთი პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში	103
§ 11. საფრანგეთი 1918—1923 წწ.	103
§ 12. საფრანგეთი 1924 — 1929 წწ.	108
§ 13. საფრანგეთი მსოფლიო ეკონომიური კრიზისის პერიოდში	110
აშერიკის შეერთებული შტატები პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში	123
§ 14. აშშ 1918 — 1923 წწ. ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება ომის შემდეგ	123
§ 15. აშშ კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდში	129
§ 16. აშშ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის და ომისწინა პერიოდში	133
იტალია პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში	143
§ 17. იტალია 1918 — 1923 წწ.	143
§ 18. იტალია მსოფლიო ეკონომიური კრიზისისა და ომისწინა პერიოდში	156
ესპანეთი I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში	163
§ 19. ესპანეთი 1918—1929 წწ.	163
§ 20. ესპანეთი მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დროს	167
§ 21. სამოქალაქო ომი და გერმანია-იტალიის ინტერვენცია ესპანეთში	172
საერთაშორისო შუშათა მოძრაობა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, III-ე, კომუნისტური ინტერნაციონალი	181
§ 22. კომინტერნი 1919—1923 წწ.	181
§ 23. კომინტერნი 1924 — 1943 წწ.	190
მეორე მსოფლიო ომი (1939—1945 წწ.)	196
§ 24. მეორე მსოფლიო ომის დაწყებითი ეტაპი (1939—1941 წწ.).	196
§ 25. ფაშისტური გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და დიდი სამამულო ომის დასაწყისი	217
§ 26. ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა	219
§ 27. ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური იტალიის აგრესიის ჩაფუშვა ახლო და შუა აღმოსავლეთში	222
§ 28. ფაშისტური გერმანიის ჯარების განადგურება მოსკოვთან	223

§ 29. საომარი მოქმედებანი დასაწყისი წყნარი ოკეანის აუზში. 225
§ 30. ჰიტლერული გერმანიის განადგურება სტალინგრადთან 226
§ 31. ინგლის-ამერიკის ჯარების შეტევები ჩრდილოეთ აფრიკაში 229
§ 32. საომარი მოქმედება 1943 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საბჭოთა კავშირ-
გერმანიის ფრონტზე . . . 231
§ 33. 1944 წელი საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვების გადამწყვეტი
წელია 233
§ 34. ფაშისტური გერმანიის კაპიტულაცია 238
§ 35. საომარი მოქმედება წყნარი ოკეანის აუზში 240
§ 36. ნიურნბერგის და ტოკიოს სასამართლო პროცესები 242
§ 37. მეორე მსოფლიო ომის შედეგები 244

Николай Леванович Наниташвили
НОВЕЙШАЯ ИСТОРИЯ ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН
(на грузинском языке)

რეცენზენტები: { პროფ. დ. ენუქიძე
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი შ. მეგრელიძე
დოცენტი ა. ჩხეიძე

რედაქტორი პროფ. ვ. დონაძე
გამომცემ. რედაქტორი ა. დოგრაშვილი
მხატვრული რედაქტორი ე. სულთანიშვილი
ტექრედაქტორი თ. მანჯგალაძე
კორექტორი ნ. ძოწენიძე

გადაეცა წარმოებას 19/III-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VII-74 წ.
ქაღალდი № 2. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆ ნაბეჭდი თაბახი 15,5.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,3.
შეკვეთა № 3676 უე 08983 ტირაჟი 2000

ფასი 68 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5
1974

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11
Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси. пр. И. Чавчавадзе, 11.